გამოცემა ამხანაგობისა.

# ხალხური ზღაპრები

კახეთსა და ფშავში შეკრებილი

თედო რაზიკაშვილის-მიერ.

ტფილისი
ელექტრო-მბეჭდავი წიგ. გამომც. ქართ. ამხ—სა
1909

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი

## კახეთში შეკრებილი ზღაპრები


1. ცერა . . . . . 3
2. ერთი ხელადის ამბავი . . . . . 5
3. ორი შაური ალალი თუ ორი თუმანი არამი . . . . . 6
4. სამი ძმისა . . . . . 9
5. ხუთკუნჭულა . . . . . 11
6. ერთი კუტი კაცისა და იმის ორის ძმის ამბავი. . . . . 14
7. იადონისა და ბულბულისა . . . . . 15
8. ხემწიფისა და იმის ცხრა ვაჟის არაკი. . . . . 19
9. მონადირის შვილი . . . . . 24
10. მელია და მეწისქვილე. . . . . 26
11. სამი მეგობარი. . . . . 28
12. ობოლი და ქოსა-მატყუარა. . . . . 30
13. სამი ძმა და ქოსა-მატყუარა . . . . . 31
14. მეთევზე და სამი თევზი . . . . . 34
15. ხემწიფის შვილი. . . . . 35
16. მეცხვარე და გველი. . . . . 36
17. ცოლ-ქმრის ამბავი. . . . . 38
18. ოქროს ქოჩრიანი ქალ-ვაჟის ზღაპარი. . . . . 39
19. ღორის ამბავი. . . . . 41
20. ქინქრახა. . . . . 43
21. მზის ქალი . . . . . 45
22. „იამ რა უთხრა ვარდსა, ვარდმა რა უთხრა იასა“ . . . . . 51
23. ანანა . . . . . 53
24. არაბი . . . . . 55
25. ზღაპარი ცხრა ძმაზე . . . . . 57
26. ბამბის ტომარა . . . . . 62
27. ეშმაკის გასალები . . . . . 63
28. ზღაპარი ველის ყვავილისა. . . . . 64
29. ქურდის ზღაპარი. . . . . 67
30. გაუცინარი ხემწიფის ზღაპარი. . . . . 70
31. ბრმა ხემწიფე. . . . . 74
32. ქაჩალ-მებატე . . . . . 76
33. ზღაპარი მინდორთ ქალისა . . . . . 87
34. სამი გლახა და ქრისტე-ღმერთი. . . . . 93
35. ზღაპარი საკვირველისა . . . . . 94
36. სამნი ძმანი. . . . . 101
37. ედემის ყვავილი . . . . . 103
38. ერთი მამა-შვილის არაკი.— . . . . . 106
39. ანგელოზების ნათლული ქალი . . . . . 109
40. სამნი ძმანი. . . . . 112
41. კუნძი ძისა . . . . . 114
42. ეთერი. . . . . 117
43. ზღაპარი ორი ძმისა, ერთი რო ჭკვიანი იყო და მეორე გიჟი . . . . . 124

44. მზეთუნახავი ქალისა . . . . . 125
45. ბებრის შვილისა. . . . . 127
46. გიორგი მონადირისა, ცოლმა რომ ძაღლად აქცია. . . . . 129
47. ქვად ქცეული ვაჟისა . . . . . 132
48. არაკი მენავეზედ. . . . . 135
49. მზეხათუნის არაკი . . . . . 136
50. ხემწიფიშვილს ქალი რომ არ მისთხოვდა, სანამ ხელობას არ ისწავლიო . . . . . 140
51. დევთაგანისა და იმისი ძმისა . . . . . 141
52. ოსტატისა და შაგირდისა. . . . . 144
53. დაკლული შვილი. . . . . 146
54. ერთი რუსისა და მიქელ-გაბრიელისა. . . . . 147
55. ბოქოქინასი და იმისი შვიდი ძმისა . . . . . 149
56. ნაბიჭვრიშვილისა. . . . . 151
57. კომბლესი. . . . . 155
58. ობლისა და ქოსასი . . . . . 157
59. მზე-ჭაბუკისა . . . . . 158
60. ერთი მანეთის ხამით დამარხული მკვდარი. . . . . 160
61. ალექსანდრესი. „ „ „ . . . . . 162
62. უშვილო ხემწიფისა „ „ . . . . . 165

## ფშავში შეკრებილი ზღაპრები.

1. კბილ-სავარცხალა . . . . . 3
2. ფაშგუნდი . . . . . 7
3. ოსიყმე. . . . . 11
4. შაშვი და მელა . . . . . 14
5. ზარმაცი . . . . . 15
6. ვაშლა . . . . . 18
7. კიტრის ქალი. . . . . 23
8. კობრე . . . . . 27
9. სიზმარა . . . . . 30
10. მოთამაშე ლორები . . . . . 35
11. ლაზარე . . . . . 37
12. ერთი მზეთუნახავისა და ხემწიფის შვილის ზღაპარი . . . . . 44
13. ცხვრის შვილი . . . . . 46
14. დედა-შვილის ზღაპარი . . . . . 48
15. უბედური ხემწიფის ზღაპარი . . . . . 50
16. ხემწიფის გიჟი შვილი . . . . . 52
17. მელიას ეშმაკობა . . . . . 54
18. ლეგენდა მიქელ-გაბრიელზედ. . . . . 56
19. წიქარა . . . . . 58
20. მელიისა და დათვის ამბავი. . . . . 61
21. ბაღრისა, უსიპისა და ამირანისა. . . . . 62
22. მამალი, კურდღელი, მელია, მგელი და დათვი. . . . . 82
23. ლეგენდა თამარზედ. . . . . 84
24. გარდმოცემა იესო ქრისტეზედ . . . . . —
25. გარდმოცემა მეფე ერეკლეზედ. . . . . —

# 1.—ცერა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ცოლი და ქმარი, ერთი ღვთის საწყლები, უქონლები, ღარიბები, მაგრამ ფეტვივით მრავალი შვილები კი ჰყვანდათ. იმათ შვილები სუ ცერის ოდნები ძლივ იყვნენ. ერთხელ ქმარი სამკალს იყო, მუშები ჰყვანდა. ცოლი კი პურს აცხობდა. შემოეხვივნენ შვილები დედას და დაუწყეს ყვირილი და ძახილი: დედავ, კვერი დაგვიკარ, კვერიო. დედამ იფიქრა: ამათ რო ყველას თითო კვერი ჩაუკრა, პურად რაღა გამოვაცხოვო, მოუსო ცოცხი და ეს ამოდენა შვილებს თონეში კი უკრა თავი.. მარტო ერთი ცერა ცოცხში შემძვრალიყო და გადარჩა სიკვდილს. ტირის დედა: აქამდი ბევრი შვილები მყავდა, იმასა ვჩიოდი, ეხლა ღმერთი გამიწყრა და ერთიც აღარა მყავს; ვისღა უნდა წავაღებინო პური მუშებისთვისაო. გაიგონა ცოცხში მჯდომმა ცერამ დედის ტირილი, გამოყო თავი და დაუძახა დედას: დედავ, მე კიდე გადავრჩი, მუშებს სადილს მე წაუღებ, თუ კვერიას ჩამიკრავო. გაჰოდი, შვილო, კვერიას როგორ არ ჩაგიკრავ, ოღონდ შენა მყვანდე ცოცხალი, უთხრა დედამ ცერას. დედამ კვერია დაუკრა, დაკლა ქათამიც და მოუმზადა სადილი. ცერას სული წაუვიდა ქათმისათვის, გადაჰყლაპა საჩქაროდ, თვითონ კუჭში შეძვრა და დაიმალა. ეძებს კიდე დედა, ჩივის და ტირის: მე ქათამი არ მაჯავრებს, ნეტავი შვილი არ დამკარგვიყოვო. დედის სიტყვები რომ გაიგონა, ცერას გული მოეცა. აქა ვარ, დედი, აქაო! დაუყვირა დედას კუჭიდამ. გამოძვრა ცერა; აუკიდა ჯორს დედამ მუშების სადილი და გაისტუმრა. ცერა ჯორზე ვერ შეჯდა,—ყურში ჩაუძვრა და მოიკალათა. მიგოგავს ჯორი გზაზედ. ცერა ჯორის ყურში თბილადა ზის და იმღერის... გზაზედ ერთი კაცი მოდის, სამი ცხვარი მოჰყავს; დაინახავს აკიდებულ ჯორს, მოეწონება და იტყვის: მოდი ამ ჯორს წავიყვან, ბარგს კი მოვიხმარებ, ვინ გაიგებსო. გაიგონა ცერამ მგზავრის სიტყვები და დაუყვირა: რას ამბობ, კაცო, ჩემი კვერია ხახაში, ჩემი ქათამი ხახაში, შენც ახახაშიო (ე. ი. ჩავყლაპეო); ამოხტა ჯორის ყურიდამ და დაუდგა გზაზედ. ცერავ, გზიდამ ჩამოგვეცალე, დაუძახა მგზავრმა, ცხვრებმა ფეხი არ ჩაგკრან და მოგკლანო: გაუღო ხახა ცერამ და გადაყლაპა მგზავრიც და იმის ცხვრებიც, თვითონ ისევ ჯორის ყურში შეძვრა, მიდის და მიიმღერის. წინ ერთი ცხენიანი კაცი მოდის, სიმღერა ესმის, იხედება ირგვლივ, არავინა სჩანს მომღერალი, ეშმაკი ეგონა; ბოლოს ვირი დაინახა, მოეწონა და წაყვანა მოინდომა. ამოხტა ვირის ყურიდამ ცერა და დაუყვირა მგზავრს: ვირს თავი დაა-

ნებე, თორემ ჩემი კვერი ხახაბი, ქათამი ხახაბი, კაცი და ცხვრები ახახაზი, შენც ახახაბიო. რას ამბობ, ცერავ, უთხრა მგზავრმა, გზიდამ ჩამოგვეცალე, ცხენმა წიხლი არ ჩამოგკრასო. გაჯავრდა ცერა, გაუღო ხახა და გადაყლაპა ცხენიანი კაცი. მიდის ცერა და მიიმღერის. ერთი მეძროხე შეჰხვდა, ნახა ვირი და სთქვა: ვირს მოვხდი, სადილს მივირთმევ და წავალო. გაიგონა ცერამ, სისხლი აემღვრა და შეუტია მეძროხეს: გზიდამ ჩამომეცალე, თორემ შენც ჩემ კვერიასთან, ქათამთან, ცხვრებთან და ცხენიან კაცთან ჩაგალაგებო. ცერავ, ძროხებს გზა უყავ, ფეხი არ დაგადგანო, დაუძახა მეძროხემ. მეძროხევ, ჭკვიანად მოიქეცო, დაუძახა ცერამ, თორემ ინანებო. გაუღო იმასაც ხახა და ჩააბძანა თავის ძროხებით ცხვრებთან... წამოვიდა ცერა და მიუტანა პური მამას. მამამ სახლში გაგზავნა: დედას საქმე ექნებაო. ცერამ დანა მოჰპარა მამას და წამოვიდა. სახლში ერთი ხარი ჰყვანდა, ერთი ქვევრი ღვინო ჰქონდა. დედას უთხრა: მამამ დაიბარა, ეგ ხარიც დაკალით და მაგ ქვევრსაც აჰხადეთო. დაკლეს ხარი, მოჰხადეს ქვევრსაც. წაიღო ცერამ მამასთან ერთი მუგზური, მიჰცა მუშებს და უთხრა: ვინც უფრო ბევრს დაჰწვავთ, იმას უფრო კარგ კერძს გაგიკეთებთო. მიუკიდეს მუშებმა ყანას ცეცხლი და სულ ერთიანად გადაბუგეს. საღამოზედ დაბრუნდნენ; მშვენიერი ვახშამი დაჰხვდათ. ერთს მუშას, რომელსაც უფრო ბევრი ყანა დაეწვა, ცუდი კერძი ერგო და დაიძახა: აკი იმას ამბობდით, ვინც უფრო ბევრს დაჰწვავს, იმას კარგს კერძ მივცემთო. ეს სიტყვები ცერას დედამ გაიგონა; ელდა ეცა; ი ყანა ხო არ დაჰწვითო, ჰკითხა ქმარსა. ეს ხორცი საით იშოვნეო? ჰკითხა ქმარმა ცოლს. გაიგეს თუ არა ცერას ეშმაკობა, მიჰდგნენ და მიბერტყეს, სცემეს და გამოაგდეს. წავიდა ცერა გზას. ბევრი იარა, ცოტა იარა, ნახა ერთი ცხვარი, დაკლა და შეჭამა; ერთი ნაჭერი და დარჩა. შიგ შეძვრა და დაიმალა. მოვიდა მგელი, გადაყლაპა ხორცი და წავიდა. დადის მგელი, მიეპარება ცხვრებს, უნდა მოტაცება, მაგრამ ცერა დაიწყებს მუცლიდამ ყვირილს: მოვიდათ მგელი, მოვიდათ მგელიო! და გააქცევენ მგელს. დარბის მგელი შიმშილისგან გაცოფებული, ხან სად ეხლება კლდეს და ხან სად. მგელი ხან აბოყინებდა, ხან რასა ჰშვრებოდა და ხან რას, უნდოდა ამოეგდო და გაეგო, რა ჩაყლაპა. ბოლოს მგელი შიმშილით მოკვდა. ცერა კი ამოძვრა და გასდგა თავის გზას. ცერა გზაზედ ერთს ქურდს შეჰხვდა. —გამარჯვება!— გაგიმარჯოს!

— ვინა ხარ? სად მიჰდიხარ? ჰკითხავს ქურდს ცერა.

— ქურდი ვარ, საპარავად მივდივარ! უპასუხებს ქურდი.

— მეც დიდი ქურდი ვარ, ეტყვის ცერა; გამიამხანაგდი, მე მოვიპარავ, ვერავინა მნახავს, და შენ კი ზიდე მარტო, ხეირი ვნახოთ.

— ძალიან კარგიო, უთხრა ქურდმა და წავიდნენ საქურდავად.

შეიპარნენ ერთ სახლში, გამოზიდეს რასაც მოერეოდნენ. მოიკიდა ქურდმა და მოძუძგა. ცერა კიდე ყურეში შეძვრა და დაიწყო ყვირილი: ქურდმა სახლი გაქურდა, ჩქარა დაიჭირეთო.

FS 5048

ოქროს თმები, მიეპარა, ჰტაცა და დაიხვია ხელზედ, ვიწვი... დაიძახა ქალმა. ვაჟმა უფრო და უფრო დაიხვია ხელზედ. რა გინდა ჩემგანაო? ჰკითხა ქალმა ვაჟს. — ცოლად უნდა გამომყვეო, უპასუხა ვაჟმა — გამოგყვებიო, უთხრა ქალმა. — არა, დაიფიცეო, უთხრა ვაჟმა. ქალმა დაიფიცა. — იადონისა და ბულბულისა დაიფიცეო! უთხრა ვაჟმა. ქალმა არ დაიფიცა. ვაჟმა უფრო და უფრო დაიხვია მკლავზე იმის თმები. ვიწვიო! დაიძახა ქალმა. ვაჟმა უფროც დაიხვია. ქვეყნისა დაიფიცა ქალმა, ცისა, მზისა, გამოგყვებიო, მაგრამ ვაჟი არ უ!მენდა და უფრო იხვევდა თმებს. ბოლოს დაიფიცა ქალმა იადონისა და ბულბულისა. აჟიდა ვაჟიც. ქალმა უთხრა: მართალია, მე შენ ფიცი მოგეც, შეგირთავო, მაგრამ მე შენ არ შეგირთავ, სანამ ერთ რასმეს არ გამოეცდიო. მე ერთი რაში მყავს, იმ რაშს შენ რაშს მიუსევ, თუ იჩხუბეს, აღარ ვიქნები შენი ცოლი, და თუ არ იჩხუბებს — შენი ვარ და შენიო. კარგიო, დაჰთანხმდა ვაჟი და გაუშვეს რაშები. რაშებმა დაიჭიხვინეს თითო, გაექანენ ერთმანეთისაკენ, დაუწყეს ერთმანეთს კისერ გადადებულებმა ფხანა. რაშები ღედიდა შვილები იყვნენ და რას წაიჩხუბებოდნენ! შასხდნენ ქალ-ვაჟი, წამოიყვანეს იადონი და ბულბულიც და წამოვიდნენ. გზა რო გამოიარეს, ქოსა მეფანდურემ დაინახა, დაეცა შურით ქალს, წაიყვანა, ჩამჯრა მიწაში, გაჰქვრა ძირს და ისევ ცაში ავარდა. შესწუხდა ვაჟი. მხლებლებს უთხრა: წადით, იშოვეთ ძალიან გძელი თოკები და აქ მოიტანეთო. წავიდნენ, მოიტანეს გძელი თოკები. მოიბა ვაჟმა და უთხრა: ჩამიშვითო! ჩაუშვეს ძირს. დაჰცქვრა მერე ხელიდამ და წავიდა ძირს, იარა ბევრი, იარა და დაეცა ერთ მინდორზედ. ადგა და გაიხედ-გამოიხედა. მინდორზე სამი რაში ჰძოვს: ერთი შავი, ერთი წითელი და ერთი თეთრი. ჰძოვენ, ჰძოვენ და მერე დაიწყებნ თამაშობას. ის რაშები ისეთები იყვნენ: შავზე რო შამჯდარიყო კაცი, გაქან-გამოქანდებოდა, ხან იქითა ჰკრავდა კლდეს და ხან აქეთ და ისე მოჰკლავდა. ის სიკვდილის მოციქული იყო. წითელზე რო შემჯდარიყო კაცი, უფრო ქვევით წავიდოდა, და თეთრზე რო შემჯდარიყო — ზეცას, ამ ქვეყნად — ის ნათლის მოციქული იყო. ვაჟი ეცადა, უნდოდა შავი დაეჭირა. მაგრამ ვერ დაიჭირა. ვერც თეთრი დაიჭირა. ბოლოს წითელი დაიჭირა. შეჯდა ზედ და წავიდა ქვევით. იარა, იარა და ერთს სახელმწიფოში ჩავიდა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ერთ ქალაქში შევიდა. წყალი მოჰწყურდა გზაზედ ძალიან. მივიდა იმ ქალაქში ერთ ბებერთან და წყალი ჰთხოვა. ბებერმა უთხრა: შვილო, წყალს დაგალევინებდი, მაგრამ არა გვაქვ. წყალი გველეშაპს უჭერია, ყოველ დღე თითო ქალსა ჰჭამს და ისე გვაძლევს წყალს წვეთობით. დღეს ჯერი ხემწიფის ქალზედ არის, ის უნდა შეჭამოსო. ვაჟმა უთხრა: დედი, კოკები მომეც, მე წავალ, მე მოვიტანო. — ნუ, შვილო, გენაცვალე, უთხრა ბებერმა, ის გველეშაპი ჩაგყლაპავსო. ვაჟმა არ დაიჯერა; ამოჰგლიჯა მიწიდამ საწყლე ქვევრი და წავიდა. მივიდა, შავად ჩაცმული ქალი გულიხელ დაკრეფილი სდგას და ს[...]მ იმის ცოდვით ცეცხლ-მიწა იწვება. ვაჟი მივიდა და უთხრა: [...] შენ გველეშაპის საჭმელად არ გაგზდიო. ქალმა დაუწ[...] წადი, ძმობას, თორემ ის ვეშაპი მოვა და შენც ჩაგყლაპა[...]

[library stamp]

წავალ კიო, უთხრა ვაჟმა და ცოტას კი დავიძინებ, დაღლილი ვარ, და, როდესაც გველეშაპი მოდიოდეს, გამომაღვიძეო. დაიძინა ვაჟმა. ქალი თავს ადგა და აი, უცებ ხუილით ერთი გველეშაპი. წამოვიდა ქალმა დაუწყო ღვიძება ვაჟს მაგრამ ვერ გააღვიძა, ბოლოს დაეცა ქალის სამი ცრემლი ლოყაზედ, ამოჰწვა და გაეღვიძა. წამოხტა ვაჟი, მოჰზიდა მშვილდს და ჰაერშივე გააგლეჯინა შუაზედ გველეშაპი. მერე მიწაზედ ხმლით ეცა და აკაფა. ცალს მხარეზედ გველეშაპის ლეში იყო აგებული გორებად და ცალზე ხევად იმისი სისხლი მიდიოდა. გავარდა ხმა ქალაქში: გველეშაპი მოკლეს, გველეშაპი მოკლესო! მოვიდა ხალხი და საქონელი წყალზედ, მოვიდა და მოვიდა. დაყმედილი საქონელი და კაცი ბევრი სმისაგან ზოგი იქვე სკდებოდნენ, ზოგნი გზაზედ და ზოგნიც შინ მისულები. მიუვიდა ხემწიფესაც თავის ქალი შინ. ხემწიფის სიხარულს ხომ ვეღარა შეედრებოდა! რა! მაშინვე დაუძახა თავის სახემწიფოს ხემწიფემ და ჰსურდა გაეგო, ვინ გადაარჩინა იმის ქალი სიკვდილს, რომ იმისათვის შეერთო. იარა და ჩაიარა ქალმა შეყრილ ხალხს, მაგრამ ის ბიჭი იქ არ იყო. მამას უთხრა: მამავ, ის აქ არ არისო. მაშინვე გაგზავნა ხემწიფემ კაცები, წადით, მოიყვანეთ ყველანი, ვინც არ არის აქაო. წავიდნენ და მოიყვანეს ის ბიჭიც. ბიჭმა გზაზედ ერთი კურდღელი დაიჭირა, უბეში ჩაისვა და წამოიყვანა. კარში რო ჩაჯდა, კურდღელი უბეშივე ეჯდა. იარა-ჩამოიარა ქალმა და უნდა რომ ჩაუჯდეს ვაჟს, მაგრამ ვაჟი ამოუჩენს ყურებს კურდღელს უბიდან და აშინებს ქალს. ბოლოს მამამ უთხრა ქალს: შვილო, ვერ იპოვნეო? — ვიპოვნე, მაგრამ უბეში რაღაც უზის, მამავ, და ის მაშინებსო. წადი, შვილო, თვალები დახუჭე და ისე ჩაუჯექო, უთხრა მამამ. დახუჭა ქალმა თვალები და ჩაუჯდა ვაჟს კალთაში. წამოიყვანა სასახლეში ვაჟი ხემწიფემ დიდის ამბით, მაგრამ ვაჟმა ქალი არ შეირთო, დობა უთხარ და ეხლა როგორღა მერგებაო. მაშ რა მოგცეო? ჰკითხა ხემწიფემ. — შენი არაფერი მინდაო, უპასუხა ვაჟმა, ოღონდ ჩემ სამშობლოში, ჩემ ქვეყანაში ამიყვანეთ როგორმეო.

მე კი არ შემიძლიან და, რაც ჩემგანი ქნება, კი, მოგეხმარებიო, უთხრა ხემწიფემ: აქა და ამ ადგილას ერთს ორბს ბუდე აქვს, არწივი არ უყენებს. შვილებს უჭამს, და, თუ იმ არწივს როგორმე მოაშორებ, ის აგიყვანსო. მაშინვე აიღებს ვაჟი მშვილდ-ისარს და გაჰწევს ორბის ბუდისაკენ. უცებ დაეშვება არწივი და უნდა დაჰამოს ბარტყები; ამ დროს ესვრის ისარს ვაჟი და გულში გააგდებინებს. შემოეხვევიან ბარტყები ვაჟს და დაუწყებენ ალერსს. ვაჟს ბუდეში დაეძინება. მოვა ორბი, დაინახავს ბუდეში კაცს, გაჰშლის ბრჭყალებს იმის მოსაკლავად, მაგის უჭამია კიდეც ჩემი ბარტყებიო, მაგრამ შვილები გადაეფარებიან და შეაყენებენ: დედავ, ჩვენი კეთილის მყოფელი ეს არის, ამან მოჰკლა არწივი და სიკვდილს გადაგვარჩინაო. მაშინვე დაჯდება ორბი და ხან ერთ მხარს აუფარებს ვაჟს და ხან სხვას, რომ არ დაჰცხეს მზეზეო. გამოეღვიძება ვაჟს. ორბი ეტყვის: რა მოგცე, კეთილო კაცო, რომ ეს შვილები გადამირჩინეო? მე სხვა არაფერი მინდაო, ეტყვის ვაჟი, ჩემ ქვეყანაში, ზევით, ამიყვანეო. — წადიო, უთხრა ორბმა, ოთხი კამეჩი გამოართვი ხემწიფეს, დაჰკერ, დამაწყე, ზედ შენ შემჯე და მე აგიყვანო

წავიდა ვაჟი, გამოართვა ხემწიფეს ოთხი კამეჩი, წამოიღო და წამოვიდა. დაჰჭრა ნაწილ-ნაწილად, დააწყო ორბს მხრებზედ, ზედ თვითონ დაჯდა და გაჰწიეს. რამდენსაც შემოტრიალდება ორბი, იმდენს ნაჭერს შეაჭმევს ვაჟი; ბოლოს ერთი შემოტრიალება-ღა უკლდათ, და გაუთავდა ხორციც ვაჟს; რომ აღარ შეაჭამოს, იქვე ჩავარდებიან. აიღო ვაჟმა და გამოიჭრა ნაკუთალი და ის შეაჭამა. მოტრიალდა ორბი და ავიდნენ მაღლა. გადმოხტა ვაჟი და კოჭლობა დაიწყო. ის ბოლოს დროს რა შემაჭამეო? ჰკითხა ვაჟს ორბმა. ის ჩემი ხორცი იყოვო, უპასუხა ვაჟმა, აი აქიდამ გამოვიჭრეო.—წინათვე მცოდნიყო—შეგჭამდიო, უთხრა ორბმა, მოუსო ფთე და ისევ გაუმთელა. ადგა ვაჟი და წავიდა თავის საცოლისა და იადონ-ბულბულის საძებნელად. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მივიდა იქ, სადაც ქოსა მეფანდურეს იმისი ცოლი ჰყვანდა, მივიდა და მეეხვია თავის ცოლს... ქოსა მეფანდურე სადღა არისო? ჰკითხა ვაჟმა ქალს.

— ეს სამი წელია სძინავსო, უთხრა ქალმა ტირილით. შენ რო წაგართვა ჩემი თავი, მაშინვე დაეძინა და სამი დღე კიდევა აქვს ძილის ვადაო... როგორ უნდა მოვკლაო? ჰკითხა ქმარმა.—ცხრა კლიტულში ერთი გალია აქვს, იქ სამი ჩიტი ჰყავს, ის ჩიტები მაგის სული, ჯანი და გონება არის, და ვისაც მოკვლა უნდა, ისენი უნდა დახოცოსო უთხრა ცოლმა. შავიდა მაშინვე ვაჟი ოთახებში; მილეწ-მოლეწა ცხრა კლიტული, შევარდა იქ, სადაც ჩიტები ისხდნენ, დაჰგლიჯა სამივეს უცებ თავები და გადაყარა. ჩიტების თავების დაგლეჯა და ქოსა-მეჩონგურეს სიკვდილი ერთი იყო. წამოიყვანა ქალი ვაჟმა, იადონ-ბულბულიც და მოვიდა მამასთან. მამამ ძალიან გაიხარა, დალოცა თავის შვილი, დაადგა მეფობის გვირგვინი, დაიწერა ქალზედაც ჯვარი ვაჟმა, ქნეს ერთი დიდი ქორწილი; გაიხარეს და გაგვახარეს. გათავდა თქვენი მტრის დღე.

ქერი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

(ს. ვეჯინს გაგონილი, ანდონიკაანთ ოჯახში).

F 3.010
4

## 8.—ხემწიფისა და იმის ცხრა ვაჟის არაკი

თქმა იყოს და გაგონება,
გორგოლაძის გაგორება

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი დიდი და დიდებული ხემწიფე. იმ ხემწიფეს ცხრა ვაჟი ჰყვანდა. ამდენ შვილებს იქნება სხვა კი გაეხარა, მაგრამ ხემწიფე კი სულ სხვა თვალით უცქეროდა ამას. ის ერთი თვალითა ტიროდა და ერთი თვალით იცინოდა რო ვისმე ეკითხა ხემწიფისათვის: დიდებულო ხემწიფევ, რა გახარებს, ერთის თვალით რო იცინით და ერთი თვალით სტირითო, ის ეტყოდა: ერთი თვალით იმიტომ

ვიცინი, შვილო, რომ ცხრა ვაჟი მყავსო და ერთი თვალით იმიტომ ვტირი, რომ ამ ცხრა ვაჟში ისეთი არავინ გამოერია, რომ ჩემი ნაქნარი ექნა, ჩემი ჩანადენი ჩაედინაო.

ერთხელ უფროსმა ძმამ გაიგონა მამის სიტყვები, მივიდა და უთხრა: მამავ, რა გაწუხებს, რაზედ სტირი, შვილები ამდენი გვყვართ, რამ დაგაღონაო.—იმანა, შვილოვო, უპასუხა ხემწიფემ, რომ ცხრა ვაჟში ერთი არ გამოხვედით იმისთანა, რომ ჩემი საქმენი თქვენც გეთავათო.—იქნება ჩვენც შევიძლოთ, მამავ, წინათვე რად იტეხთ გულსაო, უთხრა შვილმა. ჯერ არ ეუბნებოდა მამა და, რაკი შვილმა მოაბეზრა თავი, უთხრა: მაშ შეგიძლიან, სანამ ხოხობი მოიხრაკებოდეს, წახვიდე და უკვდავების წყალი მომიტანოვო. ვერაო, უპასუხა შვილმა. მერე მერვე ვაჟი წამოდგა, იმასაც შეუკვეთა ხემწიფემ. ასე ზოგი უარს ამბობდა წასვლაზედ, ზოგიც წავიდოდა, მაგრამ ხოხობი დანაცრდებოდა კიდეც იმათ მოსვლამდე. ბოლოს უმცროსი ვაჟი მივიდა მამასთან და უთხრა: მამავ, მე წავალ და მოვიტან, თუ შენ რაშს მამცემო. მამამ ძალიან უარი უთხრა. მაშინ ადგა ვაჟი, მოჰპარა მამას რაში, გადაჯდა ზედა, და გაფრინდა რაში ჰაერში. მამამ რო გაიგო შვილის გაპარვა, დაჰწყევლა: ასემც წასულხარ, არამც მოჰსულხარო. მიფრინდა უკვდავების წყაროსთან და მიაწოდა თევზ-ქალს ჩარექა წყლის ამოსაკრებად. ის ქალი უკვდავების წყალში იყო, წელ ზევით ქალი იყო და წელ ქვევით თევზი. ქალმა უთხრა კაცს: დაბრუნდი უკან, ნუღარ წახვალ, მამისგან დაწყეული ხარო: შენ მაინცა და მაინც სიკეთე არ დაგეყრება, გზაზედ მოჰკვდებიო! ვაჟმა არ დაიშალა, გამოართვა უკვდავების წყალი, შემოჰკრა თავის რაშს მათრახი და გააშურა სახლისაკენ, მაგრამ მთაზედ ლეკები დახვდნენ, მოკლეს, დაჰჭრეს და გადაჰკიდეს რაშს. რაში დაბრუნდა უკან და ჭიხვინით მოვიდა ქალთან. ქალმა დააწყო ვაჟის ლეში ასო ასოზედ, გადაასხა უკვდავების წყალი და გააცოცხლა. ოჰ რა ბევრი მძინებიაო! სთქვა ვაჟმა და მოიფშვნიტა თვალები.—აკი გითხარი, უთხრა ქალმა, რომ მამის წყევლას კაცი ვერსად წაუვაო; მე რომ არ დაგსწრებოდი და ან შენი რაში, შენი ლეშიც აღარსად იქნებოდა ეხლაო. შინ ნუღარ წახვალო, უთხრა ქალმა და სადაც გინდოდეს, სხვაგან წადიო. გამოეთხოვა ქალს ვაჟი. შემოჰკრა რაშს დეზი და გაუდგა გზებს. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ბოლოს გამოვიდა ერთ დუზ მინდორზედ; გაიხედა და დაინახა, რომ მინდორში რაღაცა ბჭყვინავს. ისეთი საკვირველია, ისეთი ჭრელი რამ არის, რომ იმისთანა არაფერი არ იქნება ქვეყანაზედ. მიუახლოვდა ვაჟი და ნახა, რომ ბუმბულია. რაშსა ჰკითხა: რას მირჩევ, ავიღო თუ არაო. აიღებ—ინანებო, უპასუხა რაშმა, არ აიღებ—მაინც ინანებო.—რაკი უნდა მომივიდეს, წავიღებო, სთქვა ვაჟმა. აიღო ფთე, ჩაიდვა უბეში და გაუდგა გზას. ბევრი სიარულის შემდეგ ვაჟი ერთს ხემწიფესთან მივიდა და დაუდგა მეჯინიბედ. მეორე დღეს გააყოლა თავის რაშიც, ორი ბიჭი სხვა გაიყოლა, წაასხეს ცხენები და გარეკეს მინდორში. ამოიღო ვაჟმა ის ბუმბული, დაიჭირა ხელში და მთელი დღე იმას შესცქეროდა, ცხენებიც დაავიწყდა და წუთი სოფელიც. ორი დღე კი უთმინეს ამხანაგებმა და მერე კი დაასმინეს ხემწიფესთან: ჩვენ

ახალ მეჯინიბეს, დიდებულო ხემწიფევ, ერთი რაღაცა აქვს, ამოიღებს იმას და მთელი დღე შესცქერის, არც არას თვითონა ჰჭამს და არც არას ცხენებს აჭმევს,—საწყლებს მთელი დღე ფერდი ფერდზე აქვთ მიკრულიო. მაშინვე დაიბარა ხემწიფემ ვაჟი და ჰკითხა: რა გაქვს ისეთი, რო მთელი დღე იმას შესცქერიო?—რა უნდა მქონდესო, უპასუხა ვაჟმა, რო რამე მქონიყო, ხომ არც თქვენ დაგიდგებოდით მოჯამაგირედაო!—არაო, უთხრა ხემწიფემ, აუცილებლად უნდა მომცეო. ამოიღო ვაჟმაც ჰრელი ბუმბული და გადაჰცა ხემწიფეს. ხემწიფე ფთისაგან საკვირველებიდან იყო გამოსული, გაღო ხახა და შეჰცქეროდა ბუმბულს. სხვა ვეღარაფერი გაეგო იმის ცქერით, არც სასმელი და არც საჭმელი.

რა ხახა დაგიღრენია და შემცქერიო, უთხრა ბუმბულმა ხემწიფეს: მე კი არა ვარ საკვირველი, საკვირველი ის არის, ვისაც მე გავვარდიო!—ვინ მოიყვანს იმასაო? ჰკითხა ხემწიფემ.—ვინც მე მომიტანაო, უპასუხა ბუმბულმა. მაშინვე დაიბარა ხემწიფემ ვაჟი და უთხრა: უნდა წახვიდე და, სადაც იქნება და სადაც არა, ის ფრინველი მოიყვანო, რომელსაც ის ბუმბული გავარდაო. ვაჟი ძალიან შესწუხდა; წავიდა და შეჰჩივლა რაშს: ესე, ესეა საქმე, ხემწიფემ შემიკვეთა, უნდა ის ფრინველი მოიყვანო, რომელსაც ეს ფთე გავარდაო.—რა მეტი ღონეაო, უპასუხა რაშმა, უნდა წავიდეთ და მოვიყვანოთო. შენ კი წადი და ხემწიფეს ერთი ჯორი გამოართვი, ერთი კვერი (ჩაქუჩი) და ცხრა მოსართავიო. წავიდა ვაჟი, გამოართვა ყველაფერი და მოიტანა რაშთან. შემჯექ და წავიდეთო! უთხრა რაშმა. შეჯდა ვაჟი და წავიდა იმ ფრინველის საძებნელად. ერთს მთაზედ მივიდნენ; რაშმა უთხრა კაცს: იმ ფრინველებმა აქ იციან ჩამოსხდომა. ეგ ჯორი დაკალ, გამოაცალე წელები, ერთი დიდი რკინის პალო ძალიან მაგრა დაარჭვე მიწაში, ზედ ვირი დააბი, რო ვერ წაიღოს იმ ფრინველმაო. შენ ჯორის გვამში დაჯექო. ის ფრინველი მოვა, ჯერ ერთხელ დაუქროლებს, ჩაუყრის ბჭყალებს წასაღებად, მაგრამ რადგანაც დაბმული იქნება, ვერ წაიღებსო. მერე მეორედ. რაკი ვერა და ვერ წაიღებს, იმას ძალიან უყვარს ჯორის ხორცი, დაჯდება და დაუწყებს ჭამასაო. შენ მაშინ ხელი ჰტაცე, დაიჭირე, მოგეშველები მეც; ჯერ დავასუსტოთ, მერე მე დამაკარ, ზედ ცხრა მოსართავი გადააკარ, მერე შენც ზედ შემჯე; რამდენიც აიწიოს იმან, შენ კიდე კვერი უკაკუნე თავშიაო. ვაჟმა ყველაფერი ისე ქნა, როგორც რაშმა უთხრა. მოვიდა ის ფრინველიც. ისეთი ტურფა რამ იყო, რომ იმაზედ კარგს კაცის თვალი ვერაფერსა ჰნახავდა. ჯერ ერთხელ დაუტია ლეშს, ჩაუყარა ბრჭყალები, მაგრამ ვერ წაიღო, ახლა მეორედ, მაგრამ ვერც მაშინ წაიღო; მერე კი დაჯდა და დაუწყო გლეჯა ვირის ხორცს. ვაჟი იქვე იჯდა; გამოაპარა ჩუმათ ხელი, ჰტაცა ფეხში ამ ფრინველს და დაიჭირა. დაიზიდა ფრინველმა, მაგრამ ამოუხტა კაცი. შეჰდგა ზედ წიხლით, გაუარა და გამოუარა. მოეშველა რაშიც და როგორც იყო დაიმორჩილეს. დასუსტებული ფრინველი დააკრეს რაშს და გადაუჭირეს ცხრა მოსართავი. ზედ თვითონ შეჯდა ვაჟი და გაჰწიეს. გზაზედ თანდათან ცოცხლდება ფრინველი, აიწევს ზევით და გაჰგლეჯს თითო მოსართავს, უბრახუნებს ვაჟიც თავში კვერს,

რაც ძალი და ღონე აქვს, მაგრამ იმდენს ვერაფერს აკლებს. რვა მოსართავი გაგლიჯა, ერთით-ღაა დაკრული და ის არის მივიდნენ ხემწიფესთანაც. ყვირის ვაჟი: მომეშველენითო! მოეშველებიან მაშინვე და შეიყვანენ ფრინველს ცალკე ოთახში. ხემწიფე მისჩერებია ამ ფრინველს და ველარ აშორებს თვალს. რა ხახა დაგიღრენია და შემცქერიო, უთხრა ხემწიფეს ფრინველმა, მე რა ვარ, საკვირველი ის არის, ვინც მე გამზარდაო!—ვინ მოიყვანს იმასაო? ჰკითხა ხემწიფემ ფრინველს.—ვინც მე მომიყვანაო. ჩემს მომყვანს არც იმის მოყვანა გაუჭირდებაო! მაშინვე დაიბარებს ხემწიფე ვაჟს და ეტყვის: უნდა წახვიდე და, სადაც იქნება და სადაც არა, ამ ფრინველის გამზრდელი ქალი უნდა მოიყვანოვო!—მე საიდან მოვიყვანო, ბატონო, ეტყვის ვაჟი, მე რა ვიცი, სად არის ის ქალიო! —ეგ ჩემი საქმე არ არისო, უთხრა ხემწიფემ, თავში ქვა უნდა იხალო და მოიყვანოვო! რაღას იზამდა საწყალი ვაჟი? დაღონებული დაბრუნდა რაშთან. რამ დაგაღონა, ჩემო პატრონოვო? ჰკითხა რაშმა, რას დაუფიქრებიხარო: ჯავრს ნუ მიუშვებ გულადა გულს ჟანგი მოეკიდებაო! —ესე, ესეა ჩემი საქმეო, ეტყვის ვაჟი, და არ ვიცი რა ვქნაო, როგორ მოვიქცნეთო.—მაგისა ნუ გეფიქრებაო, უთხრა რაშმა: წადი შენ, ორი ქილა ერბო და ორი ცხვარი გამოართვი და წავიდეთო. წავიდა ვაჟი ხემწიფესთან, გამოართო ორი ქილა ერბო, ორიც ცხვარი, შეჯდა და გასწიეს. ბევრი იარეს თუ ცოტა, მივიდნენ იმ ადგილას, სადაც ქალის სახლი იყო. რაშმა უთხრა: კარებზედ ორი ლომია, ისენი შეგვჭამენ, თუ ცხვრები არ გადაუგდეო. მერე ორი ძაღლია, იმათ ის ერბოიანი ქილები გადუყარე და გაგვიშვებენო. ქალის სახლში რო შეხვიდე, რაც გაშლილი დაგხვდეს, შეკეცე და რაც შეკეცილი—გაშალეო. იქ ათასი აბრეშუმეული და ფარჩეულ ოქრო-ქსოვილი ჰფენია, ქალი დამალულია და უიმისოდ არ გამოჩნდებაო ადგა ვაჟი და წავიდა ქალის სახლისაკენ. წინ ლომები შეჰხვდნენ გადუყარა ცხვრები გაჰცდა იმათ, ძაღლებს ერბოიანი ქილები მიუყარა და შევიდა ქალის ოთახში. რაც შეკეცილი და შეკრული ნახა — გახსნა და გაშალა, რაც გაშლილი ნახა, შეკეცა. გამოჩნდა კიდეც ქალი ისეთი, მშვენიერი რომა სანახავად სანატრელი იყო. შეისვა რაშზე ქალი ვაჟმა და გააფრინა ხემწიფისაკე.—„მიშველეთ, ჩემო ლომებო! დაიძახა ქალმა, ჰტერმა მომიტაცაო!“ —არა გვცალიან, ცხვრებისა კიდევ გვიკლია ცოტა რამ შესაჭმელიო! უპასუხეს ლომებმა.—მაშ თქვენ მაინც მამეშველენითო, დაუძახა ქალმა ძაღლებს, მაგრამ აღარც ძაღლებმა უგდეს ყური: არა გვცალიან, ერბოიანი ქილები მოსალოკები გვაქვსო. წაიყვანა! წაიყვანა! მოუყვანა ხემწიფეს და უთხრა: აი, ესეც თქვენი ქალიო! ხემწიფე სიხარულით ფეხზე აღარ იდგა, მაგრამ მალე კი გაუცვდა სიხარული; ქალმა უთხრა: სანამ ჩემი ნების რაშების რძეს არ მომიტანთ და არ ვებანები, არ დავიწერ შენზედ ჯვარსაო —ვინ მოიტანს შენი რაშების რძესაო? ჰკითხა ხემწიფემ.—ვინც მე მომიყვანაო, უპასუხა ქალმა. ხემწიფემ მაშინვე დაიბარა ვაჟი და უთხრა: უნდა წახვიდე და ქალის რაშების რძე მოიტანოვო! დაბრუნდა რაშთან დაღონებული ვაჟი. რამ დაგაღონაო? ჰკითხა რაშმა ვაჟს.—რამ არ დამაღონა, ახლა

რაშების რძისათვინა მგზავნისო, უპასუხა ვაჟმა.—შენ ნუ იდარდებო! უთხრა რაშმა, წადი, ხემწიფეს ცხრა კამეჩის ტყავი გამოართვი, ცხრა მოსართავი და ერთი მინა ზეთიო. წავიდა ვაჟი, რაც ნათქვამი იყო, ყველაფერი გამოართვა, წამოიღო და წამოვიდა... ბევრი იარა, ცოტა იარა, მივიდა იმ ზღვასთან, რომელშიაც ქალის რაშები იყვნენ. ჩამოხტა და დაისვენეს, რაშმა უთხრა: მომაკარ ცხრა კამეჩის ტყავი, ცხრა მოსართავი, ჩავალ ზღვაში, ეგ ერთი მინა ზეთიც თან და თან ჩამოასხი ხოლმე; თუ თეთრი ქაფი ამოვიდა, ცოცხალი მიგულე; ამოვალ მეც, თუ არა-და—მკვდარი ვარო; ჩემი იმედი ნულარ გექნებაო. ჩავიდა რაში ზღვაში; დაირევა ეს ქალის რაშები; ზოგსა ჰწიხლავს, ზოგსა ჰკბენს, ერევება ზევით, მაგრამ არც ისინი აყრიან სიკეთეს: ჰკბენენ, აგლეჯენ კამეჩის ტყავს, და რაშს კი ვერაფერს აკლებენ. ბოლოს ერთი კამეჩის ტყავი და შერჩა —ჩაასხამს ვაჟიც ზეთს, და ამოკა თეთრი ქაფი. იმედი მიეცემა, რაში ისევ ამოვაო. ამოვა რაში და ამოირეკავს ქალის რაშებსაც. პირობა ჰქონდა, ვაჟი იმზე უნდა მჯდარიყო და უცებ გადამჯდარიყო თავის რაშზედ. გაურბინა ქვეშ რაშმა, შეხტა ზედ ვაჟი და მოქუსლეს. გაირეკეს რაშები და მიალებინეს გრიალი ხემწიფის კარზედ. შევიდა ვაჟიც ხემწიფესთან და მოახსენა რაშების მოყვანა. ხემწიფეს ძალიან გაუხარდა. დაწველეს რაშები და უნდა იბანაონ. ისეთია რაშების რძე, რო სუ ზევით ისვრის ქაფს: დუღს, დუღს და იქანცება. ჩადი ხემწიფევ, ჯერ შენაო! ეტყვის ქალი.—აბა, მე განანილიცა ვარ და სუფთაცაო, უპასუხებს ხემწიფე, მე გაბანა აღარ მინდაო. რაშმა უთხრა ვაჟს: მე დავბერავ, ჩადი, გაცივდება, შენ ებანე, ქალიც ჩამოვა, ისიც ებანება, მერე ისევ დავბერავ—რძე ადუღდება, ხემწიფე ჩავა და რაც მოუვა—მოუვაო. დაჰბერა რაშმა და ჩავარდა ქვაბში ვაჟი; ებანა მშვენივრად და ამოვიდა ისევ. ჩაჰყვა ქალი, ებანა და ამოვიდა. ხემწიფემაცა სთქვა: ბიჭო, თუ ესენი ებანებიან, და არაფერს უშვრება, მე რაღა უნდა მიყოსო, ჩავიდა თვითონაც. დაჰბერა რაშმა, ადუღდა რძე და ეს ხემწიფე გაშეშებული კი ამოიღეს ქვაბიდამ. დაიწერეს ჯვარი ქალმა და ვაჟმა, სახემწიფოც იმათ დარჩა და მთელი იმათი საცხოვრებელიც. მერე დედ მამასთანაც წავიდა, წაიყვანა თავის ცოლიც და გაახარა თავის დედ-მამაც. დალოცა მამამ ისევ თავის შვილი და დღესაც ტკბილად სცხოვრობენ, თეთრ პურსა ჰჭამენ და წითელს ღვინოსა ჰსმენ.

ქირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

—

ულასა—მელასა,
ჰიქა მეკიდა ყელასა.
მთქმელსაც და გამგონებელსაც
ჯვარი გვეწეროს ყველასა!

(სოფ. მეჯინი, სიღნაღის მაზრა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 9.—მონადირის შვილი.

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იყო; იყო ერთი გამოჩენილი მონადირე. მონადირე ნადირს მუდამ დღე ჰხოცდა და მოჰქონდა სახლში. ერთხელ მონადირე ერთ ტრიალ მინდორზე გავიდა, უცებ წინ ერთი თეთრი ირემი ამოუხტა; გადაუდგა წინ და უთხრა: მესროლე; თუ დამკარ, ნეტავი შენ, და თუ ვერ დამკარ—ვაი შენაო! ესროლა მონადირემ და გააცდინა. ირემი გაქრა. დაბრუნდა შინ მონადირე და ცოლს უთხრა: დღეს თეთრ ირემს თოფი ვესროლე, ვერ დავკარ, მოვკვდები, სუდარა მომიმზადეო. მართლაც იმ ღამეს მოკვდა მონადირე. მონადირის ცოლი ორსულად დარჩა. გაუჩნდა ვაჟი-შვილი. ისეთი ღონიერი და ყოჩაღი რამ იყო, რომ იმის დარი იმ ქვეყანაში არავინ არ იყო. ერთხელ ჩამოიღო თოფი შვილმა, გატენა, მივიდა დედასთან და ჰკითხა: დედაე, მამაჩემი რამ მოკლაო?—წყრომ, შვილოვო, უპასუხა დედამ. არა, უნდა მითხრაო, გადაეკიდა შვილი. ბოლოს დედამ უამბო ყველაფერი. მონადირის შვილი ადგა, მოჰთალა ერთ ხეს, ესროლა სამი და ნატყვიარი ნატყვიარში გაატარა, გადაიკიდა მერე მხარზედ თოფი და გასწია იმ ირმის საძებნელად. გაიარა ტყეები, ხევები და იმ მინდორზე გამოვიდა სადაც იმის მამას ესროლა ირმისათვის თოფი და დაეცდინა. უცებ გამოუხტა იმასაც თეთრი ირემი, დაუდგა წინ და უთხრა: მესროლე; თუ დამკარ, ნეტავი შენ, და თუ დამაცდინე—ვაი შენაო! დაუმიზნა ვაჟმა და შიგ გულში გაახედა. წაიქცა ირემი და მოკვდა. მივიდა ვაჟი, ხორცი ამოაჭრა, გადაყარა, ტყავი თავის კუდით, ფეხებით და თავით წამოიღო შინ და მოვიდა დედასთან; დადო ტყავი და დაისვენა. შევხედოთ, გაცოცხლებულა ირემი, ბეწვზე თვალ-მარგალიტი ასხმია, დადის და დააჟღარუნებს. მონადირის შვილი გაკვირვებულია. შაიყვანეს მაშინვე ირემს სახლში და დაჰტრიალებენ თავს. შეიბერტყება ირემი, სულ მარგალიტი და თვალი ჰკვივა: ერთ კვირაში ერთ სახლს ავსებს. გამდიდრდა ძალიან მონადირის შვილი; ისეთი სახლები დადგა, რომ ხემწიფეს ეკადრება. ბოლოს შვილი ეტყვის დედას: დედავ, რად გვინდა ამდენი სარჩო და ქონება, თუ ან ხალხში არ გამოვალთ და ან ქვეყანაში არ გამოვჩნდებითო; დავიპატიჟოთ ხემწიფე და ერთი ჩვენი სიმდიდრე ვაჩვენოთო.—არ გინდა ხემწიფეო, უთხრა დედამ შვილს, ის ჩვენ აქ სიკეთეს არ მოგვიტანსო... არა ქნა შვილმა: უთუოდ უნდა დავპატიჟოვო. როგორც გინდოდესო, უთხრა დედამ. მაშინვე მოამზადებინა მშვენიერი სადილი ვაჟმა, ჩაიცვა მდიდრულად და წავიდა ხემწიფესთან საპატიჟოდ. ხემწიფე როგორც იყო წამოიყვანა, აჭამა კარგი სადილი და მერე თავის ირემი უჩვენა. ხემწიფეს თვალები დაებრიცა ირმის ცქერით.—ეს ირემი მე უნდა წავიყვანოვო, უთხრა ხემწიფემ ვაჟს. ვაჟი უარზე შედგა. მაგრამ რა გაეწყობოდა? წაართვეს და წაიყვანეს.

დარჩა ხახა ცარიელი მონადირის შვილი. გავიდა რამდენიმე ხანი, და აი ერთ დღეს ეძახის ხემწიფე ვაჟს თავისთან. ვაჟი წავა. ხემწიფე ეტყვის: აი ეს ოთახები სავსეა თვალ-მარგალიტით, —ათხი ოთახი სავსე იყო და მეხუთე ნახევარზე,—ისეთი სახლები უნდა ამიშენო, რომ კაცს არ ენახოსო. ვაჟი შესწუხდა, ხემწიფეს უთხრა: დიდებულო ხემწიფევ, მე არც ხურო ვარ, არც კალატოზი, არც სხვა რამ ხელოსანი და საიდან აგიშენოთ სახლიო.—როგორც გინდა ისე ააშენეო, უთხრა ხემწიფემ. ვაჟმა იფიქრა და უთხრა: კარგი, ორასი ურემი კირი მომიტანეო, ორასი ურემი ლამი, და მე ვიციო. მოუტანეს ყველაფერი. ვაჟმა ერთი ალების ტბა იცოდა. იმ ტბაზედ სასმელად მთელი ალის ჯარი მოდიოდა. წაიღო ის იმოდენა კირი და ლამი, ჩაყარა შიგ და ამოლესა ტბის ძირი და გვერდები. მერე მიუშო შიგ ბანგი. მოვიდნენ ალები, დალიეს ეს წყალი, დაითვრნენ და დაეყარნენ იქვე მიუსია კაცები მონადირის შვილმა ამ მთვრალ ალებს და ყველასთვის კბილები კი დაახერხინა. მერე წამოიღო ის კბილები, მოიწვია ხელოსნები და ურმებზედვე ისეთი სახლი დადგეს ალების კბილებისა, რომ იმაზედ საკვირველი აღარა იქნებოდა რა. გამოვიდა ხემწიფე, ნახა ეს სახლი და იქვე წაიქცა. ძლივ-ძლიობით მოაგონეს გულწასული ხემწიფე და შეაბძანეს შინ.

ერთი ბებერი იყო ამ ხემწიფის მოსამსახურეებში. ის ადგა და ხემწიფეს მოახსენა: დიდებულო ხემწიფევ! დროს ნუ ჰკარგავ, ეგ ბიჭი ყოჩაღი ყოფილა, მაგას შეუკვეთე, რომ აღმოსავლეთის ხემწიფის ქალი მოგიყვანოსო. დაიბარა ხემწიფემ მონადირის შვილი და უთხრა: შენ უნდა წახვიდე და აღმოსავლეთის ხემწიფის ქალი მომიყვანოვო. მონადირიშვილი ეტყვის: დიდებულო ხემწიფევ! თუ აღმოსავლეთის ხემწიფის ქალი გინდა მოგიყვანო, ათის ნაირი ფარჩა მომეცი და ერთი ხომალდიც გამიკეთეო. უშოვა ხემწიფემ მაშინვე ათას-ნაირი ფარჩა, ისეთი ჭრელი, რომ კაცს თვალს აუჭრელებდა. ჩაიწყო ხომალდში და გასწია ზღვით. კარგა გზა რო გაიარა, უცებ ერთი ხუილი და ჭექა მოესმა, შეჰხედა და ნახა: ერთ თეთრ ქორს გამოუგდია წინ მტრედი და მოსდევს. დაიხუვება მტრედი და შევარდება ხომალდში.—ნუ მიმცემო, ეხვეწება მტრედი ვაჟს.—მომეცო, ეტყვის თეთრი ქორი მონადირის შვილს, და გამოგადგებიო. მისცემს ვაჟი მტრედს და გაჰწევს ქორიც. გაივლის კიდევ, და უცებ ერთი საშინელი შხაპუნა, და წყლის ხვევა მოისმის; მოიხედავს ვაჟი და დაინახავს, რომ ერთ თეთრ თევზს გამოუგდია წინ ერთი წითელი თევზი და მოსდევს. ამოხტება თევზი და შევარდება ხომალდში. თეთრი თევზი შეეხვეწება მონადირიშვილს: ეგ თევზი მომეც და, თუ დაგჭირდეს ჩემი თავი, გამოგადგებიო. მისცა თევზი თეთრ თევზს და გაჰწია თავის გზაზედ. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა ქალის სახლთან. ამოალაგა, რაც ფარჩა ჰქონდა, და გაჰფინა ქალის კარებზედ. გამოვიდა ქალი და ჰშლის გაკვირვებით ფარჩას. ვაჟმა უთხრა: ქალბატონო, ეგ რა არის საქმე იქ არის, მე რო გემი მაქვსო. თუ გნებავსთ, წამობრძანდით და ნახეთო. ჩაიტყუილა ამ რიგად ვაჟმა ქალი, ჩაისვა ხომალდში და გააქანა. გზაზედ ქალმა უთხრა: რა არის, რომ ერთი სანათურიც არ გიქნია, რო ცა დაინახოს კაცმაო. ვაჟმა მაშინვე ამოჰკრა ზევით ხომალდს, იქცა ქალი

მტრედად და გაფრინდა. დარჩა ცარიელი მონადირის შვილი. გაატარა ხომალდი და ერთიც ვნახოთ, დაუჭერია თეთრი ქორს ეს მტრედი და მოუყვანა ვაჟსა. ამ რიგად გაიარეს ქალმა და ვაჟმა კარგა გზა. ბოლოს ქალი ეტყვის: ამ ცის ლაჟვარდს ხომ აღარ მაჩვენებ, და ეს ზღვის ტალღები მაინც მაჩვენეო. ამოჰქრა ვაჟმა ხომალდი; ქალი დგა და უცქერის ვითომ ზღვას; უცებ იქცევა თევზად და დაიკარგება ზღვაში. დაიწყებს მონადირის შვილი თავპირში ცემას, მაგრამ რაღას გააწყობს. წავა დაღონებული. უკებ შხლართუნი მოესმის, გაიხედავს და ჰნახავს, რომ თეთრ თევზს დაუჭერია ეს თევზი და მოჰყავს. მოუყვანა თევზმა და შეუგდო ხომალდში. ქალმა ჰკითხა მონადირის შვილს, ვისთვის გინდივართო.—ხემწიფისთვისაო, უპასუხებს ვაჟი. —არა მე ხემწიფის ცოლად არ გამოვყვებიო, ეტყვის ქალი: შენ ქმარი და მე ცოლიო.—ეგ როგორ მოჰხერხდება, ხემწიფე წამართმევს შენს თავსაო.—ეგ მე ვიციო, უპასუხა ქალმა; შენ მარტო ის წაუღე ხემწიფეს, რაც მე გაგატანოვო. უთხარი: საჩუქარია, ქალის გამოგზავნილი, თქვენა და თქვენმა ნაზირვეზირმა გახსენითო. წაიღო ვაჟმა, რაც ქალმა გაატანა, და წავიდა. მიუტანა ხემწიფეს და უთხრა: თქვენა და თქვენმა კაცებმა გახსენით, ქალმა მოგართვათო, თვითონ კი გაარიდა. ხემწიფემა და იმის ნაზირ-ვეზირმა დაუწყეს ხსნა ქალის საჩუქარს. უცებ გატყვრა და იქვე მიაწვინა ყველანი. ქალიც მონადირის შვილს დარჩა და სახემწიფოც.

ჭირი იქ დავაგდე,
ლხინი აქ მოვიტანე;
ქატო იქ დავაგდე,
ფქვილი აქ მოვიტანე.

(სოფ. ვაკინი, სიღნაღის მაზრა).

## 10.—მელია და მეწისქვილე

ერთი წუწკი მელია შეიპარა მეწისქვილის საქათმეში, დააჭრა ყელები ნასუქ დედლებს, მოუარა ყვერულ მამლებს, ბარტებიც მიაყოლა და ზედ იხვებიც. დედლები გადაალაგა თავის სოროში მელიამ, ახლა ბარტების გადათრევას ლამობდა, მაგრამ ამ დროს, საუბედუროდ, მოასწრო მეწისქვილემ და დაიჭირა. მელია ჩამოჰკიდა კუდით და უნდა გააძროს ტყავი. მელია ეტყვის: კაცო, ჩემი ტყავი ხუთ შაურათ რო გაჰყიდო, მეტად ვერ გაჰყიდი, და რო გამიშო კი, ბედსა გწევო.—რა ბედსა მეწევო? ჰკითხა მეწისქვილემ.—თუ საქათმეში დამმარხავ, როცა მოვკვდები, ხემწიფის ქალს შეგრთავ ცოლადაო.—როგორაო? ჰკითხა გახარებულმა მეწისქვილემ.—ერთი დედალი დამიკლ ვახშმად, და ამაღამვე შეუდგები საქმესაო. მაშინვე წამოხტა მეწისქვილე, ჩამოიყვანა ერთი ნასუქი დედალი, მოჰგლიჯა კისერი, მოუხრაკა მელიას და მიართვა. მელია რო გაძღა, ადგა, მეწისქვილეს უთხრა: შენ ორი

საცალო ვალე, წამოდი, შარაზედ მექუდეებს ურემი მოაქვთ, ქუდები უძევთ; მე გზაზედ გავძაბავ სულ-ტყავს, წავწვები, ისენი ამიღებენ, დამდებენ ურემზედ, მე ქუდებს გადმოვყრი, გადმოვყრი, და შენ კი კრიფე; მერე მე გადმოვხტები, და წავიდეთო. წავიდნენ. წაწვა მელია გზაზედ. დაინახა მეურმემ მელია და დაუძახა ბიჭს: ბიჭო, აქ ერთი მელია მომკვდარა, აიღე ურემზე შეაგდე, ხვალ ტყავი გავაძროთ, მანეთად მაინც გავყიდითო. აიღეს მელია და გადისროლეს ქუდებში. ჰყრის მელია ქუდებს, მეწისქვილე კი ჰკრეფს ქუდებს და ჰყრის საცალოებში. ორი საცალო რო აავსო მეწისქვილემ ქუდებით, მელიაც გადმოხტა. მოიკიდეს ქუდები და გადაალაგეს წისქვილში. მეორე დღეს წაიყვანა მელიამ მეწისქვილე ხემწიფის ქალზე დასანიშნად. თან ქუდებიც წაიღეს. ბევრი იარეს თუ ცოტა, მივიდნენ ერთ ზღვასთან, გაიხედეს და ზღვის გაღმა ხემწიფის სასახლე დაინახეს. მელიამ უთხრა მეწისქვილეს, შენ აქ დარჩი, მე წავალ და საქმეს დავიწყებო. წავიდა მელია მივიდა ხემწიფესთან და უთხრა: აქ ზღვას გაღმა ჩვენი ხემწიფეა. ჩამომხტარა, ქალსა გთხოვთ და პასუხსაც ელის. ზღვაში გამოვიდეთ, თუ ხიდს გაგვიკეთებთ ზღვაზედაო.—გამოტოპონო, უთხრა ხემწიფემ. წავიდა მელია, მოხვეტა რაც ქუდები ჰქონდა და ჩაყარა ზღვაში. მოიდო ზევით ზღვამ ქუდები და მოაქვს. გაიქცევა მელია და გულ გახეთქილი ეუყვის ხემწიფეს: დიდებულო ხემწიფევ, შემოვედით ზღვაში, შემოვ-და ჩვენი ხემწიფეც, მხლებლები სულ წყალმა დაუხრჩო და მარტოდ-მარტონი დავრჩითო. აგე, აგე! როგორ მოაქვს და მოალიკლიკებს ზღვა ჩვენ ქუდებსაო. მაშინვე აი მცურავი, აი ნავები, ზოგს ქუდებს სად იჭერენ, ზოგს სად, მაგრამ სადღაა მხლებლები? ზღვამ დაძირაო. მივიდა მელია ხემწიფესთან და უთხრა: დიდებულო ხემწიფევ, რაც ან ტანისამოსი გვქონდა წამოღებული, ან სხვა რამე, სულ ზღვამ წაგვართვა, ბატონი ტიტველი დაგვრჩა, მეწისქვილის ტანისამოსი უშოვეთ და ის ჩავაცვითო; ერთი ხელი ტანისამოსი მოგვეცით, რო ჩავაცვათ და მოვიყვანოთ თქვენთანაო. მიჰკა ხემწიფემ მელიას ერთი ხელი ტანისამოსი და თანაც დაუმატა: რაც გნებოს, სხვა რამე მოიკითხეო. წავიდა მელია მეწისქვილესთან, ჩააცვა ტანისამოსი და ეუბნება: აბა ჰა ყოჩაღად მოიქეც, არ შემარცხვინოვო! ან თავის პირობა არ დაივიწყოვო. მიიყვანეს მეწისქვილე. ხან ერთ გვერდზე გადიხედავს მეწისქვილე და ჰშინჯავს იმ ტანისამოსს, ხან სხვაზედ. ხელმწიფე ჩუმად ყურში ეტყვის მელიას: რასა ჰშვრება ჩემი სიძე, რად იყურება ტანისამოსზედაო?—მაგის ტანისამოსი კარგი იყო, დიდებულო ხემწიფევ, და იუკადრისა, როგორ თუ უკეთესი ტანისამოსი არ ჩამაცვესო. ჩააცვეს მეწიქვილეს უკეთესი ტანისამოსი. იმან უფრო ცქერაც დაიწყო. როგორც იყო მორჩნენ ამ ტანისცმევას და შეუდგნენ ნიშნობას. დაინიშნა მეწისქვილე, გატეხეს შაქარი და გამართეს ლხინი და წვეულება. მოიმკვდარუნა თავი მელიამ. მეწისქვილემ უთხრა: გაიტანეთ, გადააგდეთო. წამოხტა უცებ მელია, მიადგა მეწისქვილეს და დაუწყო: აი შე, ხრილო ჭამიავ, შე მეწისქვილე, შენაო!—სუ, მელიავ, სუ და დაგმარხავო, დაჰპირდა მეწისქვილე.—რაო, მელიავ, რა სთქვიო? ჰკითხავდა ხემწიფე.—არაფერი, ჩემი ჭირიმე, სიზმარი მეზმანა, კინაღამ გავგიჟდი, ის იყო, სხვა არაფერიო

იმ ღამეს ისევ თავი მოიმკვდარუნა მელიამ. შეიტანეს და საქათმეში დამარხეს. წამოდგა მელია, დააჭრა თავები დედლებს, ჩაალაგა შავ მუცელში და მეორე დღეს შეურიგდა ისევ მეწისქვილეს. ეხლა წამოიყვანეს ქალი, წამოიღეს ხუარებელი სიმდიდრე, და თან ამალაც გამოიყოლეს. ზღვას რო გავიდნენ, მელიამ დააყენა მეწისქვილე და უთხრა: არა, შე უბედურო, ეს ამოდენა ჯარი რო მიგიდის, სად მიგიდის? წისქვილში უნდა შეჰრეკოვო?! — მაშ რა ვქნა, მელიავ, მიშველე რამეო! უთხრა, შეეხვეწა მეწისქვილე მელიას მელიამ უთხრა: ეს ამალა აქ შეაჩერე ცოტა ხან, და მე ვიცი, რასაც ვიზამო. გაიქცა მაშინვე მელია; ერთ მინდორში უზარმაზარი თივის ძირები იდგა, მიუკიდა ცეცხლი, რო სუ ალი ცაში აადინა, მოირბინა გულგახეთქილივით ჯართან და დაიწყო ყვირილი: ხემწიფის სახლი დაიწვა! ხემწიფის სახლი დაიწვაო! ჯარი დაბრუნდა, შინ წავიდა; ქალი კიდე წაიყვანეს, გააკეთეს კარგი სახლი, და ეხლაც ტკბილადა და მეგობრულად სცხოვრობენ. რასაკვირველია, მელია საქათმის ზედამხედველად არის!!

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

——

მთას ურემი ავაშენე,
წამოვიდა გორებითა.
აქ სიცოცხლით გამიძეხით,
საიქიოს ცხონებითა!

(ივანე შანშულაშვილის ნაამბობი სოფ. ვეჯინს)

## II—სამი მეგობარი

სამი მეგობარი იყო. აიღეს იმათ ორმოცი დღის ხოდაბუნი; ხვნენ, ჰღვრიან შიგ ოფლს, აქცევენ სისხლს; ხვნენ ხოდაბუნს, აცლიან ქვას, ამორჩევენ ჯაგს და ჯაგის ძირს, იხოცებიან მუშაობით, ჰთესენ, მაგრამ კი არაფერი მოდის. ისინი გულს არ იტეხენ და უფრო მეტის გულდადებით დაიწყებენ მუშაობას. მაინც არსად ყანა. ჩამოივლის შიო, ღვთის წინამძღვარი. ჰნახავს, რომ სამი კაცი ორმოცი დღის ხოდაბუნს თავს იკლავს, მაგრამ არაფერი გამოუდის. შეჰბრალდება, წავა და მივა ღმერთთან და ეტყვის: მოწყალევ და სიცოცხლის მომცემელო ღმერთო, ის როგორ არის, რომ ამ და ამ ადგილას სამი კაცი ერთ ხოდაბუნში თავს იკლავს, მაგრამ არაფერი მოჰდით: ფულიც ეკარგებათ და შრომაც; ეგ ხო ცოდვაა, უფალო, რად არის ეგრეო? — არ არიან ღირსნი, შიო, და იმიტომ არ ამოჰდის არაფერიო, უპასუხებს ღმერთი, თორემ კეთილ მშრომელს შრომა მალე უფასდებაო. — იქნება ღირსები არ არიან მაგ თქვენის რისხვისაო, უთხრა კიდევ შიომ, აბა მიეცით რამე და მაშინ გავიგებთო — კარგიო, უთხრა ღმერთმა წინამძღვარ შიოს, წადი,

იმ ხოდაბუნის პირას ერთი ხე სდგას, ის ხე მოთხარონ, სამი ქვევრი ფული ამოუჩნდება, თუნდა მთელ ქვეყანას ეყოფაო. წავა შიო, ისე მოახერხებს საქმეს, რომ იმ სამ მეგობარს სამი დიდი ქვევრი ამოუჩნდება სავსე. მაშინვე ის მეგობრები ეცემიან ამ ფულს, ამოიღებენ სამ ქუდ ფულს, მისცემენ უმცროსს და ეტყვიან: წადი, ქალაქში ცხრა შეკაზმული ცხენი იყიდე, მოიყვანე, ავკიდოთ და წავიღოთო! წავა უმცროსი ამხანაგი, იყიდის ცხრა შეკაზმულ ცხენს და დაამზადებს, მერე იფიქრებს: მოდი, მე იმათ დავხოც: ხიზილალას ვიყიდი, შიგ შხამს გაურევ, ჭამენ, დაიხოცებიან, და მთელი ფული მე დამრჩებაო. იფიქრებს ამას, იყიდის ხიზილალას, გაურევს შიგ შხამს და წამოვა. სანამ ის მოვა, ის ორი ამხანაგი იტყვის: იმის ძლევას და ფულების დაკლებას, ჩვენ ის მოვკლათ, იმისი ქვევრი ჩვენ გავიყოთო. იფიქრებენ და გადაჰწყვეტენ კიდეც. მოვა ვაჟი, მოიყვანს ცხენებს, მოიტანს ხიზილალას და ეტყვის ამხანაგებს: "მოდით, ერთი ჯერ კარგი სადილი ვჭამოთ და მერე ამოვიღოთო.—არაო, უპასუხებენ ორნი, ჯერ ამოვიღოთ, სუფრა გაშლილი იყოს, მერე ამოვიღეთ, დავსხდეთ, ლამაზად შევექცეთ, ავდგეთ და წავიღეთო —ძალიან კარგიო, უთხრა უმცროსმა. ჩაგზავნეს უმცროსი ქვევრში. ამოიღო, ჯერ რაც ერთს ქვევრში ფული იყო, ჩაყარეს ტომრებში და დაბილჩეს. ამოიღეს მეორიდანაც, ისიც შეკრეს. მერე მესამეში ჩავიდა. რო ამოათავა ფული და ამოიღო, რაც იყო იმ ქვევრშიაც, ამოიწვადა ხელები უმცროსმა ამხანაგმა და უნდა ამოვიდეს.

ამ დროს მოავლებენ ქვებს ხელს ზევით მდგომი ამხანაგები, დაჰცემენ თავში და იქვე სულს დაალევინებენ. დარჩება ქვევრში მკვდარი კაცი და ხელები ცისკენა აქვს აშვერილი. ერთ ამხანაგს რო მოიშორებენ, ის ორნი დასხდებიან და შეექცევიან ხიზილალას, მორჩებიან ჭამას, და მაშინვე ისენიც ფეხებს გაჰფშეკენ... ჩამოივლის შიო. იმედი აქვს, რომ ხოდაბუნს გაკეთებულს ჰნახავს, ამხანაგებს მშრომლად და მობინბინე ყანას. მაგრამ რა ნახა?. ყვავისა და ყორნის ჩხავილი ისმის, ირევა ფრინველი ხოდაბუნში, სულ სავსეა. შიო ვაკვირვებულია: ეს რა არის, რასა ვხედავო?! მივა ახლოს, ჰნახავს, რომ ერთი კაცი ქვევრში გდია, ხელები ცისაკე გაუშვერია, ორიც ზევით სუფრის ირგვლივ გდია, დაჰდებია ფრინველი, უჭამია და უგლეჯია. შეწუხდება შიო: ღვთის წინ როგორღა წარვსდგე შერცხვენილი და გაწბილებულიო. დაიბარებს ღმერთი შიოს და ჰკითხავს: აბა, წინამძღვარო შიო, რა ამბებში არიან, რას აკეთებენ ი ხოდაბუნის მხვნელი ამხანაგებიო? შიომ უამბო ყველაფერი ღმერთს. მაშინ აიღო ღმერთმა, მისცა ერთი მუგზური შიოს და უთხრა: წადი, წაიღე ეს მუგუზურიც, ის ფულიც სულ, რაც იქ არი, დადევ ჯვარედინა გზაზედ და ურიგე გამვლელს და გამომვლელს ცალის ხელით, ცალი ხელი კი გამხმარი გექნება და ცალი გვერდიც, სანამ სულ არ დაარიგებ იმ ფულს, და ეს მუგზური ფოთოლს არ მოისხამსო. წავა შიო, წაიღებს მუგზურს, იმოდენა ფულს, დადგება ჯვარედინა გზაზედ და გაუხმება ცალი გვერდიც. ასე დგა შიო, დგა და ურიგებს ხალხს იმ ფულს ცალის ხელით. გავიდა კარგა ხანი, დაცარიელდნენ საცალოები, მოისხა მუგზურმა ფოთლები და გაუნედლდა შიოსაც ცალი გვერდი. ღმერთმა

ისევ მიიღო სასუფეველში შიო და დღესაც საწყალი ხალხის შემწე და მწყალობელი არის.

გწყალობდესთ იმისი მადლი!

(სოფ. ვეჯინს გაგონილი)

# 12.—ობოლი და ქოსა-მატყუარა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი საბრალო ობოლი, უქონელი და უყოლელი. ერთხელ ობოლმა ერთი გუდა საფქვავი იშოვა სადმე, წაიღო წისქვილში და დაფქვა. ამ დროს მოიტანს წისქვილში ქოსა-მატყუარაც თავის ერთ გუდა მარცვალს და დაჰფქვავს. წასვლის დროს ობოლს ეტყვის: ერთად ვიაროთო.—ძალიან კარგიო, დაჰთანხმდება ობოლი. წავლენ მიდიან გზას. ქოსა ეტყვის: იცი, რა ვქნათო?—რაო? უპასუხებს ობოლი.—ისა ვქნათო, ეტყვის ქოსა-მატყუარა, რომ ჩემი ფქვილი მოვზილოთ, შენი შევუგოთ საფანლად, და შენი მოვზილოთ—ჩემიო. ძალიან კარგიო, უპასუხა ობოლმა. მოზილეს ქოსასი და შეუგეს ობლის ფქვილი; ჩააკრეს კეცში და წითელ-წითელი შოთები ამოალაგეს. ეს შოთები რომ ნახა, ქოსა-მატყუარამ უთხრა: მოდი, ვცადოთ, და, ვინც უკეთესი ტყუილი თქვას, შოთები იმას დარჩესო.—ძალიან კარგიო, უპასუხა ობოლმა. ქოსა-მატყუარამ დაიწყო: ერთი ბატი გვყვანდაო; პაპა ჩემის გაზდილი იყოვო; ის ოხერი და ტიალი ისეთი რამ კარგი იყო, რომ მთელ სახლს ის გვინახავდაო. სახნავი იყო, სათიბი იყო, თუ მგზავრობა—სუ ის დაგვყვანდა; მე ვჯდებოდი ზედ და ხან მინდვრებზე დავაქენებდი და ხან მთებზედაო. ერთხელ, საუბედუროდ, ტყეზე მოვაქენებდიო; უცებ ვნახოთ ერთი მშიერი ტურა გადმოხტება, ეცემა ჩემ ბატს და გამოაგლეჯს გვერდს. წაიქცევა ბატი და დაიწყებს კვდომას. მე მაშინვე აზრს მოველ: მოვჭერ ხე, მოვგრიხე წნელი, გაუკერე იმით გვერდი, წამოვახტუნე და გავაქენე სახლშიო.. ეხლა შენი ჯერია, ობოლავ!

ობოლმა დაიწყო: მამა ჩემს ასი თვალი ფუტკარი ედგა, მუდამ დღე ჩამოუვლიდა, და დაჰთვლიდა. ერთხელ, ერთიც ვნახოთ, დათვალა ფუტკრები, ჩამოიკითხა და ერთი არ დააკლდა სათვალავში! მაშინვე აი იქით, აი აქეთ, ვეძებთ... თურმე ფეხი არ მოსტეხია და დარჩენილა ზღვას გაღმა; მოუსწვრია ვიღაც ავაზაკ ხალხს, დაუჭერია, წაუყვანია, შეუბია გუთანში და ახვნევინებენ. ჰნახავს მამა ჩემი, ძალიან გაჯავრდება. ვინ მოგცათ თქვენ? ჰკითხავს. ისენი უარზე შედგებიან, აი იქით, აი აქეთ, გახდება ერთი ხათაბალა. ბოლოს მოავლებს მამა ჩემი ყურზე ხელს და დაეზიდება წასაყვანად. ამ დროს მოჰწყდება კისერი ფუტკარს და თავი ხელში არ შერჩება?! მაშინვე ამოიღებს მამაჩემი ჯიბიდამ ნიგოზს, მოუსვამს კისერზედ ფუტკარს და მოაბამს. ნანივზარზე კი ნიგვზის ხე ამოვა; გაიზდება ერთი საშინელი, დაისხამს კა-

კალს; მუდამ ვბერტყთ და ვყიდით კაკალს. ერთხელ კაკალს ყვავი შემოეჩვია და სულ გაძვევა. ესროლა მამა ჩემმა ბელტი, და ზედ არ დარჩა! გაიზარდა ეს ბელტი, გადიდდა, გაკეთდა სახნავ-სათიბი მიწები. გავაშენეთ ზედ ვენახი, დავრგეთ ვაზი, ისე გავაჩიხრიხეთ, რომ, ერთი სიტყვით, მტერსაც კი ეამება, დაისხამს ყურძენს, დამწიფდება მშვენივრად; ვაზებზე მტევნები სულ წითლად ღვივიან. ჩვენ ველით, რომ ან ახლა მოვკრეფთ და ან ახლა. უცებ ერთი მელა ტურა არ შემოჰჩვევია! გაგვიოხრა, გაგვიტიალა ერთიან; სუ ხელი აგვაღებინა; ერთის სიტყვით, წყალი გადაგვიშრა, გამოჰამა ვენახი. ბოლოს ვსთქვი: მოდი, ერთი წავალ, დაუჯდები, უყარაულებ და ღმერთს გაუნაწყრომებ, დავიჭერ და სუ კუდით ქვას ვასროლინებო. თქმა და ქნა ერთი იყო; ვიპოვე, საიდამაც მელა-ტურა შემოძვრებოდა ხოლმე; დაუჯექ და დაუწყე ლოდინი. ერთიც ვნახოთ, მოდის რაღაც და მოაფაჩუნებს; მე თან გული მისქდება შიშით, თან ჯავრით ვსკდები და თან სიხარულით მაკანკალებს. ერთი მელა-ტურა დავიჭიროვო. მართლა მელა-ტურა არ იყო! ვტაცე კუდში ხელი და დავიჭირე. გაუსვი და გამოუსვი სახრე, გაუსვი და გამოუსვი. სიკეთე მოგვეცეს, მე ის დავზილე დაქარიანებულ კაცივითა! ვცემ და ის კიდე სუ ბარათებსა და კურკლებს ჰყრის...

— რა ეწერა, მართლა, იმ ბარათებშიო? გადუჭრა სიტყვა ქოსა-მატყუარამ.

— ობოლს კვერი და ქოსა-მატყუარას კურკლიო.

დარჩა შოთები ობოლს.

ჭირი იქ დავაგდე,
ლხინი აქ მოვიტანე;
ქატო იქ დავაგდე,
ფქვილი აქ მოვიტანე!

(სოფ. ვეჯინში გაგონილი, სიღ. მაზრა, 1889 წ., დეკემბერი).

## 13—სამი ძმა და ქოსა-მატყუარა.

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო სამი ძმა. ის ძმები კარგა მდიდრები იყვნენ და ბლომადაცა ჰქონდათ თვალ-მარგალიტი. იმათი მამა რო კვდებოდა, შვილებს თურმე დაუგდო ანდერძად: შვილებო, ყველგან ივაჭრეთ. ყველას ენდენით და ქოსას კი ნუ ენდობითო. გავიდა ხანი, ძმებს არაფრისთვის არ დაჰჭირვებია ქალაქს წასვლა. ბოლოს გაუთავდათ მარილი; ადგა უფროსი ძმა, შეკაზმა ჯორი, აჰკიდა თვალ-მარგალიტი და წავიდა ქალაქს, უნდა მარილი მოიტანოს. უცებ წინ ერთი ქოსა-მატყუარა შეჰხვდება: —გამარჯვება! —გაგიმარჯოს! —საღ მიჰდიხარ? —ქალაქს თვალ მარგალიტი მიმაქვს, უნდა გავყიდო, მარილი ვიყიდო და წავიდო შინაო. ქოსა ეტყვის: მე მამყიდეო. მარილსაც მე მოგცემ და ყველაფერ-

სთ — არაო, უთხრა უფროსმა ძმამ, მამაჩემმა ის დამიგდო ანდერძად, რომ ქოსებს ავადაც მეერიდენით და კარგადაცაო; ნურც არას იყიდით იმათგან და ნურცარას მიჰყიდითო — კარგიო, უთხრა ქოსამ, ძალით რა იქნებაო. გაიქცევა მაშინვე, აირბენს სხვა გზაზედ, გადუვლის წინ და ეტყვის ისევ გამარჯვებას. — სად მიჰდიხარო? — ესე, ესეო, ეტყვის ვირის პატრონი, მიმაქვს თვალ-მარგალიტი, უნდა გავყიდო, მარილი ვიყიდოვო, — მე მომყიდეო, უთხრა ქოსამ. — ვერაო, უარა კაცმა; მე მამის ანდერძს ვერ გავტეხო. — მაშ სადღა უნდა გაჰყიდოვო, უთხრა ქოსამ, მთელი ქვეყანა სუ ქოსა-მატყუარებისგან არის შემდგარიო დაიჯერა კაცმა. — კარგი, მოჰყიდი, რაღა იქნებაო. ქოსამ უთხრა: ერთს გამოცანას გეტყვი; თუ ის გამოიცან, ერთი აქლემი მყავს იმას დაგიტვირთავ თვალ მარგალიტით, ეგ შენი ვირიც წაიყვანე, მარილსაც მოგცემ და წადიო. თუ ვერა და, შენი ვირი თავის თვალ-მარგალიტით მე დამრჩებაო. — ძალიან კარგიო. გაუხარდა იმ ჯორის პატრონს. ქოსამ უთხრა: ერთ კაცს ერთი ციცარი ჰყავნდა, ის ციცარი დილით წავიდოდა, ტყეში კვერცხს დაჰდებდა და საღამოზედ ციციკიც და კვერცხიც კაკანით მოვიდოდნენ შინაო. — რა უნდა იყოსო, იფიქრა კაცმა, მაგრამ რას მოიფიქრებდა? წაავგო ჯორიც და თვალ მარგალიტიც. წავიდა დაღონებული შინ. ქოსამ მარტო ერთ გირვანქამდე მარილი მოუტეხა და მისცა. მოვიდა შინ უფროსი ძმა და მოიტანა ერთი გირვანქა მარილი. ადგება ახლა შუათანა ძმა, აჰკიდებს ჯორს თვალ-მარგალიტს და წავა ქალაქს მარილის მოსატანად. გზაზედ ისევ ის ქოსა შეჰხვდება იმასაც. — გამარჯვება შენიო! ეტყვის ქოსა შუათანა ძმას. — გაგიმარჯოსო! — სად მიხვალო? — ქალაქს, მარილი უნდა მოვიტანოვო. — მომეც მე მომყიდეო, უთხრა ქოსამ, მარილსაც მე მოგცემ და ყველაფერსაო. — არაო, ეტყვის შუათანა ძმა, მამის ანდერძს ვერ გავტეხო: ქოსას არც არაფერს მივყიდი და არც არაფერს ვიყიდიო. ქოსა გაჰქცევა, აირბენს სოფელზედ, გადუვლის წინ და ეტყვის: მომყიდე მე, სად მიგაქვსო. ჯორის პატრონი დაიშორებს: მე ქოსებს არაფერს არ მივყიდიო. მაგრამ ქოსა ეტყვის: მაშ ვისღა უნდა მიჰყიდო, როდესაც ქვეყანაზე ქოსა-მატყუარების მეტნი არავინ არიანო. დაუჯერებს ჯორის პატრონი და გაურიგდება. ქოსა ეტყვის: ერთს რასმეს გეტყვი, თუ გამოიცან — ეგ ჯორიც შენი იყვეს, ერთ აქლემსაც აგიკიდებ და კიდევაც მარილს მოგცემ, თუ ვერ გამოიცან და შენი ჯორი თავის ბარგით მე დამრჩებაო. — ძალიან კარგიო, დაჰთანხმდა ჯორის პატრონი. ქოსამ უთხრა: მე ერთი ციცარი მყავნდა, დილით წავიდოდა, ტყეში კვერცხს დაჰდებდა, საღამოზედ კვერცხი და ციცარი დაბრუნდებოდნენ შინ კაკანითაო. ვერ გამოიცნო შუათანა ძმამ. დარჩა ქოსას დატვირთული ჯორი. მოუტეხს ერთ გირვანქა მარილს და გაისტუმრებს. შუათანა ძმა მოვა შინ და მოიტანს ერთი ბეწო მარილს. ადგება ახლა უმცროსი ძმა, აჰკიდებს ჯორს თვალ მარგალიტს წაიყვანს და წავა ქალაქს. იმ ადგილს რო ჩაივლის, სადაც იმისი ძმები ქოსამ გაცარცვა, ქოსა გადუდგება წინ და მიესალმება. ვიღეც უპასუხებს, რასაკვირველია. მერე ჰკითხავს ქოსა: სად მიხვალ, სად მიგაქვს ეგ თვალ-მარგალიტიო. უმცროსი ძმაც ისე უპასუხებს, როგორც სხვა ძმებმა, თან დიდი უარი დაატანა, რომ მე ქოსას

არ მივყიდი და არ მივყიდიო. დაანებებს თავს ქოსა და გაიქცევა სოფელ-სოფელ, გადუვლის წინ და დაუხვდება გზაში.—მე მომყიდე ეგ შენი თვალ-მარგალიტიო, ეტყვის უმცროს ძმას.—არ მოგყიდი, ქოსა ხარო, უპასუხებს ვაჟი.—მაშ ვისღა მიჰყიდი, აქ სუ ქოსებიაო, ეტყვის ქოსა.—მაშ კარგი, მოგყიდიო, უთხრა ვაჟმა. ქოსა ეტყვის: ერთ რასმეს გეტყვი, თუ გამოიცან, შენი ჯორიც შენ დაგრჩება, შენი თვალ-მარგალიტიც, მარილსაც მოგცემ და ერთ აქლემსაც აგიკიდებო.—კარგიო, დაჰთანხმდა ვაჟი. ქოსამ უთხრა: ერთი ციცირი მყვანდა, დილით წავიდოდა, ტყეში კვერცხს დაჰდებდა, საღამოზედ კვერცხიც და ციცირიც კაკანით დაბრუნდებოდნენო. ვაჟმა უპასუხა: ეგ იმასა ჰგავს: ჩვენ ერთი თვალი ფუტკარი გვედგა. ყოველ დღე ჩამოუვლიდი და ჩამოვთვლიდი. ერთიც ვნახოთ, ერთხელ დავთვალე, ერთი ფუტკარი აკლია, მაშინვე წაველ საძებნელად, ვიარე, ვიარე და ზღვას გაღმა ვიპოვე: ფეხი მოჰტეხოდა, დარჩენილიყო, მომკვდარიყო, და ყვავ-ყორნები ჰწიწკნიდნენო. მოუგო ქოსას. მეტი ღონე აღარ ჰქონდა, უნდა აქლემისათვის თვალ-მარგალიტი აეკიდა და მიეცა. ქოსამ უთხრა აქლემს: შენ რო წაგიყვანს, ამა და ამ ადგილას რო ქაობებია და ლაფები, იქ ჩაუწევ; რაც უნდა გცემოს, არ აჰდგე; თუ ღმერთი გაგიწყრეს და აჰდგე, რო მიგიყვანოს, ბოსელში შეგიყვანს, შენ გაიბერე, კარებში ვერ შეეტევი, თავს დაგანებებს და გამოიქეც ჩემთანაო. წაიყვანა უმცროსმა ძმამ აქლემი, წაიყვანა თავისი ჯორიც, წაიღო თვალ-მარგალიტიც და მარილიც. შუა გზაზედ ერთი დიდი ტალახი ნახეს, მივიდა აქლემი და ჩაეგდო შიგ; უმცროსმა ძმამ ხმაც არ გაჰცა; დაჯდა ლობეზედ, ამოიღო ჩიბუხი და დაუწყო წევა. ერთმა კაცმა გამაიარა.—გამარჯვებაო! უთხრა უმცროსს ძმას.—გაგიმარჯოსო!—სადაური ხარ, სად მიხვალო? ჰკითხა მგზავრმა.—ოსოქოლური ვარ, ჯანაბას მივალო, უთხრა აქლემის პატრონმა და თანაც დაუმატა: ჩვენ სოფელზე ჩაივლი, ჩემ ცოლს ჰნახავ, ან ორსული იქნება ან არა; ეტყვი: ან გაგიჩნდება შვილი, ან არაო, ან გაგიჩნდება ვაჟი ან არაო, ან გაიზრდება ან არაო; თუ გაიზარდოს, უთხარ, შეაბას ურემი და წამოიღოს: ტალახში აქლემი დამრჩა დაწავიდოთო. აქლემმა იფიქრა: სანამ იმის ცოლს ვაჟი გაუჩნდება და გაიზდება, ან ჯანაბით აქ მოვა, მე ხო დავლპი ამ ტალახში, და შიმშილით მოვკვდებიო; წამოხტა და გაუდგა გზას. გაჰყვა თან უმცროსი ძმაც. ბოლოს სახლში მოვიდნენ და მოიტანეს თვალ-მარგალიტი. გზაზედ აქლემი აღარსად არ დაჰწოლია. ბოსელში რო უნდა შეეყვანათ, უცებ აქლემი გაიბერა და არ შეეტია კარებში. აჰხედ-დაჰხედა ვაჟმა აქლემს და დაუძახა ძმებს: ბიჭო, ერთი ცული გამომიტანეთ, აქლემი განიერი მოვიდა, გვერდები უნდა ჩავათალოვო! აქლემმა იფიქრა: ეგ ისეთი გიჟი რამა ყოფილა, რომ არც კი გაუკვირდება, მართლა გვერდებს ჩამათლისო. დაიფუკა და შევიდა ბოსელში. მოჰხადეს აქლემს თვალ-მარგალიტი, თუნდა ათი ჯორის საპალნე გამოვიდოდა. თავის ჯორიც თვითონ დარჩა და მარილიც მოიტანეს...

ჭირი იქ დავაგდე,
ლხინი აქ მოვიტანე;

ქატო იქ დავაგდე,
ფქვილი აქ მოვიტანე.
ელასა-მელასა,
ქიქა მეკიდა ყელასა...
მთქმელსაც და გამგონებელსაც
ძილი გვაამოს ყველასა!

(ვეჯინში გაგონილი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 14—მეთევზე და სამი თევზი.

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთ ქალაქში ერთი მეთევზე; მუდამ დღე ის მეთევზე იჭერდა თევზს, ჰყიდდა ბაზარში და იმით ირჩენდა თავსაც და ცოლ-შვილსაც. ერთხელ თევზი ისე დაიაფდა, რომ აღარავინ ყიდულობდა. მეთევზესაც რაღა უნდა ექნა? ვეღარ გაყიდა თევზები; ბოლოს აიღო და, რაღაც ჭკვამ უთხრა, სამი თევზი წყალში გაუშო: ერთს დაუძახა—„ჭკუა“, მეორეს—„გონება“, მესამეს—„ფილთაქვა“ და გასწია სახლში. გავიდა დრო; თევზი შაცოტავდა, მომხმარები ბევრი გამოჩნდა და დამჭერი კი ცოტა. ჩვენმა მეთევზემაც ცოტა სარფა ნახა. ერთხელ მოაგონდა თავის თევზები მეთევზეს, იფიქრა: ეხლა ისინი ძალიან გაიზრდებოდნენ, წავალ, დავიჭერ და გავყიდიო. აიღო ბადე, მივიდა წყლის პირას და დაიძახა: ჭკუავ, ნაპირას გამოდი, უნდა დაგიჭიროვო! მოცურდა თევზი ნაპირას და დაუძახა მეთევზეს: შენ თუ ჭკუა გქონდა, მე აქ აღარ გამიშვებდიო. დაღონდა მეთევზე: თევზი წაუვიდა ხელიდამ. მეთევზემ ახლა მეორეს დაუძახა: გონებავ, გამოდიო!—შენ თუ გონებიანი ჰყოფილიყავ, უპასუხა თევზმა, მე წყალში აღარ გამიშვებდიო, შემოჰკრა ბოლო და გაცურდა ზვირთებში. მეთევზემ ახლა მესამე თევზს დაუძახა: ფილთაქვავ, სადა ხარ, გამოცურდი ნაპირას, უნდა დაგიჭიროვო!—შენ რო ფილთაქვის ოდენა ჭკუა მაინცა გქონიყო, გამოჰძახა მესამე თევზმა, აქ წყალში კი არ გამიშვებდი, სახლში წამიღებდი ცოლ-შვილთანაო. დარჩა გაწბილებული მეთევზე. მეორე დღეს ბაზარში ვეღარ გაიარა საწყალმა, რადგანაც წინა დღით პირობა მისცა, რომ ხვალ თევზს მოვიტანო, და პირლია კი დარჩა. შარცხვენილი იჯდა სახლში და ჰქექავდა ნაცარს... ასე იყო წყალში თევზის გამშვების მეთევზის საქმე!

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ფქვილი აქა, ქატო იქა.

(სოფ. ვეჯინს გაგონილი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 15.—ხემწიფის შვილი

ერთი ხემწიფის შვილი იყო; ერთს დღეს სანადიროდ გავიდა; მინდორზედ ერთი ირემი ნახა, გამოეკიდა იმას. ირემმა გაიტყუა, გაიტყუა, გაიარა ხემწიფის შვილმა დიდი მინდორი; სახლს დაშორდა, და ზედ დაღამდა კიდეც. ხემწიფის შვილი ძალიან დაღონდა; ან კი რა უნდა ექნა: აზიზობას მიჩვეული ტყეში როგორ გასძლებდა, არც ლოგინი ჰქონდა და არც სასმელ-საჭმელი. ბოლოს რო ველარა მოახერხარა, ტყეში შევიდა, დააკვესა ცეცხლი, დაანთო ერთი ხის ქვეშ, მოუჯდა გვერდს და შეჰცქეროდა ღამეს. უცებ ფეხის ხმა მოესმა. შეხედა, და ორი არაბი კი წამოადგა თავს, ზურგზედ რაღაც ჰკიდიათ. — გამარჯვება! ეტყვიან ხემწიფის შვილს. — თუ ჩემ სამტროდ არა ხართ მოსული, გაგიმარჯოსთ! უპასუხებს ხემწიფის შვილი. — რა სამტროდაო, ეტყვიან არაბები, ჩვენ ვიცით, რომ თქვენ ხემწიფის შვილი ბძანდებით, ერთი რამა გვაქვს გასასყიდი და ვიცით, ივაჭრებთო. — მაჩვენეთო, ეტყვის ხემწიფის შვილი, ვნახავ, რა არისო. მოიხსნა არაბმა ზურგიდამ რაღაცა გუდასავით და იქიდამ მზეთუნახავი ქალი ამოიყვანა. ხემწიფის შვილს ძალიან მოეწონა ქალი; არაბებს უთხრა: ღმერთმა იცის, აქ ერთი მანეთის მეტი არა მაქვს, ნიშანს მოგცემთ, წაიღეთ მამაჩემთან, და ის მოგცემსთ ფულსაო. მიჰცა ნეკის ბეჭედი და გაისტუმრა. ხემწიფეს ძალიან მოეწონა სარძლო, მიჰცა, არაბებმა რაცა ჰთხოვეს, და უყიდა შვილს ცოლი. მოვიდა ვაჟი, უხარიან, ცოლთან შევალო. შევა ცოლთან, დაუწყებს ხვევნას, მაგრამ ქალი უარს ეტყვის, ხელსა ჰკრავს: მე სხვისი ცოლი ვარო. ვაჟი მაინც არ მოეშვება, მაშინ გაბრაზებული ქალი შემოჰკრავს სილას ვაჟს და იქვე გულს წაჰგვრის. თვითონ ადგება, ჩაიცვამს იმის ტანისამოსს, იმის რაშზედ გადაჯდება და საჩქაროდ შეუდგება გზებს. მოაგონებენ ხემწიფის შვილს, მოითხოვს რაშს, მოატანინებს ტანისამოსს, ჩაიცვამს, შაჯდება და გამოეკიდება. დაეწევა ქალს, გადუდგება წინ და დაუჭერს ცხენს აღვირს: აღარ უშვებს ქალს. ქალი ჯერ ტკბილად ელაპარაკება; რაკი ვაჟი არა და არ დაიჯერებს, გადმოჰკრავს ყუით ხმალს და გადმოაგდებს გონ მიხდილს. თვითონ დეზსა ჰკრავს ცხენს და გააქანებს. ცოტა გზას რო გაივლის, ქალს დაჰნანდება ვაჟი. იფიქრებს: ერთი, რომ უყვარვარ, მეორე: ნახევარი თავის ქონება ჩემში მიჰცა და მესამე, ჩემთვის ამდენი იტანჯა და იტანჯებაო, შეჰბრალდება, მივა ვაჟთან, მოაგონებს, რაშს დეზსა ჰკრავს და გააქენებს. ხემწიფის შვილი ადგება, მოახტება რაშს და გამოეკიდება ქალს. ივლის ქალი, ივლის ვაჟი და მივლენ ერთ ქალაქში. სახლებს სულ შავები აქვს გადაკრული. თურმე იმ ქალაქის ხემწიფის ქალი იყო ის ქალი; მიეთხოვებინა მამას ერთი ხემწიფის შვილისათვის, მიეყვანა კიდეც ჯვრის დასაწერად, მაგრამ ამ დროს არაბებს მოეპარათ ქალი, და ნეფეც ცარიელი დარჩენილიყო, და ხემწიფეც ძალიან დაღონებული იყო. ხემწიფეს მახარობელი მიუვიდა,

რომ თქვენი ქალი მოვიდაო. საშინლად გაუხარდა, მაშინვე უბრძანა, აჰხსენით შავები ქალაქსაო. ქორწილი ხელახლად დაიწყეს. ხემწიფის შვილიც სწორედ იმ დროს მივიდა იმ ქალაქში. ერთ ოჯახში ჩამოხტა. ნახა, რომ აკვნიდან ბავშვი ააყენეს, გაჰხადეს შავები, თეთრები ჩააცვეს და ისევ დააწვინეს. ხემწიფის შვილმა ჰკითხა, თუ რად ეცვა ბავშვს შავები. იმათ უპასუხეს, რომ ხემწიფემ ქალი გაათხოვა, არაბებმა მოჰპარეს, იმასა ვგლოობდით, ეხლა მოუვიდა, ქორწილი ისევ დაიწყო, და შავები იმიტომ გავხადეთ ბავშვსაო. აგე ჩანან კიდეცაო, უჩვენეს ხემწიფის შვილს, შვიდ ნაირ ცხენებზე სხედან მაყრიონნი, შვიდ ნაირი ტანისამოსი აცვიათო. ხემწიფის შვილი მაშინვე ადგა, იყიდა შვიდ ნაირი ცხენი, შვიდ ნაირი ტანისამოსი იყიდა, შეჯდა და წავიდა. მივიდა და გაერია მაყრიონში. ვერავინ ვერ იცნო, ყველას თავისი ეგონა. წამოიყვანეს ბოლოს ის ქალი, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, და წამოვიდნენ მაყრიონნი ნეფის სახლისაკენ. გზაზედ დაუღამდათ, დადგნენ ერთ ადგილას. დაჰცეს კარავი; კარავში დედოფალი და ნეფე შებრძანდნენ, მაყრიონნი კი ყველანი გარეთ დადგნენ. ნეფემ ყველა დაითხოვა: წადით, დაიძინეთო, და ხემწიფის შვილი კი კარავის წინ დააყენა ყარაულათ. ყველას დაეძინა. კარავში ნეფე და დედოფალი ნარდსა თამაშობდნენ, ხემწიფის შვილი კიდე კარვის კარებთანა სდგას. ითამაშებენ ცოლი და ქმარი კარგა ხანს, და საქმე ისე წავა, რომ ქალი ორ-სამჯერ ზედი-ზედ აჯობებს ქმარს. ქმარს ეს ეწყინება, გაუშლის და ჰტკეცს ერთ სილას. ქალი ძალიან გაჯავრდება, დაიწყებს ტირილს: აი ეს არის, რომ უცნობლად გათხოვებენ და არა ჰკითხვენ ქალსაო. რატომ იმ ხემწიფის შვილს არ დაუჯე ცოლად, არაბებისგან რო გამომისყიდა, იმოდენა იტანჯა ჩემთვის, და მე კი შენზე გავცვალეო. სადა ხარ, ხემწიფის შვილო, რატომ აქ არა ხარ, და ამას თავს არ მოჰჭრი და მე ცოლად არ წამიყვანო!—აქა ვარო, სთქვა კარებში მდგომმა ხემწიფის შვილმა, შეუვარდა, მოჰჭრა თავი ნეფეს, ქალი შესვა რაშზედ და გამოაფრინა სახლში.

(სოფ. ვეჯინს გაგონილი, ლიზა ანდრონიკაშვილის ნაამბობი)

## 16—მეცხვარე და გველი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იყო, იყო ერთი კაცი და დედაკაცი. ჰყვანდათ ერთი ვაჟი-შვილი. ძალიან ღარიბადა სცხოვრობდნენ. შვილმა უთხრა დედმამას: ჩემო დედავ და მამავ, ხო ჰხედავთ, არაფერი გვაქვს, წავალ სადმე, დაუდგები ვისმეო.—ძალიან კარგიო, გაუხარდათ დედასა და მამას. შვილი წავიდა, იარა და ერთ მდიდარ კაცს სარქლად დაუდგა. ძალიან ყოჩაღი იყო და მალეც ააშენა ცხვარი. გავიდა ერთი წელი. ალას უთხრა: დამითხოვე ცოტა ხანს, წავალ, დედ მამას ვნახავ და ისევ დავბრუნდებიო. ალამ მოუწონა სარქალს იმის გულში ნადები, დაუკლა

ცხვრები, აუკიდა ერთ ცხენს ერბო, ყველი, ერთ ცხენს ხორცი და გაისტუმრა. ვაჟი გზაზედ მიდიოდა; დაინახა უცებ, რომ გზაზედ ერთი გველი გადაწოლილიყო, და, თუ გზიდამ არ მოჰშორდა, ცხენები გაჰქულეტენ. გველი გზიდამ არ დაიძრა. ვაჟი მაშინვე ჩამოხტა, აიყვანა გველი ხელში, გადასო გზას იქით და უთხრა: შე საწყალო, რა გინდა გზაზედ რო ჰწევები, ან ფეხით ვინმე გაგჭყლეტავს ან კიდე მოგკლავსო. დაანება თავი და გაუდგა თავის გზას. მივიდა სახლში, ერთი კვირა იქ დარჩა, მერე ისევ ადგა და იმავე გზით წამოვიდა ალასთან. გზაზედ ისევ ის გველი ნახა გაწოლილი; ისევ შორიდამვე გადმოხტა, აიყვანა გველი, გადასო გზას იქით და უთხრა: შე საწყალო, ეს მეორედ გადაგსვი გზას იქით, გზაზედ ნუ გამოდიხარ, მოგკლენო. გაჰცდა გველს და წავიდა. რო გაიარა, გველმა დაუძახა: ბიჭო! ბიჭო! ცოტა მოიცაო. ვაჟმა დაუცადა. გველი მივიდა და უთხრა: ჩაგბერავ, და არ შეშინდეო. ჩაჰბერა ვაჟს, და გახდა გულთმისანი მწყემსი. ყველაფრის ლაპარაკსა და ხმას გაიგონებდა: ცხვრისას, ძროხისას, კამეჩისას, ბალახისას, წყლისას და სხვ. წამოვიდა მეცხვარე ალასთან; ემსახურა კიდევ ალას ერთი წელიწადი და უთხრა ბოლოს: შენი ჭირიმე, ალავ, მომეც რაც მერგება, ერთი მერგება თუ ორი, და ეხლა კი დედ-მამას მივეშველებიო. ალამ უთხრა: წადი, შვილო, გადააგდე შუაზე კავი და, რაც კავს აქეთ დარჩეს, წაიყვანეო.—წავიდა მწყემსი, მოუარა ცხვარს და გამორეკა. ერთი ბატკანი დარჩენილიყო. დედა გაუჯავრდა: რასა ჰგვიანობ და არ მოჰდიხარ, მანდ რა ფეხი გტყდებაო.—შენ არ იცი, დედავ, ჩემმა პატრონმა რო იცოდეს, მე როგორიც ვარ, რას მიზმოდაო, უპასუხა ბატკანმა. გაიგონა ეს სიტყვები მეცხვარემ და დაისწავლა ბატკანი. გაყვეს ცხვარი და ის ბატკანი ალას ერგო. მწყესმა უთხრა: ალავ, ცხვარში ერთი ხელზედ შეჩვეული ბატკანი მყვანდა, ის შენ გერგო და თუნდა ორ თოხლს მოგცემ, და ის კი მომეციო.—შენი არაფერი არ მინდა,—შვილოვო, უპასუხა ალამ, გამოარჩიე, რომელიც არის, და წაიყვანეო. გამოარჩია ის ბატკანი მეცხვარემ, გამოეთხოვა ალას, გადუხადა მადლობა, გაირეკა ფარა და გაჰწია სახლში. გზით ცხვარი ერთ სოფელზე გაატარა. ერთი სახლის კარებზედ საფქვავი იყო დაფენილი საფენებით; იქვე ერთი ლამაზი ქალი იჯდა. საფქვავზე ჩიტები ისხდნენ: ზოგი ჩიტები საფენებზე დაფენილ საფქვავს ჰკენკდენ და ზოგნიც მიწაზედ დაპნეულს. უცებ ერთმა ჩიტმა, რომელიც საფენზე დაფენილ საფქვავსა ჰკენკდა, თავი აილო, კენკას თავი დაანება და დაუძახა იმ ჩიტებს, რომლებიც მიწაზედ დაპნეულს მარცვლებსა ჰკენკდნენ: თქვე უგნურებო, მიწაზედ დაბნეულ ვინ შეგვეცილება, როდესაც გვინდა, მაშინ ავკენკოთ; მოდით, აქა ვკენკოთ, სანამ მოგვასწრობენ და აჰხვევენ საფქვავსაო. ამ სიტყვებზე მეცხვარეს გაეცინა. ქალმა დაინახა, მეცხვარემაც; მოეწონათ ერთმანეთი; გაჰცდა მეცხვარე და წავიდა სახლში. ააშენა მშვენიერი სახლები, მშვენივრად დაიწყო ცხოვრება და ბოლოს ცოლის შერთვაც მოინდომა. იარა, იარა და იმ ქალზე დაიწერა ჯვარი, საფქვავს რო ედგა. ახალმა ცოლმა და ქმარმა დაიწყეს ერთად ტკბილად ცხოვრება; მაგრამ ბოლოს კი ჩაუმწარდით ეს სიტკბოება. ცოლი აუტყდა ქმარს: უნდა მითხრა, რად გაიცინე,

ჩემს კარებზე რო ცხვარი გამოატარეო. კაცი არ ეუბნებოდა, რადგანაც გველისაგანა ჰქონდა ნათქვამი, რო, თუ იტყოდა, მოკვდებოდა. ცოლი სანამდე აუტყდა, სანამ არ მოეშო, სანამ პირობა არ ჩამოართვა ქმარს, რომ გეტყვიო, თუმცა კი იცოდა, რომ ის თქმა იმის ქმარს სიცოცხლეს გამოასალმებდა. ქმარმა დაკლა ექვსი ცხვარი, გამოაცხო პური, მოამზადა ყველაფერი ქელეხისათვის და მერე უნდა ეთქვა და მომკვდარიყო. საღამოზე ცხვარი შერეკა ბაკში, კარებს უკეთებს, და უცებ იმ იღბლიანმა ბატკანმა დაუძახა სხვა ცხვრებს: იცით, რას გეტყვითო?—რასაო, ჰკითხეს ყველამ. —ჩვენ პატრონს ცოლი გადაჰკიდებია, ერთი რამ მითხარო; ქმარი, თუ ცოლს გაუმხელს იმას, მოკვდებაო. ეხლა ქელეხის სამზადისშია, ხვალ ეტყვის და მოკვდებაო. იმისთანა ცოლს იმის მაგიერ ის უნდა: უნდა ერთი ხორკლიანი ჯოხი გამოჰჭრას, დადოს, იმდენი ჰცემოს, რომ დაბადების დღეც დაავიწყოს, თორე ქმრის საიდუმლოს შეტყობა კი აღარ უნდოდესო. ეს სიტყვები გაიგონა მეცხვარემ, წამოვიდა, გამოჰჭრა ერთი ხორკლიანი ჯოხი, მივიდა შინ, დადო ცოლი, გაუარა და გამოუარა, გაუარა და გამოუარა, ისე მოურბილა გვერდები, როგორც დამპალი ვაშლი. ერთ კვირას იწვა ლოგინში იმისი ცოლი და მერვე დღეს წაიღო თქვენიც და ჩემი ჭირიც!

(ვეჯინში გაგონილი)

## 17—ცოლ-ქმრის ამბავი.

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ცოლ-ქმარი. ქალის ქმარი ხემწიფესთან მსახურებდა და ყოველს თვისა და თვის თავზედ ჯამაგირს აიღებდა თუ არა, გაუგზავნიდა ცოლსა. გავიდა სამი თუ ოთხი თვე, ფული აღარ მოუვიდა ცოლს, ქმარი რაღაც მიზეზით აღარ უგზავნიდა. ცოლი ძალიან შესწუხდა, ადგა და წავიდა მამასახლისსათან საჩივლელად: სამი-ოთხი თვეა, ქმრიდან ჯამაგირი აღარ მიმიღია, შიმშილითა ვკვდები, რა მიზეზია, მიშველე რამეო. მამასახლისამ აათვალიერ-ჩაათვალიერა, თვალში მოუვიდა, უთხრა: მე ამაღამ თქვენთან წამოვალ და ხვალ გავიგებ მაგ საქმესაო. ქალმა უთხრა: მე თქვენს საკადრისს ვახშამს როგორ მოვამზადებ, ღარიბი ვარო. მამასახლისამ ფული მიჰცა,—წადი, კარგი ვახშამი მოამზადეო. ქალი მამასახლისიდან ნაჩალიკთან წავიდა საჩივლელად: შენი ჭირიმე, ბატონო, სამი-ოთხი თვეა, ქმრიდამ ჯამაგირი აღარ მიმიღია, და არ ვიცი რა მიზეზია, მიშველე რამეო.—ამაღამ თქვენთან წამოვალ და ხვალ გავიგებ მაგ საქმესაო, უთხრა ნაჩალნიკმა.—მე თქვენს საკადრისს ვახშამს ვერ მოვამზადებ, უთხრა ქალმა, ღარიბი ვარო. ნაჩალნიკმა ფული მიჰცა: წადი ამა და ამ დროს ვახშამი მოამზადე, ამა და ამ დროს მოვალო. ქალი ახლა არქიელთან წავიდა: შენი ჭირიმე, ბატონო, სამი-ოთხი თვეა, ქმრიდამ ფული აღარ მიმიღია, და არ ვიცი რა მიზეზიაო. არქიელმაც უთხრა: ამაღამ, შვილო, თქვენთან წამოვალ, და ხვალ ყველაფერი გარიგდებაო. ქალმაც იგივე პასუხი

მიჰცა: თქვენს საკადრისს ვახშამს მე როგორ მოვამზადებო. მიჰცა ფული არქიელმა და უთხრა: წაიღე, შვილო, კარგი ვახშამი მოამზადე, და ამა და ამ დროს მეც მოვალო. ქალი წამოვიდა სახლში, სამი შკაფი იყიდა, მოიტანა, დადგა სახლში და მოამზადა ვახშამი. შაბინდდა თუ არა, მოვიდა მამასახლისა, გაშალეს სუფრა და დასხდნენ. ვახშამს ჰჭამენ. ზედ ნაჩალნიკიც მიატანს. მამასახლისა ძალიან შაშინდა. გაქცევა დააპირა. ქალმა უთხრა: საწყინოდ კი ნუ მიიღებ, ამ შკაფში შაბძანდი, ვინ არის, ვნახავ, გავისტუმრებ, მერე გამოდი, დავსხდეთ და ქეიფი ვწიოთო. მამასახლისა შეჯდა შკაფში, ქალმა გარედგან დაკეტა და გასაღები ჯიბეში ჩაიდო. მოვიდა ნაჩალიკიც, დასხდნენ ვახშამზედ, გაიშალეს სუფრა. ამ დროს მოვიდა არქიელი. ქალმა უთხრა ნაჩალიკს: თუ შეიძლება, შკაფში შებძანდი, გავიგებ, ვინ მოვიდა, გავისტუმრებ, გამობძანდი მერე, დავსხდეთ და ქეიფი გავსწიოთო. გაუღო მეორე შკაფი, შაჯდა შიგ ნაჩალიკი, ქალმა გარედგან დაკეტა და გასაღები ჯიბეში ჩაიდო. შემობძანდა არქიელი, გაშალეს სუფრა, დასხდნენ და დააპირეს ვახშმობა. ქალს მეზობლის ბიჭი გაძრახებული ჰყავდა, როდესაც არქიელი სუფრაზე დავსვა, მოდი და კარი დააკაკუნეო. მოვიდა მეზობლის ბიჭი და დაუკაკუნა კარი. ქალმა უთხრა არქიელს: საწყენად კი ნუ მიიღებთ, და შკაფში შებრძანდით ცოტა ხანს, გავისტუმრებ, ვინ არის, და მერე გამობძანდითო.—დიდის სიამოვნებითაო, უპასუხა არქიელმა, ოღონდ კი დამმალე, და რატომ არ შევალო. შეჯდა შკაფში არქიელი. ქალმა გარედგან დაკეტა შკაფი, გასაღები ჯიბეში ჩაიდო. ქალი და მეზობლის ბიჭი დასხდნენ ვახშამზედ და კარგა შაექცნენ. მეორე დღეს ქალმა დაიჭირა სამი მუშა, აჰკიდა ზურგზედ სამივე შკაფი და მთავარ-მართებელს მიართო. ქალმა ჰთხოვა: თქვენ მსახურს უბრძანეთ, შკაფები გაალოსო. მთავარ მართებელმა ქალს უბრძანა: თქვენ გააღეთო. გააღო ერთი შკაფი ქალმა, და გამოძვრა მამასახლისა. გააღო მეორე—გამოვიდა ნაჩალიკი; გააღო მესამე—გამობძანდა არქიელი. მამასახლისა სამსახურიდგან გაჰოაგდეს, ნაჩალიკი დაითხოვეს და არქიელი გაკრიჭეს და ციმბირში გაგზავნეს. ნაჩალიკობა ქალის ქმარს მიჰცეს და ნანაჩალიკარი სალდათად გაგზავნეს...

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

## 18. ოქროს ქოჩრიანი ქალ-ვაჟის ზღაპარი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი კაცი; ჰყვანდა სამი ქალი. ქალებს დედა მოჰკდომოდათ და ერთი აშარი დედინაცვალი ჰყვანდათ. დედინაცვალს თვალში ეკალივით ეხირებოდა თავისი გერები. ერთხელ მოიავადა თავი; ქმარს უთხრა: თუ მომაშორებ ამ შენ ქალებს—მოვრჩები, და თუ არ მომაშორებ—მოვკვდებიო. მამა დაღონდა: რო-

გორ უნდა გავიმეტო შვილებიო. იგონა, იგონა და მოიგონა—შვილებს უთხრა: წამოდით, შვილო, ერთ ადგილას ერთი ვაშლი ვიცი, იმას დავბერტყამ, თქვენ კი აკრიფეთო. წავიდნენ და თან ერთი ფარდაგი წაიღეს. ვაშლის ძირში ერთი საშინელი ორმო იყო; იმ ორმოს გადააფარა ფარდაგი მამამ, ზედ ფოთოლი დააყარა; თვითონ ვაშლზე ავიდა და ქალებს უთხრა: მე ვაშლზედ ავალ, დავბერტყ, თქვენ ხელი ხელს ჩაჰკიდეთ და გამოიქეცით და ისე აკრიფეთო. ავიდა მამა ვაშლზედ და დაბერტყა. ქალებმა ერთმანეთს ხელი მოჰკიდეს და გაიქცნენ, შადგნენ ფარდაგზედ; ფარდაგი ჩაიკეცა და ვაშლიანად ქალები ორმოში კი ჩაცვივდნენ. დაიწყეს ქალებმა ტირილი. მამამ დაანება შვილებს თავი და წამოვიდა შინ. როდესაც ქალებს შიმშილმა გაუჭირა საქმე, უფროსმა სთქვა: მოდით, დებო, მე შემჭამეთო. —არა, მე შემჭამეთო, სთქვა შუათანამა. პატარა და ლოცვას მოჰყვა: ღმერთო, ცალი ხელი ნიჩფად მიქციე და ცალი ბარადაო. ღმერთმა უსმინა ლოცვა; ცალი ხელი ნიჩფად უქცია და ცალი ბარადა ქალმა თხარა ბარით, ყარა მიწა ნიჩფით, თხარა, ეწვალა და გავიდა ერთ ხემწიფის თავლაში. იქ ცხენებს ასუქებდნენ, ნუშსა და ქიშმიშს აჭმევდნენ. მივიდა ქალი ცხენებთან, აკრიფა ნუში და ქიშმიში, თვითონაც ჭამა, რამდენიც უნდოდა, და დებსაც წაუღო.

ასე და ამრიგად გამოდიოდა უმცროსი და ხემწიფის თავლაში და მიჰქონდა ნუშ-ქიშმიში. საჭმლის მოკლება ცხენებს დააჩნდა: ძალიან დახდნენ. ხემწიფეს მოჰხსენდა, რომ ცხენებს ვაჭმევთ და ისევ დამხდრები კი არიანო. ხემწიფემ მეჯინიბე დააყენა სადარიელოდ. უდარიელა მეჯინიბემ. ქალი გამოვიდა, ამოიკვალთა (შემოიკალთავა) კაბა და დაუწყო კრეფა ნუშ-ქიშმიშს. ამ დროს მიჰწვდა მეჯინიბე, დაიჭირა და უთხრა: ხემწიფესთან უნდა წაგიყვანოო. ქალმა უთხრა: დებიც მყავს, იმათაც წამოვიყვანო და წავიდეთო. მეჯინიბემ გაუშვა ქალი. ქალმა დებიც მოიყვანა. მეჯინიბემ დები ხემწიფესთან წაასხა და თანაც მოახსენა, თუ რად მოიყვანა ქალები. ხემწიფემ უფროს დას ჰკითხა: რა ხელობა იციო?—მე ისეთს ხალიჩას მოვქსოვ, რომ მთლად შენი სახემწიფო ზედ დაჯდეს, და კიდე მეტი იყვესო, უპასუხა უფროსმა დამ.—შენ რაღა შეგიძლიანო? ჰკითხა შუათანა დას ხელმწიფემ.—მე ისეთს საჭმელს მოვხარშავ კვერცხის ნაჭუჭში, რომ მთლად შენი სახემწიფოს მცხოვრებნი დაძღნენ, და კიდევ დარჩესო.—შენ რაღა იციო? ჰკითხა უმცროს დას ხემწიფემ.—მე ოქროს კოჩრიან ქალ-ვაჟს გავაჩენო, უპასუხა უმცროსმა ქალმა. ხემწიფემ უმცროსი ქალი ცოლად დაისვა და სხვა ქალები ნაზირვეზირს დაურიგა. გავიდა რამდენიმე ხანი; ხემწიფის ცოლს ოქროს კოჩრიანი ქალ-ვაჟი ეყოლა. დებს შაჰშურდა, უმტრეს და ბებია დაარიგეს, რომ ის ქალი და ვაჟი მოეპარა და ძაღლის ლეკვები დაესვა იმათ მაგიერ. ოქროს კოჩრიანი ქალ-ვაჟი წისქვილის ღარში ჩაყარეს და ხემწიფეს ახარეს, რომ თქვენ მეუღლეს ძაღლის ლეკვები ეყოლაო. ხემწიფე განრისხდა: როგორ თუ მაგან მე მომატყუაო. მსახურებს უბძანა: წაიყვანეთ და ალაყაფის კარებზედ მიაკარითო. ვინც აიარ-ჩამოიაროს, პირში მიაფურთხოს და ძუძუზედ მური მოჰცხოსო. საცოდავი ქალი მიაკრეს ალაყაფის კარებზედ. გამ-

ვლელ-გამომვლელი ყველა პირზედ მიაფურთხებდა და ძუძუზედ მურს წაჰცხებდა...

მეწისქვილე უშვილო იყო. ტირილი შეესმა, გამოვიდა, ნახა,—ქალ-ვაჟია. ძალიან გაუხარდა, სთქვა: მაინც ღმერთს ჩემთვის შვილი არ მოუცია, ამათ ავიყვან, ვიშვილებ და გავზრდიო. აიყვანა ქალ-ვაჟი და მოიყვანა შინ. ვინც წლით იზდება, ისინი დღით იზდებიან. მეწისქვილემ ცალკე აუშენა სახლი ნაშვილობებს და დააყენა იქა. ხემწიფემ ერთხელ წვეულება გამართა, რომელზედაც ყველა ქალი და რძალი მიიწვია თავის სახემწიფოდამ. წვეულებაში ოქროს ქოჩრიანი ქალი და ვაჟიც მოჰხვდნენ. ვინც ალაყაფის კარებში შავიდოდა, ყველა აფურთხებდა ქალს და ძუძუზედ მურსა ჰცხებდა. ოქროს ქოჩრიანმა ქალ-ვაჟმა კი პირზე ვარდი მოუსვეს, ძუძუ მოჰწმინდეს და ზედ აკოცეს. შევიდნენ ხემწიფესთან; დასხდნენ სუფრაზედ და დაიწყეს ლაპარაკი. ალაყაფის კარებზედ მიკრული ქალი ჩვენი დედა არისო, უთხრა ვაჟმა, და თქვენ ჩვენი მამა ხართო. მაგრამ ხემწიფე რას დაუჯერებდა. სუფრაზედ შემწვარი ხოხობი იდო, იქვე ხმელი ვაზის რქა ეგდო. აიღო ხელში ვაზის რქა ვაჟმა და სთქვა: თუ ის ქალი, ალაყაფის კარებზედ როა მიკრული, ჩემი დედაა და ხემწიფე ჩემი მამაა, გაცოცხლდეს ეს ვაზის რქა, გაწედლდეს, ფესვები გაიდგას და ყურძენი დაისხასო. მერე აიღო ხოხობი და სთქვა: თუ ის ქალი ჩემი დედაა და ხემწიფე ჩემი მამა, გაცოცხლდეს ხოხობი, შეჯდეს ვაზზედ და მხრები გაისწორროსო. გაწედლდა ვაზი და დაისხა მშვენიერი ყურძენი. გაცოცხლდა ხოხობი, შეფრინდა ვაზზედ და დაუწყო სწორება თავის ტურფა მხრებსა. ხემწიფე მოეხვია თავის შვილებს და დაუწყო კოცნა. შემოიყვანეს ქალი, მოჰბანეს პირი, ჩააცვეს სადედოფლო ტანისამოსი და სცეს მეფური პატივი. იმისი დები კი მოაბეს ცხენებს კუდზედ და დააგლეჯინეს.

ქირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.
უნაგირი მცხეთას დამრჩა,
მოსართავი არაგვზედა.
ყველას ღმერთმა გაგიმარჯოსთ.
ვინაც სხედხართ ალაგზედა.

## 19—ღორის ამბავი.

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ღარიბი და უშვილო ცოლ-ქმარი. იმ ცოლ-ქმარს ბედად ერთი ღორი ჰყავნდა. ის ღორი ისეთი იყო: მოავლებდა პირს, კოკა იქნებოდა თუ ლიტრა, გაიქცეოდა წყალზედ, აავსებდა და მოიტანდა შინ. წაიღებდა სარეცხს, დაჰრეცხდა და მოიტანდა ისე. სახლსა ჰგვიდა, ჰურჭელსა ჰრეცხდა, ერთი სიტყვით, მშვენიერს დიასახლისობას ეწეოდა. ერთხელ ამ ღორმა სარეცხი წა-

ილო და წავიდა ერთ ყრუ ტყეში. იქ ერთი ხემწიფის შვილი ნადირობდა, დაინახა ღორი და დაუწყო თვალის ჭერა. მივიდა ღორი წყალთან, გაიძრო უცებ ღორის ტყავი. და ისეთი მშვენიერი ქალი გამოჩნდა, რომ შუქმა მთა გადაიარა. ხემწიფის შვილი ველარ აშორებდა მშვენიერ ქალს თვალს და სულგანაბული შეჰცქეროდა მშვენიერ და ტურფა თვალებში. დარეცხა სარეცხი ქალმა, გადიცვა ისევ ღორის ტყავი და მოკურცხლა სახლში. ხემწიფის შვილიც თან გაჰყვა. მივიდა ღორი ქოხში, და მიჰყვა ხემწიფის შვილიც. ცოლქმარს უთხრა: ამაღამ აქ თქვენსა უნდა გავათიოვო. —არა ვართ ღირსნი თქვენის აქ დგომისა, თქვენს მუხლებს ვენაცვალეთ, მოახსენა დიასახლისმა, არც საჭმელ-სასმელ და არც ლოგინი ჩვენ თქვენი საკადრისი არა გვაქვს, გლეხები ვართ, საწყლებიო... —ლოგინიც ჩემი მომივა და სასმელ-საჭმელიცაო, უპასუხა ხემწიფის შვილმა, თქვენ იმისთვის ნუ შესწუხდებითო. იმ ღამეს იქ გაათია ხემწივის შვილმა, უნდოდა ღორი როგორმე ეგდო ხელში, მაგრამ მოხუცებულებმა ლოგინში ჩაიწვინეს. მეორეს დღეს ხემწიფის შვილმა ათი თუმანი შეაძლია მოხუცებულებს; მაგრამ იმათ უარი უთხრეს: ჩვენი მაცხოვრებელი ეგ არის, ჩვენ რაღა ვქნათ, რო ეგ მოვიშოროთო. მერე ოცი თუმანი შეაძლია. ოც თუმნად კი მისცეს მოხუცებულებმა. ჩაისო ხემწიფის შვილმა ხურჯინში ღორი და წაიყვანა; მიიყვანა შინ და მამას გამოუცხადა, რომ ღორზე უნდა დავიწეროო ჯვარიო. მამას ძალიან ეწყინა: რასა ჰშვრები, შვილოვო, უთხრა შვილს, რაზედ იწერ ჯვარს, რად მარცხვენ ან მე და ან შენს თავსო. —ჩემი ბედი ეს არის და რა ვქნა, ჩემო მამავ, უპასუხა შვილმა. აღარც არაფერი მამამ უთხრა. წაიყვანეს ღორი საყდარში; ისე დაიწერეს ჯვარი, რომ ღორს ერთხელაც არ ამოუღია ხმა და დაუჭყვირია, თუმცა ღორები ძალიან მყვირალეები არიან. დაიწერეს ჯვარი და წავიდნენ. ხემწიფემ თავის შვილ-რძალს ერთი ძველი ოთახი მისცა, მაგის ღირსები ხართო. შეიყვანა ცოლი ხემწიფის შვილმა და უთხრა: გაიხადე ტყავიო. ქალმა გაიხადა ტყავი, და მზეთ უკეთესი ქალი და ხემწიფის შვილი გადეექდნენ ერთმანერთს კისრებით. ეს ყველაფერი ნაზირ-ვეზირმა ნახეს, რადგანაც ხემწიფემ გაგზავნა და უთხრა: წადით უცქირეთ, რას იზამს ჩემი შვილიო... წავიდნენ ნაზირ-ვეზირი და მოახსენეს ხემწიფეს. შეიყვანა ხემწიფის შვილმაც თავისი ცოლი და წარუდგინა მამას. მამას ძალიან გაუხარდა, დალოცა თავის შვილ-რძალი და დააგვირგვინა.

ვეზირს შეჰშურდა ხემწიფის შვილისთვის ეს ცოლი; თავისთვისა სთქვა: მაგან ერთი ბეწო ღორი მოიყვანა, მაგის მეტი მაგის პატრონს არა ჰყვანდა რა, ეგეთი ქალი გამოჩნდა, მე წავალ და მთელს ფარაში ავარჩევ სუ დიდ ღორს და წამოვიყვანო. წავიდა მართლაც, მივიდა მეღორეებთან, აარჩია სუ დიდი ღორი ფარიდამ და უთხრა, რომ ეს მამყიდეთო. მიჰყიდეს რასაკვირველია, მოურიგდნენ ფასსზედაც. დააკრა ცხენზე ეს ღორი ვეზირმა. ჭყივის ღორი, რაც ძალი და ღონე აქვს: იზიდება ცხენიდამ. ბოლოს დაჰწყვიტა, რითაც იყო დაკრული და მოფხუტა ფარაში. მაგრამ ვეზირმა თავი არ დაანება, წავიდა ისევ მოსაყვანად. ეხლა კი როგორც იყო ერთის ჭყივილით მიიყვანა სახლში და წაიყვანა ეკლესიაში ჯვრის დასაწერად. იზი-

დება ლორი, ჰყივის, რაც ძალი და ღონე აქვს, გადააქცია შანდლებიც, მღვდელიც ქვეშ გაინაგვა; ქმარიც და სტუმრებიც. მაინც როგორც იყო დაიწერეს ჯვარი, და ვეზირმა თავის ახლად ჯვარდაწერილი შეაბძანა საძილო ოთახში. ჰკოცნის ყელში ვეზირი ლორს, უსვამს ხელს, გაიხადე, გენაცვალე, ქალო, რათა ჰჯავრობო! ქალი კი უფრო ჯავრობს. ვეზირი ჰკოცნის კიდევ ყელში ლორს; გაიზიდება ლორი, გამოუსვამს ყელში კბილს ვეზირს და გამოჰჭრის ყელს. ლორი ფარაშივე გაიქცევა, და ვეზირს კი საფლავს მიაბარებენ... ასე გათავდა ვეზირის ლორზე ჯვრის წერა!...

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

(ვეჯინში გაგონილი).

## 20.—ჭინჭრახა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო სამი ძმა, ძალიან ღარიბები და საწყლები. უფროსი ძმების სახელები არ იციოდნენ, და უმცროსს კი ჭინჭრახა ერქვა... ძმებმა სთქვეს: ჩვენ რო სახლში ვისხდეთ, მაზედ არაფერი მოგვივა, წავიდეთ სადმე, ან სამუშაო ვიშოვოთ, ანა და მოჯამაგირედ ვისმე დაუდგეთო. ძალიან კარგიო. თქმა და ქმნა ერთი იყო: ადგნენ და გაჰწიეს. ბევრი იარეს, ცოტა იარეს, მივიდნენ ერთ ხემწიფესთან. —მოჯამაგირეები არ გინდათ? ჰკითხეს.—გვინდაო, უპასუხეს. დაუდგნენ ხემწიფეს ძმები, ემსახურებოდნენ და კარგ ყელშიაც იყვნენ. ჭინჭრახა ძალიან კოჩალი იყო, ამიტომ იმას ხემწიფე ხელზე იმსახურებდა. ძმებს ჩაუვარდათ ჭინჭრახას შური: იმის დაღუპვა მოინდომეს, წავიდნენ და ხემწიფეს მოახსენეს: ამა და ამ დევს ერთი ოქროს ხელადა აქვს, რომ რაც უნდა ჩაასხა შიგ, ღვინოდ აქცევსო. ჭინჭრახა გაგზავნე და ეგ მოგიტანსო. დაიბარა ხემწიფემ ჭინჭრახა და უთხრა: ღმერთმანი, ესე, ესე ამბობენ, ამა და ამ ბრმა დევს ერთი ხელადა აქვს ოქროსი, და ის უნდა მომიტანოვო. რა მეტი ჯანი მაქსო, უპასუხა ჭინჭრახამ: ერთი ქარჩი და ნიჩაფი კი მომეცითო. მისცეს ქარჩ-ნიჩაფი. წაიღო და წავიდა ჭინჭრახა ხელადის მოსატანად. მივიდა და, რომელს გორაზედაც დევს სახლი არ ედგა, იმას დაუწყო ხვრეტა; ხვრიტა, ხვრიტა და აიჩინა დევის ტახტის ქვეშ. მოავლებს ხელს ჭინჭრახა ამ ხელადას. დევს ერთი ფანდური აქვს ოქროსი; ის ფანდური ისეთია, რასაც დაინახავს, ან გაიგონებს, ყველაფერს იტყვის. დაინახავს ეს ფანდური ჭინჭრახას, რომ ხელადას ეძიძგურება, და დაიძახებს: მოიტაცა ჭინჭრახამ ხელადა! მოიტაცაო! წამოხტება დევი, იცქირება იქით-აქეთ: არსად ჭინჭრახა,—ხელადა იქვე დგა. კიდევ ამოძვრება ჭინჭრახა, სტაცებს ისევ ხელს ხელადას. ჩონგური ისევ იმას დაიძახებს. დევი ისევ წამოხტება,—ხელადა იქვე დგა. გაჯავრდება დევი, ჰგონია, ხელადა მატყუებსო და, როდესაც ჭინჭრახა ხელ-

სა ჰტაცებს ხელადას და მოჰხუქავს, მაშინღა იტყვის: აბა ვნახავ, მართლა ხომ არ წაიღოვო. ჰნახავს: სადღაა ხელადა! წამოხტება დევი და გამოუდგება, მაგრამ ჭინჭრაქას ვინ დაიჭერს?—ჭინჭრაქავ! დაუძახებს დევი: კიდევ მოხვალ?—მოვალ კი არა, თვალსაც მოგთხრი! უპასუხებს ჭინჭრაქა. ხელადას მიუტანს ხემწიფეს, გაუხარდება, მაგრამ ძმებს კი ეწყინებათ. რამდენიმე ხანი რო გაივლის, ძმები ადგებიან ისევ და ხემწიფეს მოახსენებენ: დიდებულო ხემწიფევ, ეგ რა მოსატანია, ჭინჭრაქამ რო მოიტანაო; იმ დევს ერთი ჩონგური აქვს, ის ჩონგური კაცივითა ჰხედავს და კაცივით ესმის. რასაც გაიგონებს და დაინახავს, ყველაფერს დაიძახებს. აბა ის მოიტანოს ჭინჭრაქამა, თუ კაი ბიჭიაო. დაიბარა ისევ ხემწიფემ ჭინჭრაქა და უთხრა: უნდა წახვიდე და იმ დევს რო ის ფანდური აქვს, ის უნდა მოიტანო. რა მეტი ღონე აქვს ჭინჭრაქას, ადგება და წავა. მივა ისევ, აძვრება ხვრელში და დაჯდება დევის სკამის ქვეშ. როდესაც დევი სხვაგან მიიბრუნებს თავს, ის ხელს წაავლებს ჩონგურს. ჩონგური ყვირის: წამიყვანა ჭინჭრაქამაო! ეძებს დევი ჭინჭრაქას. არსად ჭინჭრაქა. გაჯავრებული დევი დაანებებს თავს ჭინჭრაქას და ეტყვის ფანდურს წყენით: ჭირიმც მოგიჭამია, რაც უნდა ქენით შენა და ჭინჭრაქამაო. მოავლო ხელი ჭინჭრაქამ ფანდურს, ჩაძვრა ხვრელში და მოუსო ხემწიფისაკე. გამოუდგა დევი, მაგრამ რას დაეწეოდა? მერე მიაძახა: ჭინჭრაქავ! მოხვალ კიდევ, თუ არა?—მანდ რაღა დამრჩომია, რისთვინღა მოვიდეო, უპასუხებს ჭინჭრაქა ადგება დევი და დაიწყებს ტყეებში ხეტიალს. მიუტანს ჭინჭრაქა ჩონგურსაც და უფროც გაახარებს ხემწიფეს. ძმები ჯავრით იხოცებიან. ბოლოს ხემწიფეს ეტყვიან: დიდებულო ხემწიფევ, მაგ ფანდურისა და ხელადის პატრონიც რო აქ მოიყვანონ, რა კარგი იქნებაო. —ვინ მოიყვანოსო? ჰკითხა ხემწიფემ.—ვინც ხელადა და ჩონგური მოიტანა—ჭინჭრაქამაო. დაიბარა ხემწიფემ ჭინჭრაქა და უთხრა: უნდა წახვიდე და ის დევი აქ მოიყვანოვო. რა ძალა ჰქონდა ჭინჭრაქას! წავიდა. ასრულების მეტი იმის ხელთ არა იყო რა.—ერთი ცული კი მომეცითო, უთხრა ხემწიფეს. მისცეს ცულიც. წავიდა ჭინჭრაქა, დადის ტყეში და ეძებს დევს. ბოლოს შეჰხვდება იმ დევს დევიცა ჰნახავს.—ბიჭო, მინდოდი და გიპოვნე კიდეცაო, ეტყვის დევი, შენ ჭინჭრაქა არა ხარო?—რა ჭინჭრაქა, რის ჭინჭრაქაო, უპასუხა ჭინჭრაქამ, მე ჭინჭრაქა ყურითაც არ გამიგონიაო. მე ერთი საწყალი დურგალი ვარ, ფიცრებს ვეძებ, კიდობნები უნდა დავაკეთოვო.—ერთი კიდობანი მეც გამიკეთეო, ეტყვის დევი. იქ ჩვენსა წავიდეთო. უნდა რო წაიყვანოს და შეჭამოს —იქაც წამოვალო ეტყვის ჭინჭრაქა და აქაც ისეთს კიდობანს გაგიკეთებ, რო შიგ ჩაჯდე, დაგდვა ურემზედ, რო ფეხით არ მოგინდეს სიარული, და შინ ისე მიგიტანო.—ძალიან კარგიო, უთხრა დევმა. გააკეთა ერთი მაგარი კიდობანი ჭინჭრაქამ, ჩასვა შიგ დევი, მოიკიდა ზურგზედ და ძუგძუგ ხემწიფისაკე. ხემწიფეს ძალიან გაუხარდა. ჭინჭრაქამ კი იცოდა, რაც იქნებოდა; აადუღა ერთი დიდი ქვაბი ნაცარ-ტუტა, ავიდა ერთ ჭანდარზედ და აიტანა ქვაბიც. თან კიდევ იმას უცქერის, თუ ხალხი რას იზამს ან ის დევი. გაჰხსნიან კიდობანს. ხემწიფეც იქ არის, ნაზირ-ვეზირიც, ჭინჭრაქას ძმებიც, დუნია ხალხიც. ამოვარდება ეს დევი, და სულ ერთიან კი გა-

დაჰყლაპავს ყველას. გაიქცევა და შაებღოტება ქანდარაზედ. ჭინჭრაზა დაუძახებს: ხო შენი ლუკმა ვარ და შენი ლუკმა, ყბა გააღე, ჩამოვვარდები და ჩაგივარდები პირში. გააღო დევმა მართლა ხახა. გადმოუშო ეს ადუღებული ნაცარ-ტუტა ჭინჭრახამ და ჩაასხა დევს ხახაში. დევი იქვე დაიხრჩო. ჩამოვიდა ჭინჭრახა, გახდა ხემწიფედ და დღესაც იქ არის...

ღმერთმა აბედნიეროს!

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

(ვეჯინში გაგონილი)

# 21.—მზის ქალი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო სამი ძმა კაცი. მოხნეს სამი დღის მიწა და დათესეს: ერთმა იქით, ერთმა აქეთ და ერთმაც შუაზედ. მოვიდა მშვენიერი ჯეჯილი; აღელდა ყანა ზღვასებრ. აღელდა პატრონის გულიც სიხარულით იმ ყანის მნახველი. მაგრამ დახე უბედურებას! ერთ მშვენიერ დღეს მოიქურუშა ცამ პირი, დაუშო სეტყვა და შუალა ყანა სულ მიწაში ჩაიტანა. ის ორი ნაპირისა კი გადარჩა. მოვიდა პატრონი, დაჰხედა ყანას და ჩაჰწყდა გული; მაინც აღარაფერი სთქვა, აიღო ნამგალი, გადიდო მხარზედ და გაუდგა გზას ბედის საძებნელად. იარა, იარა და ერთ მდიდარ კაცთან მივიდა; ასი დღის ყანა ედგა იმ მდიდარ კაცს. მივიდა და უთხრა: რას მომცემ, რო ეგ ასი დღის ყანა ერთ დღეს მოგიმკოვო?—შუაზე გაგიყოფო, უპასუხა მდიდარმა კაცმა. წავიდა ჩვენი ნაცნობი ვაჟი და დაუწყო ულოს გრეხა. შუადღემდის ულო გრიხა, მერე მოუდო ნამგალი და გაუსო. ის იყო ერთი ძნა ლა ჰქონდა შესაკრავი, რო ჩავიდა მზეც. მოუხადა ვაჟმა ქუდი მზეს, შეევედრა: ნუ ჩახვალ ჯერ, ცოტა მოიცადეო, მაგრამ მზემ აღარ მოიცადა. შაკრა ის ძნაც, და მოვიდა ყანის პატრონიც; ძალიან გაუკვირდა ასეთი იმისი მკა და უთხრა: გავიყოთ შუაზედ ეხლა, როგორც პირობა გვაქვსო. მაგრამ მომკალმა არ უსმინა, გადუგდო ნამგალი და უთხრა: მაინც ბედი არ მაძლევს და არ მაძლევს. პირობა ვერ შევასრულე დროზედ. შენ შენთვის და მე ჩემთვისო. წავიდა, წავიდა... ბევრი იარა, ცოტა იარა, მივიდა ერთ ხემწიფესთან და დაუდგა მეცხვარედ ოთხი წლის ვადით; იმ პირობით, რომ არც მგელს რამე შაეჭამა იმ ოთხ წელში, არც ჭირს მოეკლა, ერთისიტყვით, ბეწვი არ უნდა დაჰკლებიყო. ბოლოს შუაზედ გაიყოფდნენ, ნახევარს ერთი წაასხავდა, ნახევარს მეორე; თუ დააკლდებოდა რამე, მეცხვარე ცარიელი უნდა წასულიყო. დადგა ვაჟი მეცხვარეთ. გავიდა ოთხი წელი, ერთი თიკნის ყური არ დაჰკლებია, ისე ააშენა ცხვარი, რომ მიწას უმძიმდებოდა. ის იყო, ბაკში ერეკებოდა მეცხვარე ცხვარს გასაყოფად, რომ უცებ

ერთი მგელი გამოიქცა, ეცა ერთ ცხვარს, მოიტაცა და გააქანა ტყისაკე. ხემწიფე მაინც შუაზედ უყოფდა ცხვარს, მაგრამ მეცხვარემ გადუგდო კავი და წავიდა თავის გზაზედ. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მივიდა ერთ მდინარესთან, დაჯდა და დაისვენა. გაიხედა და დაინახა, რომ სამი მზის ქალი ჩამოსულან და ებანებიან წყალში; ისეთი მშვენივრებია, რომ კაცის თვალი იმათზე კარგს ვეღარასა ჰნახავს. ადგება ეს კაცი, მიეპარება ამ ქალებს, მოიპარავს ერთს და გამოიქცევა. ირბენს ბევრს, ირბენს, გაიყვანს ქალს ერთ ტრიალ მინდორზედ, გაუკეთებს ქოხს და დადგებიან იქ. მაგრამ არაფერი კი არ ებადებათ. ქმარი აღარც სამუშაოდ წავიდა: სადაც ვიყავ, რასაც ხელი მოვკიდე, კი არ იყო ჩემი ბედი და ეხლა სადღა უნდა წავიდეო. ქალს ერთი ნატვრის ბეჭედი ჰქონდა. მისცა ის ბეჭედი ქმარს და უთხრა: ჩემი ქრთამი და მზითევი ეს არის, ამის მეტი მე არაფერი მაბადია და არც შენაო. მიწაზედ დაჰდებ, სუფრა გაიშლება, სუფრაზედ დაჰდებ სასმელ-საჭმელი ჩამორიგდებაო. ჩამოიტან ქვევით, ჭურჭელი დარიგდება, აიტან და ჩამორიგდებაო. დიახ გაიხარა ქმარმა. უსაზომო შვებას მიეცა. ხემწიფის დაპატიჟება ჩაიდვა გულში. ცოლმა უშალა, შენს ქერქში იყავ, მიუწვდომელს ნუ ეწვდები. ხემწიფის სტუმრობა ადვილი ნუ გგონიაო. „აზნაურის სტუმრობაო, ნუ გგონია ხუმრობაო.“ ეგ ერთი ბეჭედი გვიგდია, და გაკვირვებით გინდა ეგეც თავიდამ მოიშოროვო.—არ იქნება და არ იქნებაო, გაუნია ქმარმა, უნდა დავპატიჟოთ და ჩვენი გლეხური ცხოვრება ვაჩვენოთო. ნახონ, რომ ჩვენც შეგვიძლიან ხემწიფეს გაუმასპინძლდეთო. ადგება მეორე დღეს ეს კაცი და გაჰწევს ხემწიფესთან დასაპატიჟებლად, მიართმევს საჩუქარს და ჰთხოვს, გაგვაბედნიერეთ და მობძანდით ჩვენსა სადილადაო. ხემწიფეს გაეცინა: შენ რა ხარ, შენი სადილი რა უნდა იყვესო. მაინც უთხრა, რომ მე კი ვერ წამოვალ და ნაზირ-ვეზირს გამოგაყოლებო. ხემწიფემ დაიბარა ნაზირ-ვეზირი და უბრძანა, რომ წადით, ნახეთ, ეს კაცი რო მეპატიჟება, რაზედ მეპატიჟება, აქვს რამე თუ აბუჩად მიგდებსო. გაუძღვება კაცი და გაჰყვებიან ნაზირ-ვეზირიც ჯარით. გზაზედ რო მიდიან, ჯარსაც და ნაზირ-ვეზირსაც პური მოჰშივდათ. მოკლეს ერთი ხოხობი, მისცეს ბიჭს და გაგზავნეს შესაწველად ქოხში. სწვავს ხოხობს ბიჭი, თვალი მზის ქალზედა აქვს. ისე მოხიბლა ქალმა, რომ სრულებით დაავიწყდა თუ ხოხობსა ჰწვავდა. ნახევარი ხოხობი სულ ჩაებუგა. წამოუღო ნაზირ-ვეზირს დამწვარი ხოხობი. ჰკითხვენ მიზეზს, რად დაჰწვი ხოხობიო.—ღმერთმანი, ესე, ესე ერთი ქალი იყო ამ კაცის ქოხში, ისე მომტაცა გონება, რომ ველარაფერი გავიგეო. ნაზირ-ვეზირმა დააჩქარეს ჯარი, შესხდნენ და გაჰწიეს იმ ქოხისაკე, ქალის ნახვა მოუნდათ. მივიდნენ შორი ახლოს და ჩამოხტნენ. ჩამოურიგა მზის სიძემ ბეჭედი ცხენებს, და სათითაოდ თივა დაედო და ქერიანი თოფრები ჩამოეკიდა. აატარა მეორე და ცარიელი თოფრები ჩამოჰხსნა. დადვა ბეჭედი და გაეშალა სუფრა ჯარს. მოვიდა და მოვიდა საჭმელი და სასმელი, სულ ახალი და ახალი. ნაზირ-ვეზირი გაკვირვებულები იყვნენ: სახლი კი არსად უდგა, არაფერი უჩანს და ეს რა ამბავიაო. ნახეს ახლა იმის ცოლი და სულ ჰკუაზედ შე-

შალნენ. გაუმასპინძლდა მშვენივრად მზის სიძე და გააკვირვა ნაზირ-ვეზირი. მოვიდნენ ხემწიფესთან ნაზირ-ვეზირი.—როგორ გაგიმასპინძლდათ ის ჩემი ყმაო, ჰკითხა ხემწიფემ. ნაზირ-ვეზირმა ძალიან უქეს,—სულ უცეცხლო საჭმელები გაგვიკეთაო; მაგრამ იმას რომ ცოლი ჰყავს, იმისთანა კი აღარაფერი იქნებაო. ის იმას კი არ უნდა ჰყვანდეს, ხემწიფეს ეკადრებაო. იმას ცოლი წაართვით და თქვენზე ბედნიერი აღარავინ იქნებაო.—როგორ წავართვაო, ჰკითხა ხემწიფემ, უმიზეზოდ ცოცხალი არ დამანებებსო. ნაზირ-ვეზირმა ურჩიეს: დაიბარე ის კაცი და შეუკვეთე: მზეს რო ოქროს ერკემალი ჰყავს, ის მომიყვანეთქო. ის იქ წავა, იქიდან ველარ მოვა, და ცოლი შენ დაგრჩებაო. მაშინვე დაიბარა ხემწიფემ მზის სიძე და უთხრა: უნდა წახვიდე და, მზეს რო ოქროს ერკემალი ჰყავს, ის მოიყვანოვო. დაბრუნდა შინ მზის სიძე, შეჰჩივლა ცოლს: ხემწიფე მზესთანა მგზავნის, ოქროს ერკემალი უნდა მოვუყვანოვო.—ეხლა რაღა ეშველებაო, უთხრა ცოლმა, ეგ წინათვე უნდა გევიქრა, ეხლა ჯავრობით ველარაფერს გააწყობ, ისევ ისა სჯობია, აჰდგე და შეუდგე გზასაო. მიჰცა ნიშანი და გაგზავნა. ბევრი იარა მზის სიძემ, ბევრი ქვეყანა გაიარა, გაათავა სახმელო და სამზეოს მოება. იარა, იარა და მივიდა იქ, სადაც მზე და მთვარე იყვნენ. მზე სამგზავროს ყოფილიყო, ქვეყანაზე წასულიყო სანათობლად. მთვარემ ნახა მზის სიძე, იცნო და ძალიან გაუხარდა. დედას ახარა, ჩვენი სიძე მოვიდაო.

გამოჰკითხა სიძეს მისვლის მიზეზი. სიძემ უამბო ყველაფერი. მთვარემ უთხრა: მზე მოვა, შენ ვერ გაუძლებ იმის ნათელს და დაიწვებიო; აქცია ნემსად და შეარჭო ბოძში. საღამოზედ მოვიდა მზეც,—სულიერის სუნი მოდისო, დაიძახა მზემ, ვინ მოსულა ჩვენს საბრძანებელშიო.—რას ამბობო, გაუჯავრდა მთვარე, ქვეყანაზედ შენ დაჰქიხარ, შენ მოგყვებოდა სულიერის სუნიო. მართლა, შენი სიძე რო იყვეს აქ, ხომ არ დაჰწვავო.—არაო, უფიცა მზემ, ოღონდ თვალით კი მაჩვენეთ, როგორი კაცია ჩემი სიძეო. აქცია მთვარემ სიძე ისევ კაცად და წამოაყენა მზის წინ. მზე მიესალმა სიძეს და გამოჰკითხა მისვლის მიზეზი.—ხემწიფე შენ ქალს მეცილებაო, უთხრა სიძემ; გაუგონია, მზეს ოქროს ვერძი ჰყავს, და გამომგზავნა იმის მოსაყვანადაო. —ფიქრი ნურაფრისა გაქვსო, გაუმაგრა გული მზემ. წამოდი, ჩემს ბაღში დაისვენეო. შევიდა ბაღში ვაჟი; ნახა სადაც რამ იყო, საშინლად მოეწონა. მართლაც მშვენიერი რამ იყო: ზოგი მწიფე იყო, ზოგი მაშინა ყვაოდა, ზოგი მაშინ იფოთლებოდა, ზოგს კი ჩამოჰქონდა.—მზემ უთხრა სიძეს: აქ ბაღში იყავ, და სადილს მგელი და ელია მოგართმევენო. . მოჰშივდა მზის სიძეს, დაჯდა და დაუწყო მოლოდინი. მოვიდა მგელი და მოუტანა სუფრა, მოვიდა ელია და მოართვა სასმელ-საჭმელი. მზის სიძეს ერთი კობალი ჰქონდა; გაიკითხა მგელი იქით და ჰკითხა: მე რომ ოთხი წელიწადი ერთი თიკნის ყურიც არ დამკლებია, ისე უვლიდი ცხვარს, და ყავლის გათავების დროს შენ რო მოხველ და მომტაცე, რადა ჰქენ ეგ საქმეო? წაუდო და წაუდო მგელს, იმდენი ჰცემა, რამდენიც ენება. მერე გაიკითხა ელია და იმასაც ჰკითხა: მე რომ სამს მამულში შუა მამული მექირა, შენ წამოუშინე სეტყვა და სულ მიწაში ჩაატანინე ჩემი ყანა, რადა ჰქენ ისეო. დაუდო და

დაუდო იმასაც. ჰკრა კომბალი თვალებში და გამოაჩიჩქნა; დაჯდა მერე და შეექცა სადილს. მერე ადგა. დაურიგდა მზის ბაღს და ამტვრია და ჰკრა ხეხილი, გაატიალა და გააუკრანავა ერთიან. მერე დაჯდა და დაისვენა. წავიდნენ მგელი და ელია მზესთან საჩივლელად. მივიდა მზე სიძესთან და ნახა, რომ ბაღიც ისე გაუუკრანებია, რომ მტერს აეტირება.—რათა ჰქენ მანგრეო? ჰკითხა სიძეს.—თქვენ რაღა ჰქენით ისე, რომ ერთი საწყალი მამული მეგდო, წამოუშინა ელიამ სეტყვა, გამიოხრა; ოთხი წელიწადი ხემწიფეს ტყუილად ვემსახურე, წილი დამაკარგვინა მგელმაო. ან მე რო ათასი დღის ყანა ერთ დღეს მოვმკე, შევკონე, ერთი ძნა ღა მქონდა შესაკრავი, გთხოვე, მოიცადე, ნუ ჩახვალო, და შენ ყურიც არ შეიბერტყეო. მზემ ვეღარაფერი უთხრა; მიჰცა ოქროს ვერძი და გაისტუმრა მშვიდობით. მოუტანა ოქროს ვერძი ხემწიფეს. ხემწიფეს იმედი დაეკარგა ქალის ხელში ჩაგდებისა; ნაზირ-ვეზირს ჰკითხა: რაღა მეშველებაო. ნაზირ-ვეზირმა ურჩია, რომ საიქიოს გაგზავნე, თქვენმა მშობელმა დედამ რო ბეჭედი წაიღო, ის მოგიტანოსო. დაიბარა ხემწიფემ მზის სიძე და უბძანა: საიქიოს წადი, ჩემმა დედამ საიქიოს ბეჭედი წაიღო, და ის მოიტანეო. მივიდა ცოლთან მზის სიძე და შეჰჩივლა: ხემწიფე ახლა საიქიოსა მგზავნის, შენი თავი უნდა წამართვასო. ცოლმა ერთი ვაშლი მიჰცა და უთხრა: გააგორე ეს ვაშლი, და სადაც ის წავიდეს, გაჰყევ შენც კვალზედაო. აიღო ვაშლი მზის სიძემ, გააგორა და გაჰყვა კვალზედა. მიგორავს ვაშლი და აი გამოვა ერთ ტუზ მინდორზედ. ერთი ირემი დგა, რქები ცამდისა აქვს აწვდილი.—გამარჯვება შენიო, ეტყვის მზის სიძე ირემს.—გაგიმარჯოსო, უპასუხებს ირემი. სად მიჰდიხარ, აქ რამ მოგიყვანაო? ჰკითხა კიდევ ირემმა.—საიქიოს მივდივარ, ხემწიფის დედას ბეჭედი უნდა გამოვართვა და მოვუტანოვო.—მეც რამე წამალი მომიტანე, რქებს ვეღარ ვზიდავო, შეეხვეწა ირემი. გაჰცდა ირემს მზის სიძე და მოვიდა ერთ კლდესთან. შიგ ერთი ხარი აბია; არც სასმელი წყალი აქვს, არც საჭმელი ბალახი, მაგრამ ისეთი მსუქანია, რომ ხორცი ასკდება სიმსუქნით. მზის სიძეს ძალიან გაუკვირდა, ხარსა ჰკითხა: არაფერს კი არა ჰჭამ, და რამ გაგასუქა მაგრეო? რო ჩამოივლი, მაშინ გეტყვიო, უპასუხა ხარმა. გაჰცდა ამას მზის სიძე და ერთ მშვენივრად მორთულ მინდორზე გამოვიდა. ნიავის ქროლაზედ ბალახი ზღვასავით ღელავს; წყაროებს ჩუხჩუხი და ღურღური მოაქვს ბალახების შუა. მინდვრის შუა ერთი ხარი სდგას, პირ აკრულია, ვერც არაფერსა ჰჭამს და ვერც არაფერსა ჰსვამს. ისეთი მჭლეა, რომ კაჭკაჭი ვერაფერზე გამოეზიდება. გაკვირვებული მზის სიძე იმასაც ჰკითხავს: რამ გაგხადა მაგრე, ასეთი სასმელი და საჭმელი წინა გაქვსო. ხარმა არაფერი უპასუხა:—ამვლელი ბევრი მინახია, გამომვლელი კი აღარც ერთიო.

მზის სიძე გაჰცდა მჭლე ხარს და ერთ მღვდელს შეჰხვდა: ზურგზედ საყდარი ჰკიდია, დადის და სადაც ერთ კაცს ჰნახავს, დაჰდგამს და ულოცავს. მზის სიძე მღვდელსაც მიესალმა. მღვდელმა მგზავრობის მიზეზი ჰკითხა, და მზის სიძემ კიდე საყდრის ზურგზედ აკიდებისა. მღვდელმა ჰთხოვა: საიქიოს რაკი მიხვალ, შამიტყე, რა უყო ამ საყდარს, მუდამ ზურგზედ ხომ არ მეკიდება, ამბავი მომიტანეო. გაჰცდა იმასაც ვაჟი და წავიდა; ბევრი ია-

რა, ცოტა იარა, მივიდა ერთ ადგილას,—ცულის ტარზედ ცოლი და ქმარი წვანან; ერთმანერთს ეხვევიან, ჰკოცნიან და ცულის ტარი იქით და აქეთ კიდე გაჭარბებულია. მზის სიძე გაკვირვებული შესცქეროდა საკვირველ ცოლ-ქმარს.—თუ ღმერთი გწამსთ, ეგ როგორ არის, რომ ცულის ტარზე ჰწევხართ ორი სული და იქით და აქეთ კიდე ადგილია დარჩენილიო. —ამვლელი ბევრი გვინახია და ჩამომვლელი კი აღარავინაო! უპასუხეს ცოლ-ქმარმა: აიარე, ჩამოიარე და მაშინ ყველაფერს გიამბობთო. გაჰცდა ამათაც გაკვირვებული მზის სიძე და წავიდა. ბევრი იარა, ცოტა იარა, მივიდა ერთ ცოლ-ქმართან: კამეჩის ტყავზედ დაწოლილან, ერთი იქით გორავს, ერთი აქეთ და კიდე ერთმანერთს ჰწიხლავენ: იქით მიწექ, მიიწიე, იქით მიწექო! მზის სიძე მივიდა, სალამი მიჰცა და ჰკითხა: ეგ რა უბედურებაა თქვენ თავს, რომ კამეჩის ტყავზედ ჰწევხართ და კიდე ვიწროდ გეჩვენებათო.—ამვლელი ბევრი გვინახია, ჩამომვლელი კი აღარავინაო! უპასუხეს ცოლ-ქმარმა: წადი და, თუ ჩამოივლი, მიზეზს მაშინ შეიტყობო. გაჰცდა ამათაც მზის სიძე და მიდის. გზაზედ ერთი დედაკაცი შეჰხვდება: მოუგროვებია კვერცხები და კოშკს აშენებს. აიყვანს ცოტად, ააცილებს მიწას, იგრიალებენ კვერცხები და ჩამოცვივიან დაბლა. ის ხელახლად მოჰყვება და აშენებს კოშკს. მივა იმასთან მზის სიძე და გაკვირვებით ჰკითხავს: რას შვრები, კვერცხების კოშკი სხვას ვის აუშენებია, რომ შენ ააშენოვო!—ჩამოიარე და მაშინ გეტყვი მაგის მიზეზსაო, უპასუხა დედაკაცმა. გაჰცდა ამ დედაკაცსაც მზის სიძე და წავიდა თავის გზაზედ. გზაზედ ერთ თონეს მიადგა. ერთი დედაკაცი სდგას და აცხობს პურს. ჩააკრავს თეთრ პურს, როგორც ბამბა, და ამოიღებს ისეთ შავს, როგორც ნეხვი. მზის სიძე მივა იმასთან და გაკვირვებული ჰკითხავს: ეგ რისგან არის, რომ თეთრ პურს ჩააკრავ და შავს, საძაგელს ამოაკრავო.—ჩამვლელი ბევრი მინახია, ამომვლელი აღარც ერთიო, უპასუხა პურის მცხობელმა დედაკაცმა; ჩაიარე და, თუ ამოივლი, მაშინ გეტყვიო. გაჰცდა იმასაც მზის სიძე და წავიდა. გზაზედ ერთი კაცი ნახა: ხევზედ ხიდადა ძევს; ვინც გაივლის და გამოივლის, ყველა იმაზედ გახდება და გამოხდება.—ეგ რა ამბავი, შენს თავსაო? ჰკითხა მზის სიძემ კაც-ხიდას.—ჩამვლელი ბევრი მინახია, ამომვლელი აღარც ერთიო, უპასუხა კაც-ხიდამ: ჩაიარე და, თუ კიდევ ამოივლი, მაშინ გეტყვიო. გაჰცდა იმასაც მზის სიძე და მივიდა ხემწიფის დედასთან. —შვილმა დაგიბარაო, უთხრა ხემწიფის დედას, მანდ რო ბეჭედი წაიღე, ის გამომიგზავნეო. მიჰცა ბეჭედი მზის სიძეს ხემწიფის დედამ და უთხრა: წაიღე, მიეც ჩემ შვილს და უთხარ: დედამ დაგიბარა: რადგანაც აქაც არ მაძლევ მოსვენებას და მაშფოთებ, შენამც იქნები წყეულიო. შენი საქმე ისე მოვიდეს, რომ შენმა ვეზირებმა შეგჭამონო! მზის სიძემ ჰკითხა: ესე, ესე, გზაზედ ერთი ირემი ვნახე, რქები ცამდისა ჰქონდა აწვდილი, სიარული აღარ შეეძლო, წამალი დამაბარა და, თუ შეიძლება, მასწავლეო. ერთი მღვდელი იყო კიდევ, ზურგზედ საყდარი ეკიდა, სადაც ერთ კაცსა ჰნახავდა, მიიტანდა, დაჰდგამდა და იქ ულოცავდაო. იმასაც დაუბარეთ, რა უყოს იმ საყდარსაო. ხემწიფის დედამ უთხრა: ირემმა მაისის წყალი დალიოს და გაჰცვივა რქე-

ბით; მღვდელმა კიდე წაიღოს ის საყდარი, დადგას შუა სოფელში; დაჰკიდოს ზარები, ლოცვაზედ რო დგებოდეს, დარეკოს ზარები, ვისაც ლოცვა უნდა, მოვა და ილოცავსო; ვისაც არ უნდა—არ მოვა,—შენი ბრალი არ იქნებაო... წამოიღო ბექედი და წამოვიდა მზის სიძე. გზაზედ კაც-ხიდას შეჰხვდა. ჰკითხა მიზეზი ისე ტანჯვისა. კაც-ხიდამ უთხრა: მე ხიდი მებარა, ზედ არავის გავატარებდი უფასოდ, საწყალი და გაჭირვებული არ ვიცოდი, ყველის ერთნაირად ვაძრობდი ტყავს და აი, ეხლა ხომ ჰხედავ, როგორა ვარო. გაჰცდა ამას მზის სიძე და წამოვიდა თავის გზაზედ... პურის მცხობელმა დედაკაცმა უთხრა: მე იმ ქვეყნად ისეთი წუწკი ვიყავ, რომ პური რო ჩამეკრა და იმ დროს ან მშიერ მგზავრს გამოევლო ან გლახას, თვალებს ჩავიწვავდი. თონეში, რომ არ დამენახა ისენი და პურის მიცემა არ მომდომოდა. ეხლა ესე ვარ; როგორიც უნდა თეთრი პური ჩავაკრა, მიწად მექცევისო. კვერცხების კოშკს რო აგებდა, იქ მოვიდა. დედაკაცმა უთხრა: მე იმ ქვეყნად კვერცხებს ვიპარავდი და აი ეხლა ესე ვიტანჯებიო. დაჰტოვა მზის სიძემ კოშკის მგებელი და წავიდა თავის გზაზედ. ბევრი იარა, ცოტა იარა, მოვიდა კამეჩის ტყავზე მწოლელ ცოლ-ქმართან. იმათ უთხრეს: იმ ქვეყნად ჩვენ ერთმანერთი გვძულდა; ქვეყანა ჩვენთვის ვიწრო იყო, ვერ ვთავსდებოდით და აი ეხლაც კამეჩის ტყავზედ ვერ ვეტევითო. რამდენიც უნდა გვძულდეს ერთმანერთი, ველარ მოვშორდებითო... მზის სიძე ცულის ტარზე მწოლელ ცოლ-ქმართან მივიდა. იმათ უთხრეს: იმ ქვეყნად ერთმანერთი გვიყვარდა და აქაც გვიყვარსო. მოყვარულ ცოლ-ქმარს ცულის ტარიც არ ეპატარავება საცხოვრებლად, ოღონდ ერთმანერთი ჰყვანდეთ ცოცხალიო. ბევრი იარა მზის სიძემ, თუ ცოტა იარა, მოვიდა იმ მღვდელთან, ზურგზედ რო საყდარი ეკიდა, და მოუტანა ამბავი, ხემწიფის დედის დაბარებული. გაჰცდა მღვდელსაც და იმ ხართან მოვიდა, მშვენიერ მდელოზედ რომ ება, სასმელი და საჭმელი მრავალი ჰქონდა და მჭლე კი იყო. ხარმა უთხრა: მე ჩემ პატრონს არაფერში გამოვადეგო, არაფერს უკეთებდი და აი ეხლა ესე ვარო. მჭლე ხარს რო გაჰცდა, კლდეში რო მსუქანი ხარი ება, იმასთან მოვიდა. მსუქანმა ხარმა უთხრა: მე ჩემ პატრონისთვის თავდადებული ვიყავ, ხარს არა ვღალატობდი და პატრონიც კარგა მივლიდაო. ეხლა თუნდა არც არაფერი ვჭამო და ვსვა, მაინც მსუქანი ვიქნები და მაინცაო. გაჰცდა ამასაც მზის სიძე და წამოვიდა. ირემთან მოვიდა, მოიტანა ამბავი: მაისის წყალი დალიე და გაგცვივაო. დალია ირემმა მაისის წყალი და გაცვივდა რქები. მოვიდა და მოიტანა მზის სიძემ ხემწიფეს დედის ბეჭედიც და წყევლაც... იქცა ხემწიფე კურდღლად, ნაზირ-ვეზირი მგლებად და შეჭამეს. სახემწიფო და ტახტი მზის სიძეს დარჩა.

ჭირი იქა და ლხინი აქა,<br>
ქატო იქა და ფქვილი აქა.

## 22.—„იმ რა უთხრა ვარდსა, ვარდმა რა უთხრა იასა".

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი დიდი და დიდებული ხემწიფე; ჰყვანდა სამი ვაჟი-შვილი. სამივეს ნადირობა საშინლად უყვარდათ და ყოველ ცისმარე დღეს სანადიროდ დადიოდნენ. ერთ დღეს ძმები სანადიროდ ერთ უცხო მთაში წავიდნენ: ნადირი ბევრი იყო; ინადირეს, დახოცეს ნადირი, მოეწონათ ადგილი, გაშალეს კარავი და დადგნენ. იმ ღამეს კარავში ეძინათ, დილით ადგნენ და სანადიროდ წავიდნენ ტყეში. იმათ წასვლაზე მოვიდა ერთი გველი და შემოეხვია კარავს, საღამოზედ დაბრუნდნენ ძმები; ნახეს კარავს გველი შემოჰხვევია, დაუშინეს თოფები, მაგრამ ტყვია არ მიეკარა გველსა. რაკი ველარაფერი გააწყეს, ჰკითხეს გველს: გვითხარ, რა გინდა ჩვენგან, მოგვთხოვე და კარავი კი დაგვანებე. გველმა უთხრა: მე სხვა არაფერი არ მინდა, არც არას ბევრსა გთხოვთ, ის შემიტყეთ: „იმ რა უთხრა ვარდსაო, ვარდმა რა უთხრა იასაო." ძმები დაღონდნენ; ვინ რა იცოდა, იმ რა უთხრა ვარდსა და ან ვარდმა იასა. ბოლოს უმცროსი ძმა ადგა და სთქვა: მე წაველ, ერთი წლის ვადა მომეც, და ეს ჩემი ძმებიც გებარებოდესო. ილოცა ღმერთი და გაუდგა გზას; ბევრი იარა, ცოტა იარა, გამოვიდა ერთ ტრიალ მინდორზედ, სამი კაცი ნახა, სამივე ძმები ყოფილიყვნენ: უფროსი ძმა პირტიტველი იყო, მაშინლა ამოჰდიოდა წვერი; შუათანა ჭაღარა იყო და პატარა ძმა სულ ბატივით თეთრი იყო, მგზავრი მივიდა, მიესალმა და, რაკი გაიგო, რო ძმები იყვნენ, ჰკითხა, ვინ არის უფროსიო? იმათ პირტიტველასი უთხრეს, უფროსი ის არისო. მგზავრს ძალიან გაუკვირდა, ჰკითხა, ეგ რისგან არისო. იმათ უთხრეს: სად მიხვალო?—იქ მივდივარ სადაც „იმ რა უთხრა ვარდსა და ვარდმა რა უთხრა იასაო." გველმა გამომგზავნა, კარავს შემოეკრა და აღარ გვიშვებსო, პასუხი უნდა მიუტანოვო.

კაცებმა სთქვეს: ის წყეული ისევ ცოცხალიაო! ამ გზაზედ ჩამვლელი ბევრი გვინახია, ამომვლელი კი აღარავინაო; რო ამოივლი, ყველაფერს მაშინ გიამბობთო. აჩვენეს თავის სასახლე, დალოცეს, და წავიდა. ბევრი იარა და ერთ ტრიალ მინდორზედ გამოვიდა. იმ მინდორზე ერთი ხე იდგა. იმ ხეზედ ფაშკუნძი ბუდობდა. გამოჰჩეკდა ყოველ წელიწადს ბარტყებს ფაშკუნძი, მაგრამ მოფრინდებოდა არწივი და ფაშკუნძის არ ყოფნის დროს დაუჭამდა ბარტყებს. მგზავრი მივიდა და დაისვენა ხის ძირას. უცებ არწივმა მოიღო ხუილი; მომართა მგზავრმა შვილდი, ესროლა ისარი და ჩამოაგდო. მოფრინდა ფაშკუნძი; ნახა არწივი მკვდარი, შვილები ცოცხლები, სიხარულს მიეცა. მგზავრს ჰკითხა: რა სულიერი ხარ, რომ შვილები გადამირჩინე და ეგეთი სიკეთე მიყავით. რა გინდა, რასა მთხოვ, რომ მოგცეო.—მე

ქვეყანაზედ არაფერი არ მინდა სხვა, ის ალაგი მაჩვენე—„იამ რა უთხრა ვარდსაო, ვარდმა რა უთხრა იასაო."—იმ წყეულმა გამოგგზავნაო? ჰკითხა ფაშკუნძმა. ეგ ალაგი ქვეშქნეთს არის; ქვეშქნეთის ხემწიფე გეტყვის, მაგრამ მოგკლავსო. მაგრამ, ღვთის შეწევნით მე გადაგანარჩუნებ, რადგან შენ მე გადამინარჩუნე შვილებიო. ერთი ფთე მისცა: ეს ფთე დახრუკე, როდესაც შველა დაგჭირდეს, და მე იქ დავიბადებიო. დაისვა მხარზედ მგზავრი, დაიჭექა, გაიხსნა მიწა, და ჩაიჭრა ქვეშქნეთს. ფაშკუნძმა მიიყვანა და დასვა ვაჟი იმ ალაგას, სადაც ეს ამბავი ითქმებოდა... ერთ ქვაზედ იჯდა. მოვიდა ხემწიფე და ჰკითხა: შვილო, რა გინდა რისთვის მოჰსულხარო?—მე ის მინდა, „იამ რა უთხრა ვარდსაო, ვარდმა რა უთხრა იასაო," უპასუხა ბიჭმა. გეტყვი, შვილო, და მოგკლავო, უპასუხა ხემწიფემ; თუ გინდა, ნუ მათქმევინებ, და არ მოგკლავ, წადიო, აი ასს კაცს ერთი-და მიკლია მოვკლაო, და ორი ათასიც ცოცხლები მყავს და ვინახავო. თუ გინდა, აქ შეგინახავ, და თუ არა, და წადიო. თუ გეტყვი—მოგკლავო.—არა, მითხარო, უთხრა ბიჭმა. დასხდნენ და დაიწყეს ბაასი. უპასუხა ხემწიფემ: მე მყვანდა ისეთი ლამაზი ცოლი, რომ ბნელა ღამეს ანათებდაო. იმ სილამაზისა ერთი ქალი გამეზარდა; იმაზედ უკეთესი იყოო. მე ერთი მათრახი მქონდა, რასაც დავკრავდი, რათაც მინდოდა, იმად ვაქცევდი, მინდოდა ძაღლად, მინდოდა ჯორად და ცხენადაო. ჩემი მათრახის ძალა ჩემმა ცოლმა კი არ იცოდაო, როცა შვილი გამეზარდა, იმას ვასწავლეო; იმან კიდე დედას ასწავლაო. თურმე იმ ჩემ ცოლს კურო ჰყოლია, უვლია იმასთან; იმ არაბსაც უვლია ჩემ ცოლთან. ერთხელ ჩემი ცოლი და ქალი საბოზრათ წავიდნენ, თან მოსამსახურე წაიყვანესო. წინ მე წაველ. როდესაც ისენი კუროსთან მივიდნენ, მე იქ ვიყავი დამალულიო. მოვიდნენ, ისადილეს და წავიდნენ სახლში. ისენი რო წავიდნენ, მე გამოველი საფარიდამ, შეუვარდი არაბს, მოვჭერ თავი, წამოვიღე სახლში და დავმალე. დილა რო გათენდა, სტოლზე დავდევ. ჩემმა ცოლმა, იცნა, წამოხტა და ის მათრახი დამკრა. მაქცია ძაღლად; ისეთი დღე დამაყენა, რომ მტერსაცკი შევებრალებოდიო. სამ დღეში ერთხელ მაჭმევდა; შიმშილით და წყურვილით სულს მართმევდაო. ის კიდენ ჩემ თვალის წინ სხვა საყვარელს ეხვეოდაო. მუდამ დღე ამ დუხჭირში ვიყავიო. ერთხელ ჩემი ცოლი და ქალი სხვაგან წავიდნენ. ერთი მოახლე მყვანდა: იმ მოახლემ ის მათრახი დამკრა, და ისევ კაცად ვიქეო. მერე ის მათრახი დავიჭირე ხელში და, როცა დედა და შვილი მოვიდნენ, გადავკარ მათრახი, ცოლი წყლად ვაქციე, და აი ეხლა ჩემ წინ მიდისო. ნაგავი და ნეხვი შიგ ჩადისო; ღორები და ძაღლები შიგ იწუმპებიანო. ქალი ვერ გავიმეტე თვალით საყურებლად, დავწყევლე და ის არის ჩემი შვილი, რომელმა გველმაც შენ გამოგგზავნაო. ეხლა რომ შენ წახვიდე და ყველა ეს ამბავი ჩემ ქალს უამბო, ის ქალად იქცევა, ეს ჩემი ცოლი აქ ისევ დედაკაცად იქცევა და იმავე ტანჯვაში ჩამაყენებენ, რა ტანჯვაშიაც წინათ ვიყავიო. აბა ცოცხალი რათ უნდა გაგიშვაო. ეს ლაპარაკი რო გაათავა ხემწიფემ, ბიჭებს უბრძანა: აბა, ბიჭებო, მოჰჭერით თავიო! ვაჟმა უთხრა: ყალიონს დაჩვეული ვარ, ერთი კიდევ მომაწევინეთ სიკვდილის წინ და ისე

მომკალითო. მოუტანეს ჩიბუხი და ცეცხლი, დაიწყო წევა. ამოიღო ფაშკუნძის მიცემული ბუმბული, დაადო ყალიონს და დაუწყო ტრუსვა. ამ დროს იქექა ფაშკუნძმა, ერთ წამს დიეშო ვაჟთან, მოიტაცა, შეისვა მხრებზედ და ერთიან აიტაცა ზე ქვეყანას. ვაჟი გადარჩა, ხემწიფემ ველარ მოკლა.

წამოვიდა ვაჟი და მოვიდა იმ სამ კაცთან, გზაზედ რომ შეჰხვდნენ: უფროსი რო უწვერული იყო, შუათანა ქალარა და უმცროსი სულ გათეთრებული. პირველად უმცროსთან მივიდა.—აბა ეხლა მითხარ, რათა ხარ გათეთრებული, ბოლო რამ მოგიღოვო? იმან უთხრა: ისეთი საძაგელი ავი ცოლი მყავს, რომ ღმერთიც კი რო მივიყვანო სახლში, იმასაც კი გაჰლანძღავს და გაათრევსო, მე ხომ მლანძღავს და მკრულავსო. ერთი წუთი მოსვენება არა მაქვს, ქვეყანაში თავი არ გამომეყოფაო. იმის ჯავრმა და ვარამმა გამათეთრა და მომხარა წელშიაო.

შუათანა ძმამ უთხრა: ჩემი ცოლი ცოტა უკეთესიაო, მაგრამ წმინდა წყლისა არც ის არისო; არც ის მაყრის ხეირსაო. მეც იმან გამათეთრა და უდრო-უდროდ დამაბერაო.

უფროსმა ძმამ უთხრა: რაც უნდა გაჯავრებული მოვიდე სახლში, რაც უნდა ჯავრი მაწვეს გულზედ და პირი არ მეღებოდეს, მოვა ჩემი ცოლი, ისეთ სიტყვას მეტყვის, ისე მომექცევა, რო სულ სიცილით დავსუსტდებიო, და რაღა დამაბერებს იმის შამყურებელსაო. გამოეთხოვნენ ერთმანეთს, დალოცეს ერთურთი და განშორდნენ. ვაჟი თავის გზაზედ წამოვიდა. ის ერთი წელი ისე წასულა და გაპარულა, რომ ერთი დღე-ღა აკლია მისვლას. ვაჟმა მშვილდ-ისარი მოიხსნა, ისარი გაჰტყორცა. ისარი გველთან დაერჭო. გველმა თქო, მოდისო. სიხარულით ზეცას ეცა, მიწას დაეცა, ცხრა მთას იქით გადვიდა, ვიდრე ბიჭი კარავთან მოვიდოდა, ის გველი კიდენ მალე მოვიდა; შავიდა უმცროსი ძმა, და ძმებიც იქ დახჰვდნენ. დაჯდა ეს ბიჭი და დაუწყო გველს მასლაათი, ყველაფერი უამბო ხემწიფის ნათქვამი. გაათავა თუ არა მბობა, იქცა გველი მშვენიერ ქალათ, და ქალი და ვაჟი გადაეხვივნენ ერთმანერთს. გახდნენ ცოლი და ქმარი... მას შემდეგ ეს ამბავი დაუვიწყარია და იტყვიან ამბად.

ჭირი იქა, ლხინი აქა;
ქატო იქა, ფქვილი აქა.

(ვეჯინში გაგონილი.

## 23.—ანანა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ხემწიფის შვილი; ჰქონდა ერთი ბაღი. ბაღში ორი მწვანილის კვალი ჰქონდა გავლებული. ერთ კვალში ეთესა პრასა და მეორეში კამა. ხემწიფის შვილი ისე არა ჰჭამდა პურსა, რომ არ ჩამოსულიყო და იმ კვლებთან არ დამ-

ჯდარიყო. ერთხელ ხემწიფის შვილი ჩვეულებისამებრ ბაღში დადიოდა; კვლებში ერთი ქაღალდი ეგდო; დაწერილი იყო, მაგრამ ვერ წაიკითხა, კი აიღო და სხვას მიჰცა. ქაღალდი ქალად იქცა. ისეთი ლამაზი იყო, რომ იმაზედ მშვენიერს კაცის თვალი ვერაფერსა ჰნახავს. ნახა ერთხელ ხემწიფის შვილმა ეს ქალი, ძალიან მოეწონა, ცოლად შერთვა ინება. ქალსა ჰკითხა: რა გვარი ხარო? ქალმა უპასუხა: გვარი მაქვს „პრასისა“, კამის სარტყელი მარტყიაო. ერთი საწყალი ქალი ვარო. ადგა ხემწიფის შვილი, ანანას თავი დაანება და სხვა ცოლი შეირთო,—უხეირო გვარისააო. ანანას კი უყვარს ხემწიფის შვილი, უყვარს საშინლად. დაიბარა მთიდამ ირმები ანანამ, დაწველა, ჩაასხა ქვაბში, ჩაჯდა შიგ თვითონ, დუღს რძე, და იბანება შიგ ანანა. ხემწიფის შვილმა დაინახა, რომ ანანა რძეში იბანება; ცოლს უთხრა: ჩვენი ანანა, იცი, რასა შვრებაო: მთიდამ ირმები დაიბარა, დაწველა, ჩაასხა ქვაბში, დუღს რძე, და შიგ ანანა ებანებაო. ცოლმა უთხრა: განა მე ვერა ვიქ მაგასაო. ფურები დაიბარა, რადგანაც ირმები არა ჰყვანდა, დაწველა, ჩაასხა რძე ქვაბში, აადუღა და ჩავიდა შიგ საბანაოდ. ებანა და მოიხარშა შიგ. დარჩა ქვრივად ხემწიფის შვილი. წავიდა ანანასთან ხემწიფის შვილი და ჰკითხა: რა გაქვს გვარიო? ქალმა ისევ ის უპასუხა: გვარი მაქვს პრასისა, კამის სარტყელი მარტყიაო. დაიწუნა ისევ ის გვარი ხემწიფის შვილმა, სხვა ცოლი შეირთო. წავიდა ანანა, დაჯდა მაღლა სართულზედ და დაუწყო აბრაშუმის ტარს რთვა. უცებ კვირიჰტავი გადმოუვარდა; მოიჭრა ანანამ ცხვირი, ჩაგზავნა და ამოატანინა კვირიჰტავი და ცხვირიც ისევ მოიბა. ნახა ეს ხემწიფის შვილმა, წავიდა და ცოლს უთხრა: ჩვენი ანანა საკვირველი ქალიაო; მაღლა სართულში ავიდა, აბრაშუმს ართავდა; კვირიჰტავი ჩამოუვარდა ძირს, მოიჭრა ცხვირი, ჩამოაგდო და აატანინა კვირიჰტავი. მერე ცხვირი ისევ მოებაო.—ეგ რას გაგკვირვებიაო, უთხრა ცოლმა, განა მე ვერა ვიქ მაგასაო. ავიდა ბანზედ, აიტანა ტარი და დაუწყო აბრეშუმს რთვა. კვირიჰტავი ჩამოაგდო, მოიჭრა ცხვირი და ჩამოაგდო. ცხვირმა კვირიჰტავი ვერ აუტანა, აღარც მოება. უდინა სისხლმა, უდინა, და მოკვდა. დაქვრივდა ისევ ხემწიფის შვილი, წავიდა და ანანასა ჰკითხა: რა გვარი გაქვსო? —გვარი მაქვს პრასისა და კამის სარტყელი მარტყიაო, უპასუხა ქალმა. ხემწიფის შვილმა კიდევ გვარი დაიწუნა. ადგა და წავიდა მთაში. მეღორე ნახა, უთხრა მეღორეს: ერთი ღორი მამყიდეთო; სისხლი მე და ხორცი თქვენაო. დააკვლევინა ღორი, უბრძანა: მაგ სისხლში მომთხუპნეთ, წამიღეთ მერე და ანანას წინ დამდეთო. დაკლეს მეღორეებმა ღორი, სისხლი ადინეს, სისხლში მოთხუპნეს ხემწიფის შვილი, წაიღეს და ანანას წინ დადეს. დაინახა სისხლში მოსვრილი ხემწიფის შვილი ანანამ და შეჰძახა:

მზეო-დედაო, მამაო-მთვარეო,
ვარსკვლავებო—ჩემო მზეო!
ჩამოუშვით ოქროს სკამი,
აღარ არის ხემწიფეო!

გაათავა თუ არა ეს სიტყვები, გაიხსნა ცა, და იქიდამ ჩამოეშო ოქროს

სკამი. ადგა ხემწიფის შვილი და მოეხვია ანანას, დაუწყეს ერთმანეთს კოცნა და სურვილება. გახდნენ ცოლი და ქმარი და დასხდნენ ოქროს სკამზედ.

(ვეჯინში მცხოვრებელის გლეხის ქიტია სეფიაშვილის ნაამბობი.)

# 24.—არაბი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ხემწიფე; ჰყვანდა ერთი ცოლი, ერთი ქალი და ერთი რაში. როდესაც ქალს გათხოვების დრო მოუვიდა, ხემწიფემ გაჰცა ბძანება: ვინც მოვა და ჩემ რაშს შეჰკაზმავს, ჩემ ქალს ცოლად იმას შევრთავო. დანიშნულ დღეს მოიყარეს თავი ხემწიფის სასახლესთანა, ვისაც ხემწიფის ქალის შერთვა უნდოდა. გლეხი და თავადი, დიდებული და დაბალნი; ყველა რიგით მოჰყვა რაშის დამორჩილებას და შეკაზმვას, მაგრამ რაში არავის დაჰნებდა, ვერავინ ვერ შეკაზმა და ვერც ქალით გაიხარა. ბევრი კარგი ვაჟკაცი დაბრუნდა გაწბილებული. ბოლოს გამოვარდა ერთი არაბი, ჰტაცა ხელი რაშს, დაიმორჩილა და შეკაზმა. ხემწიფე რას იზამდა, თავის სიტყვას ხომ ვერ გაჰტეხდა: შეუკაზმა რაში, შესვა ზედ თავის მზეთ უნახავი ქალი, მიჰცა არაბს და წააყვანინა. მიიყვანა არაბმა ქალი და რაში, შეიყვანა კოშკში და დააბინავა. ქალი მარტოკა რო დარჩა, დაემხო პირქვე მიწაზედ და დაიწყო მდუღარის ღვრა. იტირა ბევრი, იტირა, დაიღალა. რაშმა ჰკითხა: რა გატირებს, ხემწიფის ქალო, რა დაგმართვიაო?—უშენობაო! უპასუხა ქალმა. განა არაბს რო არ დაჰჭერინებიყავ, სხვა არავინ იყოვო?!—ნუ გეშინიანო, უთხრა რაშმა, თუ შენი თავი არაბს მივეც, განა ეხლა კი აღარა მაქვს იმდენი ძალი და ღონე, რო ისევ წავართვა შენი თავიო. შემჯე ზედ, ერთი ისეთი დამკარ, რომ ერთი საქალმე შენ აგძვრეს ხელიდამ და ერთი შოლტი მეო, მერე კი მე ვიციო. ქალმა ისე ქნა, როგორც რაშმა ურჩია: გამოიპარა კოშკიდამ, შეჯდა რაშზედ, გადაჰკრა მართახი და გააქანა რაში. გაფრინდა რაში ნიავივით და გაიტაცა ქალიც შემოდგომის ფოთოლივით კარგა გზა რო გაიარა, ქალი დაიღალა, ჯანი წაერთვა, დასუსტდა, რაშს უთხრა: ეხლა კი დამასვენე, თუნდა ათი ათასი არაბიც მოვიდეს, მე ველარსად წავალ, მეტი აღარ შემიძლიანო. დაისვენა რაშმა.—იმისი დარდი ნუ გაქვსო, უთხრა რაშმა: განა იმდენი აღარ შემიძლიან, რომ ტოტით მოვკლაო. ქალი დაწვა დასაძინებლად; მოწყვეტილ ვაშლივით მიგორდა ბალახებზედ. ქალს მკვდარივით ეძინა. მზე ძალიან აცხობდა. რაშს ძალიან ებრალებოდა ქალი, გადილოჯა ზედ და ისე უგრილებდა მზეს.

ამ დროს იმაზედ ხემწიფის შვილმა გამოიარა ამალით და ჯარით, სანადიროდ წამოსულიყო, და გზამ იმაზედ გამაატარა. ხემწიფის შვილმა დაინახა მინდორზედ რაში და მაშინვე იქითკენ გააშურა ცხენი. ხემწიფის შვილი გაიტაცა ქალის სილამაზემ; თვალი ველარ მოაშორა ქალს, დააავიწყდა ნადი-

რობაც და ისართ სროლაც; გაალვიძა ქალი და სთხოვა ცოლობა. ქალს მოეწონა ხემწიფის შვილი; მოეხვივნენ ერმანეთს, დაკოცნეს და, გადიწერეს რა ჯვარი, გაჰწიეს სასახლეში.

გავიდა ხანი; ცოლსა და ქმარს ერთმანეთი გულით უყვარდათ. ბოლოს ხემწიფის შვილს ჯარში მოუხდა წასვლა; ცოლი დედმამასთან დააგდო. ქალი ორსული იყო; ეყოლა ოქროს ქოჩრიანი ვაჟი. მაშინვე გაგზავნეს ვეზირი ხემწიფის შვილთან და მიჰწერეს მილოცვის წერილი და ერთი ამბავი. წავიდა ვეზირი; ქალაქს რო გაჰცდა, იქ ერთ დუქანში არაბი დაჰხვდა. ის არაბი წამოსულიყო და იმ ქალაქში გაეღო დუქანი. არაბმა შეიპატიჟა ვეზირი; ჰთხოვა დიდის თხოვნით, მობრძანდიო, მაგრამ ვეზირი არ შებრუნდა: მეჩქარება, ესა და ეს საქმე მაქვს, დამიგვიანდებაო. ძიართვა ვეზირმა ხემწიფის შვილს მამის წერილი, მილოცვა და სიხარული. ხემწიფის შვილს ძალიან გაუხარდა ვაჟის გაჩენა და ცოლის გადარჩომა. ვეზირს დიდად უწყალობა, ცოლთან დიდი სიყვარულის და სურვილის წერილი მიჰწერა და გაუგზავნა, მალე მეც მოვალო. წავიდა ვეზირი. გზაზედ არაბს გამოუარა. არაბი გამოეგება, ჰთხოვა: ჩავლისას არ მობძანდით, ეხლა მაინც მობძანდითო. ვეზირმა იფიქრა: ჩავლისას არ მივბრუნდი, ეხლა მაინც მივბრუნდები, რა დიდი საქმეაო. მიბრუნდა და შეისვენა. არაბმა გამოჰკითხა ყველაფერი და ისიც შეიტყო, რომ წერილი მოაქვსო. გაუკეთა მშვენიერი სადილი, დაათრო და შეუცვალა წერილი. იმის მაგიერ დაჰწერა: აიღეთ, ჩემ შვილს ყელი მოჰჭერით, გაუხვიეთ კალთაში, შესვით ცხენზედ და გაისტუმრეთ თავის გზაზედაო. მიუტანა ვეზირმა ეს წერილი ხემწიფეს. დაღონდა ხემწიფე; აღარც შვილის წყენა უნდოდა და აღარც რძალი და შვილის შვილი ემეტებოდა. უბრძანა მოკვლა ბავშვისა, მაგრამ ქალმა გადიკლა თავი; დაიწყო ტირილი: ჩემი შვილი რას დაგიშლისთ, მომეცით მე ჩემი შვილი, ჩემი ცხენი, და წავალ იქვე, საიდამაც მოსულვარო. მე თქვენ არ შეგაწუხებთ, ღმერთს მივებარებით, და ის თვითონ მოგვხედავსო. მისცეს რაში; შეჯდა ზედ, წაიყვანა თავის ქალიც, და ორივ ისეთი წავიდა, როგორიც ხემწიფის შვილმა მინდორში იპოვა. მოვა ხემწიფის შვილი, გაიგებს ყველაფერს, ჩავარდება ჰლექად. ვეზირს ჰკითხავს: ვინ მოგცა, სად იპოვე, სად დაისვენე, ვინ შეგიცვალაო? ვეზირმა უამბო ყველაფერი. ადგა ხემწიფის შვილი, შეჯდა რაშზედ და წავიდა ცოლის საძებნელად. ჯერ ქალის მამასთან მივიდა. ქალი მამასთან მისულიყო, მამას სახლი გაეკეთა იმისათვის ცალკე, და იქა სცხოვრობდა. ქალმა დაინახა თავისი ქმარი, შვილს უთხრა: გაიქე, შვილო, კალთაში ჩაუჯექ, იქნება გული მოურბილდეს, ჩვენ დასახოცად მოდისო. მიეგება შვილი ხემწიფის შვილს და „მამა, მამას" ძახილით მოეხვია ყელზედ. მოეხვია ხემწიფის შვილიც თავის ძეს და დაუწყო კოცნა. წავიდა ცოლთან, გააგებინა ყველაფერი, შასხდნენ და დიდის ამბით გამოჰწიეს სახლში. იპოვეს არაბი, მოაბეს ცხენს ძუაზედ და გააგლეჯინეს.

ჭირი იქ დავაგდე,
ლხინი აქ მოვიტანე;
ქატო იქ დავაგდე,

ფქვილი აქ მოვიტანე.
კურდღელი წამოვაფრინე
შამბსა და ყინტორაშია,
დამისხი, დამალეინე,
თუ გიდგა ტიკქორაშია...

## 25. — ზღაპარი ცხრა ძმაზე.

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყვნენ ცხრა ძმანი. იმათი დედა მეათეზედ ორსულათ იყო. ცხრა ძმათ ერთხელ სანადიროდ წასვლა დააპირეს, დედას უთხრეს: ჩვენ წავალთ; თუ ვაჟი გაგიჩნდეს, უღელი გამოდგი ბანზედ, და თუ ქალი — ჯარაო. თუ ვაჟი გაგიჩნდა, ჩვენ წავალთ და დავიკარგებითო. წავიდნენ ცხრა ძმანი სანადიროდ. გაუჩნდა იმათ დედას ქალი, და გადგა ჯარა ბანზედ, ერთმა წყეულმა ბებერმა უმტრო; აიღო, ჯარა დალუპა და უღელი გამოდგა. მოდიან ცხრა ძმანი სახლში, დაინახვენ გამოდგმულ უღელს, იტყვიან: დედაჩვენს მეათე ვაჟი გაჰჩენიაო, ეწყინებათ საშინლად, წავლენ და გადაიკარგებიან ცხრა მთას იქით. იმათი და კი იზრდება და მშვენდება. ვინც წლით იზრდება, ის დღით იზრდება. ისეთი გაიზარდა, თითქო დევიაო. ერთხელ ქალი ბავშვებთანა თამაშობდა; რაზედღაც ერთი გოგონა ატირა. გოგოს დედამ დაჰწყევლა ქალი და დააყვედრა: შე გასაწყვეტო, თუ ეგეთი ღონიერი ხარ, ცხრა მთას იქით რომ ცხრა ძმა გადაგეკარგა, იმათ როტომ არ იპოვი და უშველიო. ქალს ჩაეჭრა გულში დედაკაცის სიტყვები. მივიდა დედასთან და უთხრა: დედავ, ჟინმა მამიარა და ძუძუ მომაწოვეო. — რაღა დროს შენი ძუძუა, შვილო, უთხრა დედამ, ეხლა გასათხოვარი ქალი ხარო. ქალმა უთხრა კიდევ: დედავ, თუ გიყვარდე, მომაწოვეო. დედამ აუსრულა თხოვნა. ქალმა ძუძუ რო ჩაიდვა პირში, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოუჭირა კბილი და უთხრა დედას: მითხარ, თუ მართლა ცხრა ძმა მყავსო. — არა შვილო, უპასუხა დედამ, მე იმის ღირსს ვინ გამხდის, რომ ცხრა შვილი მყავნდესო. — სწორეთ მითხარ, თორემ ძუძუს მოგაგლეჯამო, უთხრა ქალმა. დედა რო შეჰწუხდა ტკივილისაგან, მერე უთხრა: მართალია, შვილო, ცხრა შვილი მყავნდა, შენზედ ორსულად რო ვიყავ, ისენი სანადიროდ წავიდნენ; ვაჟი გამიჩნდებოდა — უღელი უნდა გამედგა, ქალი — ჯარაო. მე ჯარა გავდგი, მაგრამ ერთმა სულის მტერმა ბებერმა მიღალატა, ის ჯარა აიღო და უღელი გადგაო. ეხლა შენი ძმები ცხრა მთას იქით არიან დაკარგულებიო. — მაშ მე ცოცხალი ნუ ვიქნებიო, სთქვა ქალმა, თუ არ წავიდე და არ მოვძებნო ჩემი ძმებიო. ჩაიცო ქალმა კაცური ტანისამოსი, დაიჭირა რკინის ჯოხი და გაუდგა გზას. ბევრი იარა ქალმა, თუ ცოტა იარა, მივიდა იმ მთაში, ცხრა მთას იქით, სადაც იმისი ძმები იყვნენ, ცეცხლის შუქს მიჰყვა და მივიდა ძმებთან. ჯერ მიესალმა და მერე ჰკითხა, დამაყენებთ თუ არაო. — რატომაო,

უპასუხეს, დიდი სიხარულითაო. იმ ღამეს დაიწყეს ლაპარაკი, ქალმა უამბო ყველაფერი თავისი გარემოება, წარსულ-დავიწყებული. ძმები გადაეხვივნენ და დაუწყეს კოცნა: შენა ხარ ჩვენი დაო, ეხლა ერთად ვიცხოვროთო. იმ ღამეს სიხარულით ივახშმეს და დაიძინეს. მეორე დღეს სანადიროდ დაემზადნენ, დას უთხრეს: არამცა და არამც ცეცხლი არ გააქრო, თორემ ძალიან ძნელი საშოვარიაო. წავიდნენ ძმები სანადიროდ; ქალს ცეცხლი გაუქრა. ბევრი იტირა, იტირა, მერე ავიდა ბანზედ და გაიხედა, იქნება ცეცხლი სადმე დავინახოვო. გაიხედ-გამოიხედა ქალმა, შორს ერთ დაბურულ ტყეში დაინახა ცეცხლი; ადგა, გაჰყვა სინათლეს, იარა, იარა და მივიდა ცეცხლთან: ცეცხლი დევების სახლში ენთო. თვით დევები კი სახლში არ იყვნენ, სანადიროდ წასულიყვნენ. იმათი დედა იჯდა მარტო კერის პირას. ქალი მივიდა და საკმიდამ ჩაჰძახა დევების დედას: დედავ, დედაშვილობასა, ცოტა ცეცხლი მომაწოდეო!—დედა-შვილობა არ გეთქვა, მე ვიცოდი, როგორ დღესაც დაგაყენებდიო, უპასუხა დევების დედამ: ჩამოდი და წაიღეო. დაუყარა დევის დედამ ნაცარი ცხრილზედ, ზედ ცეცხლი დაუდო და გაისტუმრა. მოდის ქალი, მოაქვს ცეცხლი, და თან გზა-გზა ნაცარი ებნევა, თეთრი ნაცრიანი კვალი მიჰდევს. მიიტანა ქალმა და დაანთო ცეცხლი. მოვიდა დევი სახლში, დედას უთხრა: დედავ, ადამის სული მომდისო.—არა, შვილო, აქ ადამიანს რა უნდოდაო, უთხრა დედამ.—მითხარ, დედავ, და არაფერს დაუშავებო, გაუნიჟა დევმა.—ერთი ქალი იყო, ცეცხლი წაიღო, წადი, კვალს გაჰყევ, და ის კვალი პირდაპირ იმ ქალთან მიგიყვანსო, უთხრა დევს დედამ. მივიდა დევი სახლთან და ქალს დაუძახა: ქალო, კარი გამიღეო. ქალმა იქიდამ უპასუხა: წადი, აქედან დაიკარგე, თორემ ჩემი ძმები მოვლენ და სულ აკუწამენო. დევმა უთხრა: თუ კარს არ გამიღებ, ხელი მაინც გამოყავიო. ქალმა ნეკა თითი გაუყო. დევმა წოწნა დაუწყო. დევი მუდამ დღე მიდიოდა ქალთანა. ქალი ძალიან დასუსტდა. ძმებმა შეატყეს დას, რომ ხდება, თანდათან ბეჩავდება, ჰკითხეს: დაო, რატომ არ გვეტყვი, რა დაგემართა, რა არის შენ თავსაო. დამ უთხრა: თქვენ რო სანადიროდ წახვედით, მე ცეცხლი გამიქრაო, ავდექ, ბევრი ვიარე, ერთ ულრან ტყეში ცეცხლი დავინახე, დევის სახლი ყოფილიყო, მიველ და ჩავძახე ბანიდამ, ცეცხლი მომეცითო. დევის დედამ ცხრილში ჩამიყარა ნაცარი, ცეცხლიც ისე ჩამიდო, და წამოვიღეო. კვალს დევი მოჰყვა და დამიძახა, კარი გამიღეო. მე კარი არ გაუღე; მაშინ იმან დამიძახა, ხელი მაინც გამოყავო. მე ნეკა თითი გაუყავ, იმან კიდე წოვა დამიწყო სისხლისაო. მას შემდეგ ისე მწოვსო. ძმები ძალიან შესწუხდნენ; სთქვეს: ზოგი სანადიროთ წავიდეთ და ზოგნიც აქ დავიმალნეთ და, როდესაც დევი მოვა, მოვკლათო. მართლაც ზოგნი სანადიროდ წავიდნენ, ზოგნიც კარებს უკან დაიმალნენ. მოვიდა დევი და დაუძახა ქალს, ქალო, კარი გააღეო. ქალმა გაუღო კარი, შავიდა დევი, მაგრამ კარებში გაიჭედა. გამოუხტნენ ძმები, აკუწეს და ჩაყარეს კარების უკან ორმოში (ხაროში), თვითონ სანადიროდ წავიდნენ. დას უთხრეს: ეხლა მაინც გაუფრთხილდი, ცეცხლი არ გააქროვო. ქალს ცეცხლი ისევ გაუქრა. ადგა იტირა-

ლი, ავიდა ბანზედ და გაიხედ-გამოიხედა. შორს დაბურულ ტყეში დაინახა, ბოლი, ისევ იმ დევის სახლში ენთო ცეცხლი. წავიდა ისევ იმასთან ქალი, ბევრი იარა, ცოტა იარა, მივიდა, დევის დედას ჩაჰძახა ბანიდამ: დედავ, დედაშვილობას, ცოტა ცეცხლი მომაწოდეო! ბებერმა უთხრა: დედაშვილობა არ გეთქო, ავ დღეს დაგაყენებდიო, ჩამოდი, წაიღეო. მიჰცა ბებერმა ცეცხლი და თან ერთი მუჭა ქინძის თესლი გაატანა: წაიღე, შვილო, და, სახლში კარებს უკან რო ხარო გაქვსთ, იმაზედ დაჰთესეო. ამოვა მშვენიერი ქინძი; საღამოზედ შენი ძმები ირემს მოიტანენ; ირემს რო მოჰხარშავთ, შენ ქინძი მოკრიფე, ხორცს დააჭერი, გემოს მიჰცემს, და ძმებს ისე აჭამეო. წამოიღო ქალმა ცეცხლი დაანთო ისევ დაჰთესა ის ქინძის თესლიც კარებს უკან ხაროზედ. მოვიდნენ ძმებიც, მოიტანეს ირემი ხაროზედ მშვენიერი ქინძი ამოვიდა; ძმებმა დაჰკრეს ირემი და მოხარშეს. ქალმა მოკრიფა ქინძი, დაუჭრა ძმებს ხორცზედ და აჭამა. ხორცის ჭამაზედ ცხრა ძმა ირმად იქცნენ. ტირის ქალი მათი შამხედვარი. დილით მინდორზედ წაასხავს, აძოვებს ბალახს, საღამოთი მორეკავს და დააყენებს. ერთხელ ქალს ირმები ბალახზედა ჰყვანდა, თვითონაც იქ ეჯდა. ამ დროს სანადიროდ ერთი ხემწიფის შვილი გამოსულიყო. ნახა ირმები და დაუმიზნა მშვილდ-ისარი, უნდოდა მოეკლა, მაგრამ ქალმა შეასწრო თვალი და დაუძახა: არ მომიკლა, ჩემი ძმები არიან ეს ირმებიო. ხემწიფის შვილს ძალიან მოეწონა ქალი, მივიდა იმასთან და უთხრა: შენ ცოლი უნდა იყო ჩემი ამას იქით, და მე ქმარიო.—არა, უპასუხა ქალმა, შენ ძმა და მე და... ხემწიფის შვილმა არ დაიჯერა: შენ ცოლი და მე ქმარიო. მაშინ ქალმა უთხრა: თუ ღვთის ფიცს მომცემ, რომ ამ ირმებს არ დამიხოც (არ დამიკლავ), ნებას მოგცემ, თუ არა და არაო. შეჰფიცა დიდი ფიცით ხემწიფის შვილმა, რომ არც შენ გიღალატებ და ეგ ირმებიც ჩვენთან გვეყოლებიანო. წაჰყვა ქალი ხემწიფის შვილს და წავიდნენ. ჯვარი დაიწერეს და დაბრუნდნენ. ჯვარ წერის შემდეგ მოახლემ უთხრა ქალბატონს: ქალბატონო, წყლისაკენ გავისეირნოთ. გაისეირნეს წყლისაკენ. მოახლემ უთხრა: აბა, ქალბატონო, წყალში ჩავიხედოთ, რომელი უფრო ლამაზები ვართო. ჩაიხედეს წყალში; ქალბატონი ლამაზი იყო. მოახლემ უთხრა: აბა, ქალბატონო, შენი ტანისამოსი მე მეცვას, თუ მე უფრო ლამაზი არ გამოვჩნდებოდიო. გაიხადა ქალბატონმა ტანისამოსი, მოახლეს ჩააცო თავისი და მოახლისა კიდე თვითონ ჩაიცვა. ჩაიხედეს წყალში, კიდევ ქალბატონი გამოჩნდა ლამაზი. შეჰშურდა მოახლეს ქალბატონის სილამაზე ჰკრა ხელი და ჩააგდო წყალში. თვითონ სასახლეში წამოვიდა და ხემწიფის შვილს უთხრა, რომ მოახლე წყალში ჩამივარდაო. ხემწიფემ ვერ იცნო, რადგანაც დედოფლის ტანისამოსი ეცვა.—თქვენი ჭირის სანაცვლო იყოსო, უთხრა მოახლეს, იმისათვის რას დაღონებულხარო. მაიავადმყოფა თავი დედოფალმა, ხემწიფის შვილს უთხრა: თუ დამიკლავთ უფროს ირემს, მორჩები, თუ არა და—მოვკვდებიო. დაღონდა ხემწიფე: როგორ უნდა დავკლა, აკი ფიცი მოგეცი, და შენც ფიცი ჩამომართვი, არ დამეკლაო. შესწუხდა დედოფალი; ხემწიფის შვილმა უბრძანა მსახურებს: დაჰკალით ირმებიო. დაუ-

წყეს ხანჯალს ლესა. ჩარეკეს ირმები წყალზედ. ჩაჰყვნენ წყლის პირს ირმები და ტირიან. მივიდა უფროსი ირემი წყალთან და ჩაჰძახა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაო, დაო ვაშლა,
პირ წითელა ვაშლა;
შენსა ძმასა ირემასა
ულესავენ ჯიყ-დანასა.

თურმე ქალი წყალში თევზათ იყო ნაქცევი, ნახევარი თევზისა ჰქონდა და ნახევარი კაცისა. ქალ-სირინოზი წყალში დაიწყებდა მღერას, ირმები ნაპირს მიუვიდოდნენ და დაიწყებდნენ ერთათ დარდის გართობას. ქალ-სირინოზმა ამოჰძახა:

წადი უთხარ ხელმწიფესა,
ღვთისა ფიცსა რად გაჰტეხსა!

გაიგონა ეს ვეზირმა, მივიდა და ხემწიფეს მოახსენა: დიდებულო ხემწიფევ, ირმები წყალზედ ჩავრეკეთ, უფროსი ირემი მივიდა და წყალს ჩაჰძახა: „დაო, დაო ვაშლა, პირ წითელა ვაშლა, შენსა ძმასა ირემასა ულესავენ ჯიყ-დანასაო!“ ახლა წყლიდამ ვიღამაც ამოჰძახა: „წადი, უთხარ ხემწიფესა, ღვთისა ფიცსა, რად გაჰტეხსა?!“ გაჰგზავნა მაშინვე ხემწიფემ, ხემწიფის შვილმა მებადურები და უთხრა: სადაც იქნება და სადაც არა, უნდა დაიჭიროთ ის ცხოველი და აქ მოიყვანოთო. წავიდნენ მებადურები, ესროლეს ბადე და გააბეს ქალ-სირინოზი. წამოიყვანეს და მოუყვანეს ხემწიფეს გააკეთებინა აუზი ხემწიფემ და ჩასვა შიგ თევზი; უყვარს ძალიან ხემწიფეს ეს თევზი; მუდამ იმის ალერსშია. გახდება ისევ ავად დედოფალი. —თუ დაჰკლავთ იმ თევზს და მაჭმევთ, მოვრჩები, თუ არა, და—მოვკვდებიო. შესწუხდა ისევ ხემწიფე. ბოლოს მაინც უბრძანა დაკალითო. დაკლეს და მოხარშეს. დედოფალმა უბრძანა: ისე მოხარშეთ და მამიტანეთ, რომ ერთი ფხა არსად გადაგივარდესთო. ერთმა მოახლემ აიღო ერთი ფხა და გარეთ გადააგდო. თევზის ფხაზედ ისეთი ალვისხე ამოვიდა, რომ წვერი ცაში ჰქონდა მიბჯენილი. გააკეთებინა ალვის ხის ქვეშ ტახტი ხემწიფემ და სიცხეში ჩავიდოდა, დაბძანდებოდა იმის ქვეშ... მაიავადმყოფა ისევ თავი დედოფალმა: თუ მაგის ფიცრის ტახტს შემიკრავთ, მოვრჩები, თუ არა და-მოვკვდებიო. დაღონდა ხემწიფე, როგორ უნდა გავიმეტო და ეს ამისთანა მშვენიერი ხე მოვჭრაო. რო შეჰწუხდა დედუფალი, უბრძანა ხემწიფემ, მოჰჭერითო. ისე მოჰჭერითო, უბრძანა დედოფალმა, რომ ერთი ნაფოტი არსად არ გადავარდესო. მოჰჭრეს ალვის ხე. ბედად ერთი ნაფოტი· გაფრინდა და შორს სადღაც სოფლის ბოლოს დაეცა. ამ დროს ბებერი ლოცვიდამ მოდიოდა, დაინახა ნაფოტი, მოეწონა, აიღო და წაიღო სახლში სახაშეს საფარებლად· მეორე დღეს ბებერი ისევ ლოცვაზედ წავიდა. იქცა ნაფოტი ქალად, დაუგავა სახლი, დაუწმინდა ჭურჭელი, იქცა ისევ ნაფოტად და დაეფარა ისევ სახაშეს. მოვიდა ბებერი, ნახა დაგვილი სახლი, შექამანდი მოხარშული, მეზობლებს ლანძღვა დაუწყო: თქვენ რა საქმე გაქვთ, რომ ჩემ

სახლში შამოჰდიხართ, ან შექამანდსა ჰდგამთ და ამ სახლს მიგვითო. მეზობლები გაჯავრდნენ: ვისა აქვს შენი ჯავრიო, უყარაულე და, ვინც შემოდის, დაიჭირეო. უყარაულა ბებერმა. ნაფოტმა რო სთქვა, ახლა კი წავიდოდა ბებერი ლოცვაზეო, იქცა ქალად, გადმოვიდა, აიღო ცოცხი და დაუწყო სახლს გვა. ამ დროს მიჰწვდა ბებერი და დაიჭირა ქალი...—შენ რა ხარ, რა სულიერი ხარ, რომ ჩემს სახლში შამოჰსულხარო. ქალმა უთხრა: ადამიანი ვარ და ადამიანის შვილიო, შამიბრალე და მიშვილეო. ბებერს ძალიან გაუხარდა,—მაინც შვილი არა მყავს და ჩემი შვილი იქნებაო. დაიწყეს ქალმა და ბებერმა ერთათ ტკბილად ცხოვრება.

ერთ წელიწადს უბალახობა იყო. ხემწიფეს სულ ეხოცებოდა შიმშილისაგან ცხენ-ჯოგი. ქალმა უთხრა დედობილს: დედობილო, წადი, დედობილო, ხემწიფესთან, ერთი რომელიც დავარდნილი ცხენი ჰყვანდეს, გამოართვი, მოიყვანე, და გავასუქოთო. წავიდა ბებერი ხემწიფესთან და უთხრა: დიდებულო ხემწიფევ, ერთი რომელიც უვარგისი ცხენი გყვანდეს, ის ცხენი მე მომეციო. მიჰცეს ერთი ცოცხალ-მკვდარი ცხენი. წამოიყვანა ბებერმა და მოჰგვარა თავის ქალობილს. დაიბანს ქალი ხელებს, და ისეთი ბალახი მოვა, რომ შიგ გაცურდება საქონელი. ისე გასუქდა ცხენი, ისე გათქვირდა, რომ ველარ იჭერენ. გაგიჟებული დარბის. ქალმა უთხრა დედობილს: წადი, უთხარ ხემწიფეს, თავისი ცხენი მიიბარონო. მივიდა ბებერი ხემწიფესთან და უთხრა: დიდებულო ხემწიფევ. ნაზირი გამოგზავნეთ და თქვენი ცხენი წამოიყვანეთო. ქალმა დაარიგა ცხენი: რო მიხვიდე, ხემწიფის კარებზედ, დაწევ და, რამდონიც უნდა გცემონ, არ აჰდგეო, მინამ მე არ მოვიდე და მე არ გითხრა, ადექი, შე პატრონივით მუხანათოო, და მაშინ ადეგიო.

მოვიდნენ ვეზირები ცხენის წასაყვანად. ისეთია ცხენი, სულ ვარსკვლავებს ეთამაშება. წაიყვანეს გახარებულებმა ცხენი და მიიყვანეს სასახლესთან. აქ კი ჩაწვა ცხენი და აღარა ქნა ძვრა. ბევრი ჰცემეს, ეწივნენ, მაგრამ არ ადგა. მაშინ ბებერმა მოახსენა ხემწიფეს: დიდებულო ხემწიფევ, მე ერთი ნაქალარი მყავს, რომელმაც ეს ცხენი გაკვება, და იმან რო უთხრას, ადგება ეს ცხენიო. მაშინვე უბრძანა ხემწიფემ ბებერს: წადი და მოიყვანეო. მოვიდა ქალი და უთხრა ცხენს: ადექ, შე პატრონივით მუხანათოვო! ადგა მაშინვე ცხენი და შეითამაშა. ჰკითხა ხემწიფემ ქალს, რაზე დაუძახე ჩემ ცხენს ან მე მუხანათოო?.. ხემწიფეს ძალიან მოეწონა ქალი. ქალმა უამბო ყველაფერი. ხემწიფემ მეორედ დაიწერა ჯვარი, მოახლე ცხენის ძუას მოაბეს და ლუკმა-ლუკმა აქცევინეს.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.
მთის ურემი ავაშენე,
წამოვიდა გორებითა
აქ სიცოცხლით გამიძეხით,
საქმის ცხონებითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 26.—ბამბის ტომარა

(იგავი)

ერთ კაცს მშვენიერი ცოლი ჰყვანდა; ქმარს ძალიან უყვარდა, მაგრამ ცოლი კი ჰღალატობდა და საყვარელი ჰყვანდა. ერთხელ ცოლმა შუა ზაფხულში მოიავადა თავი, ქმარს უთხრა: თუ წახვალ და აიმ მაღალი მთიდამ მომიტან თოვლს, მოვრჩები, თუ არა და—მოვკვდებიო. ქმარს ცოლი ძალიან უყვარდა, ძვირად უფასობდა, უფრთხილდებოდა. გაიმეტა თავი, დაჰთმო და წავიდა თოვლის მოსატანად. ბევრი იარა, ცოტა იარა, გზაზედ ერთ ბერიკაცს შეჰხვდა.—გამარჯვება!—გაგიმარჯოს!—სად მიჰდიხარო? ჰკითხა ბერიკაცმა კაცს.—ესე, ესე, ცოლი გამიხდა ავად, მიკვდება, თოვლისათვის გამამგზავნა და უნდა მივუტანოვო.—შენ ჭკუა არა გქონიაო, უთხრა ბერიკაცმა, შენ საყვარელ ცოლს საყვარელი ჰყავს, ეტყობა, შენ გამოუგზავნიხარ, უნდა თავიდამ მოგიშოროსო; იქ რო მიჰდიხარ, ან ზვავი დაგეცემა, ან დაჰგორდები, ან გაჰცივდები—მოჰკვდები, და შენს ცოლსაც ის უნდაო. შენ დაბრუნდი, ტომარაში ჩაგსვამ, მე იქ შევალ, შენ იქ დაგაყენებ, და ნახე ყველაფერი შენის თვალითაო. წავიდნენ. ბერიკაცი მივიდა იმის ცოლთან. იმის ცოლს საყვარელი იქა ჰყვანდა. ბერიკაცმა ჰთხოვა: ღვთის გულისათვის ამაღამ დამაყენეთო და ეს ჩემი ტომარაც აქ შამინახეთო. ჯერ უარს უბნებოდნენ. ბერიკაცმა უთხრა: მე ეზოშიაც დავიძინებ, ოღონდ თავი აქ მეგულებოდესო. ქალმა იფიქრა: იმ ბერიკაცმა ხომ არ იცის, ეს კაცი რა არის ჩემი, იყვეს თუ იქნებაო. დააყენეს. როდესაც დალიეს ქალმა და იმის საყვარელმა და შექეიფიანდნენ, დაიწყეს მღერა. ტომარა კარებთან აყუდია. ქალმა დაჰმღერა:

ჩემი ქმარი მთას გავგზავნე,
მთიურ თოვლის გულისათვის.
ღმერთო, აქ ნუღარ მოიყვან,
ჩემის კუროს გულისათვის!

შენც იმღერეო. უთხრეს ბერიკაცს. ბერიკაცმა სთქვა:

ჩემო ბამბის ტომარაო,
გაიგონე თუ არაო?
მე რო ჯოხი მოგაბარე,
მოიხმარებ თუ არაო?

ბერიკაცს ნათქვამი ჰქონდა ქალის ქმრისათვის, რომ სანამ მე არ გითხრა, არ ამოხვიდეო. ამ სიტყვებზე ამოხტა ტომრიდამ კაცი, დაავლო ერთ კეტს ხელი და ერთი თუ ორი ცოლსაც და იმის კუროსაც. გამოაგდო ცოლი და დაიშორა ჭირიც და ვარამიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 27.—ეშმაკის გასაღები

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ღარიბი, უქონელი, უყოლელი მშიერ-ტიტველი ცოლ-ქმარი. ცოლ-ქმრის მეზობლად ეშმაკები სცხოვრობდნენ. ერთ მშვენიერ დღეს ეშმაკები აიყარნენ და გადიკარგნენ. საწყალი კაცის ცოლი შავიდა ეშმაკების ნასახლარში და დაუწყო ძებნა. ერთი გასაღები იპოვნა, წამოიღო და მოიტანა შინ. იმ გასაღებს ის ძალა ჰქონდა, რომ უცეცხლოდ მოუტანდა ყველა ნაირ საჭმელს. იმის ჯიბრზედ ახლა ქმარი წავიდა, იქნება მეც ვიპოვო რამეო. ეძება კაცმა, ეძება და ერთი ძველი ხელსაფქავი იპოვნა. აილო, გამოგვადგებაო, და წამოიღო სახლში. რამდენსაც შემოატრიალებენ, იმდენი ოქრო და ვერცხლი გადმოჰცვივა. გამდიდრდა საწყალი კაცი; ხემწიფის დაპატიჟება მოინდომა. ცოლმა დაუშალა: კაცო, შენ ქერქში იჯე, ხემწიფე შენი ტოლი არ არისო.—არაო, გაუწია კაცმა, სარჩო მაშ რაღა ოხრად მინდა, თუ ხალხში კი ვერ გამოვჩნდებიო.—მე კი არ გირჩევო, უთხრა ცოლმა, და შენ იციო. არ დაიშალა კაცმა, წავიდა და ჰთხოვა ხემწიფეს: დიდებულო ხემწიფევ, წყალობა მოიღეთ ჩემზედ და მეწვიეთ, ჩემი გლეხური პურ-მარილიც მიირთვითო. ხემწიფე არ წავიდა, ნაზირ-ვეზირი გაგზავნა: წადი, შეიტყე, რა აქვს, რაზედ მეპატიჟებაო. წავიდა ნაზირ-ვეზირი. მივიდა ამალით იმის სახლში: ერთი ქოხის მეტი ვერაფერი ნახა.—რა მიუქარავს, რა აქვს, რა უნდა გვაჭამოსო, იფიქრა ნაზირმა. ჩამოატარა გასაღები გლეხმა, და გაიშალა სუფრა, ათას ნაირი საჭმელი დალაგდა. ახლა ცხენებს ჩამოუტარა. გაეშალა იმათაც ნამ უცემქლი თივა. ნაზირი გაკვირვებული იყო. მოიტანა საწყალმა კაცმა და ახლა ხელსაფქვავი დაატრიალა, გადმოიშალა ოქრო და ვერცხლი, თვალი და მარგალიტი. ნაზირმა თვალები დააჭყიტა. შაჰშურდა ხელსაფქვავიც. წაართვა გასაღებიც, ხელსაფქვავიც, და წაუღო ხემწიფეს: შენ უცეცხლო საჭმელებს უნდა ჰჭამდე, და ხემწიფე ნახარშსა და ნაწვავსაო! მივიდა ნაზირი. ხემწიფემ ჰკითხა: როგორ გაგიმასპინძლდაო?—თქვენ, დიდებულო ხემწიფევ, მოხარშულ საჭმელსა ჰჭამთ, და იმან სულ უცეცხლო საჭმელები მოგვართვაო. ერთი ხელსაფქვავი ჰქონია, დაატრიალებს, სულ ოქრო და ვერცხლი ჰცვივაო. გასაღები ჰქონიყო, რა საჭმელი გინდა, რომ იმ გასაღებმა სუფრაზედ არ მოიტანოსო. ის გასაღებიც წავართვი, ის ხელსაფქვავიც, და თქვენ მოგართვითო. ხემწიფეს ძალიან გაუხარდა. საწყალი კაცი კი დაღონებული იყო. დაჰკარგა თავისი ავლა-დიდება. ცოლს უთხრა: წავალ, იქნება ღმერთმა იპრიანოს, და კიდევ რამე ვიპოვნოვო. შავიდა ეშმაკების ნასახლარში, ეძება და ერთი ვირი იპოვა,—რამდენსაც ჯოხს დაჰკრავს, იმდენს ოქროსა და ვერცხლსა ჰყრის. გამდიდრდა ისევ საწყალი კაცი. ერთხელ უთხრა ცოლს: წავიყვან ამ ჩემ ვირს და ვაბანებ, დიდი ხანია არ მიბანებია, ცოდო არისო. ცოლმა უთხრა: კაცო, თავი დაანებე, იქ ეგ ვირი არავინ მოგიცვალოს, და დაჰღუპო თავიო.—არა, რას ამბობ, როგორ გამომიც-

ვლიან, კაცი არა ვარო, უთხრა ქმარმა და წაიყვანა ვირი საბანაოდ. მიიყვანა და აბანა, გამოიყვანა, დააბა, ახლა თვითონ შევიდა საბანაოდ. იქ ყარაულები იყვნენ, ჯოხი დაჰკრეს ვირს, გზიდამ მოგვშორდიო; ვირმა ოქრო ვერცხლი ყარა. ყარაულებს ძალიან გაუხარდათ, ის ვირი ტყეში წაიყვანეს; იმის მაგიერ სხვა დააბეს. გამოვიდა კაცი, ახსნა ეს ვირი, თავისი ვირი ჰგონია, და წაიყვანა სახლში. სცემს ჯოხს, მაგრამ ვირი ჩონჩორიკის მეტს არაფერსა ჰყრის. დაღონდა კაცი.—თავის ჰკვისა მოგივიდა, ჰირი მომჭამეო, უთხრა ცოლმა, როდესაც თავისი უბედურება ცოლს შეჰჩივლა. კაცმა სთქვა კიდევ: მოდი, კიდევ წავალ, იქნება კიდევ რამე ვიპოვნოვო. ეძება, ეძება და ერთი გოგრა იპოვნა... გოგრამ კი ველარ გაახარა საწყალი კაცი.—აი, ჩემო თავო, სთქვა საწყალმა კაცმა, სად არის ეხლა სამი ჯეელი ბიჭი, რომ არ დამიდებენ და არ დამზელავენო. თურმე გოგრაში ორასი შეიარაღებული კაცი იჯდა; ამოუხტა სამი ბიჭი, დადეს ეს კაცი და იმდენი სცემეს, რომ სიგძის სიგანე მიჰცეს, სულ ზურგზედ ტყავიააძრეს. წაიღო გოგრა საწყალმა კაცმა და მიიტანა სახლში. კაცებმა უთხრეს: ეგ გოგრა ამაიჩარე იღლიის ძირში, წაიღე და, ხემწიფესთან რო მიიტანო, სთხოვე ხემწიფეს შენი გასაღები და შენი ხელსაფქვავიო. წაიღო გოგრა საწყალმა კაცმა და წავიდა ხემწიფესთან. მივიდა და ჰთხოვა: დიდებულო ხემწიფევ, რას მემართლები, მომეც ჩემი გასაღები და ხელსაფქვავიო!—დაიკარგე აქედამაო, დაუყვირა ხემწიფემ. დაიჭირეთ, ბიჭო გააგდეთო.——აბა, ჩემო გოგრავ, მიშველეო, დაიძახა საწყალმა კაცმა. ამოცვივდნენ ეს კაცები, ერთი თუ ორი ყველას, ვისაც კი იქ მოახელეს; წამოიღო გოგრაც, გასაღებიც და წამოვიდა საწყალი კაცი შინ სიხარულით.

## 28—ზღაპარი ველის ყვავილისა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი კაცი; ჰყვანდა სამი ქალი. უფროსი—ია, შუათანა—ვარდი და უმცროსი—ველის ყვავილი. წავა მამა ტყეში, მოჰკრეფს იას, მოუტანს უფროს ქალს და გაახარებს. წავა ვენახში მოჰკრეფს ვარდს მოუტანს შუათანა ქალს და გაახარებს. წავა ტყეში, წავა ვენახში, დაბრუნდება ისევ, მაგრამ ველის ყვავილს კი ვერა პოულობს. არის უმცროსი ქალი გულნატკენად და დაღონებული. მამას უთხრა ერთხელ ველის ყვავილმა: მამავ, მე რაღა დაგიშავე, რომ ჩემ დებს ია-ვარდს უზიდავ და მე კი ერთხელაც არ მომიტანო.—შვილო, მეც მინდა, მოვკრიფო და მოგიტანო, უპასუხა მამამ, მაგრამ ჩემი ცდა ტყუილად ჩამივლის ხოლმეო მაინც ქალი ძალიან ჯავრიანად იყო. შეატყობს მამა თავის ქალს, რომ გულით უნდა ველის ყვავილი და ჯავრად ჩაჰქრია გულშიაო; ადგება და წავა ველის ყვავილის საძებნელად. ივლის ბევრს, ეძებს ველის ყვავილს, ვერსად შეჰხვდება და ბოლოს ერთ ადგილას მივა. იქ და-

ღლის ტოლა გველი ნახა. კაცი ძალიან შაშინდა. გველმა ჰკითხა: სად მიჰდიხარ, რა საქმე გაქვსო?—ველის ყვავილს ვეძებო, უპასუხა კაცმა.—ველის ყვავილს მე მოგცემ, თუ შენი გულის ყვავილს მე მომცემო, უთხრა გველმა. თუ არ მომცემ, და მე შენ შეგჭამო. სული ტკბილიაო, ნათქვამია. თავის სიკვდილს შვილის მიცემა არჩია კაცმა და გველს თვრამეტი დღის ვადა დაუდო, იმ ვადაზედ მოდი და წაიყვანეო. მოუკრიფა ერთი კონა ველის ყვავილისა და მიჰცა კაცს. მოუტანა მამამ ველის ყვავილს კონა ყვავილებისა და გაახარა. ქალი სიხარულისაგან ფეხზედ აღარ იდგა; დარბოდა, ჰსუნავდა ველის ყვავილებს, ხან ჰკოცნიდა და ეტოლებოდა. ქალი დგა ბაღში და ესურვილება თავის ყვავილებს. ბაღს გარეთ ცხენის ჯოგია მომდგარი. უცებ ჯოგიდამ ერთი ჯაგლაგი ცხენი დაიძახებს: ველის ყვავილო, რო იცოდე, რაც არის შენს თავს, მაგრე აღარ გაიხარებდიო!—რათაო? ჰკითხა ველის ყვავილმა.—იმიტომაო, უპასუხა ცხენმა, რომ მამაშენმა მაგ კონაში შენი სიცოცხლე მიჰცა გველსაო. თვრამეტი დღის შემდეგ მოვა გველი და წაგიყვანსო. როდესაც გველი მოვა და დაგამზადებს, მამა გკითხავს, რა მოგცეო, და შენ ჩემი თავი ჰთხოვეო. გავიდა თვრამეტი დღე, და მოითხოვა გველმა თავისი, მოვიდა ველის ყვავილის წასაყვანად. მამამ ჰკითხა ველის ყვავილს: რა მოგცე, შვილოვო?—ის ერთი ჯაგლაგი ცხენი რო გყავს, ის მომეციო, უთხრა ქალმა. ჯერ არ აძლევდა მამა, ეგ რად გინდაო, მაგრამ რაკი ქალმა არ დაიშალა, მიჰცა. როდესაც წასვლა დააპირეს, ცხენმა უთხრა ველის ყვავილს: შენ ერთი წმინდა სავარცხელი წამოიღეო, ერთი მინა ზეთი და ლუსმებიო. შეჯდა ქალი და გაჰწია. ცხენი ეტყვის, კარგა გზას რო გაივლიან: აბა მიიხედე, ხომ არავინ მოდისო? მიიხედა ქალმა.—ძაღლის ტოლა რაღაცა მოგვდევსო.—გადააგდე სავარცხელი და მე კი არ მომახვედროვო. გადააგდებს სავარცხელს. ისეთი ტყე მოვა, ისეთი ჯაგი და ბარდა გაიფინება, რომ ხოხობს გაუჭირდება ჩაძრომა. მოვა გველი, ეცემა ჯაგიანს, დაიგლიჯება და კატის ტოლა კიდევ დარჩება. გაჰცდება ამ დროს ქალი და წავა. ივლიან ბევრსა, ივლიან და, ბოლოს ცხენი ეტყვის ველის ყვავილს: აბა, მიიხედე, ხომ არავინ მოგვდევსო. მიიბრუნებს თავს ქალი.—კატის ტოლა რაღაცა მოგვდევსო, ეტყვის ცხენსა.—გადააგდე ლურსმებიო, ეტყვის ცხენი. გადააგდებს ლურსმებს ველის ყვავილი. დაეფინება ალმასი. მოვა გველი, დაიჭრება, დაიკუწება ალმასებზე. ბუზის ტოლა კიდევ გადარჩება. გაჰცდება ქალი და წავა; ივლიან, ივლიან და ეტყვის ქალს ცხენი: აბა მიიხედე, მოგვდევს რამე, თუ არაო. მიიხედავს ქალი.—ბუზის ტოლა რაღაცა მოგვდევსო.—გადააგდე მინაო, უთხრა ცხენმა. გადაისროლა მინა, და გაჩნდა ტბა; ჰღელავს და ექანება. ცხენი ეტყვის: მე დაღლილი ვარ, დამეძინება, ის ბუზის ტოლა გველი ბებრად იქცევა, მოვა ტბასთან და დაგიძახებსო: შვილო, ბეწვი გამააძრე ცხენს, გადმოდევ ტბაზედ, გამიყვანე, შეგაქცევო, მაგრამ შენ არ შეჰცდეო. დაიძინებს ცხენი. მოვა გველი, მოადგება ტბას, იქცევა ბებრად, აულის და ჩაულის ტბას.—შვილო, შენ ცხენს ბეწვი გამოაძრე, ტბაზე დაადე, ხიდად იქცევა, გამოვალ, შეგაქცევო, დაუძახებს ქალს გველი.—ვერა, ეტკინებაო, უპასუხებს ქალი. ვერ აცდინა ბებერმა ქალი.

გაღვიძება რაშს, შეჯდება ქალი და გაჰწევენ. ცხენმა უთხრა ქალს: ჩვენ ქალაქში შავალთ, და, ვინც პირველად ხელი მომკიდოს, იმას გაჰყევთ. მივიდნენ ერთ ქალაქში. ჩაიარეს ბაზარზე. ერთი ახალგაზდა სოვდაგრის შვილი მივიდა ცხენთან, დაუჭირა ალვირი და უთხრა ქალს: შენ—ცოლი და მე—ქმარიო. ქალი დაჰთანხმდა. ვაჟი ძალიან მდიდარი იყო. წაიყვანა ქალი და გადიხადეს ქორწილი. ქალი მოუყვა და უამბო ყველა თავის თავგადასავალი ქმარს. ვაჟი ეტყვის: თუ არ წაველ და არა ვნახე ჩემი სიმამრი, არ იქნებაო. უშალა ცოლმა, უშალა, მაგრამ ქმარმა არ დაიშალა. შეჯდება ცხენზედ და წავა: გონიერი ცხოველია, თვითონ მიმიყვანსო. შეჯდა, მაგრამ ცხენი ხმას აღარ იღებდა, გაჩუმებულები იყვნენ. საღამო ჟამს იმ გველის ტბასთან მივიდა, ჩამოხტა და დაისვენა. მოვიდა ისევ ის ბებერი ტბასთან და გამოჰძახა: დედაშვილობას, ცხენს წამწამი გამააძრე, გადმოაგდე ტბაში, ხიდად გაიდება, გამოვალ და შეგაქცევო. რა იცოდა ქალის ქმარმა, გამოაძრო წამწამი და გადუგდო; გამოვიდა ბებერი. იმ ღამეს ერთად იყვნენ, ბებერი შეაქცევდა. გათენდა დილა, შაჯდა ცხენზედ ვაჟი, უნდოდა წასვლა, მიიარ-მოიარა, მოძებნა გზა, მაგრამ ველარ იპოვა. ასე დაუღამდა. გათენდება მეორე დღე, დაუღამდება იქვე, ერთ ტანჯვაშია. ამ ხნობით ველის ყვავილს ვაჟი ეყოლება; მაშინვე გაჰგზავნიან მახარობელს სოვდაგრის შვილთან, ვაჟი გეყოლაო. მახარობელი მოადგება გველის ტბას და დაუღამდება. მოვა იმასთანაც ბებერი და შეაქცევს. ჰკითხავს: სად მიჰდიხარ, შვილო, რა საქმე გაქვსო. მახარობელი ეტყვის, რომ სოვდაგრის შვილს ვაჟი ეყოლა და ის უნდა ვახაროვო. აილებს ეს ბებერი და წერილს ასე შეუცვლის: შენ ცოლს ძაღლის ლეკვი ეყოლა, და რას იტყვი, რა უყოთო. წაიკითხავს სოვდაგრის შვილი, ეცემა ელდა. აილებს და მიჰწერს: აილეთ, გაახურეთ საკირე და იმაში ჩააგდეთო. დაბრუნდება მახარობელი, მოუტანს ამ წერილს. დალონდებიან ვაჟის დედ-მამანი, არ უნდათ შვილ-რძლის სიკვდილი. დაუწყებენ საკირეს ხურებას, უნდა ჩააგდონ. შეიტყობს ცხენი, დაჰწყვეტს თოკს და გაქანდება ქალისკენ. ქალს ეტყვის: აიღე შენი ბავშვი ხელში, შემჯე და წავიდეთო. შეჯდა ქალი, შეისვა თავის შვილიც, და გაუსო ცხენმა. ბავშვს ქუდი კი გადმოუვარდა და დარჩა იქა. რაკი ქალს უბედურება გადაეკიდა, სოვდაგრის შვილსაც გზა გაეხსნა: იარა, იარა და მოვიდა სახლში. შეიტყო ყველაფერი, ბევრი ინანა, მაგრამ რაღას უშველიდა; იპოვა შვილის ქუდი, წაიღო და წავიდა: ვისაც ეს ქუდი გამოადგება, ის იქნება ჩემი შვილიო. ცხენი და ქალი რო წავიდნენ, ბევრი იარეს, ერთ მინდორზე გამოვიდნენ. დადგა ცხენი, ქალს უთხრა: ჩამოდი, აიღე დანა და ყელი გამომჭერიო. ასო-ასო დამჭერ, დამალაგე, მერე ინატრე—რაც გინდა, და იმად გექცევა ჩემი ნაჭრებიო; თუ მეც რამედ გინდივარ, ჩემთვისაც გადადევ ერთი ასოვო. ქალი უარს ეტყვის: ვერ დაგკლავო.—არა, თვალები დახუჭეო, უთხრა ცხენმა, და ისე დამკალიო. დახუჭა თვალები ველის ყვავილმა, დაკლა ცხენი, დაჭრა ასო-ასო და ინატრა. გაცოცხლდა ისევ ცხენიც, და გაიმართა მშვენიერი დუქან-ბაზრიანი ქალაქიც. გახდა ქალი ქალაქის უფროსად და პატრონად; ყველაფერი იმისი კითხულია.

ივლის ველის ყვავილის ქმარი, ატარებს ქუდს, ხან ვის დაჰხურავს, ხან ვის, მაგრამ ვერ იპოვის შვილს, თუმცა ბევრ სოფელსა და ქალაქს გაივლის. ბოლოს მივა იმ ქალაქში, სადაც ველის ყვავილია უფროსად. ჩაატარებს ქუდს ქუჩებზედ და ხან ვის დაჰხურავს და ხან ვის, მაგრამ ვერ იპოვა. ბოლოს შეხვდება თავის შვილს; ძიძა ასეირებდა; გადააგდებს ერთხელ ქუდს, ქუდი დაეხურება ბავშვს და მოუხდება. გადააგდებს მეორედ, მესამედ და ქუდი კარგა მოჰდის. გაჯავრდება ძიძა: რასა ჰმასხრობ, დაიკარგე აქედამ, ჰკუიდამ ხომ არ შეიშალეო.

ბოლოს წაიყვანენ სოვდაგრის შვილს ველის ყვავილთან. სოვდაგრის შვილი და ველის ყვავილი იცნობენ ერთმანეთს და მოეხვევიან. უამბობს ყველაფერს ქმარი ველის ყვავილს, შერიგდებიან, მორიგდებიან და დაიწყებენ წინანდებურად ტკბილ ცხოვრებას.

ჰირი იქ დავაგდე,
ლხინი აქ მოვიტანე.
ქატო იქ დავაგდე,
ფქვილი აქ მოვიტანე.

## 29. ქურდის ზღაპარი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ხემწიფე, ჰყვანდა იმას ერთი კაი ყოჩაღი მოსამსახურე. ეს მოსამსახურე ძალიან ყოჩაღი იყო და თავის სიკეთეზე მოჰირვებული. ერთხელ მოსამსახურემ იფიქრა: ეს მოსამსახურობა ხო ვისწავლე, რაც არის, ეს აღარსად გამექცევა, და მოდი, ერთ ხელობასაც ვისწავლიო. იფიქრა, ბევრი არჩია, არჩია და ქურდობა გამოარჩია. დაჰდებდა ქუდს ხემწიფის ოთახში, მერე შეიპარებოდა ნელ-ნელა და წაიღებდა ქუდს. ერთხელ დაინახა ხემწიფემ მოსამსახურე ქუდის პარვაში, არაფერი უთხრა, მეორედ დაინახა, მესამედ, და მერე კი დაიძახა და უთხრა: ბიჭო, რასა შვრები მაგასაო? —დიდებულო ხემწიფევ, უპასუხა ქურდმა, მოსამსახურეობა კარგი ვიცი და ახლა სხვა ხელობის შესწავლა მომინდაო; ვარჩიე, ვარჩიე, და ეს ხელობა ავირჩიევო. —ძალიან კარგიო, უთხრა ხემწიფემ. და მე ერთი თეთრი ცხენი მყავს, თუ იმას მოიპარავ, ორას თუმანს მოგცემო და, თუ ვერ მოიპარავ, თავს მოგჭრიო.—ძალიან კარგიო, უპასუხა ქურდმა. ხემწიფემ შეაყვანინა ცხენი თავლაში, ერთი ბიჭი ზედ შესო შეკაზმულზედ, ერთმაც ხელში დაიჭირა და ერთიც კარებში დადგა. იმ ღამეს ადგება ქურდი, წაიღებს მშვენიერ ვახშამს, ერთ თუნგ არაყს და მიუტანს ყარაულებს: ეს ვახშამი და ეს არაყი ხემწიფემ გამოგიგზავნათ, ამაღამ კარგა იფხიზლეთო, არაყი დალიეთ და ცხენს გაუფთხილდითო. დაათრო ყველა ქურდმა. კარებში რომელიც იდგა, იმას იქვე მიეძინა კედელზედ; რომელსაც ცხენი ეჭირა, ის ალვირიანად მი-

წაზედ გაიშოტა, და რომელიც ზედ იჯდა, იმას ზედ დაეძინა. წამოჰყარა ალვირი ცხენს ქურდმა, მოხსნა საკმაზულობა თავის მხედრიანად და დააყუდა მიწაზედ; თვითონ ცხენზედ შეჯდა და გააქრო. მეორე დღეს შევა ხემწიფე თავლაში,—აღარსად ცხენი.—მოუპარიათ, იტყვის, დაიბარებს ქურდს და მისცემს ორას თუმანს, ცხენს კი ისევ მოაყვანინებს. ხემწიფე კიდევ ეტყვის: მე რო ორი შავი ხარი მყავს, თუ იმათ მოიპარავ, სამას თუმანს მოგცემ და, თუ ვერ მოიპარავ, თავს მოგჭრით.—კარგიო, უთხრა ქურდმა. ხარები მენახირეებს მინდორში ჰყვანდათ. ადგება ქურდი, წაიღებს ერთ წყვილ წაღას: ერთს ტალახიანს და ერთს გაწმენდილს. ქურდი მივა და დადგება იმ ადგილას, სადაც წყალს ასმევდნენ ხემწიფის ხარებს. გასაწმენდი წაღა ქვევით გზაზედ დააგდო, რომელზედაც ნაზირს უნდა გამოევლო, ერთიც ზედწყალზედ დააგდო. თვითონ იქვე დაიმალა. გამოიარეს მწყესებმა, იპოვეს გასაწმენდი წაღა, ჯერა სთქვეს, წავიღოთო, მაგრამ ბოლოს იტყვიან: რად გვინდა ერთი წაღა, გარეცხადაც არა ღირსო. დაანებებენ თავს და წამოვლენ. წყალზედ გაწმენდილ წაღას იპოვნიან; გაუხარდებათ, დაბრუნდებიან მაშინვე წაღის მისატანად. ისენი რო ტალახიანი წაღისათვის წავლენ, ქურდი გამოვა საფარიდან, გაირეკავს ხარებს და გააცილებს. მოვლენ მწყემსები; აღარსად ხარები. იქით ეცემიან, აქეთ ეცემიან, მაგრამ ტყუილად. მივიდნენ და მოახსენეს ხემწიფეს, რომ უბედურება შეგვემთხვა, ხარები დავკარგეთო. ხემწიფე მაშინვე მიხვდა, ვის საქმეც იყო; დაიბარა ქურდი და უთხრა, რომ წადი, მოიყვანე ის ხარები და წაიღე შენი ფულიო. მოუყვანა ხარები ქურდმა, გამოართვა სამასი თუმანი და ახლა მესამედ დანაძლევდა.—ნახევარ სახემწიფოს მოგცემ, თუ ცოლს მომპარავო, თუ არა და—სიკვდილი და შენი ჯანიო. ხემწიფეს აზრადა ჰქონდა, ამ ქურდობის დროს მოეკვლევინა ქურდი. ქურდმა ორი კვირის ვადა გამოჰთხოვა. ხემწიფემ სამ პირად შემოარტყა ჯარი სასახლეს და უბრძანა, ვინც მოვიდოდა, მაშინვე თოფი დაეკრათ. იმ ხანებში ერთი ურია მოკვდა. ქურდი წავიდა, ამოთხარა ურია, ჩააცვა თავისი ტანისამოსი, მიიტანა და დააყუდა ჯარის წინ. იმათ ვანო ეგონათ; დაუშინეს თოფები და დახვრიტეს მკვდარი ურია. მაშინვე შეატყობინეს ხემწიფეს, რომ ქურდი მოვკალითო. მოვიდა მაშინვე გახარებული ხემწიფე, და წაიღეს ტყუილა ქურდი საყდარში დასამარხავად. ჯარიც მოაშორეს სასახლეს. სანამ ხემწიფე იმ ამბებში იყო, ქურდი ხემწიფის ცოლთან შეიპარა, მოიტაცა და გააქანა. მიჰყავ ქურდს ხემწიფის ცოლი. წინ ერთი ეშმაკი შეჰხვდა; მოეწონა ხემწიფის ცოლი და ჰკითხა ქურდს: არ გაჰყიდიო?—გავყიდი, რას მომცემო? ჰკითხა ქურდმა.—რასაცა მთხოვო, უპასუხა ეშმაკმა.—მაშ ეს ქუდი ამივსე ოქროთიო, უთხრა ქურდმა. ეშმაკს ძალიან გაუხარდა: ქუდის ავსება რაღა დიდი საქმეაო. სანამ ეშმაკი ოქროს მოიტანს, ქურდი ამოჰთხრის ერთ ორმოს, გაჰხვრეტს ქუდს და დაჰდებს ზედ; მოაქვს ეშმაკს ოქრო, ჩაჰყრის ქუდში, მაგრამ ქუდი არ ივსება. ზიდა ეშმაკმა ოქრო და აუვსო ორმო. ქუდი რო აივსო, ეშმაკმა წაიყვანა ხემწიფის ცოლი.

მოვიდა ხემწიფე სახლში, -აღარსად ცოლი. დაიბარა ხემწიფემ ქურდი და

უბძანა: მოიყვანე ჩემი ცოლი და წაიღე შენი დაპირებულიო. წავიდა ქურდი ეშმაკის საძებნელად, ეძება და იპოვა. ეშმაკს უთხრა: თავშიამც გიხეთქია შენი ოქრო, წაიღე, ხემწიფის ცოლი იყო, მთხოვს, მამიყვანე ის ქალიო. —არაო, უთხრა ეშმაკმა: სანაძლეო დავდოთ და რომელმაც მოვიგოთ, ოქროც იმას დაჰრჩეს და ქალიცაო.—აბა რაზედაო? ჰკითხა ქურდმა. ეშმაკმა უთხრა: გავიჯიბრნეთ, გავიქცეთ და რომელმაც გავაჰწროთ, ის იყვეს მოგებულიო. —კარგიო, უთხრა ქურდმა, მაგრამ მე რა სარბენი კაცი ვარ. ერთი პატარა ბიძაშვილი მყავს, და იმას გაეჯიბრეო.—კარგიო, უთხრა ეშმაკმა: ისეთი ბიძაშვილი გეყოლებაო, რომ მე გამაჰწროსო! წავიდა ქურდი, ორი კურდღელი დაიჭირა; ერთი უბეში ჩაისვა და ერთიც ხელში უჭერია, უსვამს ზურგზედ ხელს და ეუბნება: აბა, ჩემო ბიძაშვილო, ვინძლო კარგა გაიქცე და არ შემარცხვინოვო!—აბა მე მზათა ვარო, უთხრა ეშმაკმა, გამომიყენე, გავიჯიბრებითო.—გაიქე და გამოგყვებაო.—უთხრა ეშმაკს ქურდმა. გაიქცა ეშმაკი, გაუშვა კურდღელი ქურდმა და დაჰქყივლა. კურდღელმა ერთი მოუსო და დაიკარგა. ამოიყვანა მეორე კურდღელი, დაიჭირა ხელში, უსვამს ზურგზედა ხელს და ეუბნება: ყოჩაღ, ჩემო ბიძაშვილო, რომ მასახელეო. მოვარდა ეშმაკიც და დაუყვირა: მე მოველ, და შენი ბიძაშვილი სადღა არისო?—ჩემი ბიძაშვილი დიდიხანია მოვიდა და შენ გელითო, უპასუხა ქურდმა.—ეშმაკი შაეშალა ქურდს: ყაბულს არა ვარ, კიდევ უნდა დავნაძლევდეთო.—რაზედაო, და ვინც უფრო დიდს დაიყვირებსო.—რა დროს ყვირილია, ეშმაკო, ქვაზედ მოდიო, უთხრა ქურდმა ეშმაკს. ეშმაკმა მაინც არ დაიშალა. ეშმაკს უთხრა: ჯერ შენ დაიყვირე, და მერე მეო. ეშმაკმა ერთი ისეთი საშინლად დაიწივლა, რომ ვანო კინაღამ დაყრუვდა. ჯერი ქურდზედ მიდგა. ქურდმა უთხრა: დაყვირება ეგეთი კი არ უნდა, შენ რო გცოდნია, მე რო დავიყვირებ, ის არის საქმეო. მაგრამ შენ კი ყურებში ახალი ბამბა დაიცევ, თვალებზე აიკარ რამე, თორემ დაჰყრუვდები კიდეც და დაჰბრმავდები კიდეცაო. აბა გულადად იყავიო, უთხრა ეშმაკს ქურდმა, უნდა დავიყვიროვო მოავლო ერთ კეტს ხელი და თხლაშა გაადინა ეშმაკს თავში.—ვაიმე, ვაიმე! ნუღარ დაიყვირებ, კმარობს! ქურდმა კიდევ დაარტყა თავში. ეშმაკმა სიმწვავით დაიღრიალა. —ვერც ეხლა მოგიგეო, ჰკითხა ქურდმა.—ვერაო, უპასუხა ეშშმაკმა; კიდევ დავნაძლევდეთო.—რაზედაო? ჰკითხა ქურდმა.—ვიჭიდნეთ და რომელმაც წავაქციოთ, იმას დარჩეს ცოლიც და ოქროცაო.—კარგიო, უპასუხა ვანომ, მაგრამ საქმე იმაში არის, რომ მე რო ხელი მოგკიდო, დაგჩეხავო. ისევ ისა ჰჯობია, ერთი ბებერი ბიძა მყავს, იმას დაგჭიდებო. ეშმაკს გაუხარდა, ძალიან კარგიო. წაიყვანა ქურდმა ეშმაკი და ერთი ბელიანი დათვის სოროსთან მიიყვანა. ეშმაკს უთხრა: შედი, მოჰკიდე ხელი, დაეჭიდე, დაეჭიდე, გამოითხოვე, გამოვა, და იჭიდეთო. შევიდა ეშმაკი დათვთან, დაეჭიდა, დაეჭიდა, გაჯავრდა ბერი-ბიძია, მოუსო ტოტი ეშმაკს, დადო და გაუსო და გამოუსო თათი, გაუსო და გამოუსვა. თქვენი მოწონებული მიბეჟა და მიამტვრია. ცოლიც და ოქროც ქურდს დარჩა. მოვიდა ხემწიფესთან. სახემწიფოზე დააბანინა ხელები და თვითონ გახდა ხემწიფედ.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

# 30. — გაუცინარი ხემწიფის ზღაპარი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი გაუცინარი ხემწიფე. თავის დღეში ის გაცინებული არავის ენახა და გაუცინარს იმიტომ ეძახდნენ. ხემწიფეს სამი ვაჟი ჰყვანდა; ვაჟებს გაუცინარი ხემწიფის შვილებს ეძახდნენ. ერთხელ ძმებმა სთქვეს: წავიდეთ, ვკითხოთ ჩვენ მამას, რად გვეძახიან გაუცინარის ხემწიფის შვილებსაო. წავიდნენ მამის საკითხავათ. ჯერ უფროსი ვაჟი შევიდა. მამამ ღვინიანი სტაქანი მიაწოდა და უთხრა: ჯერ ეს დალიე, მერე ერთ სილას შემოგკრავ და გეტყვიო. აიღო ვაჟმა სტაქანი და დალია. შემოჰკრა სილა ხემწიფემ და ქოჩორზე დაატრიალა: წადიო, და მერე გეტყვიო.

ახლა შუათანა შვილი შევიდა. — ვინა ხარო? ჰკითხა ხემწიფემ. — მე გახლავარო, უპასუხა ვაჟმა. — რა გინდაო? ჰკითხა ხემწიფემ. — გაუცინარის ხემწიფის შვილებს გვეძახიან, და რათა ხარ გაუცინარი, მითხარიო, უთხრა შვილმა. — აბა დალიე ეს სტაქანი ღვინო, და მერე გეტყვიო. აიღო ვაჟმა ღვინო, დალია; ხემწიფემ სილა გაარტყა და ქოჩორზე დაატრიალა. — წადი, მერე მოდი, და გეტყვიო, უთხრა შვილსა. წავიდა ძმებთან. ძმებმა ჰკითხეს: რა გითხრაო. — წადი, და მერე გეტყვიო.

ახლა უმცროსი ძმა წავიდა. — ვინა ხარო? ჰკითხა ხემწიფემ. — მე გახლავარ უმცროსი გაუცინარი ხემწიფის შვილიო. — რა გინდაო? ჰკითხა გაუცინარმა. — ჩვენ გაუცინარი ხემწიფის შვილებს გვეძახიან, და რათა ხარ გაუცინარიო. მიაწოდა ხემწიფემ სტაქნით ღვინო და უთხრა: აბა დალიე ეს სტაქანი, ერთ სილას შემოგკრავ და მერე გეტყვიო. ჩამოართვა სტაქნით ღვინო და დალია. შემოჰკრა ხემწიფემ სილა, მაგრამ ფეხიც ვერ მოაცვლევინა, — დამკარ მეორე და მითხარიო, უთხრა შვილმა. შემოჰკრა კიდევ მეორედ გაუცინარმა, მაგრამ კიდევ ვერ მოაცვლევინა ფეხი. — შამომკარ მესამედ და მითხარიო, უთხრა კიდევ გაუცინარს შვილმა. შამოჰკრა კიდევ მესამედ სილა, მაგრამ მაშინაც ვერ მოაცვლევინა ფეხი; მერე უთხრა: წადი და ჩემი თავის ტოლ-ტოლა ბროწეულები მოიტანეო. სადაც იდგა, ისიც ასწავლა და უთხრა: მოხვალ და მოიტან, — გეტყვი ჩემ ამბავსაო. ძმებთან მივიდა. ძმებმა უთხრეს: რა გითხრაო. — ჩემის თავის ტოლ-ტოლა ბროწეულები მოიტანე, და მაშინ გეტყვიო.

იარეს ბევრი, იარეს და ერთ ტრიალ მინდორზედ გავიდნენ; წინ წადგნენ, გზა გასაყარი ნახეს; ერთი ქვა იდგა, ქვაზედ ეწერა: აქეთ წახვალ — მოხვალ, აქეთ წახვალ — მოხვალ, ასე წახვალ — ვეღარ მოხვალო. უფროსი ძმა იქით წავიდა, საიდანაც მოვიდოდა, შუათანა იქით წავიდა, საიდანაც მოვიდოდა, უმცროსი იქით წავიდა, საიდანაც ვეღარ მოვიდოდა. ბევრი იარა. უმცროსმა ვაჟმა, ცოტა იარა, დაინახა შავი ჯარი, სულ ცხენოსანი. ბიჭმა იმედი გადიწყვიტა და სთქვა: ახლა კი მოვკვდებიო. დაიწერა პირჯვარი და

გაჰწია ჯართან; ახლოს რო მივიდა ჯართან, ნახა გაქვავებული ლაშქარი; გაჰცდა და წავიდა.

შორს წითელი ცხენოსანი ჯარი დაინახა, შეშინდა: ეხლა კი მოვკვდებიო, და დაიწერა პირჯვარი. მიუახლოვდა და დაინახა, რომ წითელი ცხენოსანი ჯარი გაქვავებული იყო; გაჰცდა ამასაც და გაიარა.

ბევრი იარა, ცოტა იარა, დაინახა ერთი ციხე; იმისი წვერი ცამდის იყო აწვდილი. ციხის ძირს ბროწეული იდგა. ბროწეულს ხუთი თავის ტოლ-ტოლა ბროწეულები ება. ჩავიდა გაუცინარი ხემწიფის შვილი, მოჰწყვიტა ბროწეულები; ერთი შეჭამა, სამი ჯიბეში ჩაიდო და ერთიც ზედ გაუშო.

გადმოიხედა ქალმა ციხიდამ და დაუძახა: ვაიმე, შვილო, რა ჩემ შვილსა ჰგევხარ, აქ ვინ მოგიყვანა? ბინძური დევი მოგკლავსო.—მე მაინც უნდა ამოვიდე და რაც მომივა, მომივაო, უთხრა გაუცინარი ხემწიფის შვილმა ქალსა. ქალმა თმა გამოიკვანძა და ჩაუშო. შეხტა ვაჟი, ჰტაცა იმას ხელი და ავიდა ციხეში. ქალმა დამალა, რო მოვიდეს, მოგკლავსო. გაუცინარი ხემწიფის შვილმა ჰთხოვა, როგორმე გაიგე, ჰკითხე. რაში არის იმისი სულიო, და მერე მე ვიციო. მოვიდა დევი და სთქვა: ხორციელის სული მომდისო.—არა, უთხრა ქალმა, აქ ადამიანს რა უნდოდა, შენ თვითონ მოვყვებიო. ჩამოეკონწიალა ყელზედ ქალი ბინძურ დევს და დაუწყო სურვილები: ძალიან მიყვარხარ, უშენოდ ვეღარა ვძლებ.—როდესაც შენ აქ არა ხარ, და მიახარი, რაში არის შენი სულიო?—ჩემი სული ცოცხში არისო, უთხრა ბინძურ დევმა. ბინძური რო სანადიროდ წავიდა, ქალი ადგა და მორთო ცოცხი ათას ნაირად, შემოახვია ბალდადები და ფარჩები, მიიტანა და ლოგინზე დადო. მოვიდა ბინძური დევი, ნახა ცოცხი და დაიწყო სიცილი: მოატყუე, განა მართლა მაგ ცოცხში არის ჩემი სულიო. ჩემი სული დედაბოძში არისო. წავიდა ბინძური ისევ სანადიროდ ქალმა აიღო და გარეცხა და გაწმინდა დედა-ბოძი, მორთო და მოკაზმა, ეხვევა და ესურვილება. მოვიდა ბინძური და ჰნახა ცოლი ამ ამბავში.—მაგას რასა ჰშვრებიო? ჰკითხა.—შენ სულს ვეხვევიო.—რამ გაგასულელაო, უთხრა ბინძურმა სიცილით; ჩემ სულს შენ ვინ მოგცემს, ამა და ამ ალაგას, რომ ერთ ადგილას ერთი ტახია, იმის თავში ერთი კოლოფია, იმაში სამი ჩიტია, წითელი—ლონა, თეთრი—გონება და შავი სულიო ვინ მოჰკლავს, იმას, არი ვინმე იმისთანა?—იმას ვერაფერი მოჰკლავს, თუ ჩემ შარდში ნაწრთობი ისარი არ მოჰხვდით, უპასუხა ბინძურმა.—არსად არ მიჰდგე შარდისათვის და არ დამღუპოვო, უთხრა ცოლმა; რო მიხვიდოდე სანადიროდ, შინ მიდეგო. დევი შინ მიდგა. ცოლმა ქოჩახი დაუდგა და შეინახა.

წავიდა თუ არა ბინძური დევი სანადიროდ, ადგა გაუცინარი ხემწიფის შვილიც, აიღო ორი პური და წავიდა მჭედელთან. გააკეთებინა ოცი ლიტრის მშვილდ-ისარი, მოჰწია და მოდრიკა. გააკეთებინა ორმოცისა, მოჰწია და მოდრიკა. ბოლოს სამოცისა გააკეთებინა, მოჰწია, და მშვილდი მაგრა იდგა. მჭედელს უთხრა: შენ არ აწრთო, საწრთობელ წყალს მე თვითონ მოგიტანო. წავიდა და მოუტანა ბინძურ დევის წყალი. აწრთო მჭედელმაც

მშვილდ-ისარი. გადიგდო გაუცინარი ხემწიფის შვილმა მხარზედ და გაუდგა გზებს ღორის საძებნელად.

იარა, იარა, და მივიდა იმ წყალზედ, სადაც ტახი წყალსა ჰსვამდა. წყალზედ ქალი იჯდა და ტიროდა.—რა გატირებსო, ჰკითხა ვაჟმა, რად იტკენ მაგ მშვენიერ თვალებსაო?—თუ ქრისტიანი ხარ, წადიო, უთხრა ქალმა, დრომ მოაწია, ღორი მოვა, უნდა შემჭამოსო. თურმე ღორს ყოველ დღე თვითო ქალი ჰყვანდა გადადებული შესაჭმელად. ვაჟმა უთხრა: შენ იმისი ნუ გეშინიან; ეხლა მე ცოტას დავიძინებ და დავისვენებ. შენ მუხლზედ მოვდებ თავს, და, როდესაც ტახი მოდიოდეს, ერთი სილა შემომკარი და გამომაღვიძეო. დაიძინა გაუცინარი ხემწიფის შვილმა. გავიდა ცოტა ხანი და გამოჩნდა ღორიც; ილესავდა კბილებს და ქაფსა ჰყრიდა. ქალმა ვაჟს უძახა, შემოჰკრა სილაც, მაგრამ ტყუილად. ტირის ქალი, ტირის, დედამიწა იწვება იმის ცოდვით. უცებ ქალის ცრემლი დაეცემა ლოყაზედ ვაჟს, და ცხრა პირი კანი აჰძვრება. წამოხტა ვაჟი, მოავლო მშვილდს ხელი და მიჰმართა ღორს. ჩადვა ისარი, ესროლა, და ერთ გვერდში ნაკრავი, მეორე გვერდში გაჩნდა. წაიქცა ღორი და დალია მაშინვე სული. მოჰკრა საჩქაროდ თავი, გაჩეხა და ამოიღო იქიდამ ყუთი. ყუთში ჩიტები იყო. ჯერ ჯანს წაჰგლიჯა თავი, წამოიღო და ახლა გონს. სულის ჩიტი კი ცოცხალი წამოიყვანა და წამოვიდა კოშკში.

სანადიროდ იყო ბინძური დევი; გაეგო გრძნებით, რომ ღორის თავს უბედურება რაღაც არისო, და წამოსულიყო საჩქაროთ, მაგრამ ამ დროს მოასწრო ვაჟმა, ღორიც მოკლა და ღონის ჩიტსაც თავი მოჰწყვიტა; ბინძურს ძალა აღარა ჰქონდა; ახლა გონებას მოჰწყვიტა თავი, და ძლივ-ძლივობით მიეთრია კოშკთან, მივიდა და დაეგდო კოშკის ძირას; აღარაფერი აღარ შეეძლო. დაინახა ზევიდან ქალმა, ჩამოვიდა, დაუჯდა თავით და დაუწყო კითხვა: რა გჭირს, ჩემო სიცოცხლევ, რა დაგმართვნიაო? მოვიდა ვაჟიც და დაუჭყივლა ბინძურს: რას უგდიხარ, ძაღლო, ადე, დაიკარგე აქედამაო. მითხარი, სად არის შენი ცხოვრებაო, ან ის ჯარები რო გაგიქვავებია, იმათ რაღა გააცოცხლებსო მაშინ დევმა უთხრა: წადი, ძაღლო ადი, იქ სამი მათრახია, ერთი თეთრი, ერთი წითელი და ერთიც შავიო; შავი მათრახი შავ ჯარს დაჰკარ, წითელი—წითელს და თეთრი—თეთრსაო. ჯარები გაცოცხლდებიან და შენი ყმები იქნებიანო.—მასწავლე ლოცვაცაო, უთხრა ვაჟმა. ასწავლა ბინძურმა ლოცვაც.

— შენი სიმდიდრე რაშიღა არისო? ჰკითხა ვაჟმა.—აი ეს გასაღები წაიღე, სულ ჩაპირის ოთახი გააღე, და ჩემი ცხოვრება იქ არისო, უთხრა ბინძურმა. წავიდა ვაჟი, გააღო კარი და სამი წყეული კი დაჰხვდა.—ოჰ, ეს რა კარგი საქმეა ჩვენთვისაო! სთქვეს წყეულებმა. ვაჟი, ცოტაც არ იყო, შეშინდა. წყეულებს უთხრა: ცოტა ხანს აქ იყავით, გარეთ გავალ და ისევ შემოვალო. გამოვიდა და გადმოიკეტა გარეთ კარი, მივიდა დევთან და ჰკითხა: იქ რისთვის შემიყვანე, იქ წყეულებმა კინაღამ შემჭამესო.—არაო, უთხრა ბინძურმა, შენ წადი, ესა და ეს ოთახები გააღე, იქ თვალ-მარგალიტია; ის

წყეულები შენ აღარაფერს გიზმენ, რაკი წითელი აჩვენეო; აჰკიდე იმათ და წაიღეო.

ადგა ბიჭი, გაალო ოთახები, აუარებელი თვალი და მარგალიტი წამოიღო და წამოვიდა: წაიღო თან ის ბროწეულებიც და წავიდა. მივიდა იმ ქვასთან, გზის გასაყარში რო იდო, დაჯდა იქა და დაისვენა. გაუცინარი ხემწიფის შვილს ძმები იქ დახვდნენ. ამოიღო ბროწეულები და თითო თითო დაურიგა. ძმებს შაჰშურდათ: ჩვენი მოტანილი ბროწეულები წვრილებია და მაგის მოტანილი მსხვილებიო; ადგნენ და ღალატი დაუპირეს. მაინც ერთად წავიდნენ. გზაზედ წყალი მოჰწყურდათ. ერთი ჭა იყო, იმ ჭას ეძახოდნენ ბულაყს. მივიდნენ ძმები ბულაყთან და წყალი უნდა ამოეღოთ. ჯერ უფროსი ძმა ჩაუშვეს. ცოტა რო ჩაუშვეს, ყვირილი მორთო: ამწით, ამწით, დავიწვიო! ამოჰწიეს და ამოიყვანეს. ახლა შუათანა ძმა ჩაუშვეს; იმანაც ისე დაიწყო ყვირილი. ამოჰწიეს და ისიც ამოიყვანეს. უმცროსმა ძმამ უთხრა: მე ჩამიშვით და რამდენიცა ვსთქვა „დავიწვიო", იმდენი ძირს ჩამიშვითო. ჩაუშვეს უმცროსი ძმა, და დაიძახა „დავიწვიო." ჩაუშვეს უფრო, დაიძახა კიდევ „დავიწვიო", და უფრო ჩაუშვეს. ჩავიდა ვაჟი და დალია წყალი. ჯერ წყალი ააწოდა ძმებს, ახლა თვითონ მოიბა წელზედ, მაგრამ შუა გზაზედ დააჭრეს ძმებმა თოკები და ჩააგდეს ძირსა.

წამოვიდნენ ძმები და წამოიღეს ბროწეულები, მოვიდნენ და მოუტანეს მამას.—მესამე ძმა რაღა უყავითო? ჰკითხა მამამ.—არ ვიცით, ის არ გვინახიაო, უპასუხეს ძმებმა.—აბა მაშ შენ გზაზედ რა ჰნახეო? ჰკითხა მამამ უფროს შვილს.—არაფერიო, უპასუხა შვილმა. დაუძახა ახლა შუათანას და იმასაც ისე ჰკითხა.—არც არაფერი მე მინახიაო, უთხრა იმანაც. გაჯავრდა ხემწიფე; მაშინვე გაგზავნა საძებრად ნაზირ-ვეზირი და გაატანა ჯარი. წავიდნენ ჯარები, ბევრი ეძებეს და ბოლოს ბულაყში იპოვეს ამოიღეს და წამოიღეს შინ მკვდარი.

ხემწიფემ უფლის ხელსახოცი მოუსვა და გააცოცხლა. წაუსვა თუ არა ხელსახოცი, ვაჟი გაცოცხლდა. გაუცინარმა ისეთი გაიცინა, რომ მიწა შეიძრა, ცა გაიხსნა, და იქიდამ ტომრებით ოქრო-ვერცხლი გადმოიბნა. მაშინ ხემწიფემ უთხრა: რა უყავ ბროწეულებიო.—მე წამოვიღე, ცოტათ მახსოვსო, უთხრა შვილმა.—მაშ რა ჰნახე, შვილო, გზაზედაო. ჰკითხა მამამ. შვილმა ყველაფერი უამბო, რაცა ნახა: გზაზედ შავი ცხენოსანი ჯარი იდგა გაქვავებულიო, იმის იქით წითელი და იმას იქით თეთრიო გავიარე კიდენ და ერთი ციხე ვნახე, წვერი ცამდინა ჰქონდა აწვდილიო და სამი ფანჯარა ჰქონდაო. იმ კოშკის ძირში ერთი ბროწეული იდგა, და ეს ბროწეულები იმას დავკრიფეო.—მაშ იქ ქალი ვერავინა ჰნახეო? ჰკითხა ხემწიფემ.—ვნახეო, უთხრა ვაჟმა. მაშინ უთხრა ხემწიფემ: შვილო, გაუცინარს იმიტომ გეძახიან, რომ ის ქალი ჩემი ცოლია, იმ ბინძურ დევმა მომტაცა, და ის შავი ცხენოსანი ჯარი, ის წითელიც და ის თეთრიც ჩემია, და იმან გამიქვავაო. ეხლა მიდი შენა და გაიცინე, ვისაც იმოდენა დაგიკარგნიაო.

ადგა მაშინვე ვაჟი, წავიდა კოშკში. მოკლა ბინძური, წამოიყვანა დე-

და, წამოიღო მათრახები, ერთი ერთ ჯარს გადაჰკრა, მეორე — მეორეს, მესამე — მესამეს, გააცოცხლა და წამოვიდა შინ მშვიდობით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.
ელოსა, მელასა,
ჭიქა მეკოდა ყელასა.
მთქმელსაც და გამგონებელსაც
ძილი გაამოთ ყველასა.

## 31.—ბრმა ხემწიფე

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი საწყალი კაცი. შიმშილმა რო შეაწუხა სოფელში, სთქვა: წავალ ქალაქში, იქნება იქ მაინც ლუკმა პური ვიშოვოო. სთქვა და ქნა წავიდა ქალაქში და დადგა მოჯამაგირედ ერთ ოჯახში. წლის ბოლოს, როდესაც სამსახურის ვადა გაუვიდა, გამოართვა ერთი ფური და წამოვიდა სახლში, მაგრამ დახე კაცის უბედურებას: ძროხა გზაზედ მოუკვდა. დარჩა საწყალი კაცი ისევ ისე ცარიელ-ტარიელი; დაღონდა საწყალი კაცი; ისევ უკან დაბრუნდა, ჩავიდა ქალაქში, იპოვა ძველი ალა და დაუდგა ისევ მოჯამაგირედ. ყავლი რო გაათავა, ისევ ერთი ფური გამოართო წამოიყვანა და წამოვიდა სახლში. გზაზედ ის ძროხაც მოუკვდა, დარჩა საწყალი კაცი ისევ ცარიელი. დაბრუნდა ძველ ალასთან ისევა. მესამე წელიც ემსახურა, გამოართვა მესამეთ ძროხა, წამოიყვანა და წამოვიდა, მაგრამ გზაზედ ისიც მოუკვდა. დაღონებული კაცი გზის პირზე დაჯდა და დაიწყო ფიქრი; ფიქრში დაეძინა და სიზმარი ნახა: იმასთან მოვიდა ერთი კაცი და უთხრა: სანამ, შენ ალას რომ კუტად ჩავარდნილი ქალი ჰყავს, იმას არ შეირთავ ცოლად, მაგ დღეში იქნებიო, ვერც როდის სარჩოს შეიძენ და ვერც როდის გაჰმდიდრდებიო. კაცს გამოეღვიძა; იფიქრა: სარჩო რათ მინდა, თუ კი ცოლი უხეირო მეყოლებაო. ბოლოს სთქვა: რაც იქნება, იქნება, შევირთავ, ფულებს ჯიბეში ჩავიდებ და საითაც მინდა, იქიტკენ გავწევ, ვინ მეყოლება მოდავეო. თქმა და ქნა ერთი იყო. დაბრუნდა საწყალი კაცი ქალაქში ალასთან და უთხრა: შენი კუტად ჩავარდნილი ქალი ცოლად უნდა შევირთოვო. იმ კაცს იმ ქალის მეტი შვილი არა ჰყვანდა, თავის სარჩო იმისთვის უნდოდა. ალას გაუხარდა: თუმცა იმის სასიძო მდიდარი არ იყო, მაგრამ წამოსადეგად ისეთი ვაჟკაცი იყო, რომ კარგა ჩაცმული და დახურვილი ხემწიფესაც არ ჩამოუვარდებოდა. დაჰწერა ქალს ჯვარი მამამ იმ საწყალ კაცზედ და მთელი თავისი სარჩოც სულ იმათ დაუმტკიცა. ცოტა ხანს კი იყო ნეფე თავის კუტ ცოლთან: მალე მოჰბეზრდა, დაანება თავი სარჩოსაც, ცოლსაც, წაიღო, რაც საგზაოდ ეყოფოდა, იმდენი ფული, აიღო ჯოხი და გაუ-

დგა გზას. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მივიდა ერთ ქალაქში. იმ დროს იმ ქალაქში ხემწიფეს ირჩევდნენ. ხემწიფის არჩევის წესი ასეთი თურმე იყო: ქალაქს ერთი მტრედი ჰყავდა. როდესაც მთელი ჯამაათი შეიყრებოდა, გაუშვებდნენ იმ მტრედს, და ვისაც ის დააჯდებოდა სამჯერ ზედი-ზედ, ხემწიფედ იმას ამოირჩევდნენ. გაუშვეს მტრედი. მტრედმა იფთხრიალა, იფთხრიალა და ჩვენ ნაცნობ მგზავრს კი დააჯდა თავზედ. ერთხელ—არაფერი, მეორედ და მესამედ კი რო დააჯდა თავზედ, ეცა ხალხი ამ კაცს და წაათრია ბოსელში: სასაცილოდ გვიგდებ, თუ რა არისო, შენ რა სახემწიფო კაცი ხარო. იფთხრიალა მტრედმა, იფთხრიალა, წავიდა, ჩავარდა სარკმლიდამ ბოსელში და ისევ იმ კაცს დააჯდა თავზედ. მაშინ კი ყველამ დაიჯერა, რომ უთუოდ მართლა ეს კაცი ყოფილა ამორჩეული ღვთისაგანაო, და გამოიყვანეს მაშინვე, ჩააცვეს მშვენივრად და მიჰცეს ხემწიფობა. კაცი უარზედ იდგა: არ შემიძლიან ხემწიფობა, მე ღირსი არა ვარო; მაგრამ ხალხი არ ეშვებოდა. რაკი არ მოეშვნენ და არ მოეშვნენ, უთხრა კაცებს: კაცის თვალი ხარბია, ვაი თუ სიმრუდე რამე მომივიდეს, და თვალები დამთხარეთ, სანამ ხემწიფედ დამსვამდეთო: თვალები რო გამოთხრილი მექნება ვეღარაფერსა ვნახავ, და ვეღარც არაფერი შემაცდენსო. დაჰთხარეს თვალები და დასვეს ხემწიფედ. ხემწიფემ ერთი ვამლი გაჰჭრა შუაზედ და მაღლა ჩამოჰკიდა; როდესაც სამართლებას დაუწყებდა, იმ ნაჭრებს ხელს ჩამოუსვამდა, თუ ერთად იქნებოდნენ, სწორედ იქნებოდა გადაჭრილი და, თუ ცალკ-ცალკე, მრუდად. გაითქვა ბრმა ხემწიფე. დიდი ბრძენი და დიდი სიმართლის მექონე მოსამართლე იყო: ერთხელ ერთი არ შეჰცდენია. ხალხსაც ძალიან უყვარდა და აფასებდა. ქრისტე-ღმერთმა მოინდომა იმისი გამოცდა, აბა სამართლით გადაჰწყვეტს თუ არაო; შეჯდა ჯორზედ და წამოვიდა ბრმა ხემწიფესთან. გზაზედ, ქალაქს რო დაუახლოვდა, ქრისტე ღმერთი ნახირს დაეწია. ერთი დედაკაცი ზაქიან ფურ-კამეჩებს ქალაქში მიერეკებოდა. გაატარა ჯორი ნახირის შუაზედ ქრისტე-ღმერთმა, და ჯორს ერთი ზაქი კი დაედევნა. გამოუდგა დედაკაციც, აბრუნებდა ზაქს, და ზაქიც აღარ ბრუნდებოდა, აღარც ქრისტე-ღმერთი აძლევდა, ჩემმა ჯორმა მოიგოვო. დედაკაცი არ მოეშვა: სანამ ხემწიფესთან არ გიჩივლებ, არ მოგეშვებიო, და რასაც ის გადაჰწყვეტს, ისე იყვესო.—კარგიო, დაჰთანხმდა ქრისტე-ღმერთი. წავიდნენ საჩივლელად. მივიდნენ ხემწიფესთან და იჩივლეს. ქრისტე-ღმერთმა იჩივლა: ჩემმა ჯორმა ზაქი მოიგო. ეხლაც სადაც წაველ, სულ თან დაჰდევს ის ზაქი იმ ჯორსა, და ეხლა ეს დედაკაცი გამომჩენია და მედავება ზაქსაო; ზაქი უთუოდ ჩემია და, დიდებულო ხემწიფევ, გთხოვთ სამართალი გვიბოძოთო. ცალკე დედაკაცი ჩიოდა. ხემწიფე კი დაფიქრებული იჯდა და ხმას არ იღებდა.—მოგვეცი სამართალიო, უთხრა ქრისტე-ღმერთმა, რაღას ელი, რაზედა ჰფიქრობო.—მომითმინეთო, უთხრა ხემწიფემ, ერთ საჩივარს ვარჩევ, მოვრჩები და ახლა თქვენსას გავარჩევო: ზღვიდამ თევზები გამოსულან, ყანა მოუძოვნიათ, და ეხლა ყანის პატრონი იმათ უჩივისო.

— რასა ბძანებთო, უთხრა ქრისტე-ღმერთმა, თევზები როგორ მოჰშორდებოდნენ წყალს, ხომ მაშინვე დაიხოცებოდნენო.—თუ თქვენმა ჯორმა

ზაქი მოიგო, თევზებს რალა დაუშლიდა ზღვიდამ გამოსვლას და ყანის მოქმასაო, უპასუხა ბრმა ხემწიფემა. ქრისტე-ღმერთმა ალარაფერი სთქვა, დალოცა, აუხილა თვალები, ცოლიც სიკუტისაგან მოურჩინა და განშორდა.

ქირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.
მთას ურემი ავიტანე,
წამოვიდა გორებითა,
აქ სიცოცხლით გამიძეხით,
საიქიოს ცხონებითა...

## 32.—ქაჩალ-მებატე

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი გლეხი კაცი. დაბერდა, დაუძლურდა, და შვილი მაინც არ მიეცა. ცოლი და ქმარი ხან ერთმანეთს შეჰტიროდენ და ხან ღმერთს, რომ ისეთი რა ცოდვა მიგვიძღვის ან ღვთისა და ან ქვეყნის წინ, რო ასე უშვილოდ ვილევითო. ბევრი იდარდეს, ბევრი იჯავრეს და, რო ვერაფერს გახდნენ, ადგნენ და გადაჰწყვიტეს, რომ უშვილობის წამლისთვის წასულიყვნენ. ადგა გლეხი კაცი, ჩაიცო რკინის ტანისამოსი, რკინის ქუდი დაიხურა, რკინის ქალმები ჩაიცო, რკინის ჯოხი დაიჭირა და წავიდა მკითხავთან. მკითხავმა უკითხა, უთხრა, რომ უშვილობის წამალი მე კი არა მაქვს და, ღმერთმანი, ცხრა მთას იქით ერთი შავი დევი სცხოვრობს, იმასთან ნიშანს რასმე გაგატან, ის ჩემი კაი ნაცნობია, და წამალი იმას ჰთხოვე, იმას აუცილებლად ეცოდინებაო. ადგება ეს ბერიკაცი, ივლის, ივლის, გადივლის ცხრა მთას და გადაჰლახავს შავი დევის სამზღვარს. გამოვა შავი დევი, დაინახავს თავის საბძანებელში კაცს და დაუძახებს რიხით: ჩემი შიშით მაღლა ჰაერში ფრინველი ვერ გაივლის, ძირს მიწაზედ—ჭიანჭველა, და შენ რა სულიერი ხარ, რომ აქ მოსულხარო!—მე ერთი საწყალი ბერიკაცი ვარ, ჩემ დარდს გავექეც, შენთან სამტრო რა უნდა მქონდეს, საქმის მეტიო; ამა და ამ მკითხავმა გამომგზავნა შენთან, და იმიტომ მოვედიო!—მაშ ნიშანი გექნებაო, დაუძახა შავმა დევმა. ბერი კაცმა აჩვენა მკითხავისაგან მიცემული ნიშანი. მკითხავმა გლეხ კაცს ბეჭედი მისცა და უთხრა: დევს ეს აჩვენე, და კარგა მიგიღებსო. რაკი ბერიკაცმა მკითხავის ნიშანი აჩვენა, დევმა კარგა მიიღო, ასვა, აჭამა და უთხრა, რომ ის წამალი, რაც შენ გინდა, მე კი არ ვიცი და, ცხრამთას იქით, რომ ერთი წითელი დევია, იმან იცის უშვილობის წამალი; ნიშანს მოგცემ, და იქ წადიო. გლეხი კაცი ახლა იქ წავა; ივლის, ივლის, გადივლის მეორედ ცხრა მთასაც და შევა წითელი დევის საბძანებელში. რაკი დაინახა დევმა კაცი თავის სამფლობელოში, უარესი ბობოქრობა და ჯავრობა დაიწყო: შენ რა სულიერი ხარ, ჩემი შიშით ზეცაზედ ფრინველი ვერ გადაიფრენს, ძირს, მიწაზედ,

ქიანქველა ვერ გაივლის, შენ კი მოჰსულხარ და ჩემ არე-მარეში ხარო? — მე შავი დევის გამოგზავნილი ვარ შენთან, სხვა მე სამტრო და სამოკეთო არაფერი მაქვსო, უპასუხა წითელ დევს ბერიკაცმა, ერთი საწყალი კაცი ვარ, უშვილოდ ვილევი და, ნიშანიც მომიტანია, შენთან ვარ გამოგზავნილი, გამომასწავლეს, იმან იცის წამალიო. წითელმა დევმა რაკი ნახა შავი დევის ნიშანი, მაშინვე მოუტკბილდა. ბერიკაცს უთხრა, რომ წამალი მე კი არა მაქვს, და, ნიშანს კი გაგატან თეთრ დევთან, ცხრა მთას იქით რო არის, იმან იცის წამალიო. მისცა ნიშანი, და წავიდა ისევ ბერიკაცი. იარა, იარა, გადავიდა მესამედ სხვა ცხრა მთას და მივიდა თეთრი დევის საბძანებელში. თეთრმა დევმა უარესი ბობოქრობა და ჯავრობა მორთო. დაუწყო მუქარა საწყალ ბერიკაცსა. რაკი წითელი დევის ნიშანი ნახა, ისიც მორბილდა; კაცს უთხრა: წამალი მე ვიცი, მე მოგცემ, მაგრამ ნაშენი სანახევრო უნდა იყვესო; რაც იქნება, ნახევარი შენი იქნება და ნახევარი ჩემიო. გლეხმა იფიქრა: სუ არარაობას ცალუდელი ხარი ჰჯობია, სუ უშვილობას ერთი შვილი ჰრ მირჩევნიაო? მოგცემო, უთხრა დევს. დევმა მისცა ორი ვაშლი და უთხრა: ერთს გაჰჭრით, შენა და შენი ცოლი შეჰჭამთ, ერთს კიდევ გოშიას და ცხენს შეაჭმევთო. ორი ვაჟი გაგიჩნდებათ, ორი რაში და ორი ვეფხვი; ამა და ამ დროს მოვალ, ერთ ვაჟს, ერთ რაშს და ვეფხვს მე წავიყვან, და თითო შენ დაგრჩებაო. ბერიკაცმა სიხარულით გამოართვა ვაშლები და გაუდგა თავის გზას.

მიიტანა შინ ეს ვაშლები. ერთი გასჭრა, ნახევარი ცოლს მიჰცა, ნახევარი თვითონ შეჭამა, მეორე გაჰჭრა, ნახევარი ცხენს შეაჭამა, ნახევარი გოშიას. მოუვიდა დრო შობვისა დედაკაცს. დაწვა ლოგინზედ, შვა ორი ოქროს ქოჩრიანი ვაჟი. მოუვიდა დრო ცხენს, გაუჩნდა ორი რაში, ისეთები, რომ ოქროს ფაფარი ეყარათ და ცეცხლის ნალები ეკრათ. მოუვიდა გოშიას დრო შობისა, და დაყარა ორი ვეფხვის ლეკვი; ოქროს ფაფარი ეყარათ კისერზედ და ცეცხლის კბილები ედგათ... იზრდებოდნენ ერთად ორი ძმა. ერთ დაარქვეს სასხვათო, მეორეს — თავისი. თუ სხვები წლით იზრდებოდნენ, ისენი დღით იზრდებოდნენ; დღეში მათრახის ტარსა მატულობდნენ. გავიდა დრო, მოიზარდნენ ვაჟებიც, რაშებიც და ვეფხვებიც. მოახლოვდა დევის მოსვლის დროც; მოაგონდა მამას დევისთვის მიცემული პირობა და გული ჩაჰწყდა. დაიწყო ტირილი. ჩაიცო შავები და საბნელოში ჩაჯდა. გაიგო სასხვათომ მამის საბნელოში ჩაჯდომა. მივიდა დედასთან და უთხრა: დედავ, დიდი ხანია ძუძუ ალარც მე მამიწოვია, და ალარც შენ მოგიწოვებია, ეხლა მამინდა, მამაწუეო. — მოდი, შვილო, გენაცვალოს დედაო, უთხრა დედამ: ძუძუს როგორ არ მოგაწოვებო. სასხვათომ მოუჭირა კბილი დედას ძუძუზედ და უთხრა: თუ მეტყვი მამაჩვენი რადა ზის საბნელოში, გაგიშვებ, თუ არ მეტყვი და — მოგკვნეტო. — შვილო, უთხრა დედამ, სატირელი და სამგლოვიარო აქვს და გლოვობსო. და რაკი სასხვათო ალარ მოეშო დედას, დედამ უამბო ყველაფერი და უთხრა, რო დევთან პირობა ისე დაედვა, წამალი რო გამოერთო, რომ რაც გაგვიჩნდებოდა, ნახევარი იმისი უნდა ყოფილიყო და ნახევარი ჩვენი; ეხლა დევს დღე-ჯღეზე ველით და ერთ-ერთს წაგიყვანსთო,

გაიცინა სასხვათომ, წავიდა მამასთან და დაუძახა: მამავ, რას ჩამჯდარხარ საბნელოში, ცოცხლებს რადა გვტირი, ჯერ არაფერი გვიჭირს, წავალთ, ისევაც მოვალთ, სატირელი შინ ნაგდები კაციაო. გამოდი, დევს ისე დაუხვდით, თითქო არაფერია, ეჭვს ნურაფერზე ნუ აადებინებთ, მე წავალ და ისევაც მალე მოვალო. მართლაც გამოვიდა მამა საბნელოდამ, მაიმხიარულა თავი, გაიხადა შავები.

მოვიდა დევიც. სასხვათოს მამას უთხრა: აბა გავიყოთ ნაშენიო.—გავიყოთო. წაჰყვა დევს სასხვათო, წაიყვანა ერთი რაში, ერთი ვეფხვი და წავიდნენ. ბევრი იარეს, ცოტა იარეს, მივიდნენ დევის ქვეყანაში. ჩაიარეს სოფლები, ქალაქები, და ხალხი სუ ტატნად იყო მომდგარი; ყველა სასხვათოს შესცქეროდა. დევის სოფელში რო შევიდნენ, დევმა ასწავლა სასხვათოს თავის სახლი: წადი, მე აქ სოფელში ცოტა საქმე მაქვს, და მეც მალე მოვალო. სასხვათომ სოფელზე ჩავლის დროს ერთი ბებერი ნახა, ტიროდა, ტიროდა, სუ თვალებს ითხრიდა.—რადა ჰტირი, დედილოვო? ჰკითხა სასხვათომ.—ვაი შენს დედას, შვილოვო, შეჰბღავლა ბებერმა, რატო შენი დედა შენ წინ არ მოკვდაო! ეგ დევი, უკან რო დარჩა, თავის რჯულის კაცებს მოიყვანს, თავის რჯულის მღვდელს, დაგკვლენ შენც, შენ რაშს, შენ ვეფხვსაც და შეგჭამენო! უშველე თავს, სანამ მოვა, გაიქე, იქნება გაასწრო როგორმეო. მაახდა სასხვათო თავის ცეცხლის ნალიანს, გადისვა ვეფხვიც და გაფრინდა. ერთ წამს გადიარა ცხრა მთა და სხვა ცხრა მთაზე გავიდა. დაბრუნდა დევი სახლში. იკითხა: ის ვაჟი—ვახშამი რადა იქნაო?—მე არავინ მინახია, აქ არავინ მოსულაო, უთხრა ცოლმა.—იქნება შამიფერა და გაიქცაო, სთქვა დევმა: ი ცხრა მთის იქით რო გოდრის ოდნად ჩნდა, ის იყოვო. მაშინვე შეჯდა თავის რაშზე, შამოჰკრა მათრახი და გამოუდგა. რო დაეწია და დაეწია, სასხვათოსაც გაულევია ხმელეთი, მისულა ზღვასთან, აუვლის, ჩაუვლის და ტირის, იღვრება ცრემლად. სახსარი აღარსიდგან არა აქვს, წინ ზღვა და უკან დევი. ამაიღგამს ენას რაში და ეტყვის: რა გატირებს, პატრონო, რაზედ შეგიწუხებია თავიო, მომიჭირე მოსართავები, რაც ძალი და ღონე გაქვს, გადამკარ მათრახი, და მერე მოგვდიოს თეთრმა დევმაო. ჩამოხტა ცხენიდამ მაშინვე სასხვათო, მოუჭირა მოსართავები, და გამოჩნდა დევიც: ეგ არი, ჰიავ, ველარსად წამიხვალ, ჩემი ლუკმა ხარ მაინცა და მაინცაო. შამოჰკრა სასხვათომ რაშს მათრახი, ადგა რაში ტოტებზედ, დაიზიდნა, გაიწია, დაიფრუტუნა, ისკუპა და ზღვის მეორე ნაპირს კი გადიტანა თავის მხედარი. გავიდა სამშვიდობოს სასხვათო, ღმერთს მადლი შეჰწირა. მაიბრუნა თავი დევისაკენ. დევი ზღვის პირს იდგა ხახა გაღებული და კბილებს უკრაჭუნებდა სასხვათოს. ჩამოხტა სასხვათო რაშიდამ, დაასვენა, მააძოვა, დაისვენა თვითონაც, მერე შეჯდა და გაუდგა გზებს.

ბევრი იარა, ცოტა იარა, მივიდა ერთ სახემწიფოში. გზაზედ ერთი მეღორე ნახა; მივიდა იმასთან და გამოჰკითხა იმ ქვეყნის ამბები. მეღორემ უთხრა, რომ აქვე ახლოს ამ სახემწიფოს სატახტო ქალაქია, ხემწიფე მდიდარი და დიდებული უზისო; ხემწიფეს სამი მზეთუნახავი ქალი ჰყავსო.

სასხვათოს ორი ხელი ოქროს ტანისამოსი ჰქონდა; მეღორეს უთხრა: მეღორევ, აი ეს ერთი ხელი ჩემი ოქროს ტანისამოსი მომიცია შენთვის, სამაგიეროდ შენ შენი საცმელი უნდა მომცე და ერთი ღორის ფაშვიცაო. მეღორეს ძალიან გაუხარდა, ტანისამოსიც მიჰცა, ღორიც დაუკლა, ხორციც აჭამა და ფაშვიც დაუცალა, გაურეცხა და მიჰცა. გამოეთხოვა სასხვათო მეღორეს, ჩაიცვა იმისი ტანისამოსი, ღორის ფაშვი თავზე ჩამოიცო და ოქროს ქოჩორი შიგ შეიკეცა. ერთი ხელი ოქროს ტანისამოსი აბჯარი, მოთულობა რაშს დააკრა და გაუშო რაშიც და ვეფხვიც. გამოიძრო რაშმა ძუა, მისცა პატრონს და უთხრა: როგორც ჩვენი თავი დაგჭირდეს, ეგ ფაფარი გამოხსენ, ახსენე ჩემი სახელი, და მე და ვეფხვი იმ წამში იქ დავიბადებითო. გამოართვა ძუა, გამოეთხოვა ორივეს და წავიდა ქალაქისაკენ. ქალაქში რო შევიდა, იკითხა, მებატე არავის უნდაო. უთხრეს, რომ, ღმერთმანი, ხემწიფეს უნდა მებატე და, რო მიხვიდე იქ, აუცილებლად დაგიყენებენ ბატების სავლელადაო. ვინ რა იცის თუ სასხვათო რა ვაჟია? იმათ ერთი ქაჩალი და ბეჩავი ვიღაცა ჰგონიათ. ხემწიფემ დაიყენა სასხვათო მებატედ. ჩაჰრეკავს ბატებს მდინარეზედ, ერთი სალამური აქვს, ბატები რო ცურაობას დაიწყებენ, ის კიდე იმას უკრავს და ართობს გულს. ერთხელ ბატები ჩავლენ მდინარეში, დაიწყებენ შიგ ყურყუმელაობას, ცურვას და თამაშობას. მოუნდება სასხვათოსაც ბანაობა, ადგება, მიიხედ-მოიხედავს და, რო ვერავის დაინახავს, მაიხდის ფაშვს, გატიტვლდება და დაიწყებს ბანაობას. ამ დროს ხემწიფის უმცროსი ქალი თავის ფანჯარასთანა მჯდარა, მიჰდგომია სასხვათოს თმის ნათელი, გაუხედნია. დაუნახია, რომ ამ მებატეს ტალღებივით ოქროს თმა აყრია, შეჰწუხებია ქალს გული, და რის ვაი-ვაგლახით ძლივს მოუსულიერებიათ. დაუწყებენ ქალს მიზეზის კითხვას, მაგრამ ქალი ხმასაც არ იღებს. შეუყვარდა მებატე, რომ იმის სიყვარულით კვდება. რო ვეღარ მოითმენს და გასძლებს, დებს ეტყვის: დებო, რა ხანია, ჩვენი მამისთვის ძღვენი აღარ მიგვირთმევია, ეხლა მაინც მივართოთო.—კარგიო, ეტყვიან დები. ყველა რასმე მიართმევს ხემწიფეს; უფროსი დები მდიდრულად ნაკერ ტანისამოსს, იარაღს, და უმცროსი კი მოჰწყვეტს სამ კიტრს, ერთს დამპალს, ერთს დასალპობად მომზადებულს და ერთს კიდე ქორფას, მაშინდა საჭმელს, და მიართმევს ხემწიფეს. ხემწიფე ძალიან გაკვირდება: ეს ამდენი ხანია, ხემწიფედა ვარ, ასეთი ძღვენი არავის მოურთმევია ჩემთვის, და ჩემ ქალს რამდა მოაგონა კიტრების ძღვნაო. დაიბარებს უმცროს ქალს და ჰკითხავს: რა არის, რასა ჰნიშნავენ ეს კიტრებიო? — სირცხვილი კი არისო, უთხრა ქალმა, და აბა უთქმელობას არ ამეცილება, უნდა ვსთქვაო: ეგ დამპალი კიტრი ჩემი უფროსი და არის, —მაგას დრო აქვს გადასული; ეგ დასალპობად მომზადებული—ჩემი შუათანა და არის, და ეგ მესამე— მე-გათხოვება გვინდა ჩვენ და ქმრების შერთვაო. —ოღონდ, შვილებო, თქვენ ვინმე მოინდომეთ, და როგორ არ გაგათხოვებთო, უთხრა მამამ, თქვენ მეტი მე ვინა მყავს, ან სახემწიფო რად მინდა და ან ქონება თქვენს იქითო. მაშინვე გაჰგზავნის კაცებს მთელ თავის სახემწიფოში და დაიბარებს ყველას: მოდით, ქალებს ვათხოვებ, სასიძოები უნდა ავირჩიოთო.

მოვიდა ერი, მოვიდა, რომ სულ აივსო მთელი ქალაქი, ტევა აღარ იყო. უნდა დაჯარებული ხალხისათვის ჩამოევლოთ ქალებს და, ვინც მოეწონებოდათ, იმას ჩაჰსხდომიყვნენ კალთაში. ჯერ უფროსმა ქალმა ჩამოუარა დაჯარებულ ერს და ვეზირს ჩაუჯდა კალთაში; ახლა შუათანამ ჩამოუარა და ჩაუჯდა ნაზირს; ჩამოუარა უმცროსმა და ვერა ნახა ის, ვინც უნდოდა. აუარა და ჩაუარა, მაგრამ აბა! დაბრუნდა და უთხრა, რომ ის აქ არ არისო. მოიკითხა ხელმწიფემ, ვინღა გვაკლიაო, და ყველა იქ იყო ქაჩალ-მებატის მეტი.—აბა იმის მოყვანა რა საჭიროაო, სთქვეს ზოგმა, იმას ხომ არ შეირთავს ხელმწიფის ქალიო.—არა, მაიყვანეთო, უთხრა ხელმწიფემ. წავიდნენ ქაჩალ-მებატის მოსაყვანად. გზაზედ სასხვათომ ერთი კურდღელი დაიჭირა, უბეში ჩაისვა და დამალა. როდესაც მოვიდა სასხვათოც ქაჩალ-მებატედ წოდებული, აუარა და ჩაუარა ქალმაც ხალხს. მივა სასხვათოსთან, დაეძირება კალთაში ჩასაჯდომლად, მაგრამ სასხვათო ამააჩენინებს კურდღლის ყურებს, და დაშინებული ქალი ისევ მოჰშორდება. დაბრუნდა ქალი მამასთან და უთხრა, რომ უბეში რაღაც უზის და მეშინიან, ვერ ჩაუჯდებიო.

—თვალები დახუჭე, შვილო, და ისე ჩაუჯექი, უთხრა ხელმწიფემ. ქალი წავიდა სასხვათოსაკენ, მივიდა, მივიდა, დახუჭა თვალები და ქაჩალ-მებატეს კალთაში კი ეცა. მოჰწყდა წელი ხელმწიფეს, მაგრამ რაღას იზამდა! ხალხი გაკვირვებული და გაოცებული დარჩა. წამოიყვანეს ნაზირ-ვეზირმა თავის ცოლები, მიჰცა ხელმწიფემ ბევრი ფული მზითვად, სახლები, და დადგნენ მდიდრად. უმცროს ქალს და ქაჩალ-მებატეს კი ერთი საქათმე მისცეს საცხოვრებლად. არიან ამ საქათმეში ცოლ-ქმარნი და ითმენენ და-სიძეების დასაცინს. თან და თან ქაჩალ მებატის ცოლსაც გული შემოეყარა: იქნება, ჩემმა უბედურებამ და წერა-მწერალმა მამაჩვენა, იქნება ჩემი ქმარი მართლა ქაჩალი იყოს, და მე ოქროს თმიანი მეგონაო. დაიწყებდა მალი-მალ ტირილს და ითხრიდა თვალებს. ქაჩალ-მებატე კი დადიოდა და აინუნშიაც არ იგდებდა ხალხის ლაპარაკს.

გავიდა დრო. ხელმწიფემ იფიქრა: ეს ქალები ხომ გავათხოვე, სიძეები ვიშოვე. ვბერდები, ვაჟი არა მყავს და ვნახავ, გამოვცდი, რა სიძეები მყავს, ვის ხელში ვაგდებ, ვის გაუწირავ სახელმწიფოსაო. მოიავადა თავი ხელმწიფემ, დაიბარა სიძეები და უთხრა: ვკვდები, აბა თუ რამე შეგიძლიათ, ეხლა მარგეთ, წამალი მამიტანეთო.—რა გიშველის, რა მოგიტანოთო, ჰკითხეს სიძეებმა.—ამა და ამ ადგილას თუ წახვალთ და იქ ცოცხალ ირემს დაიჭერთ, ამოაცლით ნუკრს და იმის ღვიძლს მამიტანთ, ის მიშველის; სხვა ჩემი მშველელი არაფერი არ არისო. ადგებიან სიძეები, ნაზირ-ვეზირი, მოირთვებიან, მოიკაზმებიან, შესხდებიან ცხენებზე და ერთის ამბით გაჰწევენ. ქაჩალ-მებატეც გამოართმევს ერთ კოჭლ ცხენს, შეჯდება და გააჩაკჩაკებს. დაჰცინიან ცოლის დებიც და სიძეებიც: უთუოდ შენ კი მოიტან, არ მოგირჩებაო.

გაჰცდა ქალაქს ქაჩალ-მებატე, გავიდა მინდორზე, გამოხსნა ძუა, და მოვარდა რაში. გაიძრო ძველმანი ტანისამოსი; ჩაიცვა ოქრო-ქსოვილი. შეჯდა და გაუდგა გზას. იარა, იარა და მივიდა დანიშნულ ადგილს. გაჰრია რაში ირმის ჯოგში, დაიჭირა ერთი მაკე ირემი, დააბა და თითონაც გვერდს მო-

უჯდა. მოვიდნენ ნაზირ-ვეზირიც, დაუკრეს თავი და მოწიწებით დაუწყეს ლაპარაკი. სასხვათომ ჰკითხა: რაზედ გაჰრჯილხართ და აქ მოსვლა გაგიბედნიათ, უსაქმოდ არ გაირჯებოდითო. ნაზირ-ვეზირმა უთხრეს, რომ ჩვენი ხემწიფე არის ავად, და ცოცხალი ირმის მუცლიდან ამოღებული ხბოს ღვიძლი თქვენს წამლადაო, და რასაც გვთხოვ, მოგცემთ, ოღონდ იმის ღვიძლი კი მოგვეციო. ქაჩალ-მებატემ უთხრა: მე თქვენი სხვა არაფერი არ მინდა, ნეკის წვერები მომიჭერითო. რას იზამდნენ ნაზირ ვეზირნი? მოუჭრეს ნეკა თითების წვერები, მისცეს, გამოეთხოვნენ, გადუხადეს მადლობა, შესხდნენ და წავიდნენ. ისინი რო წავიდნენ, ადგა ქაჩალ-მებატეც, შეჯდა და გაჰმოწია. ქალაქს რო მოუახლოვდა, ჩამოხტა, გაიხადა ოქრო ქსოვილი, ჩაიცო ძველი ტარტლები, ჩამოიცო თავზე ღორის ფაშვი, გაუშო რაში, შეჯდა კოჭლ ცხენზედ და, როდესაც ნაზირ-ვეზირი შევიდნენ ქალაქში, მივიდა ქაჩალ-მებატეც თავის კოჭლი ცხენით. სიძეებმა დაჰცინეს: უთუოდ შენ კი მოიტანდი ცოცხალი ირმის ნუკრის ღვიძლს, და ჩვენ კი აბა რას მოვიტანდითო. მიუტანეს წამალი ხემწიფეს. ჭამა მოტანილი ღვიძლი, მაგრამ ხემწიფემ მორჩენა მაინც არ სთქვა, ისევ თავს იავადებდა. ნაზირ-ვეზირს კი სახელი გაეთქო წამლის მოტანით. ქაჩალ-მებატის ცოლი იჯდა და ტიროდა

დაიბარა კიდევ ნაზირ-ვეზირი ხემწიფემ და უთხრა, რომ ისევ უნდა წახვიდეთ და, თუ ჩემი მორჩენა გინდათ, ამა და ამ ადგილს ვეფხვებია, ერთი ვეფხვი მოწველეთ და იმის რძე მომიტანეთ. თუ მიშველის, ის მიშველის, თორემ მე სხვა ვერარა მიშველისო. ადგებიან ნაზირ-ვეზირი და გაჰწევენ ვეფხვის რძის მოსატანად. ქაჩალ-მებატეც შეჰკაზმავს კოჭლ ცხენს და კინკილით გაუდგება გზებს. გაჰცდება ქალაქს, გამოჰხსნის ძუას, რაში მაშინვე იმასთან გამოცხადდება. ჩაიცომს, მოირთვის და ეტყვის რაშს: ხემწიფემ თავი მოიავადა, ნაზირ-ვეზირი ვეფხვის რძისთვის დაგზავნა, და მიშველე რამეო. —მაგისი ფიქრი ნუ გექნებაო, უთხრა რაშმა, მე ვიცი და იმათა; შემჯე და წავიდეთო. გაიყოლეს კბილ-ცეცხლიანი ვეფხვი და გაჰწიეს, სადაც ვეფხვები ეგულებოდათ. რო მივიდნენ ვეფხვების თერგში, აქა იქ ამოხტნენ ვეფხვები და მიეცნენ გზებს. გამოუდგა კბილ-ცეცხლა სასხვათოსი ერთ ძუ ვეფხვს, მიიგდო ერთ გამოქვაბულში, შეიპყრო და მოიყვანა პატრონთან. დააბა ვეფხვი ქაჩალ-მებატემ და დაუჯდა გვერდზედ. როდისაც იქნებოდა, მოვიდნენ ნაზირ-ვეზირიც, ისევ ის კაცი ნახეს, გაუკვირდათ და სთქვეს, რომ ნადირთ ხემწიფე ეგ თუ არის, მაგის ხელში თუ არიან ტყისა და ველის ოთხ-ფეხნიო. მივიდნენ იმასთან მოწიწებით, მოუხადეს ქუდები, დაუკრეს თავები და მოახსენეს: მაშინაც შენ გვიყავ სიკეთე, მაშინაც შენ მოგვეც ირმის ნუკრის ღვიძლი და ეხლაც გვიშველე, გვიმსახურე, რაც გინდა ის გამოგვართვიო.—კარგიო, უპასუხა სასხვათომ, თუ ყურის ფიმფილოებს დამიჭრით, მოგცემთო. რაღა მეტი ღონე ჰქონდა ნაზირ ვეზირს? მოუჭრეს ყურის ფიმფილოები; მოუწველა სასხვათომაც ვეფხვი, რძე იმათ მიჰცა და ყურის ფიმფილოები თვითონ შეინახა. გაჰწიეს ნაზირ-ვეზირმაც; სასხვათომაც გაუშო ვეფხვი, შეჯდა რაშზედ და გამოჰწია ქალაქისაკენ. ქალაქის ახლოს რო მივიდა, ჩამოხტა, რაში გაუშო, დააკრა ტანისამოსი, თვითონ ისევ მებატის

ტანისამოსი ჩაიცვა, ფაში ჩამოიცო თავზედ, შეჯდა კოჭლ ცხენზედ, გატეხილი მშვილდ-ისარი დაიჭირა ხელში და წავიდა ქალაქში. ქალაქში რო შევიდა, ყველა იმას დაჰცინოდა, ბალღები ცხენის ძუაზედ ებმოდნენ. ცოლის დებმა რო დაინახეს, ქაჩალ-მებატე ისევ ცარიელი მოდისო და ჩვენმა ქმრებმა კი მეორედ მოიტანეს წამალიო, დაუწყეს დაცინვა ქაჩალ-მებატის ცოლს და აღარ აყოფინებდნენ თავს კარში. მოუტანეს ნაზირ-ვეზირმა ვეფხვის რძეც ხემწიფეს. გაუვარდათ სახელი ბიჭობისა, გაითქვნენ მთელ ქვეყანაზე. იმათი ცოლებიც ქაჩალ-მებატის ცოლს თავს აღარც კი უყადრებდნენ. ხემწიფეც დაჰცინოდა უმცროს ქალ-სიძეს და აღარც კი უშვებდა შინ. ქაჩალ-მებატე არაფერს ამბობდა, და იმის ცოლიც ითმენდა და ელოდა რაღასაც.

აი კიდევ ეძახის მესამედ ხემწიფე თავის სიძეებსა და ეუბნება: ეს ორჯელ ხო მომიტანეთ წამალი და დამიმტკიცეთ თქვენი სიგმირე, მაინც არ მეშველა, მესამედაც წადით და უკვდავების წყალი მომიტანეთო. მაშინვე ადგებიან ნაზირ-ვეზირი, შესხდებიან ცხენებზედ და გასწევენ უკვდავების წყლის მოსატანად. ადგება ქაჩალ-მებატეც, შეჯდება კოჭლ ცხენზედ და ჩააკინკილებს ქალაქის ქუჩებს. ქალაქს რო გასცდება, გამოჰხსნის ძუას. მოვარდება რაშიც.—რა გინდაო? ჰკითხავს. ვაჟმა ყველაფერი უამბო.—ჩემ კისერს იყოს იქიდან უკვდავების წყლის მოტანაო, უთხრა რაშმა; ერთი ის არის, კოკოშას*) გძელი ტარი გაუკეთე, უკვდავების წყალი ორი კლდის შუა გამოდის; ის კლდეები მიდიან და მოდიან, ეჯახებიან ერთმანეთს და ჰშლიან ცეცხლს, როგორც ტაში, ისე სცემენ. მე გავფრინდები, უნდა შიგ კლდეში ერთი მხრიდამ მეორეში გავვარდე, შენ კი იმ გძელ ტარიანი კოკოშათი წყალი ამოკრიფე, და წავიდეთო. გადაჯდა თავის რაშზედ ქაჩალ-მებატე და გაუდგა გზას. ბევრი იარა, ცოტა იარა, მივიდა იქ, სადაც უკვდავების წყალი იყო. ერთი უზარმაზარი კლდე გამოჩნდა, იმისი წვერი ცაში იყო შარჭობილი, ორ-პირად იყო აყუდებული; თვალის დახამხამების ხანს გაიწევდნენ, გადგებოდნენ განზე და მერე ისევ ერთმანეთს ეჯახებოდნენ. არა სულიერს იმაში შესვლა არ შაეძლო.—მამიჭირე მოსართავები და დამკარიო, უთხრა რაშმა სახხვათოს. მოუჭირა მოსართავები, შემოჰკრა მათრახი. ისკუპა რაშმა, გავარდა კლდეების შუა, ვაჟმაც მოასწრო წყლის ამოღება, მხოლოდ გასვლის დროს კლდემ რაშის კუდის წვერს კიდევ მოასწრო და მოსწყვიტა. ჩამოხტა ვაჟი, დაასვენა რაში და დაჯდა თვითონაც. როდისაც იქნებოდა, მოვიდნენ ნაზირ-ვეზირიც. ნახეს, რომ ისევ იმ კაცსა აქვს უკვდავების წყალიც. ჰთხოვეს, შეაძლიეს დიდი ფასი. სახხვათომ უთხრა: მე თქვენი არაფერი მინდა. ამოიწიეთ და უკან ჩემ ცხენს წიხლი მიარტყმევინეთო. რა მეტი ღონე ჰქონდათ? მიარტყმევინეს ფეხცეცხლს წიხლი, და სუ ზედ დააჩნდა ნატერფალები. მისცა უკვდავების წყალი, გაისტუმრა და წამოვიდა თვითონაც გულ-დასვენებული. მიუტანეს ნაზირ-ვეზირმა უკვდავების წყალი, და მორჩა ხემწიფეც. ნაზირ-ვეზირები. როდი ამბობენ, თუ იქ კაცი დაგვხვდა და ირმის ხბოს

---

*) ყელიანი გოგრა.

ღვიძლიც, ვეფხვის რძეც და უკვდავების წყალიც იმან მოგვცაო; ისინი ეუბნებიან, რომ ჩვენ მოვიტანეთო. გაეთქვათ სახელი. გახარებულია ხემწიფეც, რომ ასეთი სიძეები იშოვა. ქაჩალ-მებატე კი ჩუმად არის. იმისი ცოლი ახლა კი დარწმუნდა, რომ მართლა ჩემი ქმარი ქაჩალია, და შევცდი და მოვითხარე და შევრცხვიო.

რაკი ასეთი სიძეები დაიგულა, ხემწიფემ კაცი გაუგზავნა სხვა მოსაზღვრე ხემწიფეს და შეუთვალა: მე მოვდივარ საომრად შენთან, მზად იყავ, ვიომოთ, რომელიც დავძლევთ, იმან დაიჭიროს ორივე სახემწიფოვო. კაცის გაგზავნა და ჯარების დაძახება ერთი იყო. გაივსო იქაურობა ჯარით, მოვიდა დიდი და პატარა. ნაზირ-ვეზირიც მორთულ-მოკაზმულები გამოვიდნენ და დაუდგნენ ჯარს წინ. წავა ქაჩალ-მებატეც, გამოჰხსნის ძუას, მოუვა რაშიც და ვეფხვიც. ჩაიცვამს მშვენივრად, აისხამს იარაღს და გაჰწევს საომრად თავის ვეფხვით. იმ დროს მივა, რო გაცხარებული ომია, შეეტევება ამ მტრის ლაშქარს, გაუვლის და გამოუვლის, ჰჯრის თავს და ჰყრის მკვდარ ლეშს. რასაც ისა ჰხოცს, ორ იმდენს იმისი რაში და ვეფხვი. დაღამდა ის დღე, გადაჰწყდა ი დღის ომი. ყველა გაკვირვებულია, ყველა უცხო მხედარს ეძებს. ამ დროს უცხო მხედარი ირთვება ისევ ძველი ტანისამოსით, მოდის ცოლთან და უგდებს ყურს უცხო მხედარზედ საუბარს. გათენდება მეორე დღე, დაიწყება ისევ ომი. ჩაიცვამს ისევ ქაჩალ-მებატე და ჩავა, იომებს და უცებ ხელს შეაჭრის ხმალს. მორჩება იმ დღის ომიც. ხემწიფე შეჰნიშნავს, რო სასხვათოს სისხლი ჩამოჰდის. მაშინვე მოიხსნის ბაღდადს და შაუხვევს წყლულს. წავა სასხვათო, გაიხდის ტანისამოსს, ჩაიცვამს ძველმანს და დაბრუნდება შინ. ხემწიფე გამართავს დიდ წვეულებას; დაჰხოცს საქონელს, დააჯარებს ლაშქარს და უბძანებს ღვინის ჩამორიგებას; მეღვინეს ჩუმად ეტყვის, რომ თვალი ადევნე, ვინც დაჭრილ ხელს, ჩემი ბაღდადით შეხვეულს, გამოგიშვერს, მითხარო.

ჩამოატარეს ღვინო, ყველამ გამოუშვირა თითო ხელი, მაგრამ ვერ გაიგეს, თუ ვისა ჰქონდა შეჭრილი ხელი. ხემწიფეს მოახსენეს: ყველა თითო ხელს გვიშვერს, და მართლაც თითო ყანწისთვის თითო ხელზე მეტი არც არის საჭიროვო.—ჩამოატარეთ ღვინოც და ვაშლიცაო, უთხრა ხემწიფემ. ჩამოატარეს ღვინო და ვაშლი. ქაჩალ-მებატემ გაუშვირა ერთი ხელი, მეორე კი დამალა.—მეორეც გამოგვიშვირეო, უთხრეს: ვაშლი გამოგვართვიო.—მე ვაშლი არ მინდა, ღვინო დამალევინეთო, უთხრა ქაჩალ-მებატემ. მაინც არ მოეშვნენ და გამოაღებინეს შეხვეული ხელი.

მაშინვე გადაეხვევა ხემწიფე სასხვათოს და დაუწყებს კოცნას: მაბატიე, შენი ჭირიმე, მაპატიე, რაც უსიამოვნობა ჰნახეო. ხემწიფემ ჰთხოვა სასხვათოს, რომ ხვალ მაინც გამოდი და ეჩვენე ხალხსაცაო და მეცაო. მეორე დღეს აიძრო თავზე ღორის ფაშვი, გაიხადა ძველი ტანისამოსი, შეჯდა რაშზედ, აისხა იარაღები და ჩავიდა ომში. გაუსო მტრის ჯარს და სუ მუსრი გაავლო. გაჰწყდა მტრის ლაშქარი. იმათ ხემწიფემ გამოუგზავნა კაცი, რომ ნუღარა ვხოცთ ხალხს, გატეხილი ვარ, ჩემი სახემწიფო შენ დაგრჩაო. გადაჰწყდა ომი. და დაბრუნდა ხალხი შინ. ეხლა ყველა სასხვათოს აქებდა

და ადიდებდა; ნაზირ-ვეზირის ხსენება სადღა იყო! სასხვათოს ცოლი იჯდა და გაჰცქეროდა გამარჯვებულ ქმარს, იმის ღებს შურით თვალებიდგან ძმარი სდიოდათ. დაბრუნდა ხემწიფეც სახლში. მისცა სასხვათოს და იმის ცოლს უკეთესი სასახლე და დააყენა.—სახელი ნუ დაიმალება, რაკი თავის გამოჩენაზე მიდგა საქმეო, უთხრა ერთხელ სასხვათომ ხემწიფეს: აბა ერთი დაუძახეთ თქვენ სიძეებს, ნაზირ-ვეზირს, და ჰკითხეთ, ვინ მისცა ცოცხალი ირმის ნუკრის ღვიძლიო; ის მე მივეცო, და დასამტკიცებლად ნეკა თითების წვერები გამოუჩინა და უთხრა, ესენი დავაჭრევინე ფასადაო. მართლაც დაუძახეს ნაზირ-ვეზირს, ნახეს, ნეკა თითების წვერები დაჭრილები აქვსთ.—ვეფხვის რძეც მე მივეც და სამაგიეროდ ყურის ფიმფილოები დავაჭრევინეო; უკვდავების წყალიც მე გამოვიტანე ჩემის რაშით და მაგათ მივეც, სამაგიეროდ ჩემ რაშს ნალებით ნიშანი დავადებინე მაგათათვის საჯდომზეო. თუ არა გჯერათ, გაშინჯეთო. გაშინჯეს, და მართლაც ყურის ფიმფილოები დაჭრილები ჰქონდათ. გაატიტვლეს, და ცხენის ნანალარები ზედ ეტყობოდათ. დაბრუნდნენ სახლში შერცხვენილი ნაზირ-ვეზირი. იმათი ცოლებიც სირცხვილით იწვებოდნენ.

მოჰწყინდა შინ ჯდომა სასხვათოს. ხემწიფეს უთხრა: სანადიროდ უნდა წავიდეო, და რასა ბრძანებთო. ხემწიფემ უთხრა: შვილო, წადი, გული გაიხარე, გაირთე, და ჩვენ საზღვარს კი არ გადაჰცდე, სხვის საზღვარს არ გადახვიდე, იქ ერთი ქალია, და ის აუცილებლად მოგკლავს, არ მოურჩებიო.—არა მიშავსო, უთხრა სასხვათომ. დაუძახა რაშს, ვეფხვს, ჩაიცო აბჯარი, შემოირტყა ხმალი და გასწია. ინადირა თავის ხემწიფის სამფლობელოში, ნადირი ვერაფერი ნახა და სთქვა: რაც იქნება, იქნება, გადავალ ქალის საბრძანებელში და ან მოკვდები და ან დავრჩებიო. გადავიდა; ინადირა. იმდენი ნადირი იყო, რომ სათვალავი არა ჰქონდა. ჰხოცდა, რამდენიც სულსა და გულს უნდოდა. როდესაც დაიღალა და მოჰწყინდა, აჰხსნა მშვილდს ბაწარი და დაისვენა. შორს ერთი მაღალი კოშკი დაინახა. მაშინვე ადგა, აბა ისევ მშვილდს ბაწარი და გაუდგა გზას. მივიდა კოშკთან, შევიდა შიგ, ჩამოჯდა ოქროს სკამზე და დაისვენა. იქვე კოშკში ოქროს ფანდური და ოქროს ვერძი იყო. ჩამოიღო ჩონგური, დაჰკრა და აამღერა. დაიწყო ოქროს ვერძმა თამაშობა და ხტუნაობა. გავიდა ცოტა ხანი, და მოვიდა ქალიც.—ვინა ხარ ჩემ კოშკში, რო ოქროს ჩონგურსაც უკრავ და ოქროს ვერძსაც ათამაშებო! შემოჰყვირლა ქალმა სასხვათოს: ვინა ხარ, შენი სახელი დაიძახეო.—მე სასხვათო ვარ, და აბა შემოდიო! უპასუხა სასხვათომ.—მამკლავო, დაუძახა ქალმა შეშინებულის ხმით, რაკი ისა ხარ, ვერ შემოვალო.—არ მოგკლავ, შემოდიო, გაჰძახა სასხვათომ.—არა, მომკლავო, უპასუხა ქალმა.—არ მოგკლავო, ვაჟმა.—აბა მაშ თუ არ მომკლავ მანდ რო ნაფოტი გდია, შენ რაშს დაადე ისაო, დაუძახა ქალმა. აიღო სასხვათომ ქალის ნაჩვენები ნაფოტი, დაადო თავის რაშს და დაუძახა: ეხლა შემოდი, შევასრულე შენი თხოვნაო.—აბა ახლა ვეფხვს დაადეო. დაადო იმასაც.—ახლა შენ ხმალსაო. ხმალსაც რო დაადო სასხვათომ ნაფოტი, დაუძახა ქალს: აჰა, ესეც ხმალი, ესეც შეგისრულეო.—აბა ეხლა შემოვალ, და დამხვდიო! შემოჰყვირლა ქალ-

მა და შემოიქედა კარებში. დაიზიდა რაში, მაგრამ თქვენს მტერს ნურა კარგი, რო იმან ნძრევა ველარა ქნა. ცხრა კეცი ჯაჭვით იყო დაჯაჭული. დაიზიდა ვეფხვი, მაგრამ ვერც იმანა ქნა ჩუჩუნი. დაღონდა სასხვათო, დეეზიდა ხმლის ვადას, მაგრამ აღარც ხმალი დაემორჩილა პატრონს, ისიც დაჯაჭულ-დაკრული იყო. შემოვიდა ქალი და გადაყლაპა რაშიც, ვეფხვიც და სასხვათოც.

სასხვათო და თავისი რო ჰშორდებოდნენ ერთმანეთს, დევთან რო უნდა წასულიყო სასხვათო, ამოიღეს ხმლები და უთხრეს ერთურთს: ეს ხმლები გვქონდეს ნიშნად, როდესაც ხმალს უომრად სისხლის ცვარი დააყაროს, მაშინ ვიგონოთ ერთმანეთისა, რომ გვიჭირს რამე, და შველაა საჭირო. ამოიღებს ხმალს მუდამ თავისი, გაჰსინჯავს, გააქვს ლაპლაპი. ამოიღებს ეხლა, და ხმალი სუ ცრემლებსა ჰღვრის, სუ სისხლის ცვარში ნაბანი. დაღონდება თავისი, იტყვის: ძმას უჭირს, ჩემი თავი და შველა ესაჭიროებაო. ადგება, ჩაიცვამს ოქროს ტანისამოსს, აისხამს იარაღს, აიღებს მშვილდ-ისარს, შეჯდება რაშზედ, გამოეთხოვება დედ-მამას, გაიყოლებს ვეფხვს და გაჭწევს. ივლის ივლის, მაივლის მთელ დუნიას, ათასის მილეთის ხალხსა ჰნახავს, კითხულობს ძმას, მაგრამ ტყუილად. ბოლოს, როგორც იქნება, მივა იმ სახემწიფოში, სადაც სასხვათო იყო.

ისე ჰგავ, ისე ჰგავ თავისი სასხვათოს, როგორც ორად გაჭრილი ვაშლის ნახევარი მეორე ნახევარსა ჰგავ.

დაკარგულია სასხვათო დიდი ხნისა. ხემწიფემ შავი გადააკრა ქალაქს. რაკი მოვიდა იმ სახემწიფოში თავისი, ხალხს სასხვათო ეგონა და მაშინვე ახარეს ხემწიფეს. მაშინვე უბრძანა ხემწიფემ შავების ახდა, გამოეგება თავისას და დაუწყო კოცნა: მადლობა ღმერთსა, შვილო, რო დაჰბრუნდი, მადლობა ღმერთსაო. რა ღმერთმა ქნა, ან რა ბედმა და იღბალმა, რომ იმ ქალს გადურჩიო. ისე ჰგვანდა თავისი სასხვათოს, რო ხემწიფეს თავისი სასხვათო ეგონა. თავისი მაშინვე მიჰხვდა, რაშიაც იყო საქმე, იფიქრა: უთუოდ სასხვათო წასულა სადღაც, დაკარგულა, და აღარ მოსულა, ის,უგლოვნია, ეხლა ჩემი მისვლა იმიტომ გაუხარდა, რომ სასხვათო ვგონივარო. ხემწიფეს უპასუხებს, რომ გადავრჩი ისე, გადავრჩიო. მერე ეტყვის, რო არა ვყოფილვარ იმ ქალთან ჯერ, ხვალ წავალო. შაიყვანენ სასხვათოს ოთახში. გამეევებება რძალი და ისიც დაუწყებს კოცნას. იმასაც სასხვათო ჰგონია. საღამოზე რო დაწვება თავისი, მივა და სასხვათოს ცოლიც დაწვება იმასთან. ქალსა ჰგონია, რო სასხვათოაო, და აბა თავისიც რას გაუმხელს, რომ არა ვარ სასხვათოვო. ამოიღებს ხმალს თავისი, დაჰდებს შუაზედ და ეტყვის რძალს: თუ ამ ხმალს გადმოჰცილდებიხარ, მაშინვე ამ ხმლით ლუკმა-ლუკმა აგკუწავ; დალალული ვარ, ნამაშვრალი, შენთან სახვევლად და საკოცნელად როდი მცალიანო.

ქალმა იფიქრა, მაგას სხვა ვინმე შეჰყვარებია, ჩემზედ ხელი აუღიაო, გული აუყრიაო, და დაიწყო ტირილი; იტირა ბევრა, იტირა, დაიღალა და დაეძინა.

მეორე დღეს დეემზადება თავისი წასასვლელად და ხემწიფეს ჰკითხავს,

საითკენ წავიდე და საითკენ არაო. ხემწიფემ ასწავლა ქალის საბრძანებელი და უთხრა, რომ ჩვენს სამზღვარს არ გადახვიდე, თორემ იქ ის ქალი მოგკლავს არ გაგიშვებსო. შეჯდა რაშზედ, შემოირტყა ხმალი, გაიყოლია ვეფხვიც და გაჭრია. არც აქ და არც იქ სანადიროს თავი არ უბრუნა, ფეხაკრეფით გაიარა და გავიდა ქალის საბრძანებელში, დაინახა კოშკი და მაშინვე იქ მიამურა. შევიდა კოშკში, ჩამოიღო ოქროს ჩონგური, დაჰკრა სამწუხაროდ სიმებს და ააჟღერა. მოვიდა ქალიც და შემოჰკყივლა: ვინა ხარ ჩემ კოშკში? ვინ უკრავ ჩემ ოქროს ჩონგურს და ვინ ათამაშებ ჩემ ოქროს ვერძსაო? შემოვალ და სიცოცხლეს გაგიმწარებო.—მე თავისი ვარ, და შემოდიო, დაუძახა ვაჟმა.—ოჰ, მეშინიან, მომკლავ, ვერ შემოვალო, დაუძახა ქალმა ვითომ და შეშინებულის ხმით.—ჰოო, იფიქრა თავისიმ, მაგით მოგიტყუებია ჩემი ძმაც, და ვნახოთ, როგორ მომატყუებო. შემოდი, არ მოგკლავ, ქალზე იარაღს როგორ ვიხმარებო.—აბა მაშ, თუ მართალს ამბობ, მანდ რო ნაფოტია, ის აიღე და შენ რაშს დაადეო. ვაჟმა აიღო ნაფოტი და, ვითომ დავადეო, გადააცილა რაშს.—ეხლა შემოდიო, დაუძახა ქალს, დავადეო.—არა, ახლა ვეფხვს დაადეო, დაუძახა ქალმა. აიღო კიდევ ნაფოტი და, ვითომ დავადეო, გადააცილა. დაუძახა ქალს: ამასაც დავადე, და მობრძანდიო.— აბა ახლა შენ ხმალს დაადე, და მაშინ კი დავიჯერებ, რომ არ მომკლავო, დაუძახა ქალმა. აიღო ის ნაფოტიც და გადააცილა ხმალს.—ეს ამასაც დავადეო, დაუძახა თავისიმ.—ეხლა შემოვალ და შენს ჰირადაო. დაუძახა ქალმა.—შემოდი, და მეც აქ დაგხვდებიო, უპასუხა თავისიმ და გაისწორა აბჯარი.

შემოვიდა ქალიც, და დაიზიდნეს რაშმა და ვეფხვმაც, დაჰზიდნა თავისიმაც ხმალს. შემოჰკრა თავისიმ და მოაჭრა ერთი თავი. ქალი სამ-თავიანი ყოფილიყო. გაცხარდა ქალიც. ცალმხრივ რაშმა და ვეფხვმა, ცალმხრივ თავისიმ, და მიიმწყვდიეს ეს ქალი. მოჰკრა მეორე თავიც და დაუყვირა: მითხარ, რა უყავ, ქაჯო, ის ჩემი ძმაო!—ოღონდ ნუ მომკლავ, და შენ ძმას მე გასწავლი, სადაც არისო, უთხრა ქალმა: ჩემ თავში ერთი ყუთია, და თავის რაშიან ვეფხვიანად იმაში ზისო. მოჰკრა ის თავიც თავისიმ, გაჭრა და ცოცხალი ძმა კი ამოიყვანა. გადაეხვივნენ ძმები ერთმანეთს და დაუწყეს კოცნა.—უჰ, რა დიდხანს მძინებიაო, სთქვა სახსვათომ.—გეძინებოდა მაშინ, ძმაო, რო მე არ მოვსულიყავო, უთხრა თავისიმ და უამბო ყველაფერი. შესხდნენ რაშებზედ და გამოაშურეს ხემწიფისაკენ. ხემწიფეს მახარობელი მიუვიდა და მოახსენა, რომ შენი სიძე დაბრუნებულა, მობრძანდება, და ორი კაცი კია, ერთი ორათა ქცეულაო.—მოჰჭერით მაგ წუწკს თავიო, უბრძანა ხემწიფემ, ვის გაუგონია ის, რასაც შენ ამბობო. მოუვიდა მეორე მახარობელი, რომ თქვენი სიძე ერთი ორათ მოდისო. მოჰჭრეს იმასაც თავი. მოუვიდა მესამე მახარობელიც. ბოლოს ხემწიფემ ცოლს უთხრა, რო გადი, ნახე, მართლა რა ამბავიაო. გავიდა დედოფალი, ნახა, შემობრუნდა და მოახსენა, მართლა ერთი ორათ მოდისო.

მოვიდნენ ძმები, მაგრამ ვეღარა სცნობს ვეღარც ხემწიფე და ვეღარც სახსვათოს ცოლი, თუ რომელია სახსვათო. ბოლოს, როგორც იყო, უამბო

ყველაფერი ხემწიფეს და გააგებინა თავის ამბავი. გაუკვირდა და გაუხარდა ხემწიფეს. გაუმართა დიდი წვეულება და დასო ხემწიფედ სასხვათო. ჯერ სასხვათოსთან ისტუმრეს, ილხინეს, იხარეს და მერე თავის დედ-მამასთან წავიდნენ. თავისი იქ გამხდარიყო ხემწიფედ. ახლა იქ სწიეს ქეიფი, იხარეს, ილხინეს, და მერე გაჰშორდნენ ერთმანეთს: ხასხვათო თავის სახემწიფოში წავიდა და თავისი თავისაში დარჩა.

ჰირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.
მთას ურემი ავიტანე,
წამოვიდა გორებითა.
აქ სიცოცხლით გამიძეხით,
საიქიოს ცხონებითა.
ელასა, მელასა,
ჰიქა მეკიდა ყელასა.
მთქმელსა და გამგონებელსა
ჯვარი გვეწეროს ყველასა.

## 33.—ზღაპარი მინდორთ ქალისა.

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა,
იყო შაშვი მგალობელი,
ღმერთი ჩვენი მწყალობელი,

იყო ერთი მდიდარი კაცი. ჰყვანდა შვილად სამი ქალი და ერთიც ვაჟი. რო დაბერდა და მოიწია სიკვდილის ჟამმა, დაიბარა მამამ თავის ერთად-ერთი ვაჟი და უთხრა: შვილო, ღვთითა და ბედით ამოდენა სარჩო შემიძენია, თავიც დამიშვრია, ხალხიც შემიწუხებია, თქვენც მომიზრდიხართ, ეხლა ჩემი ამ ქვეყნად ყოფნის ბოლოც მოვიდა, ვკვდები, შვილო, და ერთი სურვილიც ამისრულე: ეს სამი ცოდვის შვილი, შენი დები, გაათხოვე. საქმროებისთვის ნუ შეჰწუხდები, ვინც პირველი მოგივიდეს, იმას მიეციო.—მაგისა ნუ გეფიქრებაო, უპასუხა შვილმა, შენც მორჩი, მამავ, და დებს მაინცა და მაინც აუჩენ ადგილსაო. მოკვდა ეს მდიდარი კაცი; დაასაფლავა შვილმა, როგორც წესი და რიგი იყო.

გავიდა რამდენიმე დღე. ვაჟი კარებზედ ზის და უცქერის გზას, შორს სადღაც ერთი კაცი გამოჩნდა; იარა, იარა, მოვიდა ვაჟთან, არც აცია, არც ახცელა და პირდაპირ უთხრა, რო შენი უფროსი და მე უნდა მომცე ცოლადაო. ვაჟს მოაგონდა მამის ანდერძი და უთხრა უცნობ კაცს: კაცო, ჰო, კარგი, მოგცემ დას, მაგრამ არ უნდა მითხრა შენი გვარი და სახელი, ან ვინა ხარ, სად მიხვალ, რა ხელობისა ხარ? არ უნდა კაცს, ან მგზავრი მო-

ვიდეს შენთან, ან მტრის შეწუხებული, ან სამოკეთეოდ; იქნება ერთი ობოლი და გავარდნილი მეკობრე ხარ, რა ვიცი, მე შენ და მოგცე, წაიყვანო და სტყვეოს გაჰყიდოვო — მე შენთან არც გვარისა და სახელის სათქმელად მოვსულვარ და არც სალაპარაკოდ; თუ გინდა და გსურს, შენი და მომეცი, არა და — შენც მშვიდობით და მეც. ის იყო, უნდა წასულიყო, მაგრამ ვაჟმა იფიქრა: კაცო, მამიჩემის ანდერძი ეგრეა და ჩემი ცოდვა ხომ არ იქნება; გამოუყვანა უფროსი და და მისცა. გადისვა უცნობმა კაცმა ეს ქალი ცხენზედ და გაჰქრა.

გავიდა ხანი, მოვიდა მეორე კაცი და პირდაპირ ჰთხოვა ვაჟს შუათანა და ცოლად. ვაჟმა იმასაც ჰკითხა: ვინა ხარ, კაცო, სადაური ხარ, სად მიხვალ, რა გქვიან, რას აკეთებ, რჯულიანი ხარ თუ ურჯულოვო? არ გინდა, ან სტუმრად მოგივიდე, ან მტრის გამოხვეწილი შენ სახლში შევეფარო, ან გზობას საგზალ გათავებული მოვიდე, ან გაჭირებაში შველა გთხოვო. ჩემი და არის, ჩემი სისხლი და ხორცი, აბა ვის უნდა თავის და და ძმა დაკარგულ-დავიწყებულიო? — მე შენ არც არა სახელს გეტყვი და არც არა გვარს. თუ გინდა, მომეც შენი და ცოლად, არ გინდა, ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, მე ჩემთვის წავალ, და შენ კიდე შენთვის დარჩებიო, უპასუხა სასიძომ. რაღას იზამდა ვაჟი? მისცა შუათანა დაც და ცოტა გული იმითი გაიკეთა, რომ მამის ანდერძი იყო ეგრე, ჩემი ჰკუით ხომ არ მოვიხდინე ეგ საქმე და დები არ გადავყარეო.

მოვიდა ცოტა ხნის შემდეგ მესამე კაცი და ჰთხოვა იმანაც და ცოლად. ვაჟმა იმასაც ისე ჰკითხა და უთხრა, როგორც პირველს და მეორეს, მაგრამ იმანაც ისე უპასუხა. რას იზამდა ვაჟი? მისცა იმასაც უმცროსი და და დარჩა ცარიელი. წავიდა მესამე სიძე, წაიყვანა უმცროსი და. დარჩა ვაჟი მარტოკა. შემოეყარა გულს, იფიქრა: ეს მამაც მამიკვდა, ეს დებიც ისე გადავთხიე, რომ იმათი საცხოვრებელი ადგილის მხარეც არ ვიცი, რიღას მეშა ვარ, რიღასთვის უნდა ვიცოცხლოვო. ვეღარ გაუძლო დარდსა და სევდას. ადგა და ჩაჯდა საბნელოს. აღარც დღე გამოდის და აღარც ღამე. ზის იქ და ზის. გაიგონა ეს ხემწიფემ, დაიბარა ნაზირ-ვეზირი და უთხრა, რომ ისეთი კაცი იშოვეთ, ის ახალგაზდა ვაჟი საბნელოდამ გამოიყვანოს და ამდენსა და ამდენს მივცემო. ერთი ბებერი იპოვნეს. იმანა სთქვა, რომ ერთი ოციოდე ბავშვი მომეცით, მე წავალ და მე გამოვიყვანო. — თუნდა ასი წაიყვანე, ოღონდ გამაიყვანეო, უთხრეს ბებერს, მისცეს ბავშვები და დაუწყეს მოლოდინი.

წაასხა ბებერმა ბავშვები, მისცა ბურთი, მიიყვანა საბნელოს ბანზედ და უბძანა, რო ეთამაშნათ სალამომდისინ. გააბეს ბალღებმა თამაშობა. გაჰქონდათ და გამოჰქონდათ ერთმანეთი საბნელოს ბანზედ. ითმინა ვაჟმაც საბნელოში, ითმინა, ბოლოს მოთმინება გამოელია, გამოუვარდა ამ ბალღებს და გამოუდგა საცემნელად. რაკი ხემწიფის კაცებმა დაინახეს საბნელოდამ გამოსული ვაჟი, ჰწვდნენ და გააკავეს. გაკავებული ვაჟი მიიყვანეს ხემწიფესთან. ხემწიფემ გაანთავისუფლა და ჰკითხა: რა იყო მიზეზი, საბნელოს რისთვის ჩაჰჯექიო? — ერთი მამა მყვანდაო, უპასუხა ვაჟმა, ისიც დავმარხე;

სამი და მყვანდა, ისენიც ისე გადავკარგე, ისეთ კაცებს მივეცი, რომ იმათი კვალიც კი არ ვიცი, სადღა წავიდნენო.—ვის მიზეზით მიეცი დები ისეთ კაცებსაო? ჰკითხა ხემწიფემ.—მამის ანდერძი იყო, ვინც პირველი მოვიდოდა, ულაპარაკოდ იმისთვის უნდა მიმეცაო.—მაშ თუ მამიშენის ანდერძი იყოვო, უთხრა ხემწიფემ, შენ ტყუილად შეგიწუხებია თავიო. მამაშენს რო ჭკუა არა ჰქონიყო, მაგოდენა სარჩოს ვერ შეიძენდაო. ტყუილად ჰტირი, დროზედ დებსაც ჰნახავ და სიძეებსაც, გული გაიკეთე, ნუ ჰწუხარო.

დანიშნა ხემწიფემ ჯარების უფროსად და დაიყენა გვერდზედ. ერთხელ ჯარი სანადიროდ იყო გასული. ვაჟიც იქ იყო. შუა მინდორზედ უცებ ერთი ქალი დაინახეს, ყვავილებზე დახტის, ხან ერთ ბალახზე შეხტება და დაჯდება, ხან სხვაზედ. ისეთი ლამაზია, ისეთი მსუბუქია, რომ ისეთ ლამაზს და მშვენიერს ვერც ჰნახავს კაცის თვალი და ვერც ინატრებს. შემოეხვევა მაშინვე ჯარები ამ ქალს დასაჭერად, მაგრამ ის აფრინდება, გადუვლის თავზედ ჯარს, გაჰქრება, გავა მინდორზედ და ახლა იქ დაიწყებს თამაშობას. გამოუდგება მთელი ჯარი, ჯარების უფროსი ვაჟიც. მიხტუნავს ქალი, მიჰყვებიან ესენი უკან. მაგრამ ვინ დაეწევა. მირბის, მიფრინავს ქალი, მირბიან ჯარებიც. დაუსქდა ყველას დევნაში ცხენები. ვაჟს ისევა ჰყავს. ივლიან ქალი და ვაჟი, ივლიან, გაუსქდება ვაჟსაც ცხენი, მაგრამ ვერ დაეწევა კი. გაჰქრება ქალი და გაივლის. ვაჟი მიიხედ-მოიხედავს, სადღაა ნაცნობი ადგილები. აღარსად ჯარია, აღარსად სოფელ-ქალაქები. არ იბადება არც ერთი კაცი და არც ერთი სახლი. შემოეყრება გულს, დაჯდება და დაიწყებს ტირილს. მოვა ქალი ახლოს, ჩამოჯდება ერთ ყვავილზედ, შემოიდებს ფეხს ფეხზედ და დაუწყებს ლაპარაკს: სირცხვილი არ არის, კაცი არა ხარ, რა გატირებს, ადეგ, გაიარ-გამოიარე, ქვეყანა განიერია, შენ დამჯდარხარ, დაგიხვევია გულ-ხელი და ქალივით ჰტირიო. ადგა ვაჟი, მაიწმინდა თვალები, მიიხედ-მაიხედა და შორს ერთი თეთრი სახლი დაინახა. გაეშურა კიდეც მაშინვე იმისკენ.

იარა, იარა და მივიდა იმ სახლთან. ხემწიფის სასახლე ეგონებოდა კაცს, ისეთი სახლი და კარი იყო. სახლის წინ ერთი ვერცხლის ლულიანი წყარო იყო. მივიდა ვაჟი მშიერი, მწყურვალი და დაჯდა წყაროსთან. მოვიდა იმ სახლიდამ ერთი მოახლე გოგო და მოიტანა პატარა სურა წყლის წასაღებად. ვაჟმა ჰთხოვა, დამალევინე წყალიო. გოგომ მისცა. ვაჟმა წყლის სმაში თავის ბეჭედი სურაში ჩააგდო და მისცა ქალს. გოგომ წაიღო სურა და მიუტანა თავის ქალბატონს ქალმა დალია წყალი, და ბეჭედი კი წამოვარდა. ისეთი სურა ყოფილიყო, რო ერთხელ დაჰლევდა და გათავდებოდა. როდესაც მოჰწყურდებოდა, ახალ-ახალი შემოჰქონდა. ქალმა რო დაინახა ბეჭედი, ერთი დაიკივლა სიხარულისაგან. გოგოს ჰკითხა: ვინ მოგცა ეს ბეჭედიო? —ჩემთავის არავის არ მოუცია, მანდ წყაროზედ ერთი კაცი ზის, იმან მთხოვა სურა და, თუ ჩააგდებდა, ის ჩააგდებდა, სხვა არავინაო. მაშინვე გაგზავნა ქალმა გოგო და უთხრა, აქ მოვიდესო. წამოვიდა ვაჟი, და ქალმა და ვაჟმა ერთმანეთს კი ჩაჰკოცნეს. ის ქალი ვაჟის უფროსი და იყო. მაშინვე ჰკითხა დამ

მიზეზი მოსვლისა. ძმამ უამბო, რო მინდორში ერთი ქალი ვნახე, იმისმა სილამაზემ დამწვა, გამოუდევ, ვდიე, ვდიე, მაგრამ ვერ დავიჭირე, თითო გუთნის გაშლაზე ხტებოდა. მერე ცხენი გამისქდა, და დავანებე თავით. საიდანღაც აქ მოვაგენ თქვენ სახლს და მოველ, თორემ საჩიტ-საყორნედ გავხდებოდი მინდორში უსმელ-უჭმელობითაო.—ვაჰმე ძმაო, გენაცვალოს შენი დაო, უთხრა დამ, ის ქალი რო ეგეთი ადვილი დასაჭერი იყოს, შენ სიძეს მე რად ვუნდოდი, იმას მოიყვანდაო. ის ისეთი ქალია, ისეთი ბედი აქვს, რომ კაცი რო დაეწიოს და დაიჭიროს, მაშინვე მოკვდებაო. სადამოზედ მოვიდა იმის სიძეც. დამ დამალა ვაჟი, რომ, უცებ რო გნახავს აქ, ვაი თუ ეგონოს ვინმე იმისთანა მუხანათი და გავნოს რამეო. დამალა, და მოვიდა არწივიც. უფროსი დის ქმარს არწივი ერქვა. ცოლმა უთხრა, რო აქ შენი ცოლის ძმა არის, და ხომ არაფერს დაუშავებო.—რას დაუშავებ, ძლივაც მოველი იმის ნახვასაო, უთხრა არწივმა, მაჩვენეო. გამოვიდა ვაჟიც, გადაეხვივნენ ერთმანეთს და დაუწყეს კოცნა. ჰკითხეს ერთმანეთს ამბავი, და ჰკითხა არწივმაც მისვლის მიზეზი. ვაჟმა ყველაფერი დაწვრილებით უამბო. არწივმა უთხრა: ნუ გეწყინება კი, ცოლის ძმავ, და იმას კი გეტყვი, რომ იმის დაჭერა რო როგორმე შეიძლებოდეს, მე შენი და რად მინდოდა ცოლად, იმას მოვიყვანდიო. შენ ჯერ ჩემისთანა ვერა ხარ და აბა იმას როგორ დაიჭერო. ისევ ისა სჯობია, თავი დაანებო, ტყუილად არ იტანჯებოდე, ცოლსაც გიშოვით და ყველაფერს, იმას თავი დაანებეო.—არაო, უპასუხა ვაჟმა, ისევ მოვკვდები და იმას კი თავს არ დავანებებო. შენ, ჩემო სიძევ, უნდა იზარალო, მეტი ღონე არ არის, და, რაც უნდა დასაკლებარი იყვეს შენთვის, ერთი ცხენი მომცეო.—ცხენისა რაღა თხოვნა გინდაო, უთხრა არწივმა, ჩემ ჯოგებს მთელი მინდვრები უჭირია, თუნდა მთელი ჯოგი წაასხი, თუ რასმე იზამ, მაგრამ მე გირჩევ ისევ თავი დაანებოვო.—იმას კი ვერ დავანებებ თავსა და ისევ იმის დევნაში კი მოვკვდებიო, უთხრა გადაჭრით ვაჟმა.—მაშ მე ისეთ ცხენს მოგცემო, უთხრა არწივმა, რო თითო გუთნის გადაშლას გადადიოდესო. ვაჟს მიაგონდა, რო ქალიც თითო გუთნის გადაშლას გადადიოდა და ძალიან გაუხარდა.

მაშინვე შეჯდა ცხენზედ, გამოეთხოვა იმათ და გაუდგა გზას. მალე მინდორთ ქალიცა ნახა. ისევ გაექცა ქალი, მაგრამ ვაჟის ცხენი გადადის ერთ გუთნის გაშლაზედ, და ქალი კიდევ ორ გუთნის გაშლაზე ხტება. ქალსაც ცოტა არ იყოს, მოჰწონს ვაჟი, მაგრამ რო დაეჭერინოს, მოკვდება, და იმიტომ არ ეჭერინება. როდესაც ვაჟი ჩამორჩება, ქალი უცდის, ხტება ყვავივილებზედ, იმათ წვენს წყლადა სვამს და იმათ მტვერს—პურად. ირბინა ქალმა, ირბინა ვაჟმა. გაუსქდა ცხენი, და დარჩა ისევ ხელცარიელი. დაჯდა და დაიწყო ტირილი. მოვიდა ქალი, დაჯდა იმის პირდაპირ ერთ ბალახზედ.—არა გრცხვენიან, კაცი არა ხარ. ქუდი არა გხურავ, რო ტირიო, უთხრა ქალმა. რა გატირებს, შენ კაცი კი არა ჰყოფილხარ, ქალი ჰყოფილხარ, შენ ტირილის მეტი არაფერი გცოდნია, შენ მე როგორ დამიჭერო. ადგა, ქვეყანა განიერია, მიიხედ-მოიხედე, გაიარ-გამოიარე, წამალს თვითონვე იპოვნიო. ადგა მართლაც ვაჟი, დაანება ტირილს თავი, წავიდა და მართლაც შორს

სადღაც დაინახა ერთი სახლი. წავიდა იმ სახლთან მაშინვე. იქ შუათანა და ჰყოლიყო ფამგუნდს. იმასთანაც შევიდა, უამბო დას თავის ამბავი, დამაც დაუშალა, ტყუილად ნუ ეწვალები, თავი დაანებეო. შენი სიძეც კაი ბიჭია, მაგანაცა ჰდია იმ ქალს დასაჭერად, მაგრამ სიკვდილის შვილი იმას ვერ დაიჭერსო.

საღამოზედ მოვიდა სახლში ფამგუნდიც. ფამგუნდსაც უამბო თავის თავგადასავალი ვაჟმა, უთხრა ისიც, სადაც მიდიოდა, მაგრამ იმან არ მოუწონა: შენი და რად მინდოდა, რო ეგეთი ადვილი დასაჭერი ყოფილიყო ის ქალიო, იმას თავი დაანებე, ტყუილად ნუ იკლავ თავსაო.—შენ ერთი ცხენი მამეცო, უთხრა ვაჟმა, შენი სხვა არაფერი მინდა, ეს მიჭირს და სხვისა მე ვიციო. მისცა ფამგუნდმა ისეთი ცხენი, რომ ორ გუთნის გაშლასა ხტებოდა. გამოეთხოვა და-სიძეს ვაჟი, შეჯდა რაშზედ და გაჰწია.

მირბოდა ქალი, ხტებოდა სამ გუთნის გაშლას, მიჰყვებოდა ვაჟი, მაგრამ ორ გუთნის გაშლას ძლივს გადადიოდა იმისი ცხენი. ჩამორჩა ისევ უკან; გაუსკდა ცხენი და დარჩა ისევ ტრიალ მინდორზედ. არსად კაცი და არსად სხვა ცხოველი; შესწუხდა, ამოუჯდა გული, და დაიწყო ტირილი. იტირა. ბევრს იტირებდა თუ ცოტას, მოვიდა ქალი, დაუჯდა პირდაპირ ბალახზედ; გადიდო ფეხი ფეხზედ და დაჰცინა ისევ. მერე კი გაუჯავრდა: ადეგ ფეხზედ, თუ კაცი ხარ, თუ არა და წადი, სასიცოცხლო არა ჰყოფილხარო. ადგა ვაჟი, დაანება ტირილს თავი. მიიხედ-მოიხედა, შორს ერთი სასახლე დაინახა. მაშინვე იმისაკენ გასწია. სახლის წინ წყარო იყო. წყალი ჰწყუროდა, მივიდა იმ წყაროზედ, დაჯდა და დაუწყო ლოდინი, რო ვინმე მოსულიყო და მეეტანა სურა.

მოვიდა ერთი გოგო, მოიტანა ერთი პატარა სურა და მიუდგა ოქროს ლულას. ვაჟმა სთხოვა, დამალევინეო. მისცა გოგომაც წყლის ჰურჭელი. ვაჟმა დალია წყალი, შიგ სურაში ბეჭედი ჩააგდო და ისე მიჰცა გოგოს. გოგომ მიუტანა წყალი. დალია ქალმა, და ბეჭედი კი წამოვარდა იქიდან. ქალმა მაშინვე ჰკითხა გოგოს, საიდან იშოვე ბეჭედი, ვინ მოგცაო.— არავინაო, უპასუხა გოგომ, იქ წყაროზედ ერთი ვაჟი იჯდა, წყალი დავალევინე, და იქნება იმან ჩააგდოვო.—წადი და ეხლავე აქ მოიყვანე ის კაციო, უთხრა ქალმა გოგოს. მოვიდა ვაჟი, და დაჰკოცნეს ერთმანეთს. ქალი უმცროსი და იყო ვაჟისა. გამოჰკითხა ქალმა ძმას მოსვლის მიზეზი. ძმამაც ყველაფერი უამბო.—ვაი შენს დასაო, უპასუხა დამ, როდესაც მოუსმინა ძმას, იმის დაჭერა რო ეგრე ადვილი იყოს, შენ სიძეს მე რად უნდოდი, იმას მოიყვანდაო. იმას ვერავინ ვერ დაიჭერს, რადგან დაჭერაზედ ჰკიდია იმის სიკვდილსიცოცხლეო. დამალა ძმა დამ: სიძე რო მოვა, ვაი თუ რამე გავნოს, უცებ რო გნახავს, ეგონო ვინმეო. საღამოზედ მოვიდა გველეშაპი, იკითხა: აქ ხომ არავინ მოსულაო. ცოლმა უთხრა, რომ აქ არავინ მოსულაო. მერე ჰკითხა: შენი ცოლის ძმა რო აქ საიდანმე მოვიდოდეს რას ეტყოდიო?—გადავეხვეოდი და დავკოცნიდიო. გამოუჩინა მაშინვე ქალმა გველეშაპს ვაჟი. სიძეცოლის ძმამ ერთმანეთი დაჰკოცნეს.—რისათვის გაჰრჯილხარ, რო აქ მოჰსულხარ, რა ქარმა შემოგაგდო აქაო? ჰკითხა სიძემ ცოლის ძმას. აქ სიძემ

უამბო თავის თავგადასავალი, თავისი გაჭირვება და შეწუხება. —შე სიძე-მამაკვდარო, რაზედ შეიწუხე არა უბრალოზედ თავიო. ის ქალი რო ეგრე ადვილი დასაჭერი იყოს, ხო შენ დას აღარ მოვიყვანდი ცოლადაო. ისევ ისა ჯობია, თავი დაანებო და უკან დაბრუნდეო. —არაო, უპასუხა ვაჟმა, ეხლა ტყუილად-ღა ვინმე მეტყვის, თავი დაანებეო, ეხლა აღარ დავანებებ თავს, თუნდა ვიცოდე, რო მაშინვე მოკვდები, როგორც კი შენ სახლს გავცდები. თუ სიკეთეს მიზამ, სიძევ, მიყავ სიკეთე, შენი სხვა არაფერი მინდა, და ერთი ცხენი კი მომეც, რო იმას გამოუდგეო. —ცხენის მოცემა რა ზარალია, თუნდა ორმოცი და სამოცი წაიყვანეო, უპასუხა სიძემ, მაგრამ კიდევ გეუბნები, რო ტყუილად ივლიო. —არა და არაო. ვაჟმა გამოართვა ცხენი, რომ სამ გუთნის გაშლაზე ხტებოდა, გამოეთხოვა და-სიძეს და გამოეკიდა ისევ ქალს.

ბევრი იარეს, ცოტა იარეს, გავიდნენ სუ უცნობ ადგილას. ირბინეს ბევრი, ირბინეს, ცხენი ხტება სამ გუთნის გაშლას, ქალი კიდე ოთხს. გაუსქდა ბოლოს მესამე ცხენიც. დაჯდა და დაიწყო ისევ ტირილი. არსად კაცი ვინმე იყო, აღარსად სახლი და კარი. სიძეებსაც გამოჰცდა, ვისთანღა მივიდოდა, გადაუწყდა იმედი და ტირის. მოვა ქალი, დაჯდება ვაჟის პირდაპირ ბალახის ფოთოლზედ. შემოიდებს ფეხს ფეხზედ და ეტყვის: კიდევა სტირი, არ შეგრცხვა ამდენი ჩემი ლაპარაკი; კაცი არა ხარ, ფუი შენს კაცობას! ადეგ, მიიხედ-მოიხედე, ან ავსა ჰნახავ ან კარგს, ყველაფერი სასარგებლოდ მოიხმარეო. შერცხვება ვაჟსაც, ადგება და გაივლის ცოტა მინდორს. სამს ეშმაკს დაინახავს, ჩხუბობენ, ჰლევენ ერთმანეთს, და არავინ აშველებს კი, — იმათ მეტი კაცი იქ არავინ არის. ვაჟი მაშინვე მივა იმათთან და ჰკითხავს: რა გაჩხუბებთ, რა გაქვთ გასაყოფიო? —ჩვენაო, უთხრა ერთმა ეშმაკმა, ერთი ხალიჩა გვაქვს, იმ ხალიჩას რო უთხრა „ჰკა ხალიჩაო“, და შეჰჯდე ზედ, სადაც გინდა, იქითკენ გაგიტაცებსო. ერთი სავარცხელი გვაქვს, უშველებელი კლდე რო იყვეს, რომ კაცმა თვალი ვერ შეაწვდინოს, სავარცხელს რო უთხრა „ჰკა სავარცხელო“, ისეთი კიბე ეესხმის, როგორც მინდორი სარბენი. ერთი სალესველი გვაქვს; რო უთხრა სალესველს: „ჰკა, სალესველო“, და ზღვაში რო ამოატრიო, სუ შეისვამს და გააშრობს ზღვასაო. ეხლა ეს ხალიჩა. სავარცხელი და სალესველი უნდა გავიყოთ, და იმაზედა გვაქვს ჩხუბი, და ვერ მოვშველებულვართ; თუ შეგიძლიან, გაგვაშველეო. —ძალიან კარგიო, უთხრა ვაჟმა, მე გაგაშველებთ; აი გავკრავ ისარს, უნდა გაიქცეთ, ვინც პირველი მოხვალთ და მოიტანთ ისარს, იმას ხალიჩა, ვინც მეორე — იმას სალესველი და ვინც მესამე, იმას სავარცხელი ერგებაო. გაუხარდათ, ეშმაკებს: ძალიან კარგი სამართალიაო. ჩადო ისარი ვაჟმა მშვილდში, მოჰწია და გაისროლა. ისარი ცხრა მთას იქით გადავარდა. გაიქცნენ ეშმაკებიც მოსატანად. ვაჟსაც ეს უნდოდა. ისინი რო გადაეფარნენ გორას, ვაჟი შეჯდა ხალიჩაზედ, აიღო სალესველი და სავარცხელიც, უთხრა, „ჰკა, ხალიჩაო“ და გაფრინდა ქარზე ჩქარა. გამოუდგა ქალს. ქალი მიხტოდა ჩქარ-ჩქარა, მაგრამ ხალიჩას ეხლა ისე ვეღარ ასწრობდა.

გაირბინეს მთელი მინდვრები და უშველებელ კლდეებს მიადგნენ. ქალი ჯერ ცოტად შედგა, მერე ისკუპა და გადააფრინდა ზედ. „ჰკა სავარ-

ცხელო", უთხრა ვაჟმა სავარცხელს, და კლდეს სუ კიბე ესხა. ავარდა ხალიჩა ზედ, და გამოუდგა ვაჟი ისევ ქალს. ირბინეს, ბევრი ირბინეს და მიად-გნენ ერთ ზღვას. მოუცურდა ქალი და მიდის. „ჰკა სალესველო", უთხრა ვაჟმა სალესველს, ამოათრია ზღვაში, და ზღვა სულ ერთიან ამოშრა. გაირბინა მშრალი ზღვის ძირზედ ხალიჩამ და მოკრიფა ისევ ქალი ვაჟმა. მირბიან, მირბიან, და მიეწია ვაჟიც. ის-ის არის უნდა წაავლოს ხელი, მივარდა ქალი მამის სახლში და შეიჭრა კარებში. ვაჟმა ჩიქილის მოხდა კი მოასწრო: ხელ-ში დარჩა კარებში შესვლის დროს. შევიდა ქალი მამასთან და მეეგება მა-მაც: რას გამოექე, შვილო, რა იყო, რამ დაგღალათ? ქალმა უამბო მამას: ესე, ესე, ერთი ვაჟი გამომეკიდა, გამოვექე, და კარებამდე მომყვა, ჩიქილა წამართვაო. მაშინვე გამოვიდა ქალის მამა, გადაეხვია ვაჟს და დაუწყო კოც-ნა: როგორ სიძესაც ვთხოვდი ღმერთს, ისეთი მომცაო. შეიპატიჟა შინ, მოუსვა ქალი გვერდს და გაუმასპინძლდა. ახლა ქალის ბედი ისე იყო, რომ თუ ვაჟი ვინმე დაიჭერდა სახლამდი ქალს, ქალი მოკვდებოდა, თუ სახლამ-დის მიჰყვებოდა და ისეთი ყოჩაღი იქნებოდა, ქალი ცოლად გაჰყვებოდა. შეირთო მინდორთ ქალი ვაჟმა, დაიწერა ჯვარი და დაბრუნდა თავის სახე-მწიფოში. მინდორთ ქალი და ვაჟი ეხლაც ცოცხლები არიან, და ხშირათა ჰნახვენ ხოლმე მინდორთ ქალს, ყვავილებზე მიხტუნავს.

ქირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.
ელასა, მელასა,
ქიქა მეკიდა ყელასა.
მთქმელსა და გამგონებელსა.
ჯვარი გვეწეროს ყველასა.

## 34.—სამი გლახა და ქრისტე-ღმერთი.

იყო და არა იყო რა. ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო სამი უქო-ნელ-უყოლელი გლახა. არაფერი არ ებადათ. დადიოდნენ მუდამ დღე და ითხოვდნენ; იმით იკვებებოდნენ და გამოდიოდნენ ნაგლახავარით დღითი-დღე. ერთხელ სამივე გლახა მიდიოდა გზასა. იარეს, იარეს, და შემო-ჰხვდათ გლახად ჩაცმული ქრისტე-ღმერთი. მიემშვიდობა, გაუამხანაგდა, და წავიდნენ ერთათ. მიადგნენ ერთ მდინარეს, დალიეს წყალი, და ქრისტე-ღმერთმა ჰკითხა გლახებს: ვის რა გინდათ, რო ღმერთი მოგცემდეთ? ერთმა გლახამ გაჰხედა რიყიან ჭალას და უთხრა: მე იმას ვინატრებდი, რო მექცეს ეს რიყე ცხვარად, მე მეცხვარედა მქნა, ქნა ჩემი ცხვარი და მაცხო-ვრაო. იქცა რიყე ცხვრად, გლახა მეცხვარედ, და გაჰყვა უკან, გაუქჩა და გარეკა. ღმერთი არ დაივიწყოვო, უთხრა იმ გლახას ქრისტემ. გაიარეს კიდე და ჰკითხა კიდევ ერთს: შენ რაღა გინდაო?—მე მინდა, რომ ეს წვრილიანი

იქცეს ვენახად, და მე პატრონი ვიყვეო. უქცია ქრისტემ ეს უზარმაზარი წვრილიანი ვენახად და უთხრა, ღმერთი არ დაივიწყოვო, და გაშორდა. მესამესა ჰკითხა: შენ რაღას ინატრებო?—მე ხარ-გუთანს ვინატრებდიო. მისცა ქრისტე-ღმერთმა ხარ-გუთანი, უთხრა, ღმერთი არ დაივიწყოვო, და გაჰშორდა. ითხოვა ცოლი ცხვრის პატრონმა, აიშენა სახლი, გაამრავლა ცხვარი, რომ იმის ცხვარს მთელი ქვეყანა ეჭირა. გაიმრავლა მწყემსი და მოჯამაგირე. დაიწყო მდიდრული ცხოვრება. გააშენა ვენახის პატრონმა ვაზი, ააშენა ისეთი ზვარი, რომ იმისთანა ზვარი მთელ ქვეყანაზედ არავისა ჰქონდა. შეირთო ცოლი და გახდა მეკვემური. ხარ-გუთნის პატრონმა უფრო უკეთესად იცხოვრა.....

გავიდა ხანი და დრო. ჩამოუარა ისევ ქრისტემ მეცხვარეს, ისევ გლახად ჩაცმულმა. მეცხვარე ცხვარსა ჰპარსავდა. ქრისტე-ღმერთმა ერთი კრაველი *) ჰთხოვა.—არაფერი მაცვია, წინდებს მაინც დავაქსოვინებო.—გადმოუყარეთ რაცრამ კვირტია და გამოუსადეგარიო; გადმოუყარეს კვირტი და გამოუსადეგარი მატყლი გლახას. დაჰწყევლა ქრისტე-ღმერთმა მეცხვარე. ექცა ცხვარი ისევ რიყედ. დარჩა ისევ ხელცარიელი მეცხვარე და ისევ გლახაობა მოუნდა. ჩამოუარა ახლა მევენახეს. რთველი ჰქონდა.—ღვთის გულისათვის, ცოტა ყურძენი მაჭამეთ, გლახა ვარო, დაუძახა ალას ქრისტე-ღმერთმა.—წაიღეთ, ბიჭო, და ძაღლი არჭამა გადაუყარეთო, უბრძანა ბიჭებს ალამ. ბიჭებმაც აიღეს და ძაღლი-არჭამა გადმოუყარეს. დაჰწყევლა ქრისტე-ღმერთმა და ისევ წვრილიანად აქცია იმისი ზვარი და ვენახი. ქრისტე-ღმერთმა ახლა გუთნის დედას ჩამოუარა,—პატარა პური მაჭამეთო, შეჰძახა სახლის პატრონს. გუთნის დედამ მაშინვე მიიპატიჟა შინ გლახად ჩაცმული ქრისტე-ღმერთი, დაჰბანა ხელები და ფეხები, დაუგო, მოუტანა რაც რამ კი ებადა და გაუმასპინძლდა გულ-უხვად. აკურთხა ქრისტემ, იქცა წვრილიანი ვენახად, ღორღი ცხვრად, გუთნის დედა იმათ პატრონად და გაჰშორდა. ჭირი იქ დავაგდე ლხინი აქ მოვიტანე.

## 35.—ზღაპარი საკვირველისა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა,

იყო შაშვი მგალობელი,
ღმერთი თქვენი მწყალობელი.

იყო ერთი ხემწიფე, სახელით ამომავალი, ჰყვანდა სამი ვაჟი. ხემწიფე რო დაბერდა, შვილებს უთხრა: შვილებო, დავბერდი, დამაკლდა თვალსაც და მუხლსაც; თქვენ რო ეხლა წახვიდოდეთ, მაივლიდეთ ქვეყანას და ისეთ რასმეს ჰნახავდეთ და გაიგონებდეთ, რომ გამიკვირდებოდეს, ისევ ახალგაზდა გავხდებოდიო. ადგა უფროსი ვაჟი, აილო იარაღი, შეკაზმა ცხე-

*) ბატკნის ნაპარსი.

ნი, შეჯდა ზედა და შეუდგა საკვირველის გზას. იარა, ბევრი იარა, ცოტა იარა, ერთ ადგილს ერთი ხე ნახა; ისეთი ფოთოლი ესხა, რო მთელ ქალაქს დაჰფარავდა ერთი გაშლილი ფოთოლი. მოჰწყვიტა ერთი ფოთოლი, წამოიღო და წამოვიდა სახლში მამასთან სიხარულით. მოდის სახლში და უხარიან, რო, ეგ არი, გავაკვირვებ მამაჩემს, თუ ეს ფოთოლი მიუტანეო. მოვიდა შინ და უთხრა მამას: მამავ, საკვირველი მოვიტანე, გაახალგაზდავდი! ისეთი ფოთოლი მოვიტანე, რომ გაშლილი მთელ ქალაქს დაჰფარავსო.—არა, შვილო, ეგ მე არ გამაკვირვებს, მე და ჩემი ცხენი დაღალულები იმის გრილში შევისვენებდით ხოლმეო. ჯერი შუათანა შვილზედ მიდგა. ადგა ისიც, შეკაზმა ცხენი, აისხა აბჯარი, შეჯდა ცხენზედ, გამოეთხოვა ყველას და გაუდგა იმედით გზებს, რომ აუცილებლად მოვიტან საკვირველსაო. ბევრი იარა, ცოტა იარა, და მივიდა ერთ წყაროზედ. დაღლილი იყო, ჩამოხტა ცხენიდამ, დაება და დალია წყაროს წყალი. დალია, და მეესმა ლაპარაკი ყველაფრისა, რაც რამ კი ღმერთს გაუჩენია: ბალახის ჩურჩული, ფრინველების ენა, ქარის გრიალი, წყლის შხუილი, ყველაფერს არჩევდა და უსმენდა; იმის ყურს ჭინჭველას ხმაც არ გამოეპარებოდა, ბუზის ბზუილს აჰხსნიდა ჩვენებურად. დაბრუნდა უკან შუათანა ძმა გახარებული და გალაღებული, — გავაკვირვებ მამაჩემს, რაკი უამბობ ამ ამბავსო. მოვიდა შინ გახარებული პირით.—რა მამიტანე, შვილო, საკვირველი, ან რა გაიგონე და ჰნახეო? ჰკითხა მამამ საკვირველის მაძებარ შვილს.—რა მოგიტანეო, უპასუხა შვილმა, და ის მოვიტანე და გავიგონე, რომ ერთ წყაროზედ ჩამოვხტი სიცხის შეწუხებული, დავისვენე, დავლიე წყაროს წყალი, და რის ხმა გინდა და რის ენა, რომ მე არ გავიგონე: ფრინველისა, ნადირისა, მწერისა, წყლისა, ღრუბლისა, ბალახისა, ხისა, ქვისა, ყველაფრისა, რაც ცის ქვეშ რამ არისო. გაგიკვირდება, მაშ საკვირველი არ არისო?—არა, შვილო, ეგ მე არ გამაკვირვებს, უთხრა მამამ, მე და ჩემი რაში დაღალულები და ნამაშვრალები მაგას ვხვამდით და მაგაში ვბანაობდითო. ადგა უმცროსი, რაკი ჯერი იმაზედ მიდგა, ახსენა გამჩენი ცისა და ხმელეთისა, ჩაიცვა აბჯარი, შეიმოსა, შეიკაზმა ცხენი, შეჯდა და გაუდგა გზას. უფროსმა ძმებმა კი დაჰცინეს: რაკი ჩვენ ვერ მოვიტანეთ, შენ აუცილებლად მაიტანო!

გზაზედ უმცროსმა ძმამ სასაფლაოზე გადიარა. იქ თურმე ერთი ამომავალის ხემწიფის მტერი იყო დამარხული. ამოვარდა იმის თავის გოხა და გამოუდგა ვაჟს ძახილით უკან. ვაჟმა მიიხედა უკან, დაინახა, რომ თავის გოხა უკან მოჩანჩრახებს და ეძახის რაღასაც. ვაჟმა მაშინვე შეაყენა ცხენი და ჰკითხა: თავის გოხავ, რა გინდა, რას მომჩანჩხარებ უკანაო?—სად მიხვალო? ჰკითხა თავის გოხამ.—მამას ისეთი რამ უნდა მოუტანო, რომ გავაკვირვოო, უპასუხა ვაჟმა.—დაიცადეო, უთხრა თავის გოხამ ვაჟს, შენ მაგ ცხენით საკვირველს ვერ მაიტან; თუ საკვირველის მოტანა გინდა, წადი და მამაშენს ეგრე უთხარ: თუ საკვირველის მოტანა გინდა ცხრა კლიტულში რო რაში გიბია, ის მომეციო. დაბრუნდა ვაჟი უკან. მოეგება მამა და ჰკითხა: ან ეგრე ადრე რად დაბრუნდი და ან რა მომიტანე საკვირველიო? ვაჟმა უთხრა: იქით რო მივდიოდი სასაფლაოზედ გადვიარე, საფლა-

ვიდამ ერთი თავის გოხა ამოვარდა და გამომიდგა უკან. თავი მოვიბრუნე, მომდევს, მომჩანჩხარებს, მომძახის; შევაყენე ცხენი და ვკითხე: რას მომჩანჩხარებ, სიწყალო გოხავ, რას მომდევო? იმან მითხრა, რომ, თუ მამაშენს საკვირველი უნდა, ცხრა კლიტულში რო რაში უბია, ის მოგცესო.—აი ის წყეული, ცოცხალი იყო, ჩემი მტერი იყო, მოკვდა, ისევა მტრობსო; უნდა რომ ეხლა მაინც რამე მავნოს, რაკი ცოცხალმა ვერაფერი მავნოვო, მისცა ოთახების გასაღებები მამამ და უთხრა: რვას რო გაღებ და მეცხრეში რო შეხვალ, იქ ერთ რაშს ნახავ, ზურგზედ ერთი მტკაველი ობი აქვს მოდებული; ბამბის საურველი გადაუსვი, ბამბის მათრახი გადაჰკარ, ისე გამოიყვანე, თორე დაგგლეჯს, ცოცხალს არ გაგიშვებსო. შავიდა ვაჟი. გააღო კარები, ნახა რაში, ერთი მტკაველი მტვერი დაჰდებია და ობი მოჰკიდებია, თვალებიდამ სუ ცეცხლი სცვივა. გადაუსო ბამბის საურველი, გადაჰკრა ბამბის მათრახი და წამოაყენა. გამოიყვანა გარეთ, რაში სუ ვარსკვლავებს ეთამაშება. შეჯდა ვაჟი ზედ, დაიფრუტუნა რაშმა და წავიდა ცისაკე. ეცა ცას, მაგრამ ვაჟი მუცელზე მოექცა, ეცა დედამიწას—ზურგზედ მოექცა. ხან ამ მთას ეცა, ხან იმ მთას; ბოლოს დადგა, დაიღალა და უთხრა: ჩამოდი, მხედრად გამომადგებიო. მეორე დღეს შეჯდა ვაჟი რაშზედ, გამოეთხოვა ყველას, აიღო თავისი აბჯარ-აბგარი და შეუდგა გზების ზომვასა.

მიდის ვაჟი, და მიჰქრის რაშიც ნიავივით. იარეს, ბევრი იარეს, ცოტა იარეს. გზაზედ ერთი ვაშლი დაინახეს: ისეთი წითელია, ისეთი წითელია, რო სინგური*) რა არის იმასთან. მოეწონა ვაჟს ძალიან ვაშლი; უნდოდა იმის აღება. მაგრამ რაშმა უთხრა: აიღებ—ინანებ, არ აიღებ—ინანებო—რაკი ორჯელვე ინანებ, აღებითაც და აუღებლადაც, ბარემ ავიღებო, სთქვა ვაჟმა, დაჰწვდა ვაშლს, აიღო და ჩაიდო ჯიბეში... წამოვიდნენ. მიდიან გზას, მიდიან, და შორს სადღაც ფთე გამოჩნდა, ისეთი ჭრელია, ისეთი მრავალ-ფეროვანია და ისე ანათებს, რო იმაზე საკვირველს ვეღარასა ჰნახავს კაცი. კაცი ვერ გაუჩერებს თვალს იმის ელვარებას. მოუნდა ვაჟსაც იმის აღება, დაეკითხა რაშს, ავიღო თუ არაო.—აიღებ—ინანებ, არ აიღებ—ინანებო, უთხრა ისევ რაშმა.—რაკი ინანებ, ისევ აღება სჯობიაო, აიღო და ჩაიდო ჯიბეში. იარეს; ბევრი იარეს, ცოტა იარეს, მივიდნენ ერთ ხემწიფესთან. ხემწიფეს ძალიან გაუხარდა ვაჟის მისვლა, რაკი გაიგო, რომ ის ამომავალის ხემწიფის შვილი იყო. თურმე წინათ ამომავალი ხემწიფე და ის მეგობრები იყვნენ, და დიდ ხანს აღარ ენახა.—მადლობა ღმერთს, რო ჩემი ძმობილის მონაგარი კიდევ ვინმე ვნახეო, სთქვა ხემწიფემ, რო არ მოჰსულიყავ, ისე მოვკვდებოდი, რო ჩემის ძმობილისას ვერავისა ვნახავდიო. გაუმართეს დიდი წვეულება და ლხინი. ხემწიფე ძლივს ესწრობოდა და ევლებოდა თავზედ ვაჟსა. შეჰშურდათ ეს კარისკაცებს, სთქვეს: თუ მაგას არაფერი მოუხერხეთ, ეს კეთილს არ დაგვაყრისო. შეუჩნდნენ ერთ ბებერს, უნდა გვიშველო რამე და ეგ ახლად მოსული სტუმარი დაჰღუპოვო.—ეგ ჩემ კისერზედ იყოსო, უთხრა ბებერმა, მე ვიცი და იმ სტუმარმა, თქვენ არხეინად იყავითო. წავიდა ბებერი ხემწი-

*) წითელი ყვავილია.

ფესთან და უთხრა: თუ ეგ შენი სტუმარი პატიოსანი კაცია და ან სიკეთე უნდა შენთვის, მაგას რო ჯიბეში ერთი ვაშლი უძევს, იმას რატომ არ გაჩვენებსო. მეორე დღეს შევიდა ვაჟი ხემწიფესთან, მაგრამ ხემწიფე ხმას აღარა ჰსცემს.—დიდებულო ხემწიფევ, ისეთი რა დავაშავე, რო ხმას აღარა მცემთო, ჰკითხა ვაჟმა, მითხარით, და ჩემი კისერი და თქვენი ხმალიო.—შენ თუ კაი კაცი ხარ, ის ვაშლი რატომ არ მაჩვენე, ჯიბეში რო გაქვსო; წადი, ის ხე მოიტანე და ჩემ ბაღში დარგეო. წავიდა დაღონებული ვაჟი რაშთან და იმას შეჰჩივლა თავის გულის ვარამი. რაშმა უთხრა: აკი გითხარ, ინანებ, თუ აიღებო, იცი ახლა გზა იმ ვაშლისა, რო ემზადებიო?—მე შენთან იმიტომ მოველ, რო შენ მასწავლო გზა და წამიყვანო, თორემ მე რო ვიცოდე, ხო აღარც შენა გკითხავდიო, უთხრა ვაჟმა რაშს.—მაშ რაკი ეგრეაო, უთხრა რაშმა, წადი სამი ლიტრა მარილი იშოვე და მოდიო. მარილი რო მოიტანა, რაშმა უთხრა: სამი მათრახი გადამკარ, სამი პირი ტყავი ამძვრება, ეგ სამი ლიტრა მარილი იმაზედ გადამაყარე, გავფოთდები, გავფრინდები, მოვგლეჯ, მოვიტან და დავრგოთო. შეჯდა ვაჟი რაშზედ, შემოჰკრა სამი მათრახი, სამი პირი ტყავი აძრო, ზედ სამი ლიტრა· მარილი გადააყარა, გაფრინდა რაში, მივიდა იქ, სადაც ვაშლის ხე იდგა.

ის ვაშლის ხე ისეთი იყო, რომ სადაც რამ მეკაცური გველი იყო, იმასა ჰქონდა ფესვებზე ასხმული; ის გველები უკბენდენ, ვინც იმის ფესვებს მიეკარებოდა, და მოჰკლავდენ მაშინვე. აფრინდა რაში ჰაერში, მოავლო ტოტები (წინა ფეხები) წვერებში ვაშლს, ამოგლიჯა, გაბერტყა, გააყრევინა გველები ჰაერშივე და გამოიტაცა. გამოუდგნენ გველები, მაგრამ რაღას დაეწეოდნენ. მიიტანა ეს ვაშლის ხე ვაჟმა და ჩარგო ხემწიფის ბაღში. ამის შემდეგ ხემწიფემ უფრო მეტი პატივისცემა დაუწყო ვაჟს; მაგრამ ბებერი მივიდა ისევ ხემწიფესთან და უთხრა: ეგ ვაშლის ხე რო მოგიტანა და ბაღში დაგირგო, ეგ რა საკვირველიაო, მაგას რო ჯიბეში ერთი ფთე აქვს, რასაც ის ფთე გაჰვარდა, აბა ის მოიყვანოს, თუ შენი პატივისცემა აქვსო.

ერთ დღეს შედის ხემწიფესთან ვაჟი და ჰხედავს, რომ ხემწიფე ისევ გამწყრალია იმაზედ. ვაჟმა ჰკითხა: რა დავაშავე, დიდებულო ხემწიფევ, რა გაწყენინეთ ეგეთი, რო ეგრე მიწყრებითო?—შენ ჯიბეში ერთი ფთე გქონია და ის არ მაჩვენეო, უთხრა ხემწიფემ, თუ წახვალ და იმ ფრინველს მოიყვან, რომელსაც ის ფრთე გაჰვარდა, გაპატიებ, თუ ვერ მოიყვან, და არ გაპატიებო. წავიდა დაღონებული ვაჟი რაშთან და შეჰჩივლა, რომ ხემწიფესა ჰსურს, ის ქათამი მოვგვაროო, რომელსაც ეს ფთე (ფრთა) დაეკარგაო. რაშმა უთხრა: სხვა ჩვენი წამალი აღარაფერია, შემჯე და წავიდეთო. ჩვენ მეთლეს კალოზე უნდა მივიდეთ, ყველა ფრინველი იქ მოდის, რაც ღვთისაგან გაჩენილია, ღვთითვე ყველას საჭმელი იქა აქვს, და, თუ დავიჭერთ, იქ დავიჭერთო. იმას კი ეცადე, შენ არ დაუწყო პირველმა ჭერა, იმ ქათამს მე თითონ დავიჭერო. შეჯდა ვაჟი რაშზედ და გასწიეს მეთლეს კალოზედ.

მივიდნენ მეთლეს კალოზედ, დაიმალნენ და დაუწყეს ლოდინი. ათასის ჯურის ფრინველი იდებოდა კალოზედ. რიგისა მიდიოდა, რიგისა მოდიოდა. რა ფრინველისას იტყოდა კაცი, რო იქ არა ყოფილიყო, რა ფერისა და

რა ხმისა, რა სიდიდისა და რა სილამაზისა და სიტურფისა. ბოლოს მოფრინდნენ ოქროს ქათმებიც, და ერთმა დაუძახა სხვებს: ნუ დაჰსხდებით, სხვისა ნასკინტლი როგორ უნდა ჰკენკოთო! სხვებმა არ დაიშალეს და დასხდნენ. კენკეს კარგა ხანს და აფრინდნენ მერე. ერთი იქვე დარჩა. სხვებმა დაუძახეს, ადე, წავიდეთო!—დაიცადეთ, დაუძახა იმან, მე ერთი ფთე მაკლია, და თქვენსავით ადრე ვერ ავფრინდებიო. ვაიმე, იმისი ჯავრი, ჩემი ფთე რო ქუდში უძეო! ეს სიტყვები რო გაათავა, უნდა გაფრენილიყო, მაგრამ ჰწვდა რაში და დაიჭირა. გაუკეთეს ის ფთეც იმას და წამოიყვანეს ხემწიფესთან. ხემწიფეს ძალიან გაუხარდა. უფრო და უფრო კარგი პატივისცემა დაუწყო ვაჟს. მაგრამ ბებერი მაინც მივიდა ხემწიფესთან და უთხრა: ან ეგ ვაშლი რა არის და ან ეგ ქათამი; თუ შენთვის კარგი უნდა, და კაი ბიჭია, აბა მაგ ქათმის პატრონი ქალი უნდა მოიყვანოსო.

დაიბარა მაშინვე ხემწიფემ ვაჟი და უბრძანა: წადი და, სადაც იქნება და სადაც არა, ის ქალი მოიყვანეო! დაღონდა ვაჟი, წავიდა და შეჰჩივლა რაშს, ახლა ოქროს ქათმების პატრონ ქალთანა მგზავნისო.—ძნელი გზა არისო, უთხრა რაშმა, მაგრამ თუ ისე მოიქცევი ყველაფერში, როგორც მე გეტყვი, უთუოდ მოვიყვანთო. შენ ერთი გატყავებული ცხვარი წამოიღე, ერთი ქათიბი, სამი ლიტრა ქონი და ერთი დუმაო. წაიღო ვაჟმა ყველაფერი, რაც რაშმა უთხრა, შეჯდა და გაჰწია. რაშმა უთხრა: გზაზედ ერთ მოწამლულ პანტას შევხვდებით, შენ იმას ტკბილად უნდა დაუწყო ლაპარაკიო: რა მშვენიერი გულაბი ჰყოფილხარ, ნეტავი მეცალოს, რო შენის ჭამით გავძღებოდიო, და გაგიშვებს. თუ ეგრე არ უთხარ, მაშინვე მოგწამლავს და მოგკლავს. მერე ერთ მყრალ წყაროს შევხვდებით, იმასაც უნდა მოეფერო და ტკბილად დაუწყო ლაპარაკი: რა მშვენიერი წყარო ხარ, რა წმინდა და ცივი წყალი, ნეტავი მეცალოს, რო დავლევდი და ვებანებოდიო. ამას რო ეტყვი, გაგიშვებსო. თუ ეგრე არ ეტყვი, თავის სიმყრალით დაგახრჩობსო. მერე ყორნები მოფრინდებიან; შენ იმათ ქონი გადუყარე, ისინი იმას დაუწყებენ ჭამას, და ჩვენ ჩვენს გზაზედ წავალთო. კარებში ერთი ბებერია, ეგ ქათიბი იმას მოახვიე, და გაგვიშვებსო. იმ ბებერს ერთი კბილი ცაში აქვს წასული, ერთი ქვეცას, თუ არ მოახვევ, ვერ გადურჩებიო. იქ ერთი მგელია, ის დაკლული ცხვარი იმას დაუგდე, ის იმას შეჭამს და ჩვენ ხელს აღარ გვახლებსო. მერე ერთ კარებში მოგვინდება შესვლა. ის კარები ხან გაიღება და ხან დაიხურება; უცხო კაცს არ შეუშვებს, მაშინვე გაჭყლეტსო. ის დუმა იმას წაუსვი, გაიღება და შეგვიშვებს. ესენი უთხრა რაშმა, და არ დაივიწყო კიო, დაუმატა.

იარეს, იარეს, მივიდნენ ბოლოს მოწამლულ პანტასთან. ვაჟმა უთხრა: ოჰ, მსხლის ხევ, რა მშვენიერი რამე ხარ და რა გემრიელი ნაყოფი გესხმისო; გულაბი რა არის შენთან, ან ხეჭეჭურიო. ნეტავი მეცალოს, რო შენი ჭამით სურვილს მოვიკლავდიო. გაუშო მსხალმა, და წავიდნენ. იარეს, იარეს, მივიდნენ მყრალ წყაროსთან, წყაროსაც ისე უთხრა: ოჰ, რა მშვენიერი ხარ, როგორ მოჰწანწკარებ, როგორი წმინდა და გემრიელი ხარ, ნეტავი მეცალოს, რო შენი ცივი წყლით წყურვილი მოვიკლაო! გაუშო მყრალმა

წყაროშაც, და წავიდნენ. ამათ რო გაჰცდნენ, ყორნები ჩამოეტივნენ დასაჭმელად. ვაჟმა ამოიღო სამი ლიტრა ქონი და გადუყარა ყორნებს. ყორნებმა ის დაიტაც-მოიტაცეს, ვაჟს ვინლა უგდებდა ყურს, და გავიდნენ სამშვიდობოს... ყორნებს რო გაჰცდნენ, მივიდნენ კიდეც სასახლესთან. სასახლესთან ერთი ბებერი დაუხვდა. ერთი კბილი ცაში ჰქონდა წასული და ერთი ქვეცას. მივიდა ვაჟი, მოახვია მხრებზედ ქათიბი, ბებერმა კიდევ გზა დაულოცა, თორემ არ დაუქირა კი. გაჰცდნენ ბებერს, და დაჰხვდათ მგელი. გადუგდო მგელსაც დაკლული ცხვარი. იმან იმას დაუწო ჭამა, ვაჟმა და რაშმა კი გაიარეს. მივიდნენ იმ კარებთან, რომელიც ელებოდა და ჭრიალებდა. მოუსო დუმა გალავნის კარებს ვაჟმა, და გაელო გალავანი. შევიდა ვაჟი მშვიდობით. რაშმა უთხრა: ოქროს ჩონგურს მოგართმევენ, და არ დაუკრაო. შევიდა ხემწიფის შვილი ქალის სასახლეში. ძლივ დაესწრნენ. გაუხარდათ, რო სტუმარი ნახეს კიდევ თვალით, რა ხანი იყო, კაცი აღარ ენახათ. დაფაციცდნენ მაშინვე სასმელ-საჭმელისათვის, მოუტანეს ოქროს ჩონგური, დაუკარიო.—მე ამომავალი ხემწიფის შვილი ვარ, უპასუხა ვაჟმა, მე ფანდური არ მისწავლია, ჩვენ მეფანდურეც და მეჩონგურეც სხვები გვყავსო, და გადადო გვერდზედ ჩონგური. ქალი კი გაჯავრებული იჯდა, —ჩემი ქათმის მომტაცები აქ როგორ შემოუშვით, თვალით როგორ მაჩვენეთო?! როდესაც ყველანი კარში გავიდნენ, იდროვა ხემწიფის შვილმა, მოიტაცა ქალი, გადისო რაშზედ და ჰერი, გაუსო თავის გზაზედ.—არიქა, კაცებო, გვიშველეთო, დაიძახეს მსახურებმა, ქალი მოგვტაცესო!—აბა მე რა გიშველოთო, უთხრა კარებმა, თქვენ ნარეცხსაც არ დამასხამდით, მაგან დუმაც წამისვა, ღმერთმა გზაც დაულოცოს და კვალიცაო!—აბა, მგელო, შენ გვიშველეო! დაიძახეს კიდევ მსახურებმა.—აბა, მე რა გიშველოთ, უპასუხა მგელმა. თქვენ ერთ ძვალსაც არ გადმომიგდებდით და მაგან კი მთელი ცხვარი მომიგდოვო, ღმერთმა კეთილი მგზავრობა მისცესო. ხემწიფის შვილმა წაიყვანა და წაიყვანა ქალი.—ბებერო, გვიშველეო, დაიძახეს მოსამსახურეებმა კიდევ.—მე ვერაფერს გიშველითო, უპასუხა ბებერმა, თქვენ ერთ ძველ კონკსაც არ ჩამაცმით, სიცხე-სიცივე მწვავს, და მაგან კი ქათიბიც მომიტანაო; ღმერთმა ხელი მოუმართოს; ღმერთმა კეთილი გზა და მგზავრობა მისცესო!—ყორნებო, გვიშველეთო!—ჩვენ რა გიშველოთ, ერთ თეთრ ძვალსაც ვერ გვაღირსებთ, მთელი დღეები მშივრები დავფრინავთ და დავწრწით, მაგან კი სამი ლიტრა ქონი შეგვაჭამაო. ღმერთმა გზა დაულოცოსო.—წყაროვ, გვიშველეო!—მე ვერას გიშველითო, უპასუხა წყარომ, თქვენ ისე ხმას არ გამცემთ, რო ამყრალებული არ დამიძახოთ, და მაგან კიდევ უკვდავების წყაროს შემადარაო. გაჰცდა წყაროსაც მშვიდობით ხემწიფის შვილი თავის ქალით.—პანტავ, შენ მაინც გვიშველეო! შეეხვეწნენ მოწამლულ პანტას.—აბა მე რა გიშველოთ, უპასუხა პანტამ, თქვენ ისე არ გაივლით და გამოივლით, რომ არ მითხრათ, შე მოწამლულოვო, და მაგან კი გულაბის მსხალს შემადარა, და დრო რო ჰქონიყო, ჩემ ხილს იხილებდაო. ღმერთმა გზა დაულოცოს! ღმერთმა კეთილი მგზავრობა მიჰცესო. გაჰცდა მოწამლულ პანტას ხემწიფის შვილი და გავიდა სამშვიდობოს.

მოუყვანა ხემწიფეს ქალი და ჩააბარა. ხემწიფეს ძალიან გაუხარდა; მაშინვე ჯვარის დაწერა გაბედა, მაგრამ ქალმა უთხრა: სანამ რძეში არ მაბანებთ, მე შენზედ ჯვარს არ დავიწერო.—წადით, ბიჭო, მოწველეთ ფურკამეჩები, და გავბანოთ ქალიო, უბრძანა ხემწიფემ ბიჭებს.—მაგ რძეში არ ვებანებიო, უთხრა ქალმა, თუ იქნება, ნიავ-ქრის რძე იყვეს, თორემ მე სხვა რძეში თითსაც არ დავისველებო.—ვინ უნდა მოიტანოს ნიავ-ქრის რძე, ან საიდგანაო, ჰკითხა ხემწიფემ ქალს.—ვინც მე მომიყვანაო; თუ ჩემი მოყვანა შეიძლო, განა ნიავ-ქრის რძეს კი ვერ მოიტანსო. დაიბარეს ვაჟი, და უბრძანა ხემწიფემ: სადაც იყვეს და სადაც არა, წადი და ნიავ-ქრის რძე მოიტანეო. წავიდა ვაჟი რაშთან და შეჰჩივლა თავის ვარამი. რაშმა უთხრა: ნუ გეშინიან, პატრონო, გულმაგრად იყავო. წადი, ერთი კამეჩის ტყავი მოიტანე, გადამაკარ, იმ ტყავზედ ქვიშა დამაყარე, იმ ქვიშაზედ კიდევ კამეჩის ტყავი გადამაკარ, და წავიდეთო. ყველაფერი ისე ქნა ვაჟმა, როგორც რაშმა უთხრა; მერე შეჯდა ზედ და გასწიეს ნიავ-ქრებისაკენ. გამოერია რაში ნიავ-ქრების ჯოგში და დაუწყო ხოცვა, ნიავ-ქრებმაც დაუწყეს რაშს კბენა; აგლეჯდნენ კამეჩის ტყავს და ჰკვნეტდნენ ტყავის ძირში დატანებულ ქვიშას. შესწუხდნენ ნიავ-ქრები და ჰკითხეს რაშსა: რა გინდა, გვითხარ, რაზედა გვხოცო.—უნდა რძე მოგვიწველოთო.—აქნამდისვე იტყოდითო, უთხრეს ნიავ-ქრებმა, და მოუწველეს ერთი დუნია რძე. წამოიღეს და წამოვიდნენ. მიუტანეს ხემწიფეს; და უბრძანა მაშინვე ხემწიფემ, ჩქარა ჩაესხათ იმათ საარაყე ქვაბში.—მე საარაყე ქვაბშიარ ვებანები, თუ დევებს რო ქვაბი აქვთ, იმას მოიტანთ, ხომ რა კარგი და, თუ არა, არც მე ვიქნები შენი ცოლიო.—ვინ უნდა მოგვიტანოსო! ჰკითხა ხემწიფემ.—ვინც მე მამიყვანა და ნიავ-ქრების რძე მოიტანაო. დაიბარა ხემწიფემ ვაჟი და უთხრა, რომ ცაში დევებს რო საარაყე ქვაბი აქვთ, ის უნდა მოიტანოვო. წავიდა ვაჟი რაშთან და დაეკითხა. რაშმა უთხრა: ცხრა მოსართავი გადამიჭირე, სამი მათრახი გადამკარ, სამი პირი ტყავი ამძვრება, ზედ სამი ლიტრა მარილი გადამაყარე, მე ავფრინდები და აგიყვან დევებთანაო. მოუჭირა ცხრა მოსართავი, სამი მათრახი გადაჰკრა, სამი პირი ტყავი აჰძვრა, სამი ლიტრა მარილი გადააყარა; აფრინდა რაში და მივიდა დევების სახლში. დევებს მამის რიგი ჰქონდათ. რაშმა უთხრა ვაჟს: მე კვიცად ვიქცევი, მიმიყვანე, იმ საარაყის ქვაბის ყურზედ დამაბი, რომელსაც მე ყურს გავიქნევ, ის იცოდე—ნიშანია წასვლისაო. იქცა რაში კვიცად; მიიყვანა ვაჟმა და მივიდა დევებთან. დევებმა შეიპატიჟეს შინ. ვაჟი უარზედ დადგა: აქ კვიცი მიბია, და მეშინიან, არ დამეხრჩოსო. მაინც არ მოეშვნენ დევები და შეიყვანეს შინ. ვაჟი ისე დაჯდა, რომ თვალითა სჩანდა რაში. დევებმა რო დალიეს და დათვრნენ, რაშმა ყური გაიქნია. ვაჟი ადგა და წავიდა რაშთან.—სად მიხვალო, ჰკითხეს დევებმა.—კვიცი საბელში გამხლართვია, და უნდა გამოვხსნაო. მივიდა რაშთან, იქცა კვიცად ნაქცევი რაში ისევ რაშად, შეჯდა ვაჟი, გამოიტაცეს ქვაბი და მოუტანეს ხემწიფეს.

აადუღეს ნიავ-ქრის რძე. ქალი ჩავიდა, ებანა და ამოვიდა.—ვინც ჩახვალთ და ებანებით, ის იქნება ჩემი ქმარიო, დაიძახა ქალმა. ჩახტა ხემწიფე, და მოხარშული კი ამოიღეს. ჩახტნენ ნაზირ-ვეზირი, მაგრამ ისენიც გახუხვი-

ლები ამოიღეს. რაშმა უთხრა ვაჟს: მე ერთ ადგილას თოვლი ვიცი, გავფრინდები იქ, ცხვირს და ყურებს გავივსებ, მოვიტან; რძეც ცოტა შეკივდება, ჩავაყრი ჩუმად, რძე გალღეჩდება, და ჩახტი და ებანეო; სანამდისინ კი არ ჩაჰხტეო. გაფრინდა რაში, სადაც თოვლი ეგულებოდა; ერთ წუთში გაივსო ცხვირი და ყურები, მოიტანა და ჩააყარა რძეს. რძე გაცივდა, ჩახტა ვაჟი, ებანა და ამოვიდა. დაიწერა ჯვარი ქალზედ და გამართა ქორწილი და ლხინი. ქალს უკვდავების ხელსახოცი ჰქონდა; წამოიღეს და წამოვიდნენ ამომავალ ხემწიფესთან. ამომავალი ხემწიფე ამ დროისთვის ისე დაბერებულიყო, რო ფეხზე ველარა დგებოდა. გადააფარა ქალმა დედამთილ-მამამთილს ხელსახოცი და სუ ახალგაზდები გახადა. ვაშლის ხეც იქ მიიტანეს და ოქროს ქათამიც.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.
მთას ურემი ავიტანე,
წამოვიდა გორებითა.
აქ სიცოცხლით გამიძეხით,
საიქიოს ცხონებითა.
ელასა, მელასა,
ქიქა მეკიდა ყელასა.
მთქმელსა და გამგონებელსა,
ჯვარი ავწეროს ყველასა.

## 36.—სამნი ძმანი.

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ხემწიფე; ჰყავნდა სამი ვაჟი. ხემწიფე რო მოკვდა, შვილებს ერთი ძვირფასი თვალი დაუგდო. ძმებს მალე დაეკარგათ ეს ძვირფასი თვალი. ერთმა იმათგანმა მოიპარა და დამალა, მაგრამ, როგორ უნდა გამოეჩენინათ, არ იცოდნენ. ბოლოს ძმებმა სთქვეს: წავიდეთ ჩვენ მესამზღვრე ხემწიფესთან. ისიც ჩვენი ტოლი კაცაა, და, რასაც ის სამართალს დაგვდებს, ისე მოვიქცეთო. ადგნენ ძმები და წავიდნენ იმ ხემწიფესთან. გზაზედ უფროსმა თქვა: ამ გზაზედ აქლემს გაუვლია, ცალ გვერდზედ თაფლი ჰკიდებია და ცალზედ ძმარიო. შუათანამ სთქვა: იმ აქლემს ცალი თვალი ბრმა ჰქონიაო. უმცროსმა სთქვა: იმ აქლემზე ორსული დედაკაცი მჯდარაო. კარგა გზა რო გაიარეს, შემოჰხვდათ ერთი თათარი და ჰკითხა: აქლემი ხომ არ გინახიათო? უფროსმა უთხრა: ცალ გვერდზედ თაფლი ხომ არ ეკიდა და ცალზედ ძმარიო?—მართალია, ეკიდაო, უპასუხა თათარმა.—ცალი თვალით ბრმა ხომ არ იყოვო? ჰკითხა შუათანა ძმამ.—არისო, უთხრა თათარმა.—ზედ ორსული დედაკაცი ხომ არა ზისო? ჰკითხა უმცროსმა.—მართალია ეგეცაო, უპასუხა თათარმა.

თათარმა სთქვა: მეც არ ვიცი ის ჩემი აქლემი, როგორც ამათ სცოდნიათ, და, თუ არ მოიპარეს, საიდან იციანო. წავიდა თათარი და უჩივლა ხემწიფესთან. ხემწიფემ უთხრა სამ ძმათ: სირცხვილია, აიღეთ, ღირებული ფასი მიეცით და მაიშორეთ თავიდგანაო, ნუ ალაპარაკებთო

ძმებმა უთხრეს: მართალია, ჩვენ არ მოგვიპარავს, მაგრამ ფასს კი მივცემთო. ხემწიფემ ჰკითხა: მაშ საიდან იცით, როგორი იყო ის აქლემიო. უფროსმა უპასუხა: გზის ერთ გვერდზედ თაფლი იყო ნაწკვინტოლებიო, და ზედ ბუზები ეხვეოდაო; სხვა გვერდზედ ძმარი ღვრილიყო. რასაც ბალახს დასცემიყო, გაეხმო; ამით გავიგე, რომ ერთ მხარეზედ თაფლი ეკიდა და მეორე გვერდზედ ძმარიო.

შუათანამ სთქვა: აქლემს რო გაევლო გზაზედ, რომელიც თვალი ბრმა ჰქონია იმ მხრივ ბალახისთვის ხელი არ უხლია, და რომელი თვალიც კარგი ჰქონია, ზოგან ნარი ამოეგლიჯა და ზოგან ბალახიო.

უმცროსმა სთქვა: ერთ წყაროზედ გაჩერებულიყო აქლემი; ჩამომხდარიყო დედაკაცი და წყალი დაელია; იმ წყაროს წინ ლამი იყო, და, როდესაც დედაკაცი დასწაფებია წყალს, მუცელი დეენაბრა იმ ლამისთვის, და კვალი დარჩენილიყოო. გაუკვირდა ხემწიფეს იმათი სიბრძნე და ჰკითხა: რად მოხველით ჩემთან, რამ შეგაწუხათო? ძმებმა ყველაფერი უთხრეს: მამამ ერთი ძვირფასი თვალი დაგვიგდო, როდესაც კვდებოდა, და ის თვალი ერთმა ჩვენგანმა დამალა, და ვერ გამოგვიჩენიაო. ხემწიფემ უთხრა: მოიცადეთ, ამაღამ მოვიფიქრებ და ხვალ გეტყვითო. იმ ღამეს ხემწიფე კარგა გაუმასპინძლდა ძმებს. ერთი მოსამსახურე მიუჩინა: დაუგდე ყური, რას იტყვიანო, და მერე მოდი და ყველაფერი მიამბეო.

ძმები ვახშამზე დასხდნენ. უფროსმა ძმამ აიღო დანა, მოსთალა მოხრაკულს და სთქვა: კარგი მოხრაკულია, რომ ეს ბატკანი ძაღლის რძით არ იყოს გაზრდილიო. შუათანამ აიღო პური, გადატეხა და სთქვა: ეს პური, რომ სისხლით არ იყოს მორწყული, კარგი იქნებოდაო. უმცროსმა სთქვა: მაგ ხემწიფემ რა სამართალი უნდა მოგვცეს, როდესაც თვითონაც მეწისქვილის შვილიაო. ძმებმა ამოიღეს ხურჯინიდგან პური, ჭამეს და დალიეს ღვინო. ეს ყველაფერი მაახსენა მოსამსახურემ ხემწიფეს უმცროსის სიტყვის გარდა. ხემწიფემ უთხრა: მითხარი, რაც უმცროსმა სთქვაო. მოსამსახურე ჯერ კი არ ეუბნებოდა, ბოლოს კი უთხრა. ხემწიფემ სთქვა: თუ ყველაფერი არ გავიგე, არ იქნებაო.

დაიბარა მეცხვარე და ჰკითხა: გუშინ რო ბატკანი გამოგვიგზავნე, როგორ იყო გაზრდილიო. მეცხვარემ უთხრა: მაგ ბატკანს მალე მოუკვდა დედა, და ძაღლს შევაჩვიეო, არ მემეტებოდა სასიკვდილოთაო. ხემწიფემ ახლა პურის მომტანს ჰკითხა. იმან უთხრა: შემოდგომაზე სარწყავი წყალი ცოტა იყო, ჩვენა და გლეხებს ჩხუბი მოგვივიდა, დავხოცეთ ისინი, სისხლი შეერია წყალში, და იმით მოირწყო ყანებიო. ამის შემდეგ ხემწიფე წავიდა დედოფალთან, დაადგა თავის ხმლითა: უნდა მითხრა, ვისი შვილი ვარო. დედამ უთხრა: შვილო, ნუ მამკლავ, და გეტყვი ყველაფერსაო. მამაშენი კარგი ხემწიფე იყო, დიდი სახემწიფო ჰქონდა, მაგრამ კაცობა კი არა ჰქონია; არ

მინდოდა, რო უშვილოდ დარჩენილიყო, და იმის სახემწიფო სხვას დარჩენიყო, და იმისთვის მეწისქვილეს მივეც თავიო. ხემწიფემ იფიქრა: ეგენი შამარცხვენენ, თუ თავიდგან არ მოვიშორეო. მაგრამ ხემწიფეს ვერ მეეგონა, თუ როგორი სამართალი უნდა მიეცა იმათთვის. ხემწიფეს ერთი მზეთუნახავი ქალი ჰყვანდა. ქალმა უთხრა მამას: მამავ, ნება მამეც, მე წავალ ამაღამ მაგათთან, გავიგოთ ვინ არის ქურდი და ვინ მართალიო. ხემწიფეს ძალიან გაუხარდა და გაგზავნა ქალი. იმ ღამეს ქალმა ითამაშა იმ ვაჟებთან; ჭამეს ვახშამი, და, როდესაც დასაწოლად დაემზადნენ, ქალმა უთხრა: გესიამოვნებათ, ერთ ზღაპარს გეტყვითო.—დიდის სიამოვნებით მოგისმენთო, უთხრეს ვაჟებმა.

ქალმა დაიწყო: იყო ერთი ხემწიფე; ჰყვანდა ერთი მზეთუნახავი ქალი; იმ ქალს და ერთ ვაჟს პირობა ჰქონდათ ერთურთში და ფიცი ჰქონდათ ნათქვამი, რომ ერთმანეთისთვის არ ეღალატათ. მაგრამ მამამ ქალი ძალად გაათხოვა. ქალმა ჯვარი დაიწერა. როდესაც ერთად მარტოკაები დასტოვეს ახალი ცოლ-ქმარი, ცოლმა უთხრა ქმარს: ფიცი მაქვს სხვისათვის მიცემული, რო არ უღალატო, და ნუ გამატეხინებ ფიცს, ღმერთს ნუ შამაცოდებ, გამიშვი იმასთან ცოტა ხანს, და მერე სულ შენი ვიქნებიო. ქმარი დასთანხმდა და გაუშვა ცოლი. ქალი მივიდა თავის მიჯნურის სახლში და ნახა, რომ იმის მიჯნური პირქვე გდია და ტირის. ქალი მივიდა ახლოს და დაუძახა: განა ეგრე მაფასებ, რომ ფიცის გამტეხელი გგონივარ? აჰექ, შენი ვარო. ვაჟი ადგა მაშინვე გადაეხვია ქალს და უთხრა: რაკი შენი ქმარი ეგეთი სვინდისიანია, და შენ კიდე მე არ მიღალატე, შენ—და და მე—ძმაო. ქალი დაბრუნდა ქმართან, მაგრამ გზაზედ ყაჩაღები დაჰხვდნენ და გაუბედეს ძალდატანება. ქალმა უთხრა: რად გინდა ღვთის ფიცი გამატეხინოთ, გამიშვითო. ავაზაკებმაც არაფერი დაუშავეს და გაუშვეს... ეხლა მე გკითხავთ, ვინ მოქცეულა კარგათ და ვინ ავათაო, ჰკითხა ქალმა ვაჟებს. უფროსმა სთქვა: ქმარი ყველაზე კარგა მოქცეულაო. შუათანამ სთქვა: საყვარელი ავაზაკებიც კარგა მოქცეულანო. უმცროსმა სთქვა: ქმარიც, საყვარელიც, და ყაჩაღებიც საძაგლად და უხეიროდ მოქცეულანო. ქმარი იმიტომაო, რომ თავის ცოლს სხვას უგზავნის; საყვარელი იმიტომ, რომ საყვარელს დ[illegible]ს ეუბნება და ფიცს უფთხებაო, და ავაზაკები კიდევ იმიტომ, რომ ახალგაზდა ქალს ხელიდან უშვებნ და არცა სცარცვავენო.

ქალმა მაშინვე უთხრა ვაჟებს: ნახეთ, უმცროს ძმას უბე ჯიბეში თქვენი დაკარგული თვალიო. ნახეს და მართლა იმას ედო.

## 37—ედემის ყვავილი.

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი კაცი, ჰყვანდა სამი ქალი. უფროსმა ქალმა უთხრა მამას: ისეთი სარკე უნდა მიყიდო, რო მოვიდეს თავისთავად ჩემთან; გავიხედო შიგ, წავიდეს და ისევ სტოლზე დაიდვასო. მამამ აუსრულა სათხოვარი.

შუათანამა სთხოვა: მე ისეთი მოსახვევი უნდა მიყიდო, რომ, როცა მომინდეს, თავის თავად მომეხვიოს, როცა მინდა, დაიკეცოს და სკივრში ჩაიდოს ხოლმეო. მამამ იმასაც უყიდა ისეთი მოსახვევი.

ახლა უმცროსი ქალი შეეხვეწა: მამილო, მე ედემის ყვავილი უნდა მომიტანო თმაში ჩასატანებლადაო. რა გაეწყობოდა? მამა წავიდა დევების ქვეყანაში, გადაიპარა ერთ ბაღში, დაკრიფა ედემის ყვავილი და მოუტანა ქალსა.

დევმა შეიტყო ყვავილის მოპარვა და გამოჰყვა კაცს კვალზედ, მოვიდა იმათ სახლის კარებზედ და დაუძახა: ოჯახის პატრონოო! ერთმა ქალმა სთქვა: ვისაც მოსახვევი მოუტანა, იმან გაიხედოსო! მეორემ სთქვა: ვისაც სარკე მოუტანა, იმას ეკუთვნის გახედვაო.

მერე პატარამ გამოიხედა. დევმა შეჰხედა და დაინახა, ედემის ყვავილი იმის თმებში ბრწყინავდა; დაავლო ხელი და მოიტაცა. წაიყვანა და ხელზედ მოსამსახურედ დაიყენა. ქალი ჩავარდა მწუხარებაში; არცა სვამს, არცა სჭამს, დღე და ღამ ზის და აბნევს მდუღარებას. იქვე ახლოს ერთი ქვრივ-ოხერი დედაკაცი სცხოვრობდა, ამას ენანებოდა საწყალი ქალი. ერთხელ დაუძახა თავისთან და უთხრა: შვილო, ღვინო მომიტანე, ბანგს გავაკეთებ, დევის დედას დაალევინე, დაეძინება, და მაშინ გაიპარეო. ქალმა მოუტანა ერთი ხელადა ღვინო; ბებერმა გააკეთა ბანგი და მისცა ქალსა; იმან წაიღო, დაალევინა დევის დედას. იმას რომ მაგრა დაეძინა, ქალმა დაკრიფა ედემის ყვავილი, გაივსო კალთა და შინისკენ გასწია.

ამ დროს გაუგია დევს ქალის გაპარვა და ედემის ყვავილის დაგლეჯა, გაბრაზებული გამოუდგა ქალსა. მირბის ქალი, და მისდევს დევი. გზის პირზედ საყდარი იდგა, ქალი შიგ შევარდა და მოხურა კარები. დევი მივარდა კარებთან და დაუწყო ბრაგა-ბრუგი, ხან ეხვეწება, ხან ემუქრება ქალს, კარი გამიღეო. მაგრამ ქალმა ყური არ ათხოვა. დევმა რო ვერაფერი გააწყო, სახლში დაბრუნდა. იმ ეკლესიაში ერთი ხემწიფის შვილი იწვა, რომელიც დღე კვდებოდა, ღამე კი ცოცხლდებოდა ხოლმე. როცა დაღამდა ძეწნის-ადგა, აანთო სანთელი, ნახა თახჩაში მჯდომარე ქალი და უთხრა: დალო..., რა სულიერი ხარ, აქ რამ მოგიყვანაო? ქალმა უამბო თავის თავგადასავალი. ვაჟმა სთხოვა: შენ—ცოლი და მე—ქმარიო. ქალმაც პირობა მისცა. ვაჟმა უთხრა: მე დღისით ვკვდები და ღამე ვცოცხლდებიო, შენ არ შეგეშინდესო! სცხოვრობდნენ აგრე რამდენსამე ხანს ერთად. ქალს სიორსულე გამოაჩნდა. ვაჟმა უთხრა: წადი ჩემ სამშობლოში და იქ მოილოგინეო. ქალმა გასწია, მივიდა ხემწიფესთან და უთხრა: ამაღამ აქ დამაყენეო. დედოფალმა უბრძანა მსახურებს წაეყვანათ და საქათმოში დაეყენებინათ.

იმ ღამეს საქათმეში ქალს ოქროს ქოჩრიანი ვაჟი ეყოლა. მეორე ღამეს ქმარი მოუვიდა იმას და დაუძახა: ქალო, ედემ-მარიამო. —ბატონო! —რა გყავს შვილად? —ღვთის მოწყალებით, ვაჟი ოქროს ქოჩრიანიო! დაუძახა ქალმა. ახლა სხვა ღამეს მივიდა და დაუძახა: ქალო, ედემ-მარიამო. —ბატონო! —რა გაქვს ქვეშ საგებიო? —ღვთის მოწყალებით, ჩალა ფუჩეჩიო! ეს მოახლეს გაეგონა და შეუტანა დედოფალს ამბავი: ქალბატონო, წუხელ ვა-

ღაცა მოვიდა ამ ქალთან და დაუძახა, სუ ჩვენი ალექსას ხმას ჰგვანდაო. დედოფალი შევიდა და შეეხვეწა მელოგინეს: ამაღამ რო მოვიდეს, უთხარი, რო შინ შემოვიდესო; მე კარებს უკან დავდგები, იქნება ჩემი ალექსა იყოსო. ვაჟი ისევ მოვიდა. იმ ღამეს დაუძახა: ქალო, ედემ-მარიამო!—ბატონო!—რა გაქვს საჭმელიო?—ღვთის მოწყალებით, კუტ-მატიო!—ვაი შენს ალექსისა, შენი საჭმელი ნუში და ქიშმიშიო! მერე ქალმა დაუძახა: ცოტა ხანს შინ შემოდიო.—არა, ვერ შემოვალო.—მოდი, მოდი, გენაცვალე, ცოტა ხანს და ისევ წადიო. მივიდა ვაჟი კარებში; რო შავიდა, დედამ იცნო, ჩემი ალექსიაო, სიხარულით გადაეხვია და დაკოცნა. მერე შვილი დღეც მოუკვდა და ღამეც. ქალმა ტირილი დაიწყო, ყმაწვილი ჩაისვა გუდაში, შეეხვეწა დედამთილ-მამამთილთ, არ დამარხოთ, სანამ არ დავბრუნდებიო, და თვითონ კი მზის დედასთან წავიდა.

გზაზე გუთანსა ჰხნავდნენ. უნდოდათ შეეხსნათ და ვერ ახერხებდნენ. ჰკითხეს ქალსა: სად მისდიხარო?—მზის დედასთანაო.—მაშ ჩვენიც გაიგე რამეო! გაიარა კიდევ, მეცხვარეებს შეჰხვდა; უნდოდათ ცხვრის ბალახზედ გარეკვა და ვერ მოეხერხებინათ. ჰკითხეს: სად მისდიხარო?—მზის დედასთანაო!—მაშ ჩვენიც გაიგე რამეო. გაიარა ქალმა და ერთ სახლს მიადგა: შიგ სამი გასათხოვარი ქალი სცხოვრობდა; იმათაც გაიგეს ქალის მზის დედასთან მიმავლობა და უთხრეს: ჩვენი ამბავიც გაიგეო; გასათხოვრები ვართ და ვერ მოგვიხერხებიაო. გაიარა კიდევ, ერთი ირემი შემოხვდა, რომლის რქები ცასა ჰქონდა მიბჯენილი. ქალმა სთხოვა: ირემო, თავი დაიღე, ამაგდე ცაშიო!—მაშ ჩემიც გაიგე რამეო, უთხრა ირემმა. დაიღო ირემმა რქები და შააგდო ცაში. მივიდა მზის დედასთან. მზის დედამ უთხრა: შვილო, აქ რამ მოგიყვანაო? ჩემი შვილი რო შინ დაგხვედროდა და ქვეყნიერობაზედ არ იყოს წასული, უთუოდ შაგჭამდაო. ქალმა უამბო მზის დედას თავის თავგადასავალი, გუთნისაც უთხრა, ცხვრისაცა, ქალებისაც და ირმისაცა. იმ დროს მზის დედამ ცოცხად აქცია ქალი და კარებს უკან მიაყუდა.

იმ დროს მოვიდა მზეცა, დედას აუტყდა: ადამიანის სული მამდისო.—არა, შვილო, აქ ადამიანს რა უნდა, რას მოიგონებო.—როგორ არა, ადამის სული მამდისო!—ნეტავი იყოს ადამიანი, შვილო, ხმას მაინც არი გამცემდაო, სიმარტოვით ლამის გამოვყრუვდეო; იმას კი ნუ მკითხავ, რაც არ არის; რატომ არ მიამბობ, რა ჰხდება ქვეყანაზედ, განა არა იცი რა საკვირველი, რო თავის დღეში არას მეტყვიო!—რად გინდა, რო გითხრა?—რატო, შვილო, დედა ვარ შენი, მაშ შენი გულის პასუხი მე არ უნდა მითხრაო.—კარგი, დედავ, რაკი გინდა გაიგო, გეტყვიო: ერთი ხემწიფის შვილი სანადიროდ დადიოდა; რო ვერაფერი მოკლა, გაჯავრებულმა მესრიალა ისარიო. მაშინ დავსწყევლე,—დღე მკვდარი იყო, ღამე კი ცოცხლდებოდა. ეხლა კი გამოვასალმე წუთის სოფელსაო. იმან რო ჩემი პირის ნაბანი დალიოს, გაცოცხლდებაო. ერთ ადგილას გუთანი უბიათ; ისე ვერ მოუხერხებიათ, რო რკინის უღლები აჰხსნან და ხისები დაადგან; ეს რო მოახერხონ კი, მოჰხნავენო. სხვაგან ცხვარი ჰყავთო; ვერ მოუხერხებიათ, რო საძოვარზე გამორეკონო; იმათ რო ღმერთს ერთი ცხვარი შეჰწირონ, გაჰრეკავენო. ერთ სახლში

სამი ქალია გასათხოვარი, ბინდზედ ჰგვიან სახლსა და კალთებზე გადმომაყრიან ხოლმეო. იმათ რო მზეთ უკან სახლის გვას თავი დაანებონ, გათხოვდებიანო. ერთგან კიდევ ირემი დგა, რქები ცაში აქვს მობჯენილი; ის ვერ მოუხერხებია, რო რქები გაიყრევინოს, მაისის წყალი დალიოს და ბალახს მისწვდესო. დედამ მიუტანა ტასტი და ხელ-პირი დააბანინა შვილს.

მზე რო ქვეყანაზედ გასტუმრა, ბებერმა ცოცხი ისევ ქალად აქცია, ბოთლში ჩაასხა პირის ნაბანი და გამოატანა: წაიღე, შვილო, ესა, დაალევინე შენ ქმარსა, და გაცოცხლდებაო. ქალი წამოვიდა. ირემს ამბავი მოუტანა, ქალებსაც, მემცხვარეებსაც, მეგუთნეებსაც და მივიდა შინა, დაჰბანეს პირი მიცვალებულს, ჩაასხეს პირში მზის ნაბანი და გააცოცხლეს. მერე მშვენიერი ქორწილი და ჯვარის წერა გადაიხადეს.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

## 38—ერთი მამა-შვილის არაკი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი კაცი. ამ კაცსა ჰყვანდა ცოლი და ერთი ქალი. კაცს ცოლი მოუკვდა და ქმარს ანდერძი დაუგდო, ისეთი ცოლი შაირთო, ვისაც იმისი ქათიბი და ქოშები გამოადგებოდა. კაცმა წაიღო ქათიბი და ქოშები, აატარ-ჩაატარა, ვისაც ჩააცვა, ზოგს დიდი მოუვიდა, ზოგს პატარა; მოვიდა შინ დაღონებული.

ქალმა უთხრა: აბა, მამავ, მე ჩავიცვამ ქოშებს, როგორ მომივაო? ჩაიცვა. და ძალიან კარგად მოუვიდა. მამამ უთხრა: შენ უნდა შეგირთო ცოლადაო. ქალმა უთხრა: როგორ შეიძლება მამისაგან შვილის შერთვაო! მამა დაემუქრა: როგორ თუ არ შეიძლებაო, თუ მომცემ ნებას, მომცემ, თუ არა და - მოგკლავო.—რახან მამაშვილობას არღვევ, სახლები მაინც გააკეთე და შუაში დედა-ბოძი დაატანეთო! უთხრა ქალმა, ქორწილი ახალ სახლებში ვქნათო. მამა მაშინვე გაურიგდა კალატოზებს და გააკეთებინა კიდეც სახლები. მერე ისევ ქალმა უთხრა: წადი, შენთვინაც იყიდე ტანისამოსი და ჩემთვინაცაო. მამა წავიდა სავაჭროდ იყიდა საგვირგვინო ტანისამოსი და მოიტანა. ქალმა კიდე უთხრა: წადი, მღვდე და მაყრები დაიპატიჟეო. ის წავიდა დასაპატიჟებლად. ქალმა ჩაიცვა გვირგვინის ტანისამოსი, მივიდა დედა-ბოძთან და სთქვა: ღმერთო და ჩემო სიალალ-მართალეო, მიშველეო, მამა მიპირებს ცოლად შერთვას; ქენ, ხევ, პირი და შამიყვანე შიგაო! ხემ მართლა პირი უყო და შაიყვანა ქალი. მამაც მოვიდა, ეძება ქალი, მაგრამ ველარ იპოვნა. მე იმის გულისთვინ გავაკეთე სახლები და ეხლა რაღად მინდაო. წაუკიდა ცეცხლი და სულ გადაწვა სახლები. ის ბოძი კი მხოლოდ შეიბოლა. ისიც მოგლიჯა, წაიღო და წყალში გადააგდო. იქცა ოქროს ბოძად და, სადაც ხემწიფის ჯოგი სვამდა ხოლმე წყალს, იმის პირდაპირ გარიყა.

მეჯოგეებმა, რო ჯოგი ჩამორეკეს წყალზედ, ცხენებმა დაიწყეს ფთხომა ამ ბოძის ლაპლაპზედა; მეჯოგეები წავიდნენ, მოახსენეს ხემწიფეს: დიდებულო ხემწიფევ, წყალში რაღაცა გდია, და იმის ლაპლაპზედ ვეღარ მიჰკარებიან ცხენები წყალსაო. ხემწიფემ გაგზავნა მაშინვე რჩეული მცურაები, გამაატანინა ოქროს ბოძი. ხემწიფის შვილმა გააკეთებინა სახლი და შიგ დაატანებინა ის ბოძი. ვაჟმა დაიძინა ერთ ღამეს; გამოვიდა ოქროს ბოძიდან ქალი, მივიდა სტოლთან, ნახა იმაზედ დალაგებული ერთი ბოთლი ღვინო, და ერთი პური და ყველი; ერთი სტაქანი ღვინო დალია, ერთი ნაჭერი პური, ერთი ნაჭერი ყველი შეჭამა, მერე მივიდა ვაჟთან, გამოაძრო ხელიდან ბეჭედი და გაუკეთა ვაჟსა, თვითონ ისევ ბოძში ჩაჯდა. გამოეღვიძა ვაჟსა, ნახა თითზედ გაკეთებული ბეჭედი; ჰკითხა დედას, ჩემთვის ხელზედ ბეჭედი ვიღასაც გაუკეთებიაო. დედამ უთხრა: აბა უყარაულე, ხო არავინ შამოდისო. დაწვა ვაჟი და ტყუილად დახუჭა თვალები. ქალი გამოვიდა, ერთი სტაქანი ღვინო დალია, ერთი ნაჭერი პური და ყველი შეჭამა, მივიდა ბიჭთან ბეჭედის გამოსაძრობლად; ბიჭი მისწვდა და დაიჭირა; ჰკითხა: რა ხარ, რა სულიერი ხარო. ქალმა უამბო თავის თავ-გადასავალი. ვაჟმა უთხრა: შენ—ცოლი და მე—ქმარიო! ქალმა უთხრა: მე—და, და შენ—ძმაო —არაო, უთხრა ვაჟმა, მე—ქმარი და შენ—ცოლიო. ქალიც დასთანხმდა. დაიწერეს ჯვარი. რამდენიმე ხნის შემდეგ ქალს გაუჩნდა ოქროს ქოჩრიანი ვაჟი.

მამამ გაიგონა, რო ჩემი ქალი ხემწიფის შვილსა ჰყავსო, აიღო სტვირი და მივიდა ხემწიფის კარზედ და მოახსენა ხემწიფეს: საზანდარს არ ინებებთო? ქალმა იცნა მამა და ცური უთხრა. ვაჟმა კი მიიწვია სამღერლად. ქალმა დაუშალა ქმარს: ნუ მაიყვან, თორე ინანებო.—მაგან რა უნდა გვაწნოს, ყმაწვილს გაუხარდება, იმღეროსო!—მე კი მითქვამს, ინანებ, და ეხლა შენ იციო, უთხრა ქალმა. მივიდა საზანდარი და მოჰყვა, რაც იცოდა. იმ ღამესაც იმათთან დარჩა. ვახშამს უკან რო დაიძინეს, საზანდარი ადგა, მივიდა ყმაწვილთან და გამოსჭრა ყელი, სისხლიანი დანა დედას ჩაუდვა ჯიბეში. მამალმა რო შემოჰკრა ფრთები და დაიყივლა, დედა ადგა ყმაწვილის სანახავად და ძუძუს მოსაწოვებლად, ნახა, ბავშვი ყელ გამოჭრილი წევს აკვანში; დაიწყო ქალმა წივილ-კივილი. ამ ყვირილზედ სუყველას გამოეღვიძათ. საზანდარმაც გაიღვიძა: რა ამბავიაო? იკითხა.—რაღა რა ამბავია, ყმაწვილისთვის ყელი გამოუჭრიათო!—ვისაც სისხლიანი დანა ეღება, მამკლავი ის იქნებაო, სთქვა საზანდარმა. ინახეს ყველამ ჯიბეები, ქალს ამოუჩნდა.—მკვლელიც ესა ყოფილაო, სთქვა მამამ და ბძანა: დედას თვალები დასთხარეთ, ძუძუები დასჭერით, ეგ ყმაწვილი ხელში მიეცით, და, საითაც უნდა, წავიდესო. დასთხარეს მართლა თვალები, დასჭრეს ძუძუები, მისცეს ყმაწვილი ხელში და უთხრეს: საითაც გინდა, იქით წადიო!

წავიდა ქალი, მივიდა ერთი კლდის ძირში და დაიწყო მწარედ ტირილი. იმის ტირილზედ შეაწუხდა უფალი და გამოუგზავნა ერთი ყვავი: აბა წადი, შემიტყე, ვინ არის, რომ იმისმა ტირილმა აღარ დამაყენაო. ყვავი მივიდა, უფრო გაჯიჯგნ გამოჯიჯგნა და უფალს ამბავი მიუტანა, იქ არაფერი ამბა-

ვიაო. მაგრამ ცრემლის ჩქეფა მაინც არ ასვენებდა უფალსა. ახლა მტრედი გამოგზავნა: წადი, ნახე, რასა ტირის, ან რაზედაო, სწორე ამბავი მომიტანეო. მივიდა მტრედი, ნახა, კლდის ძირში თვალებ-დათხრილი ქალი ტირის და ხელში ყელგამოჭრილი ბავშვი უჭირია. მტრედმა დაისვარა სისხლში ფეხები და აუტანა ღმერთს ამბავი: ერთ თვალებ-დათხრილ ქალს ყელ-გამოჭრილი ყმაწვილი უჭირია და იმასა სტირისო. უფალმა დასწყევლა ყვავი და ესროლა მეუვზური. მეუვზური მოხვდა ყვავსა, და ზოგან გაშავდა და ზოგან ისევ თეთრი დარჩა. ჩამოვიდა უფალი ქალთან, მოუსვა ხელსახოცი თვალებზედ და აუხილა, ახლა ყელ-გამოჭრილ ბავშვს მოუსო და გააცოცხლა; მერე გაიყვანა მინდორზედ და უთხრა: რაც გინდა ინატრეო!—მე არაფერი მინდაო, ინატრა ქალმა, ერთი სახლი კი მომცა თავშესაფარიო! უფალმა გადასწერა ჯვარი, გაკეთდა მშვენიერი ბაღი და შიგ მშვენიერი სასახლე. დადგა შიგ ქალი თავის შვილით, და სცხოვრობდენ ტკბილად.

გავიდა ხანი, და გაიზარდა ვაჟი. ნადირობა მოსწადდა, დედას უთხრა, ტყეში წავალო. დედამ უარი უთხრა.—არა, დედავ, წავალ და მალე მოვალო, უთხრა შვილმა; აიღო შვილდ-ისარი და წავიდა; შამოხვდა კურდღელი თავის შვილებით. დადგა ბიჭი და დაიწყო ფიქრობა: დედა მოვკლა, შვილები დაობლდებიან, და შვილები დავხოცო, დედა დაძმარდებაო; ისევ თავს დავანებებო, ისა სჯობიაო. და წამოვიდა შინა; მაგრამ კურდღლები თან წამოჰყვნენ. ახლა მეორე დღეს წავიდა სანადიროდ; ახლა ირემი შამოხვდა თავის წაწლებით, შეეცოდა ისიც: დედას ვესროლო, შვილები დაობლდებიან, და შვილებს ვესროლო, დედა დაძმარდებაო; წავალ შინ, თავს დავანებებო. წამოვიდა შინა. ირემიც თავის შვილებიანად უკან დაედევნა.

იმ დღეს ხემწიფის შვილი და იმისი საზანდარი დადიოდნენ ტყეში სანადიროდ, ბევრი იარეს, ვერაფერი ინადირეს და ბოლოს ამ ბიჭს შამოხვდნენ, დადგნენ, დაუწყეს ლაპარაკი: ჩვენ მთელი დღეა დავდივართ, ვერაფერი მოგვიკლავს, და შენ ცოცხალი ირმებიც მიგიდის სახლშიო; ვინა ხარ, გვითხარიო; ან სახლები ვისია; ღამდება, და არ დაგვაყენებთო?—ის სახლები ჩვენებიაო, უთხრა ბიჭმა, მაგრამ ჯერ დედას დავეკითხები, მიგიღებსთ თუ არაო. წავიდა და დედას უთხრა: ერთი მოხუცებული და ერთი ახალგაზდა სანადიროდ ყოფილან, დაჰღამებიათ, და ბინას ითხოვენო. დედამ უთხრა: მოვიდნენ, შვილო, სტუმარი ღვთისააო! გავიდა ვაჟი და შამოიპატიჟა სახლში. ქალი გავიდა და უთხრა: ისე შემოდით, რომ კუნწულაც არ მოჰწყვიტოთო! იმ ღამეს კარგა დაუხვდნენ. სტუმრებმა რო მოისვენეს, ქალმა ერთი ვაშლის კუნწულა მოჰწყვიტა და ხემწიფის შვილს ჯიბეში ჩაუდვა. გათენდა; სტუმრები მიდიან. ქალმა გააცილა, შახედა ვაშლს, ერთი კუნწულა აკლდა, დაუძახა სტუმრებს: კუნწულა რომელმა მოჰწყვიტეთო? იმათ იუარეს, ჩვენ არაფერი მოგვიწყვეტიაო.—მაშ ჯიბეებში ინახეთო! ჩაიყო ხელი ხემწიფის შვილმა ჯიბეში, და კუნწულა იმას კი ამოუჩნდა. შერცხვა ძალიან, და ქალმა უთხრა: როგორც ეგ კუნწულა არ არის შენი მოწყვეტილი, ისე შენი შვილი არ იყო ჩემი მოკლულიო; აკი გითხარ, ინანებ მეთქი! ვაჟმა ეხლა შეიტყო, რომ ეს იყო იმის ნაცოლარი და ტყუილად დაე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრალებინა შვილის მკვლელობა, ხელმეორედ დაიწერა ქალზედ ჯვარი და მიაპყრო დედოფლური პატივისცემა.

იმისი მამა, საზანდარი, კი გამოიყვანეს და თავი მოჰკვეთეს!

(ს. ვეჯინი, სიღნაღის მაზრა)

## 39—ანგელოზების ნათლული ქალი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ცოლი და ქმარი. ცოლი ორსულად იყო. როდესაც შობის დრო მოუახლოვდა, ქმარს უთხრა ცოლმა: წადი, შენი და მაიყვანეო. ქმარი წავიდა. ამ დროს ცოლს მუცელი აჰსტკივდა და ეყოლა ქალი. მოსანათლად ციდან სამი ანგელოზი მოფრინდა; მონათლეს. პირველმა დაანათლა ედემის მზგავსი ბაღი,— რიგისა ყვაოდეს, რიგისა მწიფდეს, რიგისას მკვახე ესხასო და გარს ირმისა და შვლის ხროვები უვლიდნენო. მეორე ანგელოზმა დაანათლა: იბანებოდეს,— ნაბანში ოქროს ზოდები იყრებოდესო; იცინოდეს— პირს ვარდი სცვიოდესო; ტიროდეს—მარგალიტი გადმოჰდიოდესო. მესამე ნათლიამ დაანათლა ოქროს ჯვარი და ერთი ბაღდადის ხელსახოცი. რამდენიც ვის წლით და თვით ემატება, იმდენით ქალი დღით იზრდება.

ერთი ხემწიფის შვილი სანადიროდ დადიოდა, იმ ბაღთან რო მოვიდა, დაინახა შემოხვეული ირმები და შველები; ესროლა, ააცდინა; რამდენიც ესროლა, იმდენი დააცილა. ბოლოს ქალის დედამ დაინახა, რომ ხემწიფის შვილი ესვრის ირმებს და აცდენს, ქმარს უთხრა: ის ყმაწვილი მოვიპატიჟოთ და ირემი ჩვენ მივართვათო. ქმარი დათანხმდა, წავიდა და ხემწიფის შვილს მოახსენა: თუ გვიკადრებთ, მობძანდით ჩვენსა, სადილად გვეწვიეთ, და ირემს ჩვენ მოგართმევთო. ყმაწვილს დიდათ ესიამოვნა. დაკლეს ირემი და შველი, დაკუწეს და მოხარშეს. სანამ ირემი მოიხარშებოდა, დაჰბანეს ქალს პირი, და პირის ნაბანში სულ ოქროს ზოდები ჩაიყინა; უღიტინა დედამ ქალს, ქალმა გაიცინა, და პირიდან სულ ვარდი და ია გადმოეშალა. გაუჯავრდა მერე რაღაზედაც, და ქალმა ტირილი დაიწყო. ცრემლების მაგიერ მარგალიტებმა დაიწყეს თვალებიდან ღაპა-ღუპით გადმოდენა. ხემწიფის შვილს საშინლად მოეწონა ქალი. იმ ღამეს მშვენიერი დროება გაატარეს; მეორე დღეს ხემწიფის შვილი სახლში დაბრუნდა. დაღონებული იყო. დედამ ჰკითხა: რათა ხარ, შვილო, გენაცვალოს დედა, დაღონებულიო? შვილმა უთხრა, რომ ამა და ამ ადგილას ერთი პატარა ქალი ვნახე, აბანებენ—ნაბანში ოქროს ზოდები ჩაწვება, გაიცინებს—ვარდი გადმოეშლება პირიდამა და იტირებს—ცრემლად მარგალიტი იწყებს დენასაო. მე თუ შავირთავ, იმას შავირთავ, მე სხვა ცოლი არ მინდაო.

ვაჟი კიდევ წავიდა სანადიროდ. ქალის დედმამამ შეიპატიჟეს და გაუმასპინძლდნენ მშვენივრადა. ახლა კი ვეღარ მოითმინა ხემწიფის შვილმა და გამოუცხადა ქალის დედმამას: თქვენი ქალი ცოლად უნდა მომცეთ. ქა-

ლის დედმამას ძალიან გაუხარდათ: თუ კი ხემწიფის შვილი ქალსა სთხოვდა, როგორ დაუჭერდნენ. მეორე დღეს ქორწილი დააპირეს. ქალის მამა ისევ თავის დასთან წავიდა: შვილის ქორწილი მაქვს, გვეწვიეო. და უთხრა ქალის მამას: თუ ამ კიდობანს წამიღებ, წამოვალ; თუ არ წამიღებ და არ წამოვალო.—კიდობანს როგორ არ წავიღებ, ოღონდ შენ წამოხვიდეო, უთხრა ძმამა. იმ დედაკაცს ერთი გასათხოვარი ქალი ჰყავს; ჩასო იმ კიდობანში ის ქალი, დაადო კლიტე, აჰკიდა ძმასა და წაალებინა კიდობანი. შინ მოიტანეს. ჯვრის წერა რო დააპირეს, ქალის მამიდას უთხრეს: დედეთ შენ უნდა გაჰყვე ამ ქალსაო. მამიდამ იმათაც ისე უთხრა: თუ ამ კიდობანს წამიღებთ, წამოვალ მეცა, და თუ არ წამიღებთ, არ წამოვალო.—ჩემი ცხენები როგორ ვერა ჰზიდავენო, სთქვა ხემწიფის შვილმა, წავიღებთო. დააკრეს ის კიდობანიც ცხენზე, შესხდნენ ნეფე-დედუფალიც ცხენზე, შესვეს დედეც და წავიდნენ. ქალი რო წავიდა, ბალიც თან გაჰყვა და ირმებიც ისევ ისე უვლიდნენ გარს ბაღსა. ერთ მინდორზედ რო მივიდნენ, დაისვენეს. ვაჟს დაეძინა. ვაჟს რო დაეძინა, დედემ ამოიყვანა თავისი ქალი კიდობნიდამ, დედუფალს ტანისამოსი გაჰხადა და თავის ქალს ჩააცო; ჯვარიც, ნათლიის დანათლებული, ჩამოჰხსნა ყელიდამ და თავის ქალს ჩამოჰკიდა, ჯვარი სამად გატყდა. ანგელოზების ნათლულ ქალს თვალები დაჰთხარა, თვალები ხელსახოცში გამოჰკრა და შაინახა და თვალ დათხრილი ქალი კი აიყვანა და ერთ ორმოში ჩააგდო, თვითონ ხემწიფის შვილი გააღვიძა, თავისი ქალი შესვა ცხენზედ, და წავიდნენ. ბაღი ორმოსთან გაჩერდა, ირმები და მშველებიც დადგნენ და ორმოს გარს შემოეხვივნენ.

ხემწიფის შვილს მოეგებნენ დედა და მამა და მიულოცეს ბედნიერება. გადიხადეს კარგი ქორწილი და გაჰცეს საბოძვარი. ქორწილი რო გათავდა, ქმარმა ჰკითხა ქალსა: ქალო, აქამდინ რო გაგეცინა—პირიდამ ვარდი გადმოგეშლებოდა, პირი დაგებანა—ოქროს ზოდები ჩაწვებოდა, გეტირნა—ცრემლის მაგიერ მარგალიტი გცვიოდაო; და ეხლა რაღა დაგემართა, ეხლა აღარც ერთი არ არისო. ქალმა ვერაფერი ვერ უთხრა.

თვალ დათხრილმა ანგელოზების ნათლულმა ქალმა იმოდენა იტირა ორმოში, რომ ორმო ნახევრამდის სულ ობოლი მარგალიტით აივსო. ამ დროს ერთ ბერიკაცს სახედრით წისქვილში საფქვავი მიჰქონდა და ამ ორმოს პირზედ გაიარა; ქალმა გაიგონა ფეხის ხმა და დაუძახა: მამაშვილობას, ამ ორმოდამ ამომიყვანე და რაც ამ ორმოში მარგალიტია, სულ შენ მოგცემო.—მოიცადე, შვილო, უთხრა ბერიკაცმა; ეხლა შინ წავალ, ჩემ ცოლსაც წამოვიყვან, საკიდრებსაც წამოვიღებთ და შენც წაგიყვანთო. წავიდა ბერიკაცი სახლში, წამოიყვანა ცოლი, წამოასხეს სახედრები, წამოიღეს საკიდრები და წამოვიდნენ. აავსეს საკიდრები მარგალიტით, ამოიყვანეს ქალი და წაიყვანეს სახლში. ბაღიც თან გაჰყვა ქალს და გაშენდა იმ სახლის წინ, სადაც ქალი მიიყვანეს, და ირმები და მშვლებიც გარს შემოეხვივნენ.

ქალმა უთხრა ბერიკაცსა: მამავ, წაიღე ერთი ყვავილი, ჩაატარე ქალაქზე და დაიძახე: ყვავილი თვალზედ გასაცვლელიო. წაიღო ბერიკაცმა ყვავილი, ჩაატარა ხემწიფის კარზედ და დაიძახა: ყვავილი თვალზე გასაცვლელიო.

გამოვიდა ბებერი და დაუძახა: მე მაქვს თვალი გასაცვლელი, აქ მოდით! ამოიღო ჯიბიდამ ანგელოზთ ნათლული ქალის თვალი ბებერმა და მიჰკა ბერიკაცს, ყვავილი გამოართო და წაუღო თავის ქალს: ეს ყვავილი პირში შეინახე და, რო გაიცინო, გადმოაგდე ქმართანაო. ჩაიდო პირში და რო გაიცინა, გადმოაგდო პირიდამ.—დახე, სიძევ, დახეო, დაუძახა სიდედრმა, თქვენი მეუღლე გამწყრალი ყოფილა, ეხლა შეგვირიგდა და პირიდამ ვარდი გადმოშალაო. ხემწიფის შვილს ძლიერ გაეხარდა. წამოიღო ბერიკაცმა თვალი და მიუტანა ანგელოზთ ნათლულ ქალსა. ქალმა გაიკეთა ეს მარცხენა თვალი, ამოიღო ნათლიისეული ხელსახოცი, მოისო თვალზე და აეხილა. უთხრა კიდევ ბერიკაცს: წადი, მამი, წაიღე კიდე ყვავილი და აატარე ისევ ხემწიფის კარებზედაო; მეორე თვალიც იმ ბებერსა აქვს, და ეგები გამოართვო. წაიღო ბერიკაცმა ყვავილი, ჩაატარა ხემწიფის კარებზედ და დაიძახა: ყვავილი თვალზედ გასაცვლელიო! დააყენა ბებერმა, მისცა თვალი, ყვავილი გამოართვა. წამოიღო ბერიკაცმა მეორე თვალიც და წამოვიდა; მოუტანა ქალსა. ქალმა გაიკეთა ის თვალიც, მოისო ხელსახოცი, და ორივე თვალი აეხილა.

ხემწიფის შვილმა დამტვრეული ჯვარი თეფშზე დადვა, აატარა სოფლებზე და დაიძახა: ვინც ამ ჯვარს გამიმთელებს, ჩემ ცხოვრებას სულ იმას დაუმტკიცებო. გაიგონა ქალმა ხემწიფის შვილის სიტყვები და უთხრა ბერიკაცსა: დაუძახე, მე გავამთელებ ჯვარსა-თქო. ბერიკაცი გამოვიდა და დაუძახა: აქ მოიტანე, ჩვენ გავამთელებთო! გამოართვეს ჯვარი და შეუტანეს ქალსა. ქალმა აიღო ხელში ჯვარი, დაიწერა პირჯვარი და სთქვა: რომელმაც ბალი და ირმები დამანათლა, იმ ნათლიის ძალით და მადლით, გევედრებით, ჯვარი გაამთელეთო. ჯვარს ერთი კუთხე გაუმთელდა, ახლა მეორე ნათლია ახსენა: რომელმაც დამანათლა: იბანებოდეს—და ნაბანში ოქრო იყინებოდესო, იცინოდეს—პირს ვარდი ეფინებოდეს, ტიროდეს—მარგალიტი ჰცვიოდესო, იმ ნათლიის ძალით და მადლით, გევედრებით, ეს ჯვარი გაამთელეთო. მართლა გაუმთელდა ჯვარს ახლა სხვა კუთხე. ახლა მესამე ნათლიას შეევედრა: რომელმაც ჯვარი დამანათლა, იმის მადლით და ძალით, თუ ეს ჯვარი ჩემი იყვეს, გამიმთელდესო. მართლაც გამთელდა ჯვარი. ხემწიფის შვილმა გაიგონა ქალის სიტყვები, ახადა ფარდასა და შავიდა სახლში ქალთან, მოეხვია თავის დაკარგულ ცოლსა და დაუწყო კოცნა: რად მიღალატე, შენ იყავ ჩემი ჯვარწერილი ცოლიო!—მე კი არ გიღალატე, შენც და მეც ჩემმა მამიდამ გვიღალატაო, მე თვალები დამთხარა, ორმოში ჩამაგდო, და შენ თავისი ქალი დაგისვა ცოლადაო. წავიდეთ ჩვენ სახლში, წამოდიო! უთხრა ვაჟმა. —არაო, უპასუხა ქალმა; მინამდის მამიდა ჩემი თავის ქალით იქ არის, მე არ წამოვალო. მოაბეს დედა და შვილი ცხენის კუდს ხემწიფის შვილის ბრძანებით და სულ ლუკმა-ლუკმად აქციეს. წაიყვანა ანგელოზთ ნათლული ქალი, ბალი და ირმებიც თან გაჰყვა, დაიწერეს ჯვარი და გადიხადეს დიდი და კარგი ქორწილი.

(ს. ვეჯინი, სიღნაღის მაზრა.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 40.—სამნი ძმანი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყვნენ სამნი ძმანი. ამ ორ ძმას უნდოდათ უმცროსი ძმის მოკვლა. მოსაკლავად კი ვერ გაიმეტეს და უთხრეს: გავკრათ მშვილდ-ისრები, ვინც ჩქარა მაიტანს, ის ყოჩაღი იქნებაო. გაჰკრეს ისრები და სულ გადაჰკარგეს. მერე საძებნელად წავიდნენ.

წავიდა პატარა ძმაც საძებნელად; ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მივიდა ერთ სახელმწიფოში; მივიდა ერთ ბებერთან და უთხრა: დამაყენე ამაღამაო. ბებერს ძალიან გაუხარდა, დააყენა. ბებერმა გამოჰკითხა ყველაფერი ამბავი: რა გაგჭირვებია, შვილო, რომ აქ მოხველიო? ვაჟმა უთხრა: მე მინდა, ცოლი შევირთოვო. მერე უთხრა ბებერმა: შვილო, აქ ერთი ტბა არის, ამ ტბაში საბანაოდ ჩამოდის სამი მტრედი, დიდი და პატარასი ერთი ფთა აილე. წავიდა ბიჭი, დაიცადა და, როდესაც მტრედები მოფრინდნენ, სულ პატარასი ერთი ფრთა აილო. ორი მტრედი და გაფრინდა. იმ პატარა მტრედმა დაუძახა: ვინა ხარ ქრისტიანი, გამამიჩინეო. ბიჭმა არ გამოუჩინა. მერე ქალმა დაუძახა: დათ გეკუთნოდეო! ბიჭმა დაუძახა: ცოლათაო. ქალი დათანხმდა. მერე გამოუჩინა. მერე წაიყვანა ქალი, გაუკეთა ანწლის ქოხი და შეიყვანა შიგა. მიდიოდა თვითონ ხელმწიფესთან, მუშაობდა და ისე აცხოვრებდა ცოლსა და თავის თავს.

ერთხელ იმ ვაჟმა უთხრა ხელმწიფეს: ერთი ოთახი მაქირავეო. ხელმწიფემ უთხრა: აი, შვილო, ეს ცხრა ოთახი, დადეგ, რომელშიაც გენებოსო. მიიყვანა ბიჭმა ცოლი და მეცხრე ოთახში დასვა. ვეზირებს ძალიან მოეწონათ ეს ქალი, რო ნახეს; მოახსენეს ხელმწიფეს: შენი ცოლი რა ცოლია, ცოლი—მაგ ვაჟისაა, უნდა ჰნახოვო!—როგორ თუ ჩემ ცოლსა ჰჯობიაო, გაჯავრდა ხელმწიფე. მაშ რა უყოთო? ჰკითხა ხელმწიფემ. ვეზირებმა უთხრეს: აგე ის ტყე მივცეთ და, თუ ერთ დღეს ვერ გადაკაფოს, წავართვათო. ხელმწიფემ დაიბარა ვაჟი და უთხრა: ის ტყე უნდა ერთ დღეს გადაჰკაფოვო; თუ ვერ გადაჰკაფე, შენი ცოლი მე დამრჩებაო. დაღონდა ეს ბიჭი და დაძმარებული წავიდა ცოლთან. ცოლმა ჰკითხა: რამ დაგაღონაო? ვაჟმა ყველაფერი უამბო. ცოლმა უთხრა: მოდი, შენ აქ დაწვე, და მე ვიციო. გავიდა ქალი კარში, გადიბრუნა ბეჭედი, და იმის დების ჯარი ერთ წამს სულ იქ მოვიდა. ქალმა უთხრა: ეგ ტყე სულ უნდა გადაჰკაფოთ და იმ ხელმწიფის ქალაქში უნდა დაწყოთო. იმათაც სულ გადაკაფეს და დააწყეს. საღამოზედ წამოიკიდა ბიჭმა ერთი გუდურა, მივიდა ხელმწიფესთან და უთხრა: ერთი ხელი ტანისამოსი უნდა მომცეო.—გამოუტანეთ, უბძანა ხელმწიფემ მოსამსახურეებს, და გამოუტანეს.

მეორედ კიდევ უთხრეს ხელმწიფეს: შენი ცოლი რა ცოლია, ცოლი—მაგისიაო; შენი ცოლი მაგის ცოლს ხელის დასაბანადაც არ ეკადრებაო.

ხემწიფემ უთხრა: მოდი, ეგ სანადიროდ წავიყვანოთ, წინ წავიმძღვაროთ და მოვკლათო, და მაშინ ყველაფერი მოხერხდებაო. — წამო, სანადიროდ უნდა წავიდეთო, უთხრეს იმ ბიჭსა. ბიჭი ცოლთან წავიდა და უთხრა: უნდა სანადიროდ გავყვე ხემწიფესაო. — საწყალო, შენ ცხენს წინ გაიგდებენ და მოგკლავენო, უთხრა ცოლმა. შენ ცხენს გაუკეთე ცხრა ალვირი, ცხრა ავშარა, თითო ფუთი უზანგო და ისე წაიყვანეო. ერთი ბეჭედი მიჰცა: როცა შენ ცხენს დაუშინონ, ბეჭედი შეაგდე მაღლა, იქცევა ოქროს ბურთად, და ხემწიფეს მიუტანეო. მართლაც ისე მოიქცა ბიჭი; რაღას იზამდნენ? მერე ხემწიფემ უთხრა. ეს მინდორი მოხანი, დაფარცხე, დათესე, მომკე, გალეწე, დაფქვი და ჩემ ქალაქში დააწყეო; თუ ამას არ ამისრულებ, მოგკლავო. — კარგიო, უთხრა ბიჭმა, თქვენი ნება არ არისო? და წამოვიდა შინ დაღონებული. ცოლმა ჰკითხა: რამ დაგაღონაო? ქმარმა უთხრა: რამ არ დამაღონა, ხემწიფემ მითხრა: ეს მინდორი უნდა მოჰხნა, დაჰთესო, დაჰფარცხო, მოჰმკო, გაჰლეწო, დაფქვა და ჩემ ქალაქში დააწყოვო. თუ ამას არ ავასრულებ, მომკლავსო. ცოლი გავიდა კარში, გადიბრუნა ბეჭედი, და მოვიდა იმის დების ჯარი. ქალმა უთხრა: ეს მინდორი სულ უნდა მოხნათ, დაჰთესოთ, დაჰფარცხოთ, გაჰლეწოთ, დაჰფქვათ და მერე ხემწიფის ქალაქში დააწყოთო. ის ჯარი ისე მოიქცა, როგორც ქალმა უბრძანა, ყველაფერი შეასრულეს. მეორე დღეს ვაჟმა აიკიდა ერთი ტომარა ფქვილი და მივიდა ხემწიფის კარებზედ. ხემწიფეს ძალიან გაუკვირდა და ველარაფერი ქნა.

ვეზირებმა ახლა კიდე უთხრეს ხემწიფეს: შენი ცოლი რა ცოლია, ცოლი აბა იმისიაო. ხემწიფეს უფრო ბრაზები მოუვიდა და თქვა: აბა, რა ვუყოთ; მოდი, ეხლა უთხრათ, რომ „არც შენ იცი და არც მე ვიცი" მოიტანეო. უთხრეს ბიჭსა, დაიბარეს: „არც შენ იცი და არც მე ვიცი" მოიტანე, თორემ მოგკლავთო. მოვიდა შინ უფრო შეწუხებული და დაღონებული. ცოლმა ჰკითხა: ხემწიფემ რა გითხრაო? — როგორ რაო, უპასუხა ქმარმა: „არც შენ იცი და არც მე ვიცი" უნდა მოიტანო, თორემ მოგკლავთო. გადიბრუნა ქალმა ბეჭედი, და იმის დის ჯარები სულ იქ მოვიდა. — ვინ იცით „არც შენ იცი და არც მე ვიცი" სად არისო? არავინ არ იცოდა. ბოლოს ერთი კოჭლი ბაყაყი მორბის; ქალმა ხელი დაუჭირა, და ბაყაყი ხელზედ შეახტა. ქალმა ჰკითხა: ხომ არ იცი, ბაყაყო, „არც შენ იცი და არც მე ვიცი" სად არის, მითხარიო. ბაყაყმა უთხრა: ამა და ამ ბებერმა იცისო და, თუ იმასთან მივიდა, ის ასწავლისო.

წავიდა ბიჭი იმ ბებერთან, მივიდა და ჰკითხა: „არც შენ იცი და არც მე ვიცი" ხომ არ იცი სად არისო? ბებერმა ერთი გორგალი მიჰცა, ერთი საყდარი დაანახვა ტყეში და უთხრა: გზაზედ ზღვა დაგხვდება, ეს გორგალი გადააგდე, წადი. ხიდად გექცევა, გახვალ, დაუჩოქებ გვერდს და დაუძახებ: „დაო, მიწამე! დაო, მიწამეო!" და კარი გაგეღებაო. წავიდა ბიჭი იმ საყდართან, გზაზედ ზღვა დახვდა, გადააგდო გორგალი, ექცა ხიდად, გავიდა, დაუჩოქა საყდარს და ერთ თვეს სულ იძახა: „დაო, მიწამე! დაო, მიწამეო!" ბოლოს კარები გაიღო, გამოვიდა ერთი ბერი და წაიყვანა ბიჭი საყდარში. საყდარში რო შევიდა, ბიჭს უცბათ შეეშინდა. ბერმა უთხრა:

ნუ გეშინიან, შვილო! მერე პური აჭამა. როდესაც გაისტუმრა, ტარუმბალა გაატანა და უთხრა ტარუმბალას, თუ ამისთვის თავი დაგინებებია, ვაი შენს დღესა! ტარუმბალა ისეთი რამ იყო, რო, რასაც კაცი ეტყოდა, ყველაფერს აუსრულებდა და არა ჩნდა კი.

წამოიღო და წავიდა ეს ბიჭი თავის ქვეყანაში. გზაზე შემოხვდა ერთ სომეხს, რომელსაც ერთი არღანი ეკიდა. ის ისეთი არღანი იყო, რო თუ კაცი გადააბრუნებდა, სულ ჯარი ამოდიოდა. ერთმანეთს გამარჯვება უთხრეს. მერე ერთმანეთს უთხრეს: მოდი, პური ვჭამოთო. დასხდნენ და დაუწყეს პურს ჭამა. ბიჭმა სთქვა: ტარუმბალ, წყალი მოგვართვიო! საიდგანღაც დაესხა წყალი, და ვერა ნახეს კი საიდამ.—ტარუმბალ, კარგი მოხრაკულები მოგვართვიო. მართლაც მოერთვათ. გაუკვირდა ამ სომეხს და უთხრა: მოდი გავცვალოთო. ბიჭმა ჰკითხა: შენმა არღანმა რაღა იცისო? სომეხმა უთხრა: საითაც გადავატრიალებ, სულ ჯარი ამოდისო. გაჰცვალეს. სომეხს ჰგონია, მე მომაქვს ის ტარუმბალაო. ეძებს ერთ გრილოს, რომ დაჯდეს, დაისვენოს. მივიდა ერთი ხის ქვეშ და ამბობს: ტარუმბალ, წყალი მომართვი! მაგრამ ტარუმბალა ბიჭს მიჰდევს. ამბობს სომეხი: ვაჰ, სომეხი რო ვარ, არა მკადრულობსო. გზაზედ ბიჭმა უთხრა ტარუმბალას: ტარუმბალ, ერთი ცივი ქათამი მომიტანეო, და მართლაც მოუვიდა მაშინვე.

რა დღესაც მივიდა ქალაქში ბიჭი, იმ დღეს წაუყვანია ხემწიფეს იმისი ცოლი და უნდა ჯვარი დაიწეროს. მივიდა ბიჭი და დაიძახა: ტარუმბალა, წყალიო; და დაუშო წყალი ციდამ; სულ წაალეკინა იქაურობა. გადააბრუნა არღანი, და ამოვიდა ჯარი; წაუსია ხემწიფეს და იმის ვეზირებს, დაჰჭრა თავები. ხემწიფეც თვითონ გახდა, სახელმწიფოც იმას დარჩა და თავისი ცოლიც.

ნამტკიცი ღმერთსა,
იმისი ნამტვრევი ჩვენცა.

(თელავი).

## 41. კუნძი მისა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი მოხუცი უშვილო ღარიბი ცოლ-ქმარი. ერთხელ ცოლმა უთხრა ქმარსა: წადი ტყეში, ფიჩხი მოიტანე, და მე კი, სანამ შენ მოხვალ, საჭამადს დაგახვედრებ მზასაო. წავიდა ბერიკაცი ტყეში; ერთ კუნძს შეჰხვდა; გლიჯა, გლიჯა, ვერ მოგლიჯა, დაანება თავი და წავიდა; იარა ტყეში, იხეტიალა, მაგრამ ვერაფერი იშოვა, ბოლოს ისევ იმ კუნძთან მივიდა. გლიჯა, გლიჯა და ვერ მოგლიჯა; დაანება თავი და წავიდა, შემოიარა ტყე, მაგრამ ვერაფერს შეჰხვდა, ბოლოს ისევ იმ კუნძს მიადგა, გლიჯა, გლიჯა, ამოგლიჯა, მოიდო ზურგზედ, მოიტანა შინ, ის დერეფანში დააგდო და თვითონ საჭამადის საჭმელად შევიდა. ბერიკაცმა პურს ჭამა დაუწყო; კუნძში თურმე ერთი მშვენიერი ვაჟი იჯდა, ბერიკაცს დაუძახა: მამილო, მარტოკა რო შე-

ექცევი განა მე არა მშიანო? გამოვიდა ბერიკაცი; ვაჟს გაეხადა კუნძი, და მშვენიერი მოსჩანდა; ბერიკაცი სიხარულით ფეხზედ ძლივს იდგა. შეიყვანა ვაჟი შინ და დასვა სუფრასთან. ვაჟმა უთხრა: მამილო, ის კუნძიც აქ შემოიტანეო. შემოიტანა ბერიკაცმა, და ვაჟმა ისევ ჩაიცო.

სამი დღე რო გავიდა, კუნძისძემ უთხრა მამას: მამილო, ხემწიფის ქალი უნდა მითხოვო! დაღონდა ბერიკაცი: ხემწიფე ჩვენ ქალს რად მოგვცემსო. მაინც წავიდა და ხემწიფეს მოახსენა: დიდებულო ხემწიფევ, კუნძისძე ქალსა გთხოვს ცოლად, და არ აძლევო?— რატო, მივცემ, თუ, რასაც ვეტყვი, ამისრულებსო. თუ აქედან თქვენ სახლამდის ისეთ ხეხილს ააშენებს, რომ რიგისა ყვაოდეს და რიგისა მწიფდებოდეს, მივცემ ჩემ ქალსაო. მოვიდა ბერიკაცი დაღონებული.—მამავ, რას დაღონებულხარო? ჰკითხა კუნძისძემ. —როგორ არ ვიყვე დაღონებული, შვილო, ხემწიფემ ეს შამიკვეთაო.—რას დაჰღონებულხარო, უთხრა ბერიკაცს კუნძისძემ, წადი, მამი, რაც ხეხილებია, ყველას წვერები დაამტვრიე, მერე წაიღე და ჩვენი სახლიდამ ხემწიფის სახლამდი ჩაურიგე და უკან კი არ მოიხედოვო, და ხემწიფის შენაკვეთი ასრულდებაო. როგორც კუნძისძემ უთხრა, ბერიკაცმა ისე ქნა; ბოლოს რო გაათავა, მოიხედა, და მშვენიერი ხეხილი მოსულიყო, ზოგი ყვაოდა, ზოგი კვახე იყო, ზოგი მწიფდა და ზოგიც ჩამოდიოდა. მოვიდა ხემწიფე, დახედა, ეცემ იმ გზაზედ ისეთი ბაღი აშენდა, რომ სამოთხეს დაემჯობინა; გაუკვირდა, მაგრამ ბერიკაცს კიდე შეუკვეთა: თუ აქედამ თქვენ სახლამდის სულ ხალიჩას დაჰფენს, მივცემ ქალს; და თუ ვერა და—არ მივცემო.

მოვიდა ბერიკაცი დაღონებული.—მამი, რას დაუღონებიხარო? ჰკითხა შვილმა.—რამ არ დამაღონა, შვილო, ხემწიფემ შამოგვიკვეთა, თუ ჩემი სახლიდამ შენ სახლამდი ხალიჩას დაჰფენ, მოგცემ ქალსა, და თუ არ დაჰფენ, არ მოგცემო.—არა უშავს-რაო, უთხრა კუნძისძემ, წადი და, სადაც რამე ძველი ან ტანისამოსი ან ქუდი და მაგისთანა ეგდოს, იმ გზაზედ დაყარე და თავს ნუ მაიბრუნებ, სანამ ნაპირ არ გახვალო. წავიდა ბერიკაცი, ზოგი ხალიჩის ნაგლეჯი იპოვა, ზოგი ფარდაგისა, ზოგი ძველი წინდა, ძველი ტანსაცმელი და დაყარა გზაზედ. როდესაც ნაპირში გავიდა, მოიხედა და ნახა, რომ გზა მთლად ხალიჩით მიეფენილო; ძალიან იამა და მივიდა ხემწიფესთან მოსახსენებლად; ხემწიფემ ნახა, სწორეთ მეფეთ საკადრი გზა იყო, მაგრამ კიდევ უთხრა: კარგი არის, მაგრამ სანამ თქვენი სახლიდამ ჩემ სასახლემდე ღვინის რუ არ მივა, არ მივცემ ჩემ ქალსაო. ბერიკაცი ისევ დაღონებული მივიდა სახლში.—რამ დაგაღონა, მამი, რა არისო? ჰკითხა კუნძისძემ.—რამ არ დამაღონა, შვილო, ხემწიფემ შემოგვიკვეთა, თუ ჩემი ქალი გინდა, შენი სახლიდამ ჩემ სახლამდის ღვინის რუ გამოიყვანეო. კუნძისძემ უთხრა: წადი, ერთი ჯოხი გაატარე ხემწიფის სახლამდის, და მოვარდება რუ. წავიდა ბერიკაცი, გაატარა ჯოხი, და მოვარდა ღვინის რუ. ნახა ხემწიფემ და ველარაფერი მოუგონა; წადიო, უთხრა, და მოდით ამალით და წაიყვანეთ ჩემი ქალიო. წავიდა ბერიკაცი და უთხრა კუნძისძეს. კუნძისძემ უთხრა: წადი, მამი, და, სადაც ეს კუნძი მოჰგლიჯე, იქ ჩაჰძახე: ამოდი, ლურჯო კაცო, ლურჯო ცხენო, წითელო კაცო, წითელო ცხენო,

კაცნო და ცხენნო ყველანაირნო, ამოდითო; შენ კი შორს დადეგ, ცხენებმა არ გაგქელიტონო. მივიდა ბერიკაცი და ჩაჰძახა, რაც კუნძისძემ უთხრა, გამობრუნდა და მოვიდა შინ. ამოვიდა უთვალავი ცხენოსანი ჯარი და მიდგა კუნძისძის კარებზედ. მერე წაიყვანეს სანეფო და წავიდნენ ხემწიფესთან, დაიწერეს ჯვარი, იქორწილეს და წამოიყვანეს ქალიც. კუნძისძეს ტანზედ კუნძი აცვია, ცალკე ხემწიფის მხლებლები დაჰცინიან და ცალკე ცოლი ტირის. შინ რო მოვიდა, გაიძრო კუნძისძემ კუნძი, და გამოჩნდა მშვენიერი ვაჟი. ქალს საშინლად გაუხარდა.

კუნძის ბიძამ შეუთვალა ხემწიფის ჯარს, წამოდით, ვინადიროთო. ბევრი იარეს, ბევრი იტანჯნენ, მაგრამ ვერაფერს შეჰხვდნენ; გაიძრო ჩუმად კუნძი ვაჟმა, იცვალა ფერი და დადგა დაბლა ქუდი,—მოვიდა ნადირი, მოვიდა, რომ სულ აივსო ის არემარე. ვაჟმა უთხრა ხემწიფის მხლებლებს: ეგ ხანჯლები შამოიხსენით, მე მომეცით და მერე, რამდენიც გინდათ, მოკალითო შამოიხსნეს იმათაც ხანჯლები და მიჰცეს კუნძიძეს. ვისაც რა უნდოდა, ის ნადირი მოკლა, ზოგმა შველი, ზოგმა მგელი, ზოგმა დათვი, ზოგმა ირემი, აივსო ხალხი ნადირით და ნანადირევით. გამარჯვებულები მივიდნენ შინა. კუნძიძემაც გაიცვა ისევ კუნძი და ისე არის დაჰცინიან კუნძიძეს: სწორეთ ისეთი ვაჟი არა ხარ, ქუდი რო დადო, და მთელი ტყის ნადირი იქ მოვიდაო.

კუნძისძეს იმათ ხანჯლები შენახული აქვს. კუნძისძემ შეუთვალა კიდევ ხემწიფეს: მხლებლები გამომიგზავნე, უნდა ვანადიროთო! გამოუგზავნა ხემწიფემაც. წავიდნენ კიდევ სანადიროდ, იარეს ბევრი, იარეს, მაგრამ ვერსად რა მოკლეს. ბოლოს გაიძრო კუნძისძემ კუნძი, დადო ქუდი და დაიძახა. მოვიდა ნადირი, მოვიდა, აივსო იქაურობა ტყის ნადირით. კუნძისძემ უთხრა ხემწიფის მხლებლებს: შამოიხსენით ქამრები, მე მომეცით და მერე დახოცეთ ნადირიო. მიჰცეს ქამრები და დახოცეს ნადირი. დაბრუნდნენ სახლში გამარჯვებულები. კუნძიძეს აჯავრებდნენ: სწორეთ იმას არა ჰგევხარ, ქუდი რო დადო, დაიძახა, და ნადირი მოსქდაო და მოზვავდაო! გაიპატიჟა ახლა მესამედ კუნძიძემ ხემწიფის მხლებლები. მესამედ ყურის ბიბილოები დააჭრა და შეინახა. მოვიდნენ სახლში, დაჰცინიან კუნძიძეს. კუნძიძემ ამოიღო ხანჯლები, ქამრები, ყურის ბიბილოები და აჩვენა: ვისია ესენი, ან თქვენ ვინა ხართო? გაოცდნენ ხემწიფის მხლებლები და გაწბილებულები დაბრუნდნენ სახლში.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 42.—ეთერი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა,
იყო შაშვი მგალობელი,
ღმერთი ჩვენი მწყალობელი,

იყო ერთი უშვილო ცოლ-ქმარი. უშვილოდ გადაგებას აპირობდნენ, რომ ცოლს არ აენიჟა ქმრისათვის: წადი მკითხავთან, აკითხვინე, გაიგე, რა მიზეზით არა გვყავს შვილი, იქნება წამალი იცოდეს რამ, იქნება გასწავლოს, და გვეშველოსო. წავიდა კაცი მკითხავთან და აკითხვინა. მკითხავმა სამი ვაშლი მიჰცა და თანაც დაარიგა: წაიღე ეგ ვაშლები, როდესაც მოჰშივდეს ეგ ორი ვაშლი მიეც შენ ცოლს, შეჭამოს; ერთიც რო მოჰწყურდეს, მაშინ შეჭამოსო, და შვილი გეყოლებათო. გზაზედ კაცს მოჰშივდა, ველარ გაძლო და შეჭამა ორი ვაშლი, მოჰწყურდა წყალი და შეჭამა მესამეცა. ვაშლები შეჭამა თუ არა, კაცს კანჭში ქალი ჩაესახა, მოიჭრა კანჭი კაცმა და გადააგდო გზაზედ. გაიგო სუნზე ორბმა, მოფრინდა, დაჰყოყინა, დაჰყოყინა კანჭს, ჩაჰჭიდა ბრჭყალები და წაიღო თავის ბუდეში, ერთი მაღალი ხის წვეროზედ. გაჩნდა ქალი. უვლის ორბი, უზიდავს საჭმელს. წავიდოდა ორბი, დაივლიდა მთელს ქვეყანას, მოჰძებნიდა, იპოვიდა, სადაც კარგი საჭმელი იქნებოდა, და მოუტანდა ქალსა. ქალი დღით იზრდებოდა; ისეთი ლამაზი იყო, ისეთი ლამაზი, რომ იმაზედ მშვენიერი ამომავალი მზეც აღარ იქნებოდა. იმ ადგილში ერთი ხემწიფის შვილი იყო, სახელათ აბესალომი; იმ ადგილებში, სადაც ხე იდგა, სანადიროდ იარებოდა, შენიშნა ხეზედ ქალი და ჩაუვარდა იმისი სიყვარული გულში; მიდიოდა ყოველ დღე ხესთან და ესიყვარულებოდა შორით. აბესალომს ერთი ყმა ჰყვანდა, სახელად მურმანი. ერთხელ აბესალომმა, ყელ-მოღერებული ეთერი რო დაინახა, ველარ გაძლო და დაუძახა ეთერს:

ჩამოდი, ეთერო, ძირსა,
მანდ რას უზიხარ ხესა,
ჩამოდი, ცოლად გამომყევ,
მანდ ნუ იღერებ ყელსა!

— არა, უპასუხა ეთერმა, მე შენ ცოლად რას გამოგადგებიო.

მდიდარი ხარ, მდიდრის შვილი,
დედ-მამითა ხარ ქებული;
მე ობოლი, ობლის შვილი,
ობლობით ვარ დაჩაგრული,
კაცის კანჭში ჩასახული,
შორის პირსა ნაგდებიო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორბის კლანჭით აღებული,
ხის კენწერსა გარდილიო.
შენ შენი ჰქნა და წახვიდე,
გამიშვა წყალ-წაღებული!

აბესალომმა ღვთის ფიცი მიჰცა,—არ გიღალატებო:

ზევიდან ღმერთი ცეცხლსა ჰყრის,
ქვეშ აბესალომ უდგება,
ეთერო, შენსა ამ ღალატს
ღვთის მეტი ვინ შეუდგება,
ომში ხმალ ამოღებულსა
აბჯარიმც ჩამომიწყდება,
წყალი უწყლოსა ალაგსა,
ზღვა იყოს, ამამიშრება,
შვიდის წლის გზასა მავალსა
საგძალი წამომიწყდება.
მუხლებზე ნადები თოფი
უბეშიმც დამიბრუნდება.

დაიჯერა ეთერმაც აბესალომის ფიცი, დაჰთანხმდა ცოლობაზედ, აბესალომმა ნიშნად ფიცს ერთი შავტარიანი დანა მიაყოლა, შეისვა ცხენზედ და წაიყვანა სახლში. მურმანი წინ გაგზავნა თავის და მარეხთან და შეუთვალა: ცოლი მომყავს, ოქროს თავმოსხნიანი ეთერი, და საქორწილოდ ტანისამოსი მოგვიმზადეო. მიიყვანეს ეთერი შინა, ჩააცვეს ტანისამოსი, დასწერა აბესალომმა წიგნები და კომლზე კაცი დაიბარა თავის სახემწიფოდან; გაგზავნა მურმანი საპატიჟოთ, გაატანა წერილები. მიდის მურმანი გზაზედ, შეჰყრია ეთერის სიყვარული და ჰკლავს იმისი სურვილი.—ვინ არის კაცი ისეთი, რომ იმოდენა შეჰძლოს, ეთერი აბესალომს შეაძულოს და მე ჩამიგდოს ხელშიო! ჰფიქრობს თავისთვის მურმანი. შამოჰხვდება წინ ეშმაკი მურმანს და ჰკითხავს: სად მიჰდიხარ, ან მანგრე რას დაღონებიხარო? მურმანმა თავის ამბავი უამბო. ეშმაკმა უთხრა: შორს რად ივლი, წამალს მე გასწავლიო, ისეთ წამალსაო, რომ აბესალომმა ეთერი თავის ხელით შენ მოგცესო; წამალს გასწავლი, თუ შენ სულს მე მომცემო!—ოღონდ ეთერი ჩემი გახდეს, და სულს როგორ დავზოგავო, უთხრა მურმანმა.—მაშ ქაღალდი დამიწერეო, უპასუხა ეშმაკმა, რომ შენს პირს აღარ გადახვალ, და მერე გასწავლი წამალსაო. დაუწერა მურმანმა ქაღალდი და მიჰცა ეშმაკს. ეშმაკმა უთხრა: ჯვარს რო დაიწერენ ეთერი და აბესალომი, ეთერს ჩუმად ერთი მუქა ფეტვი ხელუკუღმა, შეაყარე, ეთერს მკბენარი შაეხვევა და, რამდენიც უნდა აცალონ, ველარ მოაცლიანო, სანამ შენი ხელი არ მოჰხვდებაო. წავიდა გახარებული ეშმაკი თავის ბუნაგში, და სულ-გაყიდული მურმანი სახლში დაბრუნდა. ჯვარი რო დაიწერეს ეთერმა და აბესალომმა და გამოდიოდნენ ეკკლესიიდან, მურმანმა ქალს ერთი მუქა ფეტვი შეაყარა, შაეხვია მკბენარი ეთერს;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალიან, მაგრამ უფრო მეტი ეხვევა. შეჰწუხდა აბესალომი, გამოიყვანა ეთერი ხალხში და საჯაროდ დაიძახა:

ორშაბათს შაყრილ მიჯნურნი
სამშაბათს გავიყარენით;
ვისაც რო შაყრა გეწყინათ,
გავყრილვართ, გაიხარენით.
ვის გინდათ ქალი ეთერი,
მე ნადირობას მივალო? *)

აუსრულდა მურმანს გულის წადილი, გახარებულმა ჩოქით სალამი მიჰცა აბესალომს და შეჰღაღადა:

უბოძე შენსა მურმანსა,
შენი ერთგული ყმა ვარო.

აილო აბესალომმა ეთერი და მიჰცა მურმანს. რაკი მურმანმა ხელი მოჰკიდა, ეთერს მკბენარი მოჰშორდა იმ წამსვე, წაიყვანა და დაისვა ცოლად. ეთერის სურვილი ცეცხლად მოედო აბესალომს, შეჰხვდა მურმანს, ველარ მოითმინა და ეთერის ამბავი ჰკითხა:

მურმან, მურმან, შენსა მზესა,
ეთერი როგორ რამეა?

მურმანმა უპასუხა:

რას ჰკითხულობ, ცათა სწორო?
ცოლის ქება აუგია;
შენც გინახამს ბროლის ციხე,
როგორ ცამდის მაღალია;
შიგა ზის ქალი ეთერი,
ყელი მოუღერებია;
წელი წვრილი, ბეჭი ფართე,
თეძოს თავი დაბალია,
შუბლი წვრილი, წარბი ბრტყელი,**)
საფეთქელი მწყაზარია,
ცხვირი სტვირი, კბილი მძივი,
ბაგე ხახვის ფურცელია;
ცხრანი მულნი გვერდს უსხედან,
ყველა პირის ფარეშია;
დედამთილი უკან უზის,
გიშრის დალალის მწვნელია; ***)

---

*) ვარიანტი:—ვის გინდათ ქალი ეთერი, ოქროს თავ მოსნიანიო?
— მე მინდა ქალი ეთერი, ოქროს თავ მოსნიანიო!

**) ვარიანტი: შუბლი ბრტყელი, წარბი წვრილი.

***) ვარიანტი: მოუქნელი მათრახია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრა მაზლი კარებს ადგანან—
ღალესილი ალმასია,
მამამთილი ერდოზე წევს,
გველამაპის მყლაპავია.

ამის გამგონე აბესალომ ეთერის სიყვარულით უფრო შეჰწუხდა და ავად გახდა. მოინდომა მურმანის დაშორება და ეთერის ისევ ხელში ჩაგდება; დაიბარა მურმანი და უბრძანა: წადი, უკვდავების წყალი მომიტანე, ეგები კარგად გავხდეო. მურმანი გულში შეფიქრიანდა: ჩემთან ფარსაგი არ არისო. გამოჰთხოვა ცხრა დღის ვადა აბესალომს და წავიდა ეთერთან გამოსათხოვებლად. ეთერს უთხრა:

ამალამ კი ჩამიტოლე,
ქალო, მკერდსა ბროლისასა;
ქალო, ალგეთსა მგზავნიან,
პირსა ალგეთის მთისასა;
სურვილისა ქვას ისვრიან,
მონატრესა ლოდისასა;
ვაიმე, თავს გაგვიტეხენ,
უზარელსა ლომისასა.
ნუ შეიხვევ ავსა კაცსა,
ნურცა ავის გვარისასა,
წავა სწორში დაიკვეხებს,
ხვევნას ვიყავ მთვარისასა!

ეთერმა უპასუხა:

გავიხდი გამხა ატლასსა,
ჩავიცვამ ბამბა-ბუმბასა,
ავიღებ კოკა, კუტალსა,
წყალს შემოვიტან მდინარსა,
არც შევალ შენის ძმისასა,
არც შენის მეზობლისასა,
თუ შევალ, ასრე გამოვალ,
როგორც და თავის ძმისასა.

ის ღამე მურმანმა ეთერთან გაატარა:

ამაღამდელო ღამეო,
ნუმც გაჰთენდები მალეო,
ვეხვევი ბროლისა მკერდსა,
ველარ ვიშოვი ხვალეო!

მეორე დღეს დედას და დას ძალიან შეეხვეწა მურმანი: გაუფრთხილდით ეთერსა, ნიავსა და მზის სხივსაც ნუ მიუშვებთ იმასთანაო.

აბესალომი საშინლად ავად გახდა, კვდებოდა, იმისი წამალი აღარსად იყო. გამოვა აბესალომის და მარეხი, წავა სოფელში და ჩივის: ძმა მიკვდება,

მიშველეთ რამე, უწამლეთ ჩემსა ძმასაო. — იქნება ეთერის სურვილი ჰკლავდესო, უთხრეს მარეხს, შეიტანე, დაუწყე ტახტზე ტრედის ფთა, გამტკიცული პური, წითელი ღვინო და ყორნის ფთაო. შეიტანა მარეხმა ყველა ესა და დაუწყო ტახტზე. მობრუნდა აბესალომი, აიღო ტრედის ფრთა ხელში და უთხრა: ტრედის ფრთავ, თეთრი ხარ, მაგრამ ეთერისთანა კი ვერა ხარო! აიღო ახლა გამტკიცული პური, და უთხრა: პურო, გამტკიცული ხარ, მაგრამ ეთერის სახისთანა კი ვერა ხარო! აიღო წითელი ღვინო და უთხრა: წითელო ღვინოვ, წითელი ხარ, მაგრამ ეთერის ლოყებივით კი ვერაო! ბოლოს ყორნის ბოლო აიღო და სთქვა: შავი ხარ, შავი, ყორნის ბოლოვ, მაგრამ ეთერის თვალწარბისთანა კი ვერაო. მარეხს უთხრა:

ადე, მარეხო-მასკვლავო,
ეთერსა კარსა უარე;
თუ გკითხოს ჩემი ამბავი,
დაჯექ და წვრილად უამბე!

წავიდა მარეხი ეთერის მოსაყვანად... ეთერი დედამთილს გამოეპარვიყო, აბესალომის ავადობა რო გაეგო; შავიდა აბესალომის ბაღში, ერთი ჭანდრის ქვეშ დაჯდა და დაიწყო ტირილი; ბევრი იტირა, დაიღალა და დაეძინა. მოვიდა მარეხიც და, რო დაინახა მძინარი ეთერი, დაუძახა:

მე ბანი-ბან დაგეძებდი,
შენ ბაღჩის ბოლოს გეძინა,
ოქროსა ღილი გაგეხსნა,
ბროლისა მკერდი გეჩინა,
ეგ შენი შავი დალალი
მორევისავით გეფინა.

ეთერს მაინც ვერ გააგონა, მეორედ დაჰძახა:

ეთერო, შამოვიარე
იმ შენის ციხის არესა,
გადმოვიხედე, ავტირდი,
ლოგინი გიგავ მთვარესა!
ეს გაზაფხულიც მოვიდა,
მარტი, აპრილი, მაისი,
ადე, ეთერო გამომყე.
შენ მამირჩინე ძმა ისი.
ავილებ ბარსა, ნიჩაფსა,
დავხვეტავ გზასა ხვინჭასა,
ზედ მარმარილოს დაგიფენ,
ფეხი არ დაჰკრა ქვიშასა!
ისეთს სასახლეს აგიგებ,
სულ მარმალილოს ქვისასა;
შიგა შიგ ფიცარს ჩაუყრი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბანოურის ხისასა;
წინ სარჩდილობელს მოვიყვან,
მაღალსა ალვის ხისასა;
ზედ ყაჭ-აბრეშუმს გადმოვფენ,
საჩრდილობელსა მზისასა;
შიგ ხალიჩეებს დავიფენ,
ნაქსოვსა ფერადისასა!

ეთერი გაჰყვა: ნეტავი ჩემის ნახვით კი მოგირჩეს ძმა, და როგორ არ წამოვალო. წავიდნენ და მივიდნენ აბესალომის კარსა. ქალმა რო ბანზედ შედგა ფეხი, აბესალომი სულს ებრძოდა, იცნო კიდე ეთერის ფეხის ხმა, წამოიწია და დაიძახა:

ეთერი ბანზე შემოდგა,
ბანი და კარი შაინძრა;
ბანიდამ ჩამოიხედა,
სულში ნათელი ჩამიდგა!
წამწამსა და წამწამს შუა
ბალი გამიშენებია,
ეთერის მობრძანებისთვის,
მადლი მამიხსენებია!
ეთერი ტყვილა გარჯილა,
ვარ სიკვდილის მავალი;
უფალსა უბრძანებია:
გზა ვიწრო, მარტოდ სავალი.

მოვიდა მარეხი და ახარა აბესალომს:

ძმაო, მოვიდა ეთერი,
თუ თვალებში გაქვს ნათელი!

აბესალომმა უთხრა:

თუ მოვა, აქაც შამოვა,
ცოტა აქვს შამოსავალი.
— ეთერსა ცხენი არ უნდა,
არსად არ არის წამსვლელიო,

უპასუხა ეთერმა. ჩავიდა ეთერი, კარებთან რო მივიდა, ყმაწვილი გადაბრუნდა, პირი კედლისაკენა ქნა, მივიდა ეთერი და უთხრა:

შენ ყმაწვილო ბესიაო,
პირი კედელს გიქნიაო,
გადმობრუნდი, გენაცვალე,
ჩემი არა ბრალიაო!

გადმობრუნდა აბესალომი და იმ წამს სული დალია. ეთერიც მივიდა და დაეკონა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბესალომის დანაო, *)
ჯიბეს მიდევხარ განაო,
ამოგიღებ და დაგიცემ
მარჯვენას ძუძუსთანაო;
პირი ჩემკენ, ტარი შენკენ:
მეც დაგაკვდები თანაო.
ერთადამც დავიხოცებით,
ერთადამც დაგვმარხვიანო,
გზის ძირსამც დაგვალირებენ,
გზის თავსამც დაგვმარხვიანო,
მიწასაც მოგვალირებენ,
ფოთოლთამც მოგვაყრიანო!
თავს ვარდი ამოსულიყვეს,
დილის ნიავი ჰშლიდესო,
ზედ მოდიოდნენ ჩიტები,
ბუდობდენ, ბარტყებს ზრდიდესო;
ზედ ნარი ამოსულიყოს,
ვირი საძოვრად ვიდესო;
ფეხთითა წყარომც გამოვა,
შიგ ოქროს თასი ვიდესო;
ყველა მუშა და მაშვრალი,
ყველა ჩვენ დაგვნატრიდესო!
დაშლევდეს ამვლელ-ჩამვლელი,
შენდობას შეუთვლიდესო:
რა კარგნი რამ დახოცილან,
ისევამც ადგებიანო!

წამომდგარა ეშმაკი და უთქვამს:

ადგომა წესი არ არის,
სულითამც ცხონდებიანო! **)

* * *

აბესალომ და ეთერი
ღმერთმა შეჰყარა ერთფერი!

მოვიდა მურმანი, ნახა ეთერის და აბესალომის საფლავი, გაითხარა საფლავი და ისიც იმათ შუაში ჩაწვა. იმაზე ნარი ამოვიდა, აბესალომზედა და ეთერზედ ვარდი და ია. გადიხრებიან ვარდი და ია ერთმანეთის მოსახვე-

---

*) ვარიანტი: მოყვრისეული დანაო.

**) მას შემდეგ მკვდრეთით ადარავინა სდგებაო. ვინც მოკვდება, წავა და დაიკარგებაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვად, მაგრამ ქალი სდგას და უშლის, მურმანის ფეხთით ლეკვები ამოძვრებიან ხოლმე და დილა საღამოს ყმუვიან...

ქირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

—

კარგი სიტყვა, კარგი მთქმელი,
კარგი ღვინო, კარგი მსმელი. (ს. ვეჯინი, სიღნაღის მაზრა).

## 43—ზღაპარი ორი ძმისა, ერთი რო ჭკვიანი იყო და მეორე გიჟი.

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყვნენ ორნი ძმანი, ერთი გიჟი და მეორე ჭკვიანი. გიჟი ძმა არაფერს არ აკეთებდა, მარტო სჭამდა; ჭკვიანს შემოჰქონდა, და იმას კი გაჰქონდა. უთმინა ჭკვიანმა, უთმინა, ველარ მოუთმინა, ადგა და გაეყარა. გიჟს ერთი ვირი ერგო. წაიყვანა გიჟმა თავისი ვირი და წავიდა. ერთ ტყეში ერთ კლდეს შეჰხვდა. მიიყვანა ვირი იმ კლდესთან და ეუბნება კლდესა: ვირი არ გინდა მოგყიდოვო? კლდე აბა რა ხმას გაჰსცემს! თვითონვე იტყვის გიჟი: მამყიდეო. —როდის მოვიდე, ან რამდენს მომცემო? ჰკითხავს კიდე კლდეს. კლდე პასუხს არ აძლევს. მერე თვითონვე იტყვის გიჟი: ხვალ მოდი და ხუთ მანეთს მოგცემო. ეტყვის და წავა გიჟი.

მეორე დღეს ადრიან წამოვიდა კლდესთან გიჟი; დაინახა, რომ მგლები დაჰხვევნიან ვირსა და ჰჭამენ. სთქვა: ეჰ, თავადიშვილობა დაუპატიჟნია კლდეს, იმათ უმასპინძლდება, და ხუთი მანეთი როგორა ვთხოვო ეხლა, სირცხვილია, როგორ შევარცხვინოვო. გამობრუნდება და წამოვა. მოვა შინ ძმასთან ცარიელი. ძმა, რო დაინახავს, ეტყვის: აკი გითხარ, ძმაო, რომ მაგ ვირს ნუ წაიყვან, თორემ დაჰკარგავო.—ეჰ, შენ რა იცი, გაუწყრა გიჟი, ხუთ მანეთათ მყავნდა გაყიდული, დღეს გვქონდა პირობა; მიველ, ვნახე, თავადიშვილობა ლაიპატიჟნა, ველარ შავარცხვინე და წამოველო; იმათთან ხუთი მანეთი როგორ მეთხოვნაო.

მესამე დღე რო გათენდა, წავიდა გიჟი კიდე კლდესთან, მივიდა და ნახა, რომ ვირს კაჭკაჭები და ყვავები დაჰხვევიან და ჰწიწკნიან.—ეჰ, ეხლა გლეხკაცობა დაუპატიჟნია და იმათ უმასპინძლდებაო, სთქვა გიჟმა, ან ეხლა როგორ შევარცხვინოვო, და დაბრუნდა ისევ ცარიელი შინ. ძმამა ჰკითხა: ფული მაიტანეო?—არ მომიტანია; გლეხკაცობა ჰყავნდა დაპატიჟებული, ველარ შევაწუხე და წამოველო.

მეოთხე დღე რო გათენდა, გიჟი ისევ კლდესთან წავიდა; ნახა, რომ იმის ვირისა მარტო დახრული თეთრი ძვლები-ღა ყრია.—მამეცი ჩემი ხუთი

მანეთიო! დაუწყო კლდეს. არ მომცემო? ეტყვის კიდე.—არ მოგცემო, იტყვის თვითონვე. აიღო გიჟმა ერთი დიდი ქვა და დაჰცხო კლდესა,—არც ახლა მომცემო? კლდიდამ ერთი ქოცო გადმოგორდა, სულ თეთრი ფულით სავსე. აიღო გიჟმა თავისი ხუთი მანეთი და წავიდა შინ. ძმამ ჰკითხა: აბა ფული მოიტანეო?—მოვიტანეო! უპასუხა გიჟმა, ერთი ქვა დავცხე კლდეს, ერთი ქოცო ფული გადმოვარდა, და იქიდამ ავიღე ხუთი მანეთი და წამოველო.

ადგა ჭკვიანი ძმა, წაიყვანა გიჟი ძმაც თანა, წაიყვანა ხარი და წაიღო თან ხორბალი. მივიდნენ, აჰკიდეს ხარს ფული და წამოვიდნენ. გზაზედ ერთი მღვდელი შეჰხვდათ. ჭკვიანმა უთხრა გიჟ ძმას: მოკალი ეგ მღვდელიო! გიჟმა მართლა მოკლა. მოდიან გზაზედ, და ჭკვიანი ამოიღებს თითო მუჭა ხორბალს და შეისვრის ცაში, ეტყვის ძმას: უყურე, ხორბლის წვიმა მოდისო. სახლში მივიდნენ. სოფლობა იყო, მღვდელი მოიკითხეს, ალარსად მღვდელი; გიჟი ეუბნება, მე მოვკალიო.—რა დამესო? ჰკითხეს.—პური რო ჰწვიმდაო.—რას ამბობს ეგ ოხერი, პური როდისა ჰწვიმდაო. გაჯავრდა ხალხი, სიტყვა ალარ დაუჯერეს. მერე ჰკითხეს: სად მოჰკალიო? გვაჩვენეო!

წავიდნენ, გაუძღვა გიჟი. წყალში იხა ეაინახა, ხალხსა ჰკითხავს: თქვენ მღვდელს რქები ჰქონდაო? წვერებიჰქონდაო? თვალები ქონდაო? აი თქვენი მღვდელიო. ხალხმა ყელო აფერი უთხრა. გიჟი გაჯავრდა: მაშ რაღასა მკითხავდიო!

ბებერი რო დაბერდება,
საქათმეში ჩავარდება,
კვერცხი რო არ დაუხვდება,
მოჰკურცხლავს და გავარდება.

## 44—მზეთუნახი ქალისა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ხემწიფე. იმ ხემწიფეს ერთი მზეთუნახავი ქალი ჰყვანდა, ცხრა კლიტულში ეჯდა. ერთხელ ხემწიფე სანადიროდ წავიდა და ქალის ბეჭედი თან გაიყოლა, ვერ გაიგო. ხემწიფეს ერთი ტერტერა შეჰხვდა ხემწიფემა სთქვა: ეს ბეჭედი რო თან წავიღო, ვაი თუ დამეკარგოსო; აიღო და იმ ტერტერას გაატანა: ეგ ბეჭედი ჩემ ქალს მიუტანეო. წაიღო ტერტერამ ბეჭედი, მიიტანა ხემწიფის კარებზედ და უთხრა კარის კაცებს: ხემწიფემ თავის ქალთან ბეჭედი გამომატანა, და არ შაიძლება, რო კარში გამობძანდესო? გამოვიდა ქალი ბალკონზედ, ტერტერამ უთხრა: მამაშენმა ბეჭედი გამომატანა და კაი სიტყვებიც დამაბარა; არ შეიძლება მანდ ამოვიდეო?—რატო, უთხრა ქალმა. ავიდა ტერტერა. ქალმა შეიპატიჟა. ტერტერა მოუყვა რაღაცა ტყუილებს და ბოლოს თავი ჰთხოვა. ქალი ძალიან გაუჯავრდა. ტერტერამ კიდე გაუკრ-გამოუკრა სიტყვა და კიდე თავი სთხოვა. ქალი კიდე გაუჯავრდა; სხვებს კი არ

გააგებინა, არ უნდოდა სხვებს გაეგოთ. მესამედ რო ჰთხოვა თავი, ქალმა უთხრა: რატომ არ იქნებით, წამო, მამაჩემის საბძანებელს დაგანახვებო და მერე შენი ვიქნებიო. გაიყვანა ბალკონზედ, აუწია ფეხები და გადააგდო. ტერტერა თავდაყირა მიწაზედ დაეცა. ბოლოს, როგორც იყო, ადგა და წავიდა. გზაზედ შეეყარა ხემწიფე, და უთხრა: აქამდის სად იყავიო? ტერტერამ უთხრა: ეს სამი დღეა შენ ქალთან ვიყავი და ეხლა წამოველო. ხემწიფემ ტერტერას კი არაფერი უყო და შინ გაჯავრებული წამოვიდა. მოვიდა შინ და მოსამსახურეებს უთხრა: წაიყვანეთ ჩემი ქალი ისეთ ადგილას, რომ ვერც ნაწილი პური დაინახოს და ვერც წყალიო.

წაიყვანეს ეს მზეთუნახავი მოსამსახურეებმა და ერთ ფუღურო მუხასთან მიიყვანეს. ქალმა უთხრა: კარებს ვერავინ გაუკეთებთ ამ მუხასაო? მიჰცა ფული და გააკეთებინა. მოსამსახურეები წამოვიდნენ. ქალი ღამე მუხაში შედიოდა, იქ ატარებდა ღამესა და დღე გარეთ დადიოდა. ერთი ხემწიფის შვილი წამოსულიყო სანადიროდ. დღე ინადირა და ღამე იმ მუხის ძირას ჩამოხტა. ივახშმეს და ნასუფრალი მუხის ქვეშ დააწყეს. გამოვიდა ქალი ღამე და ნასუფრალი მუხაში შაიტანა. ადგნენ, და პური აღარ დახვდათ. თქვეს: უყარაულოთ, ვინ გვიქამსო. უყარაულეს და დაინახეს ქალი. ხემწიფის შვილმა გაიგო, რომ მუხაში მშვენიერი ქალიაო. უარეს მუხას გარშემო, იპოვეს კარები და შევიდნენ შიგ. ხემწიფის შვილს ძალიან მოეწონა ქალი და უთხრა: ცოლად უნდა შაგირთოვო.—კარგიო, უთხრა ქალმა. წაიყვანა ხემწიფის შვილმა და დაიწერა ჯვარი. ეყოლა ორი ვაჟი.

ერთხელ ხემწიფის შვილი სანადიროდ იყო და თავის სიმამრს შეჰხვდა. უთხრა: შენი ქალი მე მყავსო. ხემწიფემ არ დაიჯერა. გაგზავნა ფაიტონი ხემწიფის შვილმა და უთხრა: აქ მორეკე ჩემი ცოლ-შვილიო. წავიდა მეფაიტონე და წამოიყვანა მზეთუნახავი და იმის შვილები. გზაზედ მეფაიტონემ თავი სთხოვა: დამნებდი, თორე უფროს შვილს მოგიკლავო. ქალი არ დაჰნებდა. მოკლა უფროსი შვილი და გადააგდო. ახლა მეორე შვილი მოუკლა და გადააგდო. ქალი კი ვერ გაიმეტა მოსაკლავად, ძუძუ მოსჭრა და ისე გაუშო. თვითონ წაიღო ფაიტონი და მივიდა ხემწიფის შვილთანა; უთხრა: ქაჯები ყოფილან თუ რეები, რო გადმოხტნენ ფაიტონიდგან, ტყისკენ გაიქცნენ, და სად მედევნაო.

ქალმა ჩაიწყო თავის შვილები და თავის ძუძუ კალთაში, მივიდა ერთ მუხასთან და იმდენი იტირა, რომ ღმერთს შეესმა იმისი ტირილი. გამოგზავნა ყვავი: აბა ერთი შეიტყე, რა ატირებსო. მივიდა ყვავი, იტრიალა, იტრიალა, უნდოდა ლეშით გამძღარიყო, ვერაფერს გახდა, აფრინდა და წავიდა. ღმერთს მოახსენა: იქ მე არავინ მინახიაო. მერე გამოგზავნა ღმერთმა ტრედი. ტრედმა მართალი ამბავი მიუტანა. მიჰცა ღმერთმა ერთი ხელსახოცი და უთხრა: წაუღე, ჩაუგდე, მოუსოს, შვილებიც დაუცოცხლდებიან; ძუძუზედაც მოისოს, და ისეთივე გაუხდება, როგორიცა ჰქონდაო. წაუღო მტრედმა და ჩაუგდო. მოუსო ქალმა შვილებს, და მართლა დაუცოცხლა. მოისო ახლა თვითონ ძუძუზედ, და ისევ ისეთი ძუძუ გაუხდა, როგორიცა ჰქონდა.

ამ დროს ჩამოიარა ერთმა კაცმა. ქალმა ჰთხოვა თავის ქმრის სახლში

წაყვანა. კაცმა წაიყვანა და მიიყვანა ხემწიფის სახლში სწორედ იმ დროს, როდესაც იმისი მამა, ქმარი, მეფაიტონე და ტერტერა იქ იყვნენ ერთად. ქალმა უთხრა: ერთ რასმე ვიტყვი, და მერე, რაც გინდათ, მიყავითო.—ბძანეთ, უთხრეს. ქალმა მაამბოლა და, რაც კი გადაჰხედოდა თავს, თავიდამ დაწვრილებით მოუყვა და ულაპარაკა, ერთი სიტყვა არ ჩაუგდია. ტერტერამა და მეფაიტონემ კანკალი დაიწყეს. ქალმა უთხრა ხემწიფეს: შენა ხარ მამაჩემიო; ხემწიფის შვილს—შენა ხარ ჩემი ქმარიო. ეს ის ტერტერა არის, რომელმაც თავი მთხოვა, და ბალკონიდამ გადმოვაგდევო; ეგ ის მეფაიტონე არის, რომელმაც შვილები დამიხოცა და მე ძუძუ მამჭრაო. ეხლა გინდათ, გადაახდევინეთ, და გინდათ—ნუო. ხემწიფემა და იმ ქალის ქმარმა მააბეს ტერტერა და მეფაიტონე ცხენებს კუდზედ და დაჩქლითეს.

ქირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

—

ცას ურემი ავაგორე,
ჩამოვიდა გორებითა.
აქ სიცოცხლით გამიძღები,
საიქიოს ცხონებითა.

—

ელასა, მელასა,
ძილი ჰჯობია ყველასა,
ახალუხსა და პერანგსა.

(ს. ვეჯინში გაგონილი)

## 45.—ბებრის შვილისა

ერთ ქალაქში სცხოვრობდა ერთი ხემწიფე, და იმის მახლობლად იდგა ერთი ბებერი. იმ ბებერს ჰყვანდა ერთი შვილი, და ხემწიფესაც ჰყვანდა ერთი შვილი. ერთხელ იმ ხემწიფის შვილი და ბებრის შვილი ერთად თამაშობდნენ. იმ თამაშობაში ბებრის შვილმა მოკლა ხემწიფის შვილი. მაშინ ბებრის შვილი გაიქცა შინ და უთხრა თავის დედას: დედი, ესე შემთხვევა მომივიდაო.—რა შემთხვევა მოგივიდა, შვილოო? უთხრა დედამ.—ის შემთხვევა, დედი, რომ ხემწიფის შვილი მოვკალი.—უი, შვილო, ხომ დაგკარგამენო! როცა დედამ ეს სიტყვა უთხრა თავის შვილს, ის ადგა და წავიდა.

იარა, იარა, გზაზე შეჰხვდა ერთი კაცი. იმ კაცმა ჰკითხა: სადაური ხარ ან ვისი ხარო? იმ ბებრის შვილმა უთხრა: არ ვიცი, სადაური ვარ და არც ვიცი, ვისი ვარო. მერე ბებრის შვილმა იარა, იარა და მივიდა ერთ ქალაქში. იმ ქალაქში შეგირდათ მიებარა ერთ ხარაზს. იმ ხარაზს ჰქონდა ერთი წყვილი ოქროს ქოშები, ერთი წყვილი ოქროს მამლები და ერთი ოქროს სარკე.

ეს ოქროს ქოშები, ოქროს მამლები და ოქროს სარკე იმ ბებრის შვილმა მოჰპარა ხარაზს. ბებრის შვილმა იყიდა ერთი ტომარა თხილი და ამასთანავე იყიდა ერთი კვერი. იმ ტომარაში ჩაჰყარა ქოშები, მამლები და სარკე, აიკიდა და წავიდა. იარა, იარა და გზაზედ შეჰხვდა კარგი სახლები. იმ სახლებში იყო ერთი მზითუნახავი ქალი. იმ ბებრის შვილმა დაუძახა სახლის პატრონს და უთხრა: ამ სახლში დამაყენეთო. ქალმა უთხრა: რა ხელობა გაქვსო. ბებრის შვილმა უპასუხა: ხარაზი გახლავარო.— მაშ მობრძანდიო. მივიდა ბებრის შვილი, და დააყენეს ერთ ოთახში. როცა დაღამდა, ბებრის შვილმა ამოიღო ტომრიდან ოქროს ქოშები და დააწყო სტოლზედ, ტყუილათ ამოიღო კვერი და თხილს მტვრევა დაუწყო, მითომ ქოშებს ვაკეთებო. როცა გათენდა, მზითუნახავმა ქალმა გაგზავნა მოახლე: აბა ნახე, წუხელ რა გააკეთაო. მივიდა მოახლე იქ, საცა ბებრის შვილი იდგა, და შეიხედა ფანჯრიდან, წამოვიდა თავის ქალბატონთან და უთხრა: ქალბატონო ისეთი ოქროს ქოშები გაუკეთებია, რომ იმის დანახვა ერთ რათმეთ ღირსო, მზითუნახავმა ქალმა ისევ გაგზავნა მოახლე და დაბარა: წადი და უთხარი იმ ვაჟს, შენც აქ წამობრძანდი და შენი გაკეთებული ქოშებიც აქ წამოიღე-თქო. მივიდა მოახლე და უთხრა იმ ვაჟს, რაც კი თავის ქალბატონმა დაბარა, ადგა ეს ვაჟი და წამოჰყვა, თან წამოიღო ოქროს ქოშები. მივიდა მზითუნახავ ქალთან. მზითუნახავმა ქალმა უთხრა: რა მოგცე ამ ქოშებშიო? ბებრის შვილმა უთხრა: შენი არაფერი არ მინდა, ერთი შენი ძუძუები დამანახვეო. იმ ქალმა დაანახვა თავისი ძუძუები, ვაჟმა კიდევ მისცა ოქროს ქოშები. მერე წავიდა თავის ოთახში.

კიდევ, როცა დაღამდა, ბებრის შვილმა ახლა ამოიღო ოქროს მამლები და დააწყო სტოლზედ. ამ ვაჟმა წინანდებურათ თხილს მტვრევა დაუწყო, მითომ ოქროს მამლებს ვაკეთებო. ნაჰუჰალს კი ისევ ტომარაში ჰყრის. როცა გათენდა. მზითუნახავმა ქალმა კიდევ გაგზავნა თავის მოახლე და უთხრა: აბა, წადი და ნახე წუხელ რა გააკეთაო. მაშინვე წავიდა მოახლე, საცა ვაჟი იყო. შეიხედა მოახლემ ოთახში ფანჯრიდან, წამოვიდა ქალბატონთან და უთხრა: ქალბატონო, ისეთი ოქროს მამლები გაუკეთებია, რომ იმის დანახვა ერთ რათმეთ ღირსო. მაშინ მზითუნახავმა ქალმა უთხრა: წადი და უთხარი იმ ვაჟს, შენც აქ წამობძანდი და შენი გაკეთებული მამლებიც აქ წამოიღე-თქო. მაშინვე წავიდა მოახლე იმ ვაჟთან და უთხრა: ქალბატონმა დამბარა: შენც აქ წამობძანდიო და შენი გაკეთებული მამლებიც აქ წამოიღეო. ადგა ეს ვაჟი და წამოვიდა. მივიდა მზითუნახავ ქალთან. მზითუნახავმა ქალმა უთხრა: რა მოგცე ამ ოქროს მამლებშიო? ბებრის შვილმა უთხრა: შენი არაფერი არ მინდა, ერთი შენი ძუძუებს ქვევითი დამანახვეო. მზითუნახავმა ქალმა დაანახვა, რაც იმ ბებრის შვილმა სთხოვა. იმან კიდევ მისცა ოქროს მამლები. ადგა და წამოვიდა თავის ოთახში.

მესამე ღამეს ახლა ამოიღო ოქროს სარკე და დადგა სტოლზედ და, როგორც წინდაწინ, ამოიღო კვერი და დაუწყო თხილს მტვრევა, მითომც ოქროს სარკეს ვაკეთებო. მზითუნახავმა ქალმა მესამე დღეს გაგზავნა მოახლე: აბა წადი, წუხელ რა გააკეთაო. წავიდა მოახლე ვაჟის ოთახთან,

შეიხედა ფანჯრიდან და წამოვიდა. მოვიდა ქალბატონთან და უთხრა; ქალბატონო, ისეთი ოქროს სარკე გაუკეთებია, რომ იმის ერთი დანახვა ერთ რათმეთ ღირსო. მზითუნახავმა ქალმა უთხრა: მაშ, წადი და უთხარი იმ ვაჟს: შენც აქ წამობძანდი და შენი გაკეთებული ოქროს სარკეც თან წამოიღე-თქო. წავიდა მოახლე, იმ ვაჟის ოთახში შევიდა და უთხრა, რაც მზითუნახავმა ქალმა დაიბარა. მაშინვე გამოჰყვა ბებრის შვილი და მოვიდა მზით უნახავ ქალთან, თან მიიტანა თავისი ოქროს სარკეც. მზით უნახავმა ქალმა უთხრა: რა მოგცე ამ სარკეშიო? ბებრის შვილმა უთხრა: შენი არაფერი არ მინდა, ერთი შენი ტანი დამანახვეო. ამ ქალმა ტანიც დაანახვა. ბებრის შვილმა კიდენ მისცა ოქროს სარკე. მერე ამ ქალმა იფიქრა: ხომ სირცხვილია, მე ჩემი ტანი რომ ამას დავანახვეო. მერე იმ ბებრიშვილს უთხრა მზითუნახავმა ქალმა: მე ხომ სუ ყველაფრით გამშინჯე, მე—ცოლი და შენ—ქმარიო. ამ ბებრის შვილსაც ეს უნდოდა. შეირთო ბებრის შვილმა ის მზითუნახავი ქალი, და სცხოვრობდნენ ისინი მხიარულათ.

## 46 გიორგი მონადირისა, ცოლმა რომ მაღლად აქცია

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი მონადირე. ერთხელ სანადიროდ წავიდა, ერთ კურდღელს შეხვდა და მოკლა. პური მოშივდა. სთქვა, სანამ სოფელში მივალ, მე ჩემი დამემართება და მოვდი, აქვე შევწვავ ამ კურდღელსო. გაატყავა, გათალა შამფური, ააგო და დაუწყო წვა. შეწვა რო გაათავა, იქვე ხეზედ გუდით საგძლი ეკიდა,—მივიდა პურის მოსატანად. ამ დროს შემწვარი კურდღელი გაცოცხლდა, წამოხტა და გაიქცა. დარჩა გაკვირვებული მონადირე, მოჰყვა პირჯვრის წერასა: „აი დიდება შენთვის, ღმერთო, ე რა საკვირველი რამა ვნახეო“!

—ეს რა საკვირველიაო, მოიძახა კურდღელმა, შენ რომ გიორგი მონადირის ამბავი გაიგო, აბა საკვირველი ის არისო.

მონადირემ იფიქრა: ამაზედ საკვირველი რაღა უნდა იყოსო. ალბათ ის გიორგი მონადირეც საკვირველს რასმე ნახავდაო. თუ არ წაველი და არა ვნახე, არ იქნებაო. მეორე დღესვე გასწია გიორგი მონადირესთან, კითხვაკითხვით მიაგნო იმის სახლსა.

— გამარჯვება!—გაგიმარჯოს!—შენა ხარ გიორგი მონადირე?—მე გახლავარო.—შენთან საკითხავი რამე მაქვს და არ შეიძლება, მითხრათო.

— ხვალ ჩემი ცოლისა და ძმის წირვა მაქვს, იმის ფაცი-ფუცში ვართ, არა მცალიან; მოვრჩები, შენც აქ ბძანდებოდე, მერე დავსხდეთ არხეინად და ყველაფერს გიამბობო.

მონადირე დარჩა იმ ღამეს იქა. მეორე დღეს წირვა გადიხადეს და როცა მარტონი დარჩნენ, მონადირემ უამბო გიორგის: ასე და ასე იყო ჩემი

საქმე და კურდღელმა მითხრა, ეს რა საკვირველია, საკვირველი გიორგი მონადირეს გადახედიათ.

— მეც შენსავით მონადირე ვიყავიო, დაიწყო გიორგიმ. მე სანადიროდ დავდიოდი, და ჩემს ცოლს ღმერთი არ გასწყრომია და ჩემი ძმა არ შაუყვარებია! როცა გავიგე, ძალიან ვითაკილე და ცოლს დარიგება დავუწყე, რომ ნუ მარცხვენ, სოფელში კაცი ვარ, რომ ვინმე გაიგოს, ხომ სირცხვილით კარში აღარ გამომესვლებაო.

მე არ მოგიკვდე, იმან ყურიც არ შაიბერტყა! ბოლოს, რომ გავუჭირე საქმე, გადმომკრა მათრახი და მაქცია სახედრად. დამაბეს სახლშივე და დამიყარეს წინ ბზე. თვითონ სხედან და დროებას ატარებენ. მე აბა ბზეს როგორ შევჭამ, ვარ პირ აკანული. ისინი-კი ჩემ მოგებულ სარჩოზედ ხარობენ და ქეიფსა სწევენ.

იმ დროს მეცხვარეები მარილის საყიდლად მოვიდნენ, მე ბევრი მარილი მქონდა და, რაკი ყველაფერი მიჭამ-მოეჭამათ, ახლა ამ მარილის ქვებსა ჰყიდიან. მეცხვარეებმა რომ მარილის ქვებს აკიდება დაუწყეს, მე ბრაზი მომერია, აბა კი რას ვიტყოდი, ენა არა მქონდა და გაჯავრებულმა ტლინკების სროლა ვიწყე და ყროყინი.

ჩემს ცოლს არ იამა, გადამკრა მათრახი და მაქცია ძაღლად. წაველ და ბოსლის კარებზედ დავეგდე.

ამ დროს მეცხვარეებმაც გამოატარეს მარილ აკიდებული ცხენები, სთქვეს: რა კაი მურა ძაღლია, წავიყვანოთ, იქნება გამოგვადგესო. დამიძახეს: ტუგი! ტუგიო! მეც ავდექ და გავყე. ცოლის ცქერას, ისევ მეცხვარეებთან ყოფნა ვირჩიე. ბინაზედ რომ მიმიყვანეს, ერთი ნაჭერი უმი ხორცი გადმომიგდეს. მე პირი არ ვახლე. მერე მომიხარშეს და მაშინ კი ვჭამე. იმ ღამეს, რაკი ნაქეიფრები იყვნენ, მეცხვარეებს მაგრათ დასძინებოდათ. ნადირმა ძალიან მოიწია და ორი მგელი დავახრჩე. მეორე დღეს რომ მეცხვარეებმა ნახეს დამხრჩვალი მგლები, ძალიან გაუკვირდათ, მომიალერსეს და ამას იქით სულ ყაურმით დამიწყეს კვება. ჩემი სახელი ძაან შორს გავარდა.

იმ დროს ერთ ხემწიფეს ერთი ვაჟი ჰყვანდა; თურმე ღამე ბანიდან ჩავა რაღაც სურიელი, სცემს, აყვირებს, იმდენს ურტყამს, სანამ არ მიამკვდარებს. ხემწიფემ ყარაულები დაუყენა, ერთი იპოვეთ, რა სურიელიაო? მაგრამ მუდამ ღამე ისევ ის ამბავი მეორდებოდა, დაჭერით კი ვერავინ დაიჭირა. გაეგოთ, რომ ამა და ამ მეცხვარეებს ასეთი და ასეთი ძაღლი ჰყავსო. შემოეთვალათ, რასაც გვთხოვთ, მოგცემთ, ოღონდ რამდენიმე ღამეს ხემწიფის შვილს უდარაჯოსო.

მეცხვარეები აბა რა უარს ეტყოდნენ. გამაყოლეს, თან შეუთვალეს, რომ თუ არ მოხარშულ ხორცს, არა სჭამსო.

იმათაც წამიყვანეს და სულ მოხრაკულები მაჭამეს, დამაბეს ხემწიფის შვილის საწოლთან, სარკმლის წინა.

შუაღამემ რომ დაჰკრა, ფანჯარა რაღაცამ შემოამტვრია, ეცა ხემწიფის შვილს და დაუწყო უწყალოდ ცემა.

მე მივვარდი, პირით ბუმბული გამოვაგლიჯე, მინდოდა შემეშინებინა, მა-

რთლაც ის, რაღაც სურიელი იყო, გულგახეთქილი წივილით გავარდა და წავიდა. აღარც მოსულა და აღარც. იმის შემდეგ ხემწიფის შვილი გასაღდა და უწინდელივით საღ-სალამათი გახდა.

ხემწიფეს ამის შემდეგ უფრო დიდ პატივში ვყვანდი,—ძირს ოქროს ქეჩა გამიშალა და საჭმელს სულ მირჩევდნენ და ისე მაჭმევდნენ.

გავიდა ხანი. მართალია კაი პატივში ვიყავ, მაგრამ მომბეზრდა ძაღლად ყოფნა, ავდექ, წავიღე ის ოქროს ქეჩაც, ვთქვი, ამ ქეჩას რო მივუტან, იქნება გული მოიბრუნოს ჩემმა ცოლმა და ისევ კაცად მაქციოს.

ჩემი ძმა და ცოლი ისევ ერთად არიან. ქეჩა ძალიან გაიხარეს: ყოჩაღ, მურიავ, ეს კარგი მაიტანეო! კაი საქმე გვიყავიო!

გადამკრა მათრახი და მაქცია გნოლად.

ავფრინდი და წაველ. ვიფარფატე, ვიფარფატე და ერთ ათეულში შევძვერი მეორე დღეს მოვიდა ერთი გლეხი, მოიტანა ურემი და დაუწყო ათეულებს დება. მოვიდა იმ ათეულთან, სადაც მე ვიჯექი. ასწია ძნას, მტაცა ხელი და ჩამისვა უბეში. გაამსო ურემი, დაუჯდა ურმის თავზედ და წამიყვანა შინა. ურემი სახლწინ რო გაატარა, ცოლს დაუძახა: დედაკაცო, აჰა ეს გნოლი, მეზობლის ბიჭებს დააკვლევინე, მომიხრაკე და სანამ მეც ძნას გადმოვცლი, ვჭამ და წავალო! დედაკაცმა მე ქვაბ ქვეშ დამამწყვდია, სხვა ვარია დააკვლევინა, მოუხრაკა და დადგა ცეცხლა პირსა.

— მოხრაკე, დედაკაცოო? შემოსძახა ქმარმა.

— მზათ არისო! გასძახა დედაკაცმა. მოდი, მიირთვიო. შემოვიდა, გაძღა მეურმე და წავიდა მინდორში.

დედაკაცი მოვიდა ჩემთან, გამომიყვანა ქვაბ ქვეშიდან, აილო წალდი, მიმიყვანა კარის დირესთან, დამადებინა თავი და დამიყვირა:

— დაგკლა, მურიკაო?! მე შიშით გული მისკდებოდა, მაგრამ რას ვეტყოდი, ენა არა მქონდა.

მეორედ დამადო კისერზედ წალდი და დამიყვირა: დაგკლა, მურიკაო? მე ისეთი ვარ შიშით, ლამის დედაკაცის ხელში სული დავლიო.

კიდევ მესამედ დამაღირა წალდი და დამიყვირა:—დაგკლა მურიკაო? მერე მითხრა: ნუ გეშინიან, მე შენი ცოლის და ვარ, შენ რომ არ შეგჭამე, როცა ხემწიფის შვილის ოთახში შემოვიჭერიო. თუმცა-კი შეგეძლო გაგეგლიჯე, მაგრამ შენ მხოლოდ ბუმბული გამომაგლიჯეო. ის სიკეთე მახსოვს და იმ ჩემი წყეული დის ჯიბრზედ მეც სიკეთე უნდა გიყოვო!

გადმომკრა მათრახი და მაქცია ისევ კაცად.

მერე მითხრა: აი წაიღე ეს მათრახი, შენი ძმა და შენი ცოლი ისევ სახლში დაგხვდებიან, გადაჰკა ერთსაც და მეორესაც და რასაც მოისურვებ, იმად გადიქცევიანო. მერე, როცა მორჩე, მათრახი აქვე მომიტანეო.

გამოვწიე სიხარულით. მოველ ჩემ სახლში. ჩემი ცოლი და ჩემი ძმა ერთად სხედან კერასთან და იცინიან. გადავკარ ერთსაც მათრახი და მეორესაც, თან დავატანე: ერთი ჭაკ ცხენათ იქეცი და მეორე ულაყათაო! გადავკარ თუ არა, მაშინვე ცხენებათ იქცნენ, ერთი ჭაკათ და ერთი ულაყათ. ეხლაც სახლში მყვანანო. აბა წამოდი და შენი თვალით ნახეო.

გაუძღვა წინ გიორგი მონადირე და შეიყვანა ერთ ბოსელში. იქ ორი ცხენიება, ერთი ჭაკი და ერთი ულაყი, ორივე ზურგ გადაღლეტილები. დაინახეს თუ არა კაცები, მაშინვე შემოხვიხვინეს.—აი ეს ჩემი ცოლია და ეს ძმაო, უთხრა გიორგი მონადირემ.

დღეში ათჯერ ვკაზმავ, საპანის ზიდვით წელებს ვწყვეტავ და ვინცა მთხოვს, ყველას ვაქირავებო. რაც ამათ მე დღე დამაყენეს, მეც სამაგიეროს ვუხდიო.

გუშინ რომ წირვა მქონდა, ჩემი ცოლისა და ძმისა გადავიხადეო...

— მართლა და საკვირველი შენ გადაგხედიაო, სთქვა მონადირემ, გამოეთხოვა გიორგის და მადლობით წავიდა სახლში.

მთას ურემი ავაგორე,
წამოვიდა გორებითა,
აქ სიცოცხლით გამიძეხით,
საიქიოს ცხონებითა!

# 47 ქვად ქცეული ვაჟისა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხემწიფე. დაბერდნენ და შვილი ენატრებოდათ. სიბერის დროს გაუჩნდათ ერთი ვაჟი. ისეთია ხემწიფე, სულ ზედ დაჰკანკალებს. რომ არავინ დამიწყევლოსო, გააკეთებინა ერთი მშვენიერი ოთახი, იქ შაიყვანა შვილი და იქ ასმევდა და აჭმევდა, კარში სრულებით არ უშვებდა.

მზეს ძალიან შეუყვარდა ხემწიფის შვილი. ამოვიდოდა თუ არა, მაშინვე ხემწიფის ვაჟის ფანჯარას მიანათებდა, შუქს პირდაპირ თვალებში მიაყენებდა და გაალვიძებდა.

ადგებოდა ვაჟი, ჩაიცვამდა, დაიხურავდა და პირდაპირ ფანჯრიდგან მზისკენ გადაათვალდა ხოლმე.

სწყინდა მზეს ვაჟის ეს საქციელი, მაგრამ რაკი უყვარდა, უთმენდა უთმინა მზემ, უთმინა, მაგრამ რაკი ვაჟმა არ დაიშალა, მზემ დაჰკრა მათრახი და აქცია ქვათა. ასე, რომ დღე კვდებოდა და ღამე ცოცხლდებოდა. ხემწიფემ ერთ ტყეში ააშენებინა საყდარი და შიგ შეასვენეს ის ყმაწვილი. იმ ყმაწვილს შაეჩვია ერთი ქალი და ღამე სულ იმასთან იყო. ქალი დაორსულდა. ვაჟმა უთხრა:

წადი მამაჩემთან, უთხარი, ასე-ასეა ჩემი საქმე და ერთი საქათმე მაინც გექნებათ და იქ მამალოგინეთო. მივიდა მართლაც ხემწიფესთან, მისცეს ერთი საბატე, იქ მოილოგინა იმ ქალმა და ეყოლა ერთი მშვენიერი ვაჟი.

ერთ ღამეს მოვიდა ვაჟი და დაუძახა ცოლს: როგორ შენ და შენი ძეო?

— საბატეში მე და ჩემი ძეო, ფანცი-ფუნცი ქვეშ გვიძეო!

წავიდა გულნატკენი ხემწიფის შვილი.

გაიგო ხემწიფემ, რომ ჩემი შვილი აქ მოვიდაო; მაშინვე უბძანა, გა-

დაეყვანათ საუკეთესო ოთახში და ჩაეწვინათ ბავშვიც და იმის დედაც სულ ფარჩა და ბუმბულში.

მეორე ღამესაც მოვიდა ხემწიფის შვილი და გარედამ დაუძახა:

— როგორ შენ და შენი ძეო?

— კარგათ მე და ჩემი ძეო! გასძახა ცოლმა.

ხემწიფემ უთხრა თავის რძალსა: როცა ჩემი შვილი კიდევ მოვიდეს, უთხარი, შემოდი და წყალი მომაწოდე თქო. ჩვენ იქ დამალულები ვიქნებით და ეგები თვალით მაინც დავინახო.

მესამე ღამეს მოვიდა ვაჟი და დაუძახა: როგორ შენ და როგორ შენი ძეო?

ქალმა გასძახა: კარგათ მე და ჩემი ძეო. შემოდი, გვნახე და წყალიც მოგვაწოდეო.

შევიდა ვაჟი და შემოეხვივნენ დედა და მამა. ზედაც გათენდა და იქცა ვაჟი ქვად. თუ გათენება მოასწრობდა, აღარ გაცოცხლდებოდა.

ამის შემდეგ აღარ გაცოცხლებულა ხემწიფის შვილი. ასეთებია ხემწიფე, იმისი ცოლი და რძალი, რომ თავებს იხოცენ...

ხემწიფის შვილი-შვილი ისეთია, თუ სხვა წლობით იზრდება, ის დღით იზრდება. ერთხელ წყაროზედ იყო და ერთ ბებერს ქვით კოკა გაუტეხა.

— დაწყევლით ვერ დაგწყევლი, შვილო, შენი პაპა ისეც უბედურია, მაგრამ შენამც წასულხარ და მამაშენისთვის გიშველიაო.

ბალღი დაღონდა. წავიდა დედასთან.

— რამ დაგაღონა, გენაცვალეო? ჰკითხა დედამ.

— სად არის მამაჩემი, დედილო, რატომ არ მეტყვიო?

— აგე ის ქვა არის მამაშენიო, უთხრა დედამ. თან უამბო მამის თავგადასავალი.

ვაჟმა სთქვა: უნდა წავიდე და მამაჩემს ვუშველოვო. წავიდა მზის დედასთან. წავიდა, იარა, იარა და ერთ მინდორში მეგუთნეებს შეხვდა, გუთანიც, უღლებიც, ტაბიკებიც, აპეურებიც სულ რკინისაა. ხოცენ ცხრა უღელ ხარ და კამეჩს და იქვე კი არიან, ერთ ნაფოთევს ერთ დღეს უნდებიან.

— გამარჯვებათ!—გაგიმარჯოსო!—სად მისდიხართ?—მზის დედასთანაო.—რათაო? უთხრა ვაჟმა მიზეზი.

მეგუთნეებმა სთხოვეს, ერთი ჩვენც გავვიგე რამე, სულ ასე ხომ არ უნდა ვეწვალოთო...—ძალიან კარგიო! გასცდა და წავიდა.

ბევრი იარა, თუ ცოტა, ერთ მინდორში მეცხვარეებს შეხვდა. ისეთია ცხვარი, მატყლი მიწაზედ დაპთრევთ, ცხვარი სიცხით იხოცება.

— გამარჯვებათ!—გაგიმარჯოს!—სად მისდიხართ?—მზის დედასთანაო.

— ერთი ჩვენ შეგვიტყვე რამე, თორემ ასე სულ ეშმაკის მუშა ვხდებითო.—ძალიან კარგიო. იმ ღამეს ვაჟმა იქ გაათენა. მეორე დღეს რო გათენდა, წავიდა.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, ერთ ირემთან მოვიდა. ასეთია ეს ირემი, ცხვირი მიწაზედ დაუდვია და რქა ცისათვის მიუბჯენია.

— ამიშვი, ირემო, უნდა ავიდე, მზის დედა ვნახოვო.

— კარგიო, უთხრა ირემმა. მეც გამიგე რამე, ამოდენა რქას რა ვუყოვო?

— ძალიან კარგიო.

ავიდა ვაჟი ირმის რქებზედ და მივიდა მზის დედასთან.

— რა გაგჭირვებია, შვილო, რისათვის მოსულხარო?

ყმაწვილმა უთხრა: მამაჩემი მზისგან ქვათ არის ქცეული და მოველ, გავიგო, რაა იმისი წამალიო?

— ადვილია, შვილოვო, უთხრა მზის დედამ. აქ მოიცადე, ჩემი შვილი მოვა და ვკითხავო. შეუბერა მზის დედამ, აქცია ხახვის ფურცლად და ტახტის ქვეშ შეაგდო. მოვიდა მზე. დედამ უთხრა: შვილო, ქვეყანაზედ დასდიხარ და ერთხელ არ მიამბობ, რა ხდება იქაო?

— დედი! ერთ ხემწიფეს ერთი ვაჟის მეტი არა გააჩნდა რა, ძალიან მიყვარდა, მუდამ დილით იმას მივაშუქებდი ხოლმე, მაგრამ ის ადგებოდა, ჩაიცვამდა და ფანჯრიდან მომაფსამდა ხოლმე. ვუთმინე, ვუთმინე, მოსაკლავად კი ვერ გავიმეტე, დავკარ მათრახი და ქვათ ვაქციევო. ნეტა იყოს ვინმე, ჩემი პირ-ნაბანი წაუღოს, დაასხას და მაშინვე გაცოცხლდებაო. ერთ ალაგას კიდე მეგუთნეებია. ყველაფერი რკინისა აქვთ. უბიათ ცხრა უღელი ხარ-კამეჩი, სცემენ, ხოცენ საქონელს, მაგრამ ისინი მარტო ცარიელ გუთანსაც ძლივ ერევიან და აბა რას მოხნავენო? ყველაფერი ხისა გააკეთონ, მხოლოდ სახნის-საკვეთი იყოს რკინისა და აპეურები ბალნისა და მერე კარგათ მოხნავენო.

ერთ ალაგას კიდე მეცხვარეებია. ისეთია ცხვარი, მატყლს მიწაზედ ათრევს, დასცხება და იხოცებიან,—იმათ რკინის დუქარდი გააკეთონ, წელიწადში ორჯელ გაკრიჭონ და მერე იმდენ ცხვარს გაზდიან, სათვალავი აღარ ეცოდნენო.

ერთი ირემია, რაც გაჩენილა, სულ ეზრდება რქა, ახლა ვეღარ ერევა, რომ ატაროსო. მაისის წყალი დალიოს, გაიქნ-გამოიქნიოს და ძველი რქები გასცვივაო.

გათენდა მეორე დილა, დაიბანა მზემ პირი, ჩაუსხა მზის დედამ ჩარექაში ვაჟს მზის პირის ნაბანი და გაისტუმრა.

ჩამოვიდა ვაჟი ირმის რქაზედ და მერე ასწავლა: მაისის წყალი დალიე, გაიქნ-გამოიქნიე თავი და რქები დაგცვივაო.

ირემმა ასე ქნა და მართლა გასცვივდა რქები.

მერე მოვიდა მეცხვარეებთან და როგორც მზემ ასწავლა, ისე ასწავლა იმათაც. გააკეთეს რკინის დუქარდი, გაკრიჭეს ცხვარი, მატყლი მატყლად გამოიყენეს და ცხვარი უფროც გასუქდა და ვეღარც არაფერი სიცხემ დააკლო.

წამოვიდა და მოვიდა გუთნის დედასთან. ასწავლა იმათაც ისე, როგორც მზემა სთქვა. გააკეთეს ხის გუთანი, ხის უღლები, ბალნის აპეურები, რკინისა მხოლოდ სახნის-საკვეთი დაპტოვეს, გარეკეს ხარები და სულ დაარღვიეს დედამიწა. მას აქეთ გაძღნენ პურით და საქონელმაც შედარებით მოისვენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიტანა შინ მზის პირის ნაბანი, გადაასხა და გააცოცხლა თავისი მამა.

ჭირი იქა და ლხინი აქა,
ქატო იქა და ფქვილი აქა.

# 48 არაკი მენავეზედ

იყო ერთი მენავე. ზღვაში თევზი დაიჭირა, თევზი ნავს მოაბა, ნავი ერთ ჩინჩხილზე გამოაბა. თითონ ნავში დაიძინა. თევზმა იმდენი ატოკა ნავი, რომ აუშვა. ზღვამ წაიღო ნავი. ბევრი ატარა, თუ ცოტა, მენავეს გამოეღვიძა. მიიხედ-მოიხედა, სოფლები აღარსად მოსჩანს. ნავი შუა ზღვაშია და ტალღები აქანებენ. ძალიან შეეშინდა.

ბოლოს ერთი კაცი დაინახა. კაცმა უთხრა მენავეს: ვიცი, რომ პური გეშიებაო. წამოდი ჩვენსა და ჭამეო. წაიყვანა იმ კაცმა მენავე და მიიყვანა შინა. კაცმა გაახედა მენავე და უთხრა: აპა გაიხედე, აგე ის წითელი ბოლი რომ ამოდის და წითელი სახლი სდგას,—ის წითელააო. აგერ ის თეთრი სახლი რომ სდგას და თეთრი ბოლი ამოდის,—ის ყვავილი არისო. აი ეს შავი ბოლი რომ ამოდის,—ეგ არის სახადი და მე ვარ და სახლიც ჩემიაო.

მენავეს გული გაუსქდა, ეს სად მოვხეტებულვარო!

შეიყვანა იმ კაცმა მენავე სახლში და სამი მარცვალი მოუტანა სუფრაზედ. მენავემ ჭამა, ჭამა და ვერ შეჭამა. კაცმა ისევ იმდენი აიღო.

კაცმა უთხრა მენავეს: აი ხომ ხედავ, ცალი თვალი გამოთხრილი მაქვს, ეს შენმა მეზობელმა ამომთხარა. შენ მეზობელთან ვიყავ სახადათ. შეჭამანდსა ხარშავდნენ. ძაღლი შინ შევიდა. ბებერმა ძაღლს კოვზი ესროლა, ძაღლს კი ვერ მოარტყა, იმას ააცდინა და მე მომხვდა თვალში და გამომთხაროო.

ამის შემდეგ სახადის ანგელოზმა სარკეში ჩაახედა მენავე და უთხრა: — ჰხედავ? აგერ ხომ ხედავ, შენს ძმებს ცხვარი დაუკლავთ შენთვის, ასე ჰგონიათ, ზღვაში დაიღუპაო და წირვას ხდილობენ.

მე ამ სამ კენჭს მოგცემ, რომელმაც მე თვალი გამომთხარა, ერთი კენჭი იმათ ბანში ჩააგდე, ერთი იმათ ცხვარში და ერთიც ძროხებშიო. სულ დაიხოცებიან. სოფელს ეგონება, ეგ არის ხორველა გაჩნდაო, სულ აიყრებიან და სხვაგან წავლენ, ყველაფერს თავს დაანებებენ. მიჰყე, შენ საქონელი ატყავე და ხორცი სულ ერთ ორმოში ჩაყარე, შენი ძმებიც ურემზედ დაუდებენ ბარგსა, მაგრამ შენ მიდი და სულ ძირს გადმოუყარე, არ გაუშვა. ქვეყნის ქონება სულ თქვენ დაგრჩებათო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 49 — მზეხათუნის არაკი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ხემწიფე. ერთი ქალი სიბერეშილა მიეცა, კარებზედ ერთი დიდი ჭანდარი ედგა, გაიყვანა და ირგვლივ შემოუტარა ხემწიფემ თავისი ქალი და დაიძახა: ღმერთო! ეს ჩემი შვილი შენი ნათლული იყოს, სახელად მზეხათუნი ერქვასო და არავინ კი არ იცოდესო. ხოლო ვინც გამოიცნოს, მდიდარი იყოს, თუ ღარიბი, იმას შევრთავო. ისეთია ეს ქალი, ვინც წლით იზდება, ის დღით იზდება. ისეთი მშვენიერი ოქროს თმიანი ქალი გაიზარდა, რომ ბიჭებს სულ თვალი უდგებათ. ვინ იცის რამდენი მიდის სათხოვნელად, მაგრამ სახელი ვერავინ ვერ გამოიცნო.

ერთ დღეს ხემწიფის კარებზედ ბერიკაცის სახით მოვიდა ერთი წყეული, ხელში რკინის ჯოხი უჭირავს და ფეხებზედ რკინის ქალამნები აცვია. გამოვიდნენ ნაზირ-ვეზირი და ჰკითხეს, რა გნებავსო.

— შვილი მყავს დასაქორწილებელი და მინდა ხემწიფის ქალი ვუთხოვო და სახელსაც გამოვიცნობო. გამობრძანდა ხემწიფე და ჰკითხა: მაშ რა ჰქვიან ჩემ ქალსო?

— სამი დღე დამაცალე, დიდებულო ხემწიფევ, და მოგახსენებო! რა დაცდა უნდოდა, განა არ იცოდა, რაც ერქვა, მაგრამ ყასიდად მოიქცა ასე.

აკი ქალმა გაიგო ესა, დაიწყო ტირილი, შავიდა თავის მამის თავლაში, იქ ორპირადება რაშები.

სულ ყველაზედ ბოლოსება ერთი შესახედავად უხეირო კოჭლი რაში. იმან ამოიდგა ენა და უთხრა: ნუ გეშინიან, ბატონის ქალო, მე გიშველი. მხოლოდ შენ წადი და ჩემი და შენი სამყოფი საგძალი წამოიღე, თან ერთი დანა, სავარცხელი და ჩარექით ძმარი წამოიღეო.

ქალი ისე მოიქცა, როგორც რაშმა დაარიგა. ქალმა შაკმაზა რაში, მოუჭირა მოსართავებს და მოახტა ზედა. ასე გაფრინდა ეს კოჭლი რაში, როგორც ფრინველი.

მეორე დღეს წადგა ის ბერიკაცი ხემწიფის წინაშე და გამოიცნო ქალის სახელი. ნახეს ქალი, აღარსად არის. ეშმაკი მაშინვე დაედევნა უკან.

რაშმა ატარა, ატარა და გაიყვანა ერთ ტრიალ მინდორზედ. ქალს უთხრა: აბა მიიხედე, მოჩანს ვინმე, თუ არაო?

მიიხედა ქალმა და სთქვა: ყორნის ტელად რაღაც მოჩანსო.

— ნუ გეშინიან, შენ მაგრა დამკარიო!

— ვიიმე, აგერ გამოჩნდა, ლამის დაგვეწიოსო, უთხრა ქალმა.

— ნუ გეშინიან, გადააგდე დანაო გადააგდო ქალმა დანა და გაჩნდა მთები და ხევები. იარეს დიდხანს, იარეს, გავიდნენ ერთ ტრიალ მინდორზედ. რაშმა უთხრა: აბა გაიხედე, ხომ არავინ მოსჩანსო? გაიხედა ქალმა: ყორნის ტელად მოჩანსო! — ნუ გეშინიან, მათრახი მომიმატეო! — აგერ დაგვეწიაო, დაუძახა ქალმა. — გადააგდე სავარცხელიო! გადააგდო ქალმა სა-

ვარცხელი და გაჩნდა ისეთი ტყე, ბუწკნარი და ეკალი რომ ბუზი ვერ გაფრინდება.

ეშმაკი ძალიან შორს დარჩა, მაგრამ მეორე დღეს ისევ დაეწიათ.

— ახლა კი ჩარექა გადაისროლე, რაც შეიძლო ძაან უკანაო, უთხრა რაშმა. ქალმა გადაისროლა, მაგრამ შიშით ახლოსვე ჩაუვარდა. გაჩნდა საშინელი ზღვა. რაშს უკანა ფეხები ზღვაში დარჩა, მაგრამ ისკუპა და გადმოხტა მშრალზედ.

იარეს და მოვიდნენ აღმოსავლეთის ხემწიფის კარზედ.

წყეული-კი შუა ზღვაში დარჩა, იქ ერთი ბოძი იდგა და იმაზედ დაიბუდა.

ქალი ვაჟურად ჩაცმული მივიდა ხემწიფის სასახლესთან და ვეზირს ახსენა, ხემწიფეს მაახსენეთ, რომ ამა და ამ ხემწიფის შვილია და ორიოდე დღით მისტუმრეთო.

ხემწიფემ დიდი სიამოვნებით მიიღო; ვახშამი მიართვა და ცალკე ოთახი მიუჩინა. ხემწიფეს ერთი ვაჟი ჰყვანდა, ქალზედ რაღაც თვალი მიუვიდა და დედას წაჰჩურჩულა: „მაგ ქალს, დედა, ქალის იერი უფრო აქვს, ეგ ვაჟს არა ჰგავსო"!

მეორე დღეს ხემწიფის შვილი სანადიროდ წასასვლელად მოემზადა და სტუმარსაც კაცი მიუგზავნა: სანადიროთ ხომ არ წამობრძანდებითო?

წავიდნენ სანადიროდ, მაგრამ ისეთია ეს ქალი თავის რაშით, რომ ვიდას აცლის. ხელად წამოეწევა ნადირს და შუა-შუა კაფავს. ხემწიფის შვილმა და იმისმა მხლებლებმა ისე დაალამეს ის დღე, რომ ვერაფერი ვერ მოკლეს. საღამოზედ გაგულისებულმა ხემწიფის შვილმა წამოუარა ქალს და ქუდში ხმალი წამოჰკრა: რათ შეგვარცხვინე და დაგვამცირე მაგრეო? ქალს ქუდი გადმოუვარდა და ოქროს თმა ჩამოეშალა ბეჭებზედ. მოუბრუნდა ქალი, დაუკრა ხემწიფიშვილს ხმალი ცხენს და შუაზედ გააწყვეტინა. თვითონ კი შემოჰკრა რაშს და მოკურცხლა. იარეს, იარეს და ერთ მაღალ მთასთან მოვიდნენ. იქ ჩამოხტნენ და დაისვენეს. აბა, რასაკვირველია, მოსდევენ ხემწიფის შვილიც და იმისი ამალაც.

რაშმა უთხრა ქალსა: ეგ ვაჟი შენი იღბალია, მოვლენ, შემოგვეხვევიან, ჩაუხტი, შეუტიე, ორჯელ გაფანტე და მესამედ ხმალი ძირს დადე და შეურიგდიო. მართლაც ასე მოხდა. შემოეხვია ჯარი, ქალმა ორჯელ გაფანტა, მერე ხმალი დადო და შეურიგდა. მოვიდა ხემწიფის შვილი და ცოლობა სთხოვა. ქალი დათანხმდა და იქიდანვე შინ დიდის ამბით წაიყვანეს. გამართეს ქორწილი, ლხინი და ქეიფი.

გავიდა ერთი წელიწადი. აღმოსავლეთის ხემწიფეს დასავლეთის ხემწიფესთან ომი მოუხდა. აღმოსავლეთის ხემწიფე მოხუცებული იყო და ამიტომ ჯარის სარდლად შვილი გაგზავნა.

ხემწიფის შვილმა კოჭლი რაშის წაყვანა მოინდომა. რაშმა უთხრა, ნუ წამიყვან, შენ ცოლს ისეთი მტერი ჰყავს, რომ შეიძლება შეამთხვიოს რამეო. მაგრამ ხემწიფის შვილმა არ დაიშალა.

— რაკი არ იშლი და მიგყევარ, უთხრა რაშმა, მაშ სადაც ვიყო, ტოკვა

თუ შევქენ, დაბმული ვიქნები თუ ფეხებში ბორკილი მედოს, მალე ამიშვით და შემხსენით, თორემ გვიანღა იქნებაო.

გამოემშვიდობნენ ერთმანეთს, ვაჟი ომში წავიდა, ქალი სახლში დარჩა.

გავიდა ცხრა თვე, ქალს ოქროს ქოჩრიანი ვაჟი ეყოლა.

ხემწიფემ შეაბა წერილი შავარდენს და შვილს გაუგზავნა, სწერდა: შენი ცოლი მშვიდობით გადარჩა და ოქროს ქოჩრიანი ვაჟიცა გყავსო.

შავარდენმა იმ ღამეს ვერ მიაღწია ხემწიფის შვილამდე, ზღვაში დაუღამდა და, სადაც ეშმაკი იჯდა, აკი იმ ბოძზედ არ დაჯდა. დაღალულ შავარდენს დაეძინა. მიეპარა ეშმაკი, ყელზედ შებმული წიგნი შეხსნა და დახია, სხვა დასწერა, რომ შენს ცოლს გველ-ბაყაყები ეყოლაო, და ის შეაბა ყელზედ.

შვილს ეწყინა, მაგრამ მამას მაინც მისწერა, ჩემს მოსვლამდის ყველას კარგათ გაუფთხილდითო! ეს წერილიც შავარდენს შააბა ყელზედ. შავარდენმა როგორც იქიდან დაისვენა შუა ზღვაში, ეხლაც იმ ბოძზედ დაიძინა. ეშმაკი კიდევ მიეპარა, ის წერილი დახია, სხვა დასწერა, რომ სანამ მოვიდოდე, ჩემი ცოლი თავის შვილით თონეში ჩაწვითო.

ძალიან შააწუხა შვილის წერილმა მოხუცებული მეფე და დედოფალი. ვერ წარმოედგინათ, თუ შვილი რად იმეტებდა ცოლ-შვილს თონეში ჩასაწვავად. ბევრი იტირეს, ბევრი ივახვახეს, მაგრამ რას იზამდნენ, უნდა აესრულებინათ შვილის მონაწერი. გაახურებინეს ძალზედ თონე, რძალს უბძანეს, რომ ჩადი შენი შვილით და ისეირნეო. ქალი რომ სასეირნოთ ჩავიდოდა, როცა თონესთან მივიდოდა, უნდა ეკრათ ხელი და ჩაეწვათ თონეში.

ჩავიდა ქალი თავის ოქროს ქოჩრიანი ვაჟით და დასეირობს ეზოში, რა იცის, რას უპირებენ? ის რომ იქ დასეირნობს, ესენი კიდე კაცს ეძებენ, ვინც უნდა ხელი ჰკრას და თონეში ჩააგდოს, მაგრამ არავინ არ გამოჩნდა იმისთანა. მეფე დაღონებული გადასცქეროდა ბალკონიდგან. ამ დროს მოვიდა ერთი მოხუცი კაცი, თურმე ის ეშმაკი გამოსულა ზღვასა. ხემწიფეს თავდაბლად თავი დაუკრა და მაახსენა: რას დაღონებულხარ, დიდებულო ხემწიფევ, რა გაგჭირებიაო!

— როგორ რას დავღონებულვარ, ბერიკაცო, აბა შეხე იმ ჩემ რძალს და შვილიშვილს, რა მშვენივრებია! ჩემი შვილი-კი მწერავს, გაახურებინე თონე და ორივენი შიგ ჩაწვითო! აბა, შენა სთქვი, ამათ განა ჰკვათამყოფელი კაცი გაიმეტებს დასაწვავათ?! კაციც არ არის, რომ ეგენი თონეში ჩააგდოს, ისე ყველას უყვარს და მოსწონსო.

— რას იქთ, მოახსენა ბერიკაცმა — იმ წყეულმა, რაკი თქვენს შვილს მოუწერია, თქვენ უნდა აასრულოთ, თქვენ რაში გენანებათ, თუ თვითონ იმეტებსო. თუ ამსრულებელი ვერ გიშოვნია და აი თუ მიბძანებთ, მე თვითონ ავასრულებო.

ამის თქმა და ბრძოლის ველზედ რაშის შეტოკება ერთი იყო. თურმე ორი ფეხით ხეზედ მიკრული უბიათ. რაშმა რომ ტოკვა და ჭიხვინი იწყო და წევა, ერთი კი მიაქრეს, მეორე ველარ მოასწრეს. რაშმა მოიგლიჯა ფეხი და გაფრინდა ქალისაკენ. უცებ მოვარდა თონესთან, დაავლო ეშმაკ ბერი-

კაცს პირი და შიგ თონეში ჩააყუდა. შეისვა ქალიც, იმისი შვილიც ზურგზედ და გაფრინდა. საით მიდიოდნენ, თვითონაც არ იცოდნენ. ბევრი სირბილის შემდეგ რაში შედგა და ქალს უთხრა, ჩამოსულიყო. ქალი ჩამოხტა. ერთი დუზი მინდორია, ის არი ლამდება კიდეც.

— ნუ გეშინიანთ, უთხრა რაშმა, მე მოვკვდები, შენ დამჭერ ასო-ასო და ამარიგე და ჩამარიგე მინდორზედ. თქვენ ჩემ ტყავში შაეხვიეთ ამაღამ და დილაზედ ღმერთი საზდოს თვითონ მოგცემთო.

ქალი ისე მოიქცა, როგორც რაშმა დაარიგა. გაატყავა რაში, იმისი ხორცი აარიგ-ჩაარიგა, მიფანტ-მოფანტა, მერე თვითონაც ტყავში შაეხვივნენ და დაიძინეს.

გაშენდა ამ ტრიალ მინდორზედ მშვენიერი ქალაქი, წყაროებითა და შადრევნებით შემკული. დააყენეს ქალი ხემწიფეთ და დაიწყეს ბედნიერი ცხოვრება. ქალმა დაახატვინა თავისი სახე, წყაროსთან დააკიდებინა, დაუყენა დარაჯი და უბძანა: ვინც ამ სურათის დანახვაზედ ამოიოხროს, ფიცხლავ დაიჭირეთ და ჩემთან მოიყვანეთო.

ხემწიფის შვილი გამარჯვებული დაბრუნდა სახლში, მაგრამ ის შენ მტერს, რაც იმას აქ ამბავი დახვდა. ბევრი იდარდა, ბევრი თავში იცემა, მაგრამ რაღას უშველიდა.

ადგა ხემწიფის შვილი, ჩაიცვა ძველი ტანისამოსი და გულ-ხელდაკრეფილმა გასწია საძებნელად. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მოვიდა ამ ქალაქთან. წინათაც ყოფილა ამ მინდორში, მაგრამ აქ ქვიშისა და რიყის მეტი არა იყო რა, ახლა კი ასეთი აყვავებული ქალაქი გაშენებულა, ბაზარი გამართულა, წყაროები და შადრევნები ამოდის. ძალიან გაუკვირდა, შევიდა ქალაქში და დაუწყო ქალაქს თვალიერება.

დაიღალა და იმ წყაროსთან მივიდა დასასვენებლად, სადაც იმის ცოლის სურათი ეკიდა. ვაჟმა ყურადღებით დაუწყო თვალიერება თავის ცოლის სურათს, იცნო და ერთი ისეთი ამოიოხრა, რომ კინაღამ გული თან ამოაყოლა.

სტაცეს დარაჯებმა ხელი და წაიყვანეს ხემწიფესთან.

იცნეს ცოლმა და ქმარმა ერთმანეთი, გადაეხვივნენ ერთმანეთს და დიდ ხანს ჰკოცნიდნენ. ამის შემდეგ წავიდნენ, დედა და მამაც აქ მოიყვანეს და დაიწყეს ბედნიერად ცხოვრება.

ai ელასა, მელასა,
ჰიქა მეკიდა ყელასა..
მთქმელსა და გამგონებელსა.
ძილი გაამოთ ყველასა.

# 50—ხემწიფიშვილს ქალი რომ არ მისთხოვდა, სანამ ხელობას არ ისწავლიო

იყო ირთი ხემწიფე, ჰყვანდა ერთი შვილი. ხემწიფე დაბერდა და შვილის დაქორწილება მოინდომა. ხემწიფის შვილმა უთხრა თავის მამას: სოფლები დამატარეთ და ვინც მომეწონება, იმას შევირთავო. წაიყვანეს, მაატარეს, მაგრამ არავინ მაიწონა.

ბოლოს ერთი საწყალი კაცის ქოხის წინ ერთი ქალი ნახა. ხემწიფის შვილს ის ქალი ძალიან მოეწონა. ქალს უთხრა: უნდა ცოლად გამომყვეო.

— ჩემი დედა და მამა აქ არ არიან, საღამოზედ მოვლენ და თვითონ იციანო. მოუცადა ხემწიფის შვილმა. მოვიდნენ გლეხი და იმისი ცოლი.— უნდა თქვენი ქალი მე მომათხოვოთო, უთხრა ხემწიფის ვაჟმა.—აბა ჩვენ რა შენი საკადრისები ვართ, თუ გნებავთ, მოსამსახურედ გამოგყვებითო. ქალმა ჰკითხა ხემწიფის შვილს. ხელობა იცი რამეო?—არაფერიო!—არაფერიო და ხემწიფობა ხელობა არ არისო. დღეს შეიძლება ხემწიფედ იყო, ხვალ აღარ, მერე რითი გნებავს იცხოვროვო. წადი ერთი რამე ხელობა ისწავლე და მერე მოგთხოვდებიო.

დაღონდა ხემწიფის შვილი: ასე უცებ ხელობა როგორ ვისწავლოვო. წავიდა მამასთან, ესეა, ეს ჩემი საქმე და როგორ მოვიქცეო. დაიბარა ხემწიფემ ყველა ხელოსნები. დურგალსა ჰკითხა: შენ რამდენ წელიწადს ასწავლი შენ ხელობასო?—ხუთსაო!—უჰ, ხუთ წელიწადს ის ქალი კიდეც გათხოვდება და მერე რაღათ მინდაო, სთქვა ვაჟმა. ზოგმა ოთხი უთხრა, ზოგმა სამი, ზოგმა ორი, ზოგმა მეტი. ბოლოს ერთი მენაბდე წამოდგა წინა: მეც ხელოსნებში ვიხსენები, მე მომაბარეთ, ერთ დღე და ღამეს ვასწავლიო.

მართლაც გაჰყვა ხემწიფის შვილი და ისწავლა ნაბდების თელვა. შაირთო ის ქალი და დაიწყეს ტკბილად ცხოვრება. ხემწიფე რო მოკვდა, ის დაჯდა ტახტზედ. ერთხელ სთქვა: მოდი წავალ, დავივლი ჩემ ქვეყანას, იქნება რა უჭირს ხალხს, ან რა ულხინსო, რას ამბობს ჩემზედ ქვეყანაო. ჩაიცვა უბრალოდ და წავიდა. ერთ ქალაქში ჩამოიარა: ისეთი საჭმლის სუნი მოუვიდა, რომ მეტი აღარ შეიძლება. სთქვა: მე ამდენსა ვხარჯავ მზარეულებზედ, ასეთს საჭმელს ვერ მიმზადებენო. აბა ჩავალ ვნახავ, როგორ აკეთებენო. ჩავიდა ერთ სარდაფში. კაცის ხორცს ამუღუღებენ. ხემწიფემ უთხრა: მაიტათ ერთი კერძი დამისხითო. დაუსხეს. რო შეჭამა, ამ თათრებსა ჰკითხავს, ამ სარდაფში რა არისო? ახადეს და ჩააგდეს შიგა. სამი სხვა კაცი იყო იქ დამწყვდეული, ერთმა უთხრა: მე ხვალ დამკლავენო; მე ზეგაო, სთქვა მეორემ; მე მაზეგაო, სთქვა მესამემ. შენ რაკი მსუქანი ხარ, კვირას დაგკლავენო. შესწუხდა ძალიან ეს ხემწიფის შვილი. როცა ისინი დაკლეს და ჯერი იმაზედ მიდგა, ხემწიფის შვილმა უთხრა, მე იგეთ ნაბად მოვთელავ, რომ ორას თუმნათ გაყიდოთო. იმის ყიდვას ვერავინ შესძლებს, თუ არ აზ

და ამ ხემწიფის ცოლით. მოუტანეს თათრებმა მატყლი. ისეთი მშვენიერი აყვავებული ქეჩა მოთელა, რომ თვალს მოსტაცებს კაცსა. ყვავილსა და ყვავილს შუა დააწერა: ამა და ამ ქალაქში, ამა და ამ ქუჩაზედ ვარ ასეთ გაჭირვებაში, თუ ამ ორ დღეში არ მიშველით, მერე გვიანღა იქნებაო.

დაიდო თათარმა თავზედ ეს ქეჩა და მიიტანა ხემწიფის ცოლთან. გამოართვა ქეჩა, წაიკითხა ზედ, რომ ამისთანა და ამისთანა გაჭირვებაში ვარ და თუ ამ ორ დღეში არ მომეშველებით, მომკლავენო. მისცა ორასი თუმანი ხემწიფის ცოლმა და წავიდა თათარი.

ის რომ წავიდა, თვითონაც დაუძახა ჯარის კაცებს და შორი ახლოს გაჰყვა თათარსა. ხემწიფის ცოლმა შემოარტყა ჯარი ამ დუქანს და დაარიგა: მე შიგ ჩავალ და ჯამს გავტეხ როცა ხმა გაიგონოთ, მაშინვე ჩამოდითო. ჩავიდა ხემწიფის ცოლი, დაასხმეინა ერთი კერძი, შეჭამა, დაახეთქა ძირს ჯამი და გატეხა. მაშინვე ჩაიჭრნენ სარდაფში ჯარის კაცები, დაიჭირეს თათრები და სულ დახოცეს. ხემწიფე გაანთავისუფლეს და წამოიყვანეს.

ცოლმა უთხრა: აბა, ეხლა შენ რომ ხელობა არა გცოდნოდა, შენი ხემწიფობა რას გიშველიდა, დაგკლავდნენ და შეგჭამდნენო. წამოვიდნენ და იცხოვრეს ბედნიერად. ამის შემდეგ ძალიან ხელს უწყობდნენ ხელოსნობის გავრცელებას ხალხში.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

## 51 დევთაგანისა და იმისი ძმისა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი კაცი. ცოლი მოუკვდა და ერთი ქალი დარჩა. კაცმა მეორე ცოლი შეირთო. დედინაცვალმა ძალიან ამოითვალწუნა გერი. ქმარს უთხრა: თუ მე ცოლად გინდივარ, ეგ ქალი უნდა გადაღუპო სადმეო. კაცს ეცოდებოდა თავისი შვილი, მაგრამ რას იზამდა. წაიყვანა ქალი ერთ ტყეში. იქ ერთი წითელი ვაშლი იდგა. კაცი ავიდა და ის ვაშლი დაუბღერტა.

მამა ჩამოვიდა, ქალს უთხრა, შენ აკრიფე, სანამ მოვიდოდე, ერთათ მოაგროვე, მერე მოვალ და წაგიყვანო. მამა წავიდა. ქალმა მოაგროვა ვაშლი, დაჯდა და დაუწყო მამას ლოდინი. გავიდა ხანი, მაგრამ მამა აღარ მოვიდა. დარჩა ქალი მარტოკა, ზის და ტირის.

იქნა ღვთის ნება, დაორსულდა ეს ქალი და ეყოლა ერთი ვაჟი. ვინც წლით იზრდება, ის ვაჟი დღით იზრდება. რო მოიზარდა, დაიწყო მშვილდისრით ნადირობა. ნადირობს და ისე არჩენს დედასა. ეს რომ სანადიროდ დადის, ამის დედას ერთი დევი შეეჩვია. ერთხელ ნადირობიდან რო დაბრუნდა ვაჟი, დედას უთხრა: აქ სურიელის სული მომდისო.—აბა აქ სურიელს რა უნდა, შვილოვო? ბოლოს-ბოლოს გამოუჩინა ის დევი და უთხრა: ეგ მამა იქნება, შვილო, და შენ—შვილო.

დაორსულდა ეს დედაკაცი და ეყოლა ერთი ვაჟი. ამ ვაჟს დაარქვეს დევთაგანი. ვინც წლით იზრდებოდა, ის დღითა. რო გაიზარდა, დაიწყეს ძმებმა ნადირობა. ისეთი უყვარს ძმებს ერთმანეთი, რომ მეტი აღარ შეიძლება. დედამ ამოიმძულარა პირველი შვილი. მოინდომა იმისი მოკვლა. ერთხელ ისა და დევთაგანი სანადიროდ იყვნენ, ამოათხრევინა დედამ კარებთან ერთი ღრმა ორმო, ზედ ფარდაგი გადააფარა: რო მოვა, შიგ ჩავარდება. დევთაგანი გულთმისანი იყო. ნადირობიდან რო დაბრუნდნენ, დევთაგანმა ძმას უთხრა, კარებთან რო მივალთ, ჯერ მე გადავხტები და მერე შენ გადმოხტიო. ასეც მოიქცნენ. კარებთან რო მივიდნენ, ჯერ დევთაგანი გადახტა და მერე უფროსი ძმა. ასე გადარჩა სიკვდილსა.

მეორე დღეს კიდევ წავიდნენ სანადიროდ.

ცოლმა და ქმარმა ახლა სხვა ხერხი მოიგონეს. აიტანეს სხვენში ერთი დიდი ქვა, როცა სახლში შემოვა, დავცეთ და მოვკლათო.

ნადირობიდან რო დაბრუნდნენ, დევთაგანმა უთხრა ძმასა: დედაჩემს და მამაჩემს შენი მოკვლა უნდათ და ნუ გეშინიან, მე გადაგარჩენო.

სახლში რომ უნდა შესულიყვნენ, დევთაგანმა გადახვია ხელი ძმასა და ისე შეიყვანა სახლში. აბა ქვას როგორღა დასცემდნენ თავში, ხომ დევთაგანსაც დაეცემოდა, და იმათ-კი დევთაგანის მოკვლა არ უნდოდათ. ახლაც ასე გადაარჩინა ძმა.

რომ ველარაფერი მოიგონეს, ცოლმა უთხრა დევსა: წადი ტყეში, კაცად მოეჩვენე და მერე შეჭამეო.

წავიდა დევი და, როცა ძმები ნადირობდნენ, კაცად მოეჩვენა, უნდა მოიტყუილოს და შეჭამოს. დევთაგანმა უთხრა ძმასა: ეგ კაცი მამაჩემია, კაცად გვეჩვენება, შენი შეჭმა უნდაო. ვესროლოთ და მოვკლათო. ესროლეს ისრები და მოკლეს დევი.

სახლში რო დაბრუნდნენ, დევი აღარ მოვიდა. დედამ ჰკითხა: მამაშვენი ტყეში წამოვიდა და ხომ არ შეგხვედრიათო?

— როგორ არა, ჩვენ უცხო მტერი გვეგონა და მოვკალითო!

დედა უფრო გაბრაზიანდა, ახლა უფრო უნდოდა შვილის მოკვლა. ერთ დილით დედამ გააკეთა ფაფა. თავისთვის და დევთაგანისთვის კარგი დაასხა და უფროს ვაჟს-კი მოუწამლა.

დევთაგანი გულთმისანი იყო, გაიგო, რომ ძმის კერძი მოწამლული იყო. დედას უთხრა: დედა, დედა, აბა გაიხედე, რათა ირმები მოდიანო, შედი, მშვილ-ისარი გამომიტანეო. დედა რო წამოხტა მშვილდ-ისრის გამოსატანად, დევთაგანმა დედას კერძი შეუცვალა, ძმის კერძი დედას დაუდგა და დედის კერძი ძმასა. დედამ გამოუტანა მშვილდ-ისარი. დედამ შეჭამა ფაფა და მაშინვე იქვე მოკვდა. მოსწყინდათ ძმებს იმ ალაგას ცხოვრება, სთქვეს: მოდი ისრები გავკრათ და ვისი სადაც დაეცეს, იქ ვიცხოვროთო.

გაჰკრეს ისრები. უფროსი ძმის ისარი ერთი ხემწიფის ბანზედ დაეცა. წავიდა, შაირთო იმისი ქალი და დაიწყო იქ ცხოვრება.

გაჰკრა დევთაგანმა ისარი და ერთ ტყეში დაეცა. წავიდა ისიც იქ საცხოვრებლად.

ერთხელ ამ უფროსმა ძმამ ცოლსა ჰკითხა: აქ ტყე არ არის, რომ ვინადიროვო?—როგორ არ არის, მაგრამ ვინც მიდის, აღარ მოდისო. მე წავალ, არა უშავს რაო, სთქვა ვაჟმა. აიღო მშვილდ-ისარი და წავიდა. ძალიან კარგი სანადირო გამოდგა; ბევრი ნადირი დახოცა და დაისვენა. დაანთო ცეცხლი და სწვავს მწვადებს. პურის ჭამა რომ დაიწყო, მოვიდა ერთი დიდკბილება ბებერი და დაუძახა: შვილო, პატა ცეცხლი მომეციო.—მოდი და წაიღეო, დაუძახა ვაჟმა. მისცა ცეცხლი. რო გამაართო, ბებერმა უთხრა: ე მწვადებიც მომაწოდეო! მწვადებიც მისცა. ბებერმა ხელად გადაყლაპა. მერე უთხრა ვაჟსა: ე მწევრებიც მომეციო! ბებერმა ისინიც გადაყლაპა. მწევრებს რო მორჩა, ახლა თვითონ ვაჟიც გადაყლაპა და წავიდა.

დევთაგანს გულმა გაუგო, რომ ჩემ ძმას შავი დღე ადგიაო. აიღო მშვილდ-ისარი და წამოვიდა. მივიდა იმის ცოლთან. დევთაგანი ისე ჰგავს თავის ძმას, რომ ქალმა ვერ იცნო, ქმარი ეგონა და იმ ღამეს იმასთან დაწვა. ვაჟმა ხმალი დადო შუაზედ, რომ ამას აქეთ არ მოსწვეო. მეორე დღეს უთხრა რძალს, რომ მე შენი მაზლი ვარ და ჩემი ძმა სად არისო. რძალმა უთხრა, რომ ამა და ამ ტყეში წავიდა სანადიროდ და აღარ დაბრუნებულაო. ვინც წავა იქ სანადიროდ, ცოცხალი აღარავინ მოსულაო. აიღო დევთაგანმა მშვილდ-ისარი და წავიდა იმ ტყეში სანადიროდ. ინადირა ნადირი დახოცა, დაისვენა, ცეცხლი აანთო, მწვადები შეწვა და პური უნდა ჭამოს.

ამ დროს მოდის ის დევების დედა. დევთაგანს უთხრა: პატა ცეცხლი მომაწოდეო!—მოდი და წაიღეო!—მომაწოდეო! მიაწოდა. დევთაგანი გულმისანი იყო და იცოდა, რომ ამ ბებერმა ჩაყლაპა იმისი ძმა.

ბებერმა კიდევ უთხრა: ე მწვადებიც მომაწოდეო. მაშინ წამოხტა დევთაგანი და შამფური მუცელში უნდა წაეცა.

ბებერმა უთხრა: შენი ძმა მე შევჭამე, შამფურს კი ნუ შამირჭობ, გამიჭერ მუცელი და შენი ძმა იქ არისო.

გაუჭრა დევთაგანმა მუცელი და თავისი ძმა ცოცხალი გამოიყვანა. გადაეხვივნენ ერთმანეთს და დაუწყეს კოცნა.

დევთაგანმა უთხრა ძმასა: წუხელ თქვენსა ვიყავ, შენმა ცოლმა ვერ მიცნო, შენ ვეგონე და ჩემთან დაწვაო. ხმალი დავიდე შუაზეო. თუ ჩემი ფრჩხილი მიჰკარებოდეს შენ ცოლს, ამ ხმალმა დამჭრასო და დამკუწოსო.

თურმე რო დასძინებია, ფრჩხილი მოუხვედრებია რძლის კალთისთვის. მართლა დაიჭრა და დაიკუწა დევთაგანი. ტირის, ტირის ეს ძმა, თავს იკლავს.

შეესმა ღმერთს იმისი საცოდაობა. გამოგზავნა ყვავი, აბა წადი, ნახე, რა ამბავიაო. ყვავი გაძღა ლეშით და გასწია ღმერთთან: იქ არაფერი ამბავიაო! მერე გამოგზავნა ღმერთმა მტრედი. მტრედმა მოისვარა ფეხები სისხლში და ღმერთს აუტანა ამბავი, ამისთანა და ამისთანა ამბავიაო.

გამოატანა მაშინ ღმერთმა ერთი ხელსახოცი, წადი, მოუსვი და გაცოცხლდებაო. წამოიღო, მოუსვა მტრედმა და გააცოცხლა.

ამის შემდეგ დაიწყეს ძმებმა ერთად ცხოვრება, აღარ მოშორებიან ერთმანეთს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.
ელასა-მელასა
ჰიქა მეკიდა ყელასა.
მთქმელსა და გამგონებელსა
ძილი გაამოთ ყველასა!

## 52—ოსტატისა და შაგირდისა

(ვარიანტი)

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კაცი და დედაკაცი, ჰყვანდათ ერთი შვილი. როცა ბიჭი წამოიზარდა, ცოლმა უთხრა ქმარსა: წაიყვანე, მიაბარე სადმე ხელობაზედაო. წაიყვანა კაცმა ის ვაჟი სადმე ხელობაზედ შაგირდად მისაბარებლად.

ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, მივიდნენ ერთ წყაროსთან და დაისვენეს. დაიბანეს ხელ-პირი და დალიეს. მამამ რო დალია წყალი, სთქვა: „ახ, რა კაი წყალი ხარო“!

ამ დროს წყლიდან ამოძვრა ერთი კაცი და უთხრა: „აი მე გახლავარ ახრაკაი, რა გნებავს, რისთვის მეძახდით?

— მე შენ არ გეძახდით, უთხრა კაცმა, მე წყალი დავლიე და წყალს უთხარ: „ახ, რა კაი წყალი ხარო“!—მაინც სად მიხვალთ? ჰკითხა ახრაკამ. ეს შვილი მიმყავს, მინდა ხელობაზედ სადმე მივაბარო შაგირდათაო, უთხრა კაცმა.

— მოდი, მე მომაბარე, წლის თავზედ მოდი და, თუ იცან შენი შვილი, წაიყვანე, თუ ვერ იცან და—მე დამრჩებაო.—ძალიან კარგიო! ბიჭი იქ დარჩა, კაცი შინ წავიდა.

გავიდა წელიწადი. მოვიდა კაცი შვილის წასაყვანად. დალია წყალი და სთქვა: „ახ, რა კაი წყალი ხარო“! გამოვიდა ახრაკა და წაიყვანა კაცი თავის ბინაზედ. თერთმეტი შაგირდი სხვა ჰყვანდა, მეთორმეტე ის იყო. შაგირდები ყველანი ერთმანეთს ჰგვანდნენ; კაცმა ვერ იცნო შვილი, შვილმა კი იცნო მამა.

ახრაკას ერთი გასათხოვარი ქალი ჰყვანდა, ყველაზედ მეტად ქალს ის კაცის ვაჟი უყვარდა. მამა რომ მოუვიდა, ქალმა დაიბარა იმ კაცის ვაჟი და ერთი სხვა შაგირდი, დაარიგა, სადილად დასხდებით, თქვენ ერთი იქით მოუჯექით მამაშენს, ერთი აქეთ. შენ მამაშენს სავსე ჰიქა დაუსხი, შენ კიდე ნაკლულიო. მამაშენს ეგრე უთხარი, ყური გიგდოთ და მაშინ გიცნობსო. როცა გიცნობს, მამაჩემი გკითხავს: რა ისწავლე ჩემგანაო? შენ ეტყვი: შენ რა იცოდი, მე რა უნდა მესწავლაო!?

სუფრაზედ რომ დასხდნენ, შვილი სავსე ჰიქას უსხამს, ის მეორე ნაკლულსა. იცნო მამამ შვილი. ახრაკას აბა რას ესიამოვნებოდა? ბიჭსა ჰკით-

ხა: რა ისწავლეო?—შენთვის რა იცოდი, მე რა უნდა მესწავლაო! უთხრა ბიჭმა. მერე გზა დაულოცა ოსტატმა და გაისტუმრა.

წავიდნენ მამა და შვილი. შვილმა უთხრა: იარე და მოგეწევიო! მიბრუნდა ჯაგებში, იქცა ოქროს ცხვრათ, გამოვარდა, გაურბენს და გამოურბენს მამას წინა. დასდევს მამა დასაჭერად. შევარდა ისევ ჯაგებში, იქცა ისევ ბიჭათ და გამოვიდა მამასთან.

მამამ უთხრა: სად იყავ, შვილო? ერთი ოქროს ცხვარი გამოვარდა ჯაგებიდან, ვდიე, ვდიე, მაგრამ ვერ დავიჭირეო.

— ალბათ, ჩვენი იღბალი არ იყო და ვერ დაიჭირეთ!

ამ დროს თავადიშვილები მოდიან სანადიროდ. შვილმა უთხრა მამასა:

— მამა, მე ეს ხელობა ვისწავლე, რათაც მინდა ვიქცევი. ეხლა აი თავადიშვილები რომ მოდიან, მწევრად ვიქცევი და შემოგევაჭრებიან. რო გკითხონ: ჰყიდიო?— ვყიდი-თქო! დაგაფასებინონ, სამოცი თუმანი დამაფასეო. თოკი კი არ გამატანო თანაო. იქცა მწევრად, ისეთია სულ თითის ფჩხილებზედა დგება. ჩამოიარეს თავადიშვილებმა.

— კაცო, მწევარს არა ჰყიდიო?—ვყიდი, ბატონოვო!—რა ღირსო?

— სამოცი თუმანიო. მისცეს სამოცი თუმანი და წაიყვანეს. მოსამსახურეები თოკიანად ართმევდნენ. ბერიკაცი არ ანებებდა. მერე თავადიშვილებმა უთხრეს: აჩუქეთ ეგ თოკი, მაგით რა იქნებაო.

წაიყვანეს. გზაზედ ერთი კურდღელი გამოუვარდათ. გამოუდგა მწევარი, დაუჭირა და მოუყვანა. მეორეც ასე დაუჭირა. მესამეს რო დაუსიეს, შეჰყვა ტყეში, იქცა ბიჭათ, მოეწია მამას და წავიდნენ გზასა.

იარეს, იარეს და ერთი ხემწიფის სახლთან მოვიდნენ. შვილმა უთხრა მამასა: ოქროს ცხვრათ ვიქცევი, წამიყვანე და ხემწიფის კარებზედ გამატარე და გამომატარეო. გეტყვიან: როგორ აძლევო? შენ უთხარ, ას თუმნადაო. მოგცემენ, და თოკი კი თან არ გამატანოვო. მისცეს ასი თუმანი. ბიჭები თოკს ართმევდნენ, მაგრამ ხემწიფემ დაუშალა: გაუშვით, წაიღოსო. შაიყვანეს ხემწიფის სასახლეში. როცა ფეხის ხმა მისწყდა, იქცა ბიჭად და წამოვიდა. დაეწია მამას.— მე ჯორათ ვიქცევი, შენ ზედ შემჯექ და ამატარე და ჩამატარე ქალაქშიო, აღვირი-კი თან არ გამატანოვო.

გაუგია ოსტატს, რომ ჩემ შაგირდს ჩემი ხელობა გაუტანიაო, წამოვიდა, შეხვდა ამ კაცსა.

— ჰყიდი, ბერიკაცო, მაგ ჯორსაო?—ვყიდიო!—როგორ აფასებო?— სამას თუმნათაო. მისცა და გამოართვა ჯორი. აღვირს არ ანებებდა, მაგრამ ძალით წაართვა, შეჯდა, დაჰკრა მათრახი და ცას მიაკრა. კარგათ რომ მოფეთქა, თავის სახლში წაიყვანა. მიაკრა ხეზედ და დაუწყო ხმალს ლესვა, უნდა თავი მეეჭრა.

სანამ ის ხმალს გალესავს, ქალი მივიდა, წააძრო თავიდან აღვირი, იქცა ბიჭად ,და გაიქცა.

ოსტატმა ნახა, რომ ჯორი იქ აღარ ება. გამოუდგა უკან. მოიხედა ბიჭმა, ხედავს, ოსტატი საცაა დაეწევა, იქცა ვაშლად და,— ხემწიფის შვილს

ქორწილი აქვს,—ნეფეს კალთაში ჩაუვარდა. ოსტატი იქცა დანად და ვაშლში ჩაერჭო.

შაგირდი იქცა ფეტვად და გაიფანტა. იქცა ოსტატი კრუხად, დაახვია წიწილები და დაუწყეს ფეტვს კენკა.

იქცა შაგირდი ნემსად, გაუძვრა ქვეშ და წავიდა. იქცა ოსტატი ძაფად და გაეყარა ყუნწში და გაჰყვა თანა.

შაგირდმა დაინახა, მინდორში მწყემსებს ცეცხლი უნთიათ. გაიარა ნემსმა ცეცხლში და ოსტატი ცეცხლში დაიწვა.

იქცა ვაჟად და წამოვიდა. მოვიდა ოსტატის სახლში. ქალს უთხრა: შენ იმდენი სიკეთე მიყავი, რომ მე ვერაფრით გადავიხდიო, შენ და იყავ და მე—ძმაო.

—არაო, ქალმა უთხრა: შენ—ქმარი და მე—ცოლიო. ძალიან გაეხარდა. შეირთო ცოლად. დანარჩენი შაგირდები ყველა თავ-თავის სახლში გაგზანა. რაც ქონება ჰქონდათ, წაიღეს თან, დაიწერეს ჯვარი და დაიწყეს ტკბილად ცხოვრება.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

## 53.—დაკლული შვილი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ცოლი და ქმარი. ჰყვანდათ ერთი ქალი და ერთი ბიჭი. ქალი სკოლაში დაიარებოდა, ვაჟი პატარა იყო, შინა რჩებოდა დედ-მამასთან. ერთხელ დედ-მამას აღარაფერი ჰქონდათ, რომ ეჭამათ. მამამ უთხრა დედას: მოდი დავკლათ ჩვენი ბიჭი, მოვხარშოთ და ვჭამოთო.

—მე-კი ვერ დავკლავ და, თუ გინდა, შენ დაკალიო! უთხრა ცოლმა ქმარსა.

დაკლა მამამ ვაჟი; მოხარშეს და ჭამეს, ქალსაც შეუნახეს.

მოვიდა ქალი სკოლიდან.—ჩემი ნაწილი კერძი სად არის, დედილოვო?

—წადი, შვილო, კერის უკან არის, ამოიღე და ჭამეო!

მივიდა ქალი, ამოიღო და უნდა ჭამოს. ამოურია და თავის ძმის ხელები-კი ამოუჩნდა. წაიღო და ისევ კერის უკან ჩაასხა.

კერის უკან რომ ჩაასხა, ის ხელები ჩიტად იქცა, ბანზედ დაჯდა და ამბობდა:

მამისაგან დაკლული ვარ,
დედისაგან შეჭმული ვარ!
დისაგან საყვარელისგან
კერის უკან ჩასხმული ვარ!
ჩიტათ ნაქცევი, ბანზედ ნაჯდომი!.
ჭივ! ჭივ! ჭივ! ჭივ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეზურნემ ჩამოიარა, გაიგონა ჩიტის სიტყვები დაუთხრა: ერთი კიდევ თქვი, შენს გახარებასაო!

— ჯერ ეგ ზურნა მაჩუქე და მერე ვიტყვიო.

— ეს რომ შენ გაჩუქო, მე რაღა დამრჩესო.

მაინც მისცა ზურნა. ჩიტმა დაიძახა:

მამისაგან დაკლული ვარ!
დედისაგან შეჭმული ვარ!
დისაგან საყვარელისგან
კერის უკან ჩასხმული ვარ!
ჩიტათ ნაქცევი, ბანზედ ნაჯდომი!
ჭივ! ჭივ! ჭივ! ჭივ!

ჩამოიარა ნეფემ. მოჰყავს პატარძალი.

— ჩიტო, ეგ ზურნა მე მომეციო. ჩიტმა არ მისცა. ნეფემ დააჭერინა და შეჭამა. ჩიტი მუცლიდან გამოიძახის:

ნათელში ვიყავ, ბნელში ვარ!
ჭივ! ჭივ! ჭივ! ჭივ!

ნეფემ უთხრა მხლებლებს: როცა გამოვიდეს, დაჰკარით ხმალი და გააგდებინეთ თავიო! გამოვარდა ჩიტი, დაუქნიეს ხმალი და ნეფეს დუმა-კი დააკეფეს.

გამოფრინდა ჩიტი და იძახდა.

ეს რა უყვეს ნეფესა.
დუმა ჩააკეფესაო!

—

ქატო იქა, ფქვილი აქა.
ჭირი იქა, ლხინი აქა.

## 54 — ერთი რუსისა და მიქელ-გაბრიელისა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი რუსი. ზურგზედ ერთი გუდა ეკიდა, დადიოდა და იძახოდა: „სადაც თეთრი ფულებია, სულ ჩემ გუდაშიაო!" დადიოდა და სულ ლოთობდა და სომდა.

ერთხელ ძალიან დაითრო, დაიჭირეს და ერთ სახლში შეაგდეს; იქ ეშმაკები თურმე იყვნენ. ეშმაკებს გაეხარდათ: ახლა-კი ჩვენ ხელში ჩავარდა რუსიო!

რუსს რო გამოეღვიძა, მიიხედ-მოიხედა, ჰხედავს ეშმაკები ახვევიან.— ახლა კი მე ვიციო! ეშმაკებს დაუყვირა: ეშმაკებო, ჩემ გუდაშიო! ესა სთქვა და ყველა იმის გუდაში მოემწყვდა. მოჰკრა გუდას პირი და წამოასხა წყლის პირზედ, ზოგს თავში სცემს, ზოგს წიხლს აზელს. ასეთია ეშმაკები, სულ ჭყვიტინი გააქვთ. მოიტანა წყალთან, მოხსნა გუდას და სულ წყალში გადაყარა.

უფალმა უბრძანა მიქელ-გაბრიელს, წადი და ის რუსი მოკალიო.

მოვიდა მიქელ-გაბრიელი, უნდა მოეკლა რუსი, მაგრამ იმდენს ეხვეწა, ეხვეწა და არ მოეკლევინა. ადგა და ცოცხალი წაიყვანა მიქელ-გაბრიელმა უფალთანა.—იქაც მეჯავრებოდა და შენ აქ მომიყვანეო?! გაუწყრა უფალი მიქელ-გაბრიელსა.—ძალიან შემეხვეწა, ნუ მომკლავო, მეც შემეცოდა და აქ ამოვიყვანეო. რაღა იქნებოდა, დასტოვეს იქ რუსი.

ერთხელ ღმერთმა უბრძანა რუსსა: წადი და მიქელ-გაბრიელს უთხარი:

— რაც ბებერი კაცებია, სულ დახოცეო. რუსი ძაან ემტერებოდა მიქელ-გაბრიელს, უნდოდა როგორმე იმისი ჯავრი ამოეყარა და უფლის დაბარებული ასე უთხრა: უფალმა შემოგითვალა, წადი და, რაც ბებერი ხეები იყოს, სულ ისინი ღრღენიო!

წავიდა მიქელ-გაბრიელი, ღრღნა და ღრღნა ბებერი ხეები, სულ ღრძილები გადიღლიტა. მერე უბძანა უფალმა რუსსა: წადი და მიქელ-გაბრიელს უთხარი: „წადი და, რაც ახალგაზდა კაცები იყოს, სულ დახოცეო.“

რუსი წამოვიდა და უთხრა: წადი და, რაც შუათანა ხეები იყოს, სულ ისინი ღრღენიო! წავიდა მიქელ-გაბრიელი, სულ კბილები დაიმტვრია.

მერე კიდევ უბძანა უფალმა რუსსა: წადი და მიქელ-გაბრიელს უთხარ, რაც ქვეყანაზედ ყმაწვილებია, სულ დახოცეო.

წამოვიდა რუსი, მიქელ-გაბრიელს უთხრა: უფალმა ასე გიბძანა: წადი და, რაც წკეპლები იყოს, სულ ისინი ღეჭეო!

მიქელ-გაბრიელი ისეთია, აღარ იცის რა ქნას.—ახ უფალო, რა დაგიშავე მაგისთანა, რომ მაგეთი სასჯელი მომაყენეო?!

უფალმა უბძანა რუსსა: წადი და მიქელ-გაბრიელს დაუძახეო. მოვიდა მიქელ-გაბრიელი. უფალი ძალიან გაურისხდა: მე გიბძანე, რაც ქვეყანაზედ ბებერი კაცები იყოს, სულ დახოცეო, და ისინი ისევ ისე დაიარებიანო. მერე ახალგაზდა კაცებისა და ყმაწვილებისა გითხარ და ისინიც სულ ცოცხლები არიან, რათ მოიქეც მაგრეო?!

— რა ვიცი, შე დალოცვილო, რუსი გამოგეგზავნა, იმან მითხრა, ხეები ღრღენიო, და მეც სულ ღრძილები გადავიღლიტე და კბილები დავიგლიჯეო.

ღმერთმა უბძანა მიქელ-გაბრიელს, ეცადე, როგორმე კუბოში ჩაიტყუო, დავლურსმოთ და თავიდან მოვიშოროთ, თორემ ეგ არ მოგვისვენებსო.

წაიყვანა მიქელ-გაბრიელმა რუსი, გააკეთეს კუბო. მიქელ-გაბრიელმა უთხრა რუსსა: აბა ჩაჯექ, მოკლე მოვა თუ გძელიო?—არა, ჯერ შენ ჩაჯექ, ვნახო, როგორ უნდა, და მერე მე ჩავჯდებიო, უთხრა რუსმა. მოტყუვდა მიქელ-გაბრიელი; ჩავიდა თუ არა კუბოში, დაავლო კუბოს თავს რუსმა ხელი, დააფარა ზემოდან, დალურსმა, მოიკიდა, წაიყვანა და საფლავში ჩააგდო.

უფალმა ჰკითხა რუსსა: სად არის, რუსო, მიქელ-გაბრიელიო?—კუბოში ჩავსვი, ლურსმები დავკარ და საფლავში ჩავაგდეო.

ღმერთმა უბძანა ანგელოზებს: წაიყვანეთ და სამოთხის შორი-ახლო გადააგდეთო! წაიყვანეს და გადააგდეს.

იმდენი იხოხა ამ რუსმა, რომ სამოთხეში შეხოხდა. წაართვა სხვას ვარდი და თვითონ დაიჭირა.

ჰირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა!

# 55—ბოჭოჭინასი და იმისი შვიდი ძმისა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყვნენ შვიდნი ძმანი. უმცროსს ერქვა ბოჭოჭინა. ცოლები უნდა შეერთოთ, წავიდნენ საცოლოების საძებნელად. ერთი დიდი მთა გადაიარეს და ერთ დევს შეხვდნენ.

— გამარჯვება!—გაგიმარჯოთ!—სად მიდიხართო?

— შვიდი ძმა ვართ, შვიდი ქალი გვინდა, რომ ცოლებათ შევირთოთო.

— მე მყავს შვიდი ქალი, წამოდით და მოგათხოვებთო! უთხრა დევმა.

— შენი არაფერი გვინდაო! უთხრეს ძმებმა, გასცდნენ და წავიდნენ.

იარეს, იარეს და ერთი დიდი მთა გადაიარეს. ისევ ის დევი შემოხვდათ წინა.

— გამარჯვებათ! გაგიმარჯოს!—სად მიდიხართ?—შვიდნი ძმანი ვართ და შვიდი ქალი გვინდა, უნდა ცოლებად შევირთოთო.—მე მყავს შვიდი ქალი, წამომყევით და მე მოგათხოვებთო.—არა, შენი არ გვინდაო! გასცდნენ და წავიდნენ.

ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, ერთი დიდი მთა გადაიარეს. შეხვდათ ისევ ის დევი.—გამარჯვებათ!—გაგიმარჯოთ!—სად მისდიხართ? რა გინდათო!—შვიდნი ძმანი ვართ და შვიდი ქალი გვინდა, უნდა ცოლებათ შევირთოთო.—მე მყავს შვიდი ქალი, წამოდით და მე მოგათხოვებთო.

ძმებმა სთქვეს: გავყვეთ. იქნება ჩვენი იღბალი ის იყოსო. იარეს, იარეს და მოვიდნენ იმ დევის სახლში. დევმა ვახშამი აჭამა და დააძინა. ყველამ დაიძინა ბოჭოჭინას მეტმა. დევსაც არ ეძინება, ლოგინში ტრიალებს. ბოლოს წამოდგა დევი და დაიძახა: ვისა გძინავთ და ვისა გღვიძავთო?

— მე მღვიძავსო, დაუძახა ბოჭოჭინამ.

— რა არ გაძინებსო! ჰკითხა დევმა.

— შენი კამეჩების ბოყინიო.

ადგა დევი და სულ გასწყვიტა კამეჩები. დაწვნენ. ბოჭოჭინას არ დაეძინა. დევი იფიქრებს, ახლა-კი დაეძინებოდა ბოჭოჭინასაო. ადგა და დაუძახა:—ვისა გღვიძავთ და ვისა გძინავთო?—მე არა მძინავსო! ეტყვის ბოჭოჭინა.—რა არ გაძინებსო?—შენი ძროხების ბღავილიო!

ადგა დევი და სულ გასწყვიტა ძროხები ერთ გარდა. ეს ძროხა ერთი ძუძუდან ერბოს იწველიდა, მეორეთი რძეს, მესამეთი კარაქს და მეოთხეთი მაწონს. დაწვნენ. ბოჭოჭინას კიდე არა სძინავს ადგა დევი და დაიძახა: ვისა გძინავთ და ვისა გღვიძავთო?

— მე არა მძინავსო! უთხრა ბოჭოჭინამ.—რა არ გაძინებსო? ჰკითხავს დევი.—შენი ქათმების ჭყივილიო. ადგა დევი და სულ თავები წაგლიჯა ყველასა. დაწვა დევი. ადგა ბოჭოჭინა. ძმებიააყენა, დევის ქალების საწოლში დააწვინა, დევის ქალები კიდე ძმების ნაწოლში დააწვინა. როცა ხანი გადავიდა, დევმა დაიძახა: ვისა გღვიძავთ და ვისა გძინავთო? ბოჭოჭინამ იტვრინა, ვითომ სძინავს, აღარ ამოიღო ხმა. მივიდა დევი და ძმების გონებლივ

თავის ქალებს-კი დასჭრა ყელები. წავიდა და დაიძინა. დევმა რო დაიძინა, ბოჰოჰინა ადგა, გააღვიძა ძმები, წამოიყვანეს დევის ძროხაც.—ჩქარა წავიდეთ, ძმებო, ეუბნება ბოჰოჰინა, თორემ თუ დევი დაგვეწია, ყველას დაგვჭამსო.

მეორე დილით გამოეღვიძა დევს. ეძახის თავის ქალებს: ადექით, ცეცხლი აანთეთ, ერთი ბოჰოჰინა და იმისი ძმები მოვხარშოთო. ქალები არ იღვიძებენ. მივა, ნახავს დევი, რომ თავის ქალებისთვის გამოუჭრია ყელები. ბოჰოჰინა და იმისი ძმები-კი მშვიდობით წასულან და დევის ძროხაც თან წაუყვანიათ. გაბრაზებული გამოუდგა. ის იყო, გავიდნენ ბეწვის ხიდზედ, რომ მოვიდა დევიც.

— აი, ბოჰოჰინავ, შენი იღბალი, რომ გამასწარიო! აღარ მოხვალო?—ისე მოვალ, როგორც სიძე ბატონიო! დაუძახა ბოჰოჰინამ.

ბოჰოჰინა ხემწიფეს დაუდგა მოჯამაგირედ. ხემწიფეს გაგონილი ჰქონდა ბოჰოჰინას ეშმაკობა. ერთხელ უბძანა: ბოჰოჰინა, უნდა წახვიდე და, იმ დევს რომ ხალიჩა აქვს, ის უნდა მომიტანოვო.

ბოჰოჰინამ მოახსენა: ნემსი და მახათი მიბოძე და მე სხვა არაფერი მინდაო. მისცა ხემწიფემ ნემსი და მახათი. წავიდა ბოჰოჰინა, შეძვრა დევის ლოგინ ქვეშ და სჩხვლეტავს გვერდებში. ისეთია ეს დევი, სულ შამფურივითა ტრიალებს. ბოლოს რო შესწუხდა, სთქვა, ეს ოხერი რწყილები ძალიან იკბინებიან, თუ ეს ხალიჩა აივანზედ არ გავიტანეო. ადგა, გამოიტანა და გადმოჰკიდა ბალკონზედ. ბოჰოჰინასაც ეს უნდოდა,—მოიკიდა და მოძუძგა.

გამოეღვიძა დევს, ნახა, აღარ არის ხალიჩა, ამას ბოჰოჰინა მოიპარავდაო. წამოხტა და გამოუდგა გაბრაზებული.

ის იყო ბეწვის ხიდზედ გაირბინა ბოჰოჰინამ, დევი რომ დაეწია.—ეგეც მიყავი, ბოჰოჰინაო? დამაცადე შენაო. ხომ კიდევ მოხვალო?!—ისე მოვალ, როგორც სიძე ბატონიო, მიაძახა ბოჰოჰინამ.

წაიღო და ხემწიფეს მიართვა. ხემწიფე ისეთია, უხარიან,—ეს რა ყოჩაღი ბიჭი გამოდგა ეს ბოჰოჰინაო! ხემწიფემ უთხრა ბოჰოჰინას: დევს რომ ერთი ქვაბი აქვს, თუ ბიჭი ხარ, უნდა ის მომიტანოვო.

ბოჰოჰინამ მაახსენა: ერთი ქვა მიბოძე და შენი სხვა არაფერი მინდაო. მისცეს ერთი ქვა და წამოვიდა. შეძვრა დევის ტახტ ქვეშ და იწყო კაკუნი. —შენა ხარ, ბოჰოჰინა, განა? შესძახა დევმა. ახლა კი ვეღარსად წამიხვალ, უნდა შეგჭამოვო. ბოჰოჰინამ უთხრა: ე ხო შემჭამ და შემჭამ, ვეღარაფერი მიშველის, მაგრამ ეს სიტყვა ამისრულე,—კარზედ რომ დიდი ბოძია, იმ ბოძზედ დამაბი და ქვეშ შენი ქვაბი დამიდგი, ამაღამ ქონით ავავსებ, და დილაზედ შემჭამეო. დევმა დაუჯერა,—ხორცი ხორცად იქნება და ქონი მეტიო. გაიყვანა და დააბა. ძირს ქვაბი დაუდგა. იმ ღამეს დაიხსნა ხელები ბოჰოჰინამ, გაინთავისუფლა თავი, წამოიკიდა დევის ქვაბი და გამოაქცუნა. გამოეღვიძა დევს მეორე დღეს.—ახლა კი ჯავრს ამოვიყრი ბოჰოჰინასაო. ნახა, აღარც ბოჰოჰინაა და აღარც დევის ქვაბი. გამოეკიდა, სწორეთ ბეწვის ხიდთან დაეწია.

— აი ეგეც მიყავი, ბოჰოჰინაო?! ერთი ხომ კიდევ მოხვალო?

— ისე მოვალ, როგორც სიძე ბატონო!

მოუტანა ბოჰოჰინამ ხემწიფეს ქვაბი. ხემწიფეს ისეთი უხარიან, რომ აღარ იქნება. გავიდა ხანი.

ხემწიფე ამით აღარ დაკმაყოფილდა: ბოჰოჰინა, უნდა წახვიდე და თვითონ დევიც აქ უნდა მომიყვანოო. შეფიქრიანდა ბოჰოჰინა, მაგრამ აბა უარს როგორ ეტყვის? ხემწიფეს უთხრა: მომეცი სადურგლო იარაღი და მე ვიციო. მისცეს კვერი, ხელეჩო, ხერხი, რაც საჭირო იყო.

მოვიდა ბოჰოჰინა დევთან. დევი კიდობანს აკეთებდა.—მაიტა, მე გავიკეთოო, უთხრა ბოჰოჰინამ. გააკეთა ბოჰოჰინამ ერთი კიდობანი.—აბა ჩაჯექ, გატეხავ თუ ვერაო? უთხრა დევსა. ჩაჯდა დევი, გამოსწია და დაამტვრია. მეორე გააკეთა, დევმა ისიც დაამტვრია. გააკეთა მესამე ძალიან მაგარი. დევი რო ჩაჯდა, დაახურა თავი და დალურსმა. მოსდო თოკი, წამოიკიდა და წამოიღო. ისეთია ეს დევი, იწევს, მაგრამ რას იზამს! ბევრი იბრძოლა, მაგრამ ვერ გატეხა. მიაქვს ბოჰოჰინას. უსკდება დევს გული. დევმა უთხრა ბოჰოჰინას: ბეწვის ხიდზედ რო მიმიტანო, გამაგებინეო. უნდა, რომ ბოჰოჰინა გადააგდოს. როცა გასცდა ბოჰოჰინა ბეწვის ხიდს, მაშინ უთხრა დევს: აი ეხლა ვართ ბეწვის ხიდზედაო. გაიწ-გამოიწია დევმა, მაგრამ სად გადააგდებდა, ბეწვის ხიდი-კი არსად იყო!

მოუყვანა ხემწიფეს დევი. ხემწიფეს უთხრა: ერთი დიდი კიბე მომეციო. მისცეს. მიიღო და ერთ მაღალ კოშკზედ ავიდა და კიბეც იქ აიტანა. მერე დაუძახა ხემწიფეს: აი ახლა ახადეთ კიდობანსაო!

ახადეს კიდობანს, ამოხტა გაბრაზებული დევი, დაერია, ხემწიფეც გადაყლაპა, ნაზირ-ვეზირიც და ჯარი-ჯამაათიც. ეძებს ბოჰოჰინას. ბოჰოჰინა არხეინად ციხის წვერზედ ზის. იმისი ჯავრი სჭირს, უნდა შეჭამოს როგორმე.

— როგორ ახვედი მანდ, ბოჰოჰინაო?

— როგორ ავედი და მოვაგროვე დიდი ძალი თივა, მოუკიდე ცეცხლი, შიგ შევხტი და ალმა ამომიტაცა აქაო. გაიქცა დევი, მიზიდა იმდენი თივა, სულ მთელ-მთელი ძირები მიჰქონდა, დაყარა, მოუკიდა ცეცხლი, გადახტა შიგ და დაიწვა.

ჩამოვიდა ბოჰოჰინა, ხემწიფობა იმას დარჩა, მოიყვანა ძმებიც და იცხოვრეს ერთად ბედნიერად.

ჭირი იქა, ლხინი აქა.
ქატო იქა, ფქვილი აქა.

# 56 ნაზიჭვრიშვილისა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი სოფელი. ამ სოფელში ერთი მეტად დიდი ხე გაიზარდა, ისე რომ მთელ სოფელს ჩრდილავდა. იმის ჩრდილის

გამო აღარაფერი მოსავალი აღარ მოდიოდა. შეღონდა სოფელი და სთქვა, ეს ხე თუ არ მოვჭერით, აქ აღარ გვეცხოვრებაო. წავიდა სოფელი, სჭრეს, სჭრეს და ვერ მოსჭრეს. დაღამდა,—გათენდა, ისევ ისე გამთელებულა ეს ხე. ასე დღე სჭრიდნენ და ღამე ისევ მთელდებოდა.

რაკი ვეღარაფერს გახდა სოფელი, წავიდნენ ხემწიფესთან და მოახსენეს, რომ ჩვენ სოფელში იმისთანა ხე გაიზარდა, რომ ყველაფერსა ჩრდილავს, ვჭერით და ვერ მოვჭერითო. გვიშველე რამეო.

ხემწიფემ დაიბარა მთელი ხალხი და იმ ხის ქვეშ მოაგროვა, აბა ვის შეგიძლიანთ ამ ხეზედ ასვლაო? ვერავინ ვერ გაბედა.

ბოლოს ხემწიფემ იკითხა: ყველანი აქ არიან, აღარავინ აკლიაო? ხალხმა უთხრა: არავინ არ დარჩა, მარტო ერთი ნაბიჭვრიშვილიღააო.

— გასწით, ისიც მოიყვანეთო! უბძანა ხემწიფემ.

წავიდნენ და მოიყვანეს. ავიდა ნაბიჭვრიშვილი და ნახა, რომ ხის კენწერში ერთი საყდარია. შევიდა საყდარში და კარებს უკან დაიმალა.

მოვიდა ერთი მტრედი და შამოჯდა საყდარზედ. მიეპარა ეს ბიჭი, სტაცა ხელი და დაიჭირა. მტრედმა უთხრა: შენ რა სულიერი ხარო?—მე ნაბიჭვრიშვილი ვარ და ხემწიფემ ამომგზავნა, გავიგო, რა არის ამ ხის კენწეროზეო.

— გამიშვიო, შეეხვეწა მტრედი, მაგრამ ნაბიჭვრიშვილმა არ გაუშვა. წამოიყვანა თავისთან. იქცა მტრედი ქალად, ისეთია, რო იმაზედ ლამაზი ქვეყანაზედ არავინ იქნება. ვაჟმა უთხრა: ღარიბი ვარ, მაგრამ თუ შენი ნება იქნება, შენ—ცოლი და მე—ქმარიო!—ძალიან კარგიო!

ქალმა ინატრა: ღმერთო და ღვთის მადლო და ძალო, ისეთი სახლები დადგი ამ ადგილას, რომ ხემწიფესაც არა ჰქონდესო! მაშინვე ისეთი სახლები დაიდგა, რომ ხემწიფეს არც კი ენახა, განამდაც თუ ჰქონოდა.

ერთხელ ნაბიჭვრიშვილმა უთხრა ქალსა: ხემწიფის დაპატიჟება მინდა და რას იტყვიო. ქალმა უთხრა: თუ შენი თავისთვის კარგი გინდა, ნუ შეეცდები მაგ საქმესაო.

ვაჟმა არ გაუგონა და დაჰპატიჟა ხემწიფე. მოვიდა თუ არა ხემწიფე, შეხედა ამ სახლებსა და სთქვა: ეს ბიჭი ისეთი ღარიბი იყო, რომ მჭადის ლუკმაც ენატრებოდა, და ამისთანა სახლები ვინ მისცაო?! შეიწვიეს ხემწიფე დააბძანეს მშვენიერ ხალიჩაზედ. გაშალეს სუფრა. გადასწერა პირჯვარი ქალმა და იგეთი საჭმელები გაიშალა, რომ ხემწიფეს თავის დღეში არ ენახა.

ხემწიფეს ძალიან შეშურდა, გაბოროტდა, ადგა და პურ-უჭმელი წავიდა შინა. მივიდა სასახლეში და უბძანა მოსამსახურეებს: წადით და აქ მოიყვანეთ ნაბიჭვრიშვილიო. წავიდნენ მოსამსახურეები და მოიყვანეს ნაბიჭვრიშვილი.

ხემწიფეს უნდოდა იმისი ცოლი თვითონ დარჩენოდა და მიზეზი მოუდო: თუ იგეთ ქვაბ მოიტან, რომ იმაში მოხარშული ხორცი ჩემმა საყმოსაბადებელმა სჭამოს და ნახევარი ისევ დარჩეს, მაშინ შენი ცოლი შენ დაგრჩეს, თუ არა და—მეო.

ნაბიჭვრიშვილი წამოვიდა სახლში დაღონებული. მივიდა თავის ცოლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან და ეუბნება: ნეტავ გამეგონა შენი სიტყვა და ხემწიფე არ დამეპატიჟნა!

— მაინც რა გითხრა? ჰკითხა ქალმა.

— ხემწიფემ მითხრა, თუ იგეთ ქვაბ მოიტან; რომ იმაში მოხარშული საჭმელი ჩემმა საყმო-საბადებელმა ჭამოს და ნახევარი ისევ დარჩეს,— შენი ცოლი შენ დაგრჩეს, თუ არა და — მეო.

— ნუ გეშინიანო, უთხრა ცოლმა, ადი იმ ხეზედ, საიდანაც მე ჩამომიყვანე, და დაიძახე: ჩემო სიდედრო და სიმამრო! თქვენმა ქალმა გამომგზავნა, თქვენ რომ პაწკია ქვაბი გაქვთ, გამოგზავნეთო, და შენ კი გამობრუნდი.

წავიდა ვაჟი, ავიდა იმ ხეზედ და დაიძახა: ჩემო სიდედრო და სიმამრო, თქვენმა ქალმა გამომგზავნა, პაწკია ქვაბი რო გაქვთ, გამომიგზავნეთო, და გამობრუნდა. გათენდა თუ არა, ქვაბი იმის სახლში იდგა. აილო და წაილო ხემწიფესთან. გააკეთებინა საჭმელი ხემწიფემ, აჭამა თავის საყმო-საბადებელს და ნახევარი კიდე დარჩათ.

კიდევ მოუმიზეზა ხემწიფემ: იგეთი ყარფუზი მოიტანე, რომ ჩემმა საყმო-საბადებელმა ჭამოს და ნახევარი ისევ დარჩესო.

წამოვიდა ვაჟი დაღონებული. დაფიქრებული რო ზის, ცოლმა ჰკითხა, რამ დაგაღონაო? ვაჟმა უთხრა: ხემწიფემ მიბძანა, იგეთი ყარფუზი უნდა მომიტანო, რომ მთელმა საყმო საბადებელმა ჭამოს და ნახევარი ისევ დარჩესო.— ნუ გეშინიანო! უთხრა ცოლმა: ადი იმ ხეზედ, საიდანაც წამომიყვანე, დაიძახე: ჩემო სიმამრო და სიდედრო! თქვენმა ქალმა გამომგზავნა, მანდ რომ პატარა გოგრაა, ის გამომიგზავნეთო, და ფიცხლავ გამობრუნდიო. ავიდა ნაბიჭვრიშვილი იმ ხეზედ და დაიძახა: ჩემო სიმამრო და სიდედრო, თქვენმა ქალმა გამომგზავნა, მანდ რომ პატარა გოგრაა, ის გამოგზავნეთო, და იმ წამს გამობრუნდა. გათენდა მეორე დღე და სახლში-კი დახვდა. აილო და წაულო ხემწიფესა. ხემწიფემ აჭამა თავის საყმო-საბადებელს, მაგრამ ნახევარი ისევ დარჩათ.

ხემწიფეს უთხრა თავისმა ცოლმა: იგეთი მოუგონე რამ, რომ ვერ აგისრულოსო.— აბა იგეთი რა მოვუგონოთ?

— ის მოუგონეო, რომ მამაჩემს საიქიოს ბეჭედი გაჰყვა და შვიდი დღის განმავლობაში მამიტანეო.

ხემწიფემ დაიბარა ნაბიჭვრიშვილი და უთხრა: მამაჩემს საიქიოს ერთი ნატვრის ბეჭედი გაჰყვა, ის მომიტანე შვიდი დღის ვადითაო!

მოვიდა შინ დაღონებული ნაბიჭვრიშვილი. ცოლმა ჰკითხა: რამ დაგაღონაო?— ხემწიფემ ასე მითხრა: საიქიოს მამაჩემს ნატვრის ბეჭედი გაჰყვა, თუ შვიდი დღი' განმავლობაში იმ ბეჭედს მომიტან, შენი ცოლი შენ დაგრჩეს, თუ არა და — მეო! ცოლმა უთხრა: აკი გითხარ, ნუ დაჰპატიჟებ, თორემ ინანებო. აბა ეხლა რაღა ეშველებაო. მაინც ნუ გეშინიან, ადი იმ ხეზედ, საიდანაც მე წამომიყვანე, და დაუძახე ჩემ დედ-მამას: ჩემო სიმამრო და სიდედრო, თქვენმა ქალმა გამომგზავნა, მანდ რომ პატარა კვიცია, გამომიგზავნეთო, და იმ წუთას გამობრუნდიო.

წავიდა ნაბიჭვრიშვილი, ავიდა იმ ხეზედ და დაიძახა: ჩემო სიმამრო და

სიდედრო! თქვენმა ქალმა გამომგზავნა, მანდ რომ პატარა კვიცია, ის გამომიგზავნეთო! და გამობრუნდა მაშინვე.

მეორე დილით ცხენი უკვე მზად იყო. შეჯდა ნაბიჭვრიშვილი და წავიდა. იარა, იარა და მიადგა ერთ ყორულს: იდგა შიგ ერთი ხარი და ბღაოდა. ვაჟმა ჰკითხა: მაგოდენა ბალახია, შიგ იმალები და რატომ არა სუქდებიო?!—ამვლელი ბევრი მინახავს და ჩამომვლელი-კი არაო. გაიარე და როცა გამოივლი, მაშინ გეტყვიო.

ვაჟმა იარა, იარა და მიადგა ერთ რიყეს. შუა რიყეში ისეთი მსუქანი ხარი სდგას, რომ მადლია იმისი შეხედვა. ხარს უთხრა, აგე იქ ყორულში ერთი ხარი სიგამხდრით ლამის მოკვდეს, თუმცა ბალახი თავზედ საყრელი აქვს, და შენ-კი ცარიელ რიყეზედ ასე მსუქანი ხარო. რამ გაგასუქა მაგრეო?—ამვლელი ბევრი მინახიაო, უთხრა ხარმა, და ჩამომვლელი-კი არაო; გაიარე, გამოიარე და მაშინ გეტყვიო. გასცდა ამასაც ვაჟი და წავიდა.

იარა, იარა და მიადგა ერთ თონეს. თონეზედ ორი დედაკაცი იდგა და აცხობდნენ პურსა. ერთი იდგა და ყვიროდა: „პური მშიან, პური მშიანო“! ვაჟმა უთხრა: პურს აცხობ და რაღას იძახი, მშიანო! ეგე პური და ჭამეო! ეგ როგორ არის შენი საქმეო?—გავლილი ბევრი მინახავს და გამომვლელი-კი არავინაო, უთხრა დედაკაცმა, გაიარე, გამოიარე და მაშინ გეტყვიო!

იარა ვაჟმა, იარა და მიადგა ერთ ადგილს. ერთ კამეჩის ტყავზედ ერთი ცოლ-ქმარი იწვნენ და ეჩხუბებოდნენ ერთმანეთს, იქით მიიწიეო! ვაჟმა ამათაც ჰკითხა: როგორ არის თქვენი საქმე, რომ ერთ კამეჩის ტყავზედ სწეხართ და კიდე ვერ ეტევითო?—გამვლელი ბევრი გვინახია, გამომვლელი-კი არაო, უთხრეს ცოლ-ქმარმა. წადი, გაიარე, გამოიარე და მერე გეტყვითო.

იარა, იარა ვაჟმა და ნახა, რომ ერთ ცულის ტარზედ ერთი ცოლ-ქმარი წევს და კიდევ ადგილია დანარჩომებული. ვაჟმა იმათაც ჰკითხა: ეგ როგორ არის, რომ აგე იქ გამოვიარე, ერთი ცოლ-ქმარი კამეჩის ტყავზედ წვანან და კიდე ვერ ეტევიან, და თქვენ ცულის ტარზედ სწეხართ და კიდე ადგილი გაქთ დანარჩომებულიო?—გამვლელი ბევრი გვინახია და გამოვლელი კი არა, უთხრა ცოლ-ქმარმა, გამოიარე და მაშინ გეტყვითო.

იარა, იარა და მიადგა ერთ ღრატეს. თურმე სამოთხეში შემსვლელმა ეს ღრატე უნდა გაიაროს. დაღონდა ვაჟი, როგორ უნდა გადავიდეო. ცხენმა უთხრა: ნუ გეშინიანო. ერთი ისეთი დამკარ, რომ სამი შოლტი ტყავი აძძვრეს და სამი პირი ტყავი შენ ხელებიდანაო. გადაჰკრა ვაჟმა მათრახი, აფრინდა ცხენი და მივიდა სამოთხის კართან. ჩამოვიდა ვაჟი, გამოაძრო რაშს ძუა და გაუშო.

წავიდა სამოთხეში და დაუწყო ხემწიფის მამას ძებნა და იპოვნა. ნაბიჭვრიშვილმა მაახსენა: შენმა შვილმა გამოგზავნა, მამაჩემს საიქიოს ერთი ნატვრის ბეჭედი გაჰყვა და ის მომიტანეო.

ხემწიფის მამამ მიუგო: ასე უთხარ ჩემ შვილსა, არ მოგასვენა ღმერთმათქო, მანდ ვიყავ, შენგან მოსვენება არა მქონდა და არც აქ მასვენებთქო? მისცა ერთი მუჭა ფეტვი და უთხრა: ეს ფეტვი შააყარე და უთხარი:

შენ იქეცი კურდღლად და შენი ნაზირ-ვეზირები მწყემსებად, გამოგიდგნენ, დაგიჭირონ და შეგჭამონო.

გამობრუნდა ნაბიჭვრიშვილი, გამოხსნა ცხენის ძუა და რაში იმ წამს იქ დაიბადა. გადააჯდა და გამოსწია. იარა, იარა და მიადგა იმ ადგილს, ცოლ-ქმარი რო ცულის ტარზედ იწვნენ. იმათ უთხრეს: ჩვენ იმ ქვეყანაშიაც გვიყვარდა ერთმანეთი, უერთმანეთოდ ვერც იქა ვძლებდით და აქაც ასე ვართო.

იარა, იარა და მივიდა იმ ადგილს, ცოლ-ქმარი რომ კამეჩის ტყავზედ იწვნენ და კიდე არ ეტეოდნენ. ვაჟმა ჰკითხა: აბა ეხლა მითხარით, რათა ხართ მაგრეო?—ჩვენ იმ ქვეყანაშიაც ერთმანეთი გვეჯავრებოდა და აქაც გვეჯავრებაო.

ვაჟმა გასწია და მივიდა იმ ადგილს, ორი დედაკაცი რო პურს აცხობდა, ერთი იმათგანი რომ იძახოდა, პური მშიანო. იმასაცა ჰკითხა: აი ეხლა მითხარი, რათ იძახი მაგრეო?—ასე იმიტომა ვარ, რომ იმ ქვეყანაში ისეთი ჯოჯოხეთი ვიყავ, რომ პური მეცხო, ერთ ლუკმას არავის მოვუტეხავდიო.

გასცდა ამათაც ვაჟი. იარა, იარა და მოვიდა, რიყეზედ რომ ხარი იდგა და სიმსუქნით კანი ასკდებოდა.—როგორ არის შენი საქმე, რომ მომწვარ რიყეზედ მშიერი დგეხარ და მაგრე მსუქანი კი ხარო?—იმ ქვეყანაში ულელში მოღალატე არ ვიყავ და აქაც ასე ვარო.

იარა ვაჟმა და მიადგა იმ ყორულს, შიგ რომ ხარი იდგა და კიდე ბღაოდა. ვაჟმა ჰკითხა: როგორ არის შენი საქმე, მაგოდენა ბალახში შიგა დგეხარ, კიდევ გამხდარი ხარ და ბღავიო?—იმ ქვეყანაშიაც ჩემს მეუღლეს ვღალატობდი და აქაც იმიტომ ვარ ეგრეო.

შესრულდა მეშვიდე დღე და კიდეც მივიდა ნაბიჭვრიშვილი ხემწიფესთან და უთხრა: მამაშენმა დამაბარა, შენ იქეცი კურდღლათაო, შენი ნაზირ-ვეზირი—მწევრათა, გაიქეც, გამოგიდგნენ, დაგიჭირონ და შეგჭამონო.

შეაყარა ფეტვი თუ არა, ხემწიფე იქცა კურდღლად, იმისი ნაზირ-ვეზირები—მწევრებად, გამოუდგნენ, დაიჭირეს და გაფლითეს.

ხემწიფის ცოლიც იმას დარჩა და იმისი საცხოვრებელიც.

ჭირი იქა, ლხინი აქა.
ქატო იქა, ფქვილი აქა.

# 57—კომბლესი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კომბლე. იმას ჰყვანდა სამი ცხვარი, გარეკა ტყეში, ცხვრებს თავი გაანება და თვითონ დაჯდა, კომბლებს კეთება დაუწყო. კაცებმა ჰკითხეს: კომბლე, რა სულ კომბლებს აკეთებო? კომბლემ უპასუხა: მე ეს ხელობა ვიცი და ამან უნდა მაცხოვროსო.

მერე გაიდო ერთი დიდი კომბალი მხარზედ და წავიდა საძებნელად. მიადგა ერთ მგლის სოროს და დაუძახა: შენ შესჭამე ჩემი ცხვრებიო?—არაო!

—აბა პირი დააღე. კბილებში ჩაგრჩენია ხორციო. მგელმა უთხრა: ოღონდ ნუ მომკლავ და ბედსა გწევო.—რა ბედსაო?—აგე აქ მეცხვარეებს ბევრი ცხვარი ჰყავთ, იმ ცხვარში ერთი ოქროს ბატკანი ჰყავთ, იმ ოქროს ბატკანს მე მოვიტაცებ და სულ ყველანი მე დამედევნებიან, შენ მოუარე და გარეკეო. წავიდა მგელი და მოიტაცა ოქროს ბატკანი. სულ ყველანი იმას დაედევნენ. მოუარა კომბლემ ცხვარსა და გარეკა.

კომბლეს კაცები შემოჰხვდნენ და უთხრეს: კომბლე, შენ სამი ცხვარი გყვანდა, მაგრე როგორ გაამრავლე ერთ თვეშიაო? კომბლემ უთხრა: ტყეში გაუშვი და გამრავლებულანო. იმათაც იყიდეს სამი ცხვარი, გაანებეს ტყეში თავი და წამოვიდნენ შინ. ერთი თვის შემდეგ წავიდნენ საძებნელად, ცხვრები უნდა ეპოვნათ, მაგრამ ცხვრები მგელს შეეჭამნა.

წამოვიდნენ შინ და სთქვეს, რა ვუყოთ კომბლესაო?—სახლი დაუწოთო. დაუწვეს სახლი. კომბლემ გაანელა ცეცხლი და აიღო ერთი საცალო ნახშირი, დაახურდავა სამი მანეთი და გადააშალა; ნახშირს მოჰკრა პირს, აიკიდა საცალო, წაიღო, მივიდა ხაზინასთან და უთხრა კომბლემ ხაზინის ყარაულს: ამაღამ აქ დამაყენეთო და ეს საცალოც შემინახეთო.—დადექიო. იმ ღამეს იქ იყო. მეორე დილა გათენდა და უთხრა კომბლემ ხაზინის ყარაულს: ჩემი საცალო მომეცითო. მოუტანეს საცალო. კომბლემ გახსნა და ნახა; მერე შარი მოუდო: მე საცალო ფულით სავსე მქონდაო და თქვენ ნახშირი ჩაგიყრიათო და ზევიდამ თეთრი ფული გადაგიშლიათო; თუ მომცემთ, მამეცით, თუ არა და — წავალ ხემწიფესთან გაჩივლებთო.—ოღონდ ნუ გვიჩივლებ ხემწიფესთან, და აგივსებთ ფულით და გაგატანთო. აუვსეს ფულით და გაატანეს.

კომბლემ მოიტანა შინ ფული და ჰკითხეს კაცებმა: კომბლე, შენ ნახშირი წაიღე და ფული მოიტანეო?—სახლი დავწვი, ნახშირი გავაქრე, წავიღე და ფულზედ გავცვალეო.

დაწვეს თავიანთ სახლები იმათაც, აიღეს ნახშირი, ჩაყარეს საცალოებში და დაჰქონდათ სოფელში და იძახოდნენ: ნახშირი ფულზედაო! ნახშირზედ ფულს ვინ გაუცვლიდა და აკი არავინ გაუცვალა. წამოვიდნენ შინ და სთქვეს: რა უყოთ კომბლესაო?—ცოლი მოვუკლათო. მოუკლეს ცოლი.

კომბლემ წამოიღო თავისი ცოლი და მივიდა ერთ კაცთან. ამ კაცს ჰყვანდა სამი ქალი ძალიან კარგები, და უთხრა კომბლემ: ამაღამ აქ დამაყენეო.—დადექიო. თვითონ მივიდა და თავისი მკვდარი ცოლი იქით მიაყუდა.—ჰკითხეს იქ ვინაა დადგავო?—ჩემი ცოლიაო. ჰკვიანია, სცხვენიან და იქ დადგაო. წადით, ხელი მოსჭიდეთ და წამოიყვანეთო. წავიდა ერთი ქალი, ხელი მოსჭიდა და გადაიქცა. მერე შინ მივიდა ქალი და უთხრა თავის მამასა: ხელი მოვსჭიდე, გადაიქცა და მოკვდაო. წამოხტა კომბლე და დაუწყო ჩხუბი: ჩემი ცოლი ცოცხალი იყოო, რად მომიკალითო; თუ მომცემთ, მომეცით ერთ-ერთი ქალი, თუ არა და—წავალ ხემწიფესთან გიჩივლებთო.—ოღონდ ნუ გვიჩივლებ ხემწიფესთანაო და აი ემ სამ ქალს დავამწკრივებ და რომელიც გინდა, აიყვანეო. დამწკრივდნენ სამივე ქალი და რომელიც მოეწონა, აიყვანა და წაიყვანა.

შინ რომ მიიყვანა, ჰკითხეს: კომბლე, შენ მკვდარი ცოლი წაიღე და ცოცხალი ვინ მოგცავო? მკვდარს ცოცხალზედ სცვლიანო.

დახოცეს თავიანთ ცოლები, წაიღეს სოფლებში და იძახიან: მკვდარი ცოცხალზედაო. მკვდარზედ ცოცხალი არავინ არ გაუცვალა, წამოვიდნენ შინ და სთქვეს: რა ვუყოთ კომბლესაო?—მოვკლათო.

წამოვიდნენ, უნდა კომბლე მოეკლათ, მაგრამ კომბლემ უთხრა: ოღონდ ეხლა ნუ მომკლავთ და მე თვითონ მოგეკვლეინებითო. წავიდა კომბლე მინდორზედ, გასჭრა სამი თხრილი, მერე წაიყვანა ორი კაცი, წაალებინა თან ხმლები, შუა თხრილში კომბლე დადგა, იქით-აქეთ ის კაცები დააყენა ხმლები დააჭერინა და უთხრა: როცა დავიყვირო, მაშინ შემომკარით ხმლებიო. უცებ დაიყვირა, თვითონ თხრილში ჩახტა და ერთმანეთის ხმლები ერთმანეთს მოხვდათ და ორივენი დაიხოცნენ, და კომბლე კი მშვიდობით გადარჩა.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

## 58.—ობლისა და ქოსასი

(ვარიანტი)

იყო ერთი კაცი და დედაკაცი, ჰყავდათ ერთი ობოლი. წისქვილში წაიღეს საფქვავი და ობოლი იქ დაუყენეს. ამ მეწისქვილეს ერქვა ქოსა. ქოსამ უთხრა ობოლსა: მოდი ხმიადი გამოვაცხოთ და ჩემი მოვზილოთ, შენი საფალნად ვუყოთო.—მოდიო. მოზილა ქოსამ, თავისი ორი მუჭა მოანდომა და ობლისა-კი ორი ნიტრა. როცა გამოაცხეს, ქოსამ უთხრა ობოლსა. მოდი, ვინც ბევრი ტყუილი სთქვას, იმას დარჩეს ეს ხმიადიო.—მოდიო, უთხრა ობოლმა.

ქოსამ დაიწყო: ჩვენა გყავნდა ერთი ბატიო, აიკიდებდა ოთხ კოდიან საცალოსაო, წაიღებდა წისქვილში, დაჰფქვავდა და ისევ ჩამოიტანდაო; ერთხელ აიკიდა ოთხ კოდიანი საცალო, წაიღო წისქვილში, დეეფქვა და იქიდგან რო მოჰქონდა, გამოვარდნოდა მგელი და გვერდი გამოეჭამა. ბატი გაქცეულიყო, მოეტანა თხილის წნელი, გამოეწნა გვერდი, აეკიდნა ისევ საცალო და ჩამოეტანა შინ.

ახლა ობოლმა დაიწყო: ჩვენ გვყვანდა ძალიან ბევრი ფუტკარი, მამაჩემი დილა-საღამოს თვლიდაო. ერთხელ ერთი ფუტკარი დაჰკლებოდა, დაეძირით და გუთნის თავში ჰბმოდაო. მერე შინ მოვიდა და კისერი დაუსივდა; მამაჩემმა ნიგოზი წაუსო კისერზედ, კისერზედ დიდი კაკალი ამოუვიდა, იმ კაკალზედ ყვავები შემოეჩვივნენ, მამაჩემმა დიდი ბელტი ესროლა, ის ბელტი ზედ დადგა და იმაზედ დიდი მინდორი გაკეთდა; ის მინდორი მოვხანით და სიმინდი დავთესეთ: იმაში ერთი დავარდნილი ცხენი შემოეჩვია, ვცემეთ, ვცემეთ და ერთი დაწერილი ქაღალდი პირიდან გაჰვარდა.

ქოსამ ჰკითხა: რა სწერია იმ ქაღალდშიო?
— ობოლს კვერი და ქოსას არაფერიო.

# 59 — მზე-ჭაბუკისა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რაღა იქნებოდა, იყო ერთი ხემწიფე, ჰყვანდა ერთი მზეთ-უნახავი ქალი. ამ ქალს ხემწიფე არას აჭმევდა ხოხობის მეტსა. ქალს თავის დღეში მზე არ ენახა. ერთხელ ხემწიფე სანადიროთ წავიდა და დაუგვიანდა. ხემწიფე მობრძანდა და მოუტანა ქალს ხოხობი. შეუგზავნა მამამ ქალს კერძი, ქალმა კერძი გარეთ გამოისროლა და ფანჯარა გამოსტეხა. ქალმა მაშინ დაინახა, რომ ქვეყანაზედ მზე ყოფილიყო. დაუძახა ნაზირ-ვეზირსა და ხალიჩა გააფენინა. გამოვიდა ქალი გარეთ.

ერთმა პატარა ყმაწვილმა ახლო ჩამოურბინა. ამ ყმაწვილს ეჭირა ერთი წითელი ვაშლი ხელში და მოიძახოდა: ამ ვაშლს მზე-ჭაბუკის ნახევარი ლოყის სიწითლე აქვსო. ქალმა უთხრა ნაზირ-ვეზირს: წადით და იმ ყმაწვილს ვაშლი წაართვითო. წავიდა ნაზირ-ვეზირი და წაართვა ყმაწვილს ვაშლი და მოუტანა ქალს. ქალმა მაღლა აავდო და ვაშლი დაიჭირა. მისცა ქალმა ნაზირ-ვეზირსა ვაშლი და გაატანა ყმაწვილთან. ყმაწვილი გაიქცა და წაიღო. ამ ქალს ჩაუვარდა გულში ჯავრი. მამამ უთხრა: რადგანაც მაგრე ჯავრი ჩაიგდე, მაინც აქამდის შვილი არა მყოლია, და დამეკარგეო.

წავიდა ის ქალი. ბევრი იარა თუ ცოტა, მივიდა ერთ რკინის ქალაქში. იმ ქალაქიდგან გამოვიდნენ რკინის ქალები, რკინის კოკები ედგათ მხარზედ და რკინის წყაროზედ მიდიოდნენ. იმ ქალმა უთხრა: რკინის ქალებო, რკინის კოკები მხარზედ გიდგიათ, რკინის წყაროზედ მისდიხართ, მზე-ჭაბუკის ამბავი ხომ არ გაგიგიათო? იმათ უპასუხეს: არ გაგვიგიაო.

წავიდა ას ქალი. ბევრი იარა, ცოტა იარა, მივიდა ერთ სპილენძის ქალაქში. იმ ქალაქიდგან გამოვიდნენ სპილენძის ქალები, სპილენძის კოკები მხარზედ ედგათ და სპილენძის წყაროზედ მიდიოდნენ. იმ ქალმა უთხრა: სპილენძის ქალებო, სპილენძის კოკები მხარზედ გიდგიათ, სპილენძის წყაროზედ მისდიხართ მზე-ჭაბუკის ამბავი ხომ არ გაგიგიათო? ქალებმა უპასუხეს: არ გაგვიგიაო.

წავიდა ის ქალი. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მივიდა ერთ ვერცხლის ქალაქში. იმ ქალაქიდგან გამოვიდნენ ვერცხლის ქალები, ვერცხლის კოკები მხარზედ ედგათ, ვერცხლის წყაროზედ მიდიოდნენ. იმ ქალმა უთხრა: ვერცხლის ქალებო, ვერცხლის კოკები მხარზედ გიდგათ, ვერცხლის წყაროზედ მისდიხართ, მზე-ჭაბუკის ამბავი ხომ არ გაგიგიათო? ქალებმა უპასუხეს: არ გაგვიგიაო.

ის ქალი წამოვიდა. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მავიდა ერთ ოქროს ქალაქში. იმ ქალაქიდგან გამოვიდნენ ოქროს ქალები, ოქროს კოკები მხარ-

ზედ ედგათ, ოქროს წყაროზედ მიდიოდნენ. იმ ქალმა უთხრა: ოქროს ქალებო! ოქროს კოკები მხარზედა გიდგიათ, ოქროს წყაროზედ მისდიხართ, მზე-ქაბუკის ამბავი ხომ არ გაგიგიათო? იმ ქალებმა უპასუხეს: არ გაგვიგიაო.

მერე იმ ქალმა დაიგირავა ერთი აბანო ოქროს ქალაქში, ხალხს აბანებდა და მზე-ქაბუკის ამბავს ჰკითხამდა. ერთხელ ერთ პატარა ყმაწვილს ეტირნა, დედმამას ფული არ მიეცა, რომ აბანოში შასულიყო; ქალმა გააბანა ყმაწვილი აბანოში და მზე-ქაბუკის ამბავი ჰკითხა. ყმაწვილმა უპასუხა ქალს: მზე-ქაბუკთან მე ვიყავი, ქაჯებსა ჰყავთ ტყვეთ მიტაცებულიო. ყმაწვილმა წაიყვანა ის ქალი მზე-ქაბუკთან და აჩვენა.

მზე-ქაბუკს შეედგა საარაყე ქვაბები და ქაჯებს საჭმელს უხარშავდა. ვაჟმა მისცა იმ ქალს ხორცი და უთხრა: გასწი და წადიო! ქალმა უპასუხა: მე შენი გულისთვის ვარ წამოსული და სად უნდა წავიდეო!? მზე-ქაბუკს ჰქონდა ცალკე ოთახი და ის ქალი იმაში შაიყვანა. მოვიდნენ ქაჯები, მზე-ქაბუკმა პური აჭამა და ქაჯები ისევ წავიდნენ. მზე-ქაბუკი შავიდა ქალთან, გაუკეთა თავის ბეჭედი და გაგზავნა თავის დედ-მამასთან.

წავიდა ის ქალი და მივიდა მზე-ქაბუკის დედ-მამასთან და უთხრა: ორი-სამი ღამე დამაყენეთო. ვაჟის დედ-მამამ შაიყვანა ოთახში, მისცა სასმელ-საჭმელი და დააყენეს.

რო დაღამდა, მოვიდნენ ქაჯები. მზე-ქაბუკმა ვახშამი მიართვა და ისევ წავიდნენ. მერე წავიდა ვაჟი და ქალს დაუძახა: ეთერ დედოფალო! ქალმა გამოსძახა: ბატონოო? ვაჟმა დაუძახა: მშვიდობითაო, და წავიდა. მზე-ქაბუკმა ქაჯებს პური აჭამა. მეორე დღეს ვაჟის დედ-მამა შევიდნენ ქალთან და შეიტყეს, რომ იმ ღამეს მზე-ქაბუკი იქ ყოფილიყო.

აჭამა კიდევ ქაჯებს პური, წამოვიდა ქალთან და დაუძახა: ეთერ დედოფალო! ქალმა დაუძახა: ბატონოო!—როგორ შენ და შენი ძეო?—ჩულის მე და ჩალის შენი ძეო!—ოხრად დაურჩეს მზე-ქაბუკის დედას მზე-ქაბუკის ოქროს აკვანი, რომ იმისი ძე შიგ არ უწევსო. ოხრად დაურჩეს მზე-ქაბუკის მამას თავისი ოქროს ტახტი, რომ იმისი შვილის მეუღლე ზედ არ უწევსო! დაუძახა ქალს, მშვიდობითაო, და წავიდა.

მზე-ქაბუკის დედ-მამამ გაიგეს, რომ ის ქალთან ყოფილიყო, და თავიანთ ოთახში შეიყვანეს. მესამე ღამეს მოვიდა ვაჟი და დაუძახა: ეთერ დედოფალო! როგორ შენ და შენი ძეო? ქალმა დაუძახა: კარგათ მე და შენი ძეო. ქალმა უთხრა: აბა ერთი შამოდი, შინ არავინ არის, და წყალი მამაწოდეო. შევიდა ყმაწვილი და მიაწოდა. მისცვივდნენ დედ-მამა და კარები მიუკეტეს.

გათენებისას ქაჯების მოლოდინი რო ჰქონდა, უთხრა: მე მომიტანეთ ერთი კონა ჯარჯი; როგორც მე ვარ, ისე მოვრთავ და დავსწვამო და ქაჯებსაც შიგ ჩავატანო. მიუტანეს დედ-მამამ ერთი კონა ჯარჯი, ის ჯარჯი ისე მორთო, როგორც თვითონ იყო. გაახურებინა საკირე, ჩააგდო შიგ, მოცვივდნენ ქაჯები, ჩაცვივდნენ შიგ, ვითომ უნდა ამოეყვანათ და შიგ-კი დაიწვნენ.

მერე ის ვაჟი დედ-მამასთან დარჩა და იქ იცხოვრა.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

## 60 — ერთი მანეთის ხამით დამარხული მკვდარი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რაღა იქნებოდა, იყო ერთი კაცი. ეს კაცი ღამით მუშაობდა, დღისით კი ისე იჯდა. ღამე ქსოვდა თითო მანეთის ხამს, მეორე დღეს წაიღებდა და მანეთად ჰყიდდა. ერთხელ შვილს გაატანა გასაყიდად. შვილმა რო წაიღო გასაყიდად ხამი, დაინახა, რომ კაცებს მკვდარი მოაქვთ და სცემენ. ვაჟმა რო დაინახა, სცემდნენ, უთხრა: რათა სცემთო?—ჩვენი მანეთი ჰმართებს და იმისთვის ვცემთო. ვაჟმა უპასუხა: აჰა ეს ხამი, არც გაზომა უნდა, მანეთისა არის და ეგ მკვდარი მე მომეცითო. გამოართვეს ხამი და წავიდნენ.

ყმაწვილმა წამოიღო მკვდარი და წამოვიდა. შინ რომ მოვიდა, მამას უთხრა: მამილო, ვისაც ის ხამი მივყიდე, იმან მითხრა: ერთი მანეთის ხამიც წამოიღეო და ორ მანეთს ერთად მოგცემო. მისცა მამამ მანეთის ხამი და წამოვიდა. იმ ხამით იყიდა კუბო, მერე შეუმოსა, ჩააცვა-დაჰხურა და ის მკვდარი კარგათ დამარხა. შინ რომ მივიდა, გარეთ დადგა.

დედ-მამა ამბობდნენ, რატომ ის ყმაწვილი არ მოვიდაო. ამ დროს დედა გარეთ გამოვიდა და დაინახა კარებთან ატუზული ყმაწვილი. შვილმა უთხრა: იმ ფულით მკვდარი დავმარხე და შინ ვეღარ მოვსულვარო.—უჰ, შვილო! მამაშენი მოგკლავსო! შვილმა უპასუხა: დედილო, საგზაოთ ცოტა ფული მომეციო. მისცა დედამ ფული და წავიდა გზაზედ.

უკან ერთი ბიჭი დაეწია და უთხრა: დავძმობილდეთო. დაძმობილდნენ და წავიდნენ. ცოტა იარეს, თუ ბევრი იარეს, მივიდნენ ერთ ქალაქში. რომელმაც მკვდარი დამარხა, იმან უთხრა თავის ძმობილს: წავალ, ძმობილო, იქნება მგზავრათ ვიყო და დამიგვიანდესო, გზებს გავიგებო. ძმობილმა უთხრა, წადიო.

წავიდა და მივიდა ერთ ხემწიფესთან; ამ ხემწიფესა ჰყვანდა ერთი მზეთუნახავი ქალი. ხემწიფემ უთხრა: შენ რა სულიერი ხარ? ჩემი ქალის შიშით ღაბლა ჭიანჭველას ვერ გაუვლია და ზეცაში ფრინველსაო; შენ აქ რისთვის მოხველიო?! ვაჟმა უპასუხა: სამ სიტყვას გეტყვი; თუ შენ ის სიტყვა ვერ ამიხსენ, შენი ქალი მე დამრჩესო. ხემწიფემ უპასუხა: სთქვიო! ვაჟმა უთხრა: ჯერ ძმობილთან მივალ? დეველაპარაკები და ხვალ დილაზედ მოვალო.

წავიდა ის ვაჟი თავის ძმობილთან. მეორე დღეს ძმობილმა ერთი ხელსახოცი გაატანა და უთხრა: კარებთან რომ შახვიდე, ეს ხელსახოცი კარებთან დასდე; რო გითხრან, ილაპარაკეო, შენ უპასუხე: ჩემ მაგივრათ ხალიჩამ ილაპარაკოსო.

წავიდა ის ვაჟი, მივიდა ხემწიფესთან, ხელსახოცი კარებთან დასდო, ხემწიფემ უთხრა: ილაპარაკეო! ვაჟმა უპასუხა: თუ თქვენი ნებაც იქნება, ჩემ მაგივრად ხალიჩამ ილაპარაკოსო. ხალიჩამ დაუძახა: ჩვენო ბატონო და პატრონო, მსურს, რომ მაგ ვაჟის მაგივრად მე ვილაპარაკოვო. ხემწიფემ უპასუხა: გსურსო და მსურსო; მაშ ილაპარაკეო.

ხალიჩამ სთქვა: სამი ამხანაგი მიდიოდაო: დურგალი, დერციკი და მღვდელიო. გზაზე დაუღამდათ, გააკეთეს ერთი ქოხი და შიგ შავიდნენო. გამოვიდა დურგალი და გააკეთა ხის კაციო. მერმე გამოვიდა დერციკი, დაინახა, რომ კაცი იყო გაკეთებული, შეკერა ტანისამოსი, მივიდა და ჩააცვაო. გამობრძანდა მღვდელი, დაინახა, რომ მორთული კაცი იყო, მივიდა მღვდელი, გადასწერა ჯვარი, აკურთხა, ჩაჰბერა სული და იქცა კაცათ. ეხლა, ხემწიფევ, შენ უნდა გაარჩიო, რომელს ერგება ის კაციო.

ხემწიფე ხან რომელს იტყვის, სამში ემას ერგებაო, ხან რომელს. ქალმა უპასუხა: არა, მამაო, ისევ დურგალს ეკუთვნისო, რადგან სულ იმის გაკეთებულიაო. ხალიჩამ უპასუხა ქალს: თუ ის კაცი დურგალს ეკუთვნის, შენ კიდე მაგ ვაჟს ეკუთვნიო.

წავიდა ის ვაჟი შინ და ძმობილთან მივიდა. ძმობილმა ჰკითხა: რა ჰქენი შენი საქმისა, მოუგე ის სიტყვაო? ვაჟმა უპასუხა: მოვუგეო.

მეორე დილას ისევ წავიდა. ძმობილმა გაატანა თან ოქროს შანდალი: რომ გითხრას ხემწიფემ, ილაპარაკეო, შენ უთხარი, ჩემ მაგივრათ ოქროს შანდალმა ილაპარაკოსო.

მივიდა ის ვაჟი ხემწიფესთან. ხემწიფემ უთხრა: ილაპარაკეო! იმ ვაჟმა უპასუხა, ჩემ მაგივრად ოქროს შანდალმა ილაპარაკოსო. ხემწიფემ უბრძანა ოქროს შანდალს, ილაპარაკეო!

ოქროს შანდალმა სთქვა: ერთი ხემწიფის ქალი ავათ გამხდარიყო, ერთმა კაცმა ერთ საათს მიიტანა ხემწიფესთან და უთხრა: ეს წამალი დაალევინე და მორჩებაო. ხემწიფემ დაალევინა თავის ქალს წამალი და მოარჩინა. ახლა თქვენ უნდა გაარჩიოთ, რომელს ერგება ის ქალიო.

ხემწიფე ხან რომელს იტყვის, ხან რომელს: ემას ერგებაო. ქალმა უპასუხა: არა, მამილო, შენ სულ სტყუვიო, ისევ რომელმაც წამალი მიუტანა ხემწიფეს, იმას ერგებაო.—შენ კიდე ამ ვაჟს ერგებიო, დაუძახა ოქროს შანდალმა.

წამოვიდა ის ვაჟი, მივიდა თავის ძმობილთან. ძმობილმა უთხრა: მოუგეო?—ის სიტყვაც მოვუგეო, უპასუხა ვაჟმა. მეორე დღეს ისევ წამოვიდა ხემწიფესთან. ძმობილმა უთხრა: შენ უთხარი ხემწიფეს, ჩემ მაგიერათ სახლის ჭერმა ილაპარაკოს-თქო.

რომ მივიდა ხემწიფესთან ვაჟი, ხემწიფემ უთხრა: ილაპარაკეო. ვაჟმა უთხრა: თუ თქვენი ნებაც იქნება, ჩემ მაგივრათ სახლის ჭერმა ილაპარაკოსო. სახლის ჭერმა დაუძახა: ჩვენო ბატონო და პატრონო, მე მსურს მაგ ვაჟის მაგივრათ ვილაპარაკო! ხემწიფემ უთხრა სახლის ჭერს, ილაპარაკეო.

სახლის ჭერმა სთქვა: სამი ამხანაგი იყო, მივიდნენ ერთ ხემწიფესთან; ამ ხემწიფესა ჰყვანდა ერთი მზეთუნახავი ქალი; ამ ქალმა უთხრა ვაჟებს, ვინც იგეთ საკურველს რასმეს იყიდის, იმისი ვიქნებიო. წავიდნენ ის ვაჟები. ერთმა იყიდა ისეთი სარკე, რომ ჩაეხედნა, ქვეყნიერობა ჩანდა; მეორემ იყიდა ისეთი ეტლი, რომ ერთ წუთს ერთ ვერსს გაირბენდა; მესამემ იყიდა ისეთი ვარდი, რომ მკვდარს მოუსოს, გააცოცხლებდა. ერთმა ჩაიხედა სარკეში და დაინახა, რომ ქალი მომკვდარიყო; მეორემ ეტლში ჩასხა და ერთ

წამზედ მივიდნენ იქ და მართლა ქალი მკვდარი დახვდათ. მოუსვა მესამე ვაჟმა უკვდავების ვარდი და გააცოცხლა ქალი. ეხლა თქვენ უნდა გაარჩიოთ, რომელს ერგება ის ქალიო.

ხემწიფემ რომ ვერ გაარჩია, ქალმა უთხრა: ვინც უკვდავების ვარდი მოუსვა, იმას ერგებაო.—თუ ის ქალი იმას ერგება, შენ კიდე ამ ვაჟს ერგებიო, დაუძახა სახლის ჭერმა, და იმ ვაჟს დარჩა ის ქალი. მერმე უთხრა იმ ვაჟმა ხემწიფეს: მზითევს არ გაატანო? ხემწიფემ უთხრა: რატომაც არას გავატან. აი ჩემი სარჩო საბადებელი, შენ წაიღეო.

იმ ვაჟმა წაიყვანა ქალი და ხემწიფემაც ბევრი ფული გაატანა, იმის ძმობილი ზეცას წავიდა და ის ვაჟი კიდე თავის დედმამასთან ცოლით ერთად.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

## 61—ალექსანდრესი

ერთ ქვრივ დედაკაცსა ჰყვანდა სამი ქალი. უმფროსმა ქალმა სთხოვა დედას: იგეთი სარკე მომიტანე, თითონ ჩამახედოს, ცა და ქვეყანა შიგა სჩანდესო, თითონ დაიხუროს, თითონ შავიდეს და ბარგში ჩაიდოსო. შუალა ქალმა სთხოვა დედას: იგეთი მოსახვევი მომიტანე, თითონ მომეხვიოს, მომეხადოს, დაიკეცოს, თითონ წავიდეს და ბარგში ჩაიდოსო. ახლა უმცროსმა ქალმა სთხოვა დედას: იგეთი ედემ-ყვავილი მომიტანე, ყბები გამოვივსო. მოუტანა დიდს სარკე, შუალას მოსახვევი. წავიდა დევის ბაღში, მაიპარა ედემ-ყვავილი, მოუტანა უმცროს ქალს და გამოუვსო ყბები.

იყო დევი სანადიროთ წასული; გაიგო, სწორეთ ბაღში ედემ-ყვავილი მომპარესო, დაანება ნადირობას თავი და წამოვიდა თავის ბაღში; დახვდა ედემ-ყვავილი დაკრეფილი. ადგა და წამოვიდა დევი, მივიდა ქვრივი დედაკაცის კარზედ, დაიძახა: სახლის პატრონოო!

გაიხედა უმცროსმა ქალმა და უთხრა დედას: გეძახიან, დედაო! დედამ უთხრა: შვილო, შვილო, გაიხედე!—ვისაც სარკე მოუტანე, იმან გაიხედოსო. ახლა მეორეს უთხრა: ადე, შენ გაიხედეო!—ვისაც ედემ-ყვავილი მოუტანე, იმან გაიხედოსო.—ადე, დედა გენაცვალოს, გაიხედეო.

მიდგა მარო კარზედ და დევს უთხრა: ბრძანე, დედას მოვახსენებო.—ახლო მოდი და გეტყვიო. მივიდა მარო, დასტაცა ხელი დევმა და შამოისო ცხენზედ და წაიყვანა შინ, დასო გაშლილ ხალიჩაზედ და უთხრა შინაურებს: ამ ქალს არა გააკეთებინოთ რა, ეგრე იჯდესო. ადგა, წავიდა დევი სანადიროთ, მაგრამ ქალმა არ დაიშალა, ყველაფერს აკეთებდა. დედის სურვილმა მოუარა, ერთი განაყოფის დევის დედა იყო ბებერი, უთხრა: ბატონო, დედა მინდა, გეცოდინება რამე, წამიყვანე დედასთანაო. ბებერმა უთხრა: შვილო, წითელი ღვინო გექნებათ, ერთი ხელადა მამაწოდეო. იმან ნახევარ ჩაფიც მიაწოდა. რაც ჯალაბობა ჰყვანდა, გაუკეთა სათითაო სტაქანი

ბანგი; მეორე დილას დაუძახა და მიაწოდა ერთი ხელადა და უთხრა: თითო სტაკანი დაალევინე დიდსა და პატარას, და შენ-კი არ დალიოვო. გაშალეს სუფრა, მიიტანა ღვინო ქალმა: „დედამთილმა ჭაშნიკი მოგაწოდათო“, და ყველას თითო სტაქანი დაალევინა.—რატო შენ-კი არ დალევო?—მე იქ დამალევინაო. დიდი და პატარა სულ გაწყდნენ.

მარომ ბაღში დაკრიფა ედემ-ყვავილი და გამოვიდა. უთხრა ბებერს, გზა მასწავლე, წავიდე დედასთანაო.—მე-კი ვერ გამოგყვები, შვილო; რო გაიგოს დევმა, გადამყლაპავს. აი ამ გზას დაადექ, წადი სწორეთ; რო წახვიდე, მავან ადგილას ციხეა, თუ მოგასწროს დევმა, სამჯერ ტაში დაჰკარ, სამჯერ უთხარ: ციხევ, კარი მიყავ, დევი მომდევს შესაჭმელათა, და ციხე შეგიშვებსო.

ქალი ასრე მოიქცა და ციხემ კარი უყო. შევიდა მარო შიგ, მივიდა დევი.—გამოდი, მარიამო, არას გერჩი!—რა ვქნა ვერ გამოვალ, კარი არა აქვსო, უპასუხა ქალმა. წავიდა დევი.

შიგ ერთი ყმაწვილი მარხია მზისგან დამწყვდეული: დღისით მკვდარია, ღამე ცოცხალი; ღვთისგან მოსდის სასმელ-საჭმელი; კიდეც სჭამს, კიდეც ინახავს; სამ ღამეს ეპარება მარო და ის უჭამს. ის ყმაწვილი ველარც ძღება, ველარც ინახავს. მეოთხე ღამეს სთქვა ყმაწვილმა: სწორედ აქ არის ვინმე და მპარავსო. აანთო სანთელი, დაიარა ციხე: იყო ციხის თახჩაში ედემ-ყვავილით გალიღებული მარო. და უთხრა ვაჟმა: შენ—ცოლი და მე—ქმარი,—არა, უთხრა მარომ, შენ—ძმა და მე—და.—არა, მე დაგასწარო, შენ—ცოლი და მე ქმარიო.—კარგი, აგრე იყოსო, და იყვნენ მარო და ვაჟი ცოლ-ქმარნი. ქმარი დღისით კვდებოდა, იჯდა მარო და ტიროდა. და როცა გაცოცხლდა, უთხრა: ნუ სტირი, მე დღე მკვდარი ვარ, ღამე ცოცხალიო. აღარ იტირა მარომ.

მერე დაორსულდა და, რო მოუვიდა დრო, უთხრა ვაჟს: არავინ არა გყავს, რომ წავიდე იმათთანაო? ვაჟმა მისცა თავის ნეკის ბეჭედი: წადი მავან ალოგას და დაიძახე; ძაღლი გამოვარდება, ჩემი ნეკის ბეჭედი მიუშვირე, იცნობენ და ხმასაც აღარ გაგცემენ. წავიდა და დაიძახა მარომ, გამოცვივდნენ ძაღლები, უჩვენა ნეკის ბეჭედი, ხმაც აღარ გასცეს. გამოხედეს; უთხრა: ალაგი გექნებათ, დამაყენეთო. ჯერ უარი უთხრეს: არა გვაქვსო, მერე საქათმო გამოხვეტეს და დააყენეს იმაში.

იმ ღამეს ეყოლა ოქროს თმიანი ვაჟი, მივიდა ვაჟი და დაუძახა: მარიამ ქალო!—რაო, ბატონოვო?—რა არის შენი საყოლი?—ოქროს თმიანი ვაჟიო.—რა არის შენი საჭმელი?—ბატონო, ღვთის წყალობით კუტ-მატი.—რა არის შენი საგები?—ბატონო, ღვთის წყალობით ფიჩვი, ფიჩ-მაჩი!—ვაი შენ, სად არის შენი საგები დორი-დოშაკი? სად არის შენი საჭმელი ნუში-ქიშმიში?

მეორე დღეს მოახლემ შეუტანა ანბავი იმის დედამამას: ჩვენი ალექსანდრე იყოო. გაუჯავრდა: ჩემი ალექსანდრესი ძვლებიც აღარ არისო. დააყენა მეორე დღეს გამდელი. მოვიდა ალექსანდრე და დაუძახა: მარო ქალო!—ბატონო!—რა არის შენი საყოლი?—ოქროს თმიანი ვაჟი.—რა არის შენი საჭმელი?—ბატონო, ღვთის წყალობით კუტი-კუტმატი.—რა არის შენი საწოლი?

—ბატონო, ღვთის წყალობით ფიჩვი, ფიჩ-მაჩი. მეორე დღეს უთხრა გამდელმა დედას: ჩვენი ალექსანდრეაო! ამის შემდეგ გამოუტანეს ლოგინი და ყმაწვილიც გამოიყვანეს. იმ ღამეს გამოვიდა დედა და დაუდგა, მივიდა ალექსანდრე, მაშინ გავიდა დედა და უთხრა მაროს, შაჰფიცე: არავინ არის-თქო; გადმოდი, შენი თვალით ნახე, იქნება არც ვაჟი მყავს და არც არაფერი-თქო. ალექსანდრე ადგა და მოდიოდა და დედა კარზედ მიეგება და მოეხვია: შენი ჭირიმე, შვილო, რომ მნახეო.—გამიშვი, დედი, თორემ მოვკვდები, აღარც დღე გავცოცხლდები და აღარც ღამეო. მერმე გათენდა და მოკვდა, აღარც დღე გაცოცხლდა და აღარც ღამე.

ადგა, მარომ ჩაიცვა რკინის ქალამნები და ტყავის კაბა, ყმაწვილი კალთაში გამოიხვია და უთხრა ალექსანდრეს დედამას: არ დამარხოთ ჩემს მოსვლამდისო. წავიდა მარო მზის დედასთან.

დაინახა, რომ ხნავდნენ, სულ ყველა რკინისაა, ჰხოცავდნენ საქონელს და მაინც ვერაფერს ჰხნავდნენ. სალამი მისცა. ჰკითხეს, სად მისდიხარო.—ესე, ესეა ჩემი მაქმე და მზის დედასთან მივდივარო.—მაშ ჩვენც გაგვიგე რამე, რომ ასე ვიტანჯებით და ვწვალობთო. გაატარეს.

ახლა ერთ ალაგას გაიარა: იდგნენ, ჯაგებს ხელითა ჰგლეჯდნენ. იმათაც ისე უთხრა.—ჩვენც გაგვიგე რამე, რომ ასე ვწვალობთო. გამატარეთ და ამბავს მოგიტანთო.—ბევრს შენისთანას გაუვლია, გამოვლით-კი აღარ გამოუვლიაო.

გაიარა. მივიდა ერთ ირემთან, ისეთია ის ირემი, რქები ცისთვისა აქვს მიბჯენილი.—რქებზედ ამატარე, ამბავს ჩამოგიტანო.—ავლილი ბევრი მინახავს, ჩამოვლილი-კი აღარაო; თუ ახვიდე, მეც შემიტყე რამე, რომ ამოდენა რქა მეზრდება, რა არის წამალიო? აატარა რქებზედ.

სასამხროზედ მზე რომ მივიდა, დაუძახა მზის დედას. მზის დედამ უთხრა: რა ხარ, რა სულიერი ხარ, აქ რამ მოგიყვანაო? ჩემი შვილის შიშით მაღლა ფრინველს ვერ გაუვლია, დაბლა ჭიანჭველასაო. ელაპარაკა მარომ თავის ჭირ-ბოროტება. მზის დედამ მარო მახათად აქცია, იმისი შვილი ნემსად და ორივე გააკეთა დედაბოძში.

მოვიდა მზე და უთხრა დედას: ადამიანის სუნი მომდისო.—შენი შიშით აქ ადამიანს რა უნდაო? მზის უკან ნაგავს გადმოჰყრიდნენ, იმის სუნი მოგდისო. მეორე დილას მიუტანა ტასტი. ემაში დაიბანე ხელ-პირი, აღარ შემიძლიან, გავუტან, ქათმებს ჩავუღვრიო.—უიმისოთ-კი არ დაგიბანინებია და ეხლა რა არისო, უთხრა შვილმა.—მაშინ შემეძლო, ეხლა აღარ შემიძლიანო. დაიბანა მზემ პირი და წავიდა.

ქალი ქალათ აქცივა მზის დედამ, ყმაწვილი ყმაწვილათ; ჩაუსხა მზის ნაბანი ბოთლში, დაურჭო მზის ნაჭერი ხელსახოცი, ჩაუდო ჯიბეში და გამოატანა. ირმისა უთხრა: გაზაფხულის წყალი დალიოს და გასცვივაო. ჯაგებისთვის წალდი გააკეთებინონ და გუთანს მარტო სახნის-საკვეთი უყონ რკინისაო.

ჩამოვიდა მარო და ირემს უთხრა: გაიქნიე, გამოიქნიე თავი და გაზაფხულის წყალი დალიეო და გაგცვივა რქებიო. ირემმა დალია გაზაფხულის

წყალი, ბალახი მოძოვა და გასცვივდა რქები. ახლა იმ კაცთან გამოიარა და უთხრა: მჭედელს წალდი გააკეთებინე, მაიტანე და იმით მოსჭერით. წავიდა, გააკეთებინა, მოიტანა და მოსჭრა. ახლა გამოიარა გუთანთან და უთხრა: სახნის-საკვეთი—რკინისა, გუთანი, უღელი, სახრე—ხისა; წადით და ისე ხანითო. წავიდნენ და გამართეს გუთანი; დაიწყეს ხვნა, მოისვენა ხარმა.

მივიდა მარო შინ, ჯერ პირი დაბანა, მერმე ხელები და ახლა ფეხები; მერე მოჰყვა და მზის ნაჭერი ხელცახოცით გაწმინდა. ალექსანდრემ თვალები გაახილა, გაიზმორა და სთქვა: რამდენი მძინებიაო! რატომ არ გამაღვიძეთო? გაცოცხლდა და აღარც დღე მოკვდა და აღარც ღამე. იმის დედმამამ შეჰყარა თავის საყმო, დასწერა ჯვარი, გადიხადა ქორწილი, თავის ტახტი დაუთმო დედმამამ თავის შვილს და იმის ცოლს.

ჰირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

## 62—უშვილო ხემწიფისა

იყო ერთი უშვილო ხემწიფე. ამ ხემწიფემ ღმერთს შესთხოვა: ღმერთო, ერთი შვილი მომეცი და ყოველ დღეს სამხთოს შემოგწირავო. ღმერთმა მისცა ქალი. ეს ქალი რომ გაიზარდა, დედ-მამამ სკოლაში მიაბარეს. ეს ხემწიფე ისე გაღარიბდა, რომ აღარ შესძლო სამხთოს შეწირვა ხვთისათვის. ეს ქალი რომ გაგზავნეს სკოლაში, ერთი ქათამი ლა ჰყვანდათ, იმ დღეს ქათმით გადაიხადეს სამხთო. მეორე დღეს სკოლაში წავიდა ის ქალი; აღარა ჰქონდათ რა, რომ იმ დღესაც სამხთო გადაეხადათ. დედმამამ სთქვეს: აღარ შეგვიძლიან სამხთოს შეწირვა, და ღმერთმა გვაპატიოსო.

მასწავლებელმა რო დაითხოვა შაგირდები, მაშინ იესო ქრისტემ გამოგზავნა ანგელოზები, წადით და ის ქალი აქ ამოიყვანეთო. წავიდნენ ანგელოზები და გზიდგან მომავალი ქალი წაიყვანეს ანგელოზებმა იესო ქრისტესთან.

ჩამოიარეს იმის ამხანაგებმა და იმან რომ აღარ ჩამოიარა, დედ-მამამ ძებნა დაუწყო. მივიდნენ მასწავლებელთან და ჰკითხეს: იმისმა ამხანაგმა ქალებმა ჩამოიარეს და რატომ ჩვენი შვილი კი აღარ გამოუშვითო? მასწავლებელმა უთხრა: როცა სხვა ქალები დავითხოვე, ისიც მაშინ დავითხოვეო. მაშინ დედ-მამამ სთქვეს: მაშ რატომ ის კი არ ჩამოვიდაო?

იესო ქრისტემ უბძანა ანგელოზებს: წადით ეს ქალი წაიყვანეთ, ქვეყნიერობა დაანახვეთო და, რაც ამ ქალმა სთქვას, მე მითხარითო. ანგელოზებმა წაიყვანეს ქალი და დაანახვეს ქვეყნიერობა. ჩიტებს ძლავი-ძლუვი რომ გაჰქონდათ, ამ ქალმა სთქვა: ვაიო! თქვენ ეგრე ძლავი-ძლუვი გაქვთ და ჩემი გულისთვის ჩემს დედ-მამას რაღა ყოფა ექნებათო. ანგელოზებმა მიიყვანეს ის ქალი იესო ქრისტესთან და უთხრეს: ჩიტებს ძლავი-ძლუვი ჰქონდათ და ამ ქალმა სთქვა: „ვაიო! თქვენ ეგრე ძლავი-ძლუვი გაქვთ და ჩე-

მი გულისთვის ჩემს დედ-მამას რაღა ყოფა ექნებათო. მაშინ იესო ქრისტემ ამ ქალს მისცა ერთი ფეხი ოქროსი, მეორე ფეხი ვერცხლისა, გაიაროს — ოქრო და ვერცხლი მოიჴრასო, გაიცინებს — ია-ვარდი გასცვივდეს, იტირებს — თვალ-მარგალიტი. მერე უბრძანა ანგელოზებს. წადით და საიდანაც აიყვანეთ და წამოიყვანეთ, იქვე წაიყვანეთო. ანგელოზებმა წაიყვანეს ეს ქალი და იქვე დასვეს, საიდამაც აიყვანეს.

ქალი მაშინვე დედ-მამასთან გაიქცა და სიხარულით მოეხვია. დედ-მამამ ჰკითხა: სად იყავი, რო გეძებდითო იმ ქალმა უთხრა დედ-მამას: სკოლა რომ გამოვიდა, ანგელოზებმა ზეცას ამიყვანეს იესო ქრისტესთანაო, მერე იესო ქრისტემ უთხრა ანგელოზებსაო: წადით და ამ ქალს ქვეყნიერობა დაანახვეთო და რაც ამ ქალმა სთქვას, მოდით და მე მითხარითო. წამიყვანეს და ქვეყნიერობა დამანახვესო. ჩიტებს ღლავი-ღლუვი რომ გაჰქონდათ, მე ვსთქვიო, რომ ვაიო, თქვენ ეგრე ღლავი-ღლუვი გაქვთ, და ჩემი გულისთვის ჩემ დედ-მამას რაღა ყოფა ექნებათო. მგონია, სულ დამეძებენო. მიმიყვანეს იესო ქრისტესთან და ასე უთხრესო. მაშინ იესო ქრისტემ ერთი ფეხი მომცა ოქროსი, მეორე ფეხი ვერცხლისა, გავიცინო — ია და ვარდი გამცვივა, ვიტირო — თვალი და მარგალიტი; და უთხრა ანგელოზებს, წადით და საიდამაც აიყვანეთ და წამაიყვანევით, წაიყვანეთ და იქვე დასვითო. წამომიყვანეს და აქვე დამსვესო.

ერთი ხემწიფის შვილი წამოსულა სხვა ქვეყნიდგან ქალის სათხოვნელად. ამ ვაჟს უთხრეს: ერთ ხემწიფეს ჰყავს ქალი: ერთი ფეხი აქვს ოქროსი, მეორე ვერცხლისა, გაიცინებს — ია-ვარდი გასცვივა, იტირებს — თვალ-მარგალიტი. მიიყვანეს ეს ვაჟი იმ ხემწიფესთან და უთხრა: ქალი მომათხოვეო. — მოგათხოვებო, უთხრა ხემწიფემ. — მაშ წავალო და მავან დროს წამოიყვანე ჩემს ქვეყანაში ეგ ქალი და ჯვარს დავიწეროო. ის ხემწიფე უწინდელზედ უკეთესად გამდიდრდა.

ამ ქალსა ჰყავნდა ერთი კოჭლი დეიდა. ამ ქალის დეიდას ჰყავნდა ერთი შავგვრემანი ქალი. ამ ხემწიფემ ჩასვა თავის ქალი ფაიტონში, ამ ქალის დეიდა, დეიდა-შვილი შიგ ფაიტონში ჩასხა. ამ ქალის დეიდამ ჯიბეში ჩაიდგა ერთი ლიტრა წყალი და წავიდნენ ამ ხემწიფის შვილის ჯვარის დასაწერად სხვა ქვეყანაში. რომ წავიდნენ, ამ ქალს წყალი მოსწყურდა და უთხრა თავის დეიდას, დეიდავ, წყალი მწყურიანო. დეიდამ უთხრა: შვილო, აქ ერთ ჰიქა წყალს მარჯვენა თვალზედ ჰყიდიანო! მოითხრი მარჯვენა თვალს, რომ იმათ მივსცე და დაგალევინონო? — მოვითხრიო, ოღონდ დამალევინონო. მოსთხარა ამ ქალს მარჯვენა თვალი, გაახვია ბამბაში და ჩაიდო ჯიბეში. პატარა მანძილს რომ გასცილდნენ, უფრო ძალიან მოსწყურდა წყალი. უთხრა დეიდას: დეიდავ, წყალი მწყურიანო. უთხრა დეიდამ: შვილო, აქ წყალს მარჯვენა თვალზედ ჰყიდიან, და მარჯვენა თვალი რომ აღარა გაქვს, რაღას მისცემო? მაშ მარცხენა თვალს მოგთხრი, მე გავიკეთებ, მე მარჯვენა თვალს მოვითხრი, იმათ მივცემ და დაგალევინებო. — მამთხარეო, უთხრა დისწულმა. მოსთხარა დეიდამ ამ ქალს მარცხენა თვალი, გაახვია ბამბაში ისიც დი ჩაიდო ჯიბეში. ერთი კარგი ყუთი გააკეთა, ჩასო შიგ ის ქალი, კარგა ლამაზათ მოჭედა ლურსმებით და გაატანა ერთ დიდ წყალს.

ამ ხემწიფის ვაჟს კიდევაც ხმა გაუგდია, რომ ერთი ხემწიფის ქალი ვითხოვე, ერთი ფეხი აქვს ოქროსი, მეორე კი ვერცხლისა; გაიცინებს—ია-ვარდი გასცვივა, იტირებს—თვალ-მარგალიტიო. მივიდნენ იმ ხემწიფის შვილ-თან და დაუძახეს. შავიდნენ შინ და მერე ჯვრის დასაწერად ფეხით წავიდნენ. იმედი აქვთ, რომ ოქრო-ვერცხლი მოიჭრებაო. ხალხი მისდევენ ბარებით და ნიჩბებით, ეს ქალი არც ოქროს სჭრის და არც ვერცხლს. ჰკითხეს: ეს ქალი რომ მიდის, რატომ ოქროსა და ვერცხლს არა სჭრისო? დედამ უთხრა: ჯერ ხამათ გახლავთო.

თურმე რომელი ქალიც წყალს გაატანა, ის ყუთი ერთ წისქვილის ღარ-ში გაჭედილა. დადგა ეს წისქვილი. ამ მეწისქვილემ სთქვა: ეს რა ამბავია! რად დადგა ეს წისქვილიო? გამოვიდა ლამფით, ნახა, რომ წისქვილის ღარში ყუთია გაჭედილი; დაიწერა პირჯვარი, ახსენა ღმერთი და ამოიღო ყუთი, შაიტანა შინ, აჰხადა ყუთი, ნახა, რომ შიგ ქალია; მოაშრო ცეცხლზედ და უთხრა: შვილო, შვიდი შვილი მყავს და მერვე შენ გიპოვნე იმათზედ კარგიო! შვილო, გაცოცხლდი თუ ვერაო? იმ ქალმა უთხრა: გავცოცხლდიო. მერე უთხრა იმ მეწისქვილეს: წამო, ხელი მომჰკიდე, ეზოს შემომატარეო; წამაიღე ბარი და ნიჩაფი, ოქრო და ვერცხლი მოიჭრება, შენ აკრიფე და ხროვად დააწყეო. წავიდნენ. მეწისქვილემ ხელი მოსჰკიდა ამ ქალს, აიღო ბარი და ნიჩა-ფი, შამოატარა ეზო და სულ ოქრო და ვერცხლი მოსჭრა. ამ მეწისქვილემ რამდენიმე საჟენი ოქრო და ვერცხლი დააწყო. გამდიდრდა მეწისქვილე.

ამ ქალმა უთხრა მეწისქვილეს: მე გავიცინებ—ია-ვარდი გამცვივა, ერთი ხელსახოცი აავსე, წადი და იმ ხემწიფის შვილის კარებზედ ჩამოატარე, რო-მელმაც ეხლა ჯვარი დაიწერა, და დაუძახე: ია-ვარდი გასაყიდი-თქო! გამო-იხედავს ის დედაკაცი და გეტყვის, რაზედ ჰყიდიო? შენ უთხარი, მარჯვენა თვალზედ ვყიდი-თქო; თუ მოჰქცეს მარჯვენა თვალი, მიჰყიდე ეგ ია და ვარდი, თუ არ მოჰქცეს, აქვე წამოიღეო.

გაიცინა ამ ქალმა, გასცვივდა ია-ვარდი: აავსო ერთი ხელსახოცი, ჩამოა-ტარა იმ ხემწიფის შვილის კარზედ,—ია-ვარდი გასასყიდიო. გამოიხედა იმ ხემ-წიფის შვილის სიდედრმა და დაუძახა: მოდი აქ, რაზედ ჰყიდი ია-ვარდსაო?—მარ-ჯვენა თვალზედ ვყიდიო —ეხლა მარჯვენა თვალს ვინ მოითხრისო? ადგა და ამოიღო ჯიბიდგან ბამბაში გახვეული თვალი და მისცა მეწისქვილეს და წა-ვიდა. შაიტანა ამ დედაკაცმა ეს ია-ვარდი შინ. მოჰფინა ოთახში და უთხრა იმათ: თქვენმა პატარძალმა გაიცინა და ია-ვარდი გასცვივდაო. იმათაც სთქვეს: მაშინ ხამათ იყო და იმიტომ არა სჭრიდა ოქროსა და ვერცხლსაო.

მერე იმ ქალმა უთხრა მამას: მე ვიტირებ, თვალი და მარგალიტი გამცვივა, აავსე ისევ ერთი ხელსახოცი, წაიღე და ისევ ხემწიფის შვილის კარზედ ჩამოატარე და დაიძახე: თვალი და მარგალიტი გასაყიდი-თქო! ისევ ის ბებერი გამოიხედავს და გეტყვის: რაზედ ჰყიდიო? შენ უთხარი, მარცხე-ნა თვალზედ ვყიდი-თქო; თუ მოგცა მარცხენა თვალი, მიჰყიდე, თუ არა და—ისევ აქ წამოიღეო.

ამ ქალმა იტირა და გასცვივდა თვალი და მარგალიტი. ამ მეწისქვილემ აავსო ერთი ხელსახოცი, წაიღო და ამ ხემწიფის შვილის კარებზედ ჩამოა-ტარა და დაიძახა, თვალ-მარგალიტი გასასყიდიო! გამოიხედა ისევ იმ დედა-

კაცმა: მოდი აქაო. მივიდა მეწისქვილე.—რაზედ ჰყიდიო? ჰკითხა ამ დედაკაცმა.—მარცხენა თვალზეო.—შენ სულ თვალზედ იძახიო. თვალს ვინ მოათხრისო? ადგა და ჯიბიდგან ამოიღო ბამბაში გახვეული თვალი და მისცა. შაიტანა შინ თვალი და მარგალიტა და მოჰფინა ოთახში და უთხრა თავის სიძეს: შენმა ცოლმა იტირა და თვალ-მარგალიტი გასცვივდაო.

მიიტანა ამ მეწისქვილემ თვალი შინ. ქალმა უთხრა: წყალში დაალბეო. მეწისქვილემაც დაალბო. დაწვა ეს ქალი გულ დაღმა და სთქვა: ღმერთო და იესო ქრისტევ, როგორც სკოლიდგან მომავალი ზეცაში ამიყვანეთ და ერთი ფეხი ოქროსი მომეცათ, მეორე კი ვერცხლისაო და ისევ ჩამამსვით, ისე ჩემი თვალები გაამთელეთო! თსქვა—და თვალები მოურჩა.

მერე ამ ქალმა დაიჭირა მუშა და სადაც იმ ხემწიფის შვილის სანადირო ტყე იყო, იმ ტყეში სულ ოქრო-ვერცხლის საყდარი ააშენა, შევიდა შიგ საყდარში, დადგა ფეხზედ და ამ საყდარს კარები კი არ შეაბა.

ამ ხემწიფის შვილს ჰყვანდა ერთი ფარა ცხვარი; ამ ფარაში ერთი შავი ცხვარი ერია. ამ ხემწიფის შვილის სიდედრმა თავის ქალი ავათ გახადა. უთხრა სიძეს, თუ შავს ცხვარს დაჰკლავ და იმის თავს აჭმევ, ჩემი ქალი მორჩება, თუ არ აჭმევ, მოკვდებაო. სიძემ უთხრა: შენც რო მოკვდე და ეგეც მოკვდეს, იმ შავ ცხვარს მაინც არ დავკლავო. თურმე იმ მეწისქვილის ქალის სული კოლოფითა სდგას იმ შავი ცხვრის თავში. იმთვენი აუტყდა სიდედრი, რომ დააკვლევინა ის შავი ცხვარი. კოლოფი ამოიღო და ჯიბეში ჩაიდო,—იმ ქალმა საყდარში დალია სული.

ამ ხემწიფის შვილმა სთქვა: ამდენი ხანია ჩემი სანადირო ტყე აღარ მინახავსო, აიკიდა თოფ-იარაღი, წავიდა და ნახა თავის სანადირო ტყეში ოქრო და ვერცხლის საყდარი და სთქვა: ღმერთო, საყდარი აგიშენებია და რატომ კარები კი არ შეგიბამო. შამოუარა გარს, და ამ ქალს ვაჟის სუნი, შიუვიდა და დაარისულდა. ამ მკვდარ ქალს გაუჩნდა ვაჟიშვილი. ავა ეს ყმაწვილი, მოსწოვს ძუძუს, ჩამოვა ძირს და თამაშობს.

კიდე მოაგონდა ამ ხემწიფის შვილს და წავიდა ისევ თავის სანადირო ტყეში. ნახა, რომ ავა ეს ყმაწვილი მოსწოვს ძუძუს, ჩამოვა ძირს და თამაშობს. აიყვანა ეს ყმაწვილი და წამაიყვანა შინ, უთხრა ცოლსა და სიდედრს: ეს ყმაწვილი ათამაშეთ, არ ატიროთ, თორემ ორივეს დაგხოცავთო. წავიდა და კარებიდგან დაუწყო ყურება ამ ხემწიფის შვილმა. ამ ყმაწვილს მისცეს კოლოფი. ჩუმათ არის და თამაშობს; გამაართვეს და დაიწყო ტირილი. შემოვიდა ხემწიფის შვილი და გაუჯავრდა: რათ ატირებთ ამ ყმაწვილს მიეცით, რაც წეღან ეჭირაო. ამოიღეს და მისცეს კოლოფი. მიიხედ-მოიხედეს და—ყმაწვილი აღარსად არი. წავიდა ისევ იქ თავის სანადირო ტყეში, იქ გაიპარებოდაო. მივიდა და ნახა, რომ ქალი ძირსა ზის და იმ ყმაწვილს ხელში უჭირავს კოლოფი და თამაშობს.

ხემწიფის შვილმა უთხრა ქალს: შენ აქ რას აკეთებო? იმ ქალმა უამბო, როგორც მომხდარიყო და რაც რამ თავს გადაჰხდოდა. წავიდა ეს ხემწიფის შვილი, ცოლი და სიდედრი ცხენის კუდზედ გამოაბა, ეგრე ათრევინა. მივიდა იქ, ამ ქალზედ ჯვარი დაიწერა და კარგი, ლამაზი ქორწილი გადაიხადა.

ჭირი იქა, ლხინი აქა,<br>
ქატო იქა, ფქვილი აქა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფშავში შეკრებილი ზღაპრები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# 1—ქბილ-საჟარცხალა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყვნენ ცოლი და ქმარი; იმათა ჰყვანდა ორი ვაჟი და ერთიც ქალი. ქალი ყველაზე უნცროსი იყო. ჯერ ისევ აკვანში იწვა ეს ქალი, რო ადგებოდა ხოლმე, როდესაც არავინ იყო შინ, დაამტვრევდა, რა ჭურჭელსაც იგდებდა ხელში, დაჰღვრიდა ღვინოს, ჩასაწველს ჩასწვავდა, ერთის სიტყვით, ყველაფერს აფუჭებდა, რასაც ხელში იგდებდა. უნცროსი ძმა ჰხედავდა ყველას ამას, არ უყვარდა, ერიდებოდა და უნდოდა იმის მოშორება. ერთხელ, როდესაც ამ პატარა ქალს ცეცხლი მიეკიდა საბძლისთვის, უნცროსმა ძმამ უთხრა უფროსს, რომ ეგ და მოვიშოროთ, თორემ კარგს არას დაგვაყრისო. მაგრამ უფროსმა ძმამ უარი უთხრა: ეგ ერთი და მყავ, მაგას როგორ მოვიშორებ, თუ გინდა, ადეგ და შენ თვითონ მომშორდიო. რას იზამდა საწყალი პატარა ვაჟი? ადგა და წავიდა, მოჯამაგირედ მაინც ვისმე დაუდგებიო.

იარა ვაჟმა, იარა და მივიდა ერთს გამოქვაბულს კლდეში, ავიდა შიგა და დადგა. ეს გამოქვაბული ცალთვალი დევისა ყოფილიყო. საღამოზედ მოვიდა დევი, მოაყენა ცხვარი და ავიდა კლდეში. ვაჟი დამალული იყო ისე, რომ დევი ვერა ჰნახავდა. ყოველ დღეს დევი ორ ცხვარსა ჰკლავდა, ერთს თავისთვინ და ერთს ძაღლებისთვინ. როდესაც დევი საჭმელად დაჯდებოდა, ვაჟი იმ მხრისკენ დაუჯდებოდა, საისაკეც ბრმა თვალი ჰქონდა, რო არ ენახა დევს, და უჭამდა ხორცს. დევი მუდამ დღე ჰხედავდა, რომ მალე უთავდებოდა საჭმელი, და უკვირდა, ეს რა უნდა იყოსო. ბოლოს რაკი ვერა და ვერ ნახა ეს თავის ქურდი, შეეხვეწა. გამოჩნდი, დამენახვე, და არას გერჩიო. — მაშ შენ — მამა და მე — შვილიო, დაუძახა ვაჟმა და გამოჩნდა. დევმა ძალიანაც გაიხარა იმისი მისვლა და დაუწყო შვილივით ვლა. ერთხელ ვაჟი აუტყდა დევს, მე წავალ ცხვარშიო. დევი არ უშვებდა, პატარა ხარო. ვაჟმა მაინც არ დაიშალა და წავიდა. დევმა უთხრა: ჩემს მთაზე წაასხი ცხვარი, თუ წაასხამ; თეთრზე არ წაასხა, თორო იქ თეთრი დევია, შენც მოგკლავს და შენს ცხვარსაც წაასხამსო.

ვაჟმა იმის მაგიერ, რომ ცალთვალა დევის მთაზედ გაერეკა ცხვარი, თეთრს მთაზედ წაასხა. შეშალა მწვანეზედ, თავადადაც იქვე ჩაუჯდა, ამოიღო სალამური, დაუკრა და დაუკრა, რო სუ აატირა არე-მარე. დევს გაეგონა სალამურის ხმა, წამოსულიყო და ამოჩნდა ერთის ლანძღვითა და ბოქრობით: შენ ვინა ხარ, რო აქ ჩემს ადგილზე მაჰსულხარ, ძირს დედამიწაზედ ჭინჭველას ვერ გაუვლია, მაღლა ფრინველსა, და შენ რა სურიელი

ხარ, რომ ჩემს მთაზედ ცხვარი გყავ და ჩემს ბალახს აძოებო?—აქ მოდი და მაშინ გაიგებო, დაუძახა ვაჟმა. გამაიქცა დევი კიდევ ვაჟისაკე, რო გაიგონა ეს სიტყვები. ვაჟიც წამოხტა, და შაიბნენ. ვაჟმა დაჰრია, წააქცია დევი და მოსჭრა თავი. იმის ცხვარი თავის ცხვარს გაურია და საღამოზედ მორეკა სახლში. დევი ფარეხის კარებში დადგებოდა ხოლმე და ისე შაჰთვლიდა ცხვრებს. ეხლაც შეთვალა და ერთი-ორად მეტი იყო. დევს გაუკვირდა და დაუძახა ვაჟს: ეს რა გიქნია, ან ცხვარი ხომ არავისა გამოგერია და ან ხო არავის მაჰპარეო.—არაო, უპასუხა ვაჟმა: თეთრი დევი მოვკალ, და იმისი ცხვარი არისო, ცალთვალ დევს ძალიან გაუხარდა თეთრის დევის სიკვდილი; ვაჟს უთხრა: წითელს მთაზე მაინც ნუ წახვალ, იქ წითელი დევი ბუდობს და შეგჭამსო. ვაჟმა მაინც არ დაიშალა და იქაც წაასხა. წითელი დევიც მოკლა და იმისი ცხვარი შინ წამაასხა. მესამეს დღეს შავს მთაზედ დააპირა წასხმა, მაგრამ დევმა შლა დაუწყო: იქ შავი დევია, იმისთანა ღონიერი და გულავი არ იქნებაო; მე და იმასა გვქონდა წინად ომი და თვალი იმან გამომთხარა, ის თვალი ეხლაც თავში აქვს, და ვერ მომიკლია, რომ წამერთვაო. იქ არ წახვიდე, თორო აუცილებლად მოგკლავსო.

ვაჟმა მაინც არ დაიშალა, გაუქეზა ცხვარს შავი მთისკე და გაუკრა. ავიდა ზედ, გაშალა ცხვარი. თვითონაც დაჯდა და დაუკრა სალამური. დიდხანს უკრა. ბოლოს დევსაც გაეგონა და წამოსულიყო; მოდიოდა და მაილანძღებოდა: ჩემის შიშით ძირს დედამიწაზედ ჭინჭველას ვერ გაუვლია, მაღლა ჰაერში ფრინველს ვერ გადუფრენია, და შენ რა სურიელი ხარ, რა ხარ, ვინა ხარ, რომ ცხვარი მოგირეკია და ჩემს მთას აძოვებო?! უკბილოდ შეგჭამ და უხელოდ დაგამტვრევო.—აქ მოდიო, დაუძახა ვაჟმა, და ეგ მერმე გამოჩნდებაო. წამოვიდა დევი ერთის ამბით და ბაყბაყით. წამოხტა ვაჟიც და შეიბნენ. მოიქნია ვაჟმა, და დასვა მიწაში მუხლამდინ. მაიქნია დევმა, დასვა წვივამდის. მაიქნია ვაჟმა, დასვა წელამდინ. მაიქნია დევმა, დასვა ბარკლამდის. მოიქნია ვაჟმა, დასვა ყელამდინ, ამაილო ხმალი, შემოჰკრა და მააგდებინა თავი, მაჰჭრა თავის ქალა, ამაილო ცალთვალა დევის თვალი, წამაასხა ცხვარი და წამოვიდა სახლში. ის თვალი დევს ჩაუსო და გაახარა. შავს დევს ლომის ლეკვები ჰყვანდა, ისინიც წამოიყვანა ვაჟმა და დაუწყო ზრდა. დაიწყეს ერთად ცხოვრება დევმა და ვაჟმა; ვაჟი ისევ ცხვარში დადიოდა, და ყველაფერი იმის ხელში იყო. გამდიდრდა ძალიან და გაამრავლა ცხვარი.

ბოლოს მაუხდა სახლში წასვლა, შაკმაზა ცხენი, შეჯდა და წავიდა. თავის სოფელში რო მივიდა, ერთი კაცი და დედაკაცი ველარა ნახა; იმისი და გაზრდილიყო, ისეთი კბილები გამაჰსვლიყო, რო თითო კლდის ოდენა იყო, დაეჭამა სრულ სოფლელები, და მარტო ერთი მჭედელიღა გაეწირა, რომელიც კბილებს ულესავდა კბილ-სავარცხალას. ვაჟი მივიდა სახლში, შაიხედა და ნახა, რომ იმის დას, კბილ-სავარცხალას, მამაც შეუჭამია, ძმაც, დედაც. დედის თავს აგორებს კერაში და ამბობს: ჩემო დედის თავო, დღეს შაგჭამო, ხვალ რაღა ვქნა? ხვალ შეგჭამო—ხვალეზეგაო? ვაჟმა დააბა ცხენი კარებზედ, თვითონ სახლში შევიდა და დაჯდა. კბილ-სავარცხალა კარზედ

გამოვიდა, მოსჭამა ერთი ფეხი იმის ცხენს, შევიდა და ჰკითხა: ძმაო, შენს ცხენს ოთხი ფეხი ჰქონდა თუ სამიო? ვაჟმა გაიგო, რაშიაც იყო საქმე, და უთხრა: სამიო. კბილ-სავარცხალა მეორედ გავიდა, მოაჭამა მეორე ფეხიც, შემოვიდა და უთხრა კიდევ: შენს ცხენს ორი ფეხი ჰქონდა თუ სამიო?—ორიო, უპასუხა ძმამ. გავიდა კიდევ კბილ-სავარცხალა გარეთ, მოსჭამა მესამე ფეხი, შემოვიდა და ჰკითხა კიდევ: ძმაო, შენს ცხენს ორი ფეხი ჰქონდა, თუ ერთიო?—ერთიო, უპასუხა ვაჟმა. კბილ-სავარცხალა კიდევ გავიდა გარეთ. ამ დროს გამოძვრა თაგვი და უთხრა ვაჟს: ადექ, ნუღარ იგვიანებ, სანამ ის იმ ცხენს შესჭამს, შენ თავს უშველეო; აავსე ერთი პარკი ნაცრით, საკომში ჩამაჰკიდე, რო ახვალ, თან კიდევ სალესველი, სავარცხელი და ნახშირი წაიღეო. როგორც უთხრა თაგვმა, ვაჟმა ისე ქნა. აიღო სალესველი, სავარცხელი, ნახშირი, აავსო ერთი დიდი პარკი ნაცრითა, აძვრა საკომში, ჩამოჰკიდა პარკი და თვითონ კი გაიქცა და წავიდა. კბილ-სავარცხალა დაბრუნდა სახლში, ნახა, რომ აღარსად არის ძმა. მაშინვე იფიქრა, გაქცეულაო; აიხედა მაღლა, საკომში პარკს აწძრევდა ქარი; ეგონა, ეხლა თუ მიძვრებაო, ახტა, ჩამოჰკრა კბილი, ჩამოიშალა ეს ნაცარი, და თვალებში კი აევსო კბილ-სავარცხალას. სანამ ის თვალებს გამოიწმენდდა, ვაჟმა კარგა მანძილი გაიარა. კბილ-სავარცხალამ რაკი გამოიწმინდა თვალები, გამოუდგა ძმას. დაწევნა გაუბედა. მობრუნდა ვაჟი და გადმოაგდო სალესველი. სალესველის ადგილას ისეთი კლდე აიმართა, რო თვალი არ შესწვდებოდა. მისდგა კბილით კბილ-სავარცხალა და გასჭრა კლდე. ვაჟმა ამ დროს მაინც დიდი გზა გაიარა. კბილ-სავარცხალა ისევ გამოუდგა ვაჟს. დაწევნა რო გაუბედა, ვაჟი შედგა, გადააგდო სავარცხელი. სავარცხლის ადგილს საშინელი ტყე და ჯაგიანი ამოვიდა; ისეთი წვრილიანი შეიკრა, რომ თაგვი შიგ კუდს ვერ მაიბრუნებდა. კბილ-სავარცხალამ წაუსო ამ ტყეს, სჭრა და სჭრა. გასჭრა ბოლოს და გავიდა. გავიდა და გამოუდგა. ბევრი ირბინეს, ცოტა ირბინეს; კბილ-სავარცხალამ დაწევა გაუბედა. ვაჟმა გადმოაგდო ნახშირი. ისეთი ცეცხლი გაჩნდა, რომ იმისი ალი ცამდინ მიდიოდა. კბილ-სავარცხალამ აფსა, აფსა ცეცხლსა და ჩააქრო. სანამ ის ცეცხლს ჩააქრობდა, ვაჟმა კარგა გზა გაიარა. კბილ-სავარცხალა მაინც გამოუდგა.

ირბინეს, ირბინეს და ერთს თვალ-გადაუწვდენელ მინდორზე გავიდნენ. კბილ-სავარცხალამ დაწევა გაუბედა. ვაჟი შეევედრა ღმერთს, და მინდორში სამი ალვისხე გამოჩნდა. იმათი წვერები ცამდინ იყვნენ აწეულნი. ვაჟმა უთხრა, მაიხარეო. მოხარა ალვისხემ წვერი და შეისვა ზედ. ისეთი სქელები იყვნენ, რო კაცი ერთს დღეს ვერ შემოუვლიდა ამ ალვისხეებს. მისდგა კბილ-სავარცხალა, შემოჰკრავდა კბილს და სახლის ოდენა ნაფოტს ააგდებინებდა. რო მიაჯარა ერთი ალვისხე კბილ-სავარცხალამ, ერთი თაგვი გამოვარდა, მიაფსა ალვისხეს და უთხრა: სქელდი, პტყელდი, ალვისხეო! სქელდი, პტყელდი, ალვისხეო! და მართლაც ალვისხე ისევ ისე გასქელდა და გაპტყელდა. სჭრა კბილ-სავარცხალამ, და ამთელა თაგვმა. ბოლოს გაჯავრებულმა კბილ-სავარცხალამ, ჩაყლაპა თაგვი, მაგრამ ის უკანიდან ისევ გასძვრა და გაამთელა ხე. მერე კი ფეხით გაჰყლიტა კბილ-სავარცხალამ. რაკი

თავგი ველარ გაამთელებდა, მისდგა ეს კბილ-სავარცხალა და გადააქცია ჯერ ერთი ალვისხე; იმის წვერზედ მეორე ალვისხის წვერზე გაფრინდა ვაჟი. მეორე ალვისხე რო მოსჭრა კბილ-სავარცხალამ, მესამეზე გადუხტა. მესამესაც რო დაუწყო ჭრა, ვაჟმა ნახა, რო საშველი აღარსაით იყო, და დაუძახა თავის ლომებს:

ედემ, ქედემ, საყურ-ქედემ,
ციბროვ, ყელ-კანაფიანო!
თქვენსა პატრონსა მინდორში
კბილ-სავარცხალნი ჰგლიანო!

მოდით და მამეშველენითო! პატრონის სიტყვები რო გაიგონეს, ვაჟის ლომები მინდორში ჯაჭვით ებნენ, დასწყვიტეს ჯაჭვები და ერთის ჰექა-ქუხილით გამოიქცნენ პატრონისკენ. კბილ-სავარცხალას ლომების ფეხისა და ღრიალის ქუხილი მიესმა, შეკრთა და დაუძახა ძმას: ძმაო, რის ჰექა მოდისო?—ცისაო, ჩამოჰძახა ვაჟმა. მოცვივდენ ლომები და დაგლიჯეს კბილ-სავარცხალა. იქით ჩამოჰძახა ვაჟმა, რომ ნუღარაფერს ნუ გაჰწირავთო. კბილ-სავარცხალა ლომებმა სუ შეჭამეს, მარტო ერთკან სადღაც ფოთოლზედ ერთი წვეთი სისხლი გადავარდნილიყო. ჩამოვიდა ვაჟი, და დაუწყო სისხლის წვეთმა ძახილი: ძმაო, ნუ გამწირავ, წამიღე, გამოგადგებიო! ვაჟს შეჰბრალდა და, აიღო სისხლის წვეთი ფოთლიანად, ჩაიდვა ქუდის საპირეში, გაიყოლა ლომებიც და გასწია.

გზაზედ ერთი ვაჭარი შეჰხვდა, აქლემები ჰყვანდა ოქროთი და ვერცხლით დატვირთული. ხელში ერთი ჯოხი ეჭირა; ვისაც შეჰხვდებოდა, დაუყენებდა: რისიაო? ვაჟსაც დაუყენა; თუ გამოიცნობდა, ის აქლემები იმას დაჰრჩებოდა, ვერ გამოიცნობდა და—მონად უნდა გაჰყოლიყო. ვაჭარმა რო იკითხა: რისიაო, სისხლის წვეთმა ჩუმად უჩურჩულა: თხის-ფსელისაო*). ვაჟმაც უთხრა: თხის-ფსელასიაო, და გამოუცნო. ვაჟმა იფიქრა, უთუოდ ეს სისხლის წვეთი გამომადგებაო, აიღო და უბეში ჩაიდო. იქცა მახათად ეს სისხლის წვეთი, შეერჭო გვერდში ამ ვაჟს და მოკლა. დაიწყეს ლომებმა ღრიალი და თავ-პირის ფხაჭნვა, მაგრამ აბა რას უშველიდნენ მკვდარსა? გაიგონა ღმერთმა იმ ლომების ღრიალი, გამოგზავნა ყორანი და უთხრა: ჩადი, შეიტყვე, რა ამბავია დედამიწაზედ, რასა ტირიან, ამოდი და მითხარიო. ყორანი ჩამოვიდა, გაძღა ლეშით, ავიდა ღმერთთან და უთხრა, რომ არა ამბავიაო. გაგზავნა ყვავი. გაძღა ყვავიც, ავიდა და იმანაც ის მოახსენა. გაგზავნა ტრედი ამბის გასაგებად. ავიდა ღმერთთან და უთხრა, რომ ერთი ვაჟკაცი მომკვდარა და იმაზედ იმის ლომები ტირიანო. მაშინვე მისცა ღმერთმა ტრედს ხელსახოცი, უთხრა: წადი, მოუსვი პირზედ და ისე გამოფრინდი, რომ ლომებმა არ დაგიჭირონო. ყორანსა და ყვავს კი ნიგზური ესროლა. ყორანს მოჰხვდა და გაშავა სრულიად, ყვავს კიდე ცოტად მოხვდა

*) მცენარეა, კახეთში იცის.—ზოგჯერ „თხის-ფსელას“ მაგიერ „ურძენს“ იტყვიან ხოლმე. მე ეს უკანასკნელი უფრო მგონია, რო იხმარებოდეს ამ ზღაპარში, რადგანაც ფშავში ურძენი კი მოდის, და თხის-ფსელა კი არა. ვინც ეს ზღაპარი მითხრა, იმან „თხის-ფსელა“ იხმარა:
თ. რ.

და დაჭრილი დარჩა. ჩავიდა ტრედი, მოუსვა მკვდარ ვაჟს და გააცოცხლა. ადგა ვაჟი, ღმერთს მადლი შესწირა, წაიყვანა გალაღებული ლომები და წავიდა შინ. იცხოვრა კარგა. დევი მოკვდა და იმის სარჩო სუ იმას დაჰრჩა.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

(ს. ჩარგალში ჩაწერილი)

## 2.—ფაშგუნდი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, ერთს ქვეყანაში ერთი დიდებული ხემწიფე მეფობდა; ჰყვანდა სამი ვაჟი; ჰქონდა აუარებელი სიმდიდრე და იმ სიმდიდრესთან, თვალსა და მარგალიტთან ჰქონდა ერთი დიდი ბაღი. იმ ბაღში ერთი ვაშლი ედგა, რომ ქუდის ოდოდენა ვაშლებს ისხამდა. ხემწიფე თავის თვალებივით უფთხილდებოდა ამ ვაშლებს, არც თვითონ ჰკრეფდა, არც სხვას აკრეფინებდა, მაგრამ აი შეეჩვია ვილაც ამ ბაღს და სუ გააჩანაგა. გადის დღე, და ხემწიფეს რჩეული ვაშლები თითობით აკლდება. შესწუხდა ძალიან ხემწიფე, დაიბარა შვილები და უთხრა: აი, შვილებო, ბაღში ერთი ვაშლი გვიდგია, ისიც ვერ შეგვინახია, სახემწიფოს როგო შევინახავთ, გვპარავს ვილაც, და ჩვენ კი ვერ გაგვიგია, ვინ არის ჩვენი მტერიო. წადით, უყარაულეთ, და რომელიც იმის ქურდს დაიჭერს, მეფობას იმას მივცემო! ადგენ ხემწიფის შვილები და მოჰყვნენ რიგით ყარაულობას.

რიგი უფროსს ძმას ჰხვდა. ის წავიდა, დაწვა ვაშლის ძირში და ერთი მაგარი დაიძინა. იმ ღამეს მოვიდა დევი, მოკრიფა ვაშლები და გასწია. მეორეს დღეს მივიდა სახლში უფროსი ძმა და უთხრა, რომ წუხელ არავინ მოსულა, სუ თეთრად გავათენეო. მეორეს დღეს დარაჯობის რიგი საშუალ ძმაზედ მიდგა. იმანაც დაიძინა. დევი მოვიდა, მოკრიფა ვაშლები და წავიდა. მეორეს დღეს მივიდა შინ და სთქვა, რომ არავინ მოსულაო. მესამეს ღამეს უნცროსს მიერგო დარაჯობა. იმან აილო მშვილდ-ისარი და გასწია საყარაულოდ. ძმებმა დასცინეს უნცროსს: აბა, შენ კი აუცილებლად დაიჭერ იმას, ალარ გაუშვებო.—თუ არავის მოვიყვან, მე ხომ მთელი მოგივალთო, უთხრა ძმამ და გაუდგა თავის გზას.

იმ ღამეს ვაჟს არ დაუძინია, დარაჯობდა და ელოდა ვაშლების ქურდს. შუაღამე იყო, რო მოვიდა ერთი დევი და ავიდა ვაშლზედ და დაუწყო კრეფა. ვაჟმა მოჰზიდნა მშვილდს და გაანება ისარს თავი. დაიწივლა ისარმა და შაერჭო ღრმად გულში დევს. დაიღრიალა დევმა, იტაცა ისარს ხელი და უნდოდა ამოეგლიჯა, მაგრამ ვერ ამოიძრო, ჩამოვარდა ღრიალით და მოფხუქა; გაჰყვა თან სისხლის კვალი. რო გათენდა, ვაჟი მივიდა სახლში; მამას უთხრა, რომ ჩვენის ვაშლის ქურდი დავკოდე და მოძებნა უნდაო. ძმებს

სიცილადაც არ ეკმავა იმის საუბარი, მაგრამ ის ადგა და უთხრა, რომ გამომყევით, და მე დაგიმტკიცებთ, რომ ტყუილი არ ვიცით.

ადგნენ ეს ძმები, აისხეს იარაღები და გასწიეს დევის ნაკვალევზე. იარა სისხლმა, და იარეს იმათ. ბოლოს სისხლის კვალი ერთს დიდს ქვასთან გათავდა. დევი მისულიყო, აეხადნა ის ქვა და შიგ ჩამძვრალიყო. ძმებმა გადააგორეს ეს ქვა და დააპირეს შიგ ჩასვლა. წინ-წინ უფროსი ძმა უნდა ჩასულიყო. მოაბეს უფროსს ძმას თოკი და ჩაუშვეს დევის სოროში. ბიჭს დევის ბაყბაყი მოესმა, შეშინდა და დაუძახა ძმებს: ამიყვანეთ! ამიყვანეთო! მოაბეს მეორეს ძმას თოკი და ახლა ის ჩაუშვეს, მაგრამ იმანაც დაიწყო ყვირილი, ამიყვანეთო, და ამოიყვანეს. ჯერი უნცროსზე მიდგა. მოაბეს თოკი და ჩაუშვეს. მოუმატა დევმა ბაყბაყს, და ვაჟმაც დაუძახა ძმებს: ჩამიშვით! ჩამიშვითო! ჩაუშვეს იმათაც, და ჩავიდა ვაჟი დევის სახლში. კერაში დევის დედა იჯდა, ფაფასა ჰხარშავდა. ვაჟი შევიდა და ჰკითხა: რასა ჰხარშავ, დედავ, ვისთვის გინდაო? —შვილი მყავ ავად და იმისთვის მინდაო, უპასუხა ბებერმა. —რა სტკივაო? ჰკითხა ვაჟმა. —ნაისრალიაო. —მე გასწავლი იმის წამალსაო, უთხრა ვაჟმა: აიღე, აადუღე ერთი ქობი წურვილი ერბო და ნაისრალში ჩაასხიო. აადუღა დევის დედამ ერთი ქობი წურვილი ერბო, ჩაასხა შვილს ნაისრალში და ფეხები კი გააფშეკინა. ამოაძვრა ვაჟმა დევს გულიდგან ისარი, ბებერს თავი მოსჭრა და წავიდა დევის სახლის დასათვალიერებლად.

ვაჟმა ერთს ოთახში სამი მზეთუნახავი ქალი ნახა. წამოიყვანა ისენი და დაუძახა ძმებს: თოკი ჩამამაწვადეთო! ჩაუშვეს თოკი და ააყვანინა უფროსი და. —ეგ უფროსსაო, დაუძახა ვაჟმა. მერე მეორე ააყვანინა, ის საშუალი ძმისთვის. თავის საცოლე უნდოდა აეყვანინა, მაგრამ ცოლმა უარი უთხრა: ძმები გიღალატებენ, ჯერ შენ ადი და მერე მეც ამიყვანეო. ვაჟი მაინც გადაეკიდა. —თუ არ იშლი და მე მგზავნიო, უთხრა ცოლმა, ვიცი, გიღალატებენ, შენ აქ დაჰრჩები, ესე გაივლი, ერთი ოთახია, იქ ორი ცხვარი აბია, ერთი თეთრი და ერთი შავი; შავზე შეჰჯდები—აქვე დაჰრჩები, თეთრზე შეჰჯდები—ქვეცას წახვალო. იცოდე, როდესაც ქვეცას გაგაქანებს ის ცხვარი, შენ დაიძახე: „ბებრის ბანი ბამბიანი, ბებრის ბანი ბამბიანი“, და რბილად დაეცემიო. აგზავნა ცოლი ვაჟმა, და, როგორც კი ავიდა უნცროსის ძმის ცოლი, ძმებმა თოკი მოჰკვეთეს, წავიდნენ სახლში და წაიყვანეს ქალიც.. ვაჟი რაკი დევის სახლში დარჩა, ჯერ დაღონდა, მაგრამ ბოლოს მოაგონდა ცხვრები და წავიდა იმათ საძებნელად. იპოვნა, გადაჯდა თეთრს ცხვარზედ და გასწია ქვეცას. „ბებრის ბანი ბამბიანი! ბებრის ბანი ბამბიანიო!“ და ვაჟი ბებრის ბამბიან ბანზედ კი დაეცა. ადგა და შევიდა ბებრის სახლში.

ბებერი ბრმა ყოფილიყო ცალის თვალით, ფაფა ეხარშა; ვაჟი მივიდა, მოუჯდა ბრმა თვალისაკე და დაუწყო ფაფას ჭამა. ბებერს ფაფა მალე გაუთავდა; მოიხედა, ნახა, რომ ვაჟი ზის. —ვინა ხარო? ჰკითხა. —შენი შვილიო! ბებერი მძლივ დაესწვრა ვაჟს; დააყენა თავისთან და უვლიდა შვილივით. ერთხელ ვაჟმა ნახა, რო ბებერს დაუცრია ფქვილი, გადალაჯულა ვარცლზედ და რაღაც უნდა ქნას. ვაჟმა დაუძახა: დაიცა, დედავ, დაიცა, რასა

შვრებიო?—წყალი დევს უჭერია, უთხრა ბებერმა, და მაშ რით მოვზილოთ?—მე მოგიტანო, უთხრა ვაჟმა, კოკა მამეციო. ჯერ კი არ უშვებდა ბებერი, მოგკლავს, შვილოო, მაგრამ ვაჟმა არ დაიშალა და წავიდა... მიიტანა წყალზედ კოკა და ამოავსო —ვინა ხარ, დაუძახა დევმა, ჩემის შიშით აქ ბუზიც ვერ დაიბზუილებს, და შენ რას მოუყვანიხარო?—სტუმარი ვარ შენიო, დაუძახა ვაჟმა.—კარგი, წაიღეო, დაუძახა დევმა, ეგ ერთი სტუმრობით გეპატიებაო წავიდა ვაჟი, წაიღო წყალი, და ჩამაურიგეს მთელს ქალაქს კვერცხის ნაჭუჭითა. მიტანილი წყალი რო გაუთავდა, ვაჟმა აიღო ისევ კოკები და გასწია-წყალზედ. დევმა ფეხის ხმა გაიგონა და დაუძახა: ვინა ხარო?—მე, შენი სტუმარიო, უპასუხა ვაჟმა. დევმა არაფერი უთხრა. წამოიღო წყალი, ჩამოურიგეს კიდევ ქალაქს კვერცხის ნაჭუჭით, მაგრამ მალე გაუთავდა მოტანილი წყალი, და მაუნდა ისევ წასვლა. აისხა იარაღები ვაჟმა, აიღო მშვილდი და ისარი და გასწია. მივიდა წყალზედ ვაჟი და აავსო კოკები. დევმა დაუძახა: ვინა ხარო?—მე, შენი სტუმარიო, დაუძახა ვაჟმა. —ერთხელ სტუმარი, ორჯელ სტუმარი, მესამედ რაღა სტუმარიო! დაიღრიალა დევმა და გამეემართა ვაჟისაკენ. ვაჟმაც გაისწორა იარაღები და მიეგება. დაიწყეს ბრძოლა. მაიქნია ვაჟმა და დასვა დევი მუხლამდინ ქვიშაში; მაიქნია დევმა, დასვა ვაჟიც მუხლამდე; მაიქნია ვაჟმა, დასვა წელამდე დევი; მაიქნია დევმა, დასვა წელამდინ ვაჟი. ამოუხტა საჩქაროდ ვაჟი, მაიქნია დასვა დევი ყელამდინ, წამოუსო ხმალი და მოაგდებინა თავი. ამოიღო დანა და დაარჭო მოჭრილს თავში. თვითონ სახლში წავიდა და არავის კი არ უთხრა დევის სიკვდილი; ბებერს კი უთხრა: წადი, წყალი მაიტანეო.

გავარდა ქალაქში დევის სიკვდილის ამბავი. მოატყდა წყალს უთვალავი ხალხი და საქონელი. სვამდნენ, ზოგნი იქვე სქდებოდნენ წყლის სმით, ზოგნიც მიდიოდნენ სახლში და იქ იხოცებოდნენ. გაიგო ხემწიფემ დევის სიკვდილი; მაშინვე უბრძანა მოყვანა დევის მკვლელისა. მოვიდა მთელი ქალაქი, მთელი იმისი სახემწიფო, მაგრამ იმათში დევის მკვლელი კი არ ერია. ზოგნი ძალად იბრალებდნენ დევის სიკვდილს, წაიყვანდნენ, აბა თუ თქვენა ხართ, ეს დანა ამოაძრეთო, მაგრამ დანა ვერავინ ამოაძრო. რო ვერა და ვერ იპოვნეს დევის მამკვლელი, ხემწიფემ იკითხა: განა ყველანი არიან აქ, ვინც ჩემს სახემწიფოში სცხოვრობსო? —ყველანი, ერთი ბებრისა და იმის ნაშვილობის გარდაო, უთხრეს ხემწიფეს. მაშინვე გაგზავნეს ბებრისა და იმის ნაშვილობის მოსაყვანად. მოვიდა ვაჟი, დანაც ამოაძრო და გამოტყდა კიდეც, დევი მე მოვკალიო. წაიყვანა ხემწიფემ სასახლეში და გაუმართა ნადიმი და ლხინ გახარება... —რა გინდა, რით დაგასაჩუქროო? ჰკითხა ხემწიფემ ვაჟს, რასაცა მთხოვ, მოგცემ; დარჩი ჩვენთან, და ტახტსაც შენ დაგიტოვებო. ვაჟმა უთხრა, რომ მე აქაური არა ვარ, ზეითა ქვეყნელი ვარ, და, თუ როგორმე იქ ამიყვანთ, ის იქნება ჩემთვის უდიდესი საჩუქარიო. თუ ვერ ამიყვანთ, ის მაინც მასწავლეთ, როგორ უნდა ავიდეს კაცი ზეითა ქვეყანაშიო. ვაჟს უთხრეს, რომ იქ მხოლოდ ფაშკუნდს შეუძლიან აყვანაო.

ვაჟმა აისხა იარაღები და წავიდა ფაშკუნდისაკენ. ფაშკუნდის ბარტყებს გველვეშაპი ჰყოლიყო შეჩვეული და ეჭამა. ვაჟმა ნახა, რო ფაშკუნ-

დის ერთი შვილი კი ტირის და ერთი კი იცინის. ვაჟმა ჰკითხა: ან ერთს რა გატირებსთ და ან მეორეს რა გაცინებსთო? რომელიცა ტიროდა, იმან უთხრა, რომ მე ის მატირებს, რომ დღეს გველეშაპი მოვა და შემჭამსო. რომელიც იცინოდა, იმან უთხრა, რომ მე ხვალ შემჭამს გველეშაპიო, ერთი დღე კიდევ დამრჩომია სიცოცხლისა, და ის მაცინებსო. ვაჟმა უთხრა: თქვენ ნურაფრისა ნუ გეშინიანთ, მე ვიცი და იმ გველეშაპმაო. დაუჯდა ვაჟი და დაუწყო მოლოდინი გველეშაპს. მალე მზეც დაბნელდა. ფაშგუნდის შვილებმა უთხრეს ვაჟს, რომ ეხლა მოდისო. ვაჟმა ჩააგდო კილოში ისარი და, გველეშაპი რო გაუსწორდა, გაანება თავი და გულში კი გააგდებინა. დაეცა მკვდარი გველეშაპი და აუშო საძაგელი სუნი. აკაფა ვაჟმა გველეშაპი და ააგო მთელ ბუდის გვერდებზედ. ცოტა ხნის შემდეგ მოისმა ქუხილი და წამოწვიმა კიდეც.—ეს რა არიო? ჰკითხა ფაშგუნდის შვილებს ვაჟმა.—ეგ ჩვენი დედა ტირის, ცრემლსა ჰღვრის ჩვენზედ, ჰგონია, გველეშაპმა გადაგვყლაპაო. ვაჟი დამალეს. მოვიდა ფაშგუნდი, ნახა ცოცხალი შვილები და სიხარულით ცას დაეწია.—ვინ გიხსნათ, შვილებო, ვინაო? ჰკითხავდა გახარებული ფაშგუნდი შვილებს, ვინ მოვიდა, ის ღვთის ნაკურთხი კაციო?—თუ არ შესჭამ, გაჩვენებთო, უთხრეს შვილებმა. ჩემის შვილების მხსნელს როგორ დაუშავებ რასმეო, უთხრა ფაშგუნდმა, მაჩვენეთო. შვილებმა გამოუჩინეს ვაჟი. ფაშგუნდი გადაეხვია ვაჟს, მოჰხვია მხრები, მიიკრა გულზედ, და გვერდები კი ჩაამტვრია, მაგრამ მოუსო ფთე და მოარჩინა.—რას დამდებ ვალად, რა გინდა, რა მოგცეო, უთხრა ფაშგუნდმა ვაჟს, ე შვილები რო გადამირჩინეო?—ზევით ქვეყანაში ამიყვანე, მე იქაური ვარო, უპასუხა ვაჟმა, და ის დამდე სიკეთედაო.—წადიო, უთხრა ფაშგუნდმა, ერთი კოდი აავსებინე ხორცით. ერთს მხარზედ ის დამადგი, ერთზედ შენ დამაჯექ, და აგიყვანო. ვაჟმა ქნა ისე, როგორც ფაშგუნდმა უთხრა, ერთს მხარზედ ხორციანი კოდი დაადგა, ერთზე თვითონ დააჯდა და გასწიეს. რამთვენიც შემოტრიალდებოდა ფაშგუნდი, ვაჟი იმთვენს ნაჭერს ხორცს შეაჭმევდა. ბოლოს ერთი ნაჭერი დააკლდა, ვაჟმა გამოიჭრა წვივი და ის შეაჭამა. მას შემდეგ სახრელში, წვივის ზევით გამოჭრილივითა აქვსო.—ოჰ! ეს რა გემრიელი რამ შემაჭამეო, უთხრა ფაშგუნდმა, რა იყოვო?—ეგ ჩემი ხორცი იყოვო, უპასუხა ვაჟმა.—ეგ რო მცოდნიყო, თუ ეგეთი გემრიელი იყო კაცის ხორცი, აქამდინვე შეგჭამდიო, უთხრა ფაშგუნდმა, გამოუსო ფთე, გაუმთელა წყლული, გადმოსო მიწაზედ, გამოეთხოვა და წავიდა.

ვაჟი გაუდგა გზას. ბევრი იარა, ცოტა იარა, ბოლოს თავის სახემწიფოში მივიდა. გზაზედ ერთს მეღორეს შეჰხვდა. მეღორე იჯდა და ტიროდა. ვაჟი მივიდა იმასთან და ჰკითხა: ან ვისი ხარ და ან რა გატირებსო?—რა არ მატირებსო, უთხრა მეღორემ, ჩემს ხემწიფის შვილს ქორწილი აქვს, უნცროსი ძმა კი დაჰკარგეს, და უფროსი კი იმის საცოლეზედ იწერს ჯვარსაო. —შენა, უთხრა მეღორეს ვაჟმა, ეგ ტანისამოსი გაიხადე, მაგას მე ჩავიცვამ, ჩემი ტანისამოსი შენ ჩაიცვი, მე ვარ იმათი უმცროსი ძმა, მივალ და ვნახოთ, როგორ დაიწერენ ჯვარს. ჩაიცვა ვაჟმა მეღორის ტანისამოსი და გასწია ძმებთან. უფროსი ძმა იჯდა და მხიარულობდა. უმცროსის ძმის მშვილ-

დი ეჭირა დაჯარებულს ხალხს ხელში და ეწეოდნენ: აბა ვინ მოსწევს და ვინ ვერაო? ჩამოატარეს მშვილდი, მაგრამ ვერავინ მასწია. ჯერი პატრონზე მიდგა.—მიეცით ე მშვილდი ჩემს მეღორესო, დაიძახა უფროსმა ძმამ, იქნება მაგან მოსწიოსო. მისცეს მშვილდი. ვაჟმა მასწია მშვილდს, ჩააგდო ისარი და დაიძახა: ხარსა თუ ფურსაო? ქალმა იცნო თავის საქმრო და გული გაეხსნა.—ხარსა, ფურისა რა ბრალიაო, დაუძახა ვაჟს. ვაჟმა მოკლა ძმა ისრით, დაიწერა თავის საცოლეზედ ჯვარი და დაიწყო ხემწიფობა...

## 3 ოსიუმე

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყვნენ ცოლი და ქმარი, ჰყვანდათ შვიდი შვილი, შვიდივე ცოლიანები. კაცი მოკვდა, ცოლი დაქვრივდა. ვაჟები მუდამ დღე სანადიროდ დადიოდნენ, მოჰქონდათ ნადირი და იმით ჰკვებავდნენ ცოლებსაც და დედასაც. ერთხელ ძმები სანადიროდ წავიდნენ. სახლს რო გაჰცდნენ, უმცროსმა ძმამ უთხრა ძმებს: წადით, მე აქ დავიძინებ და მოგეწევითო. ძმები რო გასცდნენ, ოსიუმე ადგა (უმცროსის ძმის სახელია), მივიდა სახლის ბანთან და ნახა, რომ იმის დედას ამოუტანია ნაცარი და ბანს აყრის, ოსიუმე დაიმალა, არ ეჩვენა დედას, მერე მივიდა ბანთან და ჩაიხედა სახლში. თურმე იმის დედას და რძლებს კუროები ჰყოლოდნენ სახლში, ესხდნენ გვერდზედ და ქეიფს აწეინებდნენ; ოსიუმეს ცოლისთვის კი ეცემნათ. და კუნჭულში იყო მიმჯდარი. ოსიუმე გაბრუნდა და წავიდა ძმებთან. ძმებისათვის არაფერი არ უთქვამს. ოსიუმეს დედა ასულიყო ბანზედ, გაეზომა ნაფეხარი და თავის საყვარლისათვის შეეკვეთა წუღები იმ ზომისა. ოსიუმეს დედას ხარაზი ჰყოლოდა კუროდ. საღამოზედ ძმები დაბრუნდნენ და მოიტანეს ნანადირევი. ოსიუმეს დედას უნდოდა გაეგო, ვინ გაიარა ნაცარზედ, მიუტანა შვილებს წუღები და უთხრა: შვილებო, აბა გასინჯეთ, ვისაც მოგიხდებათ, იმან ჩაიცვასო. ჩამოირიგეს ძმებმა და ოსიუმეს მეტს არავის გამოადგა. დედამ გაიგო, ვინც იყო იმათ მზვერავი, და ოსიუმეს სიკვდილი გაივლო გულში.

იმ დროს ხემწიფეს რაში გაჰქცევიყო და იმის დარდით ხემწიფეც დამბრმალიყო ორივე თვალებით, დადიოდნენ, ეძებდნენ წამალს და ვერ ეშოვათ. ოსიუმეს დედა ადგება და წავა ხემწიფესთან. ხემწიფეს ეტყვის: აქა და აქ ერთი ქვრივი დედაკაცია, შვიდი შვილი ჰყავ და იმ უმცროსის ვაჟის გულ-ღვიძლი მოგარჩენსო. ხემწიფემ მაშინვე გაგზავნა კაცები და ოსიუმე მააყვანინა. დასაკლავად გამზადებული ოსიუმე საჯინიბოში შეიყვანეს, იქ იჯდა და ტიროდა. საჯინიბოში ერთი კოჭლი ცხენი იყო, იმას შეებრალა ოსიუმე და უთხრა: რა გატირებს, ნუ გეშინიან, დასაკლავად რომ გაგიყვანენ, დაიძახე: ღმერთო, ხემწიფე ადღეგრძელე, და, დაკარგული რაში რო მოვუყვანო, კიდევ დამკლავსო? მეორეს დღეს ოსიუმე გამოიყვანეს დასაკლავად ირგვლივ მრავალი ხალხი იყო შეგროვილი. ოსიუმემ დაიძახა: ღმერთო, ხემ-

წიფე აღლეგრძელე, და, დაკარგული რაში რო ვეპოვნო დამოვეყვანო, კიდევ დამკლავსო? ერთხელ იძახა ოსიყმემ, ვერავინ გაუგონა ხალხის ზრიალში, იძახა მეორედ, კიდევ ვერავის გააგონა, იძახა მესამედ, და მიესმა ხემწიფეს. მაშინვე ჩამოაყვანინა ოსიყმე და ჰკითხა, როგორ მიპოვნიო. ოსიყმემ უთხრა, რომ, თქვენ რო კოჭლი ცხენი გყავსთ, ის მომეცით, და მოვიყვანო. კოჭლი ცხენი მისცეს.

ცხენმა უთხრა: წადი, ხემწიფეს ერთი ხარის ტყავი გამოართვი, ერთი მარილის ქვა, ლურსმები და კარგი მაგარი ცხენის შეკაზმულობაო. ვაჟი წავიდა ხემწიფესთან. გამოართვა ყველაფერი, წაიღო და წავიდა. ოსიყმეს უთხრა ცხენმა: იმ ულრანს ტყეში ერთი წყაროა, მე იქ ახლო-მახლოს დამაბი, წაიღე ეგ ტყავი, იმ წყაროს გადააფარე, კარგა დალურსმე, ზედ მარილის ქვა დაადე და შეძვერ, დაიმალე ხის ღრუვშიო. ცხენი მოვა, მარილს ჰლოკს, ჰლოკს, მაჰწყურდება წყალი, ვერ დაჰლევს და შეგეხვეწება: გამოჩნდი, რომელი ხარო. სანამ პირობას არ დაგიდებს, რომ დაგნებდებიო, არ გამოხვიდეო. ოსიყმემ ყველაფერი ისე ქნა, როგორც ცხენმა ასწავლა. მოვიდა რაში წყლის დასალევათ, ნახა მარილი და დაუწყო ლოკვა. მოჰწყურდა წყალი, მაგრამ ვერსაით დალია. ოსიყმეს დაუძახა: რომელი ხარ, გამოჩნდიო!—დამნებდიო, უპასუხა ოსიყმემ, და გამოვალო. რაშმა უარი უთხრა. გამოვიდა ხანი, რაშმა კიდევ დაიძახა. ოსიყმემ ისევ ისე უთხრა. რაშმა უარი უთხრა. მესამედ კი დაჰთანხმდა რაში. ოსიყმე გამოვიდა, დაადგა უნაგირი, მოუჭირა ცხრა მოსართავი, მერე აჰხადა წყაროს და მიუშვა რაში. დალია რაშმა და გაწყვიტა ერთი მოსართავი, დალია—გაწყვიტა მეორე, დალია—მესამე, და მეოთხე რო გაწყვიტა, მოახტა ოსიყმე, ამოჰკრა მათრახი და მიანება თავი. აფრინდა რაში ცისაკენ, ოსიყმე მუცელზედ მოექცა, ჩაფრინდა ქვეცას—ზურგზედ. მოლალა ოსიყმემ რაში და მოაჭკვიანა, გამოიბა ცხენზედ და გამოსწია ხემწიფის სასახლისკენ.

გზაზედ ერთი ქალი შეჰხვდა, თხა მოჰყავდა; ისეთი თხა იყო, რომ რასაც ეტყოდი, დაიფრუტუნებდა, და მოგივიდოდა. ქალმა უთხრა: მოდი, მალულაობა ვითამაშოთ, თუ მიპოვნე—ჩემი თხა შენი იყოს, თუ ვერ გიპოვნე—მაშინაც. თუ მე გიპოვნე და, ეგ რაში—ჩემი. ჯერ ქალი დაიმალა. კოჭლმა ცხენმა უთხრა: წადი, შემოურბინე ტყეს, შუაგულთან რო მიხვალ, ამოიღე, დამბაჩა დაახალე და დაიძახე: გხედავო! დაიმალა ქალი, ოსიყმემ შემოურბინა ტყეს და დაახალა დამბაჩა,—გხედავო. გამოჩნდა ქალი. მართლა მიპოვნაო, ის ეგონა. ახლა ჯერი ოსიყმეზე მიდგა. ცხენმა ჩამოუშო ჩიჩვი, შეისვა შიგ ოსიყმე და დამალა. ეძება ქალმა, ეძება, ცხენის ფაფარი და ძუაც გადაშინჯა, მაგრამ ვერ იპოვნა. გამოძვრა ვაჟი და, მოგიგეო, უთხრა.—ახ, მანდ მინდოდა მოძებნა და დამავიწყდაო, უთხრა ქალმა. წამოიყვანა ვაჟმა თხაც და წამოვიდა.

გავარდა ხმა, ოსიყმეს ხემწიფის რაში მოჰყავსო, შეიძრა ქალაქი, ხემწიფესაც თვალებს აეხილა, და იმის სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა. მოიყვანა ოსიყმემ რაში და მიართვა თავის ხემწიფეს. ხემწიფემ ჰკითხა: რა მოგცე, ასეთი სიკეთისათვის, რასა მთხოვო? ოსიყმეს ნათქვამი ჰქონდა ცხენიგან,

საგან, რომ ბევრს ნურაფერს გამაართმევო. ოსიყმემ უთხრა, რომ, თქვენ რომ ერთი კოჭლი ცხენი გყავთ, ის მომეცითო.—ეგრე ცოტას არ დაგაჯერებო, უთხრა ხემწიფემ. დაუტვირთეს თორმეტი აქლემი ოქრო-ვერცხლით, თვალ-მარგალიტით და გაისტუმრა. ოსიყმემ წაიყვანა კოჭლი ცხენი, თორმეტი აქლემი და წავიდა სახლში.

სახლს რომ მიუახლოვდა, ოსიყმემ დატვირთული აქლემები დააბა, თხა თან წაიყვანა და წავიდა ძმებთან. ძმებმა ვერ იცნეს, ვერც დედამ. იმ ღამეს ვახშამად რო სხდებოდნენ, ოსიყმემ უთხრა თხას: პირი დააბანინეო. დაიფრუტუნა თხამ, და იმ წამსვე გაჩნდა ოქროს პირის საბანი, ოქროს თუნგი, ჩამაურიგდა ყველას და დააბანინა პირი.—აბა, თხავ, ვახშამი გვაჭამეო, უთხრა ოსიყმემ. იმ წამსვე გაიშალა აბრაშუმის სუფრა, გაჩნდა ოქრო-ვერცხლის ჯამ-ჭურჭელი და, რაც სულსა და გულს უნდოდა, ის საჭმელ-სასმელი. მეორეს დღეს ძმები სანადიროდ გაემზადნენ, ოსიყმეს უთხრეს: შენც ხომ არ წამოხვალო? ოსიყმემ უთხრა, მშვილდ-ისარი მომიტანეთ, და წამოვალო. მოუტანეს ოსიყმეს თავის მშვილდ-ისარი და უამბეს, რომ ერთი უმცროსი ძმა გვყვანდა, ხემწიფემ წაგვართვა და დაკლა, რომ იმისი გულღვიძლით თვალები აჰხილებიყოვო.

ძმები რო წავიდნენ, ამათ ცოლებს და დედას კუროები მოუყვიდნენ, და დაიწყეს ქეიფის წევა. ოსიყმეს ცოლს კი სცემეს და დააყენეს კარებზედ. როდესაც სადილზედ დასხდომას აპირობდნენ, უფროსი რძალი ადგა და ამაყათ უთხრა თხას: თხავ, მოდი, ჩქარა, პირი დაგვაბანინეო! თხა მივიდა, ჩამაურიგდა ყველას და დაუფსა.—მოდი, სუფრა გაგვიშალეო! დაუყვირა ისევ რძალმა. ჩამაუარა თხამ ყველას სათითოოდ და დაუკურკლა. გაფითებულმა დიასახლისმა ესროლა თხას გურჩი, მაგრამ გურჩი მიეკრა და აღარ ჩამოჰვარდა. მიჰვარდა უფროსი რძალი და უნდოდა გურჩის მოშორება, მაგრამ თითონაც ზედ მიეკრა, იმას თავის კურო მიეშველა და ისიც იმას მიეკრა. ახლა მეორე რძალი მიეშველა, იმასაც თავის კურო მიეშველა, მაგრამ ისიც თხას მიეკრა ზედ თავის საყვარელზედ. მესამე რძალიც იმათ მიეკრა, იმას იმის კურო, იმაზედ ყველანი მოყოლებით და ბოლოს დედამთილი და იმისი კურო. ოსიყმეს ცოლი კი დარჩა ისე.

დაბრუნდნენ საღამოზედ ძმები და ნახეს ეს თავის ცოლები და იმათ კუროები. მაშინ გამაემცნაურა ოსიყმე ძმებს, უამბო ყველაფერი, თუ როგორ მააყარა იმის დედამ ნაცარი ბანს, რომ გაეგო იმათი ქცევა, თუ როგორ გადაჰრჩა სიკვდილს და ან თხა როგორ იშოვა. ძმებმა დახოცეს ცოლები და იმათ კუროები, შეირთეს სხვა ცოლები, ოსიყმეს ცოლი უფროს რძლად ჩათვალეს, მოიტანა თავის ოქრო-ვერცხლი ოსიყმემ, და დაიწყეს ტკბილად ცხოვრება.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 4 შაშვი და მელია

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი შაშვი. ააშენა ბუდე ერთს დაბურულს ტყეში, გამოჩეკა ბარტყები და სცხოვრობდა ტკბილად თავისთვის. გაიგო მელიამ, რომ შაშვს ბარტყები ჰყავსო, მივიდა იმის ბუდესთან და შესძახა: შაშვო, შვილები მომეც, თორემ დაგიჭერ და შენც შეგჭამო. — თავი დამანებე, უპასუხებს შაშვი, თორე ისეთს დავიძახებ, რომ რაც რამ ცის ძირს ორფეხები არიან, სუ აქ მოვლენო?—მე ისეთს დავიხავლებ, რომ მთელი ოთხფეხობა აქ მოვაო, უპასუხებს მელია. დაიძახა შაშვმა, და მოვიდა მთელი ორფეხობა, რაც რამ ან ფრინველი იყო და ან კაცი, სუ იქ მოვიდა. დაიხავლა მელიამ, და რაც კი რამ იყო ქვეყანაზედ ოთხფეხი, იქ მოიდო გრიალი. შეექნებათ საშინელი ომი და სისხლის ღვრა; ოთხფეხები დაამარცხებენ ორფეხებს, დაჰხოცენ სულ ერთიან, ზოგს დაჭრიან და გაჰფანტვენ. ერთი კაცი გადაჰრჩომია ამ ომს, მოდის და გზაზედ დაჭრილი სვავი ნახა; წაიყვანს სახლში აწამლებს, დაუკლავს ცხვარს და აჭმევს. მეორეს დღეს სვავი დაემზადება შინ წასასვლელად, კაცს ეტყვის: მოდი, შემჯე მხრებზედ, ჩემს დედ-მამასთან წაგიყვან; ვიცი, ისენი გკითხვენ: რა მოგცეთ, რო შვილი მოგვირჩინეო, და შენ სხვა არაფერი არ გამოართვა, ერთი ხელსაფქვავა აქვს, და იმისი უთხარ, ის მომეცით-თქო. შეისვა ეს კაცი სვავმა მეორეს დღეს მხრებზედ და გასწია სახლში. სვავის დედ-მამამ სიხარულით მიიღეს შვილის დამხსნელი.—რა მოგცეთო? ჰკითხეს, როდესაც კაცი დაემზადა წასასვლელად.—თქვენ რომ ერთი ხელსაფქვავა გაქვსთო, უპასუხა კაცმა. მისცეს ხელსაფქვავა, და კაცი გახარებული წავიდა სახლში. მოდის გზაზედ გახარებული და მაიმღერის. შეჰხვდება ერთი კაცი, ხმალი ჰკიდია, და ჰკითხავს: რას იმღერი, კაცო, რა გაქვს სამღერიო?—სვავის დედ-მამასთან ვიყავ, ერთი ხელსაფქვავა მომცეს, წალმა შემოატრიალებ, ოქროს თვალს დაჰფქვავს, უკუღმა—ვერცხლისას, უპასუხებს ხელსაფქვავას პატრონი.—მოდი გავცვალოთ, მე ისეთი ხმალი მაქვს, ვეტყვი: „ამოდი ვერცხლადა, დაენთი ცეცხლადა, წადი, იმ კაცს თავი მაჰჭერ, მოდი და ისევ ჩაეგი“! მართლაც ამოვა, გაფრინდება, მოსჭრის თავს, ვისთვისაც გინდა, დაბრუნდება და ისევ ქარქაშში ჩაეგებაო, უთხრა ხმლის პატრონმა ხელსაფქვავას პატრონს.—კარგიო უპასუხა იმან. გაჰცვალეს და გაშორდნენ ერთმანეთსა. ცოტა გზა რო გამოიარა, ხელსაფქვავას ნაპატრონალმა უთხრა ხმალს: „ხმალო, ამოდი ვერცხლადა. დაენთი ცეცხლადა, წადი, იმ კაცს თავი მოჰჭერ, მოდი და ჩაეგიო“! ამოვიდა ხმალი ვერცხლად, დაენთო ცეცხლად, მოჰჭრა თავი ხელსაფქვავას წამღებს, წამოიღო კაცმა ხელსაფქვავაც, ხმალიც და წამოვიდა. გზაზედ მოდის და მოიმღერის. წინ კაცი შეჰხვდა, სუფრა მოაქვს.—გამარჯვება!—გაგიმარჯოს!—რა გამღერებს, რამ გაგახარა?—რა არ მახარებს, ისეთი ხელსაფქვავა მაქვს, რომ წალმა შე-

მოვატრიალებ, ოქროს დაჰფქვავს, უკუღმა—ვერცხლსაო.—გამიცვალე სუფრაზედაო, უთხრა მგზავრმა. ეს ისეთი სუფრაა, რომ რასაც ეტყვი, სასმელ-საჭმელი იქნება, თუ სახლი და კარი—ყველაფერს გააკეთებსო. გაჰცვალეს: სუფრა ამან გამოართო, ხელსაფქვავი იმან წაიღო, მაგრამ როგორც კი გაჰცდა მგზავრი, წამლები იმის ხელსაფქვავისა, კაცმა ხმალს უთხრა: „ხმალო, ამოდი ვერცხლადა, დაენთი ცეცხლადა, წადი, ჩემი ხელსაფქვავის წამღებს თავი მოჰჭერ, მოდი და ისევ ჩაეგიო"! ამოვიდა ხმალი ვერცხლით, დაენთო ცეცხლით, მოჰჭრა თავი ხელსაფქვავს წამღებს, მოვიდა და ჩაეგო. წამოიღო კაცმა ეს ხელსაფქვავი, ეს ხმალი, ეს სუფრა, და წამოვიდა სიხარულით. მოვიდა სახლში, სუფრას უთხრა: სუფრავ, აბა ერთი კარგი სახლები დამიდგიო! მაშინვე მშვენიერი სახლები წამოეჭიმა. დაიწყო ტკბილად ცხოვრება. ეხლაც ცოცხალია და წუთი სოფელს ჰჭამს.

## 5. ზარმაცი.

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა,

იყო შაშვი მგალობელი,
ღმერთი თქვენი მწყალობელი,

იყო ერთი ცოლი და ქმარი. ქმარი მეტის-მეტი ზარმაცი იყო, არაფერს არ აკეთებდა, მხოლოდ იჯდა, ჰჭამდა და ხან ერთს გვერდზედ გადაბრუნდებოდა და ხან სხვაზედ. ცოლი კი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შრომობდა, იმასაც ჰკვებავდა, აცმევდა და თავის თავსაც მაინც მეტად ღარიბად სცხოვრობდნენ; იმათ ბედობაზე მარტო ერთი კარის პირი იყო სადღაც შორს, რიყეზედ და ქვიშაზედ, ჭინჭრისა და ღოღოს მეტი არც არაფერი იმაზედ იდგა და მოდიოდა. ერთს გაზაფხულზე ცოლმა ჰთხოვა მეზობლებს, მოახვნევინა, მერე თესლი ჩამოითხოვა, მოთესა. ყანა ამოვიდა, რა ყანა, სუ ზღვასავით ჰღელავდა! მოვიდა მკათათვე. შემოვიდა ყანები. ცოლმა უთხრა ქმარს: კაცო, ადეგ, წადი, ნახე, იქნება ი მამულზე არაფერი არ მოგვივიდა, და ჩვენ კი ტყუილად იმედი გვქონდესო. ადგა როგორც იყო ზარმაცი, წავიდა მამულის სანახავად; ნახევარი გზაც არ გაუვლია, დაბრუნდა ისევ უკან და ცოლს მოატყუა, რომ იქ ვიყავ, და იქ ღოღოსა და ჭინჭრის მეტი არაფერი მოსულა, თესლი რაზედ გადავყარეთ ტყუილადაო. ცოლმა იცოდა, როგორი ყანაც იდგა, და არაფერი არ უთქვამს. როდესაც სამკალი გახდა ყანა, ცოლმა უთხრა ზარმაცს: კაცო, ან სამკალს წადი ან სახლში დარჩი, რძე შედღვიბე, კრუხ-წიწილას საკენკი დაუყარე, თვალი დაიჭირე, ფქვილი დაცერ და პური გამოაცხეო.

ზარმაცმა სახლში დარჩენა ირჩია. რო კრუხ-წიწილა არსად წასულიყო, ზარმაცმა აიღო ცოლის თხორი (გორგალი), გადააბა ერთმანერთს წიწილებიც, კრუხიც და ისე გაუშო კალოზედ. უცებ საიდგანღაც გაჩნდა ქორი, დააფრინ-

და კრუხ-წიწილას და გააქანა ერთბაშად ყველა. დარჩა უკრუხ-წიწილო ზარმაცი. ზარმაცმა აიკიდა ზურგზედ საცერი და ფქვილიანი გუდა, სარძეული და ისე გამოუდგა ქორს.—კრუხ-წიწილასაც დავაგდებინებ ქორს, ფქვილიც დაიცრება, რძეც შეიღლვიბება და ერთბაშად ყველა საქმეს გავაკეთებო. მაგრამ ვერც კრუხ-წიწილა გააგდებინა, ფქვილიც დააბნია; დაბრუნდა ზარმაცი სახლში, ცოტა არ იყვეს, შეფიქრიანებული.—რაღა უთხრა ცოლსაო, ეფიქრა ზარმაცმა: საიდგან უშოვო ან კრუხ-წიწილა და ან ფქვილიო. იფიქრა, იფიქრა და მოიგონა: ჩემს ცოლს ხომ კვერცხები აქვს, ჩავაწყობ იმათ გოდორში, შიგ მე ჩავჯდები და, სანამ ჩემი ცოლი სამკლიდამ დაბრუნდება, მე კიდე წიწილებს გამოვჩეკო. აიღო მართლაც, ჩააწყო კვერცხები ბუდეში, ზედ თავად დააჯდა და მოჰყვა კრუშ-კრუშს. საღამოზედ ცოლი დაბრუნდა სახლში სამკლიდამ, ქმარს დაუძახა: კარი გამიღეო. „კრუხ, კრუხ, კრუხ!“ მოესმის სახლიდგან.—კარი გამიღეო, გაუმეორებს ცოლი. ისევ: კრუხ, კრუხ, კრუხ,“ მოესმის სახლიდგან. მესამედ დაუძახებს ქმარს: სადა ხარ, სად დაიხაფრე და დაიკარგე, ე კარი გამიღეო! მაგრამ იმას ხმას არავინ გაჰცემს, და მარტო კრუშ-კრუში მოესმის. შეამტვრევს ცოლი ძალად კარს და შევა სახლში. იმისი ქმარი ჩამჯდარა ქათმის საბუდარში და კრუშკრუშებს.—რა არი, კაცო, ეგ რაღა საქნელი იყო, რა მოგიგონებაა, ეგ რასა ჰშვრებიო? ამოდი მაგ ოდრიდამაო!—კრუხ-წიწილა ქორმა წამართო, და კვერცხებს დავაჯექ გამოსაჩეკადაო, უპასუხა ქმარმა.—შენი გამოჩეკილი არ მინდაო, უთხრა ცოლმა: ამოდი მაგ ოდრიდამაო. ამოიყვანა ბუდიდგან ცოლმა ზარმაცი ქმარი და დასო კერაზედ.

მეორეს დღეს ცოლმა ჰკითხა ზარმაცს: აბა, რას იზამ, ისევ სახლს მოუვლი, თუ სამკალს წახვალო?—სამკალს წავალო, უპასუხებს ქმარი. თუ დღეში სამს ქათამს დამიკლავ: ერთს სადილად, ერთს სამხრად და ერთს ვახშმად, მარტოკა მე მოვმკი იმ მამულსაო.—ოღონდ შენ ის ყანა მომკე, და თუნდა ოთხს ქათამს დაგიკლავო, უპასუხა ცოლმა. წავიდა ზარმაცი ყანაში. მთელი დღე ორი-სამი ძნა ვერ გამოჰჭრა, სუ ეგდო და ეძინა, სამი ქათამი კი შეჭამა. ასე გავიდა სამი-ოთხი დღე. ყანა მამულში აპირობდა ჩაწვას. ერთს დილას ადგა ზარმაცის ცოლი, ითხოვა ცხენი, კაცის ტანისამოსი, იარაღი, ჩაიცვა ტანზედ, იარაღიც აისხა, შეჯდა ცხენზედ და ქმრისაკე გაჰწია. ზარმაცს რო მიუახლოვდა, დაუძახა: მომკალო, ერთი ზარმაცი კაცი არ იცი, ხემწიფეს შვილი ჰყავს ავად, უკვდება, და ზარმაცის ღვიძლი გვასწავლეს, ის უშველისო. ზარმაცი შეშინდა და შეჰფიცა, რომ აი ეს ერთი საათია, რაც მკა დავიწყე და მეტს როგორ მოვმკიდიო.—თუ საღამომდისინ არ მოგიმკია ეგ ყანა, მოვალ, ვნახავ, თავს მოგჭრი და ღვიძლს ამოგარიდებო, უთხრა მგზავრმა, გაჰცდა და წავიდა. ეცა ზარმაცი ყანას და საღამომდისინ ბოლი აადინა. დაჯდა გადაწყვეტილი და დაიწყო ქშენა. საღამოზედ ცოლმა საჭმელი მოუტანა, მაგრამ რაღა საჭმლის თავი ჰქონდა, იჯდა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, კვნესიდა. ცოლმა განგებ ჰკითხა: რას დაუღალიხარო? ზარმაცმა უამბო, რომ ამაზედ ერთმა ხემწიფის კაცმა გამაიარა და დამემუქრა: თუ საღამომდისინ ამ ყანას არ მოჰმკი, საღამოზედ

მოვალ, თავს მოგჭრი, ღვიძლს ამოგარიდებ და წავიღებო. ცოლმა გული გაუკეთა: ნუ გეშინიან, მოგიმკია, ის შენ არაფერს გეტყვისო. როგორც იყო, მოიტანეს ძნაც, გალეწეს და ჩაყარეს მარცვალი.

ზარმაცს ერთი ღორი ჰყავდა; რაც რამ ებადა, იმას აჭმევდა. ცოლმა უთხრა: კაცო ჩვენთვინაც არაფერი გვაქს, რომ ვჭამოთ, შენ ღორს აჭმევ, მოვიშოროთ, დავკლათო.—სანამ უკან ქონი არ გამოეჩრება, არ დავკლავო, უპასუხა ქმარმა. ცოლი ადგა, გაათბო ერბო, მიასხა ღორს, მოიყვანა ქმართან, აჩვენა და უთხრა: აი, ისე გასუქებულა, რომ ქონი გამოჰდისო. მცონარამ დაკლა თავის საყვარელი ღორი, რადგანაც მუცელი უფრო საყვარლად მიაჩნდა. ღორის ხორცი მალე შეჭამა ზარმაცმა, მხოლოდ ერთი იმის ცოლისგან დამალული ბარკალი და დარჩა. ქმარმა შეიტყო, რომ ჩემს ცოლს ღორის ბარკალი დაუმალიაო, და გადაეკიდა, მომეცო. ცოლმა უარი მოახსენა —მოვკვდები, თუ არ გამომიჩენო, უთხრა ზარმაცმა ცოლს. ცოლმა კიდევ არ მისცა.—მოვკვდებიო, უთხრა კიდევ ზარმაცმა.—მოკვდი, თუ მოჰკვდები, ვის დააკლდებიო, შეჰმადლა ცოლმა.

ადგა მცონარა, წაწვა ტახტზედ, დახუჭა თვალები, განაბა სულ-ტყავი და მაიმკვდარუნა თავი. ცოლმაც ყასიდად დაიწყო ტირილი ქმარზედ. მოიყვანა მღვდელი, გააკეთებინეს კუბო, ჩადვეს შიგ და წაიღეს საყდარში. ცოლი ერთხელ კიდევ მივიდა ქმართან და წაჰჩურჩულა: გაცოცხლდი, თორე დაგმარხავთო.—მკვდარი ვარ, როგორ გავცოცხლდეო, უპასუხა ქმარმა.—გაცოცხლდიო, დაუძინა ცოლმა.—მაშ თუ ღორის ბარკალს მომცემ, გავცოცხლდებიო, უთხრა ქმარმა.—არაო, უთხრა ცოლმა.—მაშ არც მე ავდგებიო. წაიღეს მცონარა და დაასვენეს ეკლესიაში. რო დაღამდა, ზარმაცის ცოლი ადგა, მივიდა საყდრის კარებთან და დაიძახა: მკვდარნო, ახალნო და ძველნო; გეყურებოდესთ, ადეგით, ცაში საყდარი შენდება; ვინც ახალი მკვდრები ხართ, ორას-ორასი აგური უნდა აიტანოთ, და ვინც ძველნი —ას-ასიო; მცონარამ იფიქრა: ვაჰ, მე ხუთს აგურს აქაც ვერ მოვერევნილვარ და იქ ორასი რით ეშმაკით უნდა ავიტანოვო! წამოხტა და გააქცინა ფეხაქა ეკლესიიდგან. ის დღე ის დღე და აღარც მომკვდარა, აღარც ღორის ბარკალი მოუკითხნია და აღარც გვერდზედ უგორავნია. მუდამ შრომობდა და იყვნენ ტკბილად და მდიდრად.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.
ელოსა-მელოსა, ჭიქა მეკიდა ყელასა..
მთქმელსა და გამგონებელსა,
ჭირი გაშოროსთ ყველასა.

(ხალ. ზღაპ. ჩარგალი.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 6.—ვაშლა

ცხენი ვიყიდე ახალი,
ახლად ამდგარი ჯანზედა...
კაცმა რო სიტყვა ამოსთქვას,
უნდა რამ იყვეს წარზედა.*)

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა,

იყო შაშვი მგალობელი,
ღმერთი თქვენი მწყალობელი,

იყო ერთი დიდებული ხემწიფე; ჰყვანდა სამი ვაჟი და სამი ქალი. უმცროსს ვაჟს ეძახდნენ ვაშლას. ხემწიფე რო კვდებოდა, შვილებს ანდერძად სამი რამე დაუგდო: რო მოვკვდები და დამმარხავთ, სამს დღე-ღამეს მიდარაჯეთ რიგ-რიგითაო; ეგ სამი ჩემი ცოდვის შვილები მაშინვე გაათხოვეთ, ვინც პირველად გთხოვოსთ, იმას მიეცითო, და, სპილენძის ქალაქში რომ სამი მზეთუნახავი ქალია, ისენი წამოიყვანეთო. გარდაიცვალა ხემწიფე, დაასაფლავეს, როგორც რიგი და წესი მოითხოვდა.

პირველსავე დღეს ჩამოწვა ღრუბელი ვაჟების კარებზედ, შეუგზავნა კაცი ძმებს, სთხოვა და ცოლად. ვაშლამ უთხრა ძმებს: ძმებო, მამის ანდერძს ნუ გავტეხთ, ქალის მთხოვარი მოგვივიდა, რას იტყვითო. ძმებმა უთხრეს: რაც გინდა, ისა ქენო. გაიყვანა უფროსი და ვაშლამ, მისცა ღრუბელს და გაისტუმრა. ის იყო ღრუბელი წავიდა, რომ მოვიდა არწივი, შეუგზავნა ძმებს კაცი და ჰთხოვა და ცოლად. ძმებმა უარი უთხრეს; ვაშლამ კი გაიყვანა საშუალი და და მისცა არწივს. არწივმა შეისვა ქალი მხრებზედ და გაჰწია თავის სახლისაკენ. არწივის შემდეგ ეშმაკი მოვიდა. უმცროსი და ვაშლამ ეშმაკს მიჰცა და შეასრულა ერთი მამის ანდერძი.

რო დაღამდა, ძმები სადარაჯოდ დაემზადნენ. წილი ყარეს, და მამის საფლავის ყარაულობა წინა ღამეს უფროს ძმას ერგო. უფროსი ძმა წავიდა სადარაჯოდ; დაჯდა საფლავზედ და დაიწყო ლოდინი. ცოტა ხანი გავიდა, და მაიღო საფლავზე გრიალი შავ-რაშიანმა მხედარმა. მხედარი ყორანივით შავად იყო შემოსილი. რაშიც შავი ჰყავდა, იარაღიც შავი ჰქონდა, შავი ნისლი ებურა.—ვინა ხარ? რას დაეთრევიო? დაუძახა უფროსმა ძმამ: წადი, შენს გზას გაუდექო! შავმა მხედარმა შემოჰკრა რაშს და სიბნელეში მიიმალა. შუაღამის დროს წითელი მხედარი მოვიდა, წითელი რაში ჰყავდა, წითელი ტანისამოსი ეცვა, წითელი აბჯარი ჰქონდა ასხმული, წითელი ნისლი ეხვია. ისიც გააფთხო ვაჟმა და დაჯდა ისევ. თენების დროს თეთრი მხედარი მოვიდა, თეთრს ცხენზედ იჯდა, თეთრად შეკაზმულზედ, თეთრის საცმე-

*) რიგზედა.

ლით, თეთრის აბჯრით, თეთრით, როგორც წიმარო*) თოვლი, თეთრი ნისლი ებურა პირზედ. ისაც გააფთხო უფროსმა ძმამ და წავიდა ძმებთან. ძმებს უამბო: ესე, ესე, ისეთ-ასეთი კაცები მოვიდნენ, და გავაფთხეო.

მეორე ღამეს საშუალი ძმა წავიდა. იმ ღამესაც ვახშმობის დროს შავი მხედარი მოვიდა, გააფთხო; შუაღამის დროს წითელი მხედარი, ისიც გააფთხო; თენებისას თეთრი მხედარი მოვიდა, ისიც გააფთხო. დილით დაბრუნდა სახლში და ძმებს უამბო, რომ წუხელ ასეთ-ისეთი კაცები მოვიდნენ, და მე დავაფთხეო.

მესამე ღამეს უმცროს ძმაზედ ვაშლაზედ მიდგა რიგი. იმან აიღო მშვილდი და ისარი და წავიდა სადარაჯოდ. ვახშმობის დროს გამოჩნდა შავი მხედარი, მივიდა საფლავთან, ჯერ მიიხედ-მოიხედა, მერე გადმოხტა ცხენიდგან, დაჰკრა ბარი სამარეს და სთქვა: აი შე ასეთ ისეთო, სანამ ცოცხალი იყავ, ვერაფერი გიყავ და ეხლა მკვდარი ხომ ჩემ ხელში ხარო. ამის თქმა და ვაშლასაგან მშილდის დაზიდნება ერთი იყო. იჭექა მშვილდმა, და შავი მხედარი ცხენიდგან კი გადმოვარდა. ადგა ვაშლა, გაჰხადა ტანისამოსი, აჰყარა აბჯარი, ცხენი წამოიყვანა, დამალა, და თვითონ ისევ დაჯდა სადარაჯოდ. შუა ღამე რო გახდა, პირველი მამლის ყიული, მოვიდა წითელი მხედარი იმანაც ისა ჰქნა და ისა სთქვა, რაც შავმა მხედარმა. ვაშლამ ისაც მოკლა, აჰყარა იარაღები, გაჰხადა ტანისამოსი, წაიყვანა რაშიც, ისიც დამალა და დაუჯდა თვითონ ისევ სადარაჯოდ. თენების ხანს თეთრი მხედარი მოვიდა, ისიც მოკლა ვაშლამ და იმის მოკაზმულობაც შეინახა. გათენდა, მივიდა სახლში და, ძმებმა რო ჰკითხეს, რა ჰქენო, იმან უთხრა, დავხოცე და მოვიშორეო. ძმებმა არ დაუჯერეს, და არც ვაშლამ შეატკია თავი. ორი ანდერძი რო აასრულა მამისა, ვაშლამ უთხრა ძმებს: ძმებო, აბა ეს ორი ანდერძი აუსრულეთ მამას, ეს მესამეც ავუსრულოთ, ნუ შევრცხვებით ბოლოს, წავიდეთ და, მამამ რო გვირჩია ცოლად შესართავად, ის მზეთუნახავები მოვიყვანოთო. ძმებმა დაჰცინეს: შენმა მზემ, შენ კი ეგ არი სამივეს ერთად მოიყვან; თუ წახვედი, შენ აღარა დაგიდგებაო.

ადგა ვაშლა, შეკაზმა შავი რაში ჩუმად, ჩაიცვა შავი საცმელი, შავი აბჯარი აისხა, შემოჰკრა და გააფრინა სპილენძის ქალაქისაკენ. როდესაც სპილენძის ქალაქთან მივიდა ვაშლა, ნახა, რომ ქალაქს გალავანი არტყია, რომ თვალი ვერ აჰწვდება. რაშმა უთხრა ვაშლას: გალავანთან რომ მივალთ, სამი ისეთი გადმომკარ, სამი შოლტი საქალმე ტყავი ამძვრეს. ზედ მარილი გადმომაყარე, გამაგრდი ზურგზედ, და მე ვიცი და იმ ქალებმაო. მართლაც გადაჰკრა ვაშლამ რაშს სამი მათრახი, სამი პირი ტყავი აჰძვრა, ზედ მარილი გადააყარა, ისკუპა რაშმა და გალავანს ზედ კი გადაევლო. მოიტაცა უფროსი ქალი და გამოჰწია შინ. სახლში რომ მივიდა, ვაშლამ დამალა ქალიც, გაიხადა შავი ტანისამოსიც, შავი რაშიც დამალა, და ისე გამოეცხადა ძმებს. ძმებს არაფერი არ უთხრა. მეორეს დღეს ისევ დაემზადა ვაშლა და უთხრა ძმებს: აბა, ძმებო, წავიდეთ, მზეთუნახავები მოვიყვანოთო. — აი,

*) წიმარო—სპეტაკი.

შენმა მზემაო, უპასუხეს ძმებმა, გუშინ რო შავი მხედარი იყო, სუ იმას არა ჰგევხარო.. წავიდა ვაშლა. შეკაზმა წითელი რაში წითელი უნაგირითა, წითლად შეიმოსა, წითელი აბჯარი აისხა, შეჯდა ცხენზე და გაემართა ისევ მზეთუნახავებისაკენ. წითელმა რაშმაც ისე უთხრა. გადმოიყვანა საშუალი ქალიც და მივიდა სახლში. მეორე დღე რო გათენდა, ვაშლა ისევ ადგა წასასვლელად, ისევ უთხრა ძმებს, მაგრამ იმათ ისევ უარი უთხრეს.

ადგა ვაშლა, შეკაზმა თავის თეთრი რაში, თეთრი ტანისამოსი ჩაიცო, თეთრი აბჯარი აისხა და გაფრინდა ქარივით უმცროსის მზეთუნახავის წამოსაყვანად. გალავანთან რო მივიდა, რაშმა უთხრა; მოსართავები მაგრა მამიჭირე, სამი მათრახი გადმომკარ, სამი შოლტი ტყავი ამძვრება, ზედ მარილი გადამაყარე, და მე გადმოვიყვანო. ვაშლამ ყველაფერი ისე ქნა, როგორც რაშმა ასწავლა. ისკუპა რაშმა, გადახტა და წამოიყვანა უმცროსი ქალიც. მოვიდა სახლში, შეიყვანა ქალი დებთან, რაში რაშებთან, თვითონ ძმებთან შევიდა. წამოიყვანა, ჯერ ქალებთან შეიყვანა; უფროსი უფროსს მისცა, საშუალი — საშუალს, უმცროსი თავად დაიჭირა. მერე რაშებთან შეიყვანა; შავი რაში უფროს ძმას მიჰცა და შავი ტანისამოსი და მორთულობა, წითელი საშუალს ძმას და თეთრი თვითონ დაიჭირა.— აი ეს რაშები და ეს ტანისამოსი იმ კაცებისია, თქვენც რო ჰნახეთ, მამაჩვენის საფლავზედ რო მოდიოდნენ, მე დავხოცეო: ეს ქალებიც მამა ჩვენმა რო ანდერძად დაგვიგდო მზეთუნახავების ცოლად შერთვა, ისენი არიანო; ის კაცები ერთხელ, შავის რაშით რო ჰნახეთ, ქალი რო მოიტაცა, ერთი წითლის რაშით და ერთიც თეთრის რაშით და თეთრის აბჯარ-აბგრით მე ვარო. გაუხარდა ძმებს; დაიწყეს ცხოვრება ტკბილად და გემრიელად.

ერთხელ ვაჟები სანადიროდ იყვნენ; მინდორში ერთი ციდა-მტკაველა კაცი ნახეს, თვითონ მუშტის ტოლა მძლივ იქნებოდა და ულვაშები კი თითო ადლი ჰქონდა. უფროს ძმებს ძალიან გაუკვირდა; სთქვეს კიდეც: წავიყვანოთ, ჩვენს ცოლებს გასართობლად გამოადგებაო. ვაშლამ უშალა: ნუ გინდათ, უბედურებას რასმეს შეგვამთხვევსო, მაგრამ ვერ დაამშლევინა. წამოიყვანეს ციდა-მტკაველა სახლში და წამოვიდნენ. ცოლებს ძალიან გაუკვირდა ციდა მტკაველა და სუ იმის ჩაჩმულში იყვნენ!*) ერთხელ სამივე ძმა სანადიროთ იყვნენ. იმათ ცოლებმა გამოიყვანეს ციდა-მტკაველა კარში და ეთამაშებოდნენ. უცებ ეს ციდა-მტკაველა უშველებელ ვეშაპად კი იქცა, მოიტაცა ვაშლას ცოლი და ერი,—გაუსო, წაიყვანა და წაიყვანა. დაბრუნდა ვაშლა სახლში. სადღაა ცოლი! შემოიკრა თავში და პირში, მაგრამ რას უშველიდა.

შეკაზმა ბოლოს თავის თეთრონი, ჩაიცვა თეთრი ტანისამოსი, თეთრი აბჯარი აისხა და გაჰწია საძებნელად. ბევრი იარა, ცოტა იარა და მოვიდა ღრუბლის სახლში. ღრუბელი სანადიროდ ყოფილიყო, უფროსი და კი შინ დახვდა. დას ძალიან გაუხარდა ძმის მისვლა. გადაეხვივნენ ერთმანეთს, დაუწყეს კოცნა. ვაშლამ უამბო დას, რადაც მივიდა იმათას, ან სადაც მიდი-

*) სულ იმას ჩასცქეროდნენ.

ოდა. რო დასაღამოვდა, დამ უთხრა ვაშლას: ძმაო, დაგმალავ, თორემ შენი სიძე მოვა და ვაი თუ ვერ გიცნოს და ზიანი რამ გიყვასო. აქცია ვაშლად და დადო ტახტზედ. მოვიდა საღამოზედ ღრუბელი და ცოლს უთხრა: კაცის სული მომდისო.—აქ კაცს რა საქმე აქვსო, უთხრა ცოლმა; გადუკრა ლაპარაკი და მერე უთხრა ცოლმა ღრუბელს: აქ ჩემი ძმა რო ვინმე მოვიდოდა, რას უზამდიო.—უფროსი იქნება, მწვადად ავაცვამ, საშუალი იქნება, დავცრცქნი და უმცროსი, და სულში ჩავისვამო. აიღო ქალმა ვაშლი ხელში და უთხრა, რომ შენი უმცროსი ცოლის ძმა არის აქაო. ვაშლი იქცა ვაჟად, და ვაშლამა და ღრუბელმა ერთმანერთი ჩაკოცნეს. ღრუბელმა გამოჰკითხა ყველაფერი ვაშლას. ვაშლამ უამბო, სადაც მიდიოდა, ან რადაც და ჰკითხა, ხომ არსად გინახიაო.—ვნახეო, უთხრა ღრუბელმა, კიდეც გამოვუდექ, ხელსახოციკ წავართვი ქალს, მაგრამ ის ისეთი ვაჟია, რომ იმას ვერავინ რას გამოართმევსო. მე ვერაფერი ვერ ვიცი სხვაო. მისცა ხელისახოციც და უთხრა, როდესაც გაგიჭირდება ეს ხელისახოცი გამოგადგებაო. გამოეთხოვა ვაშლა და წავიდა საძებნელად.

გზაზედ არწივს შეუარა. გამოეგება საშუალი და და დაუწყო კოცნა. შეიყვანა შინ და დაუწყო ამბის კითხვა. ძმამ უამბო ყველა თავის თავგადასავალი და უთხრა რომ ეხლა საძებნელად მივალ და სიძეების თავი მჭირიაო... საღამო ხანი რო მოახლოვდა, დამ უთხრა ვაშლას: ძმაო, კითუ დაგმალავ, თორემ შენს სიძეს ვაი თუ სხვა ვინმე ეგონო და შეგამთხვიოს რამეო. აქცია ხელსახოცად და მუთაქის ძირში ამოდო. საღამოზედ არწივი მოფრინდა და სთქვა, რომ სულიერის სუნი მომდისო.—აქ კაცს რა უნდა შენის შიშითაო, უთხრა ცოლმა და გადაუკრა ლაპარაკი: ჩემი ძმა რო საითმე მოვიდოდა აქ, რას უზამდიო?—უფროსი იქნებოდა, მწვადად ავაცვამდი; საშუალი იქნებოდა, წვრილად დავჭრიდი, და უმცროსი იქნებოდა, და სულში ჩავიძვრენდიო.—აქ არის შენი უმცროსი ცოლის ძმაო, უთხრა ქალმა და გადმოუჩინა ვაშლა. ვაშლამა და არწივმა დაჰკოცნეს ერთმანერთი და ჰკითხეს ამბავი. ვაჟმა უამბო, რადაც იყო მოსული, და ჰკითხა: ხომ არსად გინახიაო.—ვნადირობდიო, უთხრა არწივმა, იმ დროს გადმოატარა ქალი, გამოუდევ, ქოშის წართმევა კი მოვასწარ, და ვერ წავართვი კიო. ის იმისთანა ვაჟია, რომ ეგრე ადვილად იმას ვერავინ წაართმევსო. გაუვსო იქაც ქიქა წყლით და უთხრა: სანამ ეს წყალი ქიქაში ფერს არ იცვლის, ცოცხალი მიგულეთ, გაწითლდება და—მკვდარი ვარო. გამოეთხოვა ამათაც მეორეს დღეს და გაუდგა გზას...

მივიდა ეშმაკთან. გამოეგება უმცროსი და და დაუწყო კოცნა. შეიპატიჟა სახლში, დასვა და დაუწყო ამბის კითხვა. ვაშლამ ყველაფერი უამბო დას, სადაც მიდიოდა და ან რადაც. საღამო რო მოახლოვდა, დამ ვაშლა წყლიან ქიქად აქცია და ქმარს მარტო მაშინ გამოუჩინა, როდესაც ქმარმა უთხრა, რომ უმცროსს ძმას სულში ჩავიძვრენო. ვაშლამ უთხრა ეშმაკს, თუ რადაც გაისარჯა და მოვიდა იმასთან. ეშმაკმაც უთხრა, რომ მეც ვნახე, მიჰყვანდა, დავედევნე კიდეც წასართმევლად, მაგრამ მე იმას ვერ წავართვიო. ის ისეთი ვაჟია, რომ ჩემისთანები იმას ქალს ვერ ართმევენო. ეს კი იყო,

ბიბლიოთეკა

რომ ქალს ბეჭედი წავაძრე ხელიდგანაო. გამოთხოვების დროს, აავსეს აქაც ქიქა წყლით, და უთხრა ვაშლამ ეშმაკს, რომ თუ ქიქაში წყალი გაწითლდა, მაშინ მკვდარი ვარო. გამოეთხოვა და გაუდგა თავის გზას.

ბევრი იარა, ცოტა იარა და მოვიდა ვეშაპის სახლში, სადაც იმის ცოლი იყო. მივიდა თეთრ-ცხენიანი ვაშლა ვეშაპის კარზედ, იცნო ცოლმა და ტირილით მიეგება წინ: რად მოხველ, რადღა დამალონებ ისეც დაღონებულს, ხო მოგკლავს ის უსურმაგიო! — ნუ გეშინიანო, უთხრა ვაშლამ, გამამყევ, და იმან, რაც უნდა, ისა ქმნასო. შეისვა ვაშლამ ქალი თავის თეთრონზედ და გაუდგა გზებს.

მოვიდა ციდა-მტკაველა შინ, მოიკითხა, — აღარცად ცოლი. მააჯდა თავის სამფეხიან რაშს და გაუქროლა. ცოტა ხნის შემდეგ დასწვდა ვაშლას, წაართვა ქალი და უთხრა: ეხლა კა მიპატიებია, რადგანაც მეც მოგტაცე ცოლი, და მეორედ კი აღარ გაჰბედოვო. გაუშო ვაშლა თავის გზაზედ, ქალი თვითონ შეისვა ცხენზედ და გასწია სახლში. ვაშლამ ამით არ მოიშალა, ადგა ისევ და წავიდა ციდა-მტკაველას სახლში. ქალმა უარესად დაიწყო ტირილი: ეგ არი, აღარა გიხსნის, რად მოხვედოდი, რაღა დაღონება და დამმარება მაკლდაო; ვაშლამ მეორედ მაიტაცა ცოლი და გაუდგა გზას. გზაზედ ცოლსა ჰკითხა: რით, ან როგორ უნდა გავეხვეწოთ ციდა-მტკაველასაო? — სხვით არაფრით არ შეიძლება, იმას გაასწროს კაცმა, თუ ისეთივე რაში არ იშოვა, როგორიც ციდა-მტკაველასა ჰყავსო. იმან ის რაში ზღვიდგან გამოიყვანა; წავიდა ზღვის პირს, წაიღო სამი დუმა, უსო, უსო ქვას ერთი დუმა, და გამოჩნდა რაში ზღვიდგან. რაშს უკან სამი მგელი მოჰყვა. ის ორი დუმა ორი მგლისთვის გადაეგდო; მესამე გაღეული ყოფილიყო, და აბა მესამე მგელს რას გადუგდებდა; იმ მესამე მგელს მოექამა იმის რაშისთვის მეოთხე ფეხი, და ეხლა სამფეხა იმითა ჰყავსო. ესენი ამ საუბარში იყვნენ, რო ციდა-მტკაველა სახლში დაბრუნდა, ცოლი შინ ვერა ნახა; მაშინვე მიჰხვდა, ისივ ვაშლა წაიყვანდაო, და გამოუდგა; დაეწია, დაკუწა, ჩაყარა გახურებულს რკინის ყუთში, დაკეტა და ზღვაში გადააგდო ვაშლა. ქალი უკან დააბრუნა და ავიდა სახლში.

აქ რო ვაშლა დაკუწა ციდა-მტკაველამ, იქ ლრუბლისას, არწივისას და ეშმაკისას ქიქაში ჩაყენებული წყალი გაწითლდა, იქცა სისხლად. ლრუბელმა დაუარა სხვა სიძეებს და შეატყობინა, რომ ვაშლას საქმე უჭირსო. მაშინვე შეიყარნენ ერთად ლრუბელი, არწივი, ეშმაკი და გასწიეს ვაშლას საშველად. ჩაწვა ლრუბელი ზღვაში, ამოიღო ზევით ვაშლა, არწივმა დაუქროლა, გამოიტანა ნაპირს, ეშმაკმა გატეხა ყუთი, გადაასხა ვაშლას ძვლებს უკვდავების წყალი და გააცოცხლა. ადგა ვაშლა, მაიფშვნიტა თვალები და სთქვა: ოჰ, რა ბევრი მძინებიაო! — ბევრი მაშინ გეძინებოდა, რომ ჩვენ არ შეგვსწრებოდითო, უთხრეს სიძეებმა და უამბეს, თუ ან მკვდარი როგორ იპოვეს და ან როგორ გააცოცხლეს. ვაშლა დაემზადა ისევ წასასვლელად. სიძეებმა უშალეს, მაგრამ არ დაიშალა. წავიდა ზღვის პირას, წაიღო ბევრი დუმა, დაჯდა იმ ქვაზედ, რომელიც ცოლმა ასწავლა, და დაეწყო დუმას

სმა ქვისად. ერთი დუმა რო გალია, გამოჩნდა კიდეც ზღვიდამ რაშის ყურები; მერე რაშიც გამოვიდა, და მაჰყვნენ მგლებიც. მგელს ვაშლამ დუმები გადუყარა, თითოს, მგონი, ხუთ-ხუთიც შეჰხვდა; იმათ ისენი დაირიგეს, და ვაშლამ კი თავის რაშით მოუსო ციდა-მტკაველასაკენ. მოვიდა ქალთან, მოიტაცა და გააფრინა. მოვიდა ციდა-მტკაველა, აღარ დაჰხვდა ცოლი, და მაშინვე რაშთან მიიჭრა: დავეწევით, თუ არაო? წინათაცა ჰკითხავდა ხოლმე რაშს და აიჩქარებდა, მაგრამ რაში ეტყოდა: ფიქრი ნუ გაქვს, ვერცად წაგივლენო, ეხლა კი რაშმა გადუწყვიტა იმედი: ეგ არი, იმათ ჩვენ ვეღარ მოვეწევითო. მაინც შეჯდა ციდა-მტკაველა რაშზედ, გამოუდგა ვაშლას, მაგრამ ვაშლას რაში სხვა ნაირად მიფრინავდა. ციდა-მტკაველას სამფეხი დარჩა, და გავიდა სამშვიდობოს ვაშლა კი... ვაშლამ გზაზედ შეუარა სიძეებს, ყველგან ლხინი გაუმართეს, და მერე გასწია თავის სახემწიფოში.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

—

მთას ურემი ავიტანე,
წამოვიდა გორებითა:
აქ სიცოცხლით გაგვიძელით,
საიქიოს ცხონებითა.

—

ელასა-მელასა,
ჭიქა მეკიდა ყელსა,
მთქმელსა და გამგონებელსა,
ძილი გაამოსთ, ყველასა.

—

ჩიტი გაფრინდა ცხრა ფრთანი,
ასი ტყუილი ერთი მართალი...

## 7.—კიტრის ქალი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა,

იყო შაშვი მგალობელი,
ღმერთი თქვენი მწყალობელი,

იყო ერთი დიდებული ხემწიფე. იმ ხემწიფეს ერთი ვაჟი ჰყავდა. ერთხელ ხემწიფის შვილი ჭალაზე ქვიშაზე იჯდა და ლამსა ჰწყავდა. ამ დროს ერთმა ბებრის ქალმა წყლიანი კოკა გამოატარა. ხემწიფის შვილმა ესროლა ქვა და ბებრის ქალს კოკა კი გაუტეხა. წავიდა ტირილით სახლში ეს ქალი. დედას უთხრა, რომ ერთმა ვაჟმა კოკა გამიტეხა, რიყეზედ იჯდა, ქვიშასა სწყავდაო. დედამ აიღო კოკა და წავიდა წყალზედ. გამოვლის დროს ხემწიფის შვილმა

იმასაც ესროლა და გაუტეხა კოკა. ბებერი მობრუნდა, დაინახა ხემწიფის შვილი და დაუძახა: ხემწიფის შვილი ხარ, როგორ დაგწყიო, და კიტრის ქალის სურვილიმც ჩაგვარჩენია, რომ არც სმა-ჭამა გიამებოდეს და არც წოლა-ძილიო! ბებრის სიტყვები მართლა ასრულდენ. ჩაუვარდა ხემწიფის შვილს სიყვარული, და ჰკლავდა კიტრის ქალის სურვილი. უდროოდ ჩამოხმა. შეატყო ხემწიფემ და დაიწყო მიზეზის ძევა. ბოლოს შეიტყო ხემწიფემ, რომ იმის შვილი სიყვარულისაგან იყო ავად, დაიბარა და უთხრა, რომ აბა, შვილო, მითხარ, რაზედ ჰკვდები, სად არის, ვინც შენ გიყვარს, და ეხლავ მოვაყვანინებთო. ვაჟმა უთხრა, რომ მე კიტრის ქალი მიყვარს და, თუ იქნება, იქნება, თორე მე არ შემიძლიან სიცოცხლეო. ხემწიფე დაღონდა და ბოლოს უთხრა, რომ ისევ ის ბებერი თუ გიშველს რასმე, რომელსაც დაუწყევიხარ, თორემ სხვა წამალი არ არისო. დაუძახეს ბებერს. ბებერი ეტყვის, რომ მე მოვიყვან იმ ქალს, გამომაყოლეთ ხემწიფის შვილი და ექვსი შაურის ფული მოგვეცითო. ხემწიფეს ძალიან გაუხარდა. ფულიც მისცეს, ხემწიფის შვილიც გაჰყვა, და წავიდნენ.

ბევრი იარეს, ცოტა იარეს, მიადგნენ ერთს ბაღს. ბებერმა უთხრა ხემწიფის შვილს: ეს ბაღი ხემწიფისია, აქ მებაღეებს კიტრის შევევაჭროთ, ექვსი შაურის კიტრი ვიყიდოთ; შენ შედი ჩუმად, შეიარე შუა ბაღში, ერთი დიდი კიტრი აბია, ის მოწყვიტე და დამალე. რო გაჰთლი, ერთი ნათალი არცად ჩაგივარდესო. მართლაც შევევაჭრებიან მებაღეებს, იყიდიან ექვსის შაურის კიტრს, ხემწიფის შვილი შეიპარება შუა ბოსტანში, მოჰწყვეტს დიდს კიტრს, დაჰმალავს და გამოვა გარეთ. გათალა ხემწიფის შვილმა დიდი კიტრი, და ისეთი ქალი კი გამოჩნდა კიტრში, ისეთი, რომ იმისთანას კაცის თვალი ვერაფერსა ჰნახავდა. გადაეხვია მაშინვე ხემწიფის შვილი მზეთუნახავს კიტრის ქალს და დაუწყო კოცნა. წაიყვანენ ქალს და წავლენ. ივლიან, ივლიან, და, თავის სახემწიფოში რო მოვლენ, ხემწიფის შვილი ეტყვის კიტრის ქალს: ხემწიფის შვილი ვარ, აბა ისე რო მიგიყვანო, რა ან სახელია და ან ნამუსი, წავალ, ჩემს ჯარსაც წამოვიყვან და ამალასაცაო. სანამდისინ ამ ხეზედ შეგსვამ, და მომელოდინეო. კიტრის ქალმა უთხრა: ხემწიფის შვილო, ინანებ, აქ ნუ დამტოვებო. ხემწიფის შვილმა არ დაიჯერა, შესვა კიტრის ქალი ერთს ალვის ხეზედ წყლის პირას, და თვითონ კი წავიდა სახლში.

ხემწიფის შვილი რო წავიდა, იმ გზით გამოივლის ერთი არაბის ქალი წყლისათვის, დაინახავს კიტრის ქალს ხეზედ და დაუძახებს, რომ მანდ რა აგიტანია, რასა ჰშვრებიო. კიტრის ქალმა ყველაფერი ჩაჰძახა: ჩემი ქმარი ხემწიფის შვილია, აქ შემსვა ხეზედ და თვითონ კი ჯარის მოსაყვანად წავიდა, რომ ისე წამიყვანონო. არაბის ქალმა რაკი ეს გაიგო, მაშინვე კბილები დაუკრიჭა კიტრის ქალს: ჩამოდი მანდიდამ, თორემ თმას სუ სათითოოდ გაგაგლეჯო! რას იზამდა? ჩამოვიდა კიტრის ქალიც. არაბის ქალმა გააძრო ტანისამოსი კიტრის ქალს, იმისი სამოსელი თვითონ ჩაიცვა, იმას ხელი ჰკრა, წყალში ჩააგდო, თვითონ იმ ხეზედ შეხდა და დაჯდა. მოვიდა ჯარით ხემწიფის შვილიც. ნახა, რომ მზეთუნახავის მაგიერ ერთი შავი ჯო-

ჯო რამა ზის.—ეგ რა მოგსვლიაო, დაუძახა ხემწიფის შვილმა არაბის ქალს; იმას კიტრის ქალი ეგონა.—აკი გითხარ, აქ ნუ დამტოვებო, დაუძახა არაბის ქალმა; მზე მომეკიდა, იმან გამაშავაო. რაღას იზამდა ხემწიფის შვილი? წაიყვანა ეს არაბის ქალი, მაგრამ გული კი არ მიჰდიოდა იმაზედ... კიტრის ქალი კი წყალში ოქროს თევზად იქცა, წავიდა და იქ დაბინავდა, სადაც ხემწიფის ჯოგს წყალს ასმევდნენ.

ხემწიფის შვილს მოახსენეს, რომ მესამე დღეა, წყალში ერთი რაღაც თევზია, მზესავით ანათებს, ცხენებს გვიფთხობს, წყალი ვერ დაგვილევინებიაო. ხემწიფის შვილი წავიდა თვითონ თევზის სანახავად. გაიკეთა წყლის პირზედ ლოგინი და იქ ეძინა ხოლმე ღამე. როდესაც ხემწიფის შვილს დაეძინებოდა, გამოვიდოდა თევზი, დააწვებოდა გულზედ და ისე იყო. როდესაც ხემწიფის შვილს გაეღვიძებოდა, ისევ წყალში გადუხტებოდა. ბოლოს ბევრის ცდით დააჭერინა ხემწიფის შვილმა ოქროს თევზი და თავის ორთავ თვალებივით ინახავდა. არაბის ქალმა იცოდა, ვინც იყო ის თევზი, და აი ერთხელ ხდება ტყუილად ავად, ქმარს დაიბარებს და ეტყვის: თუ მაგ თევზს არ დამიკლავ, მოვკვდებიო. ხემწიფის შვილი ჯერ დიდს უარზედ იყო, მერე კი დაჰთანხმდა. დაკლეს ეს თევზი, და არაბის ქალმა უბძანა, რომ ერთი ფხა, ერთი პატარა ძვალი არსად გადაგდეთ, ცეცხლში ჩაწვითო; მაგრამ ბედზედ ერთი ძვალი ბაღში გადავარდნილიყო, და იმაზედ ისეთი ხე ამოვიდა, ისიც ოქრო-ვერცხლისა, რომ იმის ჩრდილი მკვდარს გააცოცხლებდა. გააკეთებინა იმ ხის ქვეშ ლოგინი ხემწიფის შვილმა და ეძინა ხოლმე იქ ღამე. ხე კიდე ჩამოუშვებდა ტოტებს და დაუწყობდა გულზედ ხემწიფის შვილს. ასე მიდიოდა დრო. არაბის ქალს ქალი ეყოლა. იცოდა არაბის ქალმა, ეს ხე საიდამაც იყო. გადაეკიდა ქმარს, ეგ ხე უნდა მოჰჭრა და მაგისა ჩემის ქალისათვის აკვანი უნდა გააკეთებინოვო. ხემწიფის შვილს არ უნდოდა, მაგრამ ძალად მააჭრევინა ცოლმა.—ერთი ნაფოტი არსად გადააგდოთ მაგისა, თორემ ცოცხლები ველარ გადმირჩებითო, უთხრა არაბის ქალმა ხის მჭრელებს. ბედად ერთი ნაფოტი ღობის პირზედ დაცვენილიყო. ერთი უშვილო ბებერი საყდარში მიდიოდა, ნახა ნაფოტი, მოეწონა და წაიღო სახლში, რო მოვკვდები, თავით დავადებინებ კუბოშიო...

მიდიოდნენ დღეები, და ნაფოტი კი ბებერს ჰქონდა შენახული. ერთხელ ბებერმა დაიჩივლა: ნეტავი ერთი ისეთი ვინმე მომცა, რომ სანამ მე ლოცვაზეით მოვიდოდი, სახლს დამიგვიდა, ცეცხლს დაანთებდა და ლობიოს დაჰდგამდაო. ამის შემდეგ, როდესაც ბებერი წავიდოდა სადმე, იქცეოდა ნაფოტი ქალად, დაჰგვიდა, დაჰწმენდდა იქაურობას, დაასუფთავებდა ჯამჯურჭელს, ჩაჰდგამდა ლობიოს და ისევ ნაფოტად იქცეოდა. მოვიდოდა ბებერი, ჰნახავდა დაგვილ-დასუფთავებულს სახლს, დადგმულს ლობიოს, უკვირდა და არ იცოდა, ვინ იყო ეს ღვთისგან კურთხეული, რომელიც იმას ჰშველიდა. ერთხელ ბებერი ადრე დაბრუნდა სახლში და ეს ქალი კი ნახა. ქალმა უთხრა: შენ—დედა და მე—ქალიო. ამის შემდეგ ბებერმა და კიტრის ქალმა დაიწყეს ერთად ცხოვრება. კიტრის ქალი სხვა სახით დადიოდა მუდამ, რომ იმის სილამაზე არავის შაეტყო.

ერთხელ კიტრის ქალმა უთხრა თავის ნადედობს: ასე ტყუილად რადა ვართ, ვიშოვოთ ან ცხენი, ან ძროხა სადმე და გავკვებოთო. ბებერი წავიდა ხემწიფის შვილთან, გამოართვა ერთი კოჭლი ცხენი და დაუწყეს კვება. ისე მოუარეს, ისე ასვეს და აჭამეს, რომ კოჭლი ცხენი სუ ვარსკვლავებს ეთამაშებოდა. კიტრის ქალი პირს დაიბანდა, და იმის პირის ნაბანზედ ისეთი ბალახი დაწვებოდა, რომ ცხენს თავიც აღარ დაუჩნდებოდა. ერთხელ ხემწიფის შვილმა გაგზავნა კაცები ბებერთან შესატყობლად, რა უყვეს იმ ცხენს, ისევ ცოცხალია თუ მოუკვდაო. მოვიდნენ ნაზირ-ვეზირები, ნახეს ცხენი, რომ ვარსკლავებს ეთამაშება; უნდოდათ დაჭერა, მაგრამ სანამ ბებრის ქალი არ მოვიდა, ვერავინ დაიჭირა. წავიდნენ ნაზირ-ვეზირები, მოახსენეს ხემწიფის შვილს, რო, ბებერს რო ქალი ჰყოლია, იმას ისე მოუვლია იმ კოჭლი ცხენისათვის, ისე გაუსუქებია, რომ ირემივით ველად დარბის, ხელში ველარ ჩავიგდეთო. ხემწიფის შვილმა მააყვანინა მაშინვე ის ცხენი თავისთან, მაგრამ ცხენი კარებში ჩაწვა, და ველარ ააყენეს. ხემწიფის შვილი გაბრაზდა, როგორ თუ მომატყუეთ, ეს რა ცხენია, ამას აქებდითო?! ნაზირ-ვეზირმა მოახსენეს, რომ თვითონ ბებრის ქალი დავიბაროთ, ის ააყენებს, და მერე ნახეთო. ცხენს კიტრის ქალისაგან ჰქონდა ნათქვამი, რომ, სანამ მე არა გკრა წიხლი, არ ასდგეო. დაიბარეს ბებრის ქალი; მივიდა ცხენთან, ჰკრა წიხლი და წამოაფრინა. გაიღერა ყელი ამ ცხენმა და გაიქცა მინდვრებზედ. მთელი ჯარი, ნაზირ-ვეზირი იმას დაედევნენ, მაგრამ ვერ დაიჭირეს. ბებრის ქალმა კი ერთი სიტყვა დაუძახა და დააბრუნა.

ნახა ბებრის ქალი ხემწიფის შვილმა და საშინლად მოეწონა. სუ იმას სცდილობდა ის ენახა თვალით. ერთხელ ხემწიფის შვილმა არაბის ქალს უთხრა, რომ გოგოებს დაუძახოთ და ბრინჯი გავარჩევინოთო. არაბის ქალს არ ეჭაშნიკა, უარი უთხრა, მაგრამ ხემწიფის შვილმა თავისი გაიყვანა, და დაუძახეს გოგოებს. ბებრის ქალიც (კიტრის ქალი) იქ იყო. ხემწიფის შვილიც იმათთან იყო და თვალს არ აშორებდა ბებრის ქალს. ბოლოს ხემწიფის შვილმა უთხრა ქალებს: აბა, ქალებო, ზღაპარი ვინმემ სთქვით, ეგები გავერთნეთო. ყველა ჩუმად იყო, არავინ არ იღებდა ხმას. ბებრის ქალმა დაიწყო: იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდაო, და მოუყვა იმას, რაც გადაჰხდა თავს. არაბის ქალი პირდაპირ უზის და ულესავს კბილებს, მაგრამ ბებრის ქალი არ იშლის და აბოლოვებს ზღაპარს. ხემწიფის შვილი გადაეხვია კიტრის ქალს და ჩაჰკოცნა: შენა ხარ ჩემი ცოლი, მე სხვა არავინ არ მინდაო! გამოიყვანეს არაბის ქალი კი თავის ქალიშვილით, გამობეს ცხენის ძუას და ისე ათხეინეს. დაიწერა კიტრის ქალზე ჯვარი ხემწიფის შვილმა, გამეფდა, და დაიწყეს ტკბილი ცხოვრება...

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

—

ელოსა, მელოსა,
ჭიქა მეკიდა ყელსა,
მთქმელსა და გამგონებელსა,
ჯვარი გეწეროსთ ყველასა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჱ.—კობრე

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი გლეხი კაცი; ჰყვანდა სამი ვაჟი. უმცროსს ვაჟს კობრეს ეძახდნენ, უფროსისა და საშუალისა არ არის ნათქვამი. გლეხი კაცი მოკვდა. ძმებმა მამის სიკვდილის შემდეგ ერთად დაიწყეს ცხოვრება. უმცროსი კობრე არაფერს არ აკეთებდა სხვას, ჰთლიდა კომბლებს და ქერში აწყობდა. რაკი მააბეზრა ზარმაცობით თავი ძმებს კობრემ, ძმებმა აიღეს, მისცეს ოთხი თხა და გამააგდეს სახლიდან კობრე. კობრემ აიგო ერთი ქოხი, დადგა შიგ, ჰთლიდა ისევ კომბლებს და ქერში აწყობდა; თხები თავგანებებულები დადიოდნენ ტყეში. ბევრჯელ დაბრუნდნენ კობრეს თხები შინ მშვიდობით, მაგრამ ბოლოს უბედურება ეწვია. ერთს დღეს ორი თხა-ღა მოუვიდა. მეორეს დღეს ერთიც აღარ მოჰსვლია. ადგა კობრე, აიღო ოთხი კომბალი, ორი ერთს მხარეზე გადაიდო, ორი მეორეზედ და წავიდა ტყეში თავის თხების დამჭმელის საძებნელად. გზაზედ მელია შეჰხვდა.—გამარჯობა, მელიავ!—გაგიმარჯოს!—ჩემი თხები შენ ხომ არ დაგიჭამიაო?—არაო, უთხრა მელიამ.—მაშ აბა კბილები დაკრიჭეო. დაკრიჭა მელიამ კბილები, არაფერი არ ეტყობოდა. დაანება კობრემ თავი მელიას და წავიდა ისევ. გზაზედ მგელი შეჰხვდა.—გამარჯვება, მგელო!—გაგიმარჯოს, კობრე!—საიდგან, ჩემი თხები ხომ არსად გინახიაო?—არაო.—აბა კბილები დაკრიჭეო. დაკრიჭა კბილები მგელმა, აბა ის რა თხებს დაჰჭამდა? გაჰცდა ამასაც კობრე და ახლა დათვს შეჰხვდა.—გამარჯობა.—გაგიმარჯოს!—საით, დათვო, ჩემი თხები ხომ არ გინახია სადმე?—არაო, უპასუხებს დათვი.—აბა მაშ კბილები დაკრიჭეო. დაკრიჭა დათვმა კბილები, არაფერი ეტყობა. გაჰცდა დათვსაც და წავიდა...

კობრეს თხები თურმე ტყეში დადიოდნენ. შეჰხვდა მელია.—გამარჯობათ, თხებო!—გაგიმარჯოს, მელიავ!—საიდან მოჰდიხართ, ან საისაკე, არ გეშინიანთ, რო შეგჭამოსთ რამანმე?—არაო, ეტყვიან თხები: ჩვენი პატრონი კომბლებსა ჰთლის, ქერშია ჰსხამს, ვინც ჩვენ დაგვჭამს, თავშია ჰსხამსო. გაჰცდა მელია და წავიდა. მერე კობრეს შეჰხვდა მელია, მაგრამ არ უთხრა, თუ ვნახეო... თხებს წინ მგელი შეჰხვდა.—გამარჯობათ, თხებო!—გაგიმარჯოს!—სად მიჰდიხართ, არ გეშინიანთ ან მგლისა, ან დათვისა, რო შეგჭამოსთო?—არაო, ეტყვიან თხები: ჩვენი პატრონი კომბლებსა სთლის, ქერშია ჰსხამს, ვინც ჩვენ დაგვჭამს, თავში ჰსხამს. გაჰცდა მგელი, აღარაფერი უთხრა და გაუდგა თავის გზას. თხებიც წავიდნენ. თხებს დათვი შეჰხვდა.—გამარჯვებათ, თხებო!—გაგიმარჯოს, დათვო!—საითკენ გაგიბედნიათ, თხებო, ამ დაბურულ ტყეში, არაფრისა გეშინიანთ?—რისა უნდა გვეშინოდეს, ეტყვიან თხები, ისეთი პატრონი გვყავს, კომბლებსა ჰთლის, ქერშია ჰსხამს, ვინც ჩვენ შეგვჭამს, თავშია ჰსხამს... შეშინდება დათვი, აღარც ავს ეტყვის, აღარც კარგს, გაჰცდება და წავა თავის გზაზედ. დათვი ამის

შემდეგ კობრეს შეჰხვდება, მაგრამ დაუმალა და არ უთხრა, თუ მე ვნახე შენი თხები.

იარეს თხებმა, და მგელი შემოჰხვდა გზაზედ.—გამარჯვებათ, თხებო, კუდ-თეთრებო! ეტყვის მგელი.—გაგიმარჯოს, მგელო ღორ მუცელო, უპასუხებენ თხები.—საისაკე გაგიბედნიათ, თხებო, არ გეშინიანთ, რო მე შეგჭამოთ.—არ გვეშინიან, უპასუხებენ თხები, ჩვენი პატრონი კომბლეჳსა ჰთლის, ჭერშია ჰსხამს, ვინც ჩვენ შეგვჭამს, თავშია ჰსხამს.—აბა მაშ მე მცხას თავში თავის კომბლები თქვენმა პატრონმაო, ეტყვის მგელი და ამ თხებს კი გამაჰლადრავს ყელებსა. თხის ხორცით გაძღარი მგელი მოდის, და შეჰხვდება გზაზედ კობრე.—გამარჯვება, მგელო!—გაგიმარჯოს!—ჩემი თხები ხომ არ გინახია?—არა.—აბა მაშ კბილები დაკრიჭეო, ეტყვის კობრე. მგელმა არ დაკრიჭა კბილები.—დაკრიჭე კბილებიო! დაუყვირა კობრემ. მგელმა კიდევ არ დაკრიჭა. მესამედ რო გაუმეორა კობრემ, დაკრიჭა მგელმაც კბილები, და ე თხის კუდი კბილებში კი ეჩარა ისევ. მოიყრეინა კომბლები კობრემ და ერთი თუ ორი ამ მგელს, ტყიპა, ტყიპა. გამოუდგა კობრე, გაექცა მგელი. მგელმა ინატრა: ღმერთო, ისეთი წვიმა მაიყვანე, რომ კობრე დაახრჩოსო! კობრემ ინატრა: ღმერთო, ისეთი კამეჩის ტყავი გადმომხურე, რომ ნამი არ დამეცესო! წამოვიდა საშინელი წვიმა, კობრეს კამეჩის ტყავი გადაეფარა. მგელს კი სოროში ჩაუვიდა წყალი, და კინაღამ დაახრჩო.—კიდევ ინატრებო? მიუხდა სოროში კობრე მგელს. მგელმა უთხრა: კაცო, ოღონდ თავი დამანებე, და ერთს ფარა ცხვარს მოგცემო. წავალ, მეცხვარეებს, რომ ოქროს ბატკანი ჰყავს, იმას მოვტაცებ, ზღვაში შეუვარდები, შემომყვებიან, დაიხრჩობიან, შენ კიდე წადი და ფარებს დაჰპატრონდიო.—კარგიო, დაჰთანხმდა კობრე. წავიდა მგელი, მოუარა მეცხვარეებს, მოჰტაცა ოქროს ბატკანი; გამოუდგნენ მეცხვარეები უკან, მგელი ზღვაში შეუცურდა; შეჰყვნენ მეცხვარეებიც თან, მაგრამ ცურვა არ იცოდნენ და დაიხვრჩნენ. იმათი ფარები კობრეს დაჰრჩა. წამოასხა ეს ამოდენა ცხვარი კობრემ და წამოვიდა.

კობრეს ძმებს შეჰშურდა კობრეს ამთვენი ცხვარი და ჰკითხეს: კობრე, საიდან იშოვე მაგთვენი ცხვარიო?—ჩემი თხები მგელს დავაჭმიე, და იმან სამაგიეროდ ეგ ფარები მომცაო. ადგნენ კობრეს ძმები, იმათაც დააჭმიეს მგელს, რაც რამ თხები ებადა, მაგრამ მგელმა იმათ არაფერი მიჰცა. აჰმტერდნენ ძმები კობრეს. გამართეს იმის ბანი სანეხვედ და სუ იქ გადაჰყრიდნენ. კობრე კიდე ახმობდა ამ ნეხვს, ჰყრიდა ტომრებში და ინახავდა. ერთს ადგილს მეღორეებს ღორის ფარები ჰყავნდა. კობრემ მაიკიდა ნეხვიანი ტომრები, გაიტანა ღორებთან, დაუყრიდა ცოტ-ცოტას, და მიჰდევდნენ ღორებიც. წავიდნენ საჩივლელად მეღორეები, კობრემ ჩვენი ფარები მიითვისაო. კობრემ მოსამართლეებს უთხრა, რომ, თუ ჩემი ღორები არ იყვნენ, მე რად გამომიდგებოდნენო. მოიგო ღორები კობრემ და წაასხა ფარები.

ძმებმა რო ნახეს კობრეს ღორის ფარები, ჰკითხეს: საით იშოვე, ვინ მოგცაო.—აი თქვენ რო ნეხვი გადმომიყარეთ, წავიღე და ღორებზე გავცვალეო. ადგნენ ეს ძმებიც, წაიღეს ნეხვიანი ტომრები და ჩაატარეს: ნეხვი ღორზედა, ნეხვი ღორზედაო! გამაუცვივდნენ ეს მეღორეები და ერთი თუ

ორი, ერთი თუ ორი. დაბრუნდნენ ძმები უფრო დაჯავრებულები, დაცეცხლებულები. მივიდნენ და მიუკიდეს ცეცხლი კობრეს სახლს. ადგა კობრე, შეკრიბა რაც ნახშირი იყო, აავსო ერთი დიდი ტომარა, ზედ ერთი ლიტრა გროშები წააყარა, წაიღო და, ერთი მდიდარი კაცი იცოდა, მივიდა იმასთან. მიუტანა და მიაბარა, შემინახეთო. მეორეს დღეს მოჰთხოვა ტომარა და მაუდევა შარი, რომ ფულის მაგიერ ნახშირი ჩამიყარესო. გაავსებინა ტომარა ფულით, წამოიღო და წამოვიდა. შეჰშურდა ძმებს კობრეს ფული, დაუწყეს კითხვა, როგორ იშოვეო.—როგორ ვიშოვეო, უთხრა კობრემ, თქვენ რო სახლი დამიწვით, ნახშირი მოვაგროვე, წავიღე სოფელში, ვიძახე „ნახშირი ფულზედ, ნახშირი ფულზედ, და გამიცვალესო. რაკი ამდენი ფული იშოვა, კობრემ ცოლი შეირთო...

აიღეს ძმებმა, მიუკიდეს ცეცხლი თავის სახლებს, შეკრიბეს ნახშირი, ჩაყარეს ტომრებში და ჩაატარეს სოფელში და დაიწყეს ძახილი: „ნახშირი ფულზედ, ნახშირი ფულზედაო“. გამოუხტნენ სოფლელები და კარგა მიბერტყეს. დაბრუნდნენ დაბერტყილი და ნაცემი ძმები სახლში. გაჯავრებული ძმები წავიდნენ და მოუკლეს ცოლი. დაქვრივდა კობრე, შესწუხდა ძრიელ. ადგა, ჩაიცვა მკვდარს ცოლს მდიდრულად, წაიღო, ერთს წისქვილში სამი ლამაზი ქალი ეგულებოდა, სარუესთან დააყუდა, თვითონ წისქვილში შევიდა და უთხრა ქალებს: წადით, იქ ქალბატონი დგა, და შემოიყვანეთო. გავიდა რომელიც ლამაზი ქალი იყო, ჯერ ეძახა: ქალბატონო, მობძანდით; რო არ გაუგონა ქალბატონმა, მივიდა და ხელი მოსჰკიდა. მკვდარი დედაკაცი წაიქცა; დაიწყო ძახილი: მომეშველენით, ქალბატონი წამექცაო! გამოვიდა კობრე.
—რაზედ მომიკალით ცოლი, გიჩივლებთო! დაიწყო კობრემ.—რა გინდა, რო მოგცეთ, ოღონდ კი ნუ გვიჩივლებო, შეეხვეწნენ ქალები კობრეს. კობრემ უთხრა, რომ თუ ჩემი ცოლის მამკლავი გამომყვება ცოლად, აღარაფერს ვიტყვიო. წაიყვანა ერთი ლამაზი ქალი და წავიდა. მიიყვანა სახლში და დაიწყო უფრო ტკბილად ცხოვრება... ძმებს გონჯი ცოლები ჰყვანდათ, და შეჰშურდათ კობრეს ლამაზი ცოლი და ჰკითხეს: საით იშოვე მაგნაირი ცოლი, ჩვენც გვითხარიო.—თქვენ რო მომიკალითო, უთხრა კობრემ, ავიღე, ჩავაცვი კარგათ, ჩავატარე სოფელზედ და ვიძახდი: მკვდარი ცოცხალზედაო, მკვდარი ცოცხალზედაო, გამიცვალეს, მკვდარი გამომართვეს და ცოცხალი მომცესო.

ეს რო გაიგონეს კობრეს ძმებმა, მაშინვე გასწიეს. დაახრჩეს ცოლები, ჩააცვეს მკვდრებს და ჩაატარეს სოფელ-სოფელ: მკვდარი ცოცხალზედ, მკვდარი ცოცხალზედაო! გამოუხტნენ ჯოხებით და კეტებით სოფლელები და სუ კუდით ქვა ასროლინეს. წამოვიდნენ ნაცემი კობრეს ძმები. კობრეს მუქარაზედ, მიიმწყვდიეს ქოხის ყუნჭულში, დაიჭირეს, ჩასვეს ერთს გოდორში, გადუფხანთეს პირი, აიტანეს და ერთს საშავარდნეთ კლდის*) სიმაღლე კლდეზედ დადგეს, დაანებეს თავი და წავიდნენ. მეორეს დღეს უნდა მოსულიყვნენ და გადაეგორათ. იმღერის, იმღერის იმ ღამეს კობრე; აიკლო

*) საშავარდნეთ კლდე—დიდი მაღალი კლდეა სოფ. ჩარგალში.

იქაურობა; გაიგონა ერთმა მეშცხვარემ, მივიდა იმასთან და ჰკითხა: რა გამ-ღერებს, კოზრე, რა გაგხარებიაო?—რა არ გამხარებია, ქვის სიტყვა უნდა მოვიდეს, სუ გააწყოს ყველა სულდგმული, და ჩემის მეტი ვერავინ გადაჰრ-ჩება, რადგანაც მე ამ გოდორში ვზივარო.—მეც ჩამსვიო, შეევედრა მეშც-ხვარე, მადლი არისო.—კარგიო, უთხრა კოზრემ. შეიყვანა ეს მეცხვარე, იქ გაწირა, თვითონ იმის ცხვარს დაედევნა. მოვიდნენ კოზრეს ძმები და გა-დააგორეს ეს გოდორი კლდეზედ. მეცხვარე იქ მოკვდა, კოზრეს იმის ფარე-ბი დაჰრჩა. წამოასხა ცხვარი და წამოვიდა ღიღინით სახლში კოზრე. ძმებმა რო ნახეს კოზრეს იმდენი ცხვარი, ჰკითხეს: კოზრე, სად გიშოვია ეგ ცხვა-რიო?—სად მიშოვია, და თქვენ რო კლდეზე გადამაგდეთ, იქ მაჩუქეს, მძლი-ვაც დამესწვრნენ, და იქ ვიშოვეო. მაშინვე წავიდნენ კოზრეს ძმები, მოქ-სოვეს გოდრები, ჩასხდნენ შიგ და გადაგორდნენ კლდეზედ. გახდნენ საფშ-მაკოდ და საჩიტ-ყორნედ. იმათი სარჩოც კოზრეს დაჰრჩა, და დარჩა მარ-ტოკა კოზრე. გამდიდრდა ძალიან, შვილებიც გაუჩნდა, და ერთმა იმის შვი-ლი-შვილმა მიამბო ეს ამბავი.

წაველი მთაში წავიღე ცელი,
შემომხვდა მგელი, მოვწყვიტე წელი.
ვინც თამბაქოს არ მიყიდის,
გაჰცვივდება წვერი.

—

ქირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა ფქვილი აქა.

## 9.—სიზმარა.

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა,

იყო შაშვი მგალობელი,
ღმერთი ჩვენი მწყალობელი,

იყო ერთი ცოლი და ქმარი, ჰყვანდათ ერთი გიჟი შვილი სიზმარა. ერთხელ ცოლი და ქმარი საქმეზე იყვნენ, სიზმარა ფეტვს დაუყენეს. სიზ-მარას დაეძინა, მივიდნენ ქათამ-ინდოურები და დაფქვილი ფეტვი კი სულ ერთიან მოკენკეს. სიზმარამ ძილში სიზმარი ნახა:

მე ძილი მეძინებოდა,
ძილმა წამიღო ბურასა,
ცალი ფეხი ბალდადს მედგა,
ცალი ბაღდადის ბოლოსა,

მზე იქით მედგა, მთვარე აქეთა, შუქურ-ვარსკვლავი ხელ-პირს მაბანი-ნებდაო. დაბრუნდნენ სიზმარას დედა და მამა საქმიდგან, ნახეს აკენკილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეტვი, გაუჯავრდნენ სიზმარას და ჰკითხეს: სად იყავ, რად დააჭამე ფეტვი ქათმებსაო?—დამეძინაო, უთხრა სიზმარამ, სიზმარი ვნახე:

მე ძილი მეძინებოდა,
ძილმა წამიღო ბურასა,
ცალი ფეხი ბაღდადს მედგა,
ცალი ბაღდადის ბოლოსა,

მზე იქით მედგა, მთვარე აქეთ, შუქურ ვარსკვლავი პირს მაბანინებდაო.—ეგ სიზმარი მამა შენს უნდა აჩუქოო, უთხრა დედამ.—სიზმარი სიზმრათ წავა, სიზმრის ჩუქება როგორ შეიძლება, უპასუხებს სიზმარა, თუ როგორმე გამომართმევთ, თქვენი იყოსო. სცემენ დედ-მამა სიზმარას, athრევენ და სთხოვენ სიზმარს.

ადგება სიზმარა და წავა სახლიდგან. ივლის, ივლის და ერთს ხემწიფის ბაღში შეიპარება, დაბინავდება იქ, იპარავს საზამთროს, ყარფუზს, და იმით იკვებება. შაატყობენ მებაღეები ნავალს, ნაჭამს ყარფუზს, დაუწყებენ ძებნას ქურდს. ეძებენ, ეძებენ, იპოვნიან და დაიჭერენ სიზმარას. წამოიყვანენ ხემწიფესთან და მოახსენებენ, რომ ეს ნესვ-საზამთროს გვპარავდაო. ხემწიფემ ჰკითხა სიზმარას: ვინა ხარ, რას დადიხარ, საიდგან მოსულხარო?—მეო, უამბო სიზმარამ, დედ-მამამ გამომაგდეს სახლიდამ, სიზმარი ვნახე:

მე ძილი მეძინებოდა,
ძილმა წამიღო ბურასა,
ცალი ფეხი ბაღდადს მედგა,
ცალი ბაღდადის ბოლოსა,

მზე იქით მედგა მთვარე აქეთა, შუქურ ვარსკვლავი პირს მაბანინებდაო.

—ეგ სიზმარი მე უნდა მომცეო, უბრძანა ხემწიფემ.—სიზმარი სიზმრათ წავა, სიზმრის მიცემა როგორ შეიძლებაო, უპასუხა სიზმარამ. ხემწიფე განრისხდა და უბრძანა იმისი ხაროში ჩაგდება. აიყვანეს პატარა სიზმარა და ხაროში კი ჩააგდეს. იჯდა იქ მარტოკა სიზმარა, არც წყალს უგზავნიდა ხემწიფე და არც პურს. ხემწიფეს ერთი ქალი ჰყვანდა, მუდამ დღე ხემწიფის ნასუფრალს ჩაუყრიდა ხოლმე და იმითი ჰკვებავდა დღე მუდამ.

გავიდა ხანი, გაიზარდა სიზმარაც; ასეთი ღონიერი გახდა, რომ ქვას რძეს გაადენდა. ერთხელ დასავლეთის ხემწიფემ გამოუგზავნა წისქვილის ქვა აღმოსავლეთის ხემწიფეს და შემოუთვალა: თუ ამ წისქვილის ქვაში კეტს არ გაუყრიდა ისე არ გამომიგზავნით, შენს ქალს მე წავიყვანო; თუ გააკეთებთ და ისე გამომიგზავნით, ჩემს ქალს თქვენ მოგცემთო!

შესწუხდა აღმოსავლეთის ხემწიფე, შესწუხდა იმის ქალიც; წავიდა და სიზმარას ჩასძახა, რომ დასავლეთის ხემწიფეს წისქვილის ქვა გამოუგზავნია: თუ კეტს გაუყრით და ისე გამოგზავნით, ჩემს ქალს თქვენ მოგცემთ, თუ ვერ გაუყრით, და შენს ქალს მე წავიყვანო. ეცადნენ, მთელი ჯარი დააზვია მამა ჩემმა, და ვერავინ ააყენაო. აბა რაღა ვქნა, დასავლეთის ხემწიფე წამიყვანსო.

ამოვიდა მაშინვე სიზმარა, ააყუდა წისქვილის ქვა, გაუყარა კეტი, თვითონ ჩუმათ ისევ ხაროში ჩავიდა. მეორე დღეს აყუდებულს ქვასთან მიდგებ-მოდგება ერთი სომეხი და იძახის: ეს წისქვილის ქვა მე ავაყენე, დავაყუდე, კეტიც მე გაუყარე, და ხემწიფემ თავისი ქალი მე უნდა მომცეს. ხემწიფეს კი ისე ჰქონდა პირობა დადებული, რომ ვინც იმ წისქვილის ქვას ააყუდებდა და გაუყრიდა კეტს, თავის ქალს იმას მისცემდა.

ხემწიფის ქალმა გაიგონა ეს სიტყვები, წავიდა დასაკითხათ სიზმარასთან: ესე, ესე არის საქმე, და რა ვქნათ. სიზმარამ უთხრა: წადი, უთხარ: აბა თუ შენ ააბრუნე ეგ ქვა, ეხლაც გადააბრუნე და კეტიც გამოაძრეო. ქალი წავიდა, როგორც სიზმარამ ასწავლა, ისე ქნა, მაგრამ სომეხმა წისქვილის ქვა ვერც დააყუდა, ვერც წააქცია და ვერც კეტი გამოაძრო. გაიგო დასავლეთის ხემწიფემ, რომ წისქვილის ქვა დაუყენებიათ გვერდზედ, კეტიც გაუყრიათო, და არ ესიამოვნა.

გამოუგზავნა ახლა მარილის ქვა, ეს ქვა საბანდად*) უნდა დამიხიოთ და ისე გამომიგზავნოთო. დაღონდა ისევ აღმოსავლეთის ხემწიფე,—მარილის ქვას თასმად ვინ დაუხევდა? ქალი ისევ სიზმარასთან წავიდა. სიზმარამ უთხრა: პირი აართვიო, და თვითონ დაიხევაო. ქნეს ისე, როგორც სიზმარამ ასწავლა, და მარილის ქვა მართლა ისე დაიხია.

გამოუგზავნა ცხენები და კვიცები დასავლეთის ხემწიფემ აღმოსავლეთისას და შემოუთვალა: ყველას თავისი კვიცი უპოვნეთ, გამოაყოლეთ, და ქალს მაშინ მოგცემთო, არა და—თქვენ ქალს მე წავიყვანო. წავიდა ქალი ისევ სიზმარასთან და ჰკითხა, თუ რა უნდა ექნა, რო გაეგო, რომელი რომლის კვიცია. სიზმარამ უთხრა: წაისხით ცხენები და კვიცები, ერთს ღამეს ერთს ბაკში შეჰყარეთ, მეორეს დღეს გამოუშვით, და ყველა დედებს თავისი კვიცები უკან გამოჰყვებიანო. წავიდა ქალი, ყველაფერი ისე ქნა, და მართლაც ყველა ცხენებს თავისი კვიცები გამოჰყვნენ.

გაუგზავნა ცხენ კვიცები ხემწიფემ და ჰკითხა ქალს: ვინ არის ის, ასე რომ გვშველოდა, რატომ არ იტყვი და არ მაჩვენებო? ქალმა მოახსენა: თქვენ რომ ერთი საწყალი ვაჟის ჩაგდება ბძანეთ ხაროში, იმან გვიშველაო. ხემწიფემ უბრძანა, მაშინვე ამოეყვანათ სიზმარა ხაროდამ, მიათხოვა თავისი ქალი და გადასწერა ჯვარი.

ეხლა სიზმარა დასავლეთის ხემწიფესთან გაემგზავრა, იმისი ქალი უნდა შეერთო ცოლად. გამოეთხოვა ცოლსაც, ხემწიფესაც და გასწია დასავლეთის ხემწიფესთან. ბევრი იარა, ცოტა იარა, შემოჰხვდა ერთს კაცს: მოუხნავს ერთი დიდი ჭამული, მოუსვამს ხელს და, რაც რამ ბელტია, ჰყლაპავს. მივიდა იმის ახლოს სიზმარა, მიესალმა და ჰკითხა: კაცო, მაგას რას შვრები, ბელტის ჭამა ვის გაუგონია, რა საკვირველი კაცი ვინმე ყოფილხარო!—საკვირველი სიზმარა არის, რომ აღმოსავლეთის ხემწიფის ქალი შეირთო და ახლა დასავლეთისა უნდა შეირთოსო, უპასუხა ბელტიყლაპიამ. —სიზმარა მე ვარო, უთხრა სიზმარამ.—მაშ ან მიყმე და ან მიძმეო! შეეხვეწა ბელტიყლაპია. სიზმარამ იძმო, და გაუდგნენ გზას.

---

*) საბანდი—კოჭი.

იარეს, იარეს, ერთს კაცს მოადგნენ, მისჯდომია ერთს ტბას, დაეჭუქება, მოჰწრუხავს, და ხირხიტო ლა*) დაიწყებს იმის პირში შედენას. სიზმარა მივა ზღვა ყლაპიასთან, მიესალმება და გაიკვირვებს იმის სმას.—ეს რა საკურველია, უპასუხებს ზღვაყლაპია, საკურველი სიზმარაა, რომ აღმოსავლეთის ხემწიფის ქალი ცოლათ შეირთო და ეხლა დასავლეთის ხემწიფის ქალის შესართველათ მიდისო.—მე ვარ სიზმარაო, უპასუხა სიზმარამ; თუ გინდა, ვიძმობილნეთო. ზღვაყლაპიას ძალიან გაეხარდა, მაშინათვე გაჰყვა სიზმარას, და წავიდნენ.

იარეს, იარეს ამ სამთ და ერთი ფეხდოლაბა ნახეს. მიუკვრია ფეხებზედ დოლაბები, დარბის წვრილიანში, იჭერს კურდღლებს და ერთს ხელში აგროვებს. სიზმარას ძალიან გაუკვირდა: ჯერ კურდღლის დაჭერა სთქვი და მერე ისიც ფეხებზე დოლაბებ მიკრულის კაცისაგანაო!—რა საკურველია, საკურველი სიზმარია, რომ აღმოსავლეთის ხემწიფის ქალი შეირთო და ახლა დასავლეთის ხემწიფის ქალი უნდა შეირთოსო.—მე ვარ სიზმარაო, უთხრა სიზმარამ.—მაშ მიძმეო, სთხოვა ფეხდოლაბამ. სიზმარამ იძმო, და ოთხი ძმობილი გაუდგნენ გზას.

იარეს, ბევრი იარეს, ცოტა იარეს, ერთს ადგილას ერთი კაცი ნახეს, ცხრა მთას იქით მჯდომს ჩიტს ისარს უმიზნებს. სიზმარამ გაიკვირვა: კაცო, მე წინ მჯდომს ჩიტსაც ვერ მოვარტყავ, და შენ ცხრა მთას იქით ესვრი; რა საკურველი კაცი რამ ყოფილხარო!—ეს რა არისო, უპასუხა იმ კაცმა, სიზმარამ აღმოსავლეთის ხემწიფის ქალი ცოლათ შეირთო და ახლა დასავლეთის ხემწიფის ქალის შერთვა ჰსურსო!—მე ვარ სიზმარა, თუ გსურს გამომყეო, უთხრა სიზმარამ. ჩიტი კალიას ძალიან გაეხარდა და გაჰყვა.

იარეს, იარეს და ერთს კაცს შეხვდნენ. მიწაზედ ყური ედო და იცინოდა.—რა გაცინებსო? ჰკითხა სიზმარამ.—რა მაცინებს? ჭინჭველებს ჩხუბი მოუვიდათ და გასამართლებლად მე მეძახიანო!—საკურველი კაცი ყოფილხარო, უთხრა სიზმარამ.—საკურველი ეს კი არ არის, ის არის, რომ სიზმარამ აღმოსავლეთის ხემწიფის ქალი შეირთო და ეხლა დასავლეთის ხემწიფის ქალი უნდა შეირთოსო.—მე ვარ სიზმარაო, უპასუხებს სიზმარა..—მაშ ან მიძმე და ან მიყმეო, სთხოვს ყურმახვილა.—ძალიან კარგიო, უთხრა სიზმარამ, იძმო, და გასწიეს.

იარეს და ერთი კაცი შეჰხვდათ. გვრიტს კვერცხებს უცვლიდა, ჰპარავდა, და გვრიტი კი ვერაფერს ტყობულობდა. სიზმარას ძალიან გაუკვირდა იმისი საქციელი, მივიდა, მიესალმა და უთხრა: რა საკვირველი კაცი რამა ყოფილხარო!—საკვირველი მე კი არა, სიზმარაა, რომ აღმოსავლეთის ხემწიფის ქალი შეირთო და ახლა დასავლეთის ხემწიფის ქალის შერთვა უნდაო.—მე ვარ სიზმარაო, უთხრა სიზმარამ.—მაშ ან მიძმე და ან მიყმეო, სთხოვა იმანაც. სიზმარას ძალიანაც გაუხარდა იმისი ძმობა, იძმო, და წავიდნენ გზას.

იარეს და ერთს მღვდელს შეჰხვდნენ. ზურგზედ ერთი საყდარი ეკიდა, სადაც მზის ყუდროო იქნებოდა, მიიტანდა, იქ დაჰყუდებდა, დადგებოდა და

*) ნაძირალი.

დაიწყებდა ლოცვას. მივა სიზმარა მღვდელთან და გაიკვირვებს იმის საქციელს.—ეს არაფერია, ეტყვის მღვდელი; სიზმარამ აღმოსავლეთის ხემწიფის ქალი შეირთო, ეხლა დასავლეთის ხემწიფის ქალის შესართველათ წავიდა, და აბა ვაჟი ის არისო.—მე ვარ ისაო, უთხრა სიზმარამ. მღვდელმა სთხოვა: ან მაყრათ გამოგადგები, ან ჯვარს დაგწერ, წამიყვანე, ან მიძმე და ან მიყმეო. იძმო სიზმარამ ეს მღვდელიც, და გასწიეს ყველამ ერთათ დასავლეთის ხემწიფის სახლისაკენ.

რომ მივიდნენ იმის არე-მარეში, კაცი გაუგზავნეს, სიზმარა მოვიდა და ქალსა გთხოვსო. ხემწიფემ შემოუთვალა: თუ რაც კე პური მაქვს გამომცხვარი, იმას სულ შესჭამენ, მივცემ, ვერ შესჭამენ და არაო.—ასლი საშენო საქმეა, ბელტი არა ჰყლაპო, პური სჭამეო, უთხრა სიზმარამ ბელტიყლაპიას და გაუგზავნა ხემწიფეს.

მოუსო ამ ბელტიყლაპიამ და სულ ერთიანად კი მიწმინდ-მოწმინდა, რაც ხემწიფეს გამომცხვარი პური ჰქონდა. ეს პური რო გაათავა, ხემწიფემ მაინც არ მისცა ქალი და შეუთვალა, რომ რაც ქვევრებში ღვინო მიდგა, თუ იმას დაჰლევთ, მოგცემთო. სიზმარამ უთხრა ზღვაყლაპიას: აბა, ძმობილო, ზღვების ხვრეპას, ღვინის ხვრეპა სჯობიაო. ერთი შენ მოხვრიპე იმის ქვევრები და ხირხიტო-ღა გაუწირეო. მოუწვა ეს ზღვაყლაპია ამ ღვინიან ქვევრებს, მოეჭუჭა, მოხვრიპა, კამეჩი რო გუბეს მოხვრეპს, და თხლის ხირხიტომ ღა დაიწყო კბილებში ყრანჭისაკე გადადენა.

რაკი ესეც შეასრულეს, ხემწიფემ შეუკვეთა: მე ერთი ფეხ-მარდი მყავს, თუ იმას ვისმე დააჯიბრებ და უკვდავების წყალს მოატანინებ, და თუ თქვენი ფეხმარდი მოუსწრობს ჩემს ფეხმარდს, ქალს მოგცემთო, არა და—არ მოგცემთო. მაშინვე წამოაფრინა სიზმარამ ფეხდოლლაბა და უთხრა, შენი თავი მიჭირსო.

გაიქცა ფეხდოლლაბა, წამოიღო უკვდავების წყალი, წამოვიდა, გამოასწრო ხემწიფის ფეხმარდს, მაგრამ გზაზედ დაიძინა. ის იყო ხემწიფის ფეხმარდი მოსვლას აპირებდა, რომ სიზმარამ უთხრა იმ კაცს, ჩიტს რო ისარს უმიზნებდა ცხრა მთას იქით: აბა, უშველე რამე, ისარი ესროლე, გააღვიძეო. ესროლა ჩიტი კალიამ ისარი, მოარტყა ერთს დოლაბს, მოამტვრია; გამოეღვიძა ფეხდოლლაბას, წამოხტა და მოუსო ხემწიფისკენ. მოუსწრო მაინც ხემწიფის ფეხმარდს და მიიტანა უკვდავების წყალიც.

ხემწიფე მაინც არ აძლევდა ქალს. მაშინ სიზმარამ უთხრა მღვდელს: აბა, მღვდელო, რაღასა ვწვალობთ და ვიტანჯებით, მოიკიდე მთელი ხემწიფის სასახლე და დედა-ბუდიანათ წავიღოთ და წავასხათო. მოჰხვია მართლა მღვდელმა თოკები და დააწყებინა სახლებს ჭიჭინი. ხემწიფე შეშინდა, გამოუგზავნა კაცი სიზმარას და შემოუთვალა: ოღონდ სახლს კი ნუ დამინგრევთ, და ქალიც წაიყვანეთ, და კარგათაც გაგიმასპინძლდებითო. დაანებებინა თავი სახლისთვის მღვდელს სიზმარამ.

დასხდნენ პურის საჭმელად. ხემწიფემ გაიკითხა ნაზირ-ვეზირი, და ჩურჩული დაიწყეს. სიზმარამ უთხრა იმ კაცს, ჯინჭველების ჩხუბს რო უსმენდა: წადი, შენ კარგა გესმის, და ერთი დაიყურე, რას ლაპარაკობენო. დაიყურა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურმახვილამ, დაბრუნდა და მოახსენა, რომ იმას ლაპარაკობენ, ჯამები მოუწამლიათო.

ჯამები რომ ჩამოატარეს, სიზმარამ უთხრა კვერცხიპარიას: აბა კვერცხიპარიავ, იმ კვერცხების ცვლას, ჯამები გამოცვალე, მოწამლულები იმათ დაუდგი და მოუწამლავები ჩვენაო! მართლაც გამოუცვალა კვერცხი პარიამ ჯამები ყველას. ხემწიფესა და იმის მხლებლებს მოწამლული ჯამები დაუდგა, თავად და თავის ამხანაგებს კი მოუწამლავები. ჭამეს პური, და ხემწიფემა და იმის მხლებელ ნაზირ-ვეზირებმა ფეხები კი ფშიკეს. ქალიც წამოიყვანა სიზმარამ, სიმდიდრეც წამოიღეს და წამოვიდნენ.

პირველ ცოლთან ოქროს ქოჩრიანი ვაჟი გასჩენიყო. სიზმარი:

მე ძილი მეძინებოდა,
ძილმა წამიღო ბურასა,
ერთი ფეხი ბალდადს მედგა,
ერთი ბალდადის ბოლოსა,

მზე იქით მედგა, მთვარე აქეთა, შუქურ ვარსკვლავი ხელ-პირს მაბანინებდაო,— ასე აცხადდა. ორივე სახემწიფო სიზმარას დარჩა. მზე და მთვარე იმისი ცოლები იყო, და შუქურ ვარსკვლავი კიდე იმათი ოქროს ქოჩრიანი შვილი.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა

—

ელასა, მელასა,
ჭიქა მეკიდა ყელასა,
მთქმელსაც და გამგონებლებსაც
ცხელი ხინკალი ყველასა.

—

მთას ურემი [illegible]ავიტანე,
წამოვიდა გორებითა....
აქ სიცოცხლით გაჰიძღით,
საიქიოს ცხონებითა!

## 10.—მოთამაშე ღორები

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყვნენ სამნი ძმანი; მეტის მეტად ღარიბები იყვნენ; სულს გარეშა ერთის ვაშლის ხის მეტი არა ებადათ, მაგრამ იმ ვაშლსაც ეშმაკი უხლეჩდა. ვაშლს სამი ტოტი ჰქონდა; მოვიდოდა ეშმაკი ჯერ ერთს გაჰხლეჩდა, ახლა მეორეს, ახლა მესამეს, და ძმანი კი ცარიელზედ რჩებოდნენ. ერთხელ, როცა ვაშლმა ძალიან დაისხა, ძმებმა სთქვეს ერთმანერთში: ეს ერთი ვაშლი გვიდგა, ამასაც ეშმა-

კი გვპარავს, და ჩვენ რისაღა მაქნისები ვყრივართ აქა, ავდგეთ ბარემ, სახლიც იმას მივცეთ და წავიდეთ, გადავიკარგნეთ სადმე, თუ მეტი არ შაგვიძლიანო! ძმებმა გადასწყვიტეს, რომ ეყარაულნათ ვაშლისათვის ღამით და გაეგოთ ქურდი.

ჯერი პირველად უფროსს ძმას შეჰხვდა. წავიდა უფროსი ძმა და დაუწვა ვაშლს ქვეშა. ცოტა ხან კი იფხიზლა და დაეძინა. მოვიდა ეშმაკი, შახდა ვაშლზე, ერთი ტოტი სულ ჩამაჰხლიჩა და წავიდა. გამეეღვიძა დილაზე ამ ვაშლის ყარაულს, ნახა: ვაშლი ჩამოხლეჩილია, ორს ტოტზე ღა ასხავ. რაღა იქნებოდა, დაბრუნდა შინა.

მეორეს ღამეს საშუალი ძმა წავიდა. იმანაც ცოტა ხან კი იფხიზლა, მერე ძილმა დაჰძლია, და მიწვა ვაშლის ქვეშ. მოვიდა ეშმაკი, შახდა ვაშლზედ, გამოკრიფა მეორე ტოტიც და გაჰწია თავის გზაზედ. გამეეღვიძა საშუალს ძმას, ნახა, ვაშლი ჩამოკრეფილია, ერთს ტოტზედ-ღა ასხავ. რაღა იქნებოდა? დაბრუნდა ისიც ცარიელი შინა.

მესამეს ღამეს ჯერი უმცროსს ძმას ერგო; აიღო, ერთი ხმალი იშოვა, წაიღო ყალიონი და თამბაქო და წავიდა; დაჯდა ვაშლის ძირში და გასართობლად, რომ არ დაჰძინებიყო, დაუწყო ყალიონს წევა. ბოლოს მოვიდა ეშმაკიც. ბიჭმა მაშინვე თავი მოიმძინარა. ავიდა ეშმაკი ვაშლზე, გამოკრიფა მესამე ტოტიცა და ჩამოდგა ფეხი ჩამოსახდომლად; ამ დროს სტაცა ხელი ბიჭმა ამ ეშმაკს და დაიჭირა. ეშმაკი შეეხვეწა, გამიშვიო, და რასაც მთხოვ მოგცემო.—მამეცო, უთხრა ბიჭმა, თორო არ გაგიშვებო.—თქვენს სახლში რო ფულით სავსე ქოთანი დგა, ის ამოთხარე, და გეყოფაო, უთხრა ეშმაკმა.—არა, ეგ ხომ მეც ვიცოდიო, უთხრა ტყუილად ბიჭმა, სხვა რამ მამეცო, თორემ არ გაგიშვებო.—ერთს სალამურს მოგცემ იმისთანას, რო დაუკრა, ქვებიც კი ათამაშდებიან, თორო სულიერს ხო ვეღარა დაიჭერსო, უთხრა ეშმაკმა; მიჰცა სალამური.—ამისთანას განა მე ვერ გავაკეთებო, უთხრა ბიჭმა ამ ეშმაკს, შამაჰკრა ხმალი და შუაზე გაწყვიტა, წაიღო და ცეცხლზე დაურთო; თავად იმ ადგილას დაუწყო თხრა, სადაც ეშმაკმა ის ქვევრი ასწავლა. ძმები ჯავრობდენ, ნუ გვიბზარავ ამ სახლს, თავი დაანებეო.—მოდით, გირჩევთ მიშველოთო, უთხრა ბიჭმა ძმებს, თორო ინანებთო. ძმებმა არ უშველეს; ამოთხარა, და მართლა ფულიანი ქვევრი ამოუჩნდა; ამაალაგა ბიჭმა ფულები და ძმებს არც კი ასუნებინა,—სულ თავისად შაინახა.

მერე წავიდა და ექვსი ლორი იყიდა; წამოიყვანა და წამოვიდა... ხემწიფეს მშვენიერი ქალი ჰყავნდა, უნდოდა იმ დროებში გაეთხოვებინა. მორეკა ლორები ბიჭმა ხემწიფის ქალის სახლთან, დაუკრა სალამური, და დათამაშდენ ლორებიც; თამაშობენ, რა თამაშობენ, რო სუ ბუქნას ულიან. გადმოიხედა ხემწიფის ქალმა და ნახა მოთამაშე ლორები. ძალიან მეეწონა იმათი ლხინი; მეახლე გაგზავნა, შამიტყვე რეებია, ან არ გაჰყიდისო, დაათფასოსო. მოიდა მეახლე ბიჭთან და უთხრა ხემწიფის ქალის ნაბძანები.—ჩემს ბულბულს (ლორებს ბულბულები მააქვივნა ბიჭმა) მაშინ მივცემ, თუ გულს მაჩვენებს ძუძუებამდეო, უთხრა ბიჭმა მეახლესა. მეახლემაც ისე მაახსენა ქალსა. ქალი

ძალიან გაწყრა, როგორ თუ ისა ჰბედავს და მაგისთანა ფასს ითხოვსო; იმას გული როგორ უნდა ვაჩვენოვო.

მერე ისევ „მომშვიდდა ქალი და აჩვენა თავისი გული. ბიჭმა მისცა ერთი ღორი და წამოვიდა, მაგრამ ღორმა იმათ ვეღარაფერი უთამაშა. მეორეს დღეს მოიყვანა კიდევ იქვე ის ღორები, დაუკრა სალამური და ათამაშა ღორები. ქალმა იკითხა: რატომ ჩემი „ბულბულიც“ არა თამაშობსო?—მარტოკა არის და არ ითამაშებსო, უპასუხა ბიჭმა, თუ მეორეც არა ჰყავ გვერდითაო. ერთხელ კიდევ მაჩვენოს გული ძუძუებს ქვეითამდეო, და მეორესაც მივცემო. აჩვენა ქალმა გული ახლა იქამდე. მაგრამ არც მაშინ ითამაშეს ღორებმა. ბიჭი მესამეს დღესაც იქვე მივიდა, დაუკრა სალამური და ათამაშა ღორები. ქალმა კიდე კაცი გამაუგზავნა, რო არა თამაშობენ ჩვენი ბულბულები, და რა მიზეზიაო. ბიჭმა უთხრა: მე ოთხი მყავს, ისენი ორნია; იმასა ფიქრობენ, ისენი კიდევ მეტნი არიან ჩვენზედ, და ჩვენ რად ვითამაშებთო; სარტყელს ზეით მაჩვენე გული, და მესამესაც მოგცემთო. ქალმა აჩვენა კიდევ. ბიჭმა ნახა, რო ქალს გულზე სამი ოქროს ბეწვიება...

იმ ხანებში ხემწიფემ თავის ქალის გათხოვება დააპირა; თავისი საყმოსახელო დაიბარა და გამოუცხადა, რო ვინც გამაიცნობს, რა აქვს ჩემს ქალს გულზედ ოქროსი, ქალს იმას მივცემ ცოლადაო. ვერავინ ვერ გამაიცნო, ბევრს ეცადნენ და ეწვალნენ. ბოლოს ბიჭმა იმ მოთამაშე ღორების პატრონმა სთქვა, რომ სამი ოქროს ბეწვი აბიაო, და დარჩა იმას ქალი, დაიწერა ჯვარი იმაზედ და, ხემწიფე რო მოკვდა, ხემწიფობაც და სახემწიფოც იმას დარჩა.

ქირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

(სოფელი ჩარგალი, თიანეთის მაზრა, ილალო გურასპაულის ნაამბობი)

## 11.—ლაზარე

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი აბა რა იქნებოდა, იყო ერთი ხემწიფე; ჰყვანდა ერთი მზეთუნახავი ქალი. ხემწიფის ქალს ცალკე სახლი ჰქონდა დაჩემებული და დღე-ღამე იმაში იყო. იმ სახლის გვერდზე წყარო გამაუდიოდა; დილით, სანამ მზე მოვიდოდა, ქალი წავიდოდა და მუდამ იმ წყაროზე იბანდა პირსა. ქალს ერთი მწევარი ჰყვანდა და ისიც სუ მუდამ თან დაჰყვებოდა. ერთხელ ქალი ხელ-პირის დასაბანად იყო წყაროზედ და მწევარიც იქა ჰყვანდა. წყაროს ერთი ვაშლი გადმაჰყვა; ქალს ძალიან მეეწონა, მწევარს უბძანა: დაიჭიო! გადახტა მწევარი და ამაიღო წყალშიით ვაშლი. ქალმა გამაართვა მწევარს ეს ვაშლი; ნაკბილარები გადაჰთალა, მწევარს შააჭმია და გული თავად შაჭამა. ვაშლის შაჭმა და ქალისა და მწევრის დაორსულება ერთი იყო. ხემწიფის ქალს დაორსულება მალე შაეტყო.

ჯერ ერთი კაცი მივიდა ხემწიფესთან და მაახსენა, რომ, დიდებულო

ხემწიფევ, შენი ქალი დაორსულდაო! ხემწიფე ძალიან გაჯავრდა: როგორ თუ ჩემი ქალი დაორსულდაო; ჩემს ქალს მზეც კი არ უნახია, თორო კაცს კი ვინ აჩვენებდაო! უბძანა ხემწიფემ, მეექრათ იმ კაცისათვინ თავი... ხემწიფეს ახლა მეორე კაცი მაუვიდა, იმანაც ის ამბავი მაუტანა: ღმერთმანი, თქვენი ქალი ორსულად არისო. ხემწიფე იმასაც გაუწყრა და უბძანა, მეექრათ იმისთვინაც თავი. მერე მესამე კაცი მოვიდა და მაახსენა ხემწიფეს: თუნდა ეხლავ სუ შენს ერთგულ ყმათ თავები გაგვქრა, მაინც ვიტყვი, რო შენი ქალი ორსულად არის და ორსულადაო. რაღა იქნებოდა. ხემწიფემ სთქვა: იქნება მართლა ღმერთი გაუწყრა და დაორსულდაო, მოდი, წავალ და ვნახავო. მივიდა ხემწიფე და ნახა, რომ იმის ქალი მართლა ორსულია; ძალიან გაუწყრა. —რა ღმერთი გაგწყრომიაო, უთხრა ქალსა, მე ვამბობდი, რომ ჩემისთანა ქალი ჩემს ტოლს ხემწიფეს არ ექნებაო, და, დახე, როგორ შამარცხვინე მტერთანაცა და მოკეთესთანაცაო, როგორ თავი მამჭერ შინაცა და გარეთაცაო; ადეგ, წადი, დამშორდი თავიდგან, მე შენი თვალით მშინჯავი აღარა ვარო. ადგა და გააგდო.

წავიდა ტირილით ქალი და წაიყვანა თან მწევარიც. იარა და ერთი ღრუვი ხე მოხელა, გაიკეთა შიგ ბინა და დადგა. გავიდა ხანი, და გაუჩნდა ვაჟი; მააქვივნა*) ამ ვაჟს ლაზარე. მწევარმაც ექვსი ლეკვი დაყარა. ვაჟი რო ათის წლისა შაიქნა, ისეთია, რო ოცის წლისასა ჰგავს; დედას უთხრა: დედავ, მე ეხლა ერთი მშვილდ-ისარი და ერთი გურზი მინდა, უნდა გამიკეთებინოვო.—არა, შვილო, ჯერ პატარა ხარო, უთხრა დედამ, ცოტას ხანს კიდევ დაიცადე, რო შაგეძლოს ხმარებაო. შვილმაც უსმინა და მაითმინა კიდევ ხუთი წელი. ხუთმეტი წლისა რო შასრულდა, დედას უთხრა: ეხლა მაინც გამიკეთებინეო.—კარგიო, დაჰთანხმდა დედაც. წავიდა ლაზარე მჭედელთან, ერთი მშვილდ-ისარი და ერთი გურზი გამიკეთეო.—აგრეო, უთხრა მჭედელმაც. ბიჭი სახლში დაბრუნდა. ორის დღის შემდეგ მოვიდა ისივ მჭედელთან და მოჰთხოვა მშვილდ-ისარი, გამიკეთე თუ არაო?—გაგიკეთე, როგორიც შენ ხელს ვაჟს შაჰფერდებაო, უპასუხა მჭედელმა.—მაჩვენეო, უთხრა ბიჭმა. გამოუტანა მჭედელმაც. მოჰწივა გურზს ნეკა თითით ლაზარემ და მოხარა, გადუგდო იქვე,—სხვა გააკეთეო; ახლა მშვილდს მოჰწია და მოხარა, იქვე გადუგდო,—ესეც სხვა გამიკეთე, ამ ორს დღეზე ისივაც მოვალო. მოვიდა ორის დღის შემდეგ კიდევ ლაზარე მჭედელთან; ნახა ხელახლად გაკეთებული გურზი და მშვილდ-ისარი და ისივაც დაუწუნა. ახლა მესამედ შაუკვეთა. მაშინ კი იმის გუნებისა გამაადგა ყველაფერი; მიჰცა ფასი და წამოიღო. რაკი მშვილდი გადიკიდა, ლაზარემ უთხრა დედას: ეხლა კი უნდა გამამყვე, დედავ, და წავიდეთ სხვაკანაო.—კარგი, შვილო, გენაცვალოს დედა, წავიდეთო, უთხრა დედამა. წავიდნენ.

ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, მოადგნენ ერთს მდინარეს, იმ წყალს ლელწმის წყალი თურმე ექვივნა. ვაჟმა გასვლა დააპირა, მაგრამ დედამ უთხრა, მე ვერ გამოვალო.—მე გაგიყვან, დედავ, ნუ გეშინიანო, უთხრა

---

*) მააქვივნა—დაარქვა.

შვილმა. მარჯვენა თეძოზე დედა შაისყა, მარჯვენა ხელი იმას გადაჰხვია და მარცხენა თეძოთი და მარცხენა ხელით წყალს მაუცურდა. გავიდა და გადმოსვა დედა. ააშენა ერთი ქოხი, გაწირა დედა იქ, თავად წავიდა, ნადირი მოკლა და მაიტანა მეორეს დღეს ვაჟი ისევ სანადიროდ წავიდა. ბევრის წოწიალის შემდეგ, ერთს ულრანს, უდაბურს ხევში ერთი დევის სახლი ნახა, შავიდა შიგ: დევი იჯდა, უკრავდა ოქროს ჩონგურს და ოქროს კურდღელს ათამაშებდა. ვაჟი გადაუხტა და აუტეხა შარი: შენ ვინ მოგცა, რომ მაგ ჩემს ოქროს ფანდურს უკრავ და მაგ ჩემს ოქროს კურდღელს ათამაშებო! —შენ ვინ მოგართვა, ესენი ჩემებიაო, შამაუქყივლა დევმაც, მაავლო გვერდით ნადებს ლახტს ხელი და მაუქნია ლაზარეს დასაკრავად. ლაზარე უკან გახტა და გურზი უფარა; ლახტი გურზს მაჰხვდა, და ისეთი ცეცხლი გაჩნდა, რომ ორივენი ცეცხლში აღარ დაჩნდნენ. ახლა ლაზარემ მაუქნია გურზი და დევი შუაზე გადახეჩა; მაავლო ხელი მერე და გადისროლა გარეთ; თვითონ სკამზედ დაჯდა, დაუკრა ოქროს ფანდური და დაათამაშა კურდღელი. ცოტა ხანი რო გავიდა, მოჩქამდენ სხვა დევებიც, ზოგმა ირმები მაიტანა, ზოგმა მთელი წიფლები. ლაზარე რო ნახეს სკამზე მჯდომი და ჩონგურის მკვრელი, დაჰყვირნეს: შენ აქ ვინ მოგიყვანა. რა სურიელი ხარ, რომ ჩვენის შიშით მაღლა ფრინველი ვერა ფრინავს და ძირს ჭიანჭველაო.—ისენი თუ ვერ დადიან, მე ხო დავდივარო, უპასუხა ლაზარემ, და შაუტიეს კიდეც ერთურთს. ერთს დევს მაჰკრავს ხელს, ახლის მეორეს და წაალებინებს, ზოგს გურზს დაჰკრავს და ჰჭრის დევებს. ბოლოს სუ გაჰწყვიტა დევები, გაწმინდა სახლი და გამარჯვებული დაბრუნდა დედასთან; წამაიყვანა დედაც, და გადმოვიდნენ დევების ნაბუნაგარში.

მეორეს დღეს თვითონ ისევ სანადიროდ წავიდა. ლაზარეს დედა დადის დახოცილს დევებში და ერთს მკვდარს დევს დაინახავს, რო უზარმაზარი რამ არის.—ოჰ, რა სახილვებელი იქნებოდი, ნეტავი ერთი გაგაცოცხლაო, ინატრა ამ დედაკაცმა. ნატრვა და აცხადება ერთი იყო. გაცოცხლდა, შაჰყვარდა ამ დედაკაცს. საღამოზედ რო მოვიდა ლაზარეს მოსვლის დრო, იმ ქალმა ჰკითხა იმ დევსა, რა უყვა ეხლა, რო ჩემი შვილი მოვაო? დევმა უთხრა: მე დამმალე, და ის როგორმე მოვკლაოთო. აქა და აქ სამი გორია ერთურთის პირდაპირაო, ერთს გორზედ ირემი დგას, ერთზედ ყოჩი და ერთზედ არწივიო; იქ მისულს კაცს ისინი უკან ცოცხალს აღარ დააბრუნებენო; იქ გაგზავნე, და იმათ თვითონ იციანო, უთხრა დევმა.—ეხლა კი მე თვითონ ვიციო, უთხრა ქალმა და დამალა დევი. ლაზარეს მოსვლისა რო იქნა, დაწვა და მაიავადა თავი. მოვიდა ლაზარე და ძალიან შეჰწუხდა.—როგორა ხარ დედავ, მაშ ირმის ხორცს აღარა ჰჭამ, ეხლა რო მოვიტანეო? ჰკითხა დედასა. ან რაგიშველს, რა წამალი მოვიტანოო.—რა ვიცი, შვილო, უთხრა დედამ, ამა და იმ გორზე ერთი ირემი არისო, და იმის რქას ამბობენ მისწრებასაო.

მეორეს დღეს ადგება ლაზარე, დაიბანს ხელ-პირს, ახსენებს ღმერთს, აიღებს მშვილდ-ისარს და წავა ირმის საძებნელად. ილის და იმ გორაზედ მივა, სადაც ირემი იყო. ირემმა რო დაინახა მიმავალი კაცი, გამოქანდა,

მაგრამ ლაზარემ დაასწრო და მაუქნია გურზი, ირემი შეეხვეწა, ნუ მომკლავ, და გამოგადგებიო; მოქნეული გურზი კლდეს მოხვდა და გაარღვია. ირემმა ჰკითხა რა გინდოდა, რად მოხველ აქაო? ლაზარემ თავისი თავგადასავალი უამბო და დედის ავად გახდომა; შენი რქა მირჩიეს წამლად, და იმისათვის წამოვედიო.—აი მამჭერ რქის წვერიო, მიუშვირა ირემმა რქა ლაზარეს. ლაზარემ პატარა წვერი მაჭრა და წამოუღო დედასა. იმ დღის დევი და იმისი დედა შექცეოდნენ. საღამოზედ ისევ დაიმალა დევი, ვინიცობაა, იმ ირემმა ვერ მოკლა, და მომკლავსო. დედა დაწვა და დაიწყო კვნესა. მოვიდა ლაზარე და მოუტანა ირმის რქის წვერი.—როგორა ხარ, დედავ, არაფერი ნება გექნაო? ჰკითხა დედასა. ჩაულესა ირმის რქა და დაალევინა. ცოტა ხნის შემდეგ დედამ გამოუცხადა, რომ უფრო ავად გავხდი. შვილი ისე შეჭწუხდა, რომ პურიც აღარ უჭამია. დედას ჰკითხა კიდევ: რა გიშველის, დედავ, რა გიწამლოო?—ერთს გორზე ერთს ყოჩს იტყვიან, და, თუ მიშველის, ისევ ის რასმე თუ მიშველის, თორო სხვა ჩემი მეშველი აღარა არისო, უთხრა დედამ.

მეორეს დღეს ადგა დილით ლაზარე, დაიბანა ხელ-პირი, ახსენა ღმერთი, აიღო თავისი მშვილდ-ისარი, გურზი და წავიდა იმ ყოჩთან. ყოჩმა რომ დაინახა შორით მომავალი კაცი, მაშინვე დაიველა იმის დასაკრავად, მაგრამ ლაზარემ მაუქნია გურზი და ის იყო უნდა დაეკრა, რომ ყოჩი არ შეჰხვეწნიყო: ნუ მომკლავ, და გამოგადგებიო! მერე ჰკითხა ყოჩმა, რამ წამოგიყვანა აქაო? ლაზარემ თავისი ამბავი უამბო. ყოჩმა მოუჭრა რქის წვერი და მისცა. წამოიღო ლაზარემ და წამოვიდა. იმ დღესაც ისევ ისე იქეიფეს იმის დედამ და დევმა. ლაზარეს მოსვლის დროს, დედა დაწვა, კერაზედ კვნესა დაიწყო, დევი კიდევ დამალა. მოვიდა შინ ლაზარე; დედა უარესის კვნესით დახვდა.—ვაჰმე, დედავ, უფრო ავად გახდი? ჰკითხა ლაზარემ დედას —უფრო, შვილო, უფროო! უპასუხა დედამ. ჩაულესა შვილმა ახლა ყოჩის რქა და უთხრა, იქნება ღმერთმა გიშველოს, და გიშველოს რამეო. ისიც დაალევინა, მაგრამ დედამ უფრო კვნესა დაიწყო.—ეხლა რაღა გიშველისო? დეეკითხა დედასა.—რაღა მიშველის, შვილო. ერთს არწივს იტყვიან, და, თუ რასმე მიშველის, ისევ იმის ფთე თუ მიშველის რასმეო.

ადგა დილით ისევ ლაზარე, ახსენა ღვთის სახელი, აიღო მშვილდ-ისარი, გურზი და წავიდა იმ არწივის მოსაკლავად. მივიდა იმ მთის ძირში, სადაც არწივი იყო. დაინახა თუ არა არწივმა, დაუტევა ლაზარეს. ლაზარემ მაუქნია და წაალებინა ერთკნისაკე ეს არწივი. არწივი შეეხვეწა, ნუ მომკლავ, და გამოგადგებიო, არ მოკლა, ერთი ფრთა მოჭრა, წამოიღო და წამოვიდა. ლაზარეს თან მეძებრები დაჰყვებოდენ მუდამ. იმ დღეს იმისი დედა და დევი ისევ შექცევაში იყვნენ, ძალიან უხაროდათ კიდეც, ის არწივი მაჰკლავდაო. საღამოზედ ისევ დამალა. ლაზარე რომ დაბრუნდა, დედას ეწყინა. ლაზარემ უთხრა: აჰა, დედავ, როგორა ხარ, დავწვათ ეს ფთე, და დალიეო. დაალევინა და მეორეს დღეს ჰკითხა: როგორა ხარ, არც ეხლა გექნა ნებაო?—კარგადა ვარ, შვილოო! უპასუხა დედამ. ლაზარეს ძალიან გაუხარდა. კარგა ჭამა პური, დაისვენა და მერე ისევ სანადიროდ წავიდა.

ის რო წავიდა, მაუვიდა დევიც, და დაიწყეს რჩევა, როგორ და მოვკლათ ლაზარე, რა უყვათო. სხვა არაფერი მაუხერხდებაო, უთხრა დევმა, ხვალ შინ დააბრუნე. უთხარ: დიდი ხანია, შვილო, აღარ გაჰბანულხარ, მოდი გაიბანეო; სანამდი კი შენ საარაყე ქობით გაათბე წყალი, და შიგ ჩაჯდეს. როცა გაიბანება, უთხარ: აბა, შვილო, გაჰწიე მაგ საარაყე ქობს, რამდენი შაგიძლიანო. ეგ გაჰწევს, თუ გაგლიჯა, ხო რა კარგი, თუ ვერ გაგლიჯა, ამოვხტები და დავადგამ ზარფუშს, დავლურსმავ და გადაუძახებ ზღვაშიაო. თუ ის ქვაბი გაგლიჯა, მეორეს დღეს მეორეს ქვაბში ჩასვი, რომელიც უფრო სქელიაო, და იმას კი ველარ გაჰგლეჯსო. დევი ისივ დამალა.

საღამოზედ ლაზარე დაბრუნდა შინ. იმ ღამეს კი არაფერი უთქომ დედას; მეორეს დღეს წასასვლელად რო დაემზადა, დედამ უთხრა: დაიცა, შვილო, ნულარ წახვალ, ლოხი მოგეკრვოდა ტანზე, გაიბანეო, რა ხანია აღარ გაჰბანულხარო. ლაზარემ დაუჯერა. დედამ წყალს დაუწყო თბობა, ლაზარე კი იჯდა, უკრავდა ოქროს ფანდურს და ოქროს კურდღელს ათამაშებდა. როდესაც გათბა წყალი, დედამ უთხრა: მოდი, შვილო, გაიბანე და, როცა გაიბანო, ერთი ღონივრად გაჰწიე, გაჰგლეჯ თუ არა მაგ დევისეულს ქობსაო. ახსენა ღმერთი ლაზარემ. ჩავიდა ქვაბში, ებანა, გაჰწია და გაგლიჯა. —აი, შენი ჭირიმე, შვილო, რა ღონიერი ჰყოფილხარო, უთხრა დედამ, აბა მეორე ქობს მოგიტან, იმაშიაც ჩაჯე და, თუ იიც გაჰგლიჯე, შენი მამრევი აღარავინ იქნებაო, მაშინ შენი იმედი მექნება ყველგანაო. ლაზარე ახლა იმ ქობში ჩაჯდა, მაგრამ ღმერთი აღარ უხსენებია, პირჯვარი აღარ დაუწერია, დაავიწყდა. მიჰწივ-მაჰწივა ქვაბსა, მაგრამ ველარ გაგლიჯა. ამოფრინდა უკებ დევი, გადააფარა ზარფუში, დალურსმა, წაიღეს და ერთს დიდს ზღვაში ჩააგდეს, თვითონ დალაღებულები სახლში დაბრუნდნენ, რო ეგ არი დავიშორეთო. დარჩა დევი ლაზარეს დედასთან, და გაუჩნდათ ერთი ვაჟი, რომელსაც „დევთ ნაქნარი“ მააქვივნეს.

ლაზარეს მწევრები კი დადიოდენ და დაეძებდენ ლაზარესა. რო ვერსად ვერ იპოვნეს, ბოლოს წავიდნენ ირემთან, ყოჩთან და არწივთან. არწივი ავიდა ღრუბლებში და იქით დაინახა ის ქობი. მაშინვე უთხრა ირემს და ყოჩს, და სამნივ წავიდნენ იმის გამოსაყვანად. დაუტია არწივმა ამ ქობს, მოჰკრა მხარი და მოაგდო აქეთ, დაუტია მეორედ, შუა ზღვას გამაიყვანა და, მესამედაც რო შამაჰკრა, გამააგდო ნაპირას. მივიდა ახლა ირემი, იმან რქები შაუყარა და გამაიტანა სუ ხმელზე. მივიდა ახლა ყოჩი და დაუძახა: ლაზარე, თუ ცოცხალი ხარ, იქით მიიწიე, უნდა დავკრა, და არამც რამ დაგტკივნოვო. ლაზარე ცოცხალი იყო, მიიწია იქით; დაუველო ყოჩმა, დაჰკრა ორჯელ და სუ დაამტვრია ქობი. ლაზარემ დიდად დაუმადლა, რო გადაარჩინეს, და იმათაც ძალიან გაუხარდა. ესუოვილნენ ერთმანერთს, ილხინეს და, როდესაც ერთმანერთთან ყოფნა მაჰწყინდა, გამოეთხოვნენ ერთმანერთს; ირემი, არწივი და ყოჩი თავთავის ადგილას წავიდენ, და ლაზარეც შინ წამოიდა.

შინ რო მოვიდა, ნახა რომ იმისი დედა და ერთი დევი არიან სახლში. თავისი მშვილდ-ისარიც ისივ ისე მიყუდებული ნახა, როგორც გაწირა; ვერა-

ვის ხელი ვერ ეხლო. მივიდა ლაზარე, აიღო მშვილდი ხელში, ჩააგდო ისარი, მოჰწია, მაგრამ ისევ ჩაუშვა ძირსა. დევს გაუკვირდა, რომ ვინღაც მოსული ისე ეზიდებოდა ლაზარეს მშვილდს, და ცოლზე თვალი დაჰრჩა. დედას მაშინვე ფერმა გადაუარა.—აი, თქვე მოღალატენო, თქვენაო, უთხრა ლაზარემ, მე არაფერს გიქამთ, ღმერთმა გიყვასთ სამაგიეროვო! თუ მე ვიყო მოღალატე, მემც დავიწვები ცეცხლშიაო, და, თუ თქვენ იყვნეთ, თქვენამც დაიწვებითო. უცებ მართლა ჩამოვარდა ცეცხლი, და დევი და იმისი ცოლი, ლაზარეს დედა, ნაცრად აქცია. დაჯდა ლაზარე და დაუკრა თავისი ოქროს ჩონგური, თან დაჰმღერა და თან ოქროს კურდღელს ათამაშებდა. უკრავს ლაზარე, და მოვა დევთ ნაქნარიც.

—ვინა ხარ, ვინ უკრავ მაგ ოქროს ფანდურს და მაგ კურდღელს ვინ ათამაშებო? ჰკითხა დევთ-ნაქნარმა ლაზარეს. ლაზარემ შეჰხედა და ვაჟკაცად მაეწონა.—ნუ ჰყვირი, მოდი, დაჯე, ერთურთს ამბავი ვკითხოთ, მიამბე რამეო, უთხრა ლაზარემ. დაჯდა დევთ ნაქნარიც, და დაიწყეს საუბარი. ლაზარემ ჰკითხა, ვინ იყო დედა შენი ან მამა შენიო, და გაიგო, რომ იმის ძმა იყო; მერე თავისიც უამბო, გადაეხვივნენ ერთმანერთს და დაუწყეს კოცნა. დაიწყეს ერთად ტკბილად ცხოვრება; ნადირობდენ და ლხინობდენ. ბოლოს სთქვეს: ასე ყოფნა არ გამოგვადგება, მოდი, ცოლები შევირთოთო.—ძალიან კარგიო.

იმ ქვეყნებში ორი ხემწიფე იყო, ერთი ერთის წყლის გაღმა, და მეორე მეორე წყლის გაღმა; იმათ თითო მზეთუნახავი ქალი ჰყვანდა და ისე ჰქონდა ნათქვამი, ვინც იმ წყლებს გადახტებოდა, იმათ მიჰცემდა. სთქვეს, რომ იქ წავიდეთ და იმ წყლებზე გადავხტეთო. გაიყვეს მწევრები შუაზედ, სამი ერთმა წაიყვანა და სამი მეორემ, აკოცეს ერთმანერთს, გამოისახეს პირჯვარი, გამოეთხოვნენ ერთმანერთს და ნიშნად ეს დადვეს: დილაზე პირი დავიბანოთ და, ვისაც ხელ-პირის ნაბანი სისხლად იქცეს, ის მიეშველოს მეორესო, ალბათ უჭირსო. გამოეთხოვნენ და წავიდნენ. მივიდა ერთი მდინარესთან, გადახტა, გადიყოლა მწევრებიც. გამოეგება ხემწიფე და სიხარულით წაიყვანა შინ, ჩემი სიძე ხარო. მეორეც გადახტა, და ისიც ხემწიფემ წაიყვანა შინ.

ერთხელ ლაზარემ ჰკითხა ცოლსა: სანადირო საისკენ არის, სად უნდა წავიდეს კაცი, რო უნდოდესო? ცოლმა უთხრა: მარჯვნივ წახვალ, ვერას მაჰკლავო, და მარცხნივ წახვალ, ვეღარ მოხვალო.—აბა იქა ყოფილა ცდისაო, სთქვა ლაზარემ, თუ იქ არ წაველ, არ იქნებაო. მეორეს დღეს აიღო მშვილდ-ისარი და გაჰწია. გზაზედ ერთი კურდღელი გამოუხტა; გამოუდგა, დაიჭირა, გაუკრა ფეხები და დაადგო; მწევრებიც თანა ჰყვანდა. გაიარა კიდევ გზა, ახლა მეორე კურდღელი გამოუხტა, ისიც დაიჭირა, გაუკრა ფეხები და დაადგო. მერე გაიარა, შეჰხვდა ირემს, მოკლა, გაატყავა, დაანთო ცეცხლი, აასხა მწვადები და დაუცხუნა ცეცხლზე. ამოჩნდა ერთი წუწიანი ბებერი და დაჯდა იმის ქვემოთ.—მოდი აქაო, დაუძახა ლაზარემ, მანდ რას დაუჯე, ეს ირემი თუნდა ქვეყანას ეყოფა, მოდი, ხორცი ჰამეო.—არაო, უთხრა ბებერმა, ეგ შენი ძაღლები მაშინებენო. — არ გერჩიანო, უპასუხა

ლაზარემ.—მერჩიან, როგორ არაო, გაიცინა ბებერმა; აი ეს მარილის ქვა გადუგდე, და მოვალო, და გადმოუგდო ბებერმა ლაზარეს ერთი მარილის ნატეხი. გადუგდო ლაზარემ ძაღლებს, და ქვებად კი იქცნენ.—ეხლა მოდიო, დაუძახა კიდე ბებერს.—არა, ეგ შენი მშვილდ-ისარი მაშინებსო, უთხრა ბებერმა; აი ეს თმა დაადე, და მოვალო. დაადვა ლაზარემ თმა, და მშვილდ-ისარი თმად კი იქცა. მივიდა ბებერი და ჩაყლაპა უიარაღო ლაზარე.

მეორეს დღეს დევთ ნაქნარმა პირი დაიბანა, და წყლის მაგიერ სისხლი ჩადგა. მაშინვე ადგა, აიღო მშვილდ-ისარი, წამოასხა მწევრები და წამოვიდა; მოვიდა იმ წყალთან და გადახტა. მიეგება ხემწიფე და დაუწყეს კითხვა, ამაზედ რად მოხველ, აკი სხვაკნისაკე წახველო. იმათ ლაზარე ეგონა, რადგან ლაზარეს ძალიანა ჰგვანდა. იმ ღამეს დაწვა რძალთან და დაიდვა ხმალი შუაზედ, უთხრა: ამ ხმალს არ გადმაჰცილდე, თორემ მაგ ხმლით დაგკუწაო. მერე ჰკითხა: საისკე არი სანადიროვო?—აკი წუხელ გითხარო, უთხრა რძალმა, რაღასა მკითხაო?—არა, უნდა კიდევ მითხრა, დამავიწყდაო. მაშინ ქალმა კიდევ გაიმეორა; დევთ ნაქნარმა მაშინვე იფიქრა, რომ ჩემი ძმა უთუოდ იქ წავიდოდაო. მეორეს დღეს აიღო მშვილდ-ისარი, წაიყვანა მწევრები და წავიდა მარცხნივ სანადიროდ.

გაიარა და ნახა გზაზე ფეხ-შეკრული უქირველი კურდღელი გდია; დევთ ნაქნარმა იცნო თავის ძმის წვივის საკრავები, რითაც კურდღელს ჰქონდა ფეხები შეკრული. და სთქვა, რომ ჩემი ძმის მეტი ასე უქირველს კურდღლებს ვერავინ დაიჭერდაო. გაიარა კიდევ გზა და ახლა მეორე კურდღელი ნახა. გაიარა კიდევ და მოკლულს ირემს მიადგა. იმას იქით აღარ დაუწყო ლაზარეს ძებნა.—საქმე აქ არისო, სთქვა დევთ ნაქნარმა, აასხა მწვადები დაუწყო ხორცს წვა. ამოჩნდა ქვემოთ ისივ ის ბებერი და დაჯდა შორი-ახლოს. დევთ ნაქნარმა დაუძახა: მოდი, ბებერო, ცეცხლთან, ხორცსა ვწვავ, ჭამეო. —ვერ მოვალ, შენი მწევრები მერჩიანო, დაუძახა ბებერმა.—არა, არ გერჩიანო, დაუძახა დევთ ნაქნარმა.—მაშ ეს მარილის კვრინწი მიუგდეო, დაუძახა ბებერმა და გადმოუგდო მარილის ნატეხი. დევთ ნაქნარმა გადისროლა ტყისაკე და წაალებინა ხრიალი; ბებერს დაუძახა: მიუგდე, წამოდიო.—ტყეში რა ჩახრიალებსო? დაუძახა ბებერმა.—არაფერი, კლდე იმტვრევაო, უპასუხა დევთ ნაქნარმა.—ეგ შენი მშვილდ-ისარი მაშინებსო, აჰა, ეს ბეწვი მაგათ დაადევ, და მოვალო, დაუძახა კიდევ ბებერმა. გამოართვა დევთ ნაქნარმა ბეწვი და ჩააგდო ცეცხლში.—მოდი ეხლა, დავადე მშვილდ-ისარსაცაო, დაუძახა ბებერსა.—მაშ ცეცხლში რა ტყვრებაო? ჰკითხა ბებერმა.—მწვადი იწვება, და იმისი წვენი ტყვრებაო, უპასუხა დევთ ნაქნარმა.

—ეხლა მოვალ და შენს ჭირადაო, დაუძახა ბებერმა და წამოვიდა დევთ ნაქნარის ჩასაყლაპავად, მაგრამ დევთ ნაქნარი წამოხტა, მაჰზიდა მშვილდს და უთხრა: მითხარ ეხლავ, რა უყავ ჩემი ძმა, თორო გაგაქრე სანთლივითაო!—ნუ მამკლავო, უთხრა ბებერმა, და ეს ნეკა თითი მამჭერ, და მაგაში არის შენი ძმაო. მოჰჭრა თითი, და ამოხტა ლაზარე. მოკლეს ბებერი, დაუყარეს მწევრებს და თვითონ ერთმანეთს გადაეხვივნენ და დაუწყეს კოცნა. ჰკითხეს ერთმანეთს ამბავი და შაიტყვეს ყველაფერი. დევთ ნაქ-

ნარმა აჰკრა ისარი მაღლა და უთხრა ლაზარეს: რითაც მივკარებივარ შენს ცოლს, დამეცას იმაზედ, და მოვკვდე, თუ მე მეღალატოს შენთვინაო. ჩამოვარდა ისარი და ფეხის თითის წვერი მააგლიჯა. წავიდნენ მერე ერთად, ილხინეს, იმხიარულეს, იცხოვრეს ტკბილად და, როცა ხემწიფეები დაიხოცნენ, ტახტები იმათ დაჰრჩათ.

ქირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

(სოფ. ჩარგალი. თეიმურაზ მთიბელაშვილის ნაამბობი)

## 12. ერთი მზეთუნახავისა და ხემწიფის შვილის ზღაპარი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ხემწიფე და ჰყვანდა იმას სამი ვაჟი. იმ სახემწიფოში ერთი მზეთუნახავი ქალი იყო; ის ქალი არავის არ ეჩვენებოდა უფასოდ. ერთი ხელი რო ენახათ, უნდა ასი თუმანი მიეცათ; და სრული რო ენახათ ქალი, უთვალავი ფული უნდა მიეცათ. ხემწიფის შვილებს ძრიელ უნდოდათ იმ ქალის ნახვა. უფროსსა და საშუალს მიჰცა მამამ უთვალავი ფული, და ორივემ ნახეს. უმცროსს კი არ მიჰცა.

დაღონდა და ეწყინა ძალიან უნცროსს შვილს; წავიდა გზაზედ, მიდის და ტირის. შემოჰხვდება ერთი ქოსა მატყუარა და ჰკითხავს: რა გატირებსო? —ჩემმა ძმებმა კი ნახეს მზეთუნახავი, —მიჰცა მამა ჩემმა უთვალავი ფული და მე კი არ მომცა, რომ მენახაო, უპასუხა ხემწიფის შვილმა. ქოსა მატყუარამ უთხრა: წადი, ერთი თხა და სადგისი იყიდე, წავიდეთ, და იმ მზეთუნახავს მალე გაჩვენებთ.

წავიდა ვაჟი, იყიდა ერთი თხა, იშოვა სადგისები, წამოიყვანა, წამოიღო და მოიტანა. მივიდნენ მზეთუნახავის სახლის წინ, წააქციეს თხა და დაუწყეს სადგისებით ჩხვლეტა, ვითომ და ჰკლავდნენ, აჩხავლებდნენ თხასა. შეცვივდნენ მოსამსახურეები და მოახსენეს მზეთუნახავს: აბა გამოდი, ქალბატონო, რა ნაირად ჰკვლენ იმ თხას ის კაცებიო. გამოვიდა მზეთუნახავი, და ხემწიფის შვილმაც დაინახა. ეს ერთხელ

უბძანა მზეთუნახავმა მსახურებს: ჩადით. დაუკალით, როგორც რიგი და წესი იყვესო! ჩავიდნენ, დაუკლეს, ქვაბში ჩაუყარეს და დადგეს ცეცხლზედ. აილო ქოსა მატყუარამ ქვაბი და პირქვე მოაბრუნა. შევიდნენ კიდე მოსამსახურეები მზეთუნახავთან და მოახსენეს: აბა გამობძანდი, ქალბატონო, რასა ჰშვრებიან ის კაცებიო. გამოვიდა მზეთუნახავი და უბძანა მსახურებს: ჩადით და, როგორც რიგი და წესი იყოს, ისე მოუხარშეთო. ეს მეორედა ნახა ხემწიფის შვილმა მზეთუნახავი.

ჩავიდნენ მსახურები, დაურეცხეს ხორცი, ჩაყარეს ქვაბში და შედგეს ცეცხლზედ. როდისაც მოიხარშა, მოუსხდნენ ქოსა მატყუარა და ხემწიფის შვილი, ხან ერთი ჩაჰყცემს პირს და ხან სხვა, იწყვენ ლაშებს. ამას ჰნახვენ ქალის მსახურები, შავლენ და მოახსენებენ მზეთუნახავს: აბა გამობძანდით, ქალბატონო, ის კაცები რასა შვრებიანო. მზეთუნახავმა უბძანა, რომ ჩადით, ამოიყვანეთ აქ, მადლია, დავსხათ და ვაჭამოთ, როგორც რიგი და წესი იყოსო. ჩავიდნენ, აიყვანეს, დასხეს და ასვეს და აჭამეს. ბოლოს ძილი მოეკიდათ; ხან ქოსა გაწვება ხემწიფის შვილზე, ვითომ ლეიბიაო. ხან ხემწიფის შვილი ქოსა მატყუარაზე. უბძანა მზეთუნახავმა მსახურებს: ეგ ქოსა თქვენ წაიყვანეთ, დააწვინეთ და ამას მე დავაწვენო. დაწვა ქალი და მოიწვინა ხემწიფის შვილიც გვერდზედ; უთხრა: აი ესრე უნდა წოლაო, ხელი არ გაანძრიო, თორემ ეხლავე თავს მოგჭრიო. ხვალ სამს ოქრო-ვერცხლით აკიდებულს ჯორს მოგცემ, წაიყვანე და, თუ ერთი-ორათ აქცევ, ქმრად შაგირთაო, და თუ ვერა—არაო.

წამოასხა ეს ჯორები. არის დაღონებული: ერთი ორად როგორ უნდა ვაქციოვო. მოვიდა ერთს მეხაშესთან და უთხრა: აჰა ეს ჯორი და, რო ჩამოვიაროო, ერთი თავი მომეციო. გაუხარდა მეხაშეს ძალიან. აიარა კიდევ, ერთი მემაწვნეს მიჰცა,—რო ჩამოვიაროო, ერთი ქილა მაწონი მომეციო. წავიდა და ერთიც მესაბლეს მიჰცა,—რო ჩამოვიაროო, ერთი საბელი მომეციო. დარჩა ცარიელი და წავიდა დაღონებული.

შამეეყარა ერთი კაცი და ჰკითხა: რათა ხარ დაღონებულიო?—იმითა ვარ დაღონებული, რომ მზეთუნახავმა სამი ოქრო-ვერცხლით აკიდებული ჯორები მომცა; თუ ერთი-ორად ვაქცევდი, შამირთავდაო; სამივ ტყუილ-უბრალოდ დავკარგე, ერთი ერთს მეხაშეს მივეც, ერთი ერთს მემაწვნეს, ერთიც—მესაბლეს, და დავრჩი ცარიელიო. კაცმა უთხრა: აგა და აგ ადგილას ერთი ხე დგაო. იქ წადიო. იმ ხესთან მოვლენ ის სომხებიო. შენ იმ ხეზედ დაიმალეო. იქ მოვა იმ სომხების უფროსიც, და იმას ეტყვიან ყველა თავის ზარალ-სარგებელსაო; თუ გეშველება, იქით გეშველებაო.

წავიდა ხემწიფის შვილი, მიაგნო იმ ხეს, ავიდა ზედა და დაიმალა. მოვიდნენ სომხებიც და იმათი უფროსიც.—აბა რა მოიგეთ, რა წააგეთო? ჰკითხა უფროსმა. მეხაშემ უთხრა: მე გუშინ კარგი მოგება ვქენიო: ერთი კაცი მოვიდა, ერთი ოქრო-ვერცხლით აკიდებული ჯორი მომცა, და, რო ჩამოივლის, ერთი თავი უნდა მივცაო.—შენ მოგება არ გიქნიაო, უპასუხა უფროსმა: იქნება ის კაცი კაცის თავსა გთხოვსო. დაბრუნდა დაღონებული მეხაშე.

ახლა მემაწვნე მოვიდა.—შენ რაღა წააგე, ან მოიგეო! ჰკითხა უფროსმა.—მე გუშინ დიდი მოგება ვქენიო, უპასუხა მემაწვნემ,—ერთმა კაცმა ჩამოიარა, ერთი ოქრო-ვერცხლით დატვირთული ჯორი მომცა, და, რო ჩამოივლის, ერთი ქილა მაწონი უნდა მივცეო.—შენ ვერ გიქნია კარგი მოგებაო, უთხრა უფროსმა; იმან რო ჩამოიაროს და ადამიანის რძის წველა გთხოვოს, საიდამ მოუტანო? წავიდა ისიც დაღონებული.

ახლა მესაბლე მოვიდა.—შენ რაღა ჰქენიო? ჰკითხა სომეხმა.—მეც გუ-

შინ დიდი მოგება ვქენით: ერთი კაცი მოვიდა, ერთი ოქრო-ვერცხლით აკიდებული ჯორი მამცა, და, რო ჩამოივლის, უნდა ერთი საბელი მივცეო.
— ვერაფერი მოგება გიქნიათ, უპასუხა სომეხმა, იმ კაცმა რომ შენის ულვაშების თოკი გთხოვოს, საიდამ მოუტანო!? ისიც დაღონებული წავიდა. სომეხიც თავის გზაზედ წავიდა.

ჩამოვიდა ხემწიფის შვილიც და წავიდა მაშინვე მეხაშესთან.

— აბა გამამიტანე დაპირებული თავიო!

მეხაშემ ერთი კარგა გაკეთებული თავი გამოუტანა: აჰა, წაიღეო.

— არაო, უპასუხა ვაჟმა, ჩვენი პირობა ეგ არ იყო, ან ერთი-ორად ჩემი ოქრო ვერცხლი და ან კაცის თავიო! რა მეტი ღონე ჰქონდა მეხაშეს, გამოუტანა და ერთი-ორად მიჰცა ოქრო-ვერცხლი. წამოიღო ვაჟმა და ახლა მემაწვნესთან ჩაიარა.

— გამომიტანე ჩემი ქილაო! მემაწვნემ ერთი ქილა წველა გამოუტანა.

პირობა ეს არ იყოვო, უთხრა ხემწიფის ვაჟმა: თუ ადამიანის რძისა არ იქნება, არ მინდაო. წაართვა იმასაც ერთი-ორად ოქრო-ვერცხლი და წამოვიდა. ჩაუარა მესაბლეს.

— გამამიტა ჩემი საბელიო!

მესაბლემ ერთი კარგი საბელი მოუტანა, აი, ინებეო.

— ეს არ მინდაო, უპასუხა ვაჟმა, უნდა შენის ულვაშისა იყოსო, არა და — ერთი-ორად რაც მამიციაო. წაართვა ერთი-ორად და წამოვიდა გახარებული. მოუტანა ქალს, შაირთო და გაიხარა.

ქირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა ფქვილი აქა.

(გოგოთურ ქსნელის ნაამბობი სოფ. ჩარგალს 1888 წელს)

## 13.—ცხვრის შვილი

ერთს მემცხვარეს ცხვარი თურმე მიუდიოდა შინა. ერთი ჯანდაგი ცხვარი თურმე დარჩა გზაზედ; არც მემცხვარემ უგდო ყური და დაანება თავი. იმ ცხვარმა ერთი ნატყლაპი იპოვნა და ის შეჭამა. იმისგან გაინერბა. მაუხდენ მგლები: უნდა შეგჭამოთო. ცხვარი შეეხვეწა: ეხლა ხო მხედავთ, ლეში ვარ, ან თქვენ რა გემოს ჩამართომთ, დამაცალეთ, გავსუქდები და მაშინ თქვენს ხელთა ვარო, სამღირველოც ვიქნები და გემრიელიცაო. მგლებმაც უსმინეს ვედრება, არ შეჭამეს. ცხვარს გაუჩნდა ვაჟი, იმის სახელი — ცხვრის შვილი. ის ვაჟი დღეში თითო მათრახის ტარს თურმე იზრდებოდა. ათის დღისა რო გახდა, მჭედელს მშვილდ-ისარი გააკეთებინა; როდესაც გაიგო, რომ ის მგლები ახლა კი მოვლენო, იმათ მოსავალ კარებში ცხრა ისარი შეინახა. მგლები მართლაც ცხრანი მოვიდნენ. ესროლა თითო და სათითოოდ დახოცა. მერე დედას ერთს-ერთს კლდეში გაუკეთა ბინა და მუდამ იქ უზი-

დავდა წყალსა და ბალახსა. ბოლოსა სთქვა ცხვრის შვილმა: ერთი ისეთი კაცი უნდა ვიშოვო, რომ ძმად გამომადგესო; ჩემისთანა იყოს და მტრის წონა ჰქონდესო. წავიდა. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, შეხვდა ერთს კაცს; ერთმანერთს გამარჯვება უთხრეს. მერე ჰკითხა: შენ რა კაცი ხარო?

— მე ის კაცი ვარო, ემ გორას მოვგლეჯო და აიმ გორას მივარტყამო, უპასუხა იმან.

— მეც ეგეთი მინდოდაო, დავძმობილდეთო.

— აგრეო.

დაძმობილდნენ. ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, შეხვდნენ ერთს კაცსა.

— შენ რა კაცი ხარო? ჰკითხეს.

—მე ის კაცი ვარო, უპასუხა იმან, ემ წიფლიანსაო ავილი—ავამტვრეო, ჩამოვვლი — ჩამუამტვრეო.

—კარგი, ჩვენც ეგეთი გვინდოდაო. დავძმობილდეთო!

—ძალიან კარგიო!

დაძმობილდნენ. წავიდნენ. ერთს მაღალს მთაზე გავიდნენ, ჩახედნეს და ნახეს, რომ ქვეით ერთი ჰყანტიანია, და იმ ჰყანტიანს იქით კარგა შორს დევების სახლია.

ძმობილებმა თქვეს: აბა, რომელიც იმ დევების სახლს დავკრავთ, ის ვიქნებით კაი ბიჭიო.—აბა აგრეო.

გაჰკრა გორთა მგლეჯელმა, და ჰყანტის აქათ დაეცა ისარი, სახლამდე ვერ უწია.

გაჰკრა წიფლიანის მტვრეველმა და ჰყანტიანში ჩაავდო ისარი, ცოტათი აჯობა გორი დრეკის. დევების სახლთან ვერც იმან უწია.

ახლა ცხვრის შვილმა გაჰკრა. ისარი დევების სახლის ბანზე მივიდა, შიგ თავხეში მიიჭედა, წვერი სახლში ჩააჩინა. დევებმა სთქვეს: რამ დაადგრიალა ეს ბანი, რო კინაღართ დაიქცაო, გავიდეთ, ვნახოთ, რა არისო. გამოიდენ, ნახეს, ისარი არის დაცემული, აჰხედნეს მაღლა მთაზედ და ნახეს, რომ კაცები გადმომდგარან და მშვილდ-ისარი უჭერიათ ხელში; სთქვეს: აბა, ვცადოთ, ამოვაძროთ ისარიო. ეზიდნენ, ეზიდნენ და, რაკი ვერ ამააძვრეს, დაიქცნენ და გადიყარნენ ცხრა მთას იქით. იმათ იქით დაჰკივლეს და დაუტიეს.

დევებს ერთი ბებერი ჰყვანდათ, ის ვეღარ გაიქცა, მაღლა თავხეზე შესვეს და დაანებეს თავი. მოიდენ ძმობილებიც. ცხვრის შვილმა ნეკურა თითით ამააძრო ისარი და შაინახა. მერე ჩაიარეს და სახლი ძალიან მაეწონათ. აქ დავდგეთო, სთქვეს. მეორეს დღეს გორთა დრეკელს უთხრეს: ჩვენ სანადიროდ წავალთ, ეს ხორცი კი არისო, და სადილი მოგვიმზადეო. ისენი წავიდნენ. იმან ყველაფერი რო გააკეთა, ბებერმა დაუძახა: აქ ამამაწვადე, რაც რამ გააკეთე, თორო ჩამოვხდები და შენც შაგჭამ და მაგასაცაო.ააწვადა გორთა მდრეკელმა. მოვიდნენ ისენი და, რო არაფერი დახვდათ, ჰკითხეს: ყველაფერი იყო, და რატომ არ მოამზადეო?

— დამძინებიყო და ვეღარ მოვასწარიო.

მერე წიფლების მტვრეველი დარჩა. ბებერმა იმასაც ისე უყო.

მესამე დღეს ახლა ცხვრის შვილმა უთხრა: წადით ახლა თქვენ, და, აბა, ახლა მე დამეძინოს აქა. გააკეთა იმანაც და დადგა. ბებერმა იმასაც დაუძახა: ამამაწვადე, რაც რამ მანდ გააკეთე, თორო ჩამოვხდები და შენც და მაგასაც ერთად შეგჭამთო. შაიხედა ცხვრის შვილმა მაღლა და დაინახა, რომ თავხეზედ დევების დედა ზის და დაუტყვრეცია თვალები. მაშინვე ესროლა ისარი და თავხეს ზედ მიაკრა. დადგენ იქ სამნივე, მოიყვანეს ცხვარიც და უცხოვრებავ.

(თემურაზ მთიბელაშვილის ნაუბარი, ს. ჩარგალი).

## 14.—დედა-შვილის ზღაპარი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ქვრივი დედაკაცი. ერთხელ გზაზედ მიდიოდა. გზა-გასაყარში ერთი ქურ-წითელი ვაშლი იპოვნა. აიღო, წითელი გვერდი მაჰკმიჰა და შაჭამა, სხვა კი გადააგდო. ვაშლის შეჭმაზედ ქალი დაორსულდა. ცხრა თვის შემდეგ ერთი ვაჟი გაუჩნდა. ის ვაჟი ისეთი რამ იყო, რომ დღეში თითო მათრახის ტარს იზდებოდა. თავის ტოლებს და თავიზე დიდებს ყველას ერეოდა. ერთხელ ბალღები რაღაზედღაც ატირა ბალღებმა დააყვედრეს: შენ თუ მაგრე ღონიერი ხარ, ჩვენზე კი ნუ ჰცდი მაგ შენს ღონესა, მამა რო დევებმა მოგიკლეს, წადი, იმისი სისხლი აიღე! ვაჟს ძალიან ეწყინა ეს საყვედური, მაშინვე გაიქცა და დედას შესჩივლა: ავადა ვარო, ძუძუ მამაწოვეო.—ილონ შენ მაჰრჩე და მოდი, მოწოვეო, უთხრა დედამ. შვილმა როგორც კი ჩაიდო პირში ძუძო, მოუჭირა კბილი და უთხრა: მითხარ, მამა ჩემი ვინ მოკლა, თორო მოგკვნეტო. უთხრა დედამაცა: შენი მამა დევებმა მოკლესო, და იმის შანაძლებს შენ სად შასძლებო? ის სადილად სამს ქობს ხავიწს *) შესჭამდაო. ვახშმად ორს საარაყე ქობსა და ორს კამეჩსაო. ცდილა ის ბიჭიც და უჯობნებია მამისათვინ. სადილად ხუთი საარაყე ქობი ხავიწი შაუჭამავ და ვახშმად ოთხი ქვაბი და ოთხი ხარ-კამეჩი.

მერე წასულა და დაუხელავ ის დევები. ერთი კოჭლი დევი ყოფილა. რო გაუგია იმ დევს იმ ბიჭის მოსვლა, ერთს ორმოში ჩავარდნილა და ზედ რკინის ლასტი წაუხურია. იმ ბიჭს ის კი ვერ უნახავ და სხვა დევები კი სულ ერთიან ამაუწყვეტია თავის დედაბუდრიანად. ის დევების სახლი მასწონებია, წამოსულა და დედაც იქ გადუყვანია საცხოვრებლად. იქ დევების ცხენები მოსულა, ძალიან მსუქნები ყოფილან. რიგისა თივა მაჰდენია და რიგისა წყალი. უჭამიათ თივა და უსვიათ წყალი. იმ ცხენებიდან ერთი კარგი ცხენი აურჩევია იმ ბიჭსა და სანადიროდ დაუწყია სიარული.

შვილი რო სანადიროდ წასულა, დედას მარტოობა მოსწყენია და უჩივლია: რა ქნა იმ ჩემმა შვილმა, სად წამაიყვანა, ჩემთვინ არცად მეზობელი,

*) ხავიწი—ფქვ ლ მოკიდებული ერბო.

არცად ერთი სულიერი, რო ამაძრახოსო!—მე აგაძრახებო, ამაუძახნია იმ დევს ორმოდან. ამოსულა და შეუყვარებია ის დედაკაცი. დედაკაცი დაორსულებულა, შვილს ვერაფერი შეუტყვია. თურმე, როცა ვაჟი სანადიროდ წავიდოდა, დევი ამოდიოდა და დროსატარებდა იმის დედასთან; როცა ვაჟის მოსვლისა იქნებოდა, ჩაძვრებოდა ისევ ორმოში და ზედ ლასტს გადიფარებდა. ვაჟს ვერაფერი ვერ შეუტყვია. ბოლოს, როცა დრო მოსულა, დედაკაცს ვაჟი გასჩენია. დევისათვინ უთქვამ: რო ჩემმა შვილმა გაგვიგოს, ორთავ დაგვხოცს, რა ვქნათო? დევს უთქომ: წაიყვანე და, სადაც ისა ნადირობს, იქ გადააგდეო. წაუყვანია დედასაც და შვილის სანადიროში გადაუგდია. ვაჟს გამოუვლია, უნახია მტირალი ბავშვი, აუყვანია და მაუგვრია დედისათვინ.—დედავ, ეს ბალღი მოვხელე, და, ღვთის გულისათვინ, როგორც იყოს გავზარდოთო. ძუძუ წყლით მაინც დაისველე ხოლმე და ისე ჩაუდე პირშიო, დედა დაჰთანხმებია. რძე რას არ ექნებოდა, მაშინდა არ მაიშორა ის ბალღი ძუძუდამ და გადააგდო? აიყვანა დედამ ის ვაჟი და დაუწყო ზრდა. გაიზარდა ვაჟი და ძმა ექნა.

ერთხელ ბიჭი რო ნადირობიდამ მოვიდა, დედამა ჰკითხა: შვილო, ვერაფერი დაგაშინებსო? ისეთი არაფერია, რო შენ აგიწონოსო?—არაო, უპასუხა შვილმა. მამა ჩემის მშვილდს რო მოვზიდნებ, ბეჭედი და გულის ფიცარი მეტკინებაო.—აბა, შვილო, მაშ მოგიტან და მოსწიეო, უთხრა დედამ. მაუტანა, მასწია და ხელი მაჯიდამ გადასწყდა. გახარებულმა დედაკაცმა კოჰლს დევს ჩაჰძახა ორმოში, ამოდი ჩქარა, ჩვენი დრო ეხლა არისო. ამოხტა დევი და დაედევა ბიჭსა.

იბძვიან, მიწა გრიალებს. მიიტანს ის დედაკაცი, შვილს წყალს უსხამს ფეხებში, რომ ფეხი დაუსხლტეს, წაიქცეს, და დევმა მოკლასო, და დევს რკინის ლასტებს უფენს ფეხებში, დეგებ *) ჩემმა შვილმა მიწაში ვერ ჩაფლასო. მაგრამ ის ლასტებმა ველარ დაიჭირეს. მაიქნია ბიჭმა დევი და დაიყვანა მუხლებამდინ; მაიქნია მეორედ და დაიყვანა წელამდინ, მაიქნია მესამედ და დაიჯვანა კისრამდინ.—მოდი, ძმაო, ე ხმალი მაიტანე და მაჰჭერ ამ ძაღლს თავიო, დაუძახა ძმასა ბიჭმა. მოვიდა პატარა ბიჭიც, შემოჰკრა ხმალი დევს და კოფხროლია **) მააგდებინა. გადიბანა დევის სისხლით ხელები, და მაჯა ისევ გაუმთელდა. პატარა ძმას უთხრა: მაიტა, ძმაო, ახლა მე ვნახო ეგ შენი ხმალიო; გამაართვა, შამოჰკრა დედასაცა და მოკლა.

იმის შემდეგ დაიწყეს ერთად ტკბილი ცხოვრება.

ქირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა,

მთას ურემი ავიტანე,
წამოვიდა გორებითა,
აქ სიცოცხლით გამიძღლით,
საიქიოს ცხონებითა.

—

*) ეგები.
**) თავის კეფა.

ელასა, ბიჭო, მელასა,
ქიქა მეკიდა ყელსა,
მთქმელსა და გამგონებელსა
ღმერთი გვწყალობდეს ყველასა.

(სოფელ ჩარგალში ჩაწერილი, თეიმურაზ მთიბელაშვილის ნაუბარი)

# 15—უბედური ხემწიფის ზღაპარი.

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა,

იყო ერთი მგალობელი,
ღმერთი ჩვენი მწყალობელი,

იყო ერთი უბედური მაგრამ ძალიან მდიდარი და დიდებული ხემწიფე; უშვილობა ძალიან აწუხებდა, და ღმერთს მუდამ შვილსა სთხოვდა. ერთხელ ხემწიფე სანადიროდ იყო წასული, იმისი ცოლი შინ იყო. მოვიდა ერთი მთხოვარა, მოწყალება ითხოვა. ხემწიფის ცოლმა ერთი მქანის *) ოდენა ოქრო გადმოუგდო. მთხოვარამ დიდად დაუმადლა და უთხრა: ვიცი, ღმერთს რასაცა სთხოვთ. მე გასწავლით მაგ უბედურების წამალსაო. დილაზედ გარედამ ერთი ცვრიანი ფოთოლი შემოიტანე, მუცელზედ მიიდე და ისე დაჯექო, დილამდე ვაჟი გეყოლებაო. ხემწიფის ცოლმა ისე ქნა, როგორც მთხოვარამ დაარიგა. დილით ცვრიანი ფოთოლი მუცელზედ დაიდო. და ეყოლა ვაჟი შვილი.

ამ დროს ხემწიფე ზღვით გამეემართა საშინაოდ; ზღვაზედ ერთი დევი ამოდგა და დაიჭირა. ხემწიფე შეეხვეწა, გამიშვიო.—რას მომცემო, ჰკითხა დევმა, რო გაგიშვაო?—რასაცა მთხოვო, უთხრა ხემწიფემ.—მაშ შინ რო მიხვიდე, რაც პირველად გახარონ, ის მომეციო.—კარგიო, დაჰთანხმდა ხემწიფე, ისეთს რას მახარებენ, რო მისაცემი არ იყოსო! გაუშვა დევმა, და წამოვიდა ხემწიფე. ცოლმა რო ქმრის მოსვლა გაიგო, მაშინვე მახარობლები გაუგზავნა, ვაჟი გეყოლაო. ხემწიფემ რო ეს გაიგონა, შემოიკრა თავში და პირში, დაიწყო ტირილი და ერთი ამბავი. ვინც იქ იყო, ყველას გაუკვირდა, ეს ხემწიფე ხომ არ გაგიჟდა, რაატირებსო; სასიხარულო ეხლა აქვსო. აქამდის ღმერთს სულ შვილსა სთხოვდა, იმასა ტიროდა, რო არა ჰყვანდაო და ეხლა, როცა ღმერთმა მისცა, ტირისო! ბოლოს ხემწიფეს ჰკითხეს, რა გატირებსო. ხემწიფემ ყველაფერი უამბო, რაც გზაზედ შემთხვა. ამ ამბავმა ყველა დაალონა; მაგრამ რაღას უშველიდნენ. რაღა იქნებოდა!

ის ვაჟი დღეში თითო მთორახის ტარი იზრდებოდა. გავიდა ხანი, მოვიდა იმისი წაყვანის დროც. დევი უნდა მოსულიყო ვაჟმა, რასაკვირველია, გაიგო თავისი უბედურება, ადგა და ტირილით სხვისა ქვეყანაში გაიქცა. იმ ქვეყანაში ერთის ბებრის სახლში მივიდა.

*) მქანი—ორი ხელი ერთად.

— შვილო, რა გატირებსო? ჰკითხა ბებერმა.

— რა არ მატირებს, მამა ჩემი დევს მაძლევსო.

— რათაო, ჰკითხა ბებერმა. ვაჟმა ყველაფერი დაწვრილებით უამბო.

— ნუ გეშინიან, შვილო, უთხრა ბებერმა; მე გასწავლი წამალს, თავი როგორც უნდა მოირჩინოვო. ამა და ამ ადგილას ერთი კოშკი რო სდგას, იმ კოშკში იმ დევის ქალები სხედანო. ღამე კოშკში წვანან, დღე ტრედად იქცევიან და ცაში ფრინავენო. სამნი არიან ის ქალები, უმცროსი ნათრაცხადა არისო. როცა ისენი გაფრინდნენ, შენ კოშკში შეიპარე და იმ უმცროსს ქალს ტანისამოსი დაუმალეო და თვითონაც იქ დაუდევიო. სალამოზედ დები დაბრუნდებიან ციდგან, შენ ის უმცროსი ქალი შამოგეხვეწება, მამეც ტანისამოსიო, შამოგაძლევს ზოგ რას და ზოგ რას. შენ არ მისცე, სანამ ცოლობაზედ არ დაგთანხმდესო. შენ უთხარ, შენ—ცოლი და მე—ქმარი, და მერე მოგცემო, და ისიც დაგთანხმდებაო. იმ ღამეს იმ ქალთან დაწევ და შენი თავგადასავალი შესჩივლეო. მერე იმან იცის, როგორც დაგარიგებსო.

წავიდა ბიჭი და დაიმალა კოშკთან; როცა ქალები გაფრინდნენ, შეიპარა კოშკში, დამალა უმცროსი ქალის ტანისამოსი და თვითონაც იქ დაიმალა.

როცა მოვიდნენ სალამოზედ, სხვა დებმა ტანისამოსი ჩაიცვეს, და უმცროსი ისე დარჩა.—რა სულიერი ხარო, დაუძახა ქალმა, რა გინდა ჩვენგან, ეგ ტანისამოსი მამეციო. ვაჟმა არ მისცა. ქალმა კიდევ დაუძახა: შენ—ძმა და მე—და, მამეც ეგ ტანისამოსიო.—არა, უპასუხა ვაჟმა, შენ—ცოლი და მე—ქმარიო. ქალი დაჰთანხმდა.

იმ ღამეს ბიჭი იქ დარჩა ქალთან. ყველა თავის თავგადასავალი უამბო. ქალმა უთხრა: შენ წადი, მიდი მამა ჩემთან და ასე უთხარ: ოღონდ კი ნუ შემჭამ და, რაც გინდა, იმას აგისრულებო. მერე რაც გითხრას, ყველაფერი კარგად დაისწავლე და მე მამიტანე ამბავიო. ბიჭი წავიდა და დევთან მივიდა.—ოღონდ ნუ შემჭამო, უთხრა, და, რაც გინდა, აგისრულებო. დევმა უთხრა: აბა მაშ ამაღამ ამ ზღვაზედ ისეთი ოქროს ხიდი ააშენე, რომ ჯერ ხიდი იყოს, ზევით ბანი, იმას ზევით ხიდი და კიდევ ზევით ბანიო.—კარგიო, უთხრა ბიჭმა და წამოვიდა ქალთან. ყველაფერი კარგათ უთხრა. ადგა ქალი ღამეს, წაიღო ერთი ოქრო, დადგა ზღვის პირზედ და ინატრა:

შენ გენაცვა, მზეთა მზეო,
უკეთესო ოქროზედა,
ზღვაზედ დადგი ოქროს ხიდი,
ბანი დაჰხედავდეს ზედა!

ქალმა როგორც ინატრა, სწორეთ ისეც აუსრულდა. ზღვაზედ ბანით ბანიანი ოქროს ხიდი გადიჭიმა. მეორეს დილით ბიჭი მივიდა დევთან და უთხრა, გავაკეთე, თუ არაო. გადმოიხედა დევმა და ძალიან მოეწონა. ბიჭი შეიპატიჟა და ბანგი შეაპარა. წამოვიდა ბიჭი და, ქალთან რო მიდიოდა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯაგებში წაიქცა. ქალმა იფიქრა, უთუოდ მამაჩემი ბანგს დაალევინებდაო, მეეწევა და მძინარას შესჭამსო. ინატრა ისევ ქალმა:

გენაცვალე, მზეთა მზეო,
უმჯობესო ოქროზედა,
ის ბიჭი მერცხლად მიქციე,
მაიყვანე ჩემს კარზედა.

მართლაც აუსრულდა ნატვრა. იმ დევს თურმე გულთმისანი ცოლი ჰყვანდა. იმან უთხრა დევსა, რომ შენი ქალი ჰყავ იმ ვაჟს ცოლად და ისა ჰშველისო. გაიგო თუ არა დევმა ეს ამბავი, მაშინვე კბილების ლესით გაიქცა იმათ შესაჭმელად, მაგრამ იმათაც მოუსვეს და გაიქცნენ. ინატრა ქალმა: ვაჟი ვენახადამც იქცევა და მე იმის ყარაულადაო, თოფი მეჭიროს ხელში და გარს უვლიდეო. იქცა ვაჟი მსხმოიარე ვენახად და ქალი იმის ყარაულად. მოვიდა მდევი და ჰკითხა: მამაშვილობას აქ მგზავრი ხომ არავინ გინახიაო?—არაო, უთხრა ქალმა.—ერთი მტევანი მაინც მამახლეჩინეო.—ვერც ერთს მტევანს მოგახლეჩინებო, უთხრა ქალმა. დევი გამობრუნდა და მოვიდა ცოლთან. ცოლმა უთხრა: ის ვენახი ის ბიჭი იყო და ის ყარაული—შენი ქალი, რატო ხელი არ ჩაჰკიდეო.

დევი უფრო გაბოროტებული წამოვიდა იმათ საძებნელად. იქცა ვაჟი ეკლესიად და ქალი მღვდლად. დგას ეკლესია, და შიგ მღვდელი ხუცობს. გამოივლის დევი.—მგზავრები ხომ არავინ გინახიაო?—მე რა ვიციო, უთხრა მღვდელმა, მე მგზავრებისა რა ვიციო? დევი ისევ უკან დაბრუნდა. ცოლმა უთხრა: ის საყდარი ბიჭი იყო და ის მღვდელი—შენი ქალიო.

დევმა უთხრა: აბა ახლა შენ წადიო. ახლა დევის ცოლი წამოვიდა. ქალმა ინატრა: ჩვენს გარს ზღვა გაჩნდესო, ჩვენ შუაზედ ვიყვნეთ, მშრალი ადგილი იყვესო. წელთ ჩემს ქმარს ხმალი შამაარტყიო. მართლა ისე იქნა. შამაერტყა გარს ზღვა, მოვიდა დევის ცოლი, დაეწაფა და შასვა ზღვა. მიეწვადა ახლა იმათ ჩასაყლაპავად. შემოჰკრა ბიჭმა ხმალი და მაჰჭრა თავი. მერე დევიც მოიშორა და დაიწყო თავის ცოლით ტკბილი ცხოვრება.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

(ს. ჩარგალში გაგონილი, პაპა მარტიაშვილის ნაუბარი)

## 16.— ხემწიფის გიჟი შვილი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა,
იყო შაშვი მგალობელი,
ღმერთი ჩვენი მწყალობელი,

იყო ერთი დიდებული ხემწიფე. ხემწიფეს ორი ვაჟი შვილი ჰყვანდა. ერთს ვაჟს გიჟს ეძახდნენ, გიჟიც ეგონათ და არც არაფერს ყურს უგდებ-

დნენ, მეორეს კი ჰკვიანს ეძახდნენ და ტახტის მემკვიდრედაც იმას ამზადებდნენ. ჩააცმევდნენ გიჟს ხემწიფის შვილს დილით მშვენივრად, მოჰრთავდნენ ვერცხლითა და ოქროთი, მიეფარებოდა მერე სადღაც და საღამომდის აღარ გამოჩნდებოდა. საღამოზედ დაბრუნდებოდა ჩამოხეული და ჩამოწეწილი, სამგლის კონკებით, თითქო გლახა არისო. მეორეს დღეს ისევ ახალი უნდა ჩაეცმიათ ხემწიფის შვილისათვის; თუმცა არ მოსწონდა არც ხემწიფეს შვილის საქციელი, მაგრამ რას იზამდენ, ხემწიფის შვილი იყო, და ტიტველს ხომ ვერ ავლევდენ!

ხემწიფეს ერთი ვეზირი ჰყვანდა, ბრძენი და მეცნიერი, ერთგული ხემწიფისა, რომ სიერთგულეში სწორი არა ჰყვანდა, მთელი თავისი სიცოცხლე ხემწიფის სამსახურში გაეტარა, ხემწიფეც პატივსა ჰცემდა და აფასებდა იმის ერთგულებას. ვეზირიც ჰხედავდა, რომ ხემწიფის შვილი დილით ატლასიონს ჩაიცვამს, წავა და საღამოზედ ბანბაზიონითაც აღარ მოვა. ერთხელა სთქვა: მოდი, გავყვები ამ გიჟს ისე, რო ვერ გაიგოს; ვნახავ, ან ტანისამოსს რითა ჰხევს, ან მთელს დღეს რას აკეთებს, სად ატარებსო. ერთხელ, როდესაც ხემწიფის შვილი, მორთული მშვენივრად, სასახლიდან გავიდა და გაჰწია მინდვრისაკენ, ვეზირიც თან გაჰყვა. მიდის ხემწიფის შვილი, და მიჰყვება შეუმჩნევლად უკან ვეზირიცა.

გაიარა ხემწიფის შვილმა მინდორი, გადავიდა შარა გზაზედ და გზა გასაყარში დადგა. აიყოლებს და ჩააყოლებს თვალს გამვლელ-გამომვლელს, ხმას არავის არა ჰცემს. ბოლოს ერთი საბრალო, ჩამოხეულ-ჩამოფეთილი გლახა ჩამოივლის. ტანზედ არაფერი არ აცრია ძონძების მეტი, ერთი საბრალო და ღვთის ცოდვილი. გადუდგება წინ ხემწიფის შვილი და შეაყენებს გლახას: გაიხადე ეხლავე, რაც გაცვია, და მომეც მეო, უბრძანებს გლახას. გლახა გაჰკვირდება: რა მაცვია, რად უნდა, რისთვის გავიხადოვო. როგორც იქნება გაახდევინებს გლახას ტანისამოსს ხემწიფის შვილი, იმას თვითონ ჩაიცვამს და თავის ტანისამოსს იმას მიჰკემს, მერე გაუშვებს გლახას და ეტყვის: ეხლა წადიო!

გლახა გაჰცდა, და ხემწიფის შვილმაც გულ-დასვენებით გაჰწია წინ, იარა, იარა და ერთს რიყეზედ მოვიდა და დაჯდა ლამზედ. მოჰყვა ვეზირიც. აიღებს ხემწიფის შვილი ჩანახს, აავსებს ლამით და დააგროვებს ერთკან. ეს იმას, ვინც ძმას გაეყაროს და ცოლს შაეყაროსო! აავსებს მეორედ ჩანახს და დააგროვებს: ეს იმას, ვინც ცოლს გულის სიტყვა უთხრასო! დააგროვებს მესამედ და იტყვის: ეს იმას, ვინც ბატონს უერთგულოსო! ამას რო მორჩება, ადგება და გამოჰწევს სახლისაკენ.

ვეზირს გულში ჩაეჭრა ხემწიფის შვილის სიტყვები. იფიქრა, თუ ყველა ეს არა ვცადე, არ იქნებაო. მეორეს დღესვე ძმას რაღაც შარი მოუდო, მოუვიდათ ჩხუბი. შეუჩნდა ძმობილი ვეზირს, გაეყარე ძმას, მე შემეყარეო. გაეყარა ვეზირიც ძმას და ძმობილს შაეყარა. სანამ ვეზირი ფულს აძლევდა და აჭმევდა, მეგობარსაც ძალიან მოჰწონდა და უყვარდა, მაგრამ როდესაც ვეზირმა ქისას მოუჭირა, ძმობილიც ჩამოვიდა სხვა ბაქანზე; ცოტა ხანს ითმინა მეგობარმა, ბოლოს ჰკრა ქიტლაყი და გამოუძახა. აუსრულდა ხემ-

წიფის შვილის სიტყვა ვეზირსა. მერე მეორე და მესამის სიტყვის გამოცდა მოინდომა.

ხემწიფეს ერთი მშველი ჰყვანდა, საშინლად უყვარდა. თავისთან აჭმევდა, ასმევდა და აძინებდა; სულ იმის ალერსში და სიყვარულობაში იყო. ვეზირმა იმის მოპარვა განიზრახა და აასრულა კიდეც; წამოიყვანა მშველი და დამალა; თხა დაკლა და ცოლს უთხრა: ეს ხემწიფის მშველია, მე მოვიპარე, დავკალ და ვჭამოთო. ჭამეს თხის ხორცი, რა იკის ცოლმა, თუ მშველისა არ არის. მშვლის მოპარვამ ხემწიფე ძალიან გააბრაზა; გაჰცა საშინელი ბრძანება, რომ აუცილებლად უნდა ეპოვნათ იმისი მომპარავი. საქმე გამოძიებაში ჩავარდა. ერთს დღეს ვეზირმა ცოლი ლაზათიანად მიბეგვა. გაიქცა ცოლი და მაშინვე ხემწიფეს მოახსენა, რომ შენი მშველი, ღმერთმანი, ჩემმა ქმარმა მოიპარა, დავკალით და შევჭამეთო. დაიჭირეს ვეზირი მაშინვე და წაიყვანეს სახრჩობელაზედ. რო უნდა დაახრჩონ, ვეზირმა სთხოვა ხემწიფეს: ერთი სიტყვა მათქმევინეთო. დააცალეს.

— ის მშველი ცოცხალია, არ დაგვიკლავს, ესე, ესე გამოცდა მინდოდა ცოლისათ და იმით მოვიპარეო. მოიყვანეს მშველი, და გადარჩა სახრჩობელას ვეზირი, მაგრამ გაიგო კი ვეზირმა, რაც უნდოდა; დარწმუნდა, რომ ბატონის ერთგულება მართლა არა ღირებულა არაფრადაო, ხემწიფემ ერთი მშვლის გულისთვის სახრჩობელაზე წამიყვანა ერთგული ვეზირიო, და... ცოლმა კი პირველს წყენაზედვე გამცაო. მაშინ მიხვდა ვეზირი, ვინც გიჟი იყო და ვინც ჭკვიანი.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

# 17 მელიას ეშმაკობა

მელიამ ნაფეტვარზე გაიარა, ნახა, რომ ბევრი თავთავი ეყარა ტყუილად. იფიქრა, ამ თავთავებით ბევრს ზიანს ვიზამო. დაჯდა და დაიწყო თავთავების კრეფა. აკრიფა ერთი კონა, ამოიდო იღლიის ძირში და გაუდგა გზას.

გზაზედ დაუღამდა. მივიდა ერთი სახლის კარებზედ და შესძახა: არ დამაყენებთო?—დაგაყენებთო, დაუძახეს. მელიამ მიაბარა თავთავების კონა და უთხრა, რომ საქათმეში შეიტანეთო. მელიას თავთავები შეიტანეს საქათმეში და დასდეს ისე, რო ქათმებს არ გამოეჩიჩრა. შუაღამის დროს, როდესაც ყველას ეძინა, ადგა მელია, აიღო თავთავები და ერთს დიდ წითელ მამალს დაუდო ცხვირის წინ. მეორე დღეს მოჰთხოვა მასპინძელს ანაბარები. შევიდა მასპინძელი და მელიას გამოკენკილი თავთავები-კი გამოუტანეს. მელიამ ტირილი დაიწყო: მაგის მეტი არაფერი მებადა და ეგეც თქვენმა მამალმა შემიჭამაო. მასპინძელმა ჰკითხა, რა გიყოთ ეხლა, მელიავ, რაღა ეშველება შენს თავთავებსაო?—ან უნდა მომიტანოთ ჩემი თავთავები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა და—ის მამალი უნდა მომცეთო. რას იზამდა მასპინძელი? აიღო და მისცა მამალი. აიყვანა მელიამ და გასწია თავის გზაზედ.

ბევრი იარა, ცოტა, დაუღამდა. გზაზედ ერთს მემცხვარესთან დადგა, მიაბარა მამალი და უთხრა, რომ ეგ მამალი არ მომიკლათ, თორემ ცხვარს წაგართმევთო.—კარგიო, უთხრეს მელიას. ღამე ადგა მელია, აიყვანა მამალი და ჩამოაცო რქებზედ ერთს ერკემალს. მეორე დღეს მელიამ მამალი მოითხოვა: უნდა წავიდეო. შევიდენ, ნახეს, და მამალი ერკემალს-კი ჰყავს ჩამოცმული რქებზედ. მელიამ ისევ ტირილი დაიწყო განგებ, ეგ ერთი მამალი მყვანდა, ღამე ეგ მაღვიძებდა და ეხლა-კი დავრჩი ცარიელიო. მისცეს მელიას ერკემალი და გაისტუმრეს.

გახარებულმა მელიამ გასწია თავის გზაზედ. მოდის მელია, მოიმღერის:

ფეტვი გავყიდე მამლადა,
მამალი ერკემლადა.

დაუღამდა მელიას. დადგა ერთს გლეხთან, ერკემალი მიაბარა და უთხრა: არამც ეგ ერკემალი ხარებს არ მომიკვლევინოთ, თორე დამღუპავთ, და იმ ერკემლის მომკვლელ ხარს წაგართმევთო. ერკემალი შეიყვანეს და დააბეს ხარებთან ცალკე. ღამე ადგა მელია, აიღო ერკემალი და ჩამოაცო რქებზედ ერთს დიდ ხარს. მეორეს დღეს გამოართვა მასპინძელს ერკემლის მომკვლელი ხარი, გაიგდო წინ სიხარულით.

გზაზე დაუღამდა, მაგრამ სახლში არავინ შეუშვა. ბოლოს ერთ ქვრივთან მივიდა და სთხოვა: ხარი მყავ, მეშინიან, მგელმა არ შემიჭამოს, ბოსელში დამაბმევინეთ, მე კი კარებზედაც დავწვები და ვუყარაულებ ჩემს ხარსაო. ღამე ადგა მელია, გამოჰჭრა ხარს ყელი და ბებრის უმცროს ქალს ჩაუდო ჯიბეში. მეორე დღეს მოითხოვა ხარი, უნდა წავიდეო. ნახეს, ხარი მკვდარია. შესწუხდა სახლის პატრონი, შესწუხდა ვითომ თვითონ მელიაც. მელიამ უთხრა: ვინც ის ხარი დაკლა, ის უნდა წავიყვანოვო. დებმა უარი სთქვეს, ჩვენ არ დაგვიკლავსო.—მაშ ვისაც სისხლიანი დანა ჰქონდეს, ის არის დამკვლელიო. გაუშინჯეს ჯიბეები და სისხლიანი დანა უმცროს დას კი უნახეს. წამოიყვანა ქალი მელიამ. ჩაისვა გუდაში, მაიკიდა ზურგზედ, მოდის და იმღერის:

ფეტვი გავყიდე მამლადა,
მამალი ერკემლადა,
ერკემალი ხარადა,
ხარი ლამაზ ქალადა.

გზაზედ მომხნავებს შეჰხვდა. მომხნავებმა დაუძახეს: დაისვენე, მელიავ, პური ჭამეო. დაისვენა მელიამ. მისცეს ერთი ცხრილი და უთხრეს: წადი, სანამ ჩვენ სამხარს მოვამზადებთ, წყალი ამოგვიტანეო. წავიდა მელია, ამსებს წყალს, მაგრამ ცხრილი რას დაიჭერდა. ეძახის მელია მომხნავებს: გასდის, გასდის!—კურკლე და გლისე, მელიავ, კურკლე და გლისეო! ეძახიან მომხნავები. დაკურკლა მართლა მელიამ და წაუსვა ცხრილს, მაგრამ კურკლი რას დაიჭერდა წყალს! სანამ მელია წყალზე იყო, მომხნავებმა მოხსნეს გუდას პირი, ამოიყვანეს ქალი და იმის მაგიერ ერთი ძაღლი ჩაუსვეს, ჩაუ-

დეს პური, რო ჩუმად ყოფილიყო, და მოუკრეს ისევ პირი. მელია მოვიდა მომხნავებთან და უთხრა: ახლა კი წავალ, გამიშვითო. მომხნავებმა გაისტუმრეს მელია თავის გუდით.

მიდის მელია და მიიმღერის ისევ წინანდებურად. გაათავა ძაღლმაც პური გუდაში და დაუწყო ფხაკუნი ხმელს გუდას. მელიას ჰგონია, ქალიაო, და ეუბნება: რა არი, ქალო, რა გაწუხებს: თუ გწყურიან, დალიე, ამოგიყვან; თუ გეფსმიან, მოფსი; თუ გშიან, ჰამე და თუ გეკუს.................. მაინც არაფერი შეისმინა მელიისა ქალმა, ისევ აფხაკუნებდა ფჩროკს გუდას. ბოლოს მოვიდა მელია თავის სოროში, მოჰხსნა პირი გუდას. ამოფრინდა გუდიდგან ძაღლი, გაიგდო მელია და გააძრო ქურქი.

ჰირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

## 18 ლეგენდა მიქელ-გაბრიელზედ

ღმერთმა უბძანა მიქელ-გაბრიელს, გადაეშვი დედამიწაზედ, იქ ამა და ამ სახლში რომ დედაა, სული ამოხადე და ამომიტანეო. მიქელ-გაბრიელი, მონა უფლის ბძანებისა, გადმოეშვა ქვეყანაზედ. ბევრი ტანტალის შემდეგ იპოვა თავისი მსხვერპლი. ერთ ქოხში წევს მშობიარე დედა. ღარიბი, საცოდავი, ტიტველ-შიშველი. ტყუპი შვილი ჰყოლია, ერთი ერთ ძუძუზედ აბია, მეორე მეორე ძუძუზედ. ცეცხლი იმათ არ უჩანთ და სასმელ-საჭმელი. საბნის მაგივრად რაღაც ძონძები წაუფარებია მუხლებზედ. თვითონაც მშიერი და ავადმყოფი, ბალღებიც ურძეობით კატის კნუტებივითა კნავიან. არ უჩანთ არც პატრონი, არც ყურის მგდებელი, ეტყობა არავინა ჰყავს გულშემატკივარი.

მოვიდა სულთამხუთავი მიქელ-გაბრიელი, დახედა, კი არ შეეცოდა, შეეზარა ამათი საცოდაობა. თვალებზედ ხელი დაიფარა, რომ არ დაენახა იმათი საცოდაობა. გამობრუნდა, საჩქაროდ ლასტის კარი გამოიხურა, რომ აღარ დაენახა ის საზარელი სურათი. მოდიოდა და უკან აღარ იხედებოდა, კიდევ არ დავინახო ის ტიტველი ბავშვები, ჭიაყელებივით რომ სიცივისგან იკლაკნებოდნენ.

— მომიტანე იმისი სულიო? ჰკითხა უფალმა

— დიდებულო ღმერთო, ცისა და ქვეყნის გამჩენო, ისეთი საცოდაობა ვნახე, ისეთი გაჭირვება, სიშიშილ-სიტიტვლე, ისეთი უსუსური ქოროფა ჩვილები რჩებოდნენ უდედოდ, რომ ისევ შენი გარისხება ვარჩიე იმათ უდედოდ გაშვებას. იმათი პატრონი იმ ავადმყოფი დედის მეტი ქვეყანაზედ არავინ არ არის. ვის ამარას უნდა გამეშო ის უმანკო არსებანი? თუ დედამ დააშავა რამე, ის ქოროფები ხომ ჯერ ისევ ანგელოზებია. ვერ მივილე ხელი, დედას შვილების გულისთვის სიცოცხლე ვაჩუქე.

გარისხდა უფალი. — შე უკეთურო, როგორ გაბედე, რომ ჩემი ბრძანება არ შეასრულე? შენ უკეთ იცი ქვეყნის საქმე, რა ვქნა და რა არა ვქნა, თუ

ეროვნული

მე? შენ მისწვდები ჩემ მიუწდომელ განგებათა? ჰქუხდა მრისხანე მორიგე ქვეყნისა.

მისცა ჯოხი ღმერთმა მიქელ-გაბრიელს და უბძანა: გადაეშვი ისევ ქვეყანაზედ, დაჰკარ შავ ზღვას ეს კვერთხი, ზღვა გაიხსნება, ზღვაში ერთი კლდე გამოჩნდება, იმ კლდეს კიდევ დაჰკა ეს კვერთხი, გაიპობა კლდეც და რაც იქ ნახო, მოდი და მომახსენეო!

გამოართვა მიქელ-გაბრიელმა ჯოხი და გადმოეშვა ქვეყანაზედ. დაჰკრა კვერთხი ზღვას, განიპო ზღვა და გამოჩნდა შუა ზღვაში ერთი კლდე. დაჰკრა კლდესაც კვერთხი და კლდეც გასქდა.

სინჯავს მიქელ-გაბრიელი, უნდა ნახოს რამე საკვირველი, მაგრამ იქ ჭიანჭველების მეტი სხვა ვერა ნახა რა. მხოლოდ შავი ჭიანჭველები დადიან, დაფუსფუსებენ.

წამოვიდა უფალთან მიქელ-გაბრიელი.

— აასრულე ჩემი ბძანება, თუ არაო? ჰკითხა უფალმა მიქელ-გაბრიელსა.

— დიახ, შევასრულე, უფალო!

— მერე, რა ნახე კლდეში?

— არაფერი, უფალო! მხოლოდ შავი ჭიანჭველები დაფუსფუსებდნენ.

— აბა სწორეთ ის ჭიანჭველები უნდა გენახა, შე უკეთურო, უბძანა უფალმა, თუ მამა ზეციერი შუაზღვაში შავი კლდის გულში შავ ჭიანჭველებს ვინახავ და საზრდოს ვაძლევ, იმ დედაკაცის შვილებს კი ვეღარ შევინახავდიო?! წადი და ეხლავე იმ ქალის სული აქ ამომიტანეო.

წამოვიდა მიქელ-გაბრიელი, ახლა-კი დარწმუნდა, რომ ცუდად მოიქცა და სული არ ამოხადა საბრალო დედასა. მოვიდა ქოხში. დედა ცოტა კარგად გამხდარა, წამომჯდარა ლოგინში, ორივე ქორფა კალთაში უსხედს, შეჰფოფინებენ და შეღუღუნებენ დედასა. იდგა, უცქირა სულთამხუთავმა ამ სურათს, გამობრუნდა და წამოვიდა. წავიდა და წავიდა. ელოდა მორიგე ქვეყნისა მიქელ-გაბრიელს, ელოდა და გული გადაელია. არა ჩანდა მიქელ-გაბრიელი.

გაგზანა წმინდა ელია, წადი იპოვნე, რა იქნა, სად წავიდა მიქელ-გაბრიელიო? გადმოვიდა ქვეყნად ელია, ეძება, ეძება და იპოვა.

— სადა ხარ, რომ უფალი ამდენს ხანს გელისო?

— არა, მე აღარ შემიძლიან ამდენ უსამართლობას ვუცქიროვო, უთხრა მიქელ-გაბრიელმა, მე იქ ვეღარ წამოვალო.

როგორც იყო დაიყოლია ელიამ მიქელ-გაბრიელი და წაიყვანა უფალთან.

— რა უყავ იმ დედის სული, მომიტანე თუ არაო? ჰკითხა უფალმა.

— არა, ცისა და ქვეყნის გამჩენო, მე რომ ის პაწაწეები დედის ალერსში ვნახე, სულის ამოხდაზედ როგორღა ვიფიქრებდიო?! ის დედაა იმათთვის ქვეყნიერი მამაც და ზეციერიც. შენ იმათ დედობას ვერ გაუწევდი, შენ შორსა ხარ საწყალ ხალხზედა, იმათ გაჭირვებას მამობას ვერ გაუწევ.

— წაიყვანეთ და გული ამოაგლიჯეთო! ბძანა უფალმა.

წაიყვანეს მიქელ-გაბრიელი, გაუპეს მკერდი და გულ-ღვიძლი ამოაცა-

ლეს. მას შემდეგ აღარავის იცოდებს და ერთნაირ მუსრს ავლებს საწყალსა და გაჭირვებულს, პატრონიანს და უპატრონოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# 19—წიქარა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ცოლ-ქმარი; ჰყავდათ ერთი ვაჟი. კაცი მალე დაქვრივდა; ვაჟიც დაობლდა, დარჩა პატარა. სახლისა და შვილის მოსავლელად ვაჟის მამამ მეორე ცოლი შეირთო. ვაჟი დედინაცვლის ხელში ჩავარდა. უდიერი დედინაცვალი ჰყავდა. მუდამ სცემდა პატარა ვაჟს და აყენებდა ცეცხლის კალოში. დედინაცვალს მეგობარი ჰყავდა, ქმარმა-კი არ იცოდა; ვაჟმა იცოდა და დედინაცვალსაც გულით იმიტომ უნდოდა ვაჟის მოშორება.

კაცს ერთი ხარი ჰყავდა—წიქარა. ვაჟსა და წიქარას ერთმანერთი საშინლად უყვარდათ. მუდამ დადიოდა წიქარასთან, აძოებდა იმასაც და თვითონაც ერთობოდა.

დედინაცვალი-კი დროს ელოდა, რომ ვაჟი თავიდამ როგორმე მოეშორებინა. ერთხელ მოიავადა თავი და დაიწყო ტყუილად კვნესა და გმინვა. ქმარმა ჰკითხა: რა გიშველისო? ცოლმა უთხრა: შენის შვილის გულ-ღვიძლის მეტი ვერაფერი მიშველისო! მამა ცოტა შეწუხდა ამ სიტყვის გაგონებაზე, მაგრამ რო მეტი ღონეც არა ჰქონდა, ირჩია ცოლი შვილსა და დაკვლა დაუპირა.

მეორე დილაზედ ვაჟი ჰხედავს, რომ მამა დანებსა ჰლესავს.—რად გინდა, მამავ, ეგ დანა, რო ლესავ, ჰკითხა ვაჟმა.—წაიყვანე, შვილო, ეტყვის მამა ვაჟს, წიქარის წყალი დაალევინე, უნდა დავკლათო.

წაიყვანა ვაჟმა წიქარა წყალზედ, ასმევს წყალს და ტირის, ტირის, რომ იმის ცრემლები წყალთ ეწევიან.—რა გატირებს, ჩემო მეგობარო! ჰკითხავს წიქარა: რაზედ ითხრი თვალებს, შემოგევლოს შენი წიქარა თავს!—დაკვლას გიპირებენ, დაკვლას! ეტყვის ვაჟი. დაღონებული წიქარა ამოიდგამს ენას და ეტყვის ვაჟს: მე-კი არა მკვლენ, შენ გიპირებენ ყელის გამოჭრასო. წადი, წამოიღე ერთი სალესავი, ერთი სავარცხელი და ერთიც ბოთლი წყალი, შემჯექ და წავიდეთო.

წავა ვაჟი, მოიტანს ყველაფერს, რაც წიქარამ უთხრა, და მოვა. შეჯდება ვაჟი წიქარაზედ და გაქუსლავს. გაიგო ვაჟის მამამ შვილის წასვლა, შეჯდა ერთს წყეულს ლორზედ და გამოუდგა. მირბის წიქარა, მიარბენს პატარა მეგობარს, მისდევს მამაც ლორზე მჯდომი დალესილი დანებით; მისდევს და ის არის უნდა დაეწიოს.

წიქარამ უთხრა ვაჟს: რაღას ელი, მეგობარო, სიკვდილი თვალწინ გვიდგა, გადაღვარე წყლიანი მინაო. გადააქცევს წყალს ვაჟი, გაჩნდება საშინელი ზღვა. ჰღელავს შავად ზღვა, გაბრაზებულია, ტალღები სიკვდილს უქადიან ყველას, მაგრამ ლორი არ უდრკება ზვირთების ცემას და მისცურავს.

სანამ ლორი ზღვას გადაცურდება, წიქარა და იმისი მეგობარი კარგა გზას გაივლიან. ბოლოს გამოვა ლორიც. წიქარა ეტყვის ვაჟს: თავი მიიბრუნე, აბა მოდის თუ არაო? მიიბრუნებს ვაჟი თავს; შორს ბუზივით რაღაც მორბის და მოფრინავს. წიქარას ეტყვის: ბუზის ტოლად კი სჩანს რაღაცაო! — ეგ ლორია, და ზედ მამაშენი ზისო, ეტყვის წიქარა და გაეშურება: წავიდეთ, მეგობარო, გავექცნეთ უსამართლობას, რომლისაც იმის წინააღმდეგი ფარი არა გვაქვს!

მირბის წიქარა და მიაქროლებს პატარა ვაჟს; მორბის ლორი და მოაგელებს ვაჟის მამა დააფთრებულს დინებს... ცოტა კიდევ და ლორი დაეწევა წიქარას!! — გადააგდე სავარცხელიო! შესძახა ვაჟს წიქარამ. გადააგდო ვაჟმა სავარცხელი. უცებ ისეთი წვრილი და ხშირი ტყე აიყარა, რომ შიგ თაგვი კუდს ვერ მოიბრუნებდა. სჭრა კბილით ლორმა, სჭრა და გავიდა. წიქარა და ვაჟი კი მირბიან.

კარგა გზა აქვთ გავლილი. მოიხედავს ვაჟი, შორს ბუზივით რაღაც მოჩანს. — ლორი მოგვდევსო! ეტყვის წიქარა... ცოტა კიდევ, ცოტა კიდევ და ლორი წიქარას დაეწევა, მაგრამ გადააგდებს ვაჟი სალესავს და აიმართება საშინელი თვალ-აუწვდენელი კლდე წიქარასა და ლორის შუა. სჭრის ლორი, სჭრის, რაც ძალი და ღონე აქვს, აკეთებს კლდეში საკიბურებს და ადის ზევით. შუა ადგილში რო მივიდა ლორი, ჩააჭრა კლდის ფხას ფეხი და თავის მხედრით უფსკრულში კი ჩაინთქა... წაილო ჩემიცა და თქვენი ჭირიც. ვაჟსა და წიქარას ხსნის იმედი მოეცათ...

იარეს და გავიდნენ სამშვიდობოს. წიქარამ გაიყვანა ვაჟი ერთს ტრიალს მინდორზედ, იქ ერთი ალვის ხე იდგა, რომ იმის წვერი ცასა ჰხევდა. შესვა ზედ, მისცა ორი სალამური, ერთი საჭირო, ერთი სალხინო და უთხრა: მე წავალ, მარტოკა ვივლი მინდვრებზედ, ვძოვ, დავირჩენ თავსა, შენ აქ იჯექ: გაგიჭირდეს, დაუკარ საჭირო სალამური და მე მაშინვე აქ დავიბადები; გილხინდეს, დაუკარ სალხინო სალამური, საჭმელსაც ის მოგიტანს და სასმელსაცაო. გამოეთხოვა და წავიდა წიქარა.

ვაჟი იჯდა ალვის ხეზედ და უკრავდა სალხინო სალამურს... გაიგონა ერთმა მეცხვარემ სალამურის ხმა, საშინლად მოეწონა და გადაჰწყვიტა იმისი შოვნა. მიჰყვა სალამურის ხმას, მივიდა ალვის ხესთან და ნახა, რომ ბიჭი სალხინო სალამურს უკრავს, ჰეჰელები კი მოგროვილან იმასთან და სალამურის ხმაზედ თამაშობენ და ირევიან ერთმანეთში. მეცხვარეს შურით თვალები გადმოუბრუნდა; ვაჟს დაუძახა: ჩამოდი ძირს, სალამური მაჩვენე, რისაა გაკეთებულიო. მაგრამ ვაჟი არ ჩავიდა: წიქარასგან ჰქონდა ნათქვამი, რომ ალვის ხიდან არ ჩამოხვიდეო. ვაჟმა არ გაუგონა მეცხვარეს და არ ჩავიდა...

ადგება შურიანი მეცხვარე და წავა ხემწიფესთან. ხემწიფეს მოახსენა: ამა და ამ ადგილას ერთი ვაჟი ზის ალვის ხეზედ და ისე უკრავს სალამურს, რომ იმის დაკვრით მთელი ქვეყანა ხარობსო. ხემწიფემ მაშინვე დაიბარა თავის ნაზირ-ვეზირი და უთხრა, რომ ან თქვენ უნდა მოიყვანოთ ის ვაჟი და ან უნდა კაცი იშოვოთ იმის მომყვანიო.

ნაზირ-ვეზირმა ხემწიფესთან ერთი ბებერი მიიყვანეს. ბებერმა უთხრა, მე მოვიყვან იმ ვაჟსაო. ადგება ბებერი, წაიყვანს ერთს თხას, ერთს სადგისს წაიღებს და მივა ალვის ხის ძირში. ვაჟი ზის ალვის ხეზედ და უკრავს სალხინო სალამურს. ბებერი ალვის ხის ძირში დგა, ჰჩხვლეტამს სადგისით თხას და აჩხავლებს. ვაჟი დაინახავს. რომ ბებერი თხას აჩხავლებს და დაუძახებს: რასა ჰშვრები, დედილო, რად აჩხავლებ მაგ თხასაო?—დაკვლა მინდა და ვერ დამიკვლიაო. იმდენი სიკეთე მიყავ, ჩამოდი, დამიკალიო.

ვაჟი რას მოიფიქრებდა, თუ ბებერს ღალატი ედვა გულში? ჩავიდა ვაჟი ძირს. ბებერმა დაათრო და დააძინა.

წაიყვანეს ხემწიფის კაცებმა და ჩასვეს ცხრა კლიტულში. ვაჟს გამოეღვიძა, ნახა თავის თავი დატყვევებული და დაღონდა. დაიწყო ტირილი,ინატრა თავის სალამურები, მაგრამ იმის სალამურები ალვის ხეზე იყვნენ ოხრად დარჩენილები. ვაჟი ფანჯარასთან იჯდა და გაჰცქეროდა ცასა. ცხრა კლიტულს ყვავმა გაუარა გვერდზედ. დაინახა ვაჟმა და შესძახა: ყვავო, ყვავო! სად მიფრინავ, სად მიგეჩქარება? წადი, შენის შვილების მზეს, მინდორით რო ალვის ხე დგას, იქ ჩემი სალამურებია და აქ მომიტანეო!—მე რო ლეშსა ვჭამდი, და შენ-კი ქვებს მესროდი, აღარ გახსოვსო? უპასუხა ყვავმა და გაუდგა გზას. გააყოლა თვალი ვაჟმა და ჩამოყარა ცრემლები.

გაუარა ყორანმა.—ყორანო! ყორანო! წადი, შენის შვილების მზეს, ალვის ხეზე სალამურები დამრჩა და აქ მამიტანეო! გასძახა ვაჟმა ახლა ყორანს.—მე რო წიქარას ლეში გთხოვე, და არ მომეცი, სალამურს რად მოგიტანო! ჩამოსძახა ყორანმა. გასცილდა და თავის სიშავით უფრო გააშავა ისეც შავი და მწარე დღე პატარა ტყვისა.

გადაუარა არწივმა.—არწივო! არწივო, მხარ-კვერიანო! გასძახა ვაჟმა: ფრინველთ მეფე ხარ; სადაც მაღალი კლდე არის და ხე, შენი საბუდარია. მაშ წადი და მინდორით ალვის ხე დგა, იქ სალამურები დამრჩა და მომიტანეო!—მე ჩემი საქმე მაქვს: შენგან კრავი როდის მიმიღია საჩუქრად, რო მე სალამური მოგიტანო! უპასუხა არწივმა და მხრების შხლართუნით გასცდა.

გადმოიფრინა ჩიტმა. ამასაც შესძახა ვაჟმა: ჩიტო, ჩიტო, შენის ბარტყების გაზრდას, მინდორით სალამურები დამრჩა და მომიტანე!—შენ რომ მახეს გვიგებდი და ბუდეს გვიშლიდი! მე ვერ მოგიტან. სხვას სთხოვე, უთხრა ჩიტმა და გასცდა ჟივილ-ხივილით. გააყოლა თვალები ვაჟმა და ჩამოსცვივდა ცრემლები.

ბოლოს მერცხალი დაინახა, ვაჟმა შესტირა: მერცხალო, მერცხალო, გაზაფხულის მახარობელო! მინდორით სალამურები დამრჩა და მამიტანეო. გაფრინდა მერცხალი და მოუტანა სალამურები.

დაუკრა საჭირო სალამური ვაჟმა, დაუკრა და აატირა. წიქარამ გაიგონა სალამურის ხმა და გაეშურა ვაჟისაკენ. გაავთრებული ეცა რქებით ცხრა კლიტულს და დაუწყო მტვრევა. რვა კარი გატეხა, მაგრამ მეცხრე კარი გასატეხი ჰქონდა და მოსტყდა ერთი რქა. დაღონდა წიქარა. ისე თავის რქას არა სჩიოდა, როგორც თავის მეგობრის ტყვეობას. ღმერთს რქა შესთხოვა.

ერთი თავგი გამოძვრა და წიქარას უთხრა: რას მომცემ, რომ რქა

მოგაბამო?—შენს ლეშს ხომ მაჭმევო?—გაჭმევო, უთხრა წიქარამ. თაგვმა გაუმთელა რქა. ეცა წიქარა და შელეწა მეცხრე კარიც. შევიდა ვაჟთან, შეისვა ზურგზედ მეგობარი და გააშურა ალვის ხისაკენ. შესვა წიქარამ ვაჟი ალვის ხეზედ და თვითონ კი ისევ მინდორში წავიდა.

არის ვაჟი ალვის ხეზედ, უკრავს სალხინო სალამურს და ერთობა. ბოლოს მოაგონდა წიქარა, მოუნდა იმისი ნახვა, დაუკრავს საჭირო სალამურს, დაუკრავს, მაგრამ არსად არის წიქარა! ელის ვაჟი წიქარას, მაგრამ არსად ჩანს წიქარა! დაღონდა ვაჟი, ჩამოვიდა ძირს. დაუკრა საჭირო სალამური, დაუკრა და აატირა მთელი ქვეყანა. იმის ცოდვით ბალახნი ტიროდენ, პეპელებიც აღარა ფრინავდენ და ცრემლებსა ჰღვრიდენ, ხეებიც აღარ ინძროდენ. უკრავდა სალამურს, და ცივ კლდეებსაც ცხელი, ცრემლები სდიოდათ. უკრავდა სალამურს, და შავი ყორანი-კი ნაღეშარით საითღაც მიეშურებოდა... წავიდა ვაჟი, ეძება წიქარა და ბოლოს მინდორში მკვდარი იპოვა. შავს ყორანსა და უგვანო სვავ ყაჟირებს თვალები დაეთხარათ, ყვავკაჭკაჭებს გამოეხრათ. დასტირა ვაჟმა წიქარას. დასტირა ცხარედ; აღარც სალხინო და აღარც საჭირო სალამური არ დაუკრავს, შეძვრა წიქარას გვამში და მოკვდა იმასთან.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.
ელასა, მელასა
ჭიქა მეკიდა ყელასა,
მთქმელსაც და გამგონებელსაც,
ღმერთი გვწყალობდეს ყველასა.

## 20. მელიისა და დათვის ამბავი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მელია. მარტოკაობა მოსწყინდა და ამხანაგის ძებნა დაიწყო. ერთ დათვს შეხვდა და უთხრა: მოდი ერთი, მეძმე, რაც ვიშოვოთ და ვიყოლოთ, შუა გავყოთო. დათვი რასაც იშოვიდა, არაფერს არ აჭმევდა მელიას. მელიამ სთქვა: თუ ძმობა და ერთობა არის, უნდა კიდეც იყოს, თორემ ვის გაუგონია, რომ ძმები იყვნენ და ერთი მეორეს-კი უმალავდეს და ჰპარავდეს, რასაც იშოვის და იპოვისო.

მელიამ იფიქრა, იფიქრა და ერთი ეშმაკობა იხერხა დათვის დასასჯავად. ერთხელ თხილის გულები იპოვა და დათვთან დაუწყო ჭამა.—რასა ჭამ, მელიავ, გრძელ კაბიანოო? ჰკითხა დათვმა, აბა ერთი მეც მაჭამე, რა გემო აქვს, ვნახოვო. მელიამ მისცა ერთი თხილის გული და უთხრა: თვალი გამოვითხარე და იმას ვჭამო. დახუჭე ერთი თვალი, რომ მართლა ეჩვენებინა თავისათვის თვალის გამოთხრა.

დათვს ძალიან ეგემრიელა ეს თხილის გული და უთხრა: ერთი მეც გამომთხარე, ძალიან მეგემრიელაო. მელიამ უთხრა: კარგი გამოგთხრი, მაგრამ არ იყვირო-კი და ან მე არ დამდვა ბრალიო.—არაო, უთხრა დათვმა,

მე შენ არაფერს გერჩი, უნდა გამომთხარო თვალიო. მელიასაც ეს უნდოდა: გამოჰჩიჩქნა თვალი დათვს და შეჭამა. დათვს არ მოეწონა თავისი თვალი და უთხრა: გემრიელი არ ყოფილა, მწარე არისო. —არაო, უპასუხა მელიამ, ეგ მარცხენა თვალი გამოგვითხრია და გემო-კი მარჯვენაშიაო. —მაშ მარჯვენა გამომთხარეო, უთხრა დათვმა. მელია უარზე იდგა, მაგრამ დათვი არ ეშვებოდა. ბოლოს მელია დაჰთანხმდა და გამოჰჩიჩქნა მეორე თვალიც, მარჯვენა. დარჩა ბრმა დათვი, არც მარჯვენა თვალი იყო გემრიელი, და თვალები-კი დაითხარა.

მელიამ უთხრა: აბა, ბიძიავ, ეხლა სადღა წახვალ, ან კლდეზე სადმე გადაჰვარდები და ან წყალში სადმე ჩაიხრჩვებიო. მე ვერ გაგწირავ, რადგანაც ნაძმობი ხარ ჩემი და გზის მაჩვენებლად გეყოლებიო. სადაც ველი იქნება, გეტყვი: ახტი, დახტი, ბერო ბიძავ, აქ რო დიდი ველიაო, და შენც ახტი და დახტიო, და სადაც ცუდი გზა იქნება, იქ გეტყვი: ჩოყდი, როყდი, ბერო ბიძავ, აქ რო დიდი კლდენიაო, და შენც ნელა იარე, თორე სადმე გადაჰვარდებიო. მელია გაუძღვა დათვს, ატარებდა მინდვრებზედ და აფთხილებდა, რომ არ გადაჰვარდე სადმეო.

ბოლოს ერთს მთაზედ აიყვანა, გაუძღვა წინ და უთხრა, რაკი მიიყვანა ქარაფის წვერზედ:

ახტი, დახტი, ბერო ბიძავ,
აქ რო დიდი ველიაო!

ახტა, დახტა ბრმა დათვი და კლდეზედ კი გადაიჩეხა. ჩავიდა მელია დათვთან, ჯერ პირი უწყინა, დაიტირა, მერე მიჰყვა ხელი, გადააძრო ტყავი და ყველა ძვალი სათითაოდ აიტანა თავის სოროში, თავი-კი ვერ აიტანა. ხახმატის ჯვარს შეევედრა მელია: წმინდაო და ძლიერო ხახმატის ჯვარო, ეს თავი ამატანინე და ერთს სანთელს დაგინთებო, ხახმატის ჯვარმა უშველა მელიას და აატანინა თავის სოროში დათვის თავიც. შემდეგ თავის ატანისა, წამოჯდა მელია ხორცთან. რამდენს ხანს მეყოფაო, ფიქრობდა მელია.

რაკი მიალაგ-მოალაგა სორო, მელია გამოვიდა სოროს კარზედ, გადააფსა და დაიძახა: ხახმატის ჯვარო, გეყუნებოდეს და ნახე, აი სანთელი აგინთეო. რაკი ესეთი სიტყვები თქვა მელიამ, გააცოცხლა ხახმატის ჯვარმა ეს დათვი; დათვი მელიას გამოუდგა, მელია დაიჭირა და ჩაახრამუნა.

პირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

## 21. ბადრისა, უსიპისა და ამირანისა

გიამბობთ ამირნისასა
თუ ზღაპრად მოგეწონებათ...
ბადრის, უსიპის ამბავი
მალი-მალ მოგეგონებათ.
(ხალხში დაშთენილი მოძახილი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა:
იყო შაშვი მგალობელი,
ღმერთი ჩვენი მწყალობელი.

იყო ერთი კაცი, სახელად სულკალმახი. სულკალმახს სამი ვაჟი ჰყავანდა, უფროსი ბადრი, შუათანა უსიპი და უმცროსი ამირანი. ამირანი ქრისტე ღმერთის ნათლული იყო. სულკალმახის ცოლს, დარეჯანს, ამირანი სულ ბოლოს დროს, სიბერეში, ეყოლა. დარეჯანს ძალიან უყვარდა თავისი უმცროსი ვაჟი ამირანი და ამიტომ ამირანს დარეჯანის საკუთარ ძეს ეძახდნენ. სულკალმახი მოხუცებული იყო და ეშინოდა, მე რომ მოვკვდე, ამირანს აღარავინ გაზრდისო. ამირანი უნდოდათ მდიდრის კაცისათვის მოენათვლინებინათ, რომ სულკალმახის სიკვდილის შემდეგ ამირანი ნათლიას წაეყვანა და გამოეზარდნა. დაიპატიჟეს კიდეც ნათლიად მდიდარი კაცი, მაგრამ ნათლობის დროს სულკალმახის სახლში გოახად ჩაცმული ქრისტე ღმერთი მივიდა და სთხოვა სულკალმახს, შენი შვილი მე უნდა მომანათვლინოვო. სულკალმახმაც უარი ველარ უთხრა და მოანათვლინა შვილი. ქრისტე ღმერთმა ამირანს დაანათლა: გაქანებულის ხის სიჩქარე, გაქანებულის ზვავის სიმარდე, თორმეტულელა ხარ-კამეჩის ღონე და მგლის მუხლი, ბალღობით სისაწყლე და სიბეჩავე, ვაჟკაცობაში — ომი და ქირსახდიელი.

მართლაც დიდხანს არ გაუვლია, რომ სულკალმახი მოკვდა. იმის მტერს დევებს დრო მიეცათ ჯავრის ამოყრისა, დაეცნენ ობლების სახლ-კარს და სულ ცეცხლის ალი აადინეს, აოხრეს და დააბუნდოვეს. ძმები, დევების დაშინებულები, სულ გადაკარგნენ, გასწირეს თავისი ქვეყანა.

ბადრი, უსიპი, ამირან
ობლები მოვიზარდენით;
დევების დაშინებულნი
ჩაბალხეთს ჩავიყარენით.

მოკვდა დარეჯანიც. შვილებს დაბარა: „შვილებო, დევებს მოერიდენითო“. მაგრამ გზაზე ქვას ვინ აარიდებდა მუდამ ფეხს. ბევრი ბეჩაობა გამოიარეს ძმებმა, სულ ცის ქვეშ ალამებდნენ და ათენებდნენ, კერა-ნაცარი ენატრებოდათ:

ბადრი, უსიპი, ამირან
ობლები მოვიყარენით;
ღვეღუ არ გვინახავ, კერაი,
სახლეს მოვიზარდენით;
ვინაც კარგ გვიყვა ობოლთა,
მუშაში დავეტანენით;
ვინაც ავ გვიყვა ობოლთა,
იმას შინ შევეტანენით.
დედამ დარეჯანმ გვაბარა:
„დევებს ნუ შეეყრებითო,
„თუ შეეყარნეთ დევებსა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ადვილ ნუ გეეყრებითო!“
სამნი ჩვენ, სამას დევები
ჩაბალხეთს შევიყარენით,
თავს მოვხდით ბალხის კარავსა,
ბოლოში გავიყარენით,
იმისა ვერა გავიგეთ,
ფარის ქვეშ მოვიმალენით.
დავსხედით ღვინის სმაზედა,
ზოგნ დევნიც დავიტანენით.
ვინაც სვა ღვინო ჩვენთანა,
ძმებურათ გავიყარენით;
ვინაც არა სვა ღვინოი,
დავკარით, არ ვიწყალენით.
დევებ ხო არა ყოფილან,
სუ ხმალ ქვეშ მოვატარენით.

გავიდა ხანი. გაიზარდა ამირანიც; ისეთი ღონიერი გახდა, რომ მიწას უძძიმდა იმისი ტარება. უსიპი და ბადრი მშვენივრები იყვნენ.

ცოტა კაცია ამირან,
ცოტა სმა-ჭამა ეყოფა:
სადილად ბუდა კამეჩი,
ვახშმად არც სამი ეყოფა..
ბადრი ქალსა ჰგავს ლამაზსა,
საქმარედ გამზადებულსა;
უსიპი —ბროლის ციხესა,
თავ-ბოლოთ გამაგრებულსა;
ამირან შავსა ლრუბელსა,
საავდროდ დამზადებულსა.

ერთხელ ამირანი და იმისი ძმები სანადიროდ იყვნენ; ცხრა მთაზე ინადირეს, ვერაფერი მოკლეს; ცოცხალს სულს არ შეჰხვედრიან; გადავიდნენ მეათე მთაზედ და გაინადირეს. უცებ უზარ მაზარი ტანისა და უზარ-მაზარრქიანი ხარი ირემი გამოუხტათ. გაიწყო ირემმა რქები ზურგზედ და ჰერი! ესროლა ამირანმა და დასჭრა.

სანადიროდ წამოვიდნენ
ამირან და ძმანი მისნი;
გადიარეს ცხრანი მთანი,
მეათენი ალგეთისნი.
მინდორს კვალი მაუკვლიეს,
დანაქლიკი ეშმაკისი.
მთას ირემი წამოუხტათ,
ოქრო იყო რქანი მისნი.
უცხოს მთაზე კოშკი ნახეს,

ანაგები ბროლის ქვისი;
მაუარეს გარემოუვლით,
ვერ იპოვნეს კარი მისი...
სადაც რომ მზემ პირი მოჰკრა,
ამირანმა მუხლი მგლისი,
კოშკმა პირი იქ გააღო,
იქ შეება კარი მისი.
კოშკში ლომი წოლილიყო,
მამრევ არვინ იყო მისი.
იმას თავით რაში ება,
ტოტით მიწას სთხრიდა ისი;
მარცხნივ რომ შუბი ეყუდა,
წვერი ცასა ჰხევდა მისი;
მარჯვნივ ედო თავის ხმალი,
პირი ჰქონდა ალმასისი;
ერთს კუთხეში ოქრო-ვერცხლი,
ნავროვები ცამცუმისა.
გვერდით ეჯდა თავის დედა,
ცრემლად დასტიროდა შვილსა
თავით ერთი ქალი ეჯდა,
ზღვას ერევა ცრემლი მისა.
თითებსა და თითებს შუა
წიგნი ჰქონდა ქალაღდისა.
წაიკითხეს, შიგ ეწერა:
დისწული ვარ უსიპისა,
სანამ ვიყავ, მტერი ვმუსრე,
არ შევჰამე ჯავრი სხვისა;
მოვკვდი, მხოლოდ ჯავრი გამყვა
ერთის დევის ბაყბაყისა.
ვინაც მოჰკლავს ბაყბაყანსა,
ჩემი შუბი ალალ მისა;
ვინც დედა-მამას დამიმარხავს,
ჩემი ფული ალალ მისა;
ვინაც რომ დებს გამითხოვებს,
ოქრო-ვერცხლი ალალ მისა;
ვინც მე მამივლის, დამმარხავს,
ცოლიც, რაშიც ალალ მისა!

ამირანმა უთხრა ძმებს, წიგნი რომ წაიკითხა: „ხომ მოვკლავთ და მოვკლავთ იმ ბაყბაყ-დევს და ბარემ ეს სარჩოც წავიღოთ და ეს ქალი და რაშიც წავიყვანოთო. მაინც ხომ ანდერძიც ესეაო“. ძმებმა დაუშალეს, სირცხვილია, ვინ რას იტყვისო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუ ამირან, ძმათა მზესა,
ნურა გინდა ნურავისა,
გამოდი და გამოხურე
საყდარი და კარი მისა,
თორემ გმირნი დაგვძრახავენ,
მკვდარი გაუცარცვავ სხვისა!

მკვდარს მოუარეს, დამარხეს, გამოხურეს კოშკის კარი და წავიდნენ ბაყბაყ-დევის საძებნელად. ამირანს ომი სწყუროდა. დიდი ხანი იყო გასული, რაც თავი არ ეცადნა. უნდოდა ომის გადახდა. მართლაც გზაზედ ბაყბაყ-დევი შემოჰხვდათ, გაეგო, ცამცუმი მომკვდარაო, და მოდიოდა საჭმელად. ამირანმა შეუტია დევს: „სად მისდიხარ, შე აყროლებულო, საითკე მიეჩქარებიო?!“ — უსიპის ძმისწული ცამცუმი მომკვდარა და იმის მძორის საჭმელად მივალო, უპასუხა დევმა.

ამირან, დევი ბაყბაყი
ჩასაუბრობენ მტრულადა;
ხმალზე ხელი აქვს ამირანს,
ცხარე ომი აქვს გულადა.

— შენ ქრისტიან კაცს არვინ შეგაჭმევსო, უთხრა ამირანმა: ტყუილად მიხვალ და მიეხეტები.
— მაშ შენ დამიჭერ გზასო! უპასუხა ბაყბაყანმა დაცინვით.
ეძგერა კიდეც ამირანი და დაიწყეს ცხარე ომი. დასძლია ამირანმა, დასცა, მოსტეხა მხარი და დააზიანა.

დევი-დ ამირან იბრძოდნენ,
მიწა და მყარი ხვიოდა;
იმათ ნათმარ ადგილზედ
სუ ქვა და ლოდი ცვიოდა.

ამირანის ძმამა სთქვა:

დევი-დ ამირან შეიბნენ,
მიწას გაჰქონდა გრიალი;
ამირანმა დევი დასცა,
ადგილი შეჰხვდა ქვიანი;
დასცა და მხარი მოსტეხა,
დააწყებინა ღრიალი.

დევი შეშინდა, ღრიალი დაიწყო, ამირანს აფიცა ხმლიანი ხელი, დედის მანდილი, ოქროიანი თაქლი და შეევედრა, ნუ მომკლავო.

ნუ მომკლავ, დარეჯანისძევ,
ხელი გაფიცო ხმლიანი,
მანდილი დედიშენისა,
თაქლი ოქროიანი.

ზღვას გაღმა ქალი გასწავლო,
სახელად ყამარ ჰქვიანი.
საყამაროსა კაბასა
შვიდი დღე უნდა მზიანი,
შვიდ კვერეული საპოვნი,
შვიდ-მეტი კოკა წყლიანი.
წასვლა ადვილი იქნება,
მოსვლა გახდება გვიანი;
მოყვარული ხარ ომისა,
გზა იქ გექნება მტრიანი...
თან შიკრიკს გამოგაყოლებ,
ვაჟია ღალატიანი.

ამირანს უნდოდა ისევ ცოცხალი გაეშო ბაყბაყ-დევი, მაგრამ ძმებმა უთხრეს, რომ თუ არ მოჰკლავ, ცუდს საქმეს გიზამს, დევი არ დაიზავდება. ბაყბაყ-დევი სამ-თავა იყო. ამირანმა უსმინა ძმებს. ორი თავი მოსჭრა და მესამესაც რომ დაუწყო ჭრა, ბაყბაყ-დევმა სთხოვა:

— ხომ მკლავ და მკლავ და ჩემი თხოვნა არ შეისმინე, ეს მაინც ამისრულე: ჩემის თავიდამ სამი ჭია ამოძვრება და იმათ ნუ დაჰხოცავო.

მოსჭრა ამირანმა მესამე თავიც. ბაყბაყ-დევის თავებიდამ მართლა სამი ჭია ამოძვრა. უსიპმა უთხრა ამირანს:

— რაკი ერთი ჭირი მოიშორე თავიდამ, ძმაო ამირან, ბარემვალ მეორეც თან გააყოლე. ეგ ჭიები სასიკეთოდ არ ამოძვრენ დევის თავებიდამ, მოდი ეგენიც დახოცე!

— რას ამბობო, უპასუხა ამირანმა: დევმა რა მიყო, ჭიები რას მიზამენო; ჭამამ რა მიყო, ლუკვამ რა მიყოსო. ეს ერთი თხოვნა ხომ აგისრულე, ერთიც დევისთვის ამისრულებიაო. არ დახოცა ჭიები, გაანება თავი.

— მაშ რაც იმ ჭიებმა გიყონ, მე უბრალო ვიყოვო, მოიხადა ბრალი უსიპმა.

რაკი ბაყბაყ-დევი მოჰკლეს და მოიშორეს, ამირანმა უთხრა ბაყბაყების [illegible] შიკრიკს: „აბა, შიკრიკო, გვასწავლე გზა, წაგვიძეხი სავალით; აქორდი, ფეხი აიჩქარეო“. გაუძღვა წინ შიკრიკი. ბევრი [illegible] იარეს მრავალი დღე და ღამე, მაგრამ შიკრიკს რომ ერთს გზაზედ გაეტარებინა ძმები, დააბრუნებდა სხვა გზით და იმაზედვე წაიყვანდა. უნდოდა იმათთვის გზის არევა და მათი დახოცვა. უსიპმა შეატყო შიკრიკს ღალატი და გავის ერთს კუნძს ისარი დაჰკრა. მართლაც მეორე დღეს შიკრიკმა იმაზედვე გაატარა. უსიპმა თავისი ისარი და ნაისრალი დაინახა, აემღვრა სისხლი, გაუშვირა ხელი ამირანს ნაისრალ კუნძისაკენ და უთხრა:

ვერ გაიგია, ამირან,
არ გამარჯვების ნიშანი;
მესამედ იქვე მოვედით,
გუშინ რო დავკარ ისარი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამირანი გაჯავრდა და შიკრიკს შეუტია:

შიკრიკო, გზანი გაიხვენ,
თუ არ ხარ თავის მისანი,
თორო აგიღე, გაგთალე,
რო საკიდობნე ფიცარი!

გაუძღვა შიკრიკი ძმებს და გაიყვანა ერთს ტრიალს მინდორზედ. გაიხედა ამირანმა და დაინახა, რომ ის სამნი ქიანი, ბაყბაყის დევის თავებიდგან რომ ამოცოცდენ, ვეშაპებად ქცეულიყვნენ. ერთი თეთრი იყო, ერთი წითელი და ერთიც შავი. მინდორში მიდიან და მიიმღერიან.

მინდორში სამნი ქიანი
მიდიან, მიიმღერიან,
თვალს უცემს დარეჯანისძეს,
მაგათთან ომი მწადიან.

ამირანმა უთხრა ძმებს: აბა, ძმებო, მეტი ღონე აღარ არის, უნდა მაგ ვეშაპებს შევებნეთო.

თეთრი ბადრს, წითელი უსიპს,
შავი ჩემდ გინებებიათ!
—თეთრიც შენა და წითელიც,
შავიც შენ ნაგონარია,

უპასუხა უსიპმა: აკი გითხარ, ინანებო. შენი გაფუჭებული საქმე შენვე გააკეთე, შენი გამრუდებული გზა შენ გაასწორეო.

— ჰაი, უსიპო, უსიპო! უთხრა ამირანმა:

უსიპო, ჩემი სიმუხთლე
სულ მუდამ გულში გდებია;
ტვინი სადები თავშია,—
ჩაბალახშია გდებია!

— მაშ შენ მაინც მომეშველე, ბადროვო, უთხრა ბადრს ამირანმა. მაგრამ ბადრმაც უარი უთხრა. მაშინ ამირანმა უთხრა ბადრს:

არა ჰყოფილხარ, ძმავ ბადრო,
ფერი არქატი გქონია,
დაჯე და ჰკერე ტყავები,
სხვა ხელი არა გქონია!

კიდევ უთხრა უსიპს, მომეშველენითო, მაგრამ უსიპმა უარი სთქვა:

შენისა ცოლის გულისთვის
სულ ძმები დავილიენით.

მაშინ ამირანი თავის აბჯარს მიუბრუნდა და უთხრა:

ჩემო ხმალო და აბჯარო,
სად[illegible]ლდ მომეშველენით!

და დაუწყო სასტიკი ომი გველეშაპებს. მოჰკლა თეთრიც, მოჰკლა წითელიც.

თეთრი მოჰკლა და წითელი,
შავსა შეება მაშვრალი.

გაიხედა ამირანმა და დაინახა, რომ ბადრი და უსიპი წასულან [illegible] დადიან მთაზე, დაუძახა:

რომელი მიხვალ მა მთასა,
რომელი მიჰკეც მაგ გზასა,
გადადი და დაუძახე
ბადრსა, უსიპსა, ჩემს ძმასა:
თეთრიც მოვკალ და წითელიც,
ნუღარ გადივლით მა მთასა!

დაბრუნდითო.

შეება შავს გველეშაპს დაღალული და დამაშვრალი.

შავმა აილო, ჩაყლაპა,
შავის ზღვისაკენ გასწია.

ჩაყლაპა შავმა და გასწია თავის დედისაკენ. რაკი დაინახეს ძმებმა, ამირანს უჭირსო, მაშინვე გაიქცნენ ამირანის საშველად. დაეწივნენ ქარცეცხლს, ესროლა უსიპმა ისარი და ცხრა ადლი კუდი მოსწყვიტა შავს გველეშაპს. ქარცეცხლს ისე მოწყვეტილი კუდი არა სტკიოდა, როგორც ჩაყლაპული ამირანი ატკიებდა მუცელს. დარეჯანის ძე ჰგლეჯდა გულ-მუცელს და იკლაკნებოდა ქარცეცხლიც საშინლად. ქარცეცხლს ერთი რკინის ბოძი ჰქონდა. რომ ვინმე ჩაეყლაპა, მოვიდოდა, შემოეხვევოდა იმ ბოძს გარს, დაამტვრევდა და მოინელებდა. ეხლაც ამირანის დამტვრევა უნდოდა, შემოეხვია ბოძს, მაგრამ კუდი პირს აღარ მისწვდა, რადგან უსიპმა მოაწყვიტა. მივიდა დედასთან ქარცეცხლი და შესჩივლა, მუცელი მგვრემს, ცეცხლი მეკიდებაო.

— ვაიმე, შვილო, თუ დარეჯანიანთი ვინმე ჩაჰყლაპე, იმათ კაცს შენ ვერ მაინელებო. რა კაცი იყო, რა ფერი ჰქონდაო?

— საცერივით თვალები ჰქონდა და ერთი ოქროს კბილი ედგაო.

— ამირანი ყოფილა, შვილო, დარეჯანისძე.

ამირანს ჯიბეში ალმასის დანა ედვა, მაგრამ არ მოაგონდა. ბოლოს უსიპმა უთხრა ბადრს: ძმაო, ჩასძახე, შენი ხმა მშვენიერია, დანა მოაგონეო.

ჩადი, ბადრო, და ჩასძახე,
ხმა შენი მშვენიერია:
„მოუდის დარეჯანის ძეო
ჯიბეს ჩადება დანისა,
ამოღება და გამოჭრა
მაგ შავის გველეშაპისა!“

მართლაც მოაგონდა ამირანს დანა, ამოიღო, გამოსჭრა ქარცეცხლის მუცელი და გამოვიდა, მაგრამ წვერი და თმა კი გასცვივნიყო. უსიპმა შეჰხედა გაქოსვებულს ამირანს, გაეცინა და დასცინა:

ამირანი დაიბადა,
გოჭსა ჰგავნდა ხუზალასა,

წვერ-ულვაში გასცვივნოდა,
ჩაუყარა ტომარასა.

ეწყინა ამირანს უსიპის სიტყვა და გაჯავრებულმა უპასუხა:

ისივ ვაჟია ამირან,
გუშინ რო ჩამოქარობდა;
არც არა ბევრი ტანთ ეცვა,
არც არა მკლავთა ჰფარობდა...
კაცი გამოვა კაცობრი,
წვერი არ დაეხავსოსო,
თხასაც ასხია ბალანი,
მაზმანი დააფასებსო.

— შენ ძმა კი არა, ჩემი მოსისხლე მტერი, ჩემი ძირის მთხრელი ჰყოფილხარ, უთხრა ამირანმა უსიპს: მტერიც არ მიზამდა იმას, რაც შენ მიყავი. მუდამ მღალატობ, მუდამ ჩემი მარცხი და ღალატი გიძე გულში. მტერს ვებრძოდი, არ მიშველე, გამექე, დამანებე თავი; მტერმა ჩამყლაპა, თავი არ შაიხვიე შავით; მტერს გადავრჩი და ეხლაც დამცინი. მე არც თქვენი ძმობა მინდა და არც მტრობა. „არც მინდა შენი ლეშიო, ნურც არას შემომხვნეშიო," ამისა არ იყოს, წავალ, ან მე მოგშორდებით და ან თქვენ უნდა მომშორდეთ.

— ნუ გეწყინება, ძმაო ამირან, უსიპის სიტყვები, გულად ნუ მიუშვებ. ხო იცი, უსიპი როგორი კაცი არის; წვერ-ულვაშზე-კი ნუ იჯავრებ, იგრი ბატონთან ჩავიდეთ, ის გაგიკეთებს, როგორიც გინდა. იგრი ცოტა ავი კაცია, იმის კარებზე რო მიხვიდე, იგრი ბატონო დაუძახე, თორემ არ გაგიკეთებს, დაარიგა ბადრმა ამირანი.

წავიდა ამირანი, მივიდა იგრის სახლის ბანზედ და საკმისას ჩასძახა:

— იგრი! იგრი! კარში გამოდით.

იგრი ხელკვერიანი გამოუვარდა ამირანს და შეუტია: ვინ მოთრეულხარ, რომ „იგრი ბატონის" დაძახებასაც არ ჰკადროფთ! მერე-კი იცნო, რომ ამირანი იყო, და ენა ჩაუვარდა პირში. რა გინდა, ამირანო, ჩემი თავი რაში დაგჭირდა, მე მუდამ მზათა ვარ სამსახური აგისრულოვთ, უთხრა იგრიმ დარეჯანის ძეს.

— ხომ ჰხედავ, წვერ-ულვაში გამცვივნია, შენ თუ გამიკეთებო, უთხრა ამირანმა.

— მე ხელმწიფის ყმა ვარო, უპასუხა იგრიმ, და სანამ იმის ბრძანებას არ მომიტან, წვერს ვერ გაგიკეთებო.

ამირანი წავიდა ხელმწიფესთან ბრძანების მოსატანად, მაგრამ ხელმწიფემ ვერ იცნო გაქოსავებული ამირანი და დაითხოვა.— გასწი, გაეთრიე, ვინ მოთრეულხარ, ბრძანება ვის უნდა მოგცე, მე რა ვიცი, შენ ვინა ხარო.— თუ არ მომცემ ნებით, ძალით წავიღებო, უთხრა ამირანმა. წასწვდა, წაგლიჯა თავი, გამოიხვია კალთაში, წამოუღო იგრის, გაუგორა და უთხრა: „ესეც შენი ბრძანება. ჩქარა, ჩქარა საქმეს შეუდექ". იგრი რაღას იზამდა,

მაშინვე გაუკეთა მშვენიერი წვერ-ულვაში და გაისტუმრა. ამირანი წავიდა ძმებთან...

ძმები ისევ წავიდნენ ყამარის საძებნელად. ათასი თავ-გადასავალი გადაჰხდათ, ათასგან იომეს და ღვარეს სისხლი. ბოლოს მოსწყინდათ სისხლის ღვრაც, გარეთ უსახლ-კაროდ ყოფნაც და სთქვეს ძმებმა: რას დავდივართ, როგორც ნადირები და ცხოველები, დათვსაც-კი აქვს თავისი ბინა და ჩვენ-კი, სულკალმახის შვილებს, არა გვაქვს. ვიშოვოთ სახლი, დავბინავდეთ, ოჯახობას მოვეკიდნეთ (უსიპსა და ბადრს-კი ჰყოლიათ ცოლები და ამირანს-კი ჯერ არა). უსიპმა ურჩია ამირანს, იქ ჩავიდეთ, გუშინ რომ ვიყვენით, ქორწილი რომ ჰქონდათ დევებსაო:

აიქ ჩავიდეთ, ამირან,
გუშინ რომ ქარი ხვიოდა;
დევებსა ჰქონდათ ქორწილი,
სიმღერა ამოდიოდა.
შეგვიპატიჟეს, შევედით,
ამირანს პური ჰშიოდა.
დედობილების ნაცხობი
ქადა კეცებში შხიოდა;
შამაჰქრეს, შამააყენეს,
კაცის თავ-ფეხი დიოდა;
სავინით ღვინო მოგვართვეს,
შიგ გველ-ბაყაყი წიოდა;
უსმელ-უჭმელად დავძეხით,
ყელშიაც ამოგვდიოდა.
ამირანს შემოვხედნოდით,
ცრემლები ჩამოჰდიოდა.
პატარა შვილი მამასა
ლოგინით წამოჰკიოდა:
„აკი მას მიქადებდია,
ამირანს მოგაკვლევინებ,
ბადრისა წითელთ გალოთა
სადილად დაგახვრევინებ,
უსიპის ქამარ-ხანჯალსა
წელზე შამოგარტყმევინებ“!
მამას შვილი ჰკარ პირშია,
სისხლ წავა დასაგუბარად;
წარბის თავს დაჰკარ ხანჯარი
სისხლისა გასადინარად.
დევებმ დაიწყეს სიცილი
ამირნის დასამშვიდარად:
ყმაწვილის საუბარზედა,
ამირან, ომი გინდა რად?!

ბოლო

თხორს სძახდა დევების დედა,
ჯარა ხვიშტაკი ხვიოდა;
ამირანს მაგათ ხუვილი
ფოთვლად არ შამოსდიოდა;
ბადრი ქარს ჰგვანდა, ფურცელსა,
ცაშიით ჩამოსჭყიოდა;
უსიპს დაჰკვლევდი, დნებოდა,
დაკვლევით სადამ ჰქრებოდა!

— მართლა, ასლი საჩვენო სახლი ის არიო, უთხრა ამირანმა ძმებს: თქვენ გამამყევით და მე ვიცი და იმ დევებმაო. ამირანმა წაიყვანა ძმები და ცხრა ძმა დევების კარზე მიიყვანა. ცხრა ძმა დევები ძალიან გახვივებულები იყვნენ, ერთი უზარმაზარი ოჯახი ჰქონდათ, უთვალავი ქალი და რძალი ჰყავდათ, ბალღები და მოხუცებულები. მუდამ დღე აუღებელი სუფრა ედგათ, არც მუშაობდნენ და მუდამ უქმად ეყარნენ. ამირანი მივიდა დევების კარებზედ. გაივლის და გამოივლის დარეჯანისძე და უყურებს დევის კარებს. ერთმა ქალმა დაინახა კარებზედ მოარული ამირანი, შევიდა და უთხრა დევებს: აქ ვიღაც კაცი მოსულა, კარებზე დასეირნობს და აინუნშიაც არ იგდებს, თუ თქვენ აქა ხართო. დევებმა სთქვეს: ის თუ იქნება, დარეჯანისძე იქნება, სხვა აქ ვერავინ მოვიდოდაო. გამოგზავნეს ერთი ქალი და უთხრეს: გადი, გაუარ-გამოუარე, გაიცინე, და ეგები იმანაც გაგიცინოსო. თუ ოქროს კბილი გამოუჩნდა, შემოდი, შეგვატყობინე, თავდარიგი უნდა დავიჭიროთ, თორემ დარეჯანისძე ადვილი სასტუმრო არ არისო. გამოვიდა დევის ქალი, გაუვლის და გამოუვლის ამირანს, გაუვლის და გაუცინებს. ამირანმა უთხრა:

რას იცინი, დევის ქალო,
რას მიელევი თეთრსა პირსა,
გამივლი და გამომივლი,
გამისინჯავ ბაგე-კბილსა!
სომეხი ვარ, ტანტრე მქვიან,
დავკარგე და ვეძებ ვირსა;
დღეს დავკარგავ, ხვალ ვიპოვნი,
ჩემი ბედიც ასე სჭირისა!

ქალი შევიდა შინ და მოახსენა დევებს, რომ ოქროს კბილი აქვს ამ კაცს, საცრის ოდენა თვალები აქვს, ვირები დაუკარგნია და იმათ ეძებსო. სანამ ქალი ლაპარაკს გაათავებდა და დევები იარაღს აისხამდნენ, ამირანი შეუვარდება დევებს და წაიკაფიავებს:

ვაჟიკაცო გულოვანო,
ღვინის ფერო, მცინარეო,
ხმლის სიმოკლე რას დაგიშლის,
ფეხი წადგი წინარეო!

დაერია თავის მოკლე ხმლით და სულ ერთიან ამოჟლიტა. დევების სისხლით სახლი თღვამდე აივსო. სისხლის გუბე ყელამდე მოადგა ამირანს,

შეიკრა, შეკუთდა და დაახრჩობდა კიდეც ამირანს უცილოდ, რომ ბედისაგან გაწირული ყოფილიყო. ამირანი ამ ყოფაში იყო. მიიწ-მოიწია, ამისძრა-მოსძრა სისხლის ტბა, მაგრამ აბა! შველა არსაით იყო. თავის ნახოცის დევების სისხლში იხრჩობოდა ამირანი, მოაგონდა ყამარი, დაენანა თავი და სთქვა:

მოვლალე გმირის მარჯვენა
ამდენი ომში ქნევითა,
ჯაჭვის კალთები დამალვდა
ამდენი სისხლში რევითა...
ვაიმე, ჩემო ყამარო,
ვერ გავძეხ შენის ხვევითა.

ბედათ სისხლში ერთი დაჭრილი დევი ფართხალობდა ამირანის ახლოს. ამირანი დასწვდა დევს, ესროლა სახლის კარებს მდევის მძოვრი და გაამტვრია. სისხლმა ერთი დაიჭექა, ერთი დაიგრიალა, იქუხა და ბურთივით გავარდა გარედ... ამირანს რაკი მოჰშორდა სისხლი, მხრები გაიწია, გაიბერტყა და თავისუფლათ ამოისუნთქა. გამოვიდა... გასწმინდეს სახლი, მიალაგმოალაგეს, მააწყეს და დაიწყეს შიგ ცხოვრება. მაგრამ ამირანს დიდხანს ვერ დაუდგა გული სახლში, იმას თავისი ყამარი ელანდებოდა სიზმარშიაცა და ცხადათაც. ბადრს თეთრონი სთხოვა, უნდა მათხოვო შენი თეთრონი, ყამარის წამოსაყვანად წავალო. თქვენ თუ წამოხვალთ და იმოდენა სიკეთეს მიზამთ, ზღვის გამოღმა მომიცადეთ, ზღვას მე გავალ და მე მოვიყვანო.

ბადრო, მათხოვე თეთრონი,
ზღვაში გავიდე ნგრევითა,
გავიდე, გამოვიყვანო,
ქალია თეთრი მზე ვითა;
თან ყურძენ გამოვაყოლო,
ტკბილია დედის რძე ვითა.

[illegible] ბადრმაც [illegible] ძმებიც გაჰყვნენ და წავიდნენ ყამარის მო[illegible]. [illegible] დაიტოვა, [illegible] თეთრონზე შეჯდა და შევიდა ზღვაში; გააპო ზღვა, გავიდა გაღმა და [illegible] ყამარისაკენ. გაიარა კარგი გზა და ყამარის კოშკს მიადგა. ყამარს დედმამა ცაში ჰყოლიყო, თითონ მარტოკა იყო, ფანჯარაში იჯდა და ჰურჰელს ჰრეცხდა. მივიდა ამირანი ფანჯარასთან და შესძახა:

— ჩამოდი, ყამარო, ჩვენსა წავიდეთო!

— ამოდი, ცოტა შეისვენე, მეც ჯამ-ჰურჰელს დავრეცხ და მერე წავიდეთო, ჩამოსძახა ყამარმა.

ამირანმა დააბა რაში ძირს და თითონ ყამართან ავიდა. ყამარმა დარეცხა ჯამები და ამირანს უთხრა: შენ-კი დააწყეო. ფრთხილად დაალაგე, არაფერი არ გასტეხოვო. აწყობს ამირანი ჯამებს და ერთი ჯამი, რამდენჯერაც ამირანი პირ-ქვე დასდგამს, იმდენჯერ ვადმობრუნდება გულაღმა. გაბრაზდა ამირანი, დასცა წიხლი ურჩს ჯამს და დაამსხვრია. გატყდა თუ არა ჯამი,

მთელმა მთელს უთხრა ნატეხმა ნატეხს, დადგა ერთი ჟრიამული და ხმაურობა, აიშალა ქურქელი და სულ ერთიან გასწია ცისაკენ, ყამარის მამისაკენ.— ყამარი მოიტაცეს, მიეშველენით, დაგვეკარგა, მდევარი, მდევარო! ყამარმა უთხრა ამირანს: „ის ქურქელი ჩვენ კარგს არ დაგვაყრის, მამაჩემი გამოგვიდგება; ადვილად ვერ გადავურჩებით, თუ ჩქარა არ წავედითო.“ შემოისვა თეთრონზე ყამარი ამირანმა და გაქუსლა.

ცოტა გზა რომ გაიარეს, საშინელი ქარი ავარდა, გრიგალი ასტყდა. ამირანმა აიხედა მაღლა და სთქვა: ამ ცაში-კი არაფერი ნიშნებია და ამ მიწის პირზედ რაღა ამბავიაო... კარგა გზა გაიარეს და დაუშვა წვიმამაც. ამირანმა კიდევ აიხედა ცაში და სთქვა: დიდება შენთვის, ღმერთო, წელან ცა ვათვალიერე, საავდრო ჰაერი არ იყო და ეხლა საით მოვიდა წვიმაო!—ეგ ქარი მამიჩემის ლაშქრის ფეხის მტვერიაო უპასუხა ყამარმა: ეს წვიმა კიდევ დედიჩემის ცრემლია, ჩემს დაკარგვასა ჩივიანო. აჩქარდი, ამირანო, აჩქარდიო! დააჩქარა ყამარმა.

ამირან, გვალე-გვალესა,
მუხლად გაქებენ მალესა!
ამბრნი, უმბრნი და არაბნი
ცხენს შესხდებიან ჩქარესა,
მალედვე მოგეწევიან,
ომს გაგიწევენ ცხარესა!...

ამირანმა შეაგულიანა ყამარი, ამოდ იარეო.

ამოდ იარე, ყამარო,
გზათა ვერ დაჰლევ ბრძოლითა...
არცა ვარ ტყისა ხოხბი,
მომინადირონ ქორითა;
არცა ვარ ჰელის კურდღელი,
რომ დამიჭირონ მწევრითა;
არცა ვარ ხისა ფურცელი,
გადამიტანონ ქარითა!
მოვლენ და ძეც აქ დავხვდები
ამ ჩემის გორდა ხმალითა,
უსიპითა და ბადრითა,
მესამით ამირანითა.
სუყველას თავებს დაგიჭრი
საპურყველი დანითა...
იმ მამიშენის ლაშქარსა,
გაუმაძღარსა ლომითა,
მარტო გაუხდი ჩხუბადა,
მარტო ვეყოფი ომითა!

გამოვიდა ამირანი ზღვას, გამოიყვანა ყამარიც. მოდგა და მოდგა მდევარი ჯარიც ყამარის მამის ხომალდებით. გაივსო ზღვის მიდამო. ბადრს უთხრა ამირანმა: „შეკაზმე, ძმაო, შენი თეთრონი, შეჯე, ჩადი და აბა რამ-

დენი ხანი დაგელევა ლაშქრის შემოვლაშიო“. ბადრის თეთრონი ისეთი იყო, რომ ერთის წლის სავალს ერთს საათში გაირბენდა, ზღვა და ხმელეთი იმისათვის ერთი იყო. ადგა ბადრი, შეკაზმა თავის თეთრონი, შეჯდა და ჩავიდა. დაარტყა ერთს ადგილს ისარი, რომ იქვე მოსულიყო, საითაც წინაწინ გააქცია ცხენი. ჩაარტყა ისარი, გააქცია ცხენიც, მაგრამ ეშმაკებმა მოგლიჯეს ისარი და უკან გამოუდგნენ ბადრს (ყამარის მამის ლაშქარი სულ ქაჯებისა და ეშმაკებისაგან იყო შემდგარი). არბინა ბადრმა დიდხანს თავის თეთრონი, მაგრამ ისართან მაინც ვერ მივიდა. ბოლოს დაბრუნდა ამირანთან და უთხრა, რომ ტყუილად ვირბინეო:

ცხრა დღე მივლია, ცხრა ღამე,
გორსა ვერ მომირბენია,
ამ ჩემი თეთრონისთვინა
ოფლი არ შემიშრენია,
ამ ჩემის მათრახისთვინა
ფოჩი არ შემირჩენია!

მერე შეჯდა ამირანი და ჩავიდა ჯარის დასათვალიერებლად, დაარტყა ისარი და გააფრინა თეთრონი. მოცვივდნენ ეშმაკებიც, დაებღაუჭნენ დარეჯანისძის დასმულს ისარს, მაგრამ ვერ ამოაძრეს. შემოურბინა ამირანმა ლაშქარს ერთს წამიერ ხანს და მოვიდა ძმებთან. უსიპს უთხრა: „ჩადი, უსიპო, იომე, მერე ჩვენც მოგეშველებითო“! ჩავიდა ვაჟი უსიპი, ჩავიდა სახელიანი, ჩავიდა და ჩაზომა სალაშქრო გზები, შეუტია ჯარს, იომა, იბრძოლა, გაანახევრა ჯარი, მაგრამ თითონაც იქ დადვა ვაჟკაცურად თავი. მოჰკლეს უსიპი. ამირანს გულმა გაუგო, უსიპის თავს ჰკიოდა, და ბადრს უთხრა:

ან ჩადი, ბადრო, ან ჩავალ,
ან გამილესე ხმალია;
ჩავალ და ველარც ამოვალ,
ვაიმე, შენ- ბრალია!

საყვარელ. ას[illegible] [illegible] ომში ჩაერთოდა, ან გა[illegible] და
[illegible] [illegible]ქსიანის შინ მისვლას, სიკვდილი სჯობს სახელოვანიო“, იტყოდა ამირანი. კიდევ უთხრა ბადრს... ძმა უსიპი ჰქონდა გულში.

ან ჩადი, ბადრო, ან ჩავალ,
მე შემიკაზმე შენ ცხენი,
უსიპის მეზარადისა
ალარ ამოდის ნაცხერი.

შეჯდა ახლა ბადრი და ჩავიდა ძმის სისხლის საძევრად. იომა ბადრმაც, მაგრამ მოჰკლეს ისიც. მაშინ ყამარმა უთხრა ამირანს: „შენი აბჯარი მე მომეც, მე ჩავალ სომრადაო“.—რას ამბობ, გაუჯავრდა ამირანი: დედაკაცებს თავისი საქმე ნუ გავიწყდებათ, რა შენი საქმეა ხმალი, ხმლიანი მე ვარ, მე ჩავალო. ეგ რა ნამუსია, ან სახელი ჩემთვის, რომ შენ იომო და

მე აქით გიცქერიდეო! „მაშ თუ ჩახვალო, უთხრა ყამარმა: არ დაიშალო, ეს მაინც ამისრულე, ომშიით რო გამოჰქდიოდე, ხმალს ნუ ჩააგებ, ჩემთან ხმლით ამოდიო“. ჩავიდა ამირანი საომრად, გაუსვა და გამოუსვა სიმამრის ლაშქარს, სჭრა ცხვრებსავით თავები, გასწყვიტა მთელი ლაშქარი და შეჰხვდა ბოლოს პირისპირ სიმამრს. შეუტიეს ერთმანეთს ამირანმა და ყამარის მამამ. სცეს ერთურთ ხმალი, ფარი უფარეს. ორივეს ბექთრები ეცვა. ვერც ერთის ხმალი ვერა სჭრიდა ჯაჭვს. ამირანის ხმალი ყამარის მამის მუზარადს რომ მოჰხვდებოდა, ნაპერწკლის ცეცხლი ენთებოდა. ყამარის მამის ხმალი ამირანის ბექთარს რომ მოჰხვდებოდა, ჯაჭვი გველივითა წიოდა. უცქეროდა ყამარიც დიდხანს ამირანის და მამის უნაყოფობას; ჰხედავდა, რომ ამირანს გაუჭირდებოდა და უჭირდა კიდეც ქაჯთ ბატონის მოკვლა, შეუშფოთდა გული ყამარს და დაჰგმო ამირანი:

ამირან, ცოლ-დედა ბოზო,
ომი ვერ იცი კილოსა;
მაღლა-კი ნუ სცემ სპილოსა,
დაბლა შემოჰკარ რბილოსა;
დაიწყდებიან ძარღვები,
დაეცემიან ძიროსა...
ბოძნი რო დეეჭრებიან,
დარბაზნი დეეცემიან!...

გაიგონა ქალის სიტყვები ყამარის მამამ, მამისად ლალატი, ქმრისად მხრის ჭერა, გული აემღვრია და დაუძახა ყამარს ყვედრებით:

უყურეთ, ბოზის ქალისა,
ქმარი ირჩია მამასა!
ქმარი ხეს ასხავ ფუთელადა,
მამას ვინ მისცემს საწყალსა?!
რისთვის გაგზარდა დედამა,
რისთვის გეტყოდა ნანასა,
რად გაწუებდა ძუძუსა,
გირწევდა აკავანასა!

დედაშენს რომ შობამდისვე გასწყალებიყავ მუცელში, ან ძაღლი ეშობა და გაეზარდა შენს მაგიერ, ისა სჯობდა შენს გაჩენასა და გაზრდას, ის უფრო ნამუსი და სახელი იქნებოდა, ძაღლი უფრო ერთგულიც იქნებოდაო...
ყამარმა უპასუხა:

— არცრო გამზარდა დედამა,
არც რას მეტყოდა ნანასა;
მიმაგდის სახლის ყურეში
თაგვების ანაბარასა...
არცარას მათირებოდით,
არცრას მეტყოდით ნანასა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამსოლით დავიწყებული,
მალირებოდით დანასა!

მაგას გაზრდას ეძახით, რომ ერთხელაც არ მიბრუნებდით თავს, ტირილით რომ მოვმკვდარიყავო.

ამირანმა გაიგონა ცოლის სიტყვები, შემოჰკრა ქაჯთ ბატონს ფეხებში ხმალი და დასჭრა. მოკლა სიმამრი, გასწყვიტა იმის ლაშქარი და გამარჯვებული და გახარებული [illegible]მოიწოდა ყამართან. წინ ერთი ქალი შეჰხვდა. ნახა ხმალ-ამოღებული ამ[illegible]ქვილი[illegible]ა უთხრა:

[illegible]ლება, [illegible]ა ხმლიანი სად მიხვალ,
[illegible]ან თარაქამო,
გასწყვიტე ცოლეულები,
ვინ გითხრა ბარაქალო.

შენ, თუ კაცი იყო, ხმალს ჩააგებდი და წახვიდოდი ძმების საძებნელადო.

მოაგონდა უსიპის სიტყვა ამირანს: „შენის ცოლისა გულისთვინ სუ ძმები დაივიწყეთო“, დაავიწყდა ყამარიც, თავის თავიც და გამარჯვებაც. იმის გულში მარტო ძმების საგონარს ჰქონდა ადგილი: მაშ თქვენის ცოდვის მზიდველი ვიყო, თუ არ გიპოვნოთ, მკვდრები იქნებით თუ ცოცხლებიო, გაიფიქრა გულში ამირანმა: ცოცხლები იქნებით, მეც თქვენთან გავიხარებ, მკვდრები და, მეც თქვენთან გავითხრი სამარეს და თქვენთან მოვკვდებიო. ესა სთქვა ამირანმა და გავიდა მკვდრებით მოფენილს ველზე ძმების საძებნელად. თვალგადაუწვდენელი მინდორი დახოცილთ ლეშით იყო შერთული და შეფარული. ყვავი და ყორანი ხაროდა მტრების მძორზედ. ცალკე ნადირნი ხარობდნენ უპატრონო მკვდრებზედ და ცალკე ცის ფრინველნი. სისხლი რუებად მიდიოდა. ეძებდა ამირანი თავის დახოცილს ძმებს მკვდართა შორის, ეძებდა, მაგრამ იმოდენა დუნია მკვდრებში ეგრე ადვილად როგორ იპოვნიდა. ბოლოს, როგორც იყო, იპოვნა მკვდარი უსიპი, აილო ხელში ამირანმა და წავიდა ახლა ბადრის საძებნელად. დიდის ძებნის შემდეგ იპოვნა ბადრიც, ისიც მკვდარი. დააწყო ერთად მკვდარი ძმები ამირანმა, დაჯდა თითონაც იმათთან და ერთხელ კიდევ ჩასძახა მკვდარ ძმებს. „ძმებო, ნუ დამემდურებით, მეც თქვენთან წამოვალო“! და დაიცა გულში თავის მოკლე ხმალი, უნდოდა იმათთან ერთად სიკვდილი, მაგრამ ხმალმა არ გასჭრა... ამირანი არ მოკვდებოდა, თუ ნეკა თითს არ მოიჭრიდა... დაჯდა ამირანი მკვდარ ძმებთან და დაიწყო ტირილი, სიკვდილიც აღარ მეღირსა თქვენთანაო. ღმერთი სიკვდილსაც-კი იშურებს ჩემთვისაო. ზის ამირანი და გარს ორად ნაკაფი ქაჯები ჰყრია. წამოიწევს ერთი მკვდარი ქაჯი და გადასძახებს მეორე მკვდარს ქაჯს: „აიე! აიე! რა მოვიხილე, ამირანს თავის მოკვლა უნდოდა, ხმალი დაიცა გულში, მაგრამ არ მოკვდა. ამირანი ისეთი რეგვენი ყოფილა, რომ არა სცოდნია როგორ მოკვდებაო. იმან რომ ნეკი თითი მოიჭრას, მეტიც არ უნდაო“! გაათავა ეს მკვდარმა ქაჯმა, მიდვა თავი და ისევ მიწვა. დადგა ისევ სიჩუმე და სიკვდილი. გაი-

გონა ამირანმაც იმათი ლაპარაკი, ამოიღო ხმალი და მოიჭრა ნეკა-თითი. უდინა სისხლმა და მიწვა ისიც ძმებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყამარო, დამსხენ ძუძუნი,
შენც ჩემთან დასთმე თავიო,
ცოცხალსა სიარსამულსა
მე გირჩევნივარ მკვდარიო!

ეს სიტყვები კიდევ მოისწრო და მი[illegible]და. სული.

ცხრათა ფრინვლივით მხარგძელთა
ალგეთის ქალა გაუშბას; ბ[illegible]
უძმოსა, უმამისძმოსანის მოკვლა, შ[illegible]
ამირანს თავი მოეკლა.

მოვარდა ყამარიც ცრემლის შლით, დასტირა და დაჰგლოვა ამირანს, მაგრამ ვინ იყო იმის მშველი... ზის და ტირის ყამარი. იმისი ცრემლები ზღვას ერთვიან, იმის ცოდვით ხეებს ფოთლები სცვივა, ამირანი-კი გდია უშველო... უცებ გამოძვრება ერთი თაგვი და დაიწყებს ამირანის სისხლის ლოკვას. მოუვა გული ყამარს, გაიძრობს ქოშს ფეხიდამ, დაჰკრავს თავში თაგვს და იქვე მოჰკლავს. თაგვის სიკვდილზე გამოვარდება იმის დედა და დაუწყებს ჩხუბს და ლანძღვას ყამარს: „მე კახპავ, შენა; შენის გულისთვის შენმა მამამ მოიკლა თავი, შენი ქმარ-მაზლები წინ გიწყვია მკვდრები, ამდენი ჯარი გასწყდა და შენ-კი არ შეგრცხვა. იქნება ისა გგონია, რომ მეც არ მენანებოდეს ჩემი შვილი, როგორც შენ შენი მამა და ქმარ-მაზლებიო. ბრალი შენი, შენ რას უზამ მაგდენს მკვდრებს, თორემ მე ჩემს შვილს მალე გავაცოცხლებო!“ ესა სთქვა თაგვმა, გაიქცა, მიირბინ-მოირბინა, იპოვნა რაღაც ერთი ბალახი, მოიტანა, წაუსვა შვილს, გააცოცხლა და კისერში ქისტის ცემით გააქანა [illegible]ოში. ადგა ყამარიც, მოძებნა იგივე ბალახი, იპოვნა, მოიტანა, წაუსვა ამირანს და გააცოცხლა. ადგა ამირანი, მოიფშვნიტა თვალები და სთქვა: „ოჰ, რა ბევრი მძინებიაო!“—„ბევრი მაშინ გეძინებოდაო, უთხრა ყამარმა, რომ თაგვი არ გამოგვჩენიყოვო.“ მერე მოჰყვა ქალი ყველაფერს და უამბო, რაც საქმე გადაჰხდა. გააცოცხლეს ბადრიც, უსიპიც და სამივე ძმა წავიდნენ სახლში...

ნეტავი ძმათა მრავალთა,
ცხარე მზე ამოუხდება,
ვერც ვინ წაართომს დიაცსა,
ვერც ვინ შინ შამაუხდება!..

გავიდა კარგა ხანი. ამირანმა ბევრი რამ გადაჰყარა; ბევრს დევს უტირა დედა; ბევრს აურია ქამკარი. ბევრგან შააცოტავა დაბევრებულნი ოჯახნი; ბევრი გველ-ვეშაპებიც გამოასალმა ქვეყანას.

ამირანს თავის მამრევი ალარავინ ეგონა ქვეყანაზედ.

ერთხელ ამირანი გზას მიდიოდა. იმისი მტერი აბრი მომკვდარიყო, იდვა ურემზედ და თორმეტი უღელი ხარ-კამეჩი ძლივს სძრავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბრი ჩაჰქონდა დედასა,
თორმეტ უღელა ხარსით;
გადმოვარდნიყო ბარკალი,
მიწას არღვევდა, მყარსით.

მკვდარს ამბრს დედა ედგა გვერდზედ და მიჰყვებოდა შვილს; ამბრის ბარკალი კიდევ მიწაზე მიეთრეოდა და მიჰლარავდა. ამბრის დედამ დაინახა მომავალი ამირანი, იცნო, მოინდომა თავის შვილის მტრის გამოცდა და დაუძახა: „დარეჯანისძევ! შვილის ბარკალი გადმომივარდა მიწაზედ, დაბლა ეთრევა, უპატიურად ხდება, ასწიე, შედე ისევ, დედა-შვილობას, ურემზედ დევო“.

ამბრი მაჰთრევავ დედასა,
გიროდ უყრავ ხარები.
ამირანმ მაგის ზიდილსა
ასო აიგდო, მხარები.

ამირანი ტყუილად ებოძიწკებოდა ამბრის ბარკალს. ძვრაც ვერ უყო, მიწასაც ვერ აასცილა, თორემ ურემზე ხომ ვერ შედო.

აის ქვეყანაშიც კრულია,
სადაც შენ ამირანობდი;
თავს იხურავდი ჩაჩქანსა,
ბოლოზე ჰჯაჭვიანობდი!
წესი თუ იყოს დედათი,
ადვილად გინადირებდი;
მოგკრავდი მათრახის წვერსა,
ცის გიდიდო-გიდეგ გაგრევდი!
[illegible]
ამბრის ვერ ედარებოდი;
ვერც სმაში, ვერცა ჭამაში,
ვერც ომშ. ედარებოდი:
მკვდარმა გაჯობა ცოცხალსა,
ცოცხალს რას ედარებოდი;
თუ მაგის მეტი არ იყავ,
ჩემს შვილს როგორა ჰმტერობდი?!

ე მაგის პატრონი თუ უბარებდი ამბრის მუქარას, დარეჯანიანთ ამირანო, მაგ ღონით თუ უპირობდი ჩემს შვილს შებმასით.

გაწბილდა და დაღონდა ამირანი. მიწა რომ გახეთქილიყო და ჩავარდნილიყო, ის ერჩივნა. მზისაცა სცხვენოდა და კაცისაცა. თავი მკვდარში ჩათვალა: ვინ ამირანი, ვინ ეს ამბავით! გული ჰკლავდა, ჯავრი და ვარამი დღეს უბნელებდა მზიანსა, სიცოცხლეს ჰგმობდა, სიკვდილსა ნატრობდა ნამუსიანსა.

საბნელოს ჩაჯდა ამირან,
შამაიკრიფა ფეხები;

თუ-კი ამის მეტ არ ვიყავ,
სამზეოს რას ვეხეხები?!

ჩაჯდა საბნელოს. დღე და ღამე იმისათვის ერთი იყო. არც კაცი იცოდა და არც სხვა რამ სულიერი. არავის არ იკარებდა ახლოს. მაშინ მოუმატა ღმერთმა ამირანს კიდევ: სამის ალალებულის წყლის ღონე და სამის ფერდოს ზოვის ძალა და სიმარდე.

ამირან, ძალს რო გიმატა,
მე რაით შემეცოდები;
ზღვას აქათ არა დაგიჭერს,
ზღვას იქით გაეხეხები!!!

უთხრა ღმერთმა: ვერ შეიფერებ, ვიცი, ავზე მოიხმარებ, კიდევ სირცხვილსა სჭამო...

რაკი ღონე მოემატა, ამირანმა ისევ ბიჭობა დაიწყო, ისევ და ისევ მკლავზედ დაიწყო გახედვა. ეხლა-კი იმის მომრევი აღარავინ იყო. გაამაყდა ამირანი, გაიდიდა თავი. ბოლოსა სთქვა: „ის ჩემი ნათლია, ღონე რომ მომცა, ნეტაი ერთი მაჭიდა, მეცადა რა ვაჟიაო“. ერთხელ ქრისტე ღმერთი შეხვდა ამირანს. ამირანმა უთხრა: „ნათლიავ, შენ იმოდენა ღონე მომეცი, რომ ქვეყანაზე ვეღარავინ მიწონს, და მოდი, რაც იქნება, იქნება, ერთი მეჭიდეო“.— „ამირანო, ფილოფოზი კაცი ხარ, მაგდენი როგორ არ იცი, რო ნათლიას არ უნდა ეჭიდოვო“, უთხრა ქრისტე ღმერთმა.

— „არა, უნდა მეჭიდავო“, გაიწია ამირანმა. „მაშ კარგიო, უთხრა ქრისტე ღმერთმა: მე ამ ჯოხს, ხელში რო მიჭერია, დავარჭობ და თუ შენ ამოიღე, გამარჯვებული შენ იქნებიო“. „კარგიო, უთხრა ამირანმა: მაგრამ ეგ ჯოხი თუნდა ამომიძვრია და თუნდა არაო“. დაარჭო ქრისტე ღმერთმა ჯოხი, მივიდა ამირანი, [illegible] და [illegible] [illegible] მეორედ ჯოხი [illegible] ქრისტე ღმერთმა და ამირანმა [illegible]დევ ამოსწია, ისევ ადვილად [illegible]ოთილო ამირანმა ჯოხი. „ეჰ, რას მეთამაშებიო“! უთხრა ქრისტე ღმერთს: „თუ გინდა მეჭიდე, თუ არა და, თავი დამანებეო“.

მაშინ აიღო ქრისტე ღმერთმა თავისი ჯოხი, დაარჭო და უბრძანა ის- ფესვების გადგმა, რომ მთელს ქვეყანასა ჰქონიყოს იმის ფესვები ირგვლივ სარტყელივით შემორტყმული; იმისი წვერი კიდევ ზეცაში ყოფილიყოს გართხმული. მერე უბრძანა ამირანს ამოწევა. დაეზიდა ამირანი ჯოხს, მაგრამ ტყუილად, ძვრაც ვერ უყო. მაშინ შესწყია ღმერთმა ამირანი და დააბა ზედ იმ ხეზედ. დაბმულს ამირანს ზედ თოვლ-ყინულიანი გერგეტი და ყაზბეგის მთა დაახურა, რომ ამირანს ცა ქვეყანა ვეღარ ენახა და მოწყვეტილი ყოფილიყო სინათლესა და სიხარულს. მას შემდეგ იქ არის ამირანი მიჯაჭვული. დღეში ღვთისაგან ერთი პური აქვს და ერთი მინა ღვინო საზრდოთ. ყოველ დღე ყორანი მიუტანს და დაუდგამს წინ. ამირანს ერთი გოშია ჰყავს. ის გოშია ყორნის ნაშობია. დახავსებულსა და დაჟანგულს ჯაჭვს დღე-მუდამ ჰლოკავს ერთგული გოშია, ჰლოკს და ათხელებს რკინას. მიდგება ჯაჭვიც გაწყვეტაზე, გაეხსნება

ამირანსაც ჩახურული გული, იმედი მოეცემა კიდევ თავისუფლად სიარულისა, მაგრამ ამ დროს წყეული მჭედელი დაჰკრავს კვერს დიდს ხუთშაბათს გრდემლს და გასაწყვეტად დამზადებული ჯაჭვი ისევ სქელდება, ისევ ისეთი საზარელი ხდება და ისევ ისე აშორებს სიკვდილსა და სიცოცხლეს, ისევ ისე ხდება სინათლისა და სიბნელის საზღვრად, თავისუფლებისა და მონობის ბეწვის ხიდათ. იქავე ახლოს უდევს თავის მოკლე ხმალიც ამირანს, მაგრამ ვეღარცა რას ის არგია: ისიც ჟანგისა და მიწის შეჭმულია. უპატრონობას ცალკე ისა ტირის და ცალკე ამირანი უიმისობას. წელიწადში ერთხელ კიდევ გაიღება ამირანს საბნელოს კარი. გერგეტი კიდევ უზამს კარებს დაბმულს გმირს, მაგრამ ამირანი სინათლეს აღარც-კი უცქერის. ქვეყნის დანახვა მიუჩვეულს ტკივილებს ისევ უღვიძებს, გული ისევ უწყლულიანდება...

გერგეტზე ერთი გველ-ვეშაპია გაქვავებული და მოკლული. ის გველვეშაპი ამირანის მტერი იყო. გაეგო ამირანის დაბმა, წამოსულიყო შესაჭმელად, მაგრამ ქრისტე ღმერთს შეუწყევია ისიც და ისე გაუხმია. მას აქეთ იქა წევს ის გველეშაპი, ისიც ღვთის რისხვას ვეღარსად გაჰქცევია; ვერც ცეცხლს დაუწვავს და ვერც მზეს; ვერც ქარს გადუგორებია უფსკრულს ხევებში და ვერც ყინულის ზვავებს; არც ცას უთვისებია და არც ქვეყანას. იმ ადგილს, სადაც გველ-ვეშაპია, არც თოვლი ეკარება და არც ყინული. ნისლებსა და ღრუბლებს რომ მთელი გერგეტი ჰქონდეს დაფარული და მოცული, ის ადგილი კიდევ შავად გამოიყურება. წვიმაც ერიდება იმას და ნიავიც. ქიუხში მცხოვრები ჯიხვები და კლდის ვაცებიც-კი არ შეეფარებიან იმ არე-მარეში თოვლ-ბუქის დროს. ყველა მიურბის და მიერიდება... ირგვლივ მარტო წყევლაა და წყევლა, სიკვდილი და სიჩუმე...

ამ ყოფაში ამირანი ერთს მონადირეს ენახა. ის მონადირე თურმე გერგეტის გარშემო ჩონჩხებით ნადირობდა ჯიხვებზედ. ერთს ჯიხვს ესროლა, დასჭრა, მაგრამ დაჭრილი ჯიხვი გაექცა და შეიხიზნა ერთს ეხში. გასავალი აღარსაით ჰქონდა თურმე. ვერცსაით მიუდგებოდა მონადირე და ვერც ესროდა; თუ ესროდა და მოჰკლავდა, მკვდარი ჯიხვი მაინც დარჩებოდა და მაინც კლდეში, ვერც ხორცით ირგებდა და ვერც ტყავით. ამ ყოფაში თურმე არის მონადირე და ვერ შენიშნა, რომ მზე ჩავიდა და ის არის ბინდდება. მაშინვე იქით ეცა, აქეთ ეცა, ეძება გზა, მაგრამ ვეღარ იპოვა ჩამოსავალი. იქ უნდებოდა დაღამება. საბრალო მონადირე ორს ჭირში იყო: თუ წავიდოდა, გადიჩეხებოდა სადმე, არ წავიდოდა-და, სიცივე მოჰკლავდა. ბევრი ილონა მონადირემ და ბოლოს უკანასკნელი არჩია,—ისევ გზაში მოვკვდე აქ სიკვდილსაო. ებღატა ბევრი, ებღაუჭა კლდეებს, ხან ხანჯლის წვერითა თხარა, ხან კლდეებში საფეხურები აკეთა და იარა ასე. მონადირე ერთს კლდეს მოადგა და იქ შეისვენა. უცებ ერთი საშინელი კვნესა და გმინვა მოესმა. მონადირე შეშინდა; ჯერ ეშმაკი და ქაჯი ეგონა, გაქცევა გაბედა, მაგრამ გასაქცევი არა ჰქონდა; მერე იფიქრა: „იქნება ან ზვავმა ვინმე ჩამოაგდო, ან ყინულზე იყოს შესხლეტილი და დამტვრეული, ან კიდე იქნება ჩემსავით ვინმე მონადირე გაჰყვა ჯიხვებს, საფარში შერეკა, თითონაც თან შეჰყვა, ჯიხვებმა რქის ჯარი შეუყარეს და დალიეს კლდეზედაო. წავალ, აბა ერთი გავიგებ, ვინ არის, რასა ჰშვრებაო.

წავიდა მონადირე იქისაკენ, საიდაც კვნესა ისმოდა, და გამოქვაბულს კლდეში-კი შევიდა. ნახა, რომ ერთი უზარმაზარი დევივით კაცი მიბმულია კლდეზე ჯაჭვით; თმა-წვერი ასხია ისეთი, რომ დაბლა ლოგინადა ჰქონია; ერთი გოშია კიდე გვერდზე უდგა და ჰლოკს ჯაჭვებს. მონადირე

შეშინდა, გაქცევა გაბედა, მაგრამ დაჯაჭულმა გმირმა დაუძახა: „თუ ქრისტიანი ხარ, ნუ გაიქცევი, აქ მოდი ჩემთან, დაჯაჭული ვარ, რას გიზამ!“ გაბედა მონადირემ და მივიდა ახლოს. გმირმა უთხრა ჩუმად: „მე ამირანი ვარ და ნუ შეშინდებით. წადი, ის ჩემი ხმალი მომაწვადე, იქ რომ ცრემლად იღვრება, და მერე მე ვიციი!“ წავიდა ხმალთან მონადირე, მოეჭიდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მაგრამ ადგილიდამ ვერ დასძრა. ეს დაინახა ამირანმა და ისე დაიკვნესა, რომ მთებმა დაიწყეს ნგრევა და ქუხილი. აქ მოდით, დაუძახა ისევ ამირანმა მონადირეს: ვერ მოათრევ მაინც ისე, რომ მივწვდეო? მონადირემ კიდევ ვერ უყო ძვრა. მაშინ ამირანმა უბრძანა მონადირეს: „დაწევ მიწაზედ, ხელები ხმალს მოავლე, ფეხები მე მომეც ხელში, მე შენ დაგეზიდები, შენ ხმალს და იქნება მოვათრიოთო“. დაწვა მონადირე მიწაზედ, ხელები ხმალს ჩაავლო, ფეხები ამირანს მისცა ხელში. მოსწია ამირანმა, მაგრამ მონადირემ დაიწყო ყვირილი: გავწყდი! გავწყდით! უშო ხელი ამირანმა და დანანებით უთხრა: „წადი და ეცადე, ჯამბარა-დასაკიდელი მოიტანო ისე, რომ ვერავინ განახოს; თუ განახვენ, არავის არ უთხრა, რადაც გინდა და არც თავი მიიბრუნო უკანაო.

გამოვიდა მონადირე. გათენებულიყო. წამოვიდა შინ, აიღო ჯამბარა-საკიდელი და გასწია ამირანისაკენ, მაგრამ ნახა ცოლმა და გამოეკიდა ქმარს: „კაცო, სად მიგაქვს ეგ ჯამბარა-საკიდელი, რად გინდაო?“ ჯერ თავი იმაგრა მონადირემ, არა სცემდა ხმას და არც თავს უბრუნებდა ტუტუცს ცოლს, მაგრამ როდესაც საქმე გაუჭირა, დაბრუნდა, დაღვა ცოლი, აიღო და ერთი თუ ორი; მიტყიპა თქვენი მოწონებული და წამოვიდა ამირანთან. მოვიდა იმ ადგილას, სადაც ეგულებოდა ამირანი, მაგრამ აღარც-სად ამირანი იყო და აღარც-სად გამოქვაბული: „ჰაი თუ დაჰგლეჯდა ჯაჭვებს ამირანი, თითონ იცოდა რასაც იქმოდაო!“ იტყვის ჩვენი გლეხი კაცი და ამოიქშენს დაჭრილ ლომივით...

კაცმა ისეთი უნდა სთქვას,
შიგ ტყუვილი არ ერიოს;
უნდა ღმერთი მოიგონოს,
კაცი რომ კაცს მოერიოს.

დაჰკარ და დაჰკარ, ფანდური,
კარგა მაძლიე ბანია!
მე გამოთხრილი ღვიისო,
ვერ დაგაჭორებს ბალია;
სუ შენ მაგონებ ლექსებსა,
ნახევარ შენი ბრალია.

## 22 — მამალი, კურდღელი, მელია, მგელი და დათვი

იყო და არა იყო რა, ღმერთზე უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი წუწიანი კურდღელი. ერთხელ ერთის მუხის ქვეშ ეძინა. რკო ჩამოვარდა და დაეცა თავში. კურდღელს დაეწვა თავი, წამოხტა და მოკურცხლა, იფიქრა, ქვეყნის დაქცევა მოდისო. ბევრი ირბინა და ბოლოს ერთს მამალს შეჰხვდა. მამალმა ჰკითხა, სად მირბიხარ, კურდღელო, რა დაგმართვიაო.—ქვეყანა იქცევაო, შეჰჩივლა კურდღელმა, და მივრბივარ, თავს უნდა უშველოვო.—მეც წამიყვანეო, უთხრა მამალმა.—წამოდიო, უთხრა კურდღელმა. გაჰყვა მამალი და გაიქცნენ.

ირბინეს, ირბინეს ტყეზედ ერთი მელია შეხვდა. —სად მიჰრბიხართ, კურდღელო და მამალოვო!—ქვეყანა იქცევა და უნდა სადმე შევაფაროთ თავიო, უპასუხეს ერთად კურდღელმა და მამალმა.—მეც წამიყვანეთო, ჰთხოვა მელიამ.—წამოდიო, უთხრეს, და გასწიეს სამივემ.

გზაზედ მგელი შეხვდა; ისიც გამოუდგა უკან. ბოლოს დათვიც შეხვდა და გაუამხანაგდა; წავიდნენ ეს ძმობილები ერთად.

გზაზედ დაუღამდათ. დაანთეს ცეცხლი და შემოუსხდნენ ირგვლივ. ვახშმობა რომ მოვიდა, მელია ადგა და სთქვა: ჰო, ეს დათვი დათვია, ეს მგელი მგელია, ეს კურდღელი კურდღელია და ეს მამალი რისლა მაჩანჩალა არისო. მოჰგლიჯა თავი და ჩადეს მოსახარშად. ხორცი შეჭამეს და ქონი ქოთანში ჩაასხა მელიამ.

ახლა მგელი ადგა. იმანაც სთქვა: ეს დათვი დათვია, ეს მელი მელია, და ეს კურდღელი რაღა მაჩანჩალააო. მოჰგლიჯეს კურდღელსაც თავი, მოხარშეს, ხორცი შეჭამეს და ქონი მელიამ ქოთანში ჩაასხა.

ახლა დათვი ადგა და სთქვა: მამალი მამლის ადგილას წავიდა, კურდღელი კურდღლის ადგილას, და ეს მგელი რაღას აკეთებსო. მოჰგლიჯა დათვმა მგელს თავი და მოხარშეს ისიც.

დარჩნენ მელია და დათვი. მელიას ეშინოდა დათვის ღონისა და არაფერს ეუბნებოდა; დათვსაც ეშინოდა, მელიამ არაფერი მიგდოსო, და არაფერს ეუბნებოდა. გავიდნენ დღეები. შემოელია საჭმელი მელიას და დათვს. წავიდნენ ტყეში, ინადირეს, მაგრამ ვერაფერი იშოვეს. დათვმა უთხრა მელიას: მოდი, მელიავ, მოვიგონოთ რამ ისეთი, რომ მუცელი გავიძღოთო. მელიამ უთხრა, რომ მე არაფერი მაქვს და აბა რას გაჭმევო.

დათვი გამოვიდა დაჯდა კარებზედ და დაიწყო ყვირილი: არა მცალიანო. მელიამ ჰკითხა: რას იძახი, რა საქმე გაგიხდაო.—ნათლიად მეძახიან, უთხრა დათვმა, და აბა რას მეტყვი, წავიდე თუ არაო. მელიამ უთხრა, წადი, შენ მაინც ჭამე რამ, მე კიდევ გავძლებ მშიერაო. წავიდა დათვი, ამოთხარა საერთო ქონიანი ქოთანი და მოასვლიპა თავი. როდესაც დაბრუნდა უკან, მელიამ ჰკითხა, თუმცა-კი იცოდა, სადაც წავიდა დათვი, როგორი ნათლობა გქონდათ, ან რა დაარქვით ნათლულსო.—ნათლობა ცუდი იყოვო, უპასუხა დათვმა, ერთი ლუკმაც არაფრისა შემიჭამიაო; ნათლულს-კი თავ-მოლოკილა დავარქვითო.

მეორეს დღეს ისევ წავიდა დათვი,—არ მეშვებიან ეგ ოხრები, არ ვიცი რა უნდათ ჩემგანაო. ამოანახევრა ეს ქონიანი ქოთანი და დაბრუნდა სახლში.—რა დაარქვითო, ჰკითხა მელიამ.—რა დავარქვით და შუანელაო, უპასუხა დათვმა. მესამეს დღესაც ისე ქნა დათვმა.—იმას რაღა მააქვივნეთო, ჰკითხა დათვს მელიამ.—ძირმოლოკილიო, უპასუხა დათვმა.

მეოთხე დღეს მელიამ უთხრა დათვს, ეხლა მე წაველ, შენ აქ იყავ, მამშივდა, დეგებ*) თავვი მაინც სადმე დავიჭიროვო. წავიდა ეს მელია, აამსო ეს ცარიელი ქოთანი ნაცრით და ჩადგა წინანდელ ადგილსვე. მობრუნდა სახლში და უთხრა დათვს, რომ ვერაფერი ვიშოვე, მშიერი ვარ, იმ ქონიანს ქილას რაღა შავი დღისთვის ვინახავთ, წავიდეთ, ვჭამოთო. მაგრამ რადგანაც ორს ვერაფერს გაგვიხდება, გავიქცნეთ და რომელიც მივასწრობთ, იმან შევჭამოთო.

დათვი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაიქცა. იფიქრა, რაკი მე მივასწრობ მელიას, ის იფიქრებს, რომ ეხლა შემიჭამია ეს ქონი და წინანდელი ჩაიფარცხებაო. მიირბინა ამ დათვმა და ჩაჰყა პირი ამ ნაცრიანს ქილაში. ნაცარი თვალებში შაეყარა და გადმოჰბზარა. დარჩა ბრმა დათვი. მელიამ

*) [illegible]

უთხრა: ბიძავ, რაკი დაჰბერდი, ეხლა არარაფერი გეშველება, მე კუდზე საქლარუნებელს შევიბამ და იმის ხმაზედ იარეო. გაუძღვა მელია და წაიყვანა ერთს კლდის თავზედ. გაირბინა მელიამ ამ კლდეზედ და გააქლარუნა კუდი. გაჰყვა დათვიც, მაგრამ აუსხლტა კლდეზედ ფეხი და გადაილეწა ხევში. ჩავიდა მელია და მიაძღა ამ დათვის ხორცს, რაც ძალი და ღონე ჰქონდა.

ხიდგან სამი ვაშლი ჩამოვარდა.
ერთი მე, ერთი შენ და ერთიც ამ ზღაპრის მთქმელს.

## 23—ლეგენდა თამარზედ

თამარს უამბო დედამა, შვილო, სიზმარი ვნახეო;
საწუთროს ჯამში ჩავხედე, სოფელი დავინახეო,
შენ იყო მთელი ქვეყანა, შეგნებით შეინახეო.

მალე ასრულდა დედის სიტყვები. თამარი შეიქმნა მპყრობელი მართლა მთელი საქართველოსი; იმის ხმალს ვერარავის ფარმა ვერ გაუძლო,—ყველას უნდა ქედი მოეხარა იმის დიდების წინაშე და ეძლია ხარკი. თამარმა ყველას ხარკი დასდვა. მარტო ზღვა-ღა იყო თავისუფალი და ჯერ კიდევ არ უხრიდა თავს. მაგრამ ისიც მალე მოდრიკა თამარმა: უბძანა ქარს, მოატანინა ზღვის პირზედ ჩალა-ბზე, თივა-ფიჩხი, გადააყრევინა ზღვაში და დაასხა ნავთი. ზღვამ თივა ზედ მოიგდო; მერმე მიაკიდებინა ცეცხლი; აპრიალდა ცეცხლი, და გაერთხა ბოლი ზღვის პირს. შესწუხდა ზღვა, შაიძრა თავით ბოლომდე, შასწუხდენ ზღვის ცხოველები,—ზღვას ეგონა, ცეცხლი მეკიდებაო, და გამოუგზავნა კაცი თამარს: ოღონდ ნუ დამწვავ და რაც გინდა, ის ხარკი გამომართვიო. თამარმა შეიწყალა ზღვის თხოვნა, გამოართვა კამეჩები, ქარვა, მრავალი თვალ-მარგალიტი და ცხოველები. ამის შემდეგ გაჩნდა ქვეყანაზედა კამეჩები და თვალ-მარგალიტი.

## 24—გარდმოცემა იესო ქრისტეზედ

ქრისტე ჯვარს აცვეს; ხელებში და ფეხებში ლურსმები გაუყარეს. ერთმა მოწაფეთაგანმა ის ლურსმები, რომლებიც თავში უნდა დაეკრათ ურიებს იესოსთვის, მოჰპარა. ურიებს ლურსმები აღარა ჰქონდა, რომ შუბლშიაც შეერჭოთ. შუბლში რო დაეკრათ ლურსმები ქრისტე მოკვდებოდა. ამის შემდეგ ქრისტემ დალოცა ქურდების გზა.

ქრისტემ ჰკითხა თავის მწამებლებს: თქვენი თავი რო დამჭირდებოდა, ვინ რით რას მიშველიდითო? სომეხმა უთხრა: გიყიდდით ფულითაო; ოსმა უთხრა: მოგიპარავდითო; ქართველმა უთხრა: ხმლით გიომებდით და ისე დაგიხსნიდითო.

## 25—გარდმოცემა მეფე ერეკლეზედ

ფშავში ერთი საინტერესო გარდმოცემა დარჩენილა მეფე ერეკლეზე. აი ის გარდმოცემა: ერეკლეს მეშვიდე ვაჟი რო გაუჩნდა, სთქვა: ქართველებო, თავს მოუარეთ, ჩემი ჯიში პირუტყვზე გადავიდა, ჩემი შვილები მეფობას ველარ გიზმენთო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიტყვების ახსნა

## ფშავში შეკრებილი ზღაპრები

გვერდი

3 აკაგანი — აკვანი

" ჩასაწველს ჩასწვავდა — დასაწველს დასწვავდა.

4 სრულ — სულ.

" აძუვებთ — აძოვებთ.

5 საკომი — საბოლე.

" მიაჭარა — მიაწყვა, ანუ როგორც გურულები იტყვიან: მიაკუნწუხურა.

6 ნიგზული — მუგუზალი, ნაგუზალი.

7 ფაშგუნდი — იგივე ფასკუნძი, ფასკუნჯი — ფრინველების მეფე, ჯადო-იანი ფრინველი.

" ოდოდენა — ოდენა.

" ელიდა — ელოდა.

" დავკოდე — დავსჭერ.

8 ეგმავა — ეყო.

" წურვილი ერბო — გადამდნარი ერბო

" ქვეცა — ქვესკნელი

11 დაბრმალიყო — დაბრმავებულიყო

13 გურჩი — როდინის ქვა, ფილთაქვა.

16 მოგიგონებავ — მოგიგონია.

" ამოგარიდებთ — ამოგაცლით.

" გადაწყვეტილი დაჯდა — დაღალული დაჯდა.

17 შეჭმადა — საყვედურის კილოთი უთხრა.

21 მომივიდოდა — მომივიდეს.

" ხელისახოცი — ხელსახოცი.

" გადმოუჩინა — გამოუჩინა.

22 უსურმაგი — უსუფთავო, მურტალი

" აღარცად — აღარსად.

" გავეხვეწოთ — გავექცეთ.

23 ვერცად — ვერსად.

24 არცად — არსად.

" შეხდა — ავიდა.

25 ლოცვაზეით — ლოცვიდან.

" მოვიდოდი — მოვიდოდე.

" დამიგვიდა — დამიგვიდეს.

" დაანთებდა — დაანთებდეს.

" დაჭდგამდათ — დაჭდგამდესთ.

34 გაიკითხა - იქით გაიყვანა.

35 უხლეჩდა — უკრეფდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვერდი.

35 გაჭხლეჩდა—გაჭჭრეჭდა.

36 ყლიან—ყვლიან.

„ მუახლე—მოახლე.

„ მოიდა—მოვიდა.

„ მააქვივნა—დაარქვა.

37 წყალშიით—წყლიდან.

38 გაგმჭრა—დაგმჭრა.

„ ქალი არ ექნებათ—ქალი არ ეყოლებათ.

39 ილის—ივლის.

40 დაივლა—რქები დაიმზადა დასაჭახებლად.

„ გაჭხეთ—გაჭხლით.

41 ლოხი—ჭუჭყი.

„ რორცა—როცა.

„ ღურბლებში—ღრუბლებში.

43 უჭირველი—სალი, დაუჭრელი.

45 იქით—იქიდან.

„ მივცა—მივცე.

46 გაინურბა—გაიმაკა, იმაკა.

„ მაუხლენ—მოუხლნენ.

„ რა გემოს ჩამართოთ—რა გემოს ჩამატანთ.

47 ავილი—ავივლი.

„ ჩამოვილი—ჩამოვივლი.

„ ჩამუამტვრეთ—ჩამოამტვრევთ.

„ კინადართ—კინადამ.

„ დაიქცნენ—გაიქცნენ.

48 უცხოვრებაგ—უცხოვრია.

„ დედაბუდრიანად—დედაბუდიანად.

49 ძმა ექნა—ძმა გაუხდა.

„ დაუდგა ბიჭსა—დაუდგა ბიჭსა.

52 მდევი—დევი.

54 იმით მოვიპარეთ—იმიტომ მოვიპარეთ.

„ თავოვები—თავთავები, თაველები.

62 ქარაფი—მაღალი კლდე.

65 მაუარეს გარემურგვალთ—ირგვლივ მოუარეს.

66 საპოვნი—საპონი.

67 ბარევალ—ბარემ

„ გავის—გავლისას.

72 წაიკაფიავებს—შაირს იტყვის, კაფია—შაირია.

74 გორდა ხმალი—მოკლე ფრანგული ხმალი.

78 ბევრი რამ გადაჭყარა ამირანმა—ბევრი რამ გადაჭხდა ამირანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შეცდომის გასწორება

## კახეთში შეკრებილი ზღაპრები

| გვერდი. | სტრიქონი ზემოდან. | სტრიქონი ქვემოდან. | დაბეჭდილია: | უნდა იყოს: |
|---|---|---|---|---|
| 4 | 19 | — | დაიძაგა | დაიძახა |
| 10 | 20 | — | ის ეწამიყვანესო | ისე წამიყვანესო |
| — | — | 10 | ჩაასხა | ჩასხა |
| — | — | 18 | ხალიჩი | ხალიჩის |
| 14 | 8 | — | მჯდომ | მჯდომი |
| 15 | 12 | — | სრჩო | სარჩო |
| — | — | 10 | მოვრეჟავ | მოვკრეჟავ |
| 16 | 1 | — | ფტქველში | ფუქველში |
| — | 2 | — | ას | სა. |
| — | 4 | — | ვერა | ვერ |
| — | — | 15 | იქიდ | იქიდგან |
| — | — | 3 | მეჭირვე- | მეჭირვება |
| 17 | — | 19 | დაიწყებნ | დაიწყებენ |
| 18 | 3 | — | გველაშაპი. წამოვიდა | გველაშაპი წამოვიდა. |
| — | — | 15 | ჩემგანი ქნება, კი, | ჩემგან იქნება კი, |
| 20 | 20 | — | დაბრუნდი, უკან | დაბრუნდი უკან, |
| 21 | — | 19 | დაარჯე | დაარჭე |
| — | — | 16 | დამბული | დაბმული |
| 22 | — | 8 | წაიწყვანა | წაიყვანა |
| 26 | 2 | — | თეთრთ | თეთრ |
| 32 | 16 | — | კაცმას | კაცმა, |
| — | — | 9 | ვერცხს | კვერცხს |
| 41 | 17 | — | დედა, და | დედაა და |
| 44 | 1 | — | მოჰხუჭავს | მოჰფხუჭავს |
| — | 4 | — | მომგთხრი | მოგთხრი |
| — | — | 2 | ნაზირ-ვერიც | ნაზირ-ვეზირიც |
| 46 | 18 | — | ხუმბრობაო | ხუმრობაო |
| 51 | — | 2 | ხათულს | ხარულს |
| 56 | 6 | — | თქროს | ოქროს |
| 59 | 15 | — | საამლოთი | სალამოთი |
| 60 | 1 | — | ჩარეკე | ჩარეკეს |
| 66 | 20 | — | შსილო | შვილო |
| 68 | — | 13 | მოვკალთო | მოვკალითო |
| — | — | 6 | ძილიან გაუხარდ: | ძალიან გაუხარდა: |
| 69 | — | 15 | კმარო! | კმარაო! |
| 72 | — | 19 | ჰქონდა, ახლა | ჰქონდა; ვაჟმა ახლა |
| 80 | — | 21 | და სიძეების | და-სიძეების |
| 81 | 20 | — | ვეფხი | ვეფხვი |
| 83 | — | 18 | ბალდალით | ბალდადით |
| 89 | 20 | — | საადლაა | სადლაა |
| 91 | — | 4 | მოვიდოდე | მოვიდოდეს |
| 93 | 2 | — | ალიჩა | ხალიჩა |
| 94 | 14 | — | გამოუსადეგარიაო | გამოუსადეგარიო |
| 96 | 1 | — | თავი და მოვიბრუწე | თავი მოვიბრუნე |
| 99 | 8 | — | დაუწო | დაუწყო |
| — | — | 14 | ქათამი | ქათიბი |
| 100 | 21 | — | ქვაბი | ქვაბში |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| გვერდი. | ზემოდან. | ქვემოდან. | დაბეჭდილია: | უნდა იყოს: |
|---|---|---|---|---|
| 101 | — | 16 | ძმან | ძმანი |
| 103 | — | 8 | უშვებს | უშვებენ |
| 104 | — | 14 | ხა | ხარ |
| — | — | 12 | იჭმა | ბიჭმა |
| 105 | — | 14 | არ უნდა | რა უნდა |
| 108 | 9 | — | აუიხილა | აუხილა |
| 116 | 11 | — | დადგა | დადვა |
| 120 | — | 3 | ნიავისა | ნიავსა |
| 121 | 3 | — | დიუწყო | დაუწყო |
| 134 | 21 | — | სახნის-სააკვეთი | სახნის-საკვეთი |
| 136 | — | 16 | წამაიოეო | წამაილეო |
| 140 | — | 1 | აა9 | ამა |
| 142 | — | 9 | მშვილ-ისარი | მშვილდ-ისარი |
| — | — | 5 | აქ | იქ |
| 146 | 3 | — | ვეტვად | ფეტვად |
| 152 | 9 | — | ზეზედ | ხეზედ |
| — | 16 | — | ჩარო | ხარო |
| 153 | 16 | — | მო. საბადებელმა | მო-საბადებელმა |
| 154 | — | 14 | გამოვლელი | გამოვლილი |
| — | — | 20 | გამოვლელი | გამოვლილი |
| 155 | 1 | — | შენ | შენი |
| 159 | 2 | — | მხარზედი | მხარზედ |
| 168 | 5 | — | შენა | შენმა |
| — | — | 20 | ატომ | რატომ |
| — | — | 19 | იუვიდა | მიუვიდა |

## ფშავში შეკრებილი ზღაპრები

| გვერდი. | ზემოდან. | ქვემოდან. | დაბეჭდილია: | უნდა იყოს: |
|---|---|---|---|---|
| 4 | 15 | — | გამათხარა | გამამთხარა |
| — | — | 12 | დაიყწეს | დაიწყეს |
| 6 | — | 14 | თხის-ფსელასიეო | თხის-ფსელასიაო, |
| 7 | — | 1 | მ ბს | ძმებს |
| 12 | — | 9 | ის ეგონა | ისე ეგონა |
| 13 | 5 | — | წივიდა | წავიდა |
| 19 | — | 21 | სადარჯოდ | სადარაჯოდ |
| 20 | — | 7 | სადლა | სადლაა |
| 31 | — | 8 | გაუყრი | გაუყრით |
| 33 | 15 | — | ფეხდოლობამ | ფეხდოლაბამ |
| 35 | — | 11 | წავიტანე | ავიტანე |
| 38 | 20 | — | გურზი | გურხი |
| 40 | 8 | — | მამკლა ვსო | მამკლავსო |
| 44 | 8 | — | ხეწფის | ხემწიფის |
| 47 | 11 | — | ჩამოივლი | ჩამოვილი |
| — | — | 4 | დაახვდათ | დაჰხვდათ |
| 53 | 11 | — | პიტივსა | პატივსა |
| — | — | 18 | გაჰკვირდებმ | გაჰკვირდებ, |
| 55 | — | 14 | წამიაყვანა | წამაიყვანა |
| 56 | — | 5 | იმარას | ამარას |
| 61 | 17 | — | მოკვლა | მოკვდა |
| 64 | 13 | — | დავკარიდ | დავკარით |
| 66 | — | 5 | თაკლაი | თაქლაი |
| 73 | — | 1 | ამირანდა, | ამირანი, |
| 81 | — | [illegible] | ჰშვრებაოა | ჰშვრებაო. |
| — | — | [illegible] | მიბმული. | მიბმულია |
| — | — | 1 | მონადირ | მონადირე |
| 82 | — | 1 | დამალი | მამალი |